

K 215.972  
3



კანონ  
ყმარ

კანონი  
ყმარ







THE  
MUSEUM



მომწიფები გარდასულ დღით



მომწიფები ვაჟა-ფშაველას

თბილისი „მეჩანი“ 1986

ზეიოგ [კაჟა - ჭაჟაღა]

გვ. 97  
ბ) 6




მოგონებების წიგნი ეძღვნება დიდი ქართველი პოეტის ვაჟა-ფშაველას დაბადების 125 წლისთავს, კრებულში შეტანილი მასალები იბეჭდება შემოკლებით.

**შეადგინეს: მარინე ბაჟიტაიძე,  
სარგის ცაიშვილმა**

**რედაქტორები: სარგის ცაიშვილი,  
გურამ გვირდვითელი**

**მხატვარი ძმთაშვილნი**



70303—131  
ს ————— 12—86 © გამომცემლობა „მერანი“  
M604 (08)—86

## გაგა-შაგელა თანამედროვეთა სსრკში

„ზუიადურო, ძმობილო,  
რად არ მაწვენებ შენს სახეს“

გამოტეხილად უნდა ითქვას, რომ ქართული მწერლობა არც თუ მდიდარია მემუარული ლიტერატურით, ჩვენში ამ დარგს ფაქტობრივად მხოლოდ მე-19 საუკუნიდან დაუშვედრდა საკუთარი ადგილი. მართლაც, სწორედ ამ დროიდან მოგვეპოვება ჩვენ ამ ჟანრის საუკეთესო ნიმუშები, რომელთა შორის მარგალიტებით ბრწყინავს აკაკი წერეთლის „ჩემი თავადასაული“, ასეთი ტიპის ლიტერატურასთან ახლოს დგას ღა, სამწუხაროდ, ასევე სიუხვით არ გამოირჩევა მოგონებები ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებს.

უამრავლად ესეცა ერთ-ერთი მიზეზი, რომ დღეს ასე მწირი ცნობები მოგვეპოვება არც თუ შორეულ წარსულზე. რომ არა თავადადებული გარჯა ზოგიერთი, მწერლობაზე ფანატიკურად შეყვარებული მოღვაწისა, ჩვენ, ალბათ, თითო-ორი რამ თუ გვეცოდინებოდა მე-19 საუკუნის დიდ ქართველ მწერლებზე, იმ სულიერ ატმოსფეროზე, რითაც გამოირჩეოდა აღნიშნული მონაკვეთი ქართველი ხალხის ცხოვრებაში.

კიდევ უფრო სპეციფიკური ჩანს ამ თვალსაზრისით მასალები ვაჭა-ვაჭაველას ცხოვრების გარშემო. დიდი პოეტი სიცოცხლეში არ იყო განუხერხებელი რაიმე განსაკუთრებული ყურადღებით. არც ტოლფასი კრიტიკული აზრი შეხებია მის ზღვასავით უკიდევანო შემოქმედებას.

მიზეზთა ძიება აქ შორს წაგვიყვანდა. საუბრისა, მაგრამ ფაქტია, რომ, თითო-ორი რამ გამოჩინების გარდა, მისმავე თანამედროვეობამ ბოლომდე ვერ შეიცნო ვაჭასეული მხატვრულ ძიებათა უტყეხი ნება.

მაგრამ ინდიფერენტობის ცინიკის ღებობა მაინც მისსავე სიცოცხლეში დაიწყო, ხოლო ჩვენი საუკუნის ათიანი წლებიდან ვაჭას შემოქმედების ავტორიტეტი არაჩვეულებრივი ძალით იწვედა მადლა და მადლა.

განსაკუთრებული ყურადღების საგანი შეიქნა პოეტის მართლაც და სრულიად უნიკალური მხატვრული მექანიზმობა, რომლის დაუფლებისკენ სწრაფვა ვინ იცის კიდევ რამდენი თაობის უწყვეტ შრომას მოითხოვს — ამ შემთხვევაშიც ვაჭა მსოფლიოს აღიარებულ გენიოსთა ხეუდრს იზიარებს.

ასეთი ყურადღების შედეგია ისიც, რომ სწორედ ამავე ხანიდან და კიდევ უფრო ინტენსიურად ჩვენს დროს, თუ შეიძლება ასე ითქვას, საყოველთაო

ლაშქრობა გამოცხადდა. მისი მიზანი იყო თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც შეკრებილიყო და შეხვედრის საგნად ქველდროს ყველაფერი, რაც დაკავშირებულია პოეტის შემოქმედებით ცხოვრებასთან. ქართველმა მწერლებმა, მეცნიერებმა ყველაფერი იღონეს, რათა საუკუნო დავიწყებიდან დაეხსნათ ჯერ კიდევ პოეტის ცოცხალ თანამედროვეთა შორის შემონახული პოეტის სახე და ვფიქრობ, ამ მიმართულებით გაწეულმა გარჯამ გარკვეული ნაყოფიც გამოიღო.

მოძიებული მასალა რაოდენობრივად არც თუ ცოტაა, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველა მათგანი თანაბარი ღირსების როდია. ყოველ შემთხვევაში მისი მთლიანი კორპუსის სახით გამოქვეყნება უაქველად სასარგებლო საქმე იქნება.

რაც შეეხება წინამდებარე კრებულს, მის შესახებ აქ ორიოდე სიტყვით საჭიროა ითქვას შემდეგი. ამ ტიპის მასალის შეკრებასა და გამოქვეყნებაზე ადრეულ წლებში დიდად გაისარჯა ქართული ლიტერატურის ცნობილი მკვლევარი სოლომონ გუბანიშვილი. ვანსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით მისი ბოლო წიგნი „ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი“ (1961 წ.), რომელშიც თემატიკურად არის წარმოდგენილი ვაჟა-ფშაველას ცხოვრებასთან დაკავშირებული საკითხები და გამოყენებულია საკმარისად უხვი მასალა.

საინტერესოა აგრეთვე გიორგი ლეონიძის თაოსნობით მოძიებული და გამოქვეყნებული რიგი მოგონება, რომლებიც დაბეჭდილია პერიოდულ პრესაში.

ასევე გამოირჩევა თვით ვაჟა-ფშაველას ვაჟის ვახტანგ რაზიკაშვილის წიგნი „მამაჩემი ვაჟა-ფშაველა“ (პირველად გამოქვეყნდა 1961 წ.). მოგონებათა შეკრებისა და თავისებურად გადმოცემის ცდაა აგრეთვე ნ. ნიხლაძის წიგნი „ვაჟა მოგონებებში“ (1957 წ.) და ი. ქართველიშვილის ასეთივე ტიპის კრებული „ვაჟას ნაკვალევზე“ (1977).

წინამდებარე კრებულზე მუშაობის პროცესში, რასაკვირველია, საჭირო შეიქნა არა მხოლოდ ზემოთ დასახელებული ნაშრომების გათვალისწინება, არამედ ყველა იმ მასალის გადასინჯვა, რომლებიც მოიპოვება როგორც პერიოდულ პრესაში, ისე ჩვენს ხელნაწერთა ხაცავებში. მასალა, როგორც ითქვა, რაოდენობრივად დიდძალი აღმოჩნდა და დიდად აჭარბებს იმ მოცულობას, რომელიც გამოცემლობის მიერ წინასწარ იყო განსაზღვრული.

ამდენად, მივმართეთ მასალის როგორც შერჩევის, ისე რიგ მოგონებათა სათანადო კუპირების სახით წარმოდგენას, თუმცა, ვფიქრობთ, რომ ასეთი სახითაც ძირითადად გადმოცემულია მოგონებათა მთავარი შანაარსი. ყოველ შემთხვევაში, ეს სრული პასუხისმგებლობით შეიძლება ითქვას, წინამდებარე კრებული ყველაზე სრულია და მრავალფეროვანი მანამდე არსებულ ამ ტიპის ნაშრომთა შორის.

ახლა კი ორიოდე სიტყვა აქ მოთავსებულ მოგონებათა შესახებ. აქ ვნახათ ჩვენ მოგონებებს, რომელთა ავტორები არიან ცნობილი მწერლები, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწენი, მაგრამ, ამასთან, მოგონებათა არც თუ მცირე ნაწილი გეოთვინის ჩვენი საზოგადოების სხვა ფენის წარმომადგენლებსაც. პოეტს იგონებენ მისი ახლობლები, ოჯახის წევრები, მეგობრები და თანამოკალმენი, მეზობლები თუ საქართველოს სხვადასხვა კუთხის მცხოვ-

რებნი, სადაც კი გაუვლია ვაყას და რაღაცნაირი უორშით საკუთარი კვალა აღუბეჭდია მათ ხსოვნაში.

მაინც როგორი იყო ვაყა-ფშაველა ჩვეულებრივ, ადამიანურ ცხოვრებაში როცა „იყო სოფელში“ და სოფლისთვის ზრუნავდა? რა ადამიანური თვისებები გამოარჩევდა მას სხვათაგან, მისი ზახიათის რა შტრიზებია ზახვას-მული თანამედროვეთა ხსოვნაში?

აღბათ, ამაზე ძნელია ერთმინიშენლოვანი ზასუხის ჰოვნა, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახის მასალა, მოგონებათა სახით, არცთუ ცოტაა და, რომელთა უდიდესი ნაწილი, წარმოდგენილია წინამდებარე წიგნში.

გახსავები მიზეხის გამო ვაყა არ იყო დაეინებული მზერის არეში მოქცეული და არც ეკერძანის ტიპის ინტელიგებულური ბიოგრაფია დასდევდა მას უბის წიგნაკით ხელში.

არც ის ფაქტი უნდა მოგვეჩვენოს დღეს უცნაურად, როცა მოგონებათა ზოვი ავტორი გულწრფელად აღიარებს: მათ ბოლომდე არ იცოდნენ, თუ ეისთან ჰქონდათ ასეთი ახლო ურთიერთობა და მხოლოდ მოგვიანებით გაიგეს (შეიმეცნეს კი?), რომ კაცი, რომელიც მათთან ერთად იფოფდა პირსა და ვარაშს, მათთან ერთად შეექცეოდა ზმიადს და მჭახე ფშაურ არაყს, უკვდავებასთან იყო წილნაფარი. გიორგი ლეონიძეს შემოუნახავს საუბრის ჩანაწერა ერთ საკმარისად განათლებულ ექიმთან (ზოფელ არანისის მკვიდრი, მ. ზანდუკელი) რომელსაც დანახებით უთქვამს: მე მზიზლავდა ვაყას რაინდული, თანაც სადა ფოფაქცევა და აბა რა ვიცოდი, თუ რა იმალეზოდა ასეთი უბრალოების მიღმავ. მით უფრო ძნელია, მეტი მოეთხოვოთ. ზოვ მოგონებათა ავტორს (ზოვმა წერა-კითხვაც კი არ იცოდა და მათი ნამშობი სხვების მიერ არის ფიქსირებული), რომლებიც მხოლოდ ინტუიციით თუ გრძნობდნენ მასში „სხვა რიგის“ ნიჭიერებას და შინაგანი რიდიტ გადმოკვცევენ მგოსანთან შეხვედრის ებიზოდებს.

ვაყას სულიერი ბიოგრაფია უწინარეს მის მზატერულ შემოქმედებაშია განფენილი. ეს არის უცნაური იდუმალებით აღსავსე სამყარო, „არსთა ქმნის“ შემოქმედებითი ნებით განხორციელებული.

საუკუნეთა სიღრმიდან თითქოს დაიძრნენ კლდესავით უდრეკი, მარადისობით დადვასმული გმირთა სახეები, რათა კიდევ ერთხელ გვევრძნო დიად ადამიანურ ვნებათა უკვდავება. ვაყას შემოქმედებაში ახალი ძალით იფოფა ქართული ხალხის სულიერმა ენერგიამ, რაც ეროვნული მასშტაბით საკუთარ ძალებში ურყევ რწმენას განამტკიცებდა. ამის გამო შეიკვარა იგი საკუთარმა ხალხმა და უკვდავთა შორის შერაცხა.

მოგონებათა კითხვა კიდევ უფრო დაგვაფიქრებს დიდ საიდუმლოზე.

ამ მოგონებათა მიზეღვით ვაყა გულღია რაინდია, ამასთან ფიცხი და შურეიგებელი, ლხინის თავკაცი და ჭირის გამზიარებული. იგი ისეთივე მარტივი ცხოვრებით ცხოვრობდა, როგორც მისი თანამოქმენი, ნათესავები თუ კარის მეზობლები. ხნავდა, თესავდა, მკიდა და თიზავდა, მოჰყავდა მოსავალი და უვლიდა საქონელს.

მაგრამ შინაგანი კულტურით, განათლებითა და აზროვნების სტილით, მასშტაბურ პრობლემებზე დაფიქრებით იგი ამჟირად გამოირჩეული იყო და



ეს ნათლად გამოსკვივის არა მხოლოდ შემოქმედებით სფეროში, არამედ ყოველდღიურ ყოფაშიც, რაზეც უეჭველად მიგვანიშნებს მოგონებათა ფურცლებზე წარმოსახული პოეტის სახე.

მართლაც, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში თანამედროვეობა და წარსული რაღაც უცნაურად არის გადახლართული. ხედვის სიღრმე და სამყაროს მთლიანობაში ადქმის წარმართული უნარი ისევე ბუნებრივია მისთვის, როგორც თანამედროვეობის იქვითა და ტკივილით გამსჭვალული მსოფლ-შეგრძნება. სხვადასხვა კულტურული შრეებიდან მომდინარე ნაკადთა ეს იშვიათი შერწყმა კარგად არის დახასიათებული გერონტი ქიქოძის შემდეგ ხიტყვებში: „ვაჟამ თავის პოეზიაში მოგვცა ორი ერთი-მეორეს დაშორებული სოციალ-პოლიტიკური ფორმაციის სინთეზი, რომელთაგან ერთი თითქმის წინაისტორიულ ხანას ეკუთვნის, ხოლო მეორე კაცობრიობის განვითარების უკანასკნელ საფეხურს. მის შემოქმედებაში ორგანულად შეერთებულია კაცობრიობის დილისა და მწუხრის, გულბრყვილო სიჭაბუკისა და მომწიფებული ვაჟკაცობის შეგრძნება, მისი გმირებიდან ზოგიერთნი ბედნიერ ბავშვებს ჰგვანან, ზოგიერთნი კი დაფიქრებულთ ბრძენთ, რომელთაც შეუძლია დანაოჭებული აქვთ მტანჯველი იქვით“.

ეს თავისთავად სწორი დებულება მიგვანიშნებს, მაგრამ არ კი გვიხსნის პოეტის იდეალებით მოცულ შემოქმედებას. ვაჟა-ფშაველას პოეზიის მთლიანობაში გააზრების გზაზე მის შემოქმედებაში დადასტურებული ცალკეული ასპექტების შესწავლა პირველი და გადაუდებელი ამოცანაა<sup>1</sup>.

მოგონებების სტრუქტურა შორისაც აშკარად დანშნდება ჰუმანიზმითა და მტანჯველი ფიქრით აღსავსე შემოქმედების ტრაგიკული სახე.

ამბივალენტურია მისი ყოფაც. იგი ისევე ცხოვრობს, როგორც მისი მეზობლები და ამასთან ბევრად, ძალიან ბევრად შორს იხედება — ადამიანის, სამშობლოს, საერთოდ, კაცობრიობის ხვედრზე დაფიქრებული ბრძენი მოაზროვნე. არის წუთებიც, როცა მას სხვაგვარი იჭვიც აწვალებს. ესმით კი მისი მის თანამედროვეებს? ვრძნობენ კი ვაჟასეული შემოქმედების სიმაღლეებს?

იღია ჭავჭავაძე იყო ვაჟას სათაყვანებელი კერპი და მისაბაძი მაგალითი. ვაჟა სხვათა მიერ მისი შემოქმედების უნებური თუ შეგნებული დაუფასებლობის ეპოს ისევ და ისევ ილიას იშველიებდა, რომელმაც უტყუარი აღლო გამოიჩინა და უპირველეს მხატვართა შორის იხსენიებდა „მთის არწივს“. მოგონებათა ფურცლებზე ამის საინტერესო მინიშნებებს იპოვის მკითხველი.

ახევე მოგონებებში რიგი, ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარი ეპიზოდების გადმოცემისას შეუძლებელია თვალი არ მოვკრათ მისი ცხოვრებისა და შემოქმედების უპირველესი პრინციპის დამადასტურებელ ფაქტებს: ადამიანში კვამარიტი ადამიანურის გამოვლიძების მცდელობის, რასაც საბოლოო ჯამში ემყარება ვაჟასეული ჰუმანიზმის გაგება. „სტუმარ-მასპინძლისა“ და „აღუდა ქეთულაურის“ ავტორი მონოლითური იყო საკუთარი არსებობის ყველა გამოვლიძებაში.

<sup>1</sup> დაწერ. იხ. სარგის ცაიშვილი, მრადიული სახეები, 1981, გვ 217-219.



მოგონებებში ზაზვასმულად ჩანს აგრეთვე ვაფას პიროვნული აქტიუობა, მინდობისებური სახალხო თავკაცისათვის დამახასიათებელი თვისებები, მათაჲსაჲს კოს თავისთავად მწიფდება აზრი, რომ სხვა დროს, სხვა პირობებში ვაფას ან ხვეისბერი იქნებოდა ან თავისუფლებისათვის აღმღვარი სახალხო ლაშქრის წინამძღოლი, ზუსტად იხეთიეუ, ვით მის წარმოსახვაში იყვნენ ლუხუმი და ზეზვა, ხომარეული და გავი სუმელჯი, სულიერ პლანში ფოველი-ვე ეს ბოლომდე აქვს გააზრებული პოეტს, მაგრამ ფოველდღიურ ცხოვრებაში „ბათურის ხმალღიეთ“ ბორჯავს და ხამოქმედო სარბიელს ეძებს ხალხის სამსახურად მოწოდებული.

ხან სახალხო დღეობებში ეხედავთ, ხან თავყრილობათა აქტიური წევრია, ებრძვის პრისტაჲ-ბოქაულებს, ხოლო სხვა შემთხვევაში კბილვით იცავს შირაქის ველზე დასახლებულ და შევიწროებულ მთიელებს.

მაგრამ ისიც იგრძნობა, რომ ეს ასპარეზი მისთვის ვიწროა, ხოლო ზოგჯერ მეფის მთავრობის აზრით, არამკითხუ დამცველის როლში გამოდის, თუმცა მათვე კარგად იცაან, რა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა იგი აღმოსავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობაში.

არის რაღაც დონკიხოტური ზოგიერთ მის ნაბიჯში, უთანასწორო ბრძოლაში არც დამარცხებაა გამორიცხული, მაგრამ ვაფას რის ვაფასა, რომ უკან დაიხიოს და შეუშინდეს ათკეცად ძლიერ და დამორგუნველ ძალას.

ზოგიერთ მის ასეთ ნაბიჯს, ხშირად თვითონვე უცქერდა რაღაც საოცარი იუმორით და შეფარვით ქალაღზეც გადაიტანა ზოგი ასეთი ეპიზოდი.

ჩვენი სახელოვანი მეცნიერი აკაკი შანიძე (იგი ახლო იცნობდა ვაფას) თავის მოგონებაში, რომელიც წინამდებარე კრებულშიცაა მოთავსებული, ძალზე მიგნებულად აღნიშნავს: „ეკრობ ცხოვრებაში ვაფას სწორედ იხეთი იყო, როგორც მას აქვს აწერილი ჩაღხო „უძმოს ძმა“-ში: „საკმარისი იყო, დაწარული ვინმე ენახა უსამართლოდ, ძალმეტობით, კაცმარაელობით, ჩაღხო-ს თავი გადაეფო სასიკედილოდ „რას სჩადით, ეი, ეჭე! არ იციდა, რის აქა ვარ უძმოს ძმა?“ — დაიბუხუნებდა როგორც ვეფხვი და გადაიპრებოდა მისაშელებლად. და ვაი იმას, ვისაც ჩაღხო-ს მოქნეული მუშტი ან მათრახი მოჰხედებოდა!“

ვაფას, როგორც ჩაღხო, მზად იყო ყოველთვის შეპირებოდა თავის მტერს: „ჩაღხო-ს მტრობა ტოლ-ამხანაგებთან დიდხანს არ ვასტანდა: ოღონდ ერთი სიტყვა ვისმე კი წამოეფრანტაღა შეურიგებაზე, ის უკვე მზად იყო. ბევრ შემთხვევაში შუაკაცი არც კი იყო საჭირო, უძმოს ძმა იქვე, დღეობაზე, იმავე ან მეორე დღეს შეურიგდებოდა, თავადვე მოვიდოდა თავის შეურაცხმყოფელის ბინაზე, დაადგებოდა თავზე და ეტყოდა: „არ შევრიგდეთა, ძმა, ხულ ხომ არ ვინხუებთ? ადგ, მამ მაიოცე, ადგ, ჩქარა!“ მოპირდაპირეს რაღა ეთქმოდა: — ადგებოდა და ერთმანეთს გადააკონიდნენ, ხელდახულ მშვიდობიანობა ჩამოეარდებოდა“.

რაინდის უტუხი გული ფეთქდა მგრძნობიარე, კაცთა თანაღმობით აღსავსე პოეტის მკერდში. და საოცარია ხალხის უტყუარი აღღოც, სწორედ ასეთი, თითქოს რაღაც წინასწარ შემუშავებული მოდელის ზეგავლენით,

თითქმის ერთხმად. ყველანი ასეთ რაინდულ თვისებებს წარმოაჩენენ ვერც  
საუბრის დროს: ვაჟა რაინდი, ქერიც-ობოლთა გამკეისხავი, დაწვრვლად  
ქომაგი და საზოგადო საქმის ერთგული დამცველი შოჩანს. აი, სწორედ  
აქაა ხაძიებელი მოგონებათა ღირსება — ვაჟას მაღალი ჰუმანიზმი მისი პი-  
როვნული ღირსებებიდან იღებდა სათავეს, იგი პირად ცხოვრებაშიც ისეთივე  
ვაუტეხელი იყო, ვით მის მიერ წარმოსახული უკვდავი ვპირები... ასე შემო-  
ინახა მისი დიდებული სახე მისამავე თანამედროვეობამ, იმ ხალხმა, ვისთვისაც  
პოეტს არაფერი არ ეშურებოდა...

დასასრულ, კიდევ რამდენიმე სიტყვა წინამდებარე კრებულზე. მასალების  
დალაგებისას, როგორც მკითხველი ნახავს, აქ უარყოფილია რაიმე თემა-  
ტიკური პრინციპი (შდრ. ს. წუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი),  
რადგან ასეთ დროს ბევრი, იქნებ მეტად საჭირო ნიუანსი პოეტის ცხოვ-  
რებიდან, თემატიკური ჩარჩოების გარეთ რჩებოდა. ამდენად, აქ მოთავსებულ  
ყველა მოგონებას, თუნდაც იგი შემოკლებულად იყოს წარმოდგენილი, და-  
მოუკიდებელი სახე აქვს და ნიველირების გარეშე წარმოაჩენს ამ მოგონე-  
ბათა ავტორების დამოკიდებულებას დიდი თანამედროვისადმი.

ასევე წეწ მოვერიდეთ მოგონებათა სწორებას, თუმცა აშკარად ჩანს, რომ  
მეხსიერებით აღდგენილ ზოგ მონათხრობში არაა ზუსტი პოეტის ბიოგრა-  
ფიიდან ცნობილი დეტალები. ამ გზას რომ გაუყოლოდით შამინ ზოგი მო-  
გონება, რომელიც უფრო გადმოცემა-ლექვენდის ხასიათს ატარებს, მკაცრი  
ჩარჩოების მიღმა უნდა დარჩენილიყო (ასევე, მხოლოდ ნაწილობრივ შე-  
მოკლდა პოეტის ვითომდა განსაკუთრებული ვატაცება ნადირობით თუ დროს-  
ტარებით). დღე, იყოს ეს ლექვენდები თუ გადმოცემები იმ სახით, როგორც  
გადმოვეცემა პირველმოქმელთა მეხსიერებიდან.

კრებულს ერთყის აგრეთვე მოკლე ცნობარი, რომლითაც მკითხველი გა-  
არკვევს, თუ სად ინახება აქ გამოყენებული ხელნაწერი, ან რომელი ნაბეჭ-  
დი ტექსტი უძვეეს საფუძვლად კრებულში მოთავსებულ მოგონებას, სრუ-  
ლად თუ კუპიურებით არის იგი აქ წარმოდგენილი. მასალა კი, როგორც  
მკითხველი შეამჩნევს, ავტორთა მიხედვით ანბანზეა განლაგებული.

მასალების შეკრებაზე დიდად ვაისარჯა კრებულის ერთ-ერთი შემდგე-  
ნელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟას კაბინეტის თანამშრო-  
მელი მარინე ბეჟიტაძე, ხელნაწერთა ფონდზე მუშაობისას გვერმარებოდა  
რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომელი  
მაია ჯარნალაშვილი, რისთვისაც მას მადლობას მოვასხენებთ.

დასასრულ, ისიც ხატიქელია, რომ წინამდებარე წიგნი წარმოადგენს  
ერთ-ერთს მოგონებათა სერიიდან ქართველ მწერლებზე, რომელსაც აქვე-  
ნებს გამოქვეყნდება „მერანი“. მათი გასრულება ერთგვარად შეაქვებს იმ  
ხარებს, რამელთა შესახებაც ზემოთ უკვე იყო საუბარი.

## ივანე ავალიშვილი

მე და ვაჟა გორის საოსტატო სემინარიაში ვსწავლობდით. ჩემზე რამდენიმე წლით იყო უფროსი და უფროს კლასშიაც სწავლობდა, ხოლო მე — უმცროსში. სხვადასხვა კლასში ვიყავით, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი იმას ახლოს ყოფნას, მასთან დაახლოებას. ვაჟას სანდომიანი, მაღლიანი სახე, მაღალი, ბრვე ტანი, არწივისებური სახის გამომეტყველება ერთი შეხედვით იქცევდა უცნობის ყურადღებას.

კვირა-უქმობით, თავისუფალ დროს, სანადიროდ დადიოდა და ჩვენც რამდენიმე ათი-თორმეტი მოწაფე უკან დავედევდით.

ზაფხულობით ასწავლიდა გიორგი ოთარის ძე ამილახვარს ოთარშენში. როდესაც გიორგი კვირა-უქმე დღით პატიჟობდა თავის ყოფილ მასწავლებელს, ჩვენც ვაჟა რამდენიმე ამხანაგს თან წაგვიყვანდა ხოლმე.

გორის საოსტატო სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ ვაჟას დავეშორდი, მაგრამ მისი სახე ცოცხლად დარჩა ჩემს გონებაში. ვაჟას გახსენებასთან, მისი ტკბილი ხმაც მომაგონდება ხოლმე.

ხანგრძლივი დროის შემდეგ, როცა ქ. შ. წ. კ. გამაერცვლებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიის მართვა-გამგეობა მომანდევს, ვაჟას კვლავ დაუუახლოვდი, ნათელ-მირონობაც ჩამოვარდა ჩვენში.

ავადყოფობისას ხშირად ენახულობდი ხოლმე სანდროსთან, წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთშიც. როცა ხალისიანად იყო, ჩემს დანახვაზე წამოიძახებდა ხოლმე: ყაჯარო, ყაჯარო, რასა იქ, როგორა ხარო? ხშირად მეძახდა ყაჯარსა და თან დააყოლებდა: არ გეწყინოს, ყაჯარი კაი ფრინველია, არწივის ჯიშისა, მხოლოდ იმაზე დიდია და გაჯავრებული მრისხანედ გამოიყურებაო. უკანასკნელად სანახავად რომ ვიყავი, ეს იყო ივ-

ლისი 17-19, ხალისიანად აღარ დამხვდა, თითქოს სამდურავი ამოვიკითხე იმის სახეზე.

მგოსანი საშინლად გამოცვლილიყო, ვაჟას აჩრდილიდა იყო, ჩემს მისალმებაზე — როგორა ხარ, ვაჟა-მეთქი? მან მკლავები წამომიშვირა და თქვა მიკნავებული ხმით: ბიჭო, ვანო, დახე, როგორ გავხდიო!

მართლაც, ცარიელი ძვალი და ტყავი იყო. გული მეტკინა და თავი შევიმაგრე, მწუხარება არ შემამჩნიოს-მეთქი.

— ყოჩაღად ხარ, რა ვიშავს; მართალია, გამხდარი ხარ, მაგრამ ეს სიცხის ბრალია და არა ავადმყოფობისა. აი, ჩვენც სიცხემ დაგვასუსტა, გავხდით, მაგრამ არა ავადმყოფობისგან.

ვაჟას თვალზე ცრემლი მოადგა და ხელით წმენდა დაიწყო. მცირე ხნის შემდეგ თქვა:

— ვანო, სოფელში მინდა, მთაში!

— გინდა და უეჭველად უნდა წახვიდე. აქ ასლა მნელია შენი ყოფნა, ქვეყანა იწვის, თან შენს ოთახში ძალიან ცხელა.

ფართო ფანჯარა ღია იყო და განიერი ფარდა ნიაგმა შეანძრია, ეს შენიშნა ვაჟამ და სიამოვნების კილოთი თქვა:

— ერთი შეხედვე ფარდასა, ნიაგი როგორ არხვევს, ფარდას ბრალიც არის ევა, მაშა! ნეტა, ნიაგო, ჩემამდის მოაღწიო. ერთი, ნეტავ, საიდანმე მოვიდოდეს თავსხმა, დიდი წვიმა და ერთი კარგად დამასველებდეს, დამალბობდეს!

— ჰოდა, წადი სოფლად, სურამში ან ბორჯომში, ვაჟა. ფული ხომ გაქვს წასასვლელად და მერე კიდევ დაგეხმარებით.

— ფული მაქვს, რა ოხრად მინდა, მაგრამ ექიმები არ მიშვებენ; ერთი-ორი დღე მოითმინეო და მერე ჩვენ ვიცითო. მაგათ ხელში ვარ!

ამ საუბრის შემდეგ გამოვეთხოვე მგოსანს, ვაჟასგან დაბრუნებულს, წინ შემომეყარა ალექსანდრე შანშიაშვილი, ცოტა ხნის შემდეგ — რ. ბებიაშვილი (გაზ. „სახალხო ფურცლის“ თანამშრომელი) და ორივეს ვუამბე ვაჟას მდგომარეობა. ისიც ვუთხარი, რომ ძალიან არის გამხდარი და თუ სოფლად არ გავისტუმრეთ, ამ სიცხეში ვერ გაძლებს; არ მგონია, მაგ ყოფას გადაურჩეს-მეთქი.

ასე შევჩიოდი ყველას, ვინც მხვდებოდა. მაგრამ პოეტის დაძვრა ადგილიდან შეუძლებლად მიაჩნდათ.

ბოლოს, ექიმებმაც გადაწყვიტეს მგოსნის სააგარაკოდ გაგზავნა და „სახალხო ფურცლის“ რედაქციამ ერთი თავისი წევრი კიდევ გაგზავნა სურამში ბინას დასაქირავებლად. ბინაც დაიქირავეს. მაგრამ გვიანდა იყო: იქიდან კაცი რომ დაბრუნდა, ძვირფასი ვაჟა გარდაცვალებული დახვდათ.

## ვეფსო აკობაშვილი

როცა მე დავბადებულვარ, ისეთი ხმით მიჰქექია, რომ ჩემი ხმა მეორე სახლში გაუგონიათ ვაჟას და მამაჩემს, ვაჟას წამოუძახნია: ვეფხვია, ვეფხვია და ჩემი პირველი სადღეგრძელოც ვაჟას დაუღევია.

შემდეგ, როცა წამოვიზარდე და ანაბანა ვისწავლე, ჩემი საყვარელი ადამიანი ვაჟა იყო. როცა კი ჩვენსა მოვიდოდა, წინ ჩამოვუჯდებოდი და პირში შევეყურებდი, რას იტყოდა. მეორე დღეს სკოლაში მოვფენდი ვაჟას ნალაპარაკებს.

ვაჟა და მამაჩემი აბრამი დიდი მეგობრება იყვნენ. მამაჩემი თიანეთის მამასახლისი იყო. მამაპაპეული ქონებაც ბლომად ჰქონდა: გუთნეული, საქონელი, წისქვილები, კარგი სახლ-კარი და სახნაე-სათესი მიწები. სოფლისათვის ამოღებული ხმალი იყო. სოფელსაც უყვარდა და აფასებდა, ოც წელიწადზე მეტს მამასახლისად იყო არჩეული.

პირველად, როცა მამაჩემი სოფელს მამასახლისად აურჩევია, ამის შესახებ ვაჟას კორესპონდენციაც მოუთავსებია ვაზეთ „დროებაში“ (1885, № 87), რომელშიც ვკითხულობთ:

„...ძველი მამასახლისი, რომელიც არა ერთხელ და ორჯელ გაუკიცხავთ „დროებაში“, გამოსცვალეს და ახალი დააყენეს. ეს უკანასკნელი დიდ იმედს გეპირდება და, როგორც სჩანს, იქნება კიდევ შეგვისრულოს. პირველადვე გამოიჩინა თაოსნობა, სოფლის ნამდვილი პატრონობა“.

ვაჟა აი ასეთი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო თიანეთში და შემდეგ თბილისში. ვაჟა ისე არ აივლიდა და ჩაივლიდა თია-

ნეთში რომ ჩვენსა არ ჩამომხტარიყო და მამაჩემი არ ენახა, ერთად დრო არ გაეტარებინათ და ხინკალით გული არ ეჯერათ. დედაჩემის გაკეთებული ხინკალი ხომ ნაქები იყო მთელს თიანეთში.

ვაჟაც ძალიან უქებდა დედაჩემს ხინკალს. ერთხელ, როცა ვაჟა ჩვენსა ხინკალს შეექცეოდა, დედაჩემს უთხრა: — შენმა ძმებმა მღვდელ-დიაკვნობა ისწავლეს, მაგრამ შენ უფრო უკეთესი ხელობა გასწავლიაო, — აიღო ღვინით სავსე მათარა, ხინკალზე თავი გადუქცია და წარმოსთქვა: — ეს ღმერთმა შეიწყალოს შენი დედ-მამის სული, ასეთი ხინკლის გაკეთება რომ გასწავლესო, — და მათარა გამოცალა. — ხინკლის გაკეთება დედ-მამამ კი არ ასწავლა, მე ვასწავლეო, უთხრა მამაჩემმა, მატნელებმა რა იციან ხინკლისაო. — მაშ, შენი შესანდობარიც იყოს, არც შენ დაგაკლებ გულსაო, — მიუგო ვაჟამ და მეორე მათარაც გამოცალა სიცილით.

ამ დროს გაიღო კარები და როსტომ ავალიანი შემოვიდა, როსტომ ავალიანი სამსახურიდან გადამდგარი პოლკოვნიკი იყო, რუსეთ-იაპონიის ომში დაჭრილი, ღრმად მოხუცებული, თოვლივით თეთრი წვერ-ულვაშით. ასოვან ტანზე უხდებოდა ქართული ჩოხა-ახალუხი, შევერცხლილი ხმალ-ხანჯალი და გრძელი ფიშტო. ჩვენ სახლში ცხოვრობდა თავისი ახალგაზრდა ცოლით. არ ვიცო, რა აკავშირებდა მას თიანეთთან.

— მე აქ არ შემოვიდოდი, აბრამს ვემდური, მაგრამ ვაჟას ნახვის სურვილმა გამომწვიაო, — შემოსვლისთანავე თქვა როსტომმა, მივიდა ვაჟასთან და თავაზიანად მიესალმა.

ვაჟას ძალიან ესიამოვნა მისი ნახვა, თავის გვერდზე ტანტზე მიიწვია დასაჯდომად, შესთავაზა ხინკალი, გაუვსო მათარა და მიაწოდა.

— ვისი სადღეგრძელო მიირთვიეთო, — იკითხა როსტომმა.

— სადღეგრძელო ჯერ არავისი არ დაგვიღვეია, მხოლოდ მიცვალებულების შესანდობარი დაველიეთ და აბრამაც მიცვალებულებთან ერთად მოვიხსენიეთო, — სიცილით მიუგო ვაჟამ.

— აბრამა ღმერთმა დაიფაროს, მიცვალებულები შეიწყალოსო, — მოკლედ წარმოსთქვა როსტომმა, ასწია მათარა მოსაყუდებლად, მაგრამ ვაჟამ შეაჩერა.



— ნათქვამია, სადაც წახვიდე, იქაური ქუდი დაიზურგო, —  
 უთხრა ვაჟამ, — ჩვენში, სანამ შესანდობარს დაღვევენ, პურზე  
 ღვინოს დაასხავენ და იტყვიან — ღმერთო ეს პურ-შარილი ჩვენს  
 მაცვალებულებს მიაგებო.

როსტომმაც წესისამებრ შეასრულა და მათარა გამოცაღა.  
 ბევრი სვეს, ისაუბრეს, იხუმრეს. ბოლოს ვაჟამ მიმართა როს-  
 ტომს:

— ამალამ ისე არ დავიძინებ, სანამ თქვენს თავგადასა-  
 ვალს არ მომიფეხებითო.

მეორე დღეს ვაჟა მამაჩემს ეუბნებოდა: — კაცი ვეა ყოფილა  
 და ქუდიც მაგას ხურებიაო.

\* \* \*

თიანეთის მაზრის უფროსად ეინძე ლეონტიევი იყო. ამ ლე-  
 ონტიევსა და მამაჩემს შორის დიდი მტრობა იყო ჩამოვარდ-  
 ნილი. მას თავისი მოხელეებისაგან ჩაგონებული ჰქონდა, რომ  
 შენ აბრამა ცოცხალს არ გაგიშვებს, თუ დრო ვიხეულათო.

ამით მაზრის უფროსი ძალიან დაშინებული იყო და ყოვე-  
 ლნაირად ცდილობდა რაიმე მიზეზი ეპოვა მამაჩემის დასაღუ-  
 პავად. იპოვა კიდევც.

ზაფხულობით თბილისიდან თიანეთში ჯარი ჩამოდიოდა  
 ბანაკად და თიანეთიდან 2-3 კილომეტრით დაშორებულ მთაზე  
 ბანაკდებოდა.

გავიდა ორი-სამი კვირა და ერთ-ერთი ამ ოფიცერთაგანი  
 მოკლეს. მაზრის უფროსსაც ეს უნდოდა. ეს შემთხვევა დაიხ-  
 ვია ხელზე და მისი მკვლელობა მამაჩემს დააბრალა. საქმის  
 გამორკვევამდე მამაჩემს შინაური პატიმრობა მიუსაჯა, უფლე-  
 ბა არ ჰქონდა ეზოს გასცილებოდა. ყარაულები მიუჩინა და  
 თვითონაც დღედაღამ ყარაულები ეყენა.

მამაჩემმა ნახა საქმე ცუდად იყო, მაშინვე ვაჟასთან აფრინა  
 თავისი ბიძა ზაზა-ივანე.

ჩამოვიდა ვაჟა, დატრიალდა, თავი მოუყარა სოფლის მო-  
 წინავე ხალხს, მათ შორის მოსამართლე სამა ჭავჭავაძეს, კნეი-  
 ნა ბარბარე ბარათაშვილს, მღვდელს გრიგოლ ჭინჭველაძეს, მა-  
 სწავლებელ მიხა შამანაურს, როსტომ ავალიანს და სხვებს. მი-  
 ვიდნენ მაზრის უფროსთან და ხან დაყვავებათ, ხან მუქარით,

რომ მთელი სოფელი ავიჯანყდებოდნენ, განზრახვამზე ხელი ავიდებოდნენ, მაგრამ მახრის უფროსი თვითონ აღარ გაჩერდა თიანეთში, მალე სხვაგან გადაიყვანეს.

ვაჟა რომ არა, მამაჩემს ან ჩამოსხრჩობა, ან სამუდამო კატორღა ელოდა.

შემდეგში ბევრჯერ გამიგონია მამაჩემისაგან დედაჩემზე ხუმრობით ნათქვამი:

— კაცი ჩამოსახრჩობად მივყავდა და ცოლი მახარებდა — ქალაქში რომ ჩაგატარებენ, იქნებ წითელი ფლოსტები მიყიდო...

\* \* \*

ბიძაჩემი დავით დეკანოზიშვილი ერთხანობას სოფელ შუაფხოში იყო მღვდლად. იგი განთქმული იყო თავისი ნადირობითა და ღონით. თავისი ნანადირევი დათვის ტყავებით მთლად მოფენილი ჰქონდა სახლი. ერთი ტყავი ჩვენც ჩამოგვიტანა თიანეთში.

ბიძაჩემი დავითი შუაფხოდან ბახტრიონში გაამწესეს. აქაც დიდხანს მღვდლობდა. იქვე გარდაიცვალა და ბახტრიონის ეკლესიაშია დასაფლავებული.

ჰოდა, ეს ბიძაჩემი დავითი ერთხელ მატნიდან თიანეთში მოდის. გზად თელავიდან მომავალი ვაჟა წამოეწია და ცხენს უკნიდან ხუმრობით მათრახი გადაურტყა. ცხენი უცბად განზე გამხტარიყო და დანდობილად მჯდომარე ბიძაჩემი გადმოვარდნილიყო.

ვაჟა ცხენიდან ჩამომხტარიყო, მისულიყო ბიძაჩემთან, მოებოდიშნა, წამოეყენებინა, შეესვა ცხენზე და თვითონ გზის იქით გადასულიყო. ბიძაჩემს ვაჟას ცხენისთვის აღვირში ხელი ჩაეკლო და წამოეყვანა. ვაჟა თურმე რამდენიმე კილომეტრზე ფეხით მოსდევდა და ეხვეწებოდა: — ხომ გადამიხადე სამაგიერო, გეყოფა, მომეცი ე ცხენი, შევჯდეო.

ბიძაჩემი შემდეგ კვებნით ამბობდა: — სანამ „მაპატაე“ არ ვათქმევინე, ფეხით ვაჩანჩალებო.

ვაჟა და ბიძაჩემი სწორედ იმ დროს მოვიდნენ ჩვენსა, როცა ერთი პირი ხინკალი ქვაბში იყო ჩაყრილი, მამაჩემი ქვაბს გარ-





შემო უტრიალებდა, თანაც ვილაც სტუმრებს ელოდებოდა წუსდა, რომ იგვიანებდნენ.

ამ დროს ბიძაჩემმა ეზოდან შემოიძახა, — სიძვე, გარეთ გამოდიო. მამაჩემმა ვერაფერი გაიგო, დედაჩემმა კი მამაჩემს იცნო თავისი ძმის ხმა და გახარებული გავარდა მისაგებებლად, მე და ჩემი და მაროც უკან გამოვევიდეთ.

ცხენებიდან ხურჯინები ჩამოხსნეს, უნავიერები მოხალეს. მე ცხენები წავიყვანე და ღობეზე მივაბი.

სახლში რომ შევედი და მამაჩემმა ეს სასურველი სტუმრები დაინახა, ძალიან გაუხარდა და მიიძახა: — ძაღლის იღბალი გაქვთ ერთსაცა და მეორესაცაო (ერთობ, კარგ დროს მოხვედით, ხინკალიც მზად არისო).

ხინკალი რომ ამოყარა ქვაბიდან და სუფრა გაიშალა, მამაჩემმა ჰკითხა:

— როგორ გინდათ ეხლა, ჯერ ხინკალი ვჭამოთ, თუ ჯერ ვიჭიდაოთო.

მამაჩემს ვაჟას ჯავრი ჰქონდა ჩაყოლილი, ვაჟას ის რამდენჯერმე წაექცია, მაგრამ მამაჩემი იმედს მაინც არ ჰკარგავდა, სამაგიეროს გადახდას ცდილობდა.

— ჯერ ხინკალი გვაჭამე ამ ნამგზავრ ხალხს და მერე თუნდაც ძალად წაგექცევიებითო, — იხუმრა ვაჟამ.

მართლაც, სმა-ჭამა რომ მოათავეს და კარგად შეზარსომდნენ, უკან ეზოში გადავიდნენ საჭიდაოდ. ბიძაჩემმა მამაჩემს აღარ აცალა, — სიძვე, შენი ჯავრი მე უნდა ვიყარო ვაჟაზეო. გაიხადა ანაფორა, დაიკვალთა ახალუხის კალთები და ვაჟას ეცა. ვაჟა ჯერ კი შეტორტმანდა, თითქოს ცალ მუხლზე წაბოინოქა კიდევ, მაგრამ შემდეგ რა მოხდა, როგორ მოხდა, ბიძაჩემი, ეს უზარმაზარი კაცი, ერთ თვალის დახამხამებაში მაწაზე გაიშხლართა.

— ხომ არაფერი გეტკინა, მამაო? — დაცინვით ჰკითხა ვაჟამ, დაავლო ხელი და წამოაყენა. ვაჟა ახლა მამაჩემს მიუბრუნდა, ისიც ძალე დასცა ბეჭებზე და, მგონი, სამუდამოდ დაუკარგა სამაგიეროს გადახდის იმედი.

— წადით ეხლა და სადაც სიძე-ცოლისძმამ დაიკვებით, ჩემიც იქა თქვითო, — სიცილით უთხრა ვაჟამ და თან თვალემა

2. მოგონებები გარდასულ დღეთა

არწივივით დაატრიალა, თითქოს ახლა სხვა ფალავანს ეტყობო.  
სო.

პატარა ხნის შემდეგ სახლში შემობრუნდნენ და განახლდა სუფრა. ვაჟა უფრო მეტად გამხიარულდა, გახალისდა, სიტყვით სიტყვით კი ერთხანს დარცხვენინებუვით იყვნენ, შერეული ნომ ყველაფერი დაავიწყათ.

ამ დროს შემოგვესწრო პავლე გუგუდაშვილი.

პავლე გუგუდაშვილი მდიდარი გლეხი იყო თიანეთის მაზრაში. მას ოცი ათასზე მეტი ცხვარი ჰყავდა, უთვალავი ცხენის ჯოგი, ძროხა, ღორი, ერწოში ცხოვრობდა, სოფელ მაგრანეთში. ერწოშიც სახლი ჰქონდა, თიანეთშიც, თბილისშიც. თბილისში ბაკიც ჰქონდა თავისი სასადილოთი და ღამის განათევით. ეს ბაკი იჯარით აღებული ჰქონდა სახელგანთქმულ მოჭიდავეს კულა ვლდანელს.

პოდა, ეს პავლე გუგუდაშვილი ამ ქეიფის დროს მოვიდა ჩვენსა, თან მწყემსი ახლდა.

პავლეს არ ესიაშვნა ვაჟას დანახვა, რასაკვირველია, არც ვაჟას ვახარებია. პავლემ მაინც თავაზიანად მოიკითხა ვაჟა, ვაჟამაც თავაზიანი პასუხი გასცა და საესე მათარა მიაწოდა. პავლემ დაილოცა, მათარა გამოცალა, მამაჩემს რაღაც გადაულაპარაკა და წასასვლელად მოემზადა. ყველანი წამოდგნენ სუფრიდან და სტუმარი ეზოში გააცილეს. პავლე შეჯდა ცხენზე, მწყემსიც უცბად მოაჯდა გაუხედნავ ცხენს. მაგრამ ცხენი ფაღვზე შედგა, შემდეგ გააფთრებული წინ გაიჭრა, წაიბორძაკა, მწყემსი ძირს გადმოვარდა. ცხენმა უზანგში ფეხგაჩრილი მწყემსი მოითრია. პავლემ თავისი ცხენით ვზა გადაულობა დამფრთხალ ცხენს და შეაჩერა. ფეხნადრძობი მწყემსი აივანზე დასვეს. დიდუდაჩემმა ამოვარდნილი ძეგლი ისევ თავის ალაგას ჩაუსვა და მალამოთი დაუხილა.

პავლემ მწყემსს უსაყვედურა:

— რას გადაეკიდე ამ უხედნავ ცხენს, ძალად ხომ არ უნდა შეაკლა თავიო.

ამაზე ვაჟამ უპასუხა: — შენთან ძალღურად საცოცხლეს სიკვდილი უჯობს ცაშიო.

— რატომაო.

— იმიტომ, რომ ამდენი დოვლათის პატრონი მშვიერი კვლავი და მწყემსებსაც მშვივრებსა ჰხოცავო.

— ასე რომ არ მოვქცეულიყავი, მეც შენსავეთ ვაქნებოდი, კატა არ გინახავის სახლშიო, — უპასუხა პაულემ.  
ბევრი იცინეს.

\* \* \*

ვაჟა როცა კი ჩვენსა მოვიდოდა, ვერ ცხენს დააბინაებდა, დაუყრიდა ქერს, თივას, თუ სიცივეები იყო, ზედ თექაღთოს ან ძველ ნაბადს გადააფარებდა და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგებოდა დროს ტარებას. ხშირად მეტყვოდა: ძმისავე, ცხენს მიმიხედეთ.

მეც თივასა და ქერს არ ვაკლებდი, თავის დროზე იორზე დამყავდა წყლის დასალევივებლად.

ერთ საღამოსაც ვაჟას ცხენს მოვაჯექი და წყალზე წავეყვანე. ჩვენი სახლიდან სულ სამასი ნაბიჯის იქით ჩამოდიოდა იორი. წყალი დავალევივინე და უკან მოვდივარ. ამ დროს ვიდაცამ ეზოდან ღვინის დიდი კასრი გამოაგორა რახრახით. ცხენი დაფრთხა, უცბად განზე გამიხტა, კინაღამ გადმომაგდო, მერე გაქანებული წავიდა, ჩვენი ეზოს კარებში ხარიხები იყო გადებული, ისკუპა და ამ ხარიხებზე გადახტა. ძლივს შევიმაგრე თავი. ვაჟამ დამინახა და მომაძახა:

— ყოჩაღ, ვეფხვიავე ყოჩაღ, ბაღლი!

ვაჟამ რა იცოდა, რაში იყო საქმე, აღარც მე გაეუმხილვ, პირიქით, თავი მოვიწონე.

ვაჟამ მამაჩემს უაშბო ეს ამბავი. მე ხომ მაქებდა და მაქებდა, თავის ცხენსაც აქებდა. იმ სიმაღლე ხარიხაზე გადახტაო. მამაჩემმა შემომიბღვირა და სასტიკად გამაფრთხილა: — მეორედ აღარ გაბედო.

მეორე დღეს დილით ადრე ამდგარა ვაჟა ცხენის მისახედავად (ვაჟას აივანზე ეძინა), მაგრამ ცხენი აქ აღარ დახვედრია. უფიქრია, ალბათ მოიპარესო. მამაჩემს დაუძახა, — ცხენი აღარ არის, მოუპარათო.

ყველანი წამოვიშალეთ, გარეთ გავედით. მამაჩემი ამბობს:

— მე ვინ გამიბედავს, ეზოდან ცხენი მომპაროს, აქ იქნება სადმე, ან იქნებ წყალზე ჩავიდაო.

— წყალზე როგორ ჩავეიდოდა, კარებში ხარიხაა გადებულიო, — უთხრა ვაჟამ.

— შე დალოცვილო, გუშინ თუ იქიდან გადმოხტა მაგ ხარიხაზე, აქედან ვეღარ გადახტებოდაო, — სიცილით უპასუხა მამაჩემმა და დაუმატა:— აქედან კი ვერ გადავიდოდა, მაგრამ სახლის უკან ღობე გადანგრეულია და იმაზე გადავიდოდაო.

ამ ლაპარაკში რომ არიან, გავიხედოთ და ეზოში ზაზა-ივანე (მამაჩემის ბიძა) შემოვიდა, თან ვაჟას ცხენი მოჰყავს, ზედ ბალახაკიდებული.

ზაზა-ივანემ რომ გაიგო მათი შეწუხების ამბავი, თქვა:

— ლამაზი ცოლის პატრონი და კარგი ცხენის პატრონი ყოველთვის ფხიზლად უნდა იყვნენ, კურდღლის ძილით უნდა ეძინოთო. მე დილას, გარიჟრაჟზე მოვედი, ვნახე რომ ცხენს არაფერი არ ეყარა, მშიერი იყო, ავუშვი და ისე გავიყვანე ეზოდან, რომ შენ ვერაფერი ვერა გაიგე რა, აივანზე კი გეძინაო, — უთხრა ვაჟას.

ვაჟამ ამაზე პასუსად ასეთი ამბავი მოაყოლა:

— ერთხელ მეფე ერეკლე ქალაქიდან თელავში მიდიოდა, გზის იქით მწვანიანზე დაინახა, რომ ვიღაც თუში მწყემსი დგას, თავში ხელებს იცემს და იძახის — ეს რა მომივიდა, ეს რა მომივიდაო.

მეფე ერეკლე მივიდა და ჰკითხა:

— რა იყო, თუშო, რა მოგივიდაო.

მწყემსიც მოუყვა ამბავს:

— მთიდან მოვდიოდი ცხენით, დაღლილი ვიყავი, უძილო, ცხენიც მშიერი იყო. ვიფიქრე, გადავალ ამ მწვანიანზე, გრილოში მეც თვალს მოვატყუებ და ცხენსაც მოვამოკებ-მეთქი. დაღლილ-დაქანცულს ჩამძინებია, გამოვიღვიძე და ცხენი აღარსად არის, მოუპარავთო.

— ფხიზლად უნდა ყოფილიყავ, თუშო, ფხიზლად! — უთხრა მეფემ.

— მე რა ვიცოდი, თუ მეფე ერეკლე არა ფხიზლობდაო, — მიუგო მწყემსმა და ის კი არ იცოდა, რომ თვით მეფე ერეკლეს ელაპარაკებოდა.

— მეც ასე მომივიდაო, — განაგრძო ვაჟამ, — მე მეგონა ეს

ჩვენი აბრამა მამასახლისი იყო ფხაზლად და მისი იმედით მეც  
ლრმად ჩამძინებოდაო.

ამ ამბავს შემდეგ ხშირად იგონებდა მამაჩემი.

იმ დღით სკოლაში წასასვლელად ვემზადებოდი. გზაზე ერთ ეზოში მეტად ავი ძაღლი იყო. მისი შიშით იძულებული ვიყავი შორიდან მომეველო და ისე მივსულიყავ სკოლაში. იმ დღითაც წამოვიჩიე — იმ ძაღლის შიშით აქით ვერ გამივლია-მეთქი.

ვაჟამ მითხრა, პურის ნატეხი გადაუვდე ხოლმე და აღარ გერჩისო, თან დააყოლა: მამაშენიც ასე არის, თუ კახეთიდან მოვედივარ და ღვინო-არაყი მომაქვს, კაი ხასიათზე დადგება და თუ ხელცარიელი მოვედი, იმ ძაღლივით დამიწყებს ხოლმე ღრენასაო.

მეც მართლაც ასე ვიქცეოდი: ხმელ პურის ნატეხს ვაღებუვდებდი ხოლმე და სანამ ის იმ ნატეხს გაათავებდა, მე უკვე სკოლაში ვიყავი.

\* \* \*

ერთხელ თურმე ვაჟა თიანეთიდან ახმეტაში მიდიოდა. ივრის გაღმა ჩვენი წისქვილი იყო. ვაჟა რომ წისქვილს მიუახლოვდა, ხედავს, მეწისქვილეს ჩვენი ცხენი დაუჭერია და სცემს. ვაჟამ შორიდანვე დაუტატანა: — რას ერჩი მაგ ცხენს, აბრამამ რომ გაიგოს, ვერ გადაურჩებო.

— ვერც შენ მომჭამ ფეხებსა და ვერც შენი აბრამაო, — ეთქვა მეწისქვილეს და უარესად დაეწყო ცემა ცხენისთვის.

ეს კი ვეღარ მოეთმინა ვაჟას, ცხენდაცხენ მისულიყო მეწისქვილესთან და მათრახი გადაერტყა, გაბრუნებულიყო და თავის გზას გასდგომოდა. მეწისქვილეს მიეძახნა: — დამაცადე, თუ აბრამას შენი თავი გომურში არ ჩაევაგდებინო.

— ვერც შენ მომჭამ ფეხებსა და ვერც შენი აბრამაო, — უპასუხა თურმე ვაჟამ.

ახმეტიდან რომ ამოიარა ვაჟამ, მამაჩემს შეხვედროდა ივრის პირას, ბოგირზე. მამაჩემს ეთქვა: მე და ჩემი მეწისქვილე გინივით სასამართლოშიო.

— რას მიჩივითო.

— მეწისქვილე ცემას გიჩივის, მე კიდევ წისქვილეს ვაძლენას, სამი ღლის მინდი დამაკარგვინეო.

— ვერც შენ მომჭამ ფეხებსა და ვერც შენი მეწისქვილე, სიცილით ეთქვა ვაჟას და თან დაეყოლებინა: მართლაც მკტი მომივიდა. მოდი, გავიდეთ წისქვილში, შეგვარიგე, ცუდი გულით რატომ უნდა იყოს ჩემზეო.

მართლაც მასულიყვნენ მეწისქვილესთან. მეწისქვილე დიდ უარზე დამდგარიყო, — შერიგება კი არა, შენი ხატრი რომ არაო, მამაჩემისთვის ეთქვა, ამას აქედან ცაოცხალს არ გავუშვებდიო.

— იცი ეს ვინ არის? — ჰკითხა თურმე მამაჩემმა.

— ვინც უნდა იყოს, შენზე დიდი კაცი ხომ არ იქნება, — უბასუხა მეწისქვილემ.

— ჩემზედაც დიდი და შენზედაც, ჩვენ „ნაჩალნიკზედაც“ დიდი.

— რაში ეტყობა, რა ვიცი, ჩინები მაგას არ უჩანს და მუნღლები.

— ვაჟა-ფშაველა ვაგიგონია?

— მერე რა რომ ვაგიგონია, ეგ რა შუაშია.

— რა შუაშია და ეგ არის ვაჟა-ფშაველა.

— თვითონ ესა?

— დიას, თვითონ ესა.

განცვიფრებული მეწისქვილე თავიდან ფეხებამდე ზომაველა ვაჟას, ხან მამაჩემს შეხედავდა გამომცდელი თვალით, ხომ არ მამბრიყვებსო, ბოლოს ვაჟას მიუბრუნდა და ჰკითხა:

— გამაგებინე ვინა ხარ, მართლა ვაჟა ხარ?

— მართალს გეუბნება აბრამი, ვაჟა ვარ.

— რაზიკაშვილი?

— რაზიკაშვილი.

— ჰოეტი?

— ჰოეტი.

და ერთმანეთი გადაკოცნეს. შერიგდნენ.

ვაჟამ პურ-მარილი ამოალაგა ხურჯინიდან და თან პატარა ტიკჭორაც მოაყოლა ახმეტური ღვინით სავსე.

სუფრაზე გამოირკვა, რომ მეწისქვილე მოლექსეც ყოფილიყო, ვაჟას რამდენიმე ლექსიც იცოდა ზეპირად.

და გაიბა ქეიფი, სადღეგრძელო სადღეგრძელოს მოჰყვა,

ლექსი ლექსსა, ერთს თუ ვაჟა იტყოდა, ორს მეწისქვილე ამბობდა და ვაჟა განცვიფრებული შეკვივრებდა უკვე არა ვიღაც უბრალო მეწისქვილეს, არამედ პოეტს, და სირცხვილი უფრო მეტად სწავდა. ვაჟა წარამარა ბოდიშს უხდიდა მეწისქვილეს, ეუბნებოდა, მაპატიე, დამნაშავე ვარ შენს წინაშე, მეწისქვილე კი ღმერთს მადლობას სწირავდა, ეს შემთხვევა რომ არა, მე შენს გაცნობას ვინ მაღირსებდაო.

\* \* \*

ერთხელ ვაჟამ გვიან შემოდგომაზე ორი ახალთაობის კაცი მოიყვანა, რომლებიც, ალბათ, არალეგარულად ცხოვრობდნენ.

ეს დასკვნა მე იქიდან გამომაქვს, რომ როცა ეს სტუმრები ავახშმეს, მაღლა სხვენში აიყვანეს დასაძინებლად.

მე მათი სხვენში ასვლა არ შესიამოვნა, რადგან იქ ვაშლი გექონდა შენახული და ვდარდობდი — ვაშლს ეგენი შეჭამენ და მე აღარაფერი დამრჩება-მეთქი.

მეორე დღეს საღამოს ისევ მოვიდა ვაჟა და ეს კაცები სადღაც წაიყვანა, თვითონ ისევ მალე დაბრუნდა ჩვენსა.

მამაჩემმა უთხრა:

— შენ სანამ რამე ხათაბალას არ გადაიკიდებ და მეც არ გადაიკიდებ, არ მოიხვენებო.

— ნუ გეშინია, ერთხელ ხომ გადაგარჩინე სახრჩობელას, კიდევ გადაგარჩინო. შემდეგ ვაჟა მე მომიბრუნდა და გამაფრთხილა — არსად არაფერი წამოგცდეს, რომ ეგ კაცები აქ იყვნენ და სხვენში ეძინათო.

მე თანხმობის ნიშნად თავი დაუუქნიე, მაგრამ რა იცოდა, რომ უკვე დილითვე ყველაფრის თქმა მოვასწარი სკოლის ამხანაგებთან.

\* \* \*

ერთხელ ვაჟამ გოგოლაძეებთან თვალი მოჰკრა მათ ნათესავ ქალს ანოს. წარმოსადგვი ქალი იყო, განათლებული. კარგა ხნის ქვრივი იყო, შავებს მაინც ატარებდა.

ვაჟამ თვალი მოჰკრა ანოს და გულში ჩაუუფარდა. ამის შემდეგ ვაჟამ ჩვენსა სიარულს უფრო მოუხშირა, ანომაც, რასა-

კვირველია, იგრძნო ეს ამბავი და გოგოლაძეებთან სიარულს მანაც მოუხშირა.

იმ ხანებში ქალაქში ერთნაირი სიმღერა იყო გავრცელებული, დიდი და პატარა ყველა ამას მღეროდა:

„ფანჯარაში მტრედია,  
ნეტა ვისი ბედია,  
გამოუშეით, გაფრინდეს,  
ჩემი საყვარელია“ და სხვ.

მამაჩემმა ამ ლექსის ბოლო სტრიქონი შეცვალა და წარმარა ვაჟას მიუძღერებდა:

„ფანჯარაში მტრედია,  
ნეტა ვისი ბედია,  
გამოუშეით გაფრინდეს,  
ვაჟას საყვარელია“...

ამას ისე ხმამაღლა წაუძღერებდა ხოლმე მამაჩემი, რომ ანოსაც გაეგონა. ისიც თავს უფრო მეტად იწონებდა, ეკეკლუცებოდა.

გოგოლაძეებისა და ჩვენს ბინას ერთი გრძელი საერთო აივანი ჰქონდა. ერთ დღეს ჩვენ წინ აივანზე ვაჟა და მამაჩემი სხედან და მუსაიფობენ. აივნის იქეთა მხარეს — გოგოლაძიანთ ქალები სხედან, დედაჩემი და ჩემი დაც იქ არიან და, რაც მთავარია, ანოც იქ არის. ვაჟა მამაჩემს ელაპარაკება და თან ჩუმ-ჩუმად ანოსკენ იყურება.

— ვაჟავ, — ხმამაღლა უთხრა მამაჩემმა, რომ ქალებსაც გაეგონათ, — თუ მე მელაპარაკები, მე მიყურე კიდევ, თუ არადა, ვისკენა გრჩება ე თვალებიო.

ქალებმა სიცილ-ხარხარი ატეხეს, ვაჟა გააწითლეს.

\* \* \*

ჩვენი სახლის პატრონს ილიკო გოგოლაძეს პატარა სავაჭრო ჰქონდა წყნეთის (ამჟამად მელიქიშვილის) ქუჩაზე, სადაც ახლა აფთიაქია.

მამაჩემი, როცა კი სახლში იყო, საღამოობით ხშირად დადიოდა ილიკოსთან, ჩვენი უბნის კაცებიც თავს აქ იყრიდნენ. თუ ზამთარი იყო — მაყალს მოუსხდებოდნენ, ღვინოს შეეძქეოდნენ და თან ზღაპრებს უსმენდნენ მამაჩემს.



მამაჩემმა ერთხელ თურმე ვაჟაც წაიყვანა ამ „საკრებულო-ში“. მამაჩემს ზღაპარი რომ მოეთაუებინა, ვაჟას ეთქვა:

— ხვალ მე მოგიყვებით ზღაპარს, მაგრამ აქ კი არა, აბრამასთან სახლშიო.

მეორე დღეს მართლაც მოვიდა ვაჟა. ანოც იქ დაუხვდა. ხალხმა ბლომად მოიყარა თავი.

ვაჟამ უბიდან პატარა წიგნი ამოიღო და დაიწყო კითხვა.

ვაჟა მე სხვა დროსაც მინახავს ლექსების კითხვისას, მაგრამ იმ საღამოს სულ სხვა იყო: ხან თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა, გრგვინავდა, ბობოქრობდა, ხან კი ისეთი სინაზე და სათნოება გამოკრთოდა, კრავი გვეგონებოდათ.

ხალხი სულგანაბული უსმენდა, ანო თვალებით სჭამდა ვაჟას, მეც გაოგნებული ვიჯექი, სიზმარში მეგონა თავი. ბოლოს კიდევ გადავხედე ანოს — თვალებზე ცრემლები შევნიშნე.

და როცა ვაჟამ კითხვა დაამთავრა, ანო წამოდგა, მივიდა ვაჟასთან და მხარზე ეამბორა. ვაჟამ ის წიგნი ანოს უსახსოვრა და ზედ ლექსიც წაუწერა.

ხალხი ძალიან კმაყოფილი დარჩა. ვაჟაც კმაყოფილი დარჩა ანოს გულის მონადირებით.

იმ ღამეს ილიკო გოგოლაძემ ვაჟა და მამაჩემი თავისთან მიიწვია ვახშმად. ანოც, რასაკვირველია, იქ იყო და ვაჟას ჰვერდს უმშვენებდა.

ვაჟა იმ ღამეს ჩვენსა დარჩა. მე უკვე მეძინა, როცა შემოვიდნენ, მაგრამ მათი შემოსვლისთანავე გამომელვიძა და თვალდახუჭული ვუსმენდი მათ ლაპარაკს. ზელიმხანზე ჰქონდათ ლაპარაკი.

იმ ხანებში მართლაც მთელი ქვეყანა ზელიმხანზე ლაპარაკობდა.

ბევრმა წარჩინებულმა პირმა გამოიღო თავი მის დასაჭერად, მაგრამ ბოლოს ყველა მისი მსხვერპლი შეიქნა.

ერთხელ გამოქვაბულში მოიმწყვდიეს. გასაქცევი გზა აღარ ჰქონდა. გამოქვაბულს უამრავი ჯარი შემოარტყეს, ვარშემო ზარბაზნები დაუყენეს და გადაწყვიტეს დილით ადრე დაეწყოთ ზარბაზნების დაშენა. ჯარების უფროსმა მწყემსი მიუგზავნა და წინადადება მისცა ცოცხალი დანებებულიყო. — სულერთია ვერსად გაგვექცევიო.

ჯარის უფროსმა აცნობა მთავრობას ზელიმხანის შეპყრობის ამბავი, ზელში მყავს, ვეღარსად წამიეო, მაგრამ მოტყუა და, ზელიმხანი რიფრაყზე გაქრა, ამდენი ჯარი კი ღარჩა შერცხვენილი და ხახამშრალი.

ზელიმხანის ბედი საბოლოოდ მისმავე ნათესავმა გადაწყვიტა. ავადმყოფი ზელიმხანი მიიტყუა თავის სახლში და მუხანათურად გასცა, რაშიც დიდძალი ფული მიიღო. შუალამისას სახლს უამრავი ჯარი შემოერტყა. ზელიმხანმა იგრძნო უბედურება და გარეთ გამოვარდა, მაგრამ მძიმედ დაიჭრა, გაქცევა ვეღარ შესძლო და თივის ზეინში მიიმალა. გათენებისას რამდენიმე კაცი კიდევ მოკლა და თვითონაც იქვე თავის ხელით მოიკლა თავი.

ვაჟა გატაცებით აქებდა ზელიმხანის ვაჟკაცობას და ნანობდა მის უდროოდ დაღუპვას.

ზელიმხანზე ლაპარაკი რომ მოათავეს, შემდეგ მამაჩემმა ჩემზე ჩამოუვლო სიტყვა:

— ეს ბიჭი ლექსების წერით არის გატაცებული და აღარ ვაცი რა მოუხერხო, არაფერზე გული აღარ უდგებაო.

— რა გინდა, რა უნდა მოუხერხო, წეროს, რას ერჩი, — უთხრა ვაჟამ.

— რა უნდა წეროს, რა დროს მავის წერაა.

— სახბორეს სასკორავში შეეტყობაო, ნათქვამია, ჩემი მეგობრის ბიჭი გოგლა ლეონიძეც პატარაა, მაგრამ ისეთ ლექსებსა წერს, რომ... — უთხრა ვაჟამ. — დე ამანაც წეროს, რა გინდა.

— ღლაპის დაწერილი რა უნდა იყოს.

— ეგ თუ ღლაპია, შენ ხომ ღლაპი აღარა ხარ, რატომ არა წერ?

— შენ რა სიკეთეს მოეწიე შენი წერით, რომ ახლა მე დავიწყო წერა. რა ყრია მაგ წერაში, სიღარიბიდან ვერ ამოსულხარ...

ბოლოს ისევ ანოზე ჩამოავდეს ლაპარაკი და ტკბილ ბურანში გახვეულებმა ღრმა ძილს მისცეს თავი.

მე კი კარგა ხანს ვეღარ დავიძინე, ვფიქრობდი, ვინ იყო ეს გოგლა ლეონიძე, ვაჟა რომ ასე აქებდა...

მეორე დღით ვაჟა ადრე ამდგარიყო, რაღაცას წერდა, ორი

ფურცელი უკვე დაწერილი ჰქონდა, ქალაქი შემოკლებოდა.

— აბრამ, ერთი ფურცელი ქალაქი კიდევ მომეცე, დაძა-  
კლდარ. — სთხოვა ვაჟამ, მაგრამ მამამხემა არ მისცა, უთხრა:

— ნეტავ ე ქალაქს არ აობრებლე ტყუილადაო.

შემდეგ ვაჟა მე მომიბრუნდა და მითხრა:

— მოიტა, შენ მაინც ერთი ფურცელი ამომიხიე შენა რე-  
ულიდანაო. რამდენიმე ფურცელი ამოუხიე და მივეცი.

წერა განავრძო...

\* \* \*

1915 წლამდე შურნალი „კლდე“ გამოდიოდა. მისი რედა-  
ქტორი იყო მაშინ ცნობილი შურნალისტი რეზო გაბაშვილი.  
რედაქცია მოთავსებული იყო გაბაშვილის ქუჩაზე, სადაც ამჟა-  
მად „საქქეანახსირის“ უზარმაზარი სახლია აგებული, იმის  
უკან. სტამბაც იქვე, რედაქციის გვერდში იყო, რომელიც პოეტ  
ვარლამ რუხაძეს ეკუთვნოდა, თუ მერე შეიძინა, კარგად აღარ  
მახსოვს.

რედაქციას ჰქონდა ერთი პატარა, ბნელი ოთახი.

რეზო გაბაშვილი იყო ამ შურნალის რედაქტორიც, მდივა-  
ნიც, კორექტორიც, გამომშვებიც. რედაქციის სამეურნეო საქ-  
მეებსაც თვითონ განაგებდა. მე ვმუშაობდი ექსპედიტორად, შუ-  
რნალების ხელისმომწერლებზე დარიგებაც მე შევალეობოდა.

ეს შურნალი იყო ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულები-  
სა. მეც ამ მიმართულებისა გახლდით.

1915 წელს შურნალი „კლდე“ დაიხურა და მის მაგივრად  
გამოვიდა დიდფორმატიანი გაზეთი „საქართველო“.

გაზეთის მუდმივი თანამშრომლები იყვნენ: რეზო გაბაშვი-  
ლი, სპირიდონ კეღია, გიორგი გვაზაეა, გრიგოლ ვეშაპელი, მი-  
ხეილ ჯავახიშვილი, დავით კასრაძე, პოლკოვნიკი დავით ვაჩ-  
ნაძე და სხვ. რედაქტორი იყო სანდრო შანშიაშვილი, ხოლო  
რედაქციის სამეურნეო საქმეებს სანდრო ახმეტელი განაგებდა.

მე აქაც ექსპედიტორად ვმუშაობდი. ჩემთან ერთად მუშაო-  
ბდა ახალგაზდა პოეტი სოსო დაროშვილი.

ქართველმა საზოგადოებამ განიზრახა იუბილე გადაეხადა  
ვაჟასთვის, მისი სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავის გამო.

ვაჟა სწორედ იმ ხანებში ახალი ჩამოსულა იყო თბილისში

სამკურნალოდ. იგი სერიოზულად იყო დაავადებული და თავის  
ძმა სანდროსთან იწვა.

იუბილე დანიშნული იყო 1915 წლის 23 მაისისათვის საზა-  
ზანიო თეატრში.

სწორედ იმ საღამოს გამოვიდა გაზეთ „საქართველოს“  
სპეციალური ნომერი, ვაჟასადმი მიძღვნილი.

ექსპედიციაში მივიღეთ გაზეთი და დავიწყეთ მუშაობა. ა-  
დროს სანდრო ახმეტელი შემოვიდა, ცალკე გამიხმო და მიტხ-  
რა: — აიღე 50 ცალი გაზეთი და ჩემთან მოდი რედაქციაში,  
ვაჟას იუბილეზე უნდა წაგაყვანო.

ახმეტელს ადრევე შევეხვეწე, ჩემთვისაც ეშოვა ბილეთი,  
ბილეთი ვერ იშოვა, მაგრამ ეს სანატრელი სურვილი მაინც შე-  
მისრულა. ერთად მივედით თეატრში, მივალწიეთ შესასვლელს,  
მაგრამ მე არ მიშვებდნენ. შემდეგ ახმეტელმა ვილაცა გამოიძახა  
და სთხოვა შევეშვი, გაზეთები უნდა დაარიგოსო.

შევედით თეატრში, გაზეთი პირველად ვაჟას მივართვი,  
რომელიც კულისებში სავარძელში ისევ ენებდა, დანარჩენი გა-  
ზეთებიც იქვე მყოფ ხალხს დაუურიგე.

ვაჟა ძალიან კმაყოფილი დარჩა გაზეთით. გადაათვალიერა,  
ნერე დაკეცა და უბეში ჩაიდო.

საღამოს აღწერას მე აქ არ შეუუდგები, მხოლოდ იმას ვიტყ-  
ვი, რომ თეატრი ხალხით ისე იყო გაჭვდილი, ნემსი არ ჩაყარ-  
დებოდა, მაგრამ რამდენი გულდაწყვეტილი გარეთ დარჩა, ვინ  
იცის.

როცა ვაჟა სცენაზე გამოიყვანეს, როცა მან თავისებურად  
წაიკითხა „არწივი“ და როცა მას დაფნის გვირგვინი მიართვეს,  
ხალხის აღფრთოვანებამ და ალტკინებამ, მქუხარე ტაშმა და  
ვაშას ძახილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს იყო ვა-  
ჟასადმი ქართველი ხალხის ღრმა სიყვარულისა და გულწრფე-  
ლი პატივისცემის გამოხატულება.

\* \* \*

საქართველოს ყველა კუთხიდან ვაჟას იუბილეზე თავმოყრი-  
ლმა მოწინავე საზოგადოებამ რა იცოდა, რომ ეს იყო მათი უკა-  
ნასკნელი შეხვედრა ქართული პოეზიის არწივთან.

რა იცოდნენ ვაჟას ახლობლებმა და გულუხვმა მასპინძლებ-

მა, რომლებმაც ვაჟა საპატიო სტუმრად მიიწვიეს ორთაჭალის ბაღში, რომ ეს სტუმარ-მასპინძლობა უკანასკნელი იქნებოდა.

რა იცოდნენ, რომ მათი სიამაყე და სასიქადულო პოეტი ვაჟა-ფშაველა უკანასკნელად სვამდა ღვინოს, უკანასკნელად ისტენდა ქართულ სიმღერას. ქართულ სადღევრძელოს, რომ ვაჟა მათ სუფრაზე უკანასკნელად ამბობდა თავის საყვარელ „არწივს“.

ღიახ, ბედმა ვაჟასაც უმუხთლა — იუბილეს შემდეგ ლოგინს რომ გააკრა, აღარ წამოაყენა.

ავადმყოფი ვაჟა ჯერ თავის ძმა სანდროსთან იწვა, შემდეგ წმიდა ნინოს სახელობის ლაზარეთში მოათავსეს ქართული გიმნაზიის (ამჟამად უნივერსიტეტის) შენობაში, რომელიც ფრონტზე დაჭრილი ქართველი მეომრებისათვის იყო განკუთვნილი.

ოთახი, რომელშიც ვაჟა იწვა, ცივი და რაღაც გულშემზარავი იყო. მართალია, ზაფხულის საშინელი სიცხეები აქ ნაკლებად იგრძნობოდა, მაგრამ ვაჟას ბუნება ვერ ეგუებოდა ოთხკედელშუა ყოფნას და ყველას ეხვეწებოდა: — წამიყვანეთ ჩარგალში, მე თუ მორჩენა მიწერია, მხოლოდ იქ მოვრჩებიო.

თითქმის ყოველდღე დავდიოდი ვაჟასთან. ხან წყაროს წყალი მიმქონდა, რომელიც იქვე გიმნაზიის წინ, დაბლა ხევში გამოდიოდა, ხან ხილი მიმქონდა, სადილი, მინდვრის ყვავილები და ხანაც უბრალო მწვანე ბალახი, იქვე ეზოში დაგლეჯილი, რომელსაც ხარბად დაყნოსავდა და შემდეგ გულზე დაიყრიდა ხოლმე.

ხილსა და სასმელ-საჭმელს ხშირად ჩემი სიმე უკზავნიდა. რამდენჯერმე ილიაკო გოგოლაძემაც გამატანა. ცოტას ჭამდა, ხან ხელს სულაც არ ახლებდა და ისევ უკან მიმქონდა. ანომაც რამდენჯერმე ძვირფასი ყვავილები გამატანა და მოკითხვა დამაბარა და-ძმური.

ვაჟა მამაჩემის შესახებ მკითხავდა ხოლმე, როდის ჩამოვაო. მამაჩემი კი თავის ცოლეურთ სოფელ მატანში მძიმე ავადმყოფი იწვა. ვაჟას ამბავი მან არ იცოდა.

ასე გადიოდა დღეები.

ვაჟასთან მნახველებს ყოველთვის არ უშვებდნენ, ლაპარაკით იღლება, წუხდებაო. მე ყოველთვის თავისუფლად შევდიოდი.

და ერთ საღამოს რომ მივედი და წყაროს ცივი წყალი მი-

ვუტანე, ლაზარეთში აღარ შემაშვეს, კარისკაცმა ნაღვლიანად  
მითხრა — გარდაცვალათ და კარება მომიხურა.

ეს ამბავი დაუჯერებელი იყო. ვაჟა ბოლო ხანებში თათქოს  
კარგად იყო, ყველა დღე-დღეზე ელოდა, რომ ვაჟას მალე ლაზა-  
რეთიდან გამოსწერდნენ და იგი კვლავ თავის საყვარელ ჩარ-  
გალს მიაშურებდა, ჩარგალს, რომლის ნახვასაც ასე ესწრაფო-  
და, რომლის ფიქრსა და ნატვრასაც დაღია სული.

აკი სიცოცხლის უკანასკნელ ეამსაც, სიკვდილის მოახლოე-  
ბისას მოწყალების დისთვის ეთხოვა: თუ ღმერთი გწამს, ლოგი-  
ნი იატაკზე გამიშალე, გარშემო ყვეალები და ბალახი დამიყა-  
რეთ, იქნებ მაშინ მაინც წარმოვიდგინო ჩემი ძვირფასი მთაო.  
იქნებ რამდენიმე საათით ადრე რომ მივსულიყავ, მე შემეს-  
რულებინა მისთვის ეს მისი უკანასკნელი ნატვრა და სურვილი.

შენობას გარშემო შემოეუარე და უკანა ფანჯრიდან გადავი-  
ხედე. გადავიხედე და დავრწმუნდი. დავინახე ვაჟა სუდარაგა-  
დაფარებული, მის გარშემო ექიმები, მოწყალების დები. დავინა-  
ხე მოწყალების და ანიკო კობიაშვილიც, რომელიც გულსხელდა-  
კრუფილი თავს ედგა ვაჟას და დასტიროდა, მწარედ განიცდიდა  
ვაჟას დაკარგვას და აღბად იმასაც წუხდა, რომ ამდენმა ამაგმა  
მას ამოდ ჩაუარა.

ახლა კი დავრწმუნდი, რომ კარისკაცი, რომელმაც ასეთი  
მწარე სიტყვა მომახალა, მართალი იყო.

და ის ლიტრა, რომლითაც ვაჟას ბევრჯერ მოუყუდებია ჩე-  
მი ხელით მიტანილი წყაროს წყალი და სიამოვნებით მიურთ-  
მევია, იქვე ქვას დავანარცხე და დავამსხვრიე.

სახლში მივედი დაღონებულ-დაძმარებული. ეს დედანმმა  
შემნიშნა და მკითხა, — როგორ არის ვაჟაო.

— მისი მტერი იყო, როგორც ვაჟა არის... აღარ არის მე-  
ოქი...

\* \* \*

მეორე დღეს დილით ვაჟას ცხედარი შავადმოსილ სამგლო-  
ვიარო ბლდახანზე დაასვენეს და წმიდა ნინოს ლაზარეთიდან  
ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადაასვენეს.

პანაშვილებს აუარებელი ხალხი ესწრებოდა. ეკლესიის ეზო-

სა და ქუჩაში ხალხის ტევა არ იყო, ხოლო დაკრძალვის დღეს  
ზღვა ხალხმა დილაადრიანადვე მოიყარა თავი.

დაიწყო წირვა. ვაჟას კუბო ერთადერთი გვირგვინით შეამ-  
კეს, რომელსაც ეწერა „ვაჟა-ფშაველას ქართველი ერისაგან“.  
გვირგვინში გაკეთებული იყო გატეხილი კალამი.

ითქვა სიტყვები ეკლესიაში, ეკლესიის გარეთ, ეზოში. კუ-  
ბო ეკლესიიდან ვაჟას მეგობრებმა და ახლობლებმა გამოასვენა-  
ნეს. გაისმა მწარე ქვითინი, ერის გულიდან აღმომხდარი ხმა  
გლოვისა.

პროცესია დაიძრა.

პროცესიის წინ მიმავალი ქალიშვილები ვარდ-ყვავილებით  
უფენდნენ გზას, მზის სხივებზე ელვარებდნენ ფერადი ბაირა-  
ღები...

ვაჟას მიაცილებდნენ ცოლი და შვილები, საყვარელი ძმები,  
ახლობლები, დღეგაცემები თუშ-ფშავე-ხვესურეთიდან, იმერე-  
თიდან, გურია-სამეგრელოდან, ქართლ-კახეთიდან...

ქართველთა მალლა ატყორცნილ ხელეებზე რხევით, მდუმა-  
რედ მიაცილებდნენ ვაჟას დიდუბისაკენ. სადაც მას ელოდა  
დროებითი სავანე, რომ ოცი წლის შემდეგ სამუდამოდ განესვენ-  
ნა მთაწმინდაზე, ილიასა და აკაკის გვერდით.

და ხალხი, ზღვა ხალხი გლოვა-გოდებით მიჰყვებოდა მის  
კუბოს საფლავის კარამდე.

გმირს მჭმუნვარებით მიაცილებდნენ მისი საყვარელი გმი-  
რებიც: გოგოთურ და აფშინა, ლუხუმი და ალუდა ქეთელაური,  
ზვიადაური და ჯოყოლა, ზეზვა და მინდია...

ცხარე ცრემლით დასტიროდნენ ლელა და აღაზა...

ცრემლების ფრქვევით მიჰყვებოდა საბრალო „შვლის ნუკ-  
რი“ და თავის მეორედ დაობლებას ხალხს შესჩიოდა.

„ია“ სურნელს აფრქვევდა, „მთის წყარო“ თავის ცვარ-ნამს  
აპკურებდა, „ხმელი წიფელი“ რალაცას ებუტბუტებოდა, „ბუნე-  
ბის მგოსნები“ ბუნების მგოსანს უგალობდნენ, „ჩსიკვთა ქორ-  
წილის“ მაგიერად გოდება ისმოდა, „დაჭრილი არწივი“ ბოე-  
ზიას არწივს ეთხოვებოდა, ხოლო ვაჟა ეთხოვებოდა ყველას,  
ყველას ეთხოვებოდა სამუდამოდ...



მე ჯერ კიდევ პატარაობისას ლექსების წერით ვაყავი გატაცებული, მაგრამ გამხელით ვერავის ვუმხელდა, მერიდბოდა, მრცხვენოდა, ხოლო როცა წამოვიზარდე, „თეატრი და ცხოვრების“ რედაქციას მივაკვლიე და მორიდებით კარებზე მაუკაკუნე.

„თეატრი და ცხოვრების“ რედაქტორი იოსებ იმედაშვილი დიდი გულსხმიერებით ეპყრობოდა ახალგაზრდა, დამწყებ პოეტებს. ხელს უწყობდა, ახალისებდა, თუ კი ნიჭს შეატყობდა.

რამდენიმე ლექსი ვუჩვენე. ზოგი მომიწონა, ზოგი დამაწუნა. მკითხა ვინ ვიყავი, სადაურა, ვისი შვილი.

განსაკუთრებით ერთი ლექსი მოეწონა და მითხრა: ამ ლექსს ამავე ნომერში დავბეჭდავ, მაგრამ რა მოვაწეროთო.

— რაც თქვენი ნება იყოს, ის მოაწერეთ-მეთქი.

სამი — ოთხი დღის შემდეგ გულის ფანცქალით ვათვალიერებ ჟურნალს და თვალებს არ ვუჯერებ. ჟურნალში მართლა დაბეჭდილია ჩემი ლექსი, მაგრამ ერთი რამ არ მესიამოვნა — ქვეშ ფსევდონიმად ვეფხო-ფშაველი ეწერა.

არ მესიამვნა იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველას შემდეგ ასეთი ფსევდონიმით გამოსვლა თავხედობად მიმაჩნდა, მით უმტეს, რომ კიკნა-ფშაველას ფსევდონიმით ჩვენებური სვიმონ ბაღურაშვილიც გამოდიოდა.

როცა ეს აზრი იოსებ იმედაშვილს გაუუხიარე, მან დამამშვიდა, მითხრა: — ეგ არაფერია. შენ მაგაზე ნუ გეფიქრება, ასე ფშაველი პოეტიც რომ გამოხვიდეო, ვაჟა მაინც ვაჟა იქნებაო.

იოსებმა კი გული გამიკეთა, მაგრამ ეს აზრი მაინც არ მასვენებდა.

\* \* \*

როგორც ზევითაც აღვნიშნე, მე მყავს მამიდა (მამაჩემის ალალი ბიძაშვილი) პელო ბრაგვაძისა, რომელიც 90 წლამდე მიღწეული და, მიუხედავად ხანდაზმულობისა, იშვიათი ჯანმრთელი.

— ერთხელ ვაჟა შემპირდა, — იგონებს მამიდაჩემი, — მეორედ რომ ჩამოხვალ თიანეთში, ჩაის ჩამოგიტანო. მართლაც, მე-



ორედ რომ ჩამოვიდა, დამწვარი პანტის ჩირის ჩაი ჩამოიტანა  
ბლომად და მითხრა: — ამას სხვა ჩაი არ სჯობია, ეს  
სარგებლოა.

— ეს ჩაი მართლაც ისე გვესიამოვნა. რომ შემდეგ ყოველ-  
თვის პანტის ჩაის ვხმარობდით და მისი ხმარება თანდათან  
მთელ თიანეთში გავრცელდაო.

მამიდაჩემს ახლაც ზეპირად ახსოვს ვაჟას ნათქვამი ლექსი  
ილიაზე. აი ეს ლექსიც:

„კაკასიის თვალს, მგოსანო,  
განთქმულო ქვეყანაზედა,  
რა ხელმა მოგვლა წყევლმა,  
რად არ შაახმა მკლავზედა.  
ესლა კი ვხედავ, დამღვარა  
ხალსი დაღუპვის ვზაზედა“.

ზოგიერთებისგან გამიგონია: ვაჟა ისე წავა და ჩამოვა,  
რომ ერთ ვირვანქა ერბოს არ ჩამოიტანს ხოლმეო.

ეს მართალია. ვაჟას საერთოდ ჩვეულებად არ ჰქონდა  
ძღვნას მირთმევ-მორთმევა, ეს მის ბუნებას არ ეგუებოდა, თი-  
თქოს სათაკილოდაც მიაჩნდა.

ეს ჩვეულება საერთოდ ყველა ფშაველსა და ხევსურს ახა-  
სიათებს, განსაკუთრებით მათ, ვინც შორეულ მთებში მწირ აღ-  
გილებში ცხოვრობენ.

ეს ჩვეულება მათ ბუნებრივმა პირობებმა დაუწესა: ფშავ-  
ხევსურეთში არავითარი ხილი არ იცის, გარდა ტყის მარადი-  
პანტისა, ბალები იქ არ არის, ვენახი ხომ სულ არა. მაშასადა-  
მე, სტუმრად მისული ფშაველი თუ ხევსური მასპინძელს  
ძღვნად ვერ მიუტანს ღვინოს, ჩურჩხელას, ყურძენს, ლევს,  
სხვადასხვა ხილს, ვერც შოთის პურებს, რადგანაც ეს მათაც  
არ გააჩნიათ.

ფშაველისა და ხევსურის ერთადერთი მისატანი ერბოა, რაც  
მისი ოჯახის ერთადერთი საარსებო წყაროა. ერბოთი ყიდუ-  
ლობს ყველაფერს, ყველაფერს ერბოზე ანგარიშობს, ერბო არის  
მისი ავლადიდება, მისი დოვლათი. გადასახადი, ვალი და ვახში  
ერბოთი უნდა გაისტუმროს, ტანისამოსიც ერბოთი უნდა იყი-  
დოს, მკვდარსა და ცოცხალს ერბოთი უნდა გაუძღვეს.

ფშავ-ხევსურები საერთოდ ძალიან ღარიბად ცხოვრობდ-

ნენ და ამ სიღარიბემ, ამ გაჭირვებამ ასწავლა მათ მომჭირნე-  
ობით, დაზოგვით ცხოვრება, რაც შემდეგ თანდათანობით ჩვეუ-  
ლებად გადაექცათ, ჩვეულება კი რჯულზე უმტკიცესიაო, ნათქ-  
ვამია, და ვაჟაც, როგორც ფშაველი, ამ ჩვეულებას არ დალა-  
ტობდა.

\* \* \*

იმავე ზაფხულს ერწოდან დედისეულ სოფელ მატანში მინ-  
დობა წასვლა. ნაქალაქრიდან მატანში რომ გადავსულიყავი,  
საჭირო იყო თიანეთზე მომეველო, მაგრამ ეს ძალიან შორი გზა  
გამოდიოდა. გარდა ამისა, თიანეთში წინა დღეს დიდი არეუ-  
ლობა მომხდარიყო, ადგილობრივი გლეხობა თოფით თუ კეტე-  
ბით მისცვივნოდა მახრის მენშევიკურ ხელისუფლებას და გაე-  
რეკა.

რა თქმა უნდა, ასეთ არეულობაში თიანეთზე გავლა ცოტა  
საშიშიც იყო. თუმცა მერე შევიტყვე, რომ ამ აჯანყების მთავა-  
რი ხელმძღვანელი და სულისჩამდგმელი ჩემი მეგობარი და ნა-  
თესავი შაქრო გელოვანი იყო.

მიმასწავლეს მოკლე გზა, რომელიც გაუვალ უღრან ტყეზე  
გადიოდა.

ამ უდაბურ ტყეში თავისთვის იყვნენ და ცხოვრობდნენ ბუ-  
ლაანელები, მოწყვეტილნი ცასა და ქვეყანას. ისინი არავის  
აწუხებდნენ და ვერც მათ შეწუხებას ბედავდა ვინმე.

იშვიათად, ძალიან იშვიათად თუ ვინმე მოხვდებოდა მათ  
სოფელში, ისიც მონადირე, ან ჩემსავით გზადაკარგული მგზა-  
ერი.

ჩემი მასპინძელი იყო ნადირა ჭინჭარაული. მართალია, იგი  
ხანშიშესული იყო, მაგრამ თავისი ზეიადობა, სიმკვირცხლე და  
ხალისი არ დაჰკარგოდა.

ნადირა მონადირე იყო. იშვიათი, განთქმული მონადირე.  
ამიტომ სახლი დათვის ტყავებითა და ქორბუდა ირმების რქე-  
ბით ჰქონდა სავსე.

ერთ-ერთი რქა, რომელიც კარების თავზე იყო დადგმული,  
თავისი სიდიდით და სილამაზით გამოირჩეოდა. იგი მართლაც  
იშვიათი რამ იყო. დიდხანს ვუყურებდი და ვაკვირდებოდი. ნა-  
დირაც სიამოვნებით შესცქეროდა, თითქოს პირველად ხედავსო.

—კაცი შენ ყოფილხარ და ქუდიც შენ გზურებია-მეტქი, —  
ვუთხარი ნადირას და მხარზე მოკეხეიე.

— კაცი მე კი არა, ის იყო, ვანც ეგ ირემ მაჰკლარ, — მათხრა.

— როგორ?! — გავიკვირე, — შენი მოკლული არ არის?

— არა!

— მაშ ვინ მოკლა?

— ვაჟამ!

— ვინ ვაჟამ? — დავიბენი.

— ჩვენმა ვაჟა-ფშაველამ!

სახტად დაერჩია... საიდან სად მოუყვანია ვაჟა ნადირობის  
ჭინს...

\* \* \*

დრონი იცვალნენ... ბევრი რამ გამოიცვალა... ყველაფერი  
ძირფესვიანად შეიცვალა... ამ ორომტრიალში მეც სადღაც მო-  
ვექეცი და ბევრი ხეტიალის შემდეგ მაინც მივაგენი ვაჟას საყვარ-  
ელ ადგილს — ქოსების სარდაფს და იმ დღიდან მეც მისი  
ხშირი სტუმარი გავხდი, მეც გავიზიარე ვაჟას ტრაპეზი.

ამ სარდაფში ხშირად ვხვდებოდი ვაჟას საყვარელ მეგობ-  
რებს — შიო მღვიმელსა და ივანე ბუქურაულს, რომლებიც  
ვაჟასაგან დაობლებულები აქ, ამ სარდაფში იკლავდნენ დარღს  
კახური საფერავითა და ვაჟაზე მოგონებებით.

სულგანაბული ვისმენდი მათ ტკბილ მოგონებებს და ვაჟა-  
სადმი სიყვარული უფრო მეტად მიღვივდებოდა; მიასკეცდებო-  
და,

## ს. ანდრეევი

ჩვენი სასიქადულო მგოსანი ვაჟა-ფშაველა ჯერ ბავშვი იყო,  
ფშავეს ბიჭი, თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა და მას ბლომად ჰქო-  
ნდა თავისი ლექსები. ვინ არ იცნობდა ანტონ ფურცელაძეს,  
ვის არ გაეგო მისი სახელი: „ყმაწვილო, იყავ უცვლელად ერთ-  
გული შენის ქვეყნისა, იქა ხარ დაბადებული და იქვე ჩახვალ

ხაფლავსა!“ ვისწავლეთ კითხვა და ანტონის სახელიც ვიცო-  
დით. არ გვენახა, მაგრამ მივარდნილ ადგილასაც კი ვავრცელე-  
ბული იყო მისი სახელი. ვისთვისდა არ იყო მისი კარი ღია—  
მასთან შეეძლო მისვლა ყველას; იგი მასწავლებელი იყო ახალი  
თაობისა, მოწინავე პირებისა. მე და ლუკა რაზიკაშვილიც მი-  
ვედით ანტონთან. მიზეზი ჩვენი მისვლისა შემდეგი იყო: თავის  
გამოსაკვები გვეჭირდებოდა. ლუკას ვუთხარი ლექსები ხომ  
გაქვს დაწერილი, კიდევ დაწერე, წავუღოთ ანტონს, გავაშინ-  
ჯოთ და თუ მოიწონა, ვისმეს დავაბეჭდინოთ სანახევროდ. ეს  
აზრი მოეწონა ჩემს ამხანაგს ლუკას, მაგრამ ცოტა არ იყოს  
სცხვენოდა თავი გამოეჩინა, როგორც ლექსების მწერალს; მა-  
ინც ვავაბედვინე და წავედით ანტონთან. ლუკამ წამოიღო თა-  
ვისი რვეული, რომელშიაც იყო, როგორც მახსოვს, თხუთმეტი  
ლექსი. ამ რვეულს ზევიდან ჰქონდა შემდეგი წარწერა: „ლექ-  
სები შეთხზული ლუკა რაზიკაშვილისა“.

შევედით ანტონთან, ღიმილით მიგვიღო, გამოგვიკითხა ვი-  
ნაობა, მიზეზი ჩვენი მისვლისა და ლუკამ მიაწოდა თავისი  
რვეული. ანტონმა იქვე, ჩვენთანვე გადაათვალიერა რვეული,  
წაიკითხა რამდენიმე ლექსი, გვაჩუქა რამდენიმე ქართული წიგ-  
ნი და გვითხრა, მივსულიყავით მეორე დღეს. ჩვენს სიხარულს  
საზღვარი არ ჰქონდა, რომ ანტონი გველაპარაკა ჩვენ, სოფლი-  
დან ჩამოსულ ბიჭებს.

მეორე დღეს დანიშნულ დროზე მივედით; ანტონმა ლუკას  
თაკზე ხელი დაადო და უთხრა;

„აბა, შემომხედე, შენ კაი ვაჟი ყოფილხარო!“ დიდი ხანი  
გველაპარაკა, ზოგ-ზოგი ლექსების შინაარსზე სთქვა, ძალიან  
კარგიაო, მომეწონაო, მერე დაუბრუნა ლუკას რვეული, ზევიდან  
წარწერაზე წაეშალა წითელი მელნით სიტყვა „შეთხზული“ და  
გაეშო მარტო „ლექსები ლუკა რაზიკაშვილისა“. თანაც უთხრა:  
ეს წარწერაც კმარაო და როცა გახდები ისეთი პოეტი, აი, რო-  
გორიც იღია ჭავჭავაძეა, მაშინ დააწერე ხოლმე შენს ლექ-  
სებს „შეთხზული“ ლუკა რაზიკაშვილისა. ეს ცოტა არ იყო, არ  
ეამა ჩემს ლუკას, და როცა კარში გამოვედით, მეც რაღაც ღმე-  
რთი გამიწერა, დაციხვით ვუთხარი: აბა, მართლაც ეგრე რო  
გააბრტყელე წარწერა, რომელი გამოჩენილი პოეტი ბრძანდე-  
ბოდი-მეთქი; ამაზე პასუხად ამხანაგურად წამიქიმუნჯა.



დათვისში ერთ-ერთ ახალ წელს ორივე ძმა — ვაჟა და ბაჩანა გვეწვივნენ. ბაჩანას დათვისში ნათლიამაჰა ჰყავდა — აბა არაბული. ჩვენი გვარი და რაზიკაანი ერთიმეორესთან საკლავითა და სასმელით მივდიოდით. აბა არაბული რევოლუციონერ აკია არაბულთან ახლოს იყო. აკია ჯუთაში ცხოვრობდა. აბას არ ეპიტნავენბოდა მაშინდელი ხელისუფლება. მაშინ დათვისში სამოცამდე კომლი ეცხოვრობდით. მინდიათ აბამ მთელი ბიძაშვილობა მიგვიპატიჟა, ლუდი ჰქონდა ნადუღარი. ვაჟა-ფშაველას სტუმრობის ამბავი რომ გავიგე, ცან ვეწიე. მაინტერესებდა „აღუდა ქეთელაურისა“ და „გოგოთურ და აფშინას“ დამწერის ნახვა. მაღალი, მხარბეჭიანი კაცი იყო; ბაჩანა კი — დაბალი, ჩაფსკვნილი. ორივე ძმა ჩოხა-ახალღუსით და ქამარ-ხანჯლებით იყვნენ მორთული. მათ „ბერდანებიც“ თან მოეტანათ.

დაიწყო პურობა. „მასპინძელი კარგად მასპინძლობს, გულითა მხიარულითა“, წამოიწყო რომელიღაც ჭაბუკმა, გაება სიმღერა. ზოგმა ბარასხა სტვირი დააგუგუნა, ზოგმა სალამური ააკვნესა. ოჯახის დიასახლისმა — ბუბამ ვაჟას ფანდური მოუტანა. ვაჟამ მსხვილი თითები ღარებს ჩამოჰკრა. სმენად გადავიქეციით. დიდებულად მღეროდა. ახლაც მახსოვს მისი ომახიანი სმა. ხოხობზე ნამღერი ლექსი ახლაც მახსოვს:

„რა ოინ გიქნავთ, ძაღლებო,  
ლაშარის ჯვარის ყმაზედა,  
თუ ეს ქალ წაგაყვანინეთ,  
წვერი ნუ მესხას ყბაზედა.  
თხის ტყავან დაიფრინა,  
ხელი დაიდვა სმაღზედა,  
შვიდ ქისტსა, ერთსა უშაველსა  
გაუხდათ დასწრებაზედა“...

ეს ლექსი ზეპირად ვისწავლე. ვაჟამ წიგნი მანუქა. „ხვესურებო, თქვენ ჩვენი ძმები ხართ, — გვეუბნებოდა პოეტი, — ჭირში და ლხინში ერთად ვყოფილვართ უწინაც. ახლაც ერთად უნდა ვიყოთ. შვილებს სკოლაში უნდა ასწავლოთ. უხეირო ძველი ადრე-ჩვეულებანი უნდა დაივიწყოთ. პატივისცემით უნდა მოეკიდოთ ქალებს... ხვესური ქალი ჯერ კიდევ ნახევრად მონაა ქმრისა. ქალის უპატივცემლობა არავის ეპატიება, რადგანაც

დედაკაცს ჩვენი ერის, ჩვენი კაცობრიობის ჩამოყალიბებასა და განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის. ოჯახში უფლობა დედაკაცს შეუძლია. დედაკაცს დიდი ძალა აქვს ოჯახში; შეი-  
ლების თავდაპირველი აღზრდა. მათი მომავალი ბედობა იმაზეა დამოკიდებული, თუ დედამ რა მთაბეჭდილებით ასაზრ-  
დოვა თავისი ბარტყები.

თუ ხევსურ ქალებს არ ვასწავლეთ, ვერ კიდევ დიდხანს ვერ შეიგნებს ხევსური, თუ როგორ განჭვრიტოს ცხოვრება, როგორ ემსახუროს საზოგადოებას. — იცოდეთ, რომ ასლა სამ-  
შობლოს სჭირდება ყოველმხრივ განათლებული და განვითარე-  
ბული დედები“, — გვეუბნებოდა ვაჟა.

## პ რ ტ ვ მ ა ს ნ ა ზ ა რ ო ვ ი

1886 წ. მაისის დამლევს ვაზ. „ივერიაში“ იბეჭდებოდა ვა-  
ჟა-ფშაველას ლექსი, სიმღერად წოდებული:

ერთხელც იქნება, მოვევლები,  
მივებარები მიწასა,  
გულსა და ვრძნობას შაურევ  
ცივის სამარის ქვიშასა...  
ჩემს გულსა დახევევიან  
გაშმაგებულნი ჳიანი,  
ველარას მიშეულს ქვითინით  
ჩემი ლამაზი თმინი.  
ტყუილად აშფოთდებიან  
ჩემნი წაწაღნი იანი.  
ამაოდ ჩამოსხდებიან  
ციდამ ვარსკელაენი ბარადა,  
ასტესს ვლოვა-ზარს მდინარე,  
მადლით მომსტომი ჩქარადა,  
მოსქდება კლდისა ნაპრაღი,  
ჩაიჭედება ჳაღადა...  
ვაჰმე, მათ ვეღარა ვნახავ  
ვადაქცეული მკეღარადა.

24 მაისს, საღამოს, როცა ცენზურისაგან რედაქციაში საცენ-  
ზურო ფურცლები დაგვიბრუნდა, აღმოჩნდა, რომ ლუკა ისარ-

ლოეს ამ ლექსში დასაწყისი სიტყვა „ერთხელც“ ამოეშალა. რადგან ლექსი დამახინჯებული იყო, ილიამ დამავალა ეტლით წავსულიყავ ისარლოვთან და მეთხოვნა, რომ ამოშლილ სიტყვის დაბეჭდვის ნებართვა მოეცა. რედაქცია ამ დროს ნიკოლოზის, ან კალინინის, ქუჩაზე სავინაშვილის სახლში იმყოფებოდა და ლუკა ისარლოვი კი სცხოვრობდა ძველ ბებუთოვის ქუჩის ბოლოში, პურის მოედანთან. საღამოს ათი საათი იქნებოდა, როდესაც ისარლოვთან მივედი. იგი აბაზანაში მჯდომარე დამიხვდა. ისარლოვი მომცრო ტანის კაცი იყო, მოკლე ხელ-ფეხიანი, ღიპიანი, მელიოტი და ლოყები თურაშაულ ვაშლსავით მუქი წითელი ჰქონდა. როდესაც ლაპარაკობდა, სახეს საშინლად ჰმანჭავდა. ერთი სიტყვით, ცოცხალი საბუთი იყო დარვინის თეორიისა. როდესაც გამოვუცხადე ჩემი მისვლის მიზეზი, მრისხანედ დაიძახა:

— რას ლაპარაკობთ, მაგის დაბეჭდვა ყოვლად შეუძლებელია, ეგ ლეთისა და სარწმუნოების წინააღმდეგია. ვილაცა ფშაველია, ორჯერ ხომ არ უნდა სიკვდილი. ერთხელ უნდა მოკვდეს, ბევრჯერ სიკვდილი ვის გაუგონია?

ბევრი ვედრევი, მაგრამ ჩემმა თხოვნამ ამაოდ ჩაიარა და დაუკმაყოფილებელი გამოვბრუნდი. როდესაც ეს ამბავი ილიას ვუამბე, ეს საზოგადოდ დიდად მძიმე და დინჯი კაცი ფეხზედ წამოვარდა, საშინლად გაწიწმატდა და ორივენი იმავე ეტლით ისევ ისარლოვის სახლის კარებს მივადექით. საინტერესო სანახავი იყო ისარლოვისა და ილიას შეხვედრა. ისარლოვი მე თუ მრისხანედ დამიხვდა, ილიას დანახვაზე მთლად მოიკუნტა, შეიკუმშა და ერთი ორად დაპატარავდა. საღამის შემდეგ ილიამ უთხრა:

— აბა, ლუკა, შენ ჭკვიანი კაცი ხარ... ჭკვიანი რომ არ იყო, რუსეთის მთავრობა ცენზორად არ დაგნიშნავდა... მაგრამ, აბა, ერთი მიბრძანე, რომელი ჭკუათა-მყოფი კაცი დაამახინჯებს ასე ლექსს და ასეთ უდანაშაულო სიტყვას ამოშლის... აბა აქ ისეთი რა სწერია. პოეტი ამბობს, რომ ერთხელაც იქნება მოვეკვდებიო, მაშ რა უნდა ეთქვა, ორჯერ მოვეკვდებიო ხომ არ იტყოდა.

ერთი სიტყვით, ილიამ იმავე ლოგიკური მოსაზრებით დაუწყო ღვა ისარლოვს, რომელიც იმან ჩემთან ლაპარაკის დროს გამოიყენა. შემკათალმა ისარლოვმა თითქმის მუდარით უპასუ-

ხა: — რა ვქნა, კნიაზო, მაგ ლექსის წინააღმდეგი მეც არა ვარ, სამსახურში აღარ დამაყენებენ. შესცვალეთ როგორმე ეს სიტყვა და მე ხელს მოვაწერო.

ილიას შეებრალა შეშინებული ისარლოვი და რომ ვერაფრით დაიყოლია, თითონ იმასვე ჩააწერინა: „ერთხელაც“-ის მაგივრად „როცა“ და ამ რედაქციით დაიბეჭდა კიდეც ეს ლექსი გაზეთში.

### მასილ ბარნოვი

ძალიან ჩამოცხა თბილისში. მაშინ შესაძლო იყო გასულიყო ადამიანი სააგარაკოდ, ბუნების კალთაზე გაეტარებინა არდადეგები. შევამზადე ოჯახი მანგლისში წასასვლელად. ძლიერ მომესურვა ვაჟას ნახვა. დააუადებული წმ. ნინოს საავადმყოფოში იწვა, სათავად-აზნაურო გიმნაზიის შენობაში. შევედი. გამკვებელ ქალსა ვსთხოვე, ნება დაერთო, მენახა, შეყოყმანდა, მძიმედ არისო ავაღ; მაინც შემიშო.

ფართო ოთახში იყო მოთავსებული. დიდი სიფაქიზე სუფევდა სადგომში. საურ-ზეწარს, მთელს ლოგინს სისუფთავის შუქი ღაჭკრთოდა, მიჩემებული მომღვლედი ქალი მზად იდგა, მაშველებოდა. დაღონებული სახე ჰქონდა ამ მის მცველ ანგელოზს.

ვამა ვაჟას ჩემი დანახვა, პირს სიხარული გადაეფინა.

— ვასო, შენ?

— მე ვარ!

წამოჯდა. მიუჯექ გვერდზედ.

როგორა ხარ, ჩემო კარგო?

— ეხლა არა მიჭირს რა: ექიმები, წამლები. მშვენიერი მოვლა, სისუფთავე. ერთი შეხედე! — სიტყვა და თვალი მოაქლო ოთახს.

— უსათუოდ მალე გამორჩები, შენი ძლიერი აგებულება და ეხმარება მოვლა-წამლობას და...

— ჩემი დიდი სურვილიც ეგაა! ძლიერ მინდა, მალე ავსდგე. ცხელა აქ. ეხლა მთაში ყოფნას არაფერი შეედრება. ახ, ერთი



იქაურ წყაროს დამაწაფა! მალე მოვიშორებ ავადმყოფობას, წავალ და... რომ იცოდეთ, კიდევ რამდენი რამა მაქვს დასაწერი.

— მოესწრები, დასწერ, — ვუთხარი მე სრულის რწმენით.

მისმა იმედიაწმა სიტყვამ, მისმა მძლავრ ბუნების ნაშთმა სასოება ჩამისახეს გულში, რომ ეს დიდებული ნიჭი თავისებურ, კლდის უზარმაზარ ნაჩეხს რომ ჰგავს ჩამოხლეჩილს, კიდევ ბევრ ხანს შეგვრჩებოდა ქართველებს.

მომვლელი ქალი მანიშნებდა, გამეთავებინა საუბარი. მეგონა მეტი სიფრთხილით მოსდიოდა მას. არც თითონ ვაქამ, არც მე არ ვიცოდით, რომ სიკვდილს უკვე დაეკანა მის არსებაში. დავემშვიდობე, ვაკოცე. უკანასკნელი ამბორი ყოფილიყო.

## დათუნა ბაჩიაშვილი

მამაჩემი ფოცხვერა და ვაჟა დიდი მეგობრები იყვნენ. ერთად დადიოდნენ ხოლმე სანადიროდ, სადამოობით კი ხინკლის კეთებას იწყებდნენ.

ერთხელ, ხინკალს რომ შეექცეოდნენ, ყველასათვის მოულოდნელად ვაჟა წამოდგა, გარეთ გავიდა, და შინ აღარც შემობრუნებულა. მამამ გამაგზავნა, ერთი ნახე, რა დაემართა იმ კაცსო. მე ვაჟას სახლში მივირბინე და მის მეუღლეს ვკითხე: ვაჟას ხომ არაფერი დამართნია-მეთქი?..

— აი, ნახე, რაც დაემართაო! — მითხრა ვაჟას მეუღლემ.

მე მოკრძალებით შევიხედე ვაჟას ოთახში. იგი მაგიდას მისჯდომოდა და წერდა.

## ლადო ბჟვანელი

1913 წელს ვაჟა ესტუმრა ქუთაისს. იქაურმა ჟურნალისტ-ლიტერატორებმა და რედაქციებმა 20 თებერვალს ქალაქის თეატრში მოვუწვევეთ სალიტერატურო საღამო, რომელშიაც თვით ვაჟამაც მიიღო მონაწილეობა. თავისი მჭკეპარე ხმით და რაინ-

დედი შინაარსის ლექსებით ვაჟამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრეებზე. რამდენჯერმე გამოიწვიეს სცენაზე და მიქმევიანეს ლექსი „არწივი ენახე დაჭრილი“. ბოლოს ვაჟამ წაიკითხა ლექსი „იმერეთს“:

„ერთხანად ჩემო მძრახავო,  
ღიხს აკათურო ლეღო,  
გხედავ, რომ შემრიგებისარ —  
მით შენთან საღამს ვბუღავო“.

საღამოს დამთავრების შემდეგ ვაჟას გაუუმართეთ პატარა ბანკეტი. ვახშამი მხიარულად ჩატარდა. დაესწრნენ დავით კლდიაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, სიკო ფაშალიშვილი, აგრეთვე ქუთაისელი ჟურნალისტები და მწერლები. მეორე ღღეს გადავიღეთ სურათები და ვაჟა დაბრუნდა თბილისში.

1914 წლის დამლევს ვაჟა ავად გახდა მთაში. იგი ჩამოიყვანეს თბილისში, უაქიმეს და მალე გამოკეთდა. ულოცავდნენ ყოველი მხრიდან. მეც ვუძღვენი ქუთაისიდან ლექსი „საღამო ვაჟა-ფშაველას“, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „განათლების“ 1915 წლის № 4-ში. აი ნაწყვეტი ამ ლექსიდან:

„მთაში მღერალო ვაეკატო,  
დავაძლევი სენიო,  
ვაეივე, მესიამოვნა  
მე განკურნება შენიო.  
თუმცა მოლექსე არა ვარ,  
არ მიჭრის შენებრ კალამი,  
მავრამ არ უშავს, იძლევი  
ჩემგან გულწრფელი საღამო.  
სასაღხო მახსაუღებლად ვარ  
ოცდამესუთე წელია,  
ვაშოვიცდია, მგოსანო,  
რომ სამსახური ძნელია“.

იმავე ჟურნალის მორიგ 5—6 ნომერში ვაჟამ ასე მიპასუხა:

ღადო მზვანელს  
/პასუხად/  
პასუხს თხოულობს საღამო,  
საკაცობრიო წესია,  
მადლობას ვიძღვნი, მუშაკო,  
ამის გამო ესთქვი ლექსია:



მასწავლებლისა ბედზედა  
 მრავალჯერ დამიკვნესია...  
 ღმერთმა ვიკურთხოვ მარჯვენა  
 თესლი კეთილი ხატია,  
 თანამომენიც ვიცოცხლოს,  
 ჯანაც ვიდვანან გვერდშია...  
 რა ვუყოთ, მასწავლებელი  
 დღეს არა ფასობს ჩვენი...  
 თუმცა ხსნა ჩვენი ერისა  
 მხოლოდ და მხოლოდ თქვენშია,  
 სული გახუქლეს, ბურად სჯობს,  
 ეიდრე გახუქლეს ღეშია.

### სვთისო ბუკაკიოვილი

1909 წელს ლაშარობა 17-18 მკათათვეს მოხდა. არეულობა იყო. ხატობა ორ დღეს გაგრძელდა. ლაშარობაში იყვნენ: თუშები, ფშავლები, ხევსურები, ქისტები, ოსები, ბარელი ქართველები. ყვარლიდან, შირაქიდან, ქართლიდან, მთიულეთ-გუდამაყრიდან, ხევიდან.

ლაშარი საერთო-სათემო ხატი იყო და ფხოვის ყველა თენი ერთად იყრიდა თავს. რაღა თქმა უნდა, რომ იქ იყო ჩარგლის თემიც, იქ იყო ჩვენი თანამემამულე ვაჟაც თავისი ოჯახით.

ფშავის ხევში ერთი თავხვევისბერია. ადგილსამყოფელი ლაშარში აქვს. თავხვევისბერი პირველი კაცია და მას ემორჩილება ყველა თემის ხვეისბერი.

მოხდა მოულოდნელი ამბავი: ლაშარჯვრის თავხვევისბერმა, ღრმად მოხუცმა კაცმა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი წონა და გავლენა ჰქონდა, შეაჟღარუნა ლაშარის საბრძოლო დროშა და წარმოსთქვა ლოცვა. დასასრულ, შეღადადა მეუფეს, თითქოს ცოდვებს ინანიებსო და განაცხადა: ხალხო, ჯამათო, დრო აირია, ხალხს, მამულს, განძსა და დროშას პატრონი სჭირდება. დავეძღურდი, სიცოცხლეს ცოცხალი ადამიანი აღამაზებს: ნახვარ საუკუნეზე მეტი ვემსახურე ლაშარსა და ქვეყანასო. აქ

თავხვევისბერმა აპრიალეული კელაპტარი მალლა ასწია, თავს-  
ზემოთ წრე შემოხაზა, ლაშარის დროშას შეახო და წამოიძახა:  
ამიერიდან თავხვევისბერობა — სათემო საბჭოს თავმჯდომარე-  
ობა, ღირსეულ ქართველს, ლუკა რაზიკაშვილს დაეკისრაო. ერ-  
თხანს სინუმე ჩამოვარდა. შემდეგ კი — ამიიინო — დაიგუგუნა  
ხალხმა და თავკაცის შეგონებას მუხლზე დანოქებით უპასუხა.

ვაჟა-ფშაველა ამას არ მოელოდა, მართალია, იგი დიდი გა-  
ვლენით სარგებლობდა ლაშარშიც, მაგრამ თუ „საბჭუთო სკამზე“  
დაჯდებოდა, იმას კი არასოდეს არ მოიფიქრებდა. ვაჟა ერთ-  
ხანს გაოგნებული იდგა საკურთხეველთან და ღრმად ჩაფიქ-  
რებულიყო.

გისმინოს წმინდა ლაშარის ჯვარმა, — კვლავ გუგუნებდა ლა-  
შარის ხეობა. შეიქმნა ჩონჩქოლი, გადაძახ-გადმოძახება. ვაჟა  
გონს მაშინ მოვიდა, როცა გარს შემოეხვია თორმეტი თემის ხე-  
ვისბერი და „საბჭუთო სკამზე“ ასელა შესთავაზა. ვაჟამ უკან  
დაიხია, იცოდა, რომ ამას თავისი წესი ჰქონდა. თუმცა მას ხელ-  
მხარი განათლული ჰქონდა, მაგრამ ხვეისბერობას კი არასოდეს  
არ აპირებდა.

სახარბაკედან ცხრა სამსხვერპლო, რვა ვერძი და ერთი კუ-  
რატი გამოიყვანეს. თავხვეისბერი, მომავალი ბელადი, განსაკუ-  
თრებულად აღიდეს, დაამწყალობეს ჩოხოსანი რაინდი. ლაშარის  
„საბჭუთო სკამზე“ დასვეს და სათემო საბჭოს თავმჯდომარედ აი-  
რჩიეს.

მგოსანმა საზოგადოების პატივისცემა თავისი კაცურ-კაცუ-  
რი საქციელით დაიმსახურა...

ცოლშვილიანი ვიყავი, როცა მსოფლიო ომის დასაწყისში  
ჩემი ძმა ნიკოლოზი ჯარში წაიყვანეს. მეც კენჭი მქონდა ამო-  
ღებული, მაგრამ, როგორც ოჯახის მარჩენალი, დამტოვეს,  
აღარ გამიწვიეს.

ქართლის მთიანეთი, მათ შორის ფშავ-ხევსურეთი ღელავ-  
და, ხალხი ხელმძღვანელს ეძებდა. ფშაველებს ნიკოლოზის ჯარ-  
ში წასვლა ძალიან აფიქრებდათ, არ უნდოდათ.

ამაღლება დღეს ფშაველებს თავი მოეყარათ აფხუშოს ხატ-  
ში. შეიარაღებული ვაჟა-ფშაველა შინდისფერ იაბოთი მოვი-  
და. ცხენიდან ჩამოქვეითდა და პირდაპირ ხალხში შეერია. გულ-  
თბილად მოგვესალმა. ყველანი გარს შემოვეხვიეთ. ახალ-ახალ

ამბებს მოველოდით. მაგრამ იმ დღეს აფხუშობა ისეთი მხიარული და ხმაურიანი როდი იყო, როგორც სხვა დროს. თვითონ პოეტიც დასვედიანებული, დაბერებული მეჩვენა. თუმცა ვაჟა გულგატეხილი არასოდეს არ ყოფილა. პოეტი ისე გულწრფელად ქადაგებდა ნათელი მომავლის შესახებ, თითქოს თვალთა ხედავდა ხვალინდელ დღეს.

ვაჟა-ფშაველა მოსაჩვენებლად ვაგლახად არას ჩაიდენდა. პირდაპირი, მართალი და პატიოსნების ნამდვილი ღმერთი იყო. პოეტი მუდამ იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ქვეყნის სარგო რამ გაეკეთებინა. თვით უდიდესი ნგრევის დროსაც კი ის ქვეყნისათვის საჭირო საქმიანობაში იყო ჩაბმული. მან იცოდა, რომ პირველი სიტყვა ხალხს ეკუთვნოდა, რომ ის თავისუფლების მგონსად მიაჩნდა ხალხს. პოეტს არა ერთხელ უცდია მთისა და ბარის გაერთიანება ქვეყნის სარგოდ.

ვაჟა-ფშაველა, ბოლოს და ბოლოს, მაინც იმედს უმღეროდა. მან, ჩოხაშემოკვალთულმა, 1914 წლის დასაწყისში აფხუშოში შეკრებილ ფშაველებს მგზნებარე სიტყვით მიმართა, რაც ლექსით დააბოლოოვა:

„— სულო, აყუაუდი, ამაღლდი,  
ვარდებით დაიფარია  
ცრემლი, ჩემ თვალთა ნაწური  
ზედ ნამად დამაყარია,  
საჭირეარამო ქვეყნისა  
გულს ლახურად გამიყარია,  
მაშინ ცა მიწას ეწვეა,  
მთაზე შაჯდება ბარია.  
იქ ძოვდეს ჯოგი ირმისა,  
დაბუზუნებდეს ხარია.  
თავს ველუბოდეს ქვეყანას  
სხვი-უენებელი მოფარია“.

ვაჟამ სიტყვა დაამთავრა, ქაღალდის ნაფლეთი ჩოხის უბის ჯიბეში ჩაიდო, აუჩქარებლად ქარქაშიდან ამოაძრო თეთრ-ტარა ხანჯალი, დინჯად გაისვა საჩვენებელ თითზე და კანი გაიჭრა. ვაჟას თბილი სისხლი „დაჭაურას მუზარადს“ დაენამა. ჩვენ, ვაჟას თაყვანისმცემლებმა და მომხრეებმა, ვიშიშველეთ ხანჯლები და ვაჟას ნაჩვენები მაგალითი გავიმეორეთ. ჩვენი სისხლი ვაჟას სისხლს შეერია. ეს სისხლი იყო ძმობისა და მეგობ-

რობის ფიცი, ეს იყო სისხლი სამშობლოს ერთგულებისათვის გაღებული.

ვაჟა-ფშაველა შარახევში იყო. მაშინ იქ ცხოვრობდა ნიკო რაზიკაშვილი (ვაჟას ბიძაშვილი) გიორგი კარატიელ ქუმსიაშვილი, მამა ცნობილი ქართველი მომღერლის ნიკო ქუმსიაშვილისა და სხვები.

შეხვედრა შინაურობაში მოხდა. პოეტს აინტერესებდა მეფის მოხელეების დამოკიდებულება შარახევისადმი, რადგანაც შარახევი იყო ძველი საზღვარი ფეოდალებისა და უბატონო, თავისუფალი ფშავ-ხევსურეთის.

ვაჟა-ფშაველა ძველისძველ „საზღვარს სდარაჯობდა“. შარახევი და ამავე სოფლის სახელწოდებებს მდინარე მიჯნავდა ბარსა და მთას. ვაჟა გვეუბნებოდა: „შარახეველებო, მთაურობის მოხელეებს ახლა მადა აქვს გახსნილი. ფშავ-ხევსურეთში თარეშობენ. ისინი ეცდებიან, რომ მთლიანად ხელში ჩაგვიკლონ. მაგრამ თუ მაგრად დავხვდებით, ერთმანეთს მხარს მიუცემთ, მაშინ არაფერი არ გამოუვათ. შარახევს ზემოთ უცხო ტომას, უცხო კანონების და ადათ-წესების შემომტანნი არ გავაჭაჭანოთ. დღეს ეს ეკისრება შარახევს“.

ასეთი მახსოვს ვაჟა-ფშაველა პირველი მსოფლიო ომის დასაწყისში.

## თხარელა ბულალაური

მამაჩემი ბევრ საინტერესო ამბებს მიყვებოდა ფშაველების ეოფა-ცხოვრებიდან, ვაჟას შესახებაც იცოდა ზოგიერთი რამ. იგი იგონებდა:

„ჩემს ჯეელობაში კახეთში ვიყავი. შილდის ტყეში ჩემს მოგვარეს ბატარია ბულალაურს ვედექი მოჯამაგირედ, მის ნახირს ვწყემსავდი. ბატარია უდარდელი კაცი იყო, ბევრად არას ყურს მიგდებდა. ხშირად დავლექავდი ტანსაცმლით დაუდიოდი. ერთ დღეს საქონელს რომ ვედექი, გზად ცხენით მიმავალი კაცი დავინახე.

— გამარჯობა, ბალო! — მომმართა მოხუცმა.

- გაგიმარჯოს, - მივეცი პასუხი.
- ვისია ეს ნახირი, ვისი წყევლის ხარ?
- კანატიელი ბატარეასი გახლავს, ბატონო.
- შენ ვისი შვილი ხარ?
- მე ბატარეას ბიძაშვილი ვარ.
- ვიცი, ვიცი, აი, საწყალი თვარელა რომ არის.
- დიახ, ბატონო!
- ბატარეასაც კარგად ვიცნობ, ჩემი ძმობილი კაცია.

ის კარგა ხანს მესაუბრა, შემდეგ ჩამოხტა ცხენიდან და მოთხრა: - მე ვაჟა-ფშაველა ვარ და შინ რომ მიხვალ, ჩემი სახელით ბატარეას გადაეცი, კარგი ტანსაცმელი და ქალამნები ჩაგაცვას, თორემ მეორედ ასე რო გნახო, ჩემი და შენი ძმობა გაიყრება-თქო.

ვაჟამ ხურჯინიდან თონას პური, თევზი ამოიღო და მომცა, თან ერთი ვერცხლის მანეთიანიც მაჩუქა.

### ივანე ბუჭურაული

არ მახსოვს, როდის და რა წელში იყო. ოცდაათ წელიწადზე ნაკლები კი არ იქნება, მე და ისაკა ბახტაძე ვიდექით ერთ მშვენიერ დღეს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიის წინ და ვლახიანდარობდით. ხალხი ჩვეულებისამებრ ირეოდა. „აი იმ ნაბდიანს იცნობ?“ - შემეკითხა ბახტაძე.

- არა, არ ვიცნობ, - იყო ჩემი პასუხი.

- როგორ თუ არ იცნობ? გაიკვირვა ბახტაძემ, - როგორა მთის შვილი ხარ, მოდი გაგაცნო.

მივედი. „გამარჯვება, ვაჟა! - მიესალმა მხიარულად ბახტაძე ვაჟას, - გაეცანით თუში და ფშაველი. „სასიამოვნოა“, - წარმოსთქვა ვაჟამ. რა მომაწოდა ხელი, მის ღარბაისლურ სახეზე სიამოვნება შევატყვე.

- რა გვარი ხარ? - მკითხა ვაჟამ.

ვუთახრი მე ჩემი გვარი.

— წავიკითხე შენი „მგზავრის წერილები“ „მოამბეში“ — სთქვა ვაჟამ, — კარგია, მომეწონა. უნდა გამოვამზავოთ შენა, ეს უფრო ჩვენი მთაელების მოვალეობაა.

ბევრ ხანს არ გავჩერებულვართ. ბახტაძე წასულიყო. შუა დღეზე მეტი იქნებოდა. გავიარეთ გოლოვინის პროსპექტზე (რუსთაველის ქუჩა). „მე, ძმაო, სოფლელი კაცი ვარ, — მითხრა ვაჟამ გზაზე — ადრე ვარ პურის ჭამას დაჩვეული, უკვე მომშავდა, არ იცი სადმე ნაცნობი სარდაფი, სადაც საჭმელიც იყოს და ღვინოც, წავიდეთ, პატარა შევნაყრდეთ, ერთი ძმური ლუკმა გავტეხოთ“.

იმ დროს, ერთ თუშეთიდან გადმოხვეწილ თუშს — იოსებ ცისკარიშვილს ჰქონდა ოლღას ქუჩაზე ერთი ღვინის სარდაფი, პატარა სამზარეულო. ეს ვუთხარა ვაჟას. ვაჟას ძალიან ეამა. „წავიდეთ, — სთქვა, — კარგია, ჩვენი მთის შვილი ყოფილა. მე მაინცადამაინც მაგდენად არ მიყვარს დიდ-დიდ გაკრიალებულ სასადილოებში სიარული. ქონიან სარდაფში და სხვა ამისთანებში უფრო თავისუფლად ვგრძნობ თავს“.

წავედით ცისკარიშვილთან. ძალიან გაუხარდა ცისკარიშვილს ჩვენი მისვლა. მოგვიწყო სამზარეულოშივე პატარა მავიდა, მოგვიტანა საჭმელი, ხარდაფიდან ღვინო და შევუდექით სუფრას. ვლაპარაკობდით სხვა და სხვა საგნებზე, როგორც ხაზოვადოთ არის ხოლმე, ე. ი. ზოგი მთისა ვსთქვით, ზოგი ბარისა. ამ ტკბილ საუბარში საკმაოდ დრომ გაიარა. გულმა ვუღლი იცნო. ამ პირველ შეხვედრაზევე შევეთვისეთ ერთმანეთს და ჩვენი მეგობრობა დაურღვეველი დარჩა ბოლომდინ.

\* \* \*

დამიტრი ცისკარიშვილმა, რომელიც შემდეგ თელავის სამოქალაქო სასწავლებლის გამგედ იყო, მიამბო: „ჩვენ, ცისკარიშვილები და რაზიკაშვილები, პეტრეს ქალაქში თითქმის სულ ერთად ვიყავით. ზშირად მოდიოდა ჩვენთან ვაჟა. მოუსვენარი იყო ვაჟა. უცბათ შემოიჭრებოდა ოთახში: და მეტყოდა: როგორია ვაჟა? „კარგისა არსავ ვაჟა-ფშაველა“, ვეტყოდი ხოლმე ვაჟას ხევსურულ კილოთი. „ვაჟას“ მე დაეუმატე „ფშაველა“, გამოვიდა „ვაჟა-ფშაველა“. ამის შემდეგ სხვებმაც დაუძახეს ლუკას „ვაჟა-ფშაველა“ და ეს სახელი დარჩა ფსევდონიმად“.



შემდეგ თვით ვაჟას ვკითხე და იმანაც დასტური დამცა, რომ „ვაჟა-ფშაველა“ მიტრომ დამარქვა და მეც ფსევდონიმად ვმსმარეო.

\* \* \*

ერთ საღამოს ვაჟა, ბაჩანა, ჯაჯანაშვილი (სახელი არ მახსოვს) და მე წავედით ერთ მუშტაიდის მახლობელ სასეირნო ბაღში. მოსეირნე ხალხი ბევრი ირეოდა. ჩვენ დაუიჭირეთ მაგიდა, მოვატანინეთ სასმელ-საჭმელი და შევექცეთ. ვაჟა ჩქარ-ჩქარა გაიხედავდა ხოლმე მოსეირნე ხალხისაკენ, რომელიც იქვე ახლო ადიოდ-ჩადიოდა, გატკეპნილ, აგურდაყრილ ალღეზე. იქ ბლომად დასეირნობდნენ თავიანთ სხეულით მოვატრე ქალებიც. ბაჩანამ შენიშნა, რომ ვაჟა ქალებს ადევნებდა თვალყურს. „გიხდება, ლუკაე-ჯან, — გაიკისკისა ბაჩანამ, — რომ ქალების ყურებაში ნერწყვებსა ჰყლაპავ!“ „რატომაც არა, დიად, დიად, მიხდება კიდევ და ვაჟაიცა ვარ!“ — სთქვა ვაჟამ და არწივისებური თვალებით გადაჰხედა თავის ძმას.

სხვათა შორის, ლაპარაკი ჩამოვარდა არაგვზე. მე ვკითხე, თუ არაგვი მთაში როგორ მოდის, ვიწროდ, თუ გაშლით, ხიდეზია თუ ფონები. აქ ბაჩანამ სთქვა, რომ ბარისახოსთან არაგვზე გადავხტომილვარო. ვაჟამ ჩაიციხა და სთქვა: „ჰო, დიად, არაგვზე გადახტა ეს ბიჭი!“ ბაჩანა შეფხუკიანდა, დაიკრა გულში მუშტი და დაიწყო ფიცით მტკიცება, რომ მართლა გადამხტარა. მოწმეებსაც კი ასახელებდა. ვაჟა იღიმებოდა და იმეორებდა: „დიად, არაგვზე გადახტა ეს ბიჭი!“

ცოტა ხნის შემდეგ ბაჩანა ადგა და მიიმალა სიბნელეში. არ გაიარა დიდმა ხანმა. უცბათ მოგვესმა ფართხალი და მასთან ძახილი: ვუპ! ვუპ! მე და ჯაჯანაშვილი ჩავეარდით და ვავიქცეთ იქითკენ, საიდანაც მოისმა ვუპ! ვუპ! და რა დავინახეთ? სდგას ბაჩანა მთლად წყალში გაწუწული და ჩოხის და ახალუხის კალთებს სწურავს. თურმე იქვე ახლო ნაპირებიდან ბალახგადაფარებული რუ ყოფილიყო. ბაჩანას ვერ შეემჩნია რუ სიბნელეში და შიგ შუაში ჩავარდნილიყო. მოვიდა ბაჩანა მაგიდასთან მთლად დასველებული. „ბიჭო, — გულიანად გაიცინა ვაჟამ, — აკი არაგვზე ხტოდი, აქ კი პატარა რუხედაც ვერ

4. მოგონებები გარდასულ დღეთა

გადამხტარხარ“. ცეცხლი ეღებოდა ბაჩანას, მაგრამ რა გაეწყობოდა.

მოსე ხელაშვილს (ქოსას) ჰქონდა ნათლობა, ნათლიად ვიყავი მე, ნათლავს მღვდელი ბაღლს, ბაღლი მე მაჭირავს. „მოდო, მეც მივიღო მონაწილეობა ნათელ-მირონში“, — სიტყვა ვაჟამ და მომიდგა გვერდში. მღვდელი გაჯაურდა და გაუწყრა ვაჟას: „აქ შენი ალაგი არ არის, გადადექი უკან“. ვაჟამ ფეხი არ დასძრა. მოვნათლეთ ბავშვი. შემოუსხედით სუფრას. დაიწყო სადღეგრძელოები. დალიეს ვაჟას სადღეგრძელო. „ვაჟას გაუმარჯოს! გაუმარჯოს ვაჟა-ფშაველას! — დაიძახეს აქეთ-იქიდან მღვდელმა ყურები აცქვიტა. წამოდგა მღვდელი და სადღეგრძელოსთან ერთად დიდი ბოდიში მოიხადა ვაჟას წინაშე „მაპატიეთ, არ ვიცნობდითო“.

საზოგადოდ, ოჯახებში სტუმრად სიარული მაგდენად არ უყვარდა ვაჟას, ნამეტნავად დიდ არისტოკრატიულ ოჯახებში. იქ თავს ვერა გრძნობდა თავის ქურქში. უფრო წავიდოდა ხოლმე მახლობელი მეგობრის ოჯახში.

ძალიან ხშირად შეეიკრიბებოდი თოლმე სანდროსთან საღამოობით, შემოუსხდებოდი ღარიბ (სანამ სანდრო უცოლო იყო) სუფრას და ვატარებდი ძმურ დროს. გამხიარულდებოდა ვაჟა. შემოსძახებდნენ ძმები ვაჟა და სანდრო ტკბილ ფშაურს.

## აღმშენებელი გარსეპანეშვილი

საქართველოში სახელგანთქმული მგოსანი ლუკა რაშიკაშვილი, ლიტერატურაში ვაჟა-ფშაველას ფსევდონიმით ცნობილი, მე გავიცანი ამ ორმოცდაათისმეტი წლის წინათ.

ის იმ დროს სწავლობდა გორის საოსტატო სემინარიაში, იყო მეორე კლასის მოწაფე.

კარგად არ მახსოვს გაცნობის დღე. ეს მოხდა 1881 წლის ენკენისთვის ბოლოს, თუ ოქტომბრის დასაწყისში. იმ დროს მე ვსწავლობდი თბილისის პირველ კლასიკურ გიმნაზიაში. პანსიონერი ვიყავი. გადავედი იმ წელს მეშვიდე კლასში.

ერთი დღით გამნაზიის დირექტორს დავეთხოვე და გორში სართველოდ მოვედი.

ჩემ მშობლებს აქ ჰქონდა პატარა ვენახი სწორედ იმ ადგილას, სადაც ახლა დიდი საკონსერვო ქარხანაა აშენებული.

ჩემდა სამწუხაროდ, რთველი გადასდეს რამდენამე კვირით, რადგან ყურძენი კარგად არ იყო დამწიფებული.

მოსვლისთანავე მე გავეშურე საოსტატო სემინარიისკენ. უნდა მენახა ამ სკოლის დირექტორი დიმიტრი დიმიტრის ძე სემიონოვი.

იმ ზაფხულს მე ვასწავლიდი მის უმცროს შვილს, რომელსაც ლათინურ ენაში განმეორებითი გამოცდა ჰქონდა დანიშნული. სემიონოვს ჩემთვის სწავლის ხელფასი უნდა გადმოეცა.

დირექტორი ვინახულე კაბინეტში, სადაც ის სწერდა რაღაც მოხსენებას. ჩვეულებრივი თანაგრძნობით მომესალმა, გადმომცა ხელფასი და დიდი მადლობა მითხრა. ამის შემდეგ დამიწყო ლაპარაკი საერთოდ განათლების მნიშვნელობის შესახებ. გულწრფელად მარიგებდა, მესწავლა სერიოზულად.

ქართველებს — მითხრა მან, — ძალიან ცოტა გყავთ საფუძვლიანად ნასწავლი ხალხიო. დაეწაფეთ სწავლას, ღრმად შეითვისეთ მეცნიერება და მაშინ ჩქარი ნაბიჯით წარმატებისაკენ წახვალთო. სწორედ ამ საუბრის დროს კაბინეტის კარები გაიღო და შემოვიდა მხარბეჭიანი, შუათანა ტანის მოწაფე 18-19 წლისა. იგი არ იყო სახით ლამაზი, მაგრამ გარეგნობა საერთოდ შეტად სიმპატიური ჰქონდა, განსაკუთრებით მისმა ტკვიანურმა და ბრწყინვალე თვალებმა ჩემი ყურადღება მიიქციეს.

ეს ჭაბუკი ძალიან მომეწონა. მისი გვარი რაზიკაშვილი იყო, სახელად ლუკა პავლეს ძე.

ის კარებთან გაჩერდა და დირექტორს მოწიწებით თავი დაუკრა. დაინახა თუ არა რაზიკაშვილი, დირექტორმა ხმამაღლა უთხრა: რა კარგ დროს მოხვედი, რაზიკაშვილო! მოდი აქ, ჩემო ძვირფასო ლუკა. გთხოვთ, გაიცნოთ, გამნაზიის მოწაფე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გარსევანიშვილი. ამან რუსულიც კარგად იცის და ლათინურიც. ჩემ შვილს ორ თვეში ასწავლა ის, რაც მისმა მასწავლებელმა მთელი წლის განმავლობაში ვერ მოახერხაო.

ლუკა რაზიკაშვილს მე სიამოვნებით ხელი ჩამოვართვი. ამ მოწაფის გაცნობა დიდი ხანია მინდოდა, რადგან მისი შემსახებ ბევრი რამ კარგი ვაგონილი მქონდა. კარგად ვიცოდნ, რომ ლუკა რაზიკაშვილი ახალგაზრდა მწერალია; იგი სწერდა ლექსებს და მოთხრობებს, რომელნიც გაზეთში იბეჭდებოდა.

ვიცოდი აგრეთვე, რომ ლუკა მხურვალე მონაწილეობას იღებდა იმ ღარიბ მგოსნის ბედში, რომელსაც მეც ვეხმარებოდი, რითაც კი შემიძლო. ეს იყო ბედისგან დაჩაგრული გლეხი-მგოსანი იოსებ დავითაშვილი. ამ გარემოებამ მე და ლუკა რაზიკაშვილი მალე ერთმანეთს დაგვაახლოვა. მართალია, გორში მე არ ვსწავლობდი, მაგრამ არდადეგებზე და საერთოდ თავისუფალ დროს აქ მოვდიოდი. აი სწორედ ამ დროს გავიცანი გორის მოწაფეობა და მასთან დავიჭირე იდეური კავშირი. მე, პანსიონში მომწყვდეულ მოწაფეს, არ მქონდა საშუალება თბილისელ მოწაფეთა არალეგალურ კრებებს სისტემატურად დაესწრებოდი...

ჩემთან ერთად ხშირად მოდიოდა გორში ჩემი ამხანაგი ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი (შემდეგ ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორი).

გორში ყოფნის დროს ჩვენ მუდამ ვესწრებოდით, როგორც ლიტერატურულ, ისე არალეგალურ კრებებს. ნამდვილი ამხანაგები ჩვენ ორივეს აქა გვეყვანდა და არა თბილისში. ძალიან დაუახლოვდით განსაკუთრებით საოსტატო სემინარიის მოწაფეებს. თავისი ლიტერატურული განვითარებით და ლოგიკური მსჯელობით ისინი იქცევდნენ ჩვენს ყურადღებას: მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ, ბევრი რამ შევითვისეთ; განვითარებულ მოწაფედ, განსაკუთრებით პოლიტიკურად, ითვლებოდა სიკო სალარიძე. იყო ნაკითხი და ხასიათით მეტად აღტყინებული. ამხანაგები მას უძახდნენ „მოუსვენარს“. ლიტერატურულ განვითარების მხრივ კი ყველაზე მაღლა იდგა ლუკა რაზიკაშვილი. ამ მოწაფის პოეტური ნიჭი რუს პედაგოგთა შორის პირველად შეამჩნია და ხერითხული ყურადღება მიაქცია საოსტატო სემინარიის დირექტორმა სემიონოვმა.

იმ დღეს, როცა მე რაზიკაშვილი გამაცნო, მან ხაზგასმით აღნიშნა ამ მოწაფის მაღალი შემოქმედებითი ნიჭი.

— დაიხსომეთ ჩემგან აი ეს სატყვებიო, — მითხრა მან სრუ-

ლი შევხებით: — ლუკა იშვიათი პოეტური ნიჭით შემკული ახ-  
ლგაზრდაა... Это высшая поэтическая выдержка ჩემი დროსა  
რწმენით, მას დიდი მომავალი მოელის საიწყობის ასტანდებლად.  
ზედ.

ამ სიტყვების გაგონებაზე ლუკა რაზიკაშვილი ჩემ თვალში  
ერთი ორად გაიზარდა. თვითონ ლუკა ამ დროს ალერსიანი ღი-  
მილით თავის საყვარელ დირექტორს შესცქეროდა. სახე გაუბ-  
რწყინდა, მსუქანი ლოყები თურაშაული ვაშლივით გაუწითლ-  
და. მას რალაცის თქმა უნდოდა და ვერ ახერხებდა... სემიონო-  
ვის ქებამ რაზიკაშვილს სულ დაავიწყა ინსპექტორის დავალებ-  
ის გადმოცემა.

არც მე ვიცოდი, რა მეთქვა...

ასეთ უხერხულ მდგომარეობიდან ერთერთმა მასწავლებელ-  
მა გამომიყვანა.

მან მოახსენა დირექტორს:

— ინსპექტორმა შემოგითვალათ, პედაგოგიური საბჭოს  
სხდომა უთქვენოთ დავიწყოთ, თუ თქვენ მობრძანდებითო?

ლუკა რაზიკაშვილიც სწორედ ამ მიზნით იყო ინსპექტო-  
რისაგან გამოგზავნილი.

სემიონოვი მაშინვე გამოშეთსოვა და კაბინეტიდან კრებაზე  
წავიდა. მე და ლუკა ხელისუფლებული დირექტორს ჩუმი  
ლაპარაკით გავყვეით.

გულმა გული იგრძნოვო, ტყუილად კი არ არის ნათქვამი.  
მე ძალიან მომეწონა ახლად გაცნობილი მოწაფე. ვატყობდი,  
რომ იმასაც მოვეწონე. რაზიკაშვილი სამი წლით ჩემზე დიდი  
იყო. როგორც უმცროსი, მორიდებით ვეკიდებოდი მას. ის კი  
შექცეოდა, როგორც უფროსი კეთილი ძმა.

გამოთხოვების დროს ლუკა რაზიკაშვილმა მითხრა: ძმაო,  
სანდრო, ხალამოთი უეჭველად სემინარიაში შემოიარეთ. მე გა-  
გაცნობ ჩემს ამხანაგებს. გვიამბეთ სატახტო ქალაქის ამბები და  
ჩვენ საწყალი პროვინციელები გაგვანათლეთო...

ეს უკანასკნელი ორი სიტყვა დაცივნის კილოთი სთქვა. მე  
დავპირდი, შემოვალ-თქო. მართლაც, მივედი და იმ ხალამოს  
დავესწარ რუსული ენის მასწავლებლის საუბარს. ნოვოსპასკი,  
ამ მასწავლებლის გვარია, პოეტ ნეკრასოვის ნაწარმოებს კი-

თხულობდა, სადაც მხატვრულად აწერილია რუსი ქალების და-  
ხასიათება. ალაგ-ალაგ გაჩერდებოდა ხოლმე და საჭირო კომენ-  
ტარებს აკეთებდა. მისი აუჩქარებელი და მკაფიოდ გადმოცემუ-  
ლი ახსნა-განმარტება მე ძალიან მომეწონა.

საუბრის შემდეგ ჩაიზე დამპატიქეს, რაზიკაშვილი ჩემ გვერ-  
დით იჯდა და მელაპარაკებოდა მგოსან ნეკრასოვას მნიშვნე-  
ლობაზე. ზოგიერთს ამ პოეტის ლექსის ნაწყვეტს ზეპირად ამ-  
ბობდა. ცხადია, დიდი მეხსიერების მქონე იყო ჩვენი უკვდავი  
ვაჟა.

განსაკუთრებით მოსწონდა იმ ლექსის ნაწყვეტი, სადაც პო-  
ეტი წმინტავს მკითხველს ასეთი სიტყვებით: „წალი, მასთან,  
კინც დამცირებულია და ცხოვრებისაგან შეურაცხყოფილი. იფ-  
აე შენ მათი მფარველი. სადაც ისმის მძიმე სუნთქვა და მოქა-  
ლაქის მწუხარება, იქაც იყავი პირველი“.

ჩაის შემდეგ გამოვეთხოვე და ვუთხარი: ამ მოკლე ხანში  
კიდევ მოვალ გორში სართელოდ და იმედი მაქვს რთველში  
მეწვევი-მეთქი.

ლუკამ მადლობა მითხრა და დამპირდა, უეჭველად მოვალ  
რთველში, თუ გარემოებამ ხელი არ შემიშალაო.

გავიდა ამის შემდეგ ორი კვირა და თბილისში მამაჩემი ჩა-  
შოვიდა, ინსპექტორის ნებართვით ერთი დღით გორში წამომი-  
ყვანა.

მეორე დღესვე დილით სემინარიისაკენ ვავეშურე და ლუკა  
რაზიკაშვილი ჩემს ვენახში წამოვიყვანე. ეს მე ვაცნობე დირე-  
ქტორ სემიონოვს.

გავაცანი დედ-მამა. ორივეს ძალიან მოეწონათ ლუკას დინ-  
ჯი სიტყვა-პასუხი, ქართული ენის ცოდნა და ლაპარაკის თავი-  
სებური კილო.

დავიწყეთ ყურძნის კრეფა.

ლუკა, მე და მამაჩემი ერთად ვკრეფდით. მამის შუკითხვას,  
როგორია ფშავ-ზევსურთა ქვეყნის ბუნება, ლუკამ სიამოვნებით  
გვიამბო თავის სამშობლოს ამბავი, აგვიწერა იქაურ მცხოვრე-  
ბთა ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება და ეკონომიური მდგომარე-  
ობა.

სადილის დრო რომ მოვიდა, ლუკამ სემინარიაში წასვლა  
დააპირა, მაგრამ ჩემმა მშობლებმა სთხოვეს დარჩითო: დარეჭ-

ტორმა კარვად იცის, ვისთანაც ხართ. ამისა ნუ გეშინიათ. ის ჩვენი დიდი ხნის ნაცნობიაო.

ლუკა დასთანხმდა და საღამომდი ჩვენთან დარჩა.

დედამ სტუმრები სადილზე მოიწვია. სადილი იყო გამართული დიდ ხეივანში, მე და ლუკა რაზიკაშვილი ერთად ვასხედით.

სადილზე ლუკა ძალიან გამხიარულდა. ღვინო ბევრი არ დაუღევია, მაგრამ „მრავალ-ჟამიერს“-ს სიამოვნებით მღეროდა და საერთო ბაასში მხურვალე მონაწილეობას იღებდა.

ჩვენთან სოფლიდან ჩამოსული გლეხებიც იყვნენ. მამაჩემი თამაძობდა. როცა მან დალია ერთ-ერთი მოხსუცი გლეხის სადღეგრძელო, ლუკამ სიტყვა მოითხოვა და მიმართა საერთოდ გლეხებს მოკლე სიტყვით. აქ გაატარა ის „ხალხოსანთა“ იდეა, რომლითაც იმ დროს ვიყავით ჩვენ, მოწაფეები, გატაცებულნი.

— გლეხობა, — სთქვა ვაჟამ, — საფუძველია ქვეყნისა, იგი მარჩენალია ხალხისა. თქვენ, ჩვენი ძმებო, გაკლიათ სწავლა-განათლება. დროა გაახილოთ თვალი და შეივსოთ ის ძალი, რომელიც თქვენში მარხია. ჩვენ, ნასწავლი ქართველები, ვცდილობთ გამოვიყვანოთ თქვენ ბნელეთის სამეფოდან და გიწვენოთ ახალი გზა კეთილი მომავლისაკენ. ჩვენ ვართ ხის ტოტები, ფოთლებით მოსილნი, თქვენ კი ხართ ამ ხის ფესვები. თუ ფესვი დაჰკნა, ხეც დაიღუპება... ასე მოუვა ხალხსაც... წრფელი გულით ვისურვებ თქვენს წარმატებას. ვიდებ ამ ღვინით საესე ჭიქას და სიამოვნებით ვსვამ მშრომელი გლეხობის სადღეგრძელოს!

მამამ შემოსძახა „მრავალ-ჟამიერ“, რომელიც განსაკუთრებით ქართლშია გავრცელებული. ლუკაც თავისი ტკბილი ტენორით ბანს აძღვედა. სიჩუმე რომ ჩამოვარდა, დედანიმმა ჰკითხა რაზიკაშვილს:

— ყმაწვილო, ჩემმა შვილმა მითხრა, რომ თქვენ ღექსებსა სწერთ — ეს მართალია?

— დიახ, მართალია! — ღიმილით უპასუხა ლუკამ.

— რა კარგი იქნება, რომ წაგვიკითხოთ რომელიმე ღექსი.

— დიდი სიამოვნებით! — სთქვა ახალაგზრდა მგოსანმა და უბიდან ამოიღო ბლოკნოტი: ერთხელ ჩასუდა და დაიწყო ზეპირად ღექსების კითხვა.

ლუკა კითხულობდა აღტაცებით და შესაფერისი ინტონაციით. მე ძალიან მომეწონა მისი თავისებური ექსტრაგულაცია...

მან წაგვიკითხა რამდენიმე ლექსი და დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე. ვაშას ძახილს საზღვარი არ ჰქონდა... იქ მყოფი გლეხები გაკვირვებულნი უცქეროდნენ ამ მოლექსე ჭაბუკს და ხშირად აქნევდნენ თავს... ერთ-ერთმა უცებ წამოიძახა: ჰე, დედასა, რა ყოფილა განათლება და სწავლაო!..

სემიონოვს, როგორც წინათ აღვნიშნე, განსაკუთრებით ლუკა უყვარდა. იგი პედაგოგიური ინსტიქტით გრძნობდა ამ ჭაბუკის სიღიადეს.

თავის მასწავლებლებს იგი ხშირად ეუბნებოდა: ფთხილად მოექეცით ჩემს ლუკას. ის არაჩვეულებრივი მოწაფეა. მისდამი შაბლონური მიდგომა არ ივარგებსო. ლუკა რაზიკაშვილი, მაღალ მთებიდან ბარად ჩამოსული, ბუნებით პოეტია, მასში დაგრძობილია მთიელ მოძმეთა გონებრივი საღარო. ნუ შევბოვავთ მის არსებას, დეე განვითარდეს და მომწიფდეს ნორჩი მეოსანი თავისუფალ სფეროშიო...

ვაჟა-ფშაველაც ძალიან დაინტერესდა თავის დირექტორის პიროვნებით. მან წაიკითხა მისი პედაგოგიური სტატიები და გადასინჯა სემიონოვის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები.

\* \* \*

გორში ასეთი ამბავი მოხდა, არ მახსოვს კარგად, ეს წინა წლის დეკემბერს იყო თუ 1883 წლის იანვარს.

სემინარიის შენობის წინ მოულოდნელად ეტლი გაჩერდა და იქიდან თბილისიდან მოსული ჟანდარმის კაპიტანი ჩამოსტა.

მან ინახულა დირექტორი და ბრძანების კილოთი გამოუცხადა:

— კანონის ძალით უნდა მთელი სემინარია და პანსიონი დღესვე გაჩხრიკოთ. თქვენ ბინას მე არ შეეცხებიო.

სემიონოვი უმცროსებთან იყო მეტად თავდაბალი კაცო, უფროსებთან კი — მეტად ამაყი და გამბედავი.

მან უპასუხა: — ბატონო კაპიტანო! უმორჩილესად გთხოვთ მაჩვენოთ მანდატი, რომლის ძალით ჩემდამი რწმუნებული სასწავლებელი უნდა გაჩხრიკოთ.

— ამ წუთში გაჩვენებთ. — ხმამაღლა წამოიძახა კაპიტანმა



და თავის პორტფელში ხელი ჩაჰყო. ბევრი ებება, ბევრი ჰქექა, მაგრამ წერილობითი საბუთი მაინც ვერ იპოვა.

— ბოდიშს ვიხდი თქვენს წინაშე! — დაბალი ხმით წაილულ-ლულა კაპიტანმა. — მანდატი სახლში დამრჩენია.

— მაშ თუ ასეა, უფრო ვაბედულად მიმართა სემიონოვმა კაპიტანს, — მე ნებას არ მოგცემთ სემინარია გაჩხრაკოთ. მოიტანეთ მანდატი, წამაკოთხეთ, და თუ ძალას იხმართ, იმ წუთშივე ტელეგრამით ვაცნობებ მეფის ნაცვალს და შემდეგ თქვენს უფროსს. მასწავლებელთა თანდასწრებით მე შევადგენ ოქმსაც და დღესვე კავკასიის ოლქის მზრუნველს გაუუგზავნი.

კაპიტანი არ მოელოდა ასეთ პასუხს: მან ხელმეორედ ბოდიში მოიხადა და საღამოს მატარებლით თბილისისაკენ გასწია მანდატის მოსატანად.

სემიონოვმა იმავე დღეს შეჰკრიბა უფროსი კლასების რჩეული მოწაფეები და აღელვებული ხმით მიმართა მათ:

— ყმაწვილებო! სამწუხარო ამბავი უნდა გამოვიცხადოთ. ჩვენ სკოლას განსაცდელი მოეღოს. ხვალ თბილისიდან კიდევ ამოვა ეანდარმის კაპიტანი აღექსევეი ჩენი სემინარიის და პანსიონის გასაჩხრეკად. თუ რაიმე საეჭვო წიგნები ან ბროშურები გაქვთ, ან დასწვით, ან და სადმე შორს დამალეთ, იმედი მაქვს, ამ ჩემ თხოვნას დაუყოვნებლივ შეასრულებთო.

ამაზე ლუკა რაზიკაშვილმა უპასუხა:

— ღრმად პატივცემულო დიმიტრი დიმიტრის ძე! ჩვენ არც ისეთი წინდაუხედავი მოწაფენი ვართ, რომ ჩვენი საყვარელი სკოლა ან თქვენ განსაცდელში ჩავაგდოთ, საეჭვო ფურცლებს და ბროშურებს აქ ვინ შეინახავს!..

დირექტორმა კრება დასტოვა, და ამის შემდეგ ლუკამ თავის ამხანაგებს ასეთი სიტყვებით მიმართა:

— ამხანაგებო! თუ ვისმე აქვს ჩერნიშევსკის ან ომულევსკის თხზულებანი, ან კრიტიკული სტატიები პისარევისა, უნდა ახლავე დამალოთ, მივიღოთ ყოველივე ზომა და ჩვენი სკოლა ხიფათს გადავარჩინოთ.

იმავე საღამოს მოწაფეებმა ბაღის ბოლოს ერთი ცაცხვის წინ ღრმა ორმო ამოთხარეს და საეჭვო წიგნები და ბროშურები ჩაფლეს, ზედ ფიცრები დაადეს და მიწა მიამარეს.

მეორე დღეს დიდი ბაქი-ბუქით მობრძანდა კაპიტანი თავი-

სი ორი თანაშემწეთი. მან დირექტორს აჩვენა მანდატი და დაწვეს სკოლის ჩბრეკა. ბევრი ჩბრიკეს, აათვალ-ჩაათვალეულებს კლასები, კაბინეტები, ბიბლიოთეკის ოთახი, ბაღშეფც. შევიდნენ და იქ საექვო ფურცლებს ეძებდნენ, მაგრამ ვერაფერი იპოვეს.

გორი იმ დროს, შედარებით სხვა სამაზრო ქალაქებთან, მდიდარი იყო ინტელიგენტურა ძალებით. აქ მოქმედებდნენ ბაღბოსნური მიმართულების უკეთესი წარმომადგენელნი. ასეთები იყვნენ: ნიკო ურბნელი, შიო დავითაშვილი, ანტონ ფურცელაძე, ექიმი ქაიხოსრო ფურცელაძე, მიშო ყიფიანის შემდეგ ნიკო ლომოური და სოფრომ მგალობლიშვილი. ეს უკანასკნელი იყო სასულიერო სკოლის ქართული ენის მასწავლებელი და ცნობილი საზოგადო მოღვაწე. მან დააარსა „მოწაფეთა ლიტერატურული წრე“ და მისი ხელმძღვანელობაც თითონვე აკისრა.

ეს წრე ზემოაღნიშნული დიდი საზოგადოების ოფიციალურ განყოფილებას წარმოადგენდა.

მიშო ყიფიანის დატუსაღებამდე ლიტერატურული წრე თავისუფლად კრებებს აწყობდა. ადგილობრივი მთავრობა ამას არ გვიშლიდა. მიშო ყიფიანის შემდეგ კი ამ წრეშაც მიიღო კონსპირაციული ხასიათი და ბოლოს 1884 წ. სულ დაიშალა.

ლუკა რაზიკაშვილი ამ ლიტერატურულ წრეშიც დიდ მონაწილეობას იღებდა და რამდენჯერმე თავისი ნაწარმოებები წაკვიკათხა და რეფერატებიც.

არ შემეძლია არ აღვნიშნო ასეთი გარემოება: პირველხნობით ლუკა აღტაცებული იყო მიშო ყიფიანის ქაღაგებით. მან ბევრი რევოლუციური ლექსი ზეპირად დაისწავლა და სიამოვნებით მღეროდა. მაგრამ ასეთმა გატაცებამ დადხანს არ გასტანა. ლუკა ხალისით აღარ დადიოდა კრებებზე, ხანდახან სულ არ ესწრებოდა... ინტერესი პოლიტიკისადმი თითქო დაჰკარგა და მისი ადგილი ლიტერატურამ დაიკავა. ამ დროს ლუკა გატაცებით კითხულობდა რუსულ და ევროპულ ლიტერატურიდან სხვადასხვა ნაწარმოებს.

რამდენად მე შევამჩნიე, ლუკა რაზიკაშვილი მეტად მგრძნობიარე პიროვნება იყო. სულიერი განცდა სშიარად ეცვლებოდა. ხან იყო მეტად მზიარული და საუბრის მოყვარე, ხან სულ ოცნებობდა და ასეთ დროს ლაპარაკიც ერიდებოდა, ხან ბრძოლას

ნატრულობდა და ყველიერში კრივშიც მონაწილეობას იღებდა. ამხანაგობას ხან ღმობიერად ექცეოდა, ხან ღაცივაც იტოვებდა.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ზოგიერთ მოწაფეს არ მოსწონდა რაზიკაშვილის ხასიათი, ისინი გესლიანი ენით ამბობდნენ: ღუკა ამას შეგნებულად სჩადის, — ის დიდი თაემოყვარეა და ასეთი ყოფაქცევით სურს საზოგადოების ყურადღება მიიქციოსო.

ასე მსჯელობდა, რასაკვირველია, მოწაფეთა უმცირესობა: მათ შორის, როგორც მახსოვს, ზოგი შურიანი იყო, ზოგი განუვითარებელი... უმრავლესობა კი რაზიკაშვილში ხედავდა არაჩვეულებრივ პიროვნებას.

მეც სწორედ ასეთივე აზრის ვიყავი მაშინ და ხინამღვალემ, როგორც ვიცით, ეს კიდევაც დაგვიმტკიცა.

მომიან წლების დასაწყისიდან, როგორც წინათ აღვნიშნე, გორში ხალხოსანთა ჯგუფმა დაიწყო მოქმედება. პირველხნობით დიდი ენერგიით მიჰყავდათ საქმე.

ადგილობრივი მოსახლეობის ღრმა ძილიდან გამოსაფხინზლებლად ამ ჯგუფმა, სხვადასხვა ღონისძიებას მიმართა.

უწინარეს ყოვლისა, სცენის მოყვარეთა წრე დაარსდა, რომელიც დროგამოშვებით ქართულ წარმოდგენებს მართავდა. ამ წრეში მონაწილეობდნენ სოფრომ მგალობლიშვილი, ნატო გაბუნია და სხვ. მგალობლიშვილი, მახსოვს, მშვენიერად ასრულებდა გლეხის როლს. ნატო გაბუნიამ ზომ შემდეგ დიდი სახელი გაითქვა, და თბილისში დაარსებულ სამუდამო დრამწრის თვალსაჩინო მუშაკი შეიქნა.

წარმოდგენები იდგმებოდა ქალაქის კლუბში ზამთრობით, ზაფხულობით კი „როტონდოში“, მტკვრის პირად, ხშირად წარმოდგენების შემდეგ იმართებოდა დივერტისმენტი. ღუკა რაზიკაშვილი აქაც იღებდა მონაწილეობას, თავის ღექსებს კითხულობდა და მსმენელები აღტაცებაში მოჰყავდა. ხანდახან სემინარიის მგალობელთა გუნდიც გამოდიოდა სცენაზე და ქართულ ხალხურ სიმღერებს ასრულებდა. ამ გუნდში ღუკაც მეორე ხმას მღეროდა.

მახსოვს კარგად ასეთი ფაქტი:

ჩვენს დრამწრეს უნდა გაემართა იაფფასიანი წარმოდგენა ი. დავითაშვილის სასარგებლოდ. ეს არ მოხერხდა. მაშინ მოვიწვიე კრება. ღუკაც დაესწრო. მან გვირჩია წარმოდგენის მაგიერ

გაკვემართა სადღილი იმ სახლში, სადაც ჩვენი წარმოდგენები იმართებოდა.

— იმ სადღილზე, — სთქვა რაზიკაშვილმა, — მოიწვიეთ ინტელიგენტები, რომელნიც თანაუგრძნობენ დავითაშვილს და მათ შორის ფული მოაგროვეთ. ეს ადვილიც არის და მიზანშეწონილიც.

რაზიკაშვილის წინადადება ყველას მოგვეწონა. სადღილი მოვაწყეთ ბებია ნინოს სახლში, ხარჯი გასწია მისმა შვილიშვილმა დათიკო თაბუნიძემ, ხონის სემინარიიდან გამოგდებულმა მოწაფემ. ეს სადღილი 1883 წ. სააღდგომო არდადეგების დროს გაიმართა. ბებია ნინო ცნობილი იყო მთელ მაზრაში და კარგი შეძლებაც ჰქონდა. მას უყვარდა განათლებული ხალხი და გაჭირვებულ ინტელიგენტებს დახმარებას უწყევდა. შემოსავალი დიდი ჰქონდა, ვინაიდან მაშინ ნასწაველი „აკუსერკები“ გორში არ იყვნენ.

სადღილს ოცდაათამდე სტუმარი დაესწრო. აქ იყვნენ მასწავლებელნი, ექიმები, რკინიგზელები და მოსწავლე ახალგაზრდობა. მათ შორის რამდენიმე კარგი მომღერალიც ერიო.

ამ კრებულს ამშვენებდა ორი ძმა რაზიკაშვილები: მომავალი „მთის არწივი“ ვაჟა და მისი უმცროსი ძმა ნიკო, „ბაჩანას“-ს ფსევდონიმით ცნობილი.

ნადიმის ხელმძღვანელად იყო ს. მგალობლიშვილი და უნდა ითქვას მართალი, რომ მან ამ ნადიმს ნამდვილი ლიტერატურული ბანკეტის სასიათი მისცა.

წარმოთქმულ იქნა მრავალი სიტყვა. ყოველ სადღეგრძელოს სამხმიანი „მრავალ-ჟამიერი“ მოსდევდა.

დამსწრეთა სახეზე სიხარულის გრძნობა იხატებოდა, ნხოლოდ მართო ვაჟა-ფშაველა იჯდა სერიოზულად და ხმას არ იღებდა. პირველხნობით არც ღვინო დაუღვებია და არც უმღერნია.

ასეთმა მისმა ღუმილმა დამსწრეთა უმრავლესობა გააკვირვა, განსაკუთრებით მოწაფეობა.

მაგრამ რაფიელ ერისთავის სადღეგრძელოს შემდეგ ვაჟამ მოულოდნელად გიტარას ხელი სტაცა და ტკბილი ტენორის ხმით დაამღერა ევროპულ კილოზე დაწერილი რომანსი. სიტყვები კი რაფიელ ერისთავისა იყო:

ნეტავ რას ტირი, დედილო!  
რას სამომჯდარხარ კრასა...  
ასი მკრან გულში მირჩვენის  
მტირალა ქალის ცქერასა!..



დიდი აღტაცებით მღეროდა ამ ლექსს ახალგაზრდა მგოსანი და თითონვე შესაფერ აკომპანიმენტს გიტარაზე უკრავდა.

ამ სიმღერამ ძლიერი ტაშისცემა გამოიწვია. ვაჟაც გამზიარულდა. დამსწრეთა თხოვნით მას ეს სიმღერა უნდა გაემეორებინა, მაგრამ ამის მაგიერ ვაჟამ რუსულად დაამღერა რევოლუციური შინაარსის რომანსი, რომელიც, ვგონებ, ასე თავდებოდა: „და შენ ძვლებიდან გმირი აღსდგება, ჩვენზე ძლიერი იგი იქნება“.

ანტონ ფურცელაძემ, რომელიც ნიკო ლომოურთან ერთად ჩვენს ბანკეტს შემთხვევით დაესწრო, მაღალი ხმით წამოიძახა: „ყმაწვილებო, ექსტრა!“ და ვაჟას სადღეგრძელო ხელმეორედ დავლიეთ.

კახელებმა კახური მრავალფაშიერ შემოსძახეს. ვაჟამ მიიღო მონაწილეობა და მესამე ხმას მღეროდა.

სიმღერა რომ გათავდა, ერთმა მოწაფემ, რომელსაც ამხანაგები „შავ ყორანს“ ეძახდნენ, მოკლე სიტყვით მიმართა მგოსანს.

— ამხანაგო ლუკა! მე წაკითხული მაქვს შენი დაუბეჭდავი ლექსები. ზოგიერთი ლექსი პესიმისტური ხასიათისაა; დღევანდელ პირობებში ასეთი რამ მიუღებელია. შორს ჩვენგან პესიმისმი!

ამის პასუხად ვაჟამ რაღაც ხელთნაწერი ამოიღო უბიდან და ნერვულად გადასინჯა... შემდეგ დიდი გრძნობით ზეპირად სთქვა ასეთი ლექსი:

დამისხი, დამაღვეინე,  
ე ლინო ცეცხლებრ პრიალი.  
ვგება წალმა ვიფიქრო  
სოფლის უკულმა ტრიალი,  
ვგება გულის ვარამი  
ჩაგულა მე ამ ჭიქაშია:  
თეატრწინ დამიდგეს ლამაზი,  
ფრთოლა მამკიდოს ტანშია,  
დეზი ვკრა ჩემსა ღურჯასა,  
გადავეროი ზღვაშია...

ამ ჩვენ მონურსა სიცოცხლეს  
სიკვდილი მიჯობს ცდამია.  
ვერ მოაწონებთ ჭაბუკსა,  
რაც არ უჯდება ჭკამია!<sup>1</sup>



გაათავა კითხვა, სტაცა ჭიქას ხელა და ნერვულად ღეინო  
გადაჰკრა.

ამის შემდეგ ნიკო ლომოურმა სიტყვა წარმოთქვა ი. დავითაშვილის შესახებ, რამაც დიდი აღტაცება გამოიწვია. ჩვენ გვესმოდა არა მარტო სიტყვები, არამედ მკაფიოდ გამოთქმული მარცვალ-ბგერებიც. საერთოდ ყველას ძალიან გვაყვარდა ნიკო ლომოურის ტკბილი ქართული ლაპარაკი. ლამაზი სიტყვა წარმოთქვა აგრეთვე გლეხი მგოსნის შესახებ ვაჟამ. მან იგივე აზრი გაატარა, როგორც ლომოურმა და შეამკო დავითაშვილს ასეთი ეპიტეტი: იგი ჩვენი დემოკრატიული ლიტერატურის პირველი მერცხალიაო!

ელტობოდა, რომ ვაჟას წაკითხული ჰქონდა გლეხი მგოსნის, როგორც დაბეჭდილი, ისე ხელთნაწერი ლექსებიც. გარდა ამისა, კარგადაც იცნობდა მას პირადად. მისივე რეკომენდაციით დავითაშვილი ჩვენ კონსპირაციულ კრებებზედაც ესწრებოდა...

უცებ ახმაურდა მთელი კრებული. გამხიარულდა ჩვენი ვაჟაც. სწორედ ამ დროს მაღალი ხმით დათიკოთ თაბუნძემ, ჩვენმა მხიარულმა მასპინძელმა „ცანგალა და გოგონა“ შემოსძახა. ამხანაგებმა მას მაშინვე ბანი მისცეს... ატყდა ტაშისცემა და დაიწყო ლექური.

პირველად შურდულივით ბაჩანა გამოსტა და გამოიწვია თავისი ძმა ლუკა.

ახალგაზრდა მგოსანი სიამოვნებით გამოეთამაშა. უცნაურ შთაბეჭდილებას სტოვებდა ჩემზე ვაჟას მძიმე დაეღური და ფხების ორიგინალური მოსმა, ცეკვა მას არ უხდებოდა, ბაჩანაკი, ჩვენზე ყველაზე უმცროსი, მარდად თამაშობდა.

საიდანღაც გაჩნდა დოლი და საღამური, ნამდვილი ცეკვა ახლა დაიწყო. მოთამაშე მოთამაშეს სცვლიდა. სოფრომ მგალობლიშვილმაც კი იცეკვა თავისი კოჭლი ფეხით და თითონვე თავის თავს დასცანოდა. ლექურის შემდეგ ჩვენმა მასპინძელმა

<sup>1</sup> ეს ლექსი მცირეოდენი სხვაობით, დაბეჭდა 1886 წ. ვაზ. „ივერია“-ში, № 170, „ქეიფი“-ს სათაურით.

კინტორი ითამაშა ასეთი ბუნებრივი მიხვრა-მოხვრით, რომ გამოიწვია საერთო სიცოლი.

როცა ჩამოვარდა სიჩუმე, მე სტუმრებს შემდეგი სიტყვით მივმართე: — ბატონებო! პატივცემულმა ნიკო ლომოურმა, ლუკამ და ხახანაშვილმა მშვენიერად დაახასიათეს დავითაშვილის შემოქმედება.

სამწუხაროდ, ამ გლეხი მგოსნის მატერიალური მდგომარეობა მეტად მძიმეა ამჟამად: იგი უკიდურეს სიღარიბეს განიცდის; გარდა ამისა ავადმყოფობს — გული სტკივა.

წარმოიდინეთ ასეთი სურათი: იოსებს გორში მოხვლა უნდა და გზის ფული კი არა აქვს. მისი და ელისაბედ ბებიაშვილი ძალიან ღარიბია, მას შველა არ შეუძლია.

ძმა ძმისთვისაო, ამ დღისთვისაო! დავეხმაროთ შეძლებისამებრ ღარიბ მგოსანს და ვიხსნათ იგი გაჭირვებისაგან. შემომაქვს თუმანი მოწაფეთა შორის მოგროვილი.

სტუმრებმა, თითქმის ყველამ, თავისი წვლილი გამოიღო. ერთი თუმანი ბებია ნინოს გამოეგზავნა... ამგვარად ხუთ თუმანზე მეტი შეგროვდა. იმავე დღეს ეს ფული იოსების დას ელისაბედს გადავეცით.

ასეთი ფორმით დახმარების მაგალითი ხშირი იყო და თაონსად მუდამ ს. მგალობლიშვილი გამოდიოდა. რაც შეეხება ვაჟას, ისიც ყოველთვის მხარს უჭერდა სოფრომს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ „მომავალი დიდი პოეტა“ განსაკუთრებული თანაგრძნობით ეპყრობოდა უსწავლელ და უბედურ ვარსკვლავზე დაბადებულ მგოსანს. ვაჟა ზრუნავდა, როგორც მის გონებრივ განვითარებაზე, ისე მატერიალურ მდგომარეობაზედაც.

ვაჟას ის ახარებდა, რომ მგოსანი, რომელიც „სკოლაში მისდღეში“ არ ყოფილა, ახალ აზრებს ღრმად ითვისებდა და ამავე დროს სერიოზულად აკვირდებოდა ცხოვრებას.

ერთერთ კრებაზე, რაზიკაშვილის თხოვნით, მე იოსების თანდასწრებით წავიკითხე რეფერატი ასეთ თემაზე: „რუსი მგოსანი კოლცოვი და მისი შემოქმედება“.

ჯერ ავწერე კოლცოვის ოჯახური მდგომარეობა და მისი აღზრდა. შემდეგ შევეხე მგოსნის ლიტერატურულ მომზადებას, რომლითაც იგი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა.

ამ საგანს დაწვრილებით შევეხე, ვინაიდან კოლცოვი სო-  
ვიერთ მსმნელისათვის უცნობი მწერალი იყო.

ამის შემდეგ მგოსნის ლექსები თემების მიხედვით რამდენიმე კატეგორიად დავყავი: ბუნების აწერა, გლეხი ქალის ცხოვრება, უღარიბესი გლეხის ფიქრები და სხვ.

რეფერატის დასასრულში აღვნიშნე კოლცოვის მნიშვნელობა რუსეთის ლიტერატურაში და ვთქვი: ამ ოდნავ განათლებულმა მგოსანმა მშობლიურ ლიტერატურაში პირველმა შეიტანა ახალი სხივი, იგი შეეხო გლეხთა ცხოვრებას და მკითხველში ამ წოდებისადმი დიდი ინტერესი გამოიწვია. იმ დროს ცნობადი კრიტიკოსი ბელინსკი ისე იყო აღტაცებული კოლცოვით, რომ მან იგი შეამკო „ხალხის შეილის“ ეპითეტით.

ბელინსკის ეს აზრი მე სავსებით უარყავი.

ამ ჩემმა დასკვნამ ცხარე კამათი გამოიწვია. ბელინსკის აზრს ძალიან იცავდა ერთი მოწაფე, მამით რუსი, დედით კაქართველი. ის იყო დავით თაბუნიძესავით ხონის სემინარიიდან გამოვდებული და დროებით მასთან ცხოვრობდა. მეტ სახელად ვუძახდით „პეპელიჩ“-ს (პავლე პავლეს ძე). მას ლიტერატურული განვითარებით ძალიან მოჰქონდა თავი.

— ამხანაგო სანდრო! — მითხრა მან: — შენ დიდ გაბედულებას იჩენ, როცა გენიალურ კრიტიკოსის აზრს ერთი კალმის მოსმით უარყოფ... განა ის თავის აზრს უსაბუთოდ იტყოდა?

— არც მე ვამბობ ამას უსაბუთოდ, — ვუპასუხე მე. — ბელინსკის, როგორც კრიტიკოსს, მეც დიდად ვაფასებ, მაგრამ განა არ შეიძლება, რომ ის სცდებოდეს!

— რაო, სცდებოდეს? — დაცინვით გაიმეორა პეპელიჩმა.

ამ დაცინვის კილოთი გამოთქმულმა სიტყვამ მე ამაღელვა, ვაპირებდი პასუხის გაცემას, მაგრამ მოულოდნელად ჩვენს ბაასში ვაჟა ჩაერია.

— დიახ, შეიძლება ბელინსკი სცდებოდეს! — გაბედულად სთქვა ვაჟამ და ისეთი სერიოზული ტონით დაიწყო ლაპარაკი, რომ ძალე ჩააჩუმა ჩემი ოპონენტი.

— ამხანაგო, — უთხრა მან პეპელიჩს, — მოიგონე ბელინსკის ცხოვრებიდან ის პერიოდი, როცა გატაცებული პეველის ფილოსოფიით იგი ამტკიცებდა, რომ „ყოველივე სინამდვილე — გონიერია“. ეს არ გახსოვთ?





— მერე რა? — წამოიფვირა პეპელინმა.

— მერე ის, — უპასუხა ვაჟამ, რომ გერმანელი ფილოსოფოსის აზრი რიგიანად ვერ გაიგო. მან შეითვისა მოკლე ფორმულა და მის განმარტებაში კი სისწორით ვერ გამოერკვია, ამის გამო ბევრი შეცდომებიც დაუშვა.

— აბა მითხარი, რა შეცდომები დაუშვა და ისიც დიდი! — ირონიით შეეკითხა პეპელინი.

— შენ, ჩემო ძამიავე, — უპასუხა ვაჟამ, — დაცინვის კილოთი ნუ გველაპარაკებია... ასეთი რამ ლიტერატურულ ბაასში არ გამოდგება. მე კი გეტყვი პირდაპირ, რომ შენ არ შეგისწავლია ბელანსკის ცხოვრება. ამიტომ ვიკვირს, რაც აქ მოისმინე. აბა, ყური დამიგდე: — აი ბელანსკის მთავარი შეცდომები: გრაბოვლოვის მხატვრული ნაწარმოები „ვაი ჭკუისაგან“ მან სისწორით ვერ შეაფასა. ამ პიესის გმირი ჩაცკი მასხარად აიგღო. რატომ? იმატომ რომ ჩაცკი პროტესტს უცხადებდა ბატონყმობას. გერმანელი დიდი მგოსანი შილერი კრიტიკოსმა მიწასთან გაასწორა. რატომ? იმატომ, რომ მისი პიესის ერთ-ერთი გმირი კარლ მოორი უსამართლობას და სოციალურ ბოროტებას ებრძოდა.

გატაცებული უცნაური ფორმულით „ყოველი სინამდვილე ვინაიერა“, ბელანსკი ბატონ-ყმობასაც კი ამართლებდა. ის აგრეთვე ჟორჟ ზანდს დასცინოდა, დასცინოდა იმ მწერალ ქალს, რომლის შემოქმედებამ ქალთა მოძრაობა (ემანსიპაცია) გამოიწვია. ახლა ხომ მიხვდით, რა შეცდომები დაუშვა ბელანსკიმ თავის კრიტიკულ წერილებში.

— ჩვენ ისიც ვიცით, — განავრძო ვაჟამ, — რომ გულწრფელმა კრიტიკოსმა ბილოს უარყო ცალმხრივად შეთვისებული პეგელის ფორმულა, და სხვა მიმართულებით დაიწყო წერა. ამ დროს ბევრი აზრი გამოიკვალა: შილერს მან დაარქვა „კაცობრიობის ვეჟილის“ სახელი, ჟორჟ ზანდზე კი სწერდა: იგი იყო კაცობრიობის ხსნის ვარსკვლავი...

ვაჟას შენიშვნებმა და მკაფიოდ გადმოცემულმა კომენტარებმა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინეს მსმენელებზე. ბევრი ახალი ცნობები გაიგო ჩემმა ოპონენტმაც და ველარ გაბედა მალაღი ხმით საუბრის გაგრძელება.

— რაც თქვენ სთქვით, ეს მართალია! — წაიღულღულა პეპელინი. მოგონებები გარდასულ დღეთა

ბელინმა, — მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ კოლცოვი იყო დაბალი წრიდან გამოსული, მას გლეხებთან ჰქონდა მათი სულისკვეთებით განიშსჭვალა და ყოველგვ ეხ მხატვრულად დაასურათა. ალბათ, იმიტომ ბელინსკიმ მას „ხალხის შეილის“ სახელი უწოდა.

— არც ეგაა მართალი! — უპასუხა ვაჟამ გადაჭრით. — კოლცოვი ვაჭრის შვილი იყო. მამამისი საქონლით ვაჭრობდა ქალაქ ვორონეჟში. თავის ერთადერთ შვილს ამ ხელობას ასწავლიდა და სკოლიდან მეორე კლასიდან გამოიყვანა: „კმარა ის, რაც იხწავლეო“. ოჯახში მას ყმაც კი ჰყავდა. მგოსანი ხშირად სასამართლოში მამის „საკლიაუზო“ საქმეებსაც იცავდა, რასაკვირველია, მამის ბრძანებით და არა თავის სურვილით, კოლცოვი არ იცნობდა ნამდვილ გლეხებს. ის იცნობდა კარგად მხოლოდ იმ ღამის მეზრეებს, რომელნიც მამის საქონელს მინდურად სდარაჯობდნენ...

— ერთი სიტყვით, — სთქვა ვაჟამ, — არც ფიზიკურად, არც ფსიქოლოგიურად კოლცოვს საერთო არა ჰქონდა რა მშრომელ ხალხთან და ის, რაც კოლცოვმა დასწერა, იყო მისი პოეტური ინტუიციის ნაყოფი.

ვაჟას სიტყვას დიდი ინტერესით ისმენდა მოწაფეობა. ყველას მოსწონდა მისი ახსნა-განმარტება... ჩვენ წინ იდგა არა მოწაფე საოსტატო სემინარიის მეორე კლასისა, არამედ ლიტერატურულად მომზადებული ახალგაზრდა მწერალი.

ჩაჩუმდა ამის შემდეგ ჩვენი „მოკრიტიკე“ პეპელინი და ხმა აღარ ამოუღია.

იოს. დავითაშვილმა მეტად საინტერესო შეკითხვა შემოიტანა:

— ჩემთვის ძალიან საინტერესოა ცნობა, თუ როგორ მიუდგა კოლცოვი ბატონ-ყმობის საკითხს. წამიკითხეთ რომელიმე ლექსი ამის შესახებ.

— ასეთი შინაარსის ლექსი მას არ დაუწერია! — უპასუხე მე.

— როგორ? — გაკვირვებით წამოიძახა იოსებმა. — ნუთუ ასეთს ბოროტებას იგი არცერთი სიტყვით არ შეხებია? მერე რა დრო ყოფილა მაშინ, თქვენ არა ბრძანეთ, რომ ბატონყმო-

ბამ მიიღო კოლეჯის დროს სასტიკი ხასიათი და აქა-იქ რუსეთში მასიური მღელღარებაც კი გამოიწვიაო?

— აკი ვითხარი, არ შეხებია-მეთქი ამ მოვლენას, ტყვილს ხომ არ მოვივონებ.

— მაინც რითი აიხსნება ეს? — მკითხა კიდევ იოსებმა — მა-მაცხოვრებული, ჩემზე ნასწავლი ყოფილა, როგორც თქვენ ბრძანეთ, ცნობილ სტანკევიჩის წრეშიც ყოფილა და ნუთუ ასეთ ბოროტებას, როგორცაა მონობა, ვერ ამჩნევდა... იქნება, ადრე მოხუცდა, ანდა გონება მალე დაუსუსტდა!..

ჩემს მაგიერად პასუხი ვაქამ გასცა და ისტორიული მომენტით კოლეჯი ვაამართლა.

— კოლეჯი ადრე მოკვდა ჭლექით, — სთქვა ვაქამ — ის იყო ამ დროს ოცდაათობეტი წლისა. გონება ბოლომდინ შერჩა ხალა. დიდხანს რომ ეცოცხლა, შეიძლება დაეწერა სოციალური შინაარსის ლექსები. გარდა ამისა, იმ დროს განათლებული მწერლებიც გატაცებულნი იყვნენ „სინამდვილის გონიერების“ თეორიით. ამ გარემოებასაც იქონია კოლეჯოვზე გავლენა, და როცა ამ თეორიამ ძალა დაჰკარგა, მაშინ კოლეჯი ცოცხალი აღარ იყო...

იმ კრებაზე ყველამ შენიშნა, რომ დავითაშვილი ძეტად დაინტერესებული იყო კოლეჯის პიროვნებით...

რა იყო ამის მიზეზი? აი რა:

ჩემი რეფერატის წინ ვაქამ ს. მგალობლიშვილის ბინაზე წაიკითხა მოხსენება ი. დავითაშვილის შესახებ.

მოკლე ბიოგრაფიული ცნობების შემდეგ, რეფერეტი შევდგა მგოსნის პოეზიის დახასიათებას: მან მიაქცია ყურადღება ლექსების დადებით მხარეს.

— მე, — სთქვა ვაქამ, — წინააღმდეგი ვარ იმ შაბლონური დაფასებისა, რომელიც ამ ბოლო დროს სოგმა მოკრიტიკემ ჩვეულებად გასადა: გადაფურცლავენ წიგნაკს, ამოიკითხავენ ავტორის ვეარს და თუ ის ნაკლებ ნაცნობია, გაბედულად წამოიძახებენ; ეს უნიჭოა... ეს ლექსი არ ვარგა, ამას ხაშუალო ნიჭი აქვსო, იმას რითმა არ უვარგა და სხ. ამგვარი. ასეთი სუბიექტურა საზომით მგოსნის დაფასება არათუ მიუღებელია, არამედ მავნეა და უნაყოფო.

ვაქამ მრავალი ლექსის შინაარსი გადმოგვცა, აღნიშნა მათი

მთავარი აზრი და დაგვიმტკიცა ნათლად, რომ გლეხი-მგოსანი ნამდვილი რეალისტია და სალი ოპტიმიზმის მატარებელია, იმს. დავითაშვილის პოეზია — ეს სინამდვილის სარკეაო. მგოსანი იმასა სწერს, რაც თავის თვალთ უნახავს, ან რაც მას ცხოვრებაში გამოუცდია. მისი შემოქმედების ლეიტმოტივია ზრუნვა სწავლა-განათლებაზე, ზრუნვა მის გაერცვლებაზე მშრომელ გლეხოებაში. ასეთ კატეგორიის ლექსებს დიდაქტიკური ხასიათი აქვსო, მაგრამ ისინი მაინც არ ჰკარგავენ მნიშვნელობას; მგოსანი გასაგები ენით არიგებს თავის მოძმეებს: ისწავლეთ, გკყოფათ ძილი, გააღეთ თვალიო.

ამ პატარა რეფერატს კამათი არ გამოუწვევია. თბილისიდან მოსულმა მერვე კლასის მოწაუემ მიხ. გედევანიშვილმა სთქვა საბოლოო სიტყვა და სხვათა შორის შეადარა დავითაშვილი რუს პოეტს კოლცოვს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი მგოსნის შემოქმედება უფრო მრავალფეროვანი და მრავალმხრივია, ვიდრე კოლცოვისა.

დასასრულს აღტაცებით მოიხსენია დავითაშვილის სახელი და დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა. გაუმარჯოს, — სთქვა, მაღალი ხმით გედევანიშვილმა, — იმ გლეხ-მგოსანს, რომელმაც აიღო თავისი კალამი იმ მიზნით, რომ მაღლა აღეძართა „სწავლისა და განათლების დროშა-აღამი“.

ეს ლიტერატურული საღამო იოსებისთვის იყო ღირსსახსოვარი: მუდამ დამცირებულმა მგოსანმა აქ, ახალთაობის წრეში, მოიხსინა წრფელი და გამამხნევებელი სიტყვები.

უნდა გენახათ მაშინ მისი ბრწყინვალე სახე! ღოვები გაუწითლდა, თვალები ცრემლებით ავესო. მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ქანდაკივით ივდა სკამზე და ყურადღებით ისმენდა სჯა-ბაასს.

ასეთი ბედნიერი წუთი საბრალო მგოსნის ცხოვრებაში, სამწუხაროდ, ძალიან იშვიათი იყო.

კრების შემდეგ მე და გედევანიშვილმა სახლისკენ გავწიეთ. — მოითმინეთ, ამხანაგებო! — მოვევსმა ვაჟას ხმა. — ერთად წავიდეთ... — ვაჟა და დავითაშვილი სახლამდინ ტკბილი საუბრით გამოგვეყვნენ.

— რა კარგი იქნება თუ გამაცნობთ რუსი პოეტის ცხოვრებას! — სთქვა იოსებმა.

— გედვეანიშვილის შედარებამ ძალიან გააკვირვა ჩემი იოსები: სად კოლცოვი, სად მეო! ხულ იმას მეუბნება: მოდი, წახედრო, შენ წაიკითხე ამის შესახებ რეფერატი! — მითხრა ვაჟამ. — ეს შენთვის ადვილი საქმეა.

— არც აგრე ადვილია! — ეუპასუხე მე. — ლექსების გადმოსთარგმნა გამიჭირდება, ხომ იცი, ვიმნაზიაში აღარ გვასწავლიან ფუროს კლასებში ქართულ ენას.

— ეგ არაა საჭირო! — სთქვა დავითაშვილმა. ლექსები რუსულად წაიკითხეთ.

— თქვენ რუსული იცით? სად ისწავლეთ? — ვკითხე მე.

— რუსული ვისწავლე პეტრე რუბცოვის ოჯახში, სადაც ჩემს ხელობას ვსწავლობდი... მე არ მივარგა მხოლოდ გამოთქმა.

მე დავპირდი რეფერატის წაკითხვას და დაპირებაც ორ-სამ დღეში ავასრულე.

ამის შესახებ უკვე მქონდა ლაპარაკი და რაც ავწერე, იმის მეტს აქ აღარას ვიტყვი.

ყველამ კარგად იცოდა, რომ ვაჟა წინათ აქტიურ მონაწილეობას იღებდა გორის საიდუმლო კომიტეტის მოქმედებაში.

იმ დროს რუსეთიდან ბევრი რევოლუციონერი მოდიოდა გორში. რამდენჯერმე იყო აქ „ნაროდნაია ვოლიას“ აღმასრულებელი კომიტეტის წევრი ანა პავლოვნა (გვარად კორბა-პრიბილევა).

მათი მიზანი იყო გორის ხაზინიდან ფულის გატაცება.

ვის სასარგებლოდ? ცხადია, ნაროდნიკების სასარგებლოდ. ერთხელ ანა პავლოვნამ გორის კომიტეტს გამოუცხადა: მე რომ სადგურიდან მოვდიოდი თქვენთან, ვილაც საეჭვო პირი ამეღვენათ, მიიღეთ ზომები... არ დამატუსაღოსო.

კომიტეტმა გამოიწვია თავისი თანამშრომლები: ლუკა რაზიკაშვილი და ფხვმარდი საშა ციმაკურიძე. ამათ უნდა თვალყური ედევნათ, თუ ვინიცობაა, გორში გაჩნდებოდა საეჭვო პირი, მაშინვე ეტლით ანა პავლოვნა წაეყვანათ უფლისციხეში, როგორც ტურისტები.

მთელი დღე ვაჟა ამ საქმეს მოუნდა. საბედნიეროდ, იმ დღეს არც საეჭვო პირი და არც ჟანდარმი გორში არ მოსულა.

ასე იყო ერთ დროს ვაჟა გატაცებული რევოლუციური მი-

მართულებით. შემდეგ კი ისიც მოდუნდა, კონსპირაციულ კრებაზე ხალხით აღარ მოდიოდა და ბოლოს სულ შესწვეტა სახარული.

როგორც წინათ შევნიშნე, ვაჟა ამ დროს მთელი თავისი არსებით იყო ლიტერატურით გატაცებული...

მიშო ყიფიანის დატუსალების შემდეგ კონსპირაციული კრება მოხდა მხოლოდ ერთხელ. მაშინ გავიგეთ, რომ ყიფიანს ციმბირში გზავნიან და გადაუწყვეტეთ მისთვის გამამხნეველი წერილი გავგეგმავენა. ვაჟას ვთხოვეთ წერილი ლექსად დაეწერა, მან უარი გვითხრა: შეკვეთით ლექსებს არ ვწერო.

1886/7 სამოსწავლო წელს როცა მე მოსკოვის უნივერსიტეტში ვსწავლობდი, დაბრუნდა ციმბირიდან მიშო ყიფიანი; მან გვინახულა მოსკოვის სტუდენტები და გვითხრა: თქვენმა წერილმა ძალიან გამამხნევა... ბოდიშს ვინდი, რომ პასუხი ვერ მოგაწოდეთ თავის დროზედო.

საუბრის დროს მოიგონა თავისი მოწაფეები და განსაკუთრებით ბევრი ილაპარაკა ვაჟაზე. — ჩემ მასწავლებლობის დროს, — სთქვა ყიფიანმა, — მე გადავიკითხე მისი დაუბეჭდავი ხელთნაწერები და დაერწმუნდი, რომ ვაჟა, ორიგინალობის გარდა, ღრმა მწერალია ფილოსოფიური განხრით, როგორც ყოფილი მასწავლებელი, მე ვამაყობ ამ მოწაფის სახელით. ბედნიერი ვარ იმით, რომ ვაჟას ვონებრივ განვითარების პროცესში მეც შევიტანე ჩემი პაწია წვლილიო.

ასეთი მოწიწებით იგონებდა მიშო თავის ნიჭიერ მოწაფეს, იმ დროს უკვე დიდ პოეტსა. საუბრის ბოლოს მიშომ მაჩვენა იოსებ დავითაშვილის წერილი. საბრალო მგოსანი ჩვეულებრივ ჩიოდა თავის ბედზე: არ მიბეჭდავენ ლექსებსაო. ცენზურაც მაწვალებს და რედაქტორებიცაო. ბედნიერი წუთი ჩემ ცნობრებაში იშვიათიაო. ერთი ასეთი წუთი გამოეცადა მაშინ, როცა მოვისმინე ჩემი ძვირფასი ვაჟას შესანიშნავი რეფერატი ბარათაშვილის შესახებო. მეტად შინაარსიანი და ფორმით ლამაზი იყოო.

მიშომ მკითხა: — შენ ხომ არ მოგისმენია ის რეფერატიო? მე ვუპასუხე: — შემთხვევით დავესწარი იმ კრებას. მახსოვს, რომ ვაჟას რეფერატი კალმით აუწერელი შთაბეჭდილება დასტოვა მსმენელებზე.

ყოფიანის თხოვნით მე გადავეცი მას მ. შ. სანიშნავე წიგნს.  
ფერატის შინაარსი.



სიტყვას „შესანიშნავე“ მე ვხმარობ მოწაფის სიტყვით.

საინტერესოა ამ თხზულების ისტორია: რუსული ენის მასწავლებლის დავალებით ვაფას დაეწერა საშინაო თხზულება ასეთი სათაურით: „ლექსი „მერანი“, როგორც ბარათაშვილის მსოფლმხედველობის გამომხატველი“. ყოველგვარი მასალა ბაირონიშვიის შესახებ ავტორს მასწავლებელმა ნოვოსპასკიმ მიაწოდა.

ეს იშვიათი მასწავლებელი იყო. ვაკვეთილების გარდა, როცა პანსიონში მორიგეობდა, მოწაფეებს უხსნიდა ხოლმე სხვადასხვა ლიტერატურულ საკითხებს.

ამ გარემოებამ ის შედეგი მოიტანა, რომ სემინარიის მოწაფენი შედარებით ჩვენთან, ვიმნაზიის მოსწავლეებთან, ლიტერატურულად უფრო განვითარებულნი იყვნენ. მათ უყვარდათ წიგნების კითხვა. ბევრს მათგანს წაკითხული ჰქონდა უკეთესი ნაწარმოებები რუსული და ევროპული მწერლობიდან.

ერთ-ერთი ასეთი განვითარებული მოწაფე ვაფა იყო. მან თავისი პატარა თხზულება, რუსულად დაწერილი, გადააკეთა ქართულად და გააფართოვა.

ამ რეფერატის თეზისები დიდხანს მქონდა შენახული. სამწუხაროდ, ის ფურცელი სხვა ქაღალდებთან ერთად დამჟეკარგა 1906 წელს ჩხრევის და დაპატიმრების დროს. ქუთაისში იმხანად გენერალ ალიხანოვის დამსჯელი ექსპედიცია მშვიდგარებდა...

ვაფას რეფერატს დიდი კამათი არ გამოუწვევია. წარმოთქმულ სიტყვებს უფრო შეკითხვის ხასიათი ჰქონდათ, რაზედაც რეფერენტი გარკვეულ პასუხებს აძლევდა.

ეს ლიტერატურული კრება სემინარიის შენობაში მოხდა, რასაკვირველია, დირექტორ სემიონოვის ნებართვით.

იმ დღეს პანსიონში მორიგედ იყო რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნოვოსპასკი. მან ამ გარემოებით ისარგებლა და კრების დაშლის წინ ოთახში შემოვიდა.

იქ დამხსრე მოქალაქენი და მოწაფეები ფეხზე წამოდგნენ.

ნოვოსპასკიმ მიმართა ვაფას დაახლოებით ასეთი სიტყვებით:

— ძვირფასო ლუკა! კერძოდ შენ და საერთოდ შენს ტოლ-  
ამხანაგებს ამ კრებაზე წრფელ მადლობას გაცხადებთ, ამ წევრ-  
ლისათვის, რომელიც ჩემს წინაშე მივიძღვით.

თქვენ, გამონაკლისს გარდა, დიდის ხალხით ასრულებდით  
ჩემს თხოვნას: სწორდით თემებს ქართულ მწერლობიდან, არ-  
ჩუდით როგორც პოეტურ, ისე პროზაიკულ ნაწარმოებებს. ამ  
საშუალებათ მე ცოტად თუ ბევრად გავეცანი თქვენს ლიტერა-  
ტურას.

მეც გშველოდით შესაფერი მასალების მოწოდებით სხვადა-  
სხვა საკითხების გასაშუქებლად.

აი ამ გარემოებამ ერთმანეთთან შეგვკავშირა, მოსპო ჩვენ  
შორის ოფიციალური დამოკიდებულება.

მე აღტაცებული ვარ ძველი ქართული ლიტერატურით, რო-  
მელსაც ამშვენებენ გენიალური შოთა და ნამდვილი რეალისტი  
დ. გურამიშვილი. რაც შეეხება თანამედროვე ქართულ მწერ-  
ლობას, იგი მე მიმჩნია რუსული ლიტერატურის უძეგროს დად,  
ასეთივე აზრი გამოვთქვი 1882 წელს იმ სადღეს, რომელიც  
კურსდამთავრებულ სემინარიელთა პატივსაცემად გამართა შიშ  
დავითაშვილმა გიმნაზიელ გარსევანიშვილის ბაღში...

ვუსურვებ ორსავე ლიტერატურას წინსვლასა და წარმა-  
ტებას!

გაისმა ძლიერი ტაშის ცემა.

ნოვოსპასკი აბირებდა კლასიდან გახვლას, მაგრამ ვაყას  
თხოვნით იგი კარებთან გაჩერდა.

— ძვირფასო დამრიგებელო! — მიმართა მას ვაყამ: — რუ-  
სული ენის მასწავლებელთა შორის თქვენ იშვიათ მოვლენას  
წარმოადგენთ. თქვენ ხართ პედაგოგი, მრავალი ცოდნით შეიარ-  
აღებული და ამავ დროს მოწაფეებთან გაქვთ ჰუმანიური და-  
მოკიდებულება. ამიტომ ყველას უყვარხართ.

თქვენ დიდი როლი შეასრულეთ ჩვენი განვითარების პრო-  
ცესში. ამას სიკვდილამდი არ დავივიწყებთ. ჩემი ამხანაგების  
სახელით გიძღვნით წრფელ მადლობას.

ამხანაგებო და მოქალაქენო! ვაშა ჩვენს ძვირფას მასწავ-  
ლებელს!

— ვაშა! ვაშა! — გაიმეორა დამსწრე საზოგადოებამ და ყო-  
ველ მხრიდან ტაშისცემა ატყდა.





ასე დასრულდა ლიტერატურული კრება.

ამის შემდეგ გამოვედით სემინარიიდან და ნასიამოვნებას სახლისაკენ გავწიეთ. გზაზე უცებ მომესმა ნაცნობი ხმა. გავჩერდი. ჩქარი ნაბიჯით მომიახლოვდა ვაჟა და მითხრა: — ამ მოკლე ხანში უეჭველად უნდა გორში ამოხვიდე, თუნდა ერთი დღით მაინც. შენს ბინაზე კრება იქნება. ვოლა ჩიტაძემ უნდა წაიკითხოს პატარა მოხსენება ხალხოსანთა ახალი პროგრამის შესახებ. ჩვეულებრივ დელათქვენი ჩვენს კრებას ვახშმით დაავიერგვინებს ხოლმე. ვააურთხილე და ეცადეთ, სტუმრის სახით კრებაზე საექვო პირები არ დაესწრონ, ზომ ხედავ, რა დრო დგება... ჯაშუსები აქაც სოკოსავით გამრავლდნენ. შეიძლება იმ კრებაზე მე ვერ მოვიდე... ვეცდება კი როგორმე დავესწრო.

— რატომ ამბობ ამას? — ვკითხე მე.

— ვწერ მოთხრობას, რომელიც მინდა ჟურნალ „იმედში“ დაიბეჭდოს, თუ მალე გავათავებ, მაშინ მოვალ.

ამ ლაპარაკის დროს იოსებ დავითაშვილიც მოგვიახლოვდა. სახეზე ეტყობოდა, რომ ის მეტად ნასიამოვნები იყო ვაჟას რეფერატით. მან ხელი ჩამოართვა ვაჟას და უთხრა: დიდი მადლობელი ვარ, რომ მომეცი საშუალება შენი სიტყვა მომესმინა.

მე კარგად არ ვიცი და არც გამომიკითხავს, თუ რა შეითვისა დავითაშვილმა ან გაერკვა თუ არა იმ საკითხებში, რომლებსაც ვაჟა შეენო, კარგად მახსოვს მხოლოდ საბრალო მგოსნის გულის სიღრმიდან ამონაკუნესი სიტყვები:

— რა ბედი მქონია, მე ვაგლახს! მე რო მყოლოდა ასეთი მასწავლებელი, როგორცაა სემიონოვი ან ნოვოსპასკი, ბევრ რამეს ვისწავლიდი. ახლა კი რა მეთქმის!

ამ სიტყვებთან ერთად ოსებმა თავი გაიქნია და წაილულ-ლულა: „არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი!“

ვაჟას ძალიან შეეცოდა გლეხი-მგოსანი და ნუგეშად უთხრა:

— ამას რათ ამბობ, ჩემო იოსებ! მართალია, შენ ჩვენსავით სკოლაში არ ვისწავლია, მაგრამ მერე რა? განა ჩვენი კრებები და საუბრები სხუადსხვა თემაზე შენთვის სკოლა არ არის? იცი რას გეტყვი? ჩვენ, მოწაფეები, ასეთ კრებაზე უფრო ბევრს

ვსწავლობთ და ვითვისებთ, ვიდრე კლასებში. მერწმუნე, ძმაო, რომ ამას გულწრფელად გეუბნები.

ამაზე იოსებმა უპასუხა: — მე დიდი მადლობელი ვარ გორას მოწაფეებისა და მათი მასწავლებლებისა, განსაკუთრებით ს. მგალობლიშვილისა, ის ხომ ჩემი ნამდვილი დამრიგებელია, თქვენს კრებებზე მე ბევრი რამ შევისწავლე და გავიგე. რაც მართალია, მართალია! კერძოდ შენი ჩემდამი ყურადღება არასოდეს არ დამავეწყდება. დამიჯერე, ჩემო ლუკავ, რომ ამას მეც გულწრფელად გეუბნები.

ამის შემდეგ გავიდა რემდენიმე კვირა. ჩვენამდე მოაღწია ცნობამ, რომ დატუსაღებული მიშო ყოფიანი უნდა გაეგზავნათ პეტერბურგში. შიო დავითაშვილს კი თბილისში სტოვებდნენ, დავრჩით ჩვენ უხელმძღვანელოდ და ძლივს მოვანერხეთ კონსპირაციული კრების მოწყობა. საადღვომო არდადეგების ბოლოს ვაი-ვაგლანით შესდგა ასეთი კრება ჩემს ბინაზე. ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო. თბილისიდან მოველოდით ანტონ ფურცელაძეს და ცხინვალიდან ნაკო ურბნელს. არც ერთი არ მოვიდა, ამბობდნენ, რომ ჯაშუშებისა შეეშინდათ.

ამ კრებაზე არც ვაქა ყოფილა და არც ბაჩანა.

1883 წელს, იენისის შუა რიცხვებში, ვაჟამ სემინარიის კურსი გაათავა და მიიღო სოფლის მასწავლებლის სახელწოდება.

სემინარიის დირექტორს სემიონოვს ჩვეულებად ჰქონდა ოფიციალური აქტის გარდა სადილის გამართვა კურსდამთავრებულთა პატივსაცემად.

იმ წელს, როგორც ვიცი, ეს არ მომხდარა.

მიშო ყოფიანის დატუსაღებამ და საერთოდ გამეფებულმა რეაქციამ სულიერად ყველანი დასცა, ააშფოთა. ამავე დროს ხმა გავრცელდა, რომ სემიონოვი, როგორც უკიდურესი ლიბერალი, მოხსნილ იქნება სამსახურიდანაო. ეს იყო მიზეზი, რომ სემიონოვს ტრადიციული სადილი იმ ზაფხულს არ გაუმართავს.

სამაგიეროდ ვაჟა-ფშაველას და ზოგიერთი მისი ამხანაგის პატივსაცემად სადილი გამართა ჩემმა ნათესავმა, რომელიც სოფელ ზიდისთავში ცხოვრობდა. ეს იყო ვასო მეღვინეთუხუცესი, გორის ხალხოსანთა ჯგუფის აქტიური წევრი. იგი იღე-



ბდა მხურვალე მონაწილეობას გორის სცენის მოყვარეთა წევრებში და ასრულებდა მთავარ როლებს. გარუვნობით იყო ლამაზი ყმაწვილი კაცი, ახლად წვერ-უღვაშ დაშვეწებული.

ამ დროს ეტლით მობრძანდა ღირექტორი სემიონოვი. ჩვენ ყველანი უფხვე წამოვხტით და ვენახის კარებთან მივეგებეთ. ახალგაზრდობის დანახვაზე ღირექტორს სახე გაუბრწყინდა და მან მხიარული ხმით შემოგვძახა რუსულად:

Друзья, дадим друг-другу руки,  
И смело двинемся вперед...  
Пусть под знаменем науки  
Союз наш крепнет и растет...

— ამ ლექსის გამო, — სიტყვა სემიონოვმა, — ავტორი შორეულ ქვეყანაში გადაახახლეს, მე კი მირჩევენ გორიდან წასვლას მხოლოდ იმიტომ, რომ ახალთაობას ჰუმანიურად ვებყრობი და საზოგადოებას ვემსახურები... ამასაც ავიტანო.

სადილი მოწყობილი იყო ვენახის ბოლოს ერთ დიდ ხეივნის ქვეშ.

იმ დღის გმირებად იყვნენ — ერთის მხრით თვით ჩვენი პურმარილიანი მასპინძელი ვასო და მეორე მხრით სემიონოვი.

შუა სადილის დროს მასპინძელმა მთაბანინა ჭიანური და დიდი გრძნობით ბაათუები დაუკრა. გაისმა ტკბილი მელოდიის ხმა, რომელმაც ალტაცებაში მოიყვანა ყველანი. შემდეგ სამაგალითოდ დაუკრა ლეკურიც. განაღდა ციკვა. გამხიარულდნენ სტუმრები და ვაჟას სადღეგრძელო ხელმეორედ გადაჰკრეს.

ვასო მეღვინეთუხუცესი, ჩემი აზრით, იყო ბუნებისაგან იშვიათი მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული. სამწუხაროდ, მან ვერ მიიღო შესაფერი განათლება, მხოლოდ აბსოლუტური თავისი მუსიკალური სმენა მან გადასცა თავის შვილს ახალგაზრდა კომპოზიტორს კოტე მეღვინეთუხუცესს.

რაც შეეხება სემიონოვს, მან თავისი მჭევრმეტყველური სიტყვებით პირდაპირ მოხიბლა სადილზე დამსწრენი.

„ძვირფასო მოწაფენო და ამჟამად კი ჩემო მეგობრებო! — მიმართა მან კურსდამთავრებულ სემინარიელებს. — ცოდნით შეიარაღებულნი დღეიდან თქვენ ხელა უნდა მოჰკიდოთ საზოგადოებრივ მოღვაწეობას. კეთილი და პატიოსანი! გახსოვდეთ მხოლოდ, რომ მიზნის მისაღწევად მარტო ცოდნა არ კმარა... საჭიროა მასთან ერთად მტკიცე ხასიათის შემუშავება...“

რა არის ხასიათი? ესაა ჰარმონიული, ასე ვთქვათ, შიშველი შარება სამი ფსიქიური ფაქტორისა: გონების, გრძნობებისა და ნებისყოფისა. მტკიცე ხასიათს მოკლებულ მოქალაქეს დასტანჯავს წუთისოფელი — მე ამას ვამბობ ხაზგასმით... ამიტომ გულწრფელად გირჩევთ, ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება მიაქციოთ. განავითარეთ თვითმოქმედების უნარი, მიერევეთ დისციპლინას, სხვებიც ამას მიაჩვიეთ. ეცადეთ ნაკისრა დავალება ზუსტად აასრულოთ და მაშინ... მხოლოდ მაშინ იკრძნობთ სიზარულს, რომელიც გამოიწვევს თქვენში მოქმედებას ხალისსაც... თუ განახორციელებთ ამ დარიგებას, თქვენ იქნებით ნამდვილი სახალხო მასწავლებელნი და არა სოულის მასწავლებელნი, როგორც ეს რამდენიმე წლის წინათ ბრძანა რეაქციონერმა პედაგოგმა მოსალევსკიმ, კავკასიის ოლქის მხრუნველის თანაშემწემ.

— კერძოდ შენ, ჩემო ლუკა! — მიმართა ორატორმა ვაჟს, — გეტყვა იმას, რაც შენთვის ხშირად მითქვამს ბუნებით პიეტო, შენი ტალანტი არ დამარხო. განავითარე გონება, დააკვირდი და შეისწავლე ცხოვრება, იკითხე სხვადასხვა მიმართულების წიგნები და მაშინ შესძლებ, რომ ყოველმხრივ ჩვენი სანამდვილე დაასურათო.

არ დაივიწყო, ჩემო ძვირფასო, ის სკოლაც, რომელმაც შენ აღვზარდა, არ დაივიწყო აგრეთვე შენი კეთილი მასწავლებლებიც და მათ შორის მეც...

აქ შეწყვიტა სემიონოვმა სიტყვა. თვალცრემლიანი მუხებლოვდა ვაჟს და სამჯერ გადაჰკიცხა... დანარჩენებს ხელი წამოართვა. ორმა მოწაფემ დირექტორს ხელზე აკოცა.

ვაჟა-ფშაველამ აღელვებული ხმით ასე უბასუხა თავის საყვარელ დირექტორს:

„ძვირფასო მასწავლებელო, ნიჭიერთ პედაგოგო და იშვიათო ადამიანო! გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ თქვენს ღვაწლს სიკვდილამდე არ დავიანწყებთ... თქვენი სახელი, როგორც სიმბოლო მოწაფეთა გონებრივი წინსვლისა, ჩვენ შორის წმინდა იქნება მარადის. ასეთსავე მაღალ გრძნობას განვიცდით ჩვენ იმ სკოლის წინაშე, რომელმაც აღვზარდა და თქვენი ხელმძღვანელობით კეთილი მომავლისაკენ გზა გვიჩვენა.

მართლაც, ღირსსახსოვარია და წარმტაცი ის აზროვნელი ატმოსფერო, რომელშიც მოწაფეობის დროს ვაჟას უზღვევდა ტრიალი.

## მარინე გოგოლაძე

ვაჟა-ფშაველა ხშირად ჩადიოდა სოფელ მატანში, სადაც მისი მასპინძელი იყო ამ სოფლის მღვდელი — ჩემი პაპა დავით გოგოლაძე. დავითის შვილი ვასო ახლო მეგობარი იყო ვაჟასი. ვასო მასწავლებლად მუშაობდა და ერთ-ერთ განათლებულ კაცად ითვლებოდა თიანეთის მაზრაში.

მამაჩემი ვასო გოგოლაძე ხშირად იხსენებდა ვაჟას. კარგად მახსოვს, მამა როგორ გატაცებით გვიამბობდა: ერთხელ, მატანში ჩვენთან ყოფნისას, ვაჟა მიაჩერდა ბახტრიონს, რომელიც ჩვენი აივნისაგან კარგად ჩანდა. ერთხანს იდგა გაჩუმებული, შემდეგ გამოველაპარაკე, ვიცოდი, რომ ვაჟა უშედეგოდ არ იდგა ჩაფიქრებული. შემდეგ თვითონვე ჩაილაპარაკა: „აი ჩემი ბახტრიონი“, მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: ამ ბახტრიონზე ერთი კარგი აზრი მომივიდა, რაღაც მინდა გავდექსო და „ბახტრიონი“ უნდა დავარქვაო. იმავე დღეს ვაჟამ ჩვენს აივანზე პოემის სქემა შეადგინა. ამის შემდეგაც მატანში რომ ჩამოვიდოდა, მთელი საათობით იჯდა ჩვენთან აივანზე და პოემა „ბახტრიონს“ წერდა.

არასოდეს დამავიწყდება ერთი ღამე: — ქარი ჰქროდა, ბნელი ღამე იყო, უცრად შემოგვესმა ცხენის ფეხების თქარათქური, რომელიც ჩვენი ეზოს კარებთან შეწყდა. კარების რახუნზე მამაჩემი ეზოში ჩავიდა. შემდეგ მამაკაცის ლაპარაკის ხმაც შემოგვესმა. ჩვენ გაკვირვებულნი ვიყავით, ვინ უნდა ყოფილიყო ასეთ საშინელ ღამეში. და, როცა მამაჩემმა ოთახში ვაჟა შემოიყვანა, ჩვენს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, მთელი ოჯახი ფეხზე დადგა. ვახშმის შემდეგ ვაჟა დასაწოლად ცალკე მოვათავსეთ, ძალიან დაღლილი იყო, მაგრამ დაწოლაზე უარი ვკითხრა. ჯერ ვერ დავწვები, ხაწერი მაქვსო. ხურჯინიდან ქაღალდები ამოიღო, შავიდას მიუჯდა, მაგრამ ვერ მოისვენა, ისევ

წამოდგა, და ოთახის კარი გამოაღო, აივანზე გავიდა, მც-გვ-  
ყვე აივანზე, თან გულში შეცინებოდა, ვიცოდი, ~~ბახტრიონის~~  
სათვის უნდა გადაეხედა, მაგრამ რას დაინახავდა, ბახტრიონა  
ღამის წყვდიაღში იყო გახვეული. ვაჟა მოაჯირს დაევრდნო.

„ქარი ქვითინებს, დრუბელთა  
ზარი თქვეს შესაზარები“.— ჩაილაპარაკა ვაჟამ.

და ჩვენთვის გასაგები იყო, რომ ეს ნახევარი სტროფი  
გკუთვნოდა პოემა „ბახტრიონს“. მეორე დღეს შზიანი დილა გა-  
თენდა, საუზმის შემდეგ ვაჟამ ისევ აივანს მიამშურა, მოაჯირ-  
თან მოთავსდა და კიდევ წერდა, შემდეგ ჩავიდა ეზოში, ცხენა  
მგზავრობისათვის მოამზადა, დავემშვიდობა და თელავისკენ  
გასწია. ჩვენი სახლის აივანს ვაჟას აივანი შევარქვით.

ვაჟა-ფშაველას შესახებ მაშის ნაამბობიდან განსაკუთრებ-  
თ კიდევ ერთი ამბავი დამამახსოვრდა: ერთხელ მატანში ჩამოხუ-  
და ვაჟამ მითხრა: ვასო, ამოდი ჩარგალში და ხოლში ვინადიროთ.  
დათქმულ დღეს ვაჟას ვესტუმრეთ თეთრი არახული ცხენით,  
რომელიც ვაჟას ძალიან მოსწონდა და თვითონვე „მერანი“ შე-  
არქვა. ვაჟა მულოდებოდა და ჩემი დანახვა ძალზე გაუხარდა:  
ვიცოდი, ამოხვიდოდი და გუშინ სათევზაოდ ვიყავი, ბერი  
კალძახი დაუჭირეთ. კარგად ვისაუზმეთ, სანადიროდ მოეშა-  
დეთ და გზას გაუუღვიეთ. ვაჟამ მითხრა,—მოდი, ზენა სოფელ-  
ში ავიაროთ, ჩემ ნათლიმამას დავეხმარებები, იქნებ წამო-  
ვადეს, კარგი ნადირობა იცისო. ნათლიმამა შინ არ დაგვხედა  
ვაჟას ძახილზე ქოხიდან გამოვიდა ფეხშიშველი გოგო, ასე  
15-16 წლის იქნებოდა — ეს ვაჟას ნათლული იამზე იყო, ძალიან  
ღამაში გოგო, მართლაც, მწვანე ბლახზე მოსეირნე კაკაბს  
ჰგავდა. ვაჟა ნათლულს გამოელაპარაკა: მამაშენი სად არისო.  
შემდეგ შემატყო, რომ გოგო მომეწონა და მომიბრუნდა — კარ-  
გი ნათლული მყავს, არაო?! თან უბიდან ძველი რვეული და ფა-  
ნქარი ამოიღო, ჯირკვზე ჩამოჯდა, მე მეორე ჯირკვზე მიმიით-  
თა, დაჯექი, ვასო, ცოტა მუხლი შევასვენოთო. ვაჟამ მუხლს  
შესვენება მოიმიზეზა, მაგრამ სინამდვილეში ნათლულმა ლქ-  
ისის მუხა მოჰგვარა, დაავიწყდა, რომ სანადირო აღვიღამდე გ-  
რვა მანძილი გვიქონდა გასავლელი. რვეული მუხლზე დაიდო,  
ერთხანს წერა, შემდეგ წამოდგა, რვეული გამომიწოდა და მი-

თხრა: აჰა, ნახე, ჩემ ნათლულს როგორი ლექსი დაუწერია  
მე ხმამაღლა წაეკითხე:

„ქალო, გნახე ფეხშიშველა  
გამოპოვდი ეზოშია.  
გენაცვალე, კაკაბს ჰგაუდი  
მოსეირნეს ფერდობშია.  
ვისი ძუძუ ვიწოვია,  
იისა თუ ვარდისაო?  
გენაცვალე, შავ თვალ-წარბაჲ,  
გულა ჩემის დარდისაო“...

გოგო მიხვდა, რომ ლექსი მასზედ იყო დაწერილი, დარცხ-  
ვნილი შეტრიალდა, ქოხში შევარდა, კარები ჯერ მოხურა,  
შემდეგ ოდნავ გამოაღო და შექებით ნახიამოვნები ღიმილით  
გვითვალთვალეზდა.

ჩვენ ტყეში წავედით. იმ დღისით ტყიდან ნანადირევით საე-  
სე დავბრუნდით. ვაჟამ სთქვა: ჩემმა ნათლულმა კეთილი თვალი  
გამოგვაფოლა და ასე გულუხვად იმიტომ ვინადირეო.

ამ ლექსს შემდეგ ვაჟამ „სანეფოს სიმღერა“ შეარქვა და და-  
ბოლოებაც შესაფერისი გაუკეთაო, — ამბობდა მამა.

ვაჟას სიკვდილის შემდეგ მამამ რამდენჯერმე ინახულა ვა-  
ჟას მუხლზე. თამარმა ერთ-ერთი შეხვედრის დროს მამას სი-  
ნანულით უთხრა: „ეჰ, ლუკა ხშირად მოულოდნელად მიანებებ-  
და საქმეს თავს, დაჯდებოდა და წერას დაიწყებდა. მე ჯავრი  
მომერეოდა და ვეტყოდი: ოჯახის საქმეს თავს ანებებ და მაგ  
ეშმაკის საქმეს მიუჯდება ხოლმე-მეთქი. მომიბრუნდებოდა  
და მეტყოდა: შე საცოდაო, რომ მოუკვდები, მერე ვაიგებ ჩემ  
ფასსაც და იმასაც, თუ რასაც ვჯდაზნიო.“

## ივანე პოპელაური

ჩემი ქრესტომათიების — „ქართველი მწერლების“ — მეოხე-  
ბით დიდ ვაჟას კარგად ვიცნობდი. ამ ქრესტომათიის პირველ  
წიგნში პირველ ადგილას ყოველთვის იბეჭდებოდა მისი „შვილის  
ნუკრის ნაამბობი“.



„ქართული მწერლების“ პირველსა და მეორე გამოცემაში მოთავსებულ ვაჟა-ფშაველას თხზულებებში მისი მართლწერა იყო დაცული, მაგრამ მესამე გამოცემაში, უმთავრესად ჩვენა გრამატიკოსის — სილოვან ხუნდაძის გაკლენით, ზმნისხართებს ბოლოზე „თ“ დავაბეჭდინე „დ“-ს ნაცვლად.

ეს გარემოება შეუნაშნავი არ დარჩა ვაჟას და ერთხელ, როდესაც თბილისში შემხვდა, დაბეჯითებით მითხრა:

— ვანო, მე თქვენ ვთხოვთ, ჩემს მართლწერაში ცვლილება ნუ შეეკატვთ, — და დაასახელა სწორედ ზემოხსენებული მაგალითება. მე აუუხსენი მიზეზა, თანაც ბოდიში მოვიხადე და შევპარდი, რომ შემდეგში თქვენი სურვილი შესრულებული იქნება-მეთქი.

— მეორე წიგნშიც არის შეცდომა, — განაგრძო ვაჟამ, ლექსში „აკაკის საიუბილეოდ სწერია:

„რომ გივვარს მამულიშვილი,  
დეე იოლდეს ყველამა!“

მე კი მიწერია:

„რომ მივვარს მამულიშვილი“

მაგრამ ეგ კი თქვენი ბრალი არ არის: გაზეთებში ყველგან მაგრე იყო დაბეჭდილი.

შემდეგ გამოცემებში, რასაკვირველია, იბეჭდებოდა ისე, როგორც ვაჟას ჰქონდა დაწერილი.

ვაჟას ლექსებსა და მოთხრობებში ბევრი მისთანა სიტყვება ვვხვდება, რომელთა ახსნა-განმარტება არც ერთ ქართულ ლექსიკონში არ იყო. ამიტომ მე იძულებული ვიყავი, თვით ვაჟასთვის მიმემართა ამ სიტყვების ახსნისათვის და კიდევაც გაუგზავნე ჩარგალში ვაუგებარი სიტყვების სია. ვაჟამ ყველა სიტყვას მიუწერა ახსნა-განმარტება და გამომიგზავნა პატარა წერილითურთ. დიდხანს ვინახავდი ვაჟას წერილს; შემდეგ ეს წერილი დამიკარგეს. ძალიან შემაწუხა ამ გარემოებამ, მაგრამ იმით ვნუგეშობ, რომ ვაჟას მიერ სიტყვების განმარტებანი დარჩნენ ჩემს ქრესტომათიებში.

\* \* \*

ვაჟა-ფშაველა წვრილშვილი კაცი იყო. ამის გამო, უაპყნალოა, განიცდიდა ხელმოკლეობას, მაგრამ ამის შესახებ არას-





დროს სიტყვა არ წამოსცდენია... მხოლოდ ერთხელ, ეს იყო 1906 წელს თუ 1907 წლის დასაწყისში, — კარგად არ მახსოვს, — მითხრა:

— ძალიან გამიჭირდა ცხოვრება, წვრილშვილი კაცი ვარ... გადავწყვიტე, სამსახურში შევიდე... „მომრიგებელ-შუამავლის“ თანამდებობას მაძლევენ. ეს სამსახური კიდევ იმით არის კარგი, რომ ხალხთან შექნება საქმე, ხალხთან ვიქნები დაახლოვებული და მათთვის მეტი სარგებლობის მოტანა შემეძლება... პატარა გამოცდის ნაბარებაა საქმარო, მაგრამ ეგ არაფერია... მაგას მოეახერხებ...

გავიდა რამდენიმე თვე ამ ლაპარაკის შემდეგ. ისევ შემხვდა ვაჟა და, რასაკვირველია, მაშინვე შევეკითხე მისი სამსახურის შესახებ.

ამაზე ვაჟამ თავისებური რიხითა და დაბეჯითებით მიპასუხა:

— გადავიფიქრე! რაღა დროს ჩემი ჩინოვნიკობაა! გადავწყვიტე, ვიცხოვრო ისევ ისე, როგორც აქამდის მიცხოვრია...

მან კიდევაც შეასრულა ეს.

### გორელი (სულაკოვი)

ლუკა ჩამოვიდა გორში და „მიეზარა“ სამოსწავლო სემინარიაში 1879 წელს. იმ დროს ქართველი ხალხის სხვადასხვა ტომთა შორის მიმოსვლა ჯერ კიდევ არ იყო განვითარებული.

მთაულ ხალხს, გარდა ოსებისა, ჩვენ ჯერ არ ვიცნობდით. ტყაბუჭში ვახვეულ თუშ-ფშაველ-ხევსურელებს თბილისში თუ შეხვდებოდა ვინმე, თორემ, აბა, გორში იმათ ეინ ნახავდა. ამისთვის არ არის გასაკვირველი, რომ ვაჟა-ფშაველას სემინარიის ეზოში შემოსულამ ყველა იქ მყოფი ახალგაზრდა მოსწავლე გააკვირვა და დააინტერესა. ჩვენ ბლუზოსან, სიცოცხლით სავსე აფიჯივებულ ჯგუფს შემოგვიერთდა მოკლე, ამტვერებულ ჩოხაში, წინდა-პაიჭებში და ჩუსტებში გამოწყობილი ჯირკვაცანიანი, განიერ მხარ-ბეჭიანი ყვითელ-თვალეზბრიალი. შეე

6. მოგონებები გარდასულ დღეთა

წარბებ აწეულ-ამშუსნული, დიდ ხელებიანი „ვაჟა“ მისჯურნი და აწეწილ ქოჩორს „ამშვენებდა“ ზედ კეფაზე მიმჯღაღრო თუ-შურ-კახური, პაწია მრგვალი ნაბდის ქუდი.

„შენი კვნესა-ა-ამე! — წამოაყრანტალა ერთმა მოუსვენარმა ამხანაგმა.

ფშაველამ მრისხანედ გადასედა მასხარა მასპინძელს და ამით დაიკმაყოფილა თავის აძგერებული გული.

სემინარიის მაშინდელი დირექტორი, აწ განსვენებული და ყველა მოწაფის საყვარელი სემიონოვი მეტის გულწრფელობით დახვდა გორში მოსულ მთიულს და თუმცა ლუკა ვერ იყო საკმაოდ მომზადებული /აბა, სად და ვინ მოამზადებდა?, მაგრამ მიღებულ იქნა სემინარიაში.

მე არ მახსოვს, რომ სემიონოვს გაებრუნებინოს მიუღებლად შორიდან მოსული სწავლა-განათლების მძებნელი ახალგაზრდა, ჩამოდიოდნენ მასთან აფხაზი, ინგილო, ჩერქეზი, ყირგიზიც კი და ყველა ესენი ვკრობოდნენ ამ მაღლიანი პედაგოგის გულს.

აცხონოს ღმერთმა ნეტარ-ხსენებული სემიონოვი!

გაიხსნა სემინარიის პანსიონი, დაიწყო სწავლა. ლუკას შავი ბლუზა და ვიწრო შარვალი ჩააცკევს, ვრძელი პალტოც შეუკერეს, თეთრი, ბრჭყვიალა ფოლაქებით. ამ არაჩვეულებრივ ტანახამოსს ლუკა ვერ ითვისებდა, მუდამ იშმშუსნებოდა, მაგრამ რა გაეწყობოდა — შურვიგდა როგორც იყო, მალ-მალე კი ჩიოდა ხოლმე: „რა ვქნა, ეს ოხერა ბლუზა სარტყელიდან ხულ იღლებში შეჩაჩებაო“.

პანსიონში ყოფნას ფშაველა ვერ ურიგდებოდა და თავისუფალ დროს სულ გარეთ იწვევდა, ახლო-მახლო სოფლების და ვორაკებისაკენ. აქ, დაღვრემილი ლუკა გამოცოცხლდებოდა ხოლმე და არაუვის დაუთმობდა პირველ ადგილს ჭიდაობასა და ცეკვა-თამაშში.

სასწავლებელში. კლასში თუ მოსამზადებელ ოთახში, ლუკა თავის მოვალეობას რიგიანად ასრულებდა, მაგრამ სულაც არ ცდილობდა მაღალი ხარისხის ნიშნები მიეღო მასწავლებლებისაგან. ხშირად, ვაკვეთილების დროს, ან თავისუფალ წუთებში, როდესაც მოწაფეები ერთ ალიაქოთს ასტეხამდნენ ხოლმე, ლუკა ჩაფიქრდებოდა და უცბად ამოიღებდა ჯიბიდან პატარა რვეულს, მიჯდებოდა კუთხეში, ან პანსიონის ბაღის ნიგვზის

ხას ქვეშ და დაიწყო ზეპირ-ზეპირად წერას. რას სწერდა — ეს იცოდნენ მხოლოდ ლუკასთან დაახლოვებულმა ამხანაგებმა მძღვეში კი გამოთარგმნა, რომ აქ, სწორედ ამ ნიგვზის ხას ქირში, მშვენიერ მუზამ პირველად დაპკოცნა კლდე-ხეობების მომავალი მომდერალი, რომ აქ დაიბადა საქართველოს დიდი პოეტი...

ამ დროს გორის სემინარიაში სემიონოვის მეოხებით დაარსდა ქართული ენის სავალდებულო შესწავლა რუსებისათვისაც კი. ჩვენ, მოსწავლეები, თავისუფლად ვიძენდით და ვკითხულობდით ქართულ გაზეთებს და ქართველ მწერლების ნაწარმოებებს. შესაფერ გულმოდგინებით მიუძღოდა ამ ახალს და მისთვის ძნელ საქმეს მაშინდელი მასწავლებელი არისტო ქუთათელაძე, შემდეგ კი — მისი მოადგილე მიშო ყიფიანი. რაღა თქმა უნდა, ლუკა ამ საგანში წარჩინებულ მოწაფედ ითვლებოდა და არისტოს თავის მახლობელ პირად ევსულებოდა.

მოუთმენლად მოელოდა ხოლმე ლუკა ზაფხულის ვაკაციებს. ის სხეულით გორში სცხოვრობდა, უღმობველ სწავლას იტანდა, ხოლო სულით და გულით ის მუდამ თავის მთებში იყო. გათავდებოდა თუ არა სწავლა, ლუკა ფიცხლად გასწევდა ხოლმე სამშობლოსაკენ, ხანდახან ფეხით, ღუშეთის მოკლე ვზახედ. შემოდგომაზე დაბრუნდებოდა ხოლმე გაშავტყავებული, გამაგრებული ჯანით და დაფლეთილი ტანისხამოსით.

## ივანე ბორჯაბაული

ერთხელ ვაჭასთან შევიარე. საკითხავი წიგნი ვთხოვე. ვაჭამ „ბახტრიონი“ მომცა და მითხრა, მისთვის ერთი დღე მეხნა. მე შევპარდი და მეორე დღეს, მართლაც, შევუდექი ხენას სულაკურდელეთ მამულში.

დავიკვალე შარაგზის თავიდან და დღის ბოლოს სულაკურდელეთ ციხის თავამდე გადავედი. კარგი ხარები მყავდა და გულიანადაც ვხანა.

სამხრობას მოვიდა ვაჭა, სამხარი მომიტანა ცხენით. ვუთა-

ნი გამომართვა, თვითონ დაიჭირა. რაღაც მიზეზი დასდო და მერტოვა დაუწყო. ქუსლში სოლები გაუკეთა და გასწორდა. მერტოვა გუთანი გამიმრუდა. იმას კი ეგონა, კარგად მართავდა.

მე შევატყვე, რომ გუთანი აირია, მაგრამ ხათრით ვეღარაფერი ვუთხარა, ვიცოდი, ეწყინებოდა. თვითონ კი თქვა: — გუთანი ვერა გქონდა კარგად გამართულიო და დაბრუნდა შინ.

საღამოს ამოვიდა. ცხენით ამოიტანა სათესლე მარცვალი. თვითონ დათესა.

დაფარცხვაზე მე დამიხმარა. დაჯდა ფარცხზე. საღამომ რომ მოატანა, მე, გუთანი შინ წამოვიღე. თვითონაც შინ წავიდა და დამიბარა: — ამალამ ჩამოდი და ფული მიიღეო.

მაშინ ხენა მანეთი ან ექვსი აბაზი ღირდა. მეც ვიფიქრე: ამ ერთი ღლის ხენაში ან მანეთს, ან ექვს აბაზს მომცემს-მეთქი. როდესაც ჩავედი, მკითხა: რა გერგებაო? მე ვუთხარი: ღლეში ხენა მანეთიც და ექვსი აბაზიც ღირს და რასაც მომცემ, შენ იცი-მეთქი. შენ არ იცი, რა გერგებაო? — მითხრა ვაჟამ, ამოიღო ხამი მანეთი და მომცა. მაგ მამულს სხვები ოთხი ღლევ ვერ მოხნავდნენ; წადი, ხეირი ნახეო.

ჩემს ბავშვობაში მალაროსკარის სკოლაში ვსწავლობდი და ჩვენი სოფლიდან რომ ვინმე ჩამოვიდოდა, მიხაროდა. განსაკუთრებით ხასიხარულო იყო ჩემთვის ვაჟას ჩამოსვლა. იგი მამაჩემის მეგობარი იყო და მეც ყოველთვის კარგად მექცეოდა. როგორც ბაღს — ხან კამფეტს მიყიდდა, ხან ფულს მანუქებდა. მეც უკან დავეღვევებოდი ხოლმე.

ერთხელ, ლუკა რომ ჩამოვიდა მალაროსკარში, ბოქაული ხანდრო ოზიევი იყო მოსული. კანცელარიაში ავიდა ბოქაულთან. მეც უკან ავეყვი. ოზიევი მიეგება ვაჟას, ხელი ჩამოართვა. დაიწყეს რუსულად ლაპარაკი. მე არ მესმოდა ამათი საუბარი.

ვაჟა უცებ რაღაცაზე გაბრაზდა და ბოქაულს სილა გაართვა. ოზიევი მაგიდაზე დაეცა და ნაპირის ფიცარი ჩაამტვრია. მაშინ ბოქაულმა მცველებს უბრძანა: დაიჭირეთო!

ვაჟამ იძრო ხანჯალი და განზე გადაა. მცველებს მიმართა თავისებური, ამაყი რიხიანი ხმით: ხელი არ გაანძრიოთ, თორემ თქვენი სისხლით შევლებავ ამ იატაკსო! მცველები შეშინდნენ და უკან დადგნენ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვაჟამ და ოზიევმა ისევ რუსულად

დაიწყეს ლაპარაკი. დიდხანს ილაპარაკეს, მერე ვაჟა კიბით მოვიდა კანცელარიიდან ძირს, შეუჯდა ცხენზე და გასწია წარგლისაკენ.

მამაჩემის სიცოცხლეში ვაჟაც, ბაჩანაც, მათი ძამა პავლე მღვდელიც ხშირად დადიოდნენ ჩვენსა. ვაჟას არც მამაჩემის სიკვდილის შემდეგ მიუტოვებია ჩვენთან სიარული. მოვიდოდა, ამბავს გვკითხავდა: როგორ ხართ, ხომ არავინ გჩაგრაუთო? და ისე მალე წავიდოდა.

ერთხელ, ვაჟამ შეაფხოდან ჩამოგვიარა. დედაჩემს ჭერში გამხმარი საქონლის ფერცხლები ჰქონდა ქვაბში ჩაყრილი და ხარშავდა შუა ცეცხლზე.

— ვაიმე, მახლო, პურიოთ გშიან, ნამგზავრი ხარ, ხორცი რაიმ ჩაყვარე, სირცხვილით, აბა, რარიგა მოგიტანო. შენ აროთ იკადრებ დამხმარ ძვლებსა.

— არა, რძალო, შე სწორედ შებოლილი ძვლები მიყვარს, შენ ეგ მოიტანე და თუ დაშხალი ხაჭოცა გაქვს, ისიც მოიყოლე! — უთხრა ვაჟამ.

დედაჩემმა ორივე მიუტანა. ვაჟა გულაიანად შეექცა. იმან უკადრისობა არ იცოდა. უყვარდა თავისი ხალხი და უბრალო, სადა აღამიანი. არ უყვარდა ამპარტაენობა და უთავბოლო სიამაყე.

ვაჟას ფანქარი და ქაღალდი მუდამ ჯიბეში ედო; როცა რამე საინტერესოს დაინახვდა: წყალს, ქვას, ხეს, კლდეს, მთას ან სხვა საგანს, ამოიღებდა უბის წიგნაკს და ჩაიწერდა.

\* \* \*

ვაჟა ფშავ-ხევსურეთის ადგილს ედავებოდა ხელმწიფეს. ის ამტკიცებდა, რომ ფშავ-ხევსურეთის მიწა-წყალი ვრეკლე მეფემ აჩუქა ფშაველებს, ხევსურებს და მათ ეკუთვნისო. იგი ხალხისაა, მეფის რუსეთს და მის ხაზინას არავითარი უფლება არა აქვს ბაჟი აიღოს ამ ადგილებიდანაო. დაიწყო ამის შესახებ დავა. ამ პრძოლაში ვაჟამ გაიმარჯვა და მთიელებს დაუსაკუთრა თავისი მიწა-წყალი. მდინარე შარახეულიდან ბორბალოს მთამდე დააწესა მინდვრებისა და ტყეების დაცვა. საყარაულო ნიშნებიც შემოიღო. ეს ნიშნები თვითონ დაგვაკრა ქანძისთავით მე და პავლე ბასილის ძე რაზიკაშვილს.



მე ჩამაბარა მთის ყარაულობა, სოლო ბაელებს — ტყვას და ცეცხლს. ნიშნები — თხუცუთხა და ნაღისოდენა იყო. შესახედდავად მუტად უშნო. სოფელში დაცივნა და გვიწყეს. ჩვენ კი, როგორც ახალგაზრდებმა, დაცივნა ვერ ავიტანეთ. შევიხსენათ ნიშნები და ჯიბით ვატარებდით.

შეხვედრისთანავე ვაყამ ნიშნები მოგვთხოვა. ხედ რომ აღარ გვეკეთა, გავვიბრაზდა, ჩამოგვართვა ნიშნები და თითო-თითო სილაც გვითავაზა: თქვენ ამის შნო არ გქონიათ! ნიშნები ჩაილაგა ხურჯინში და არ ვიცი შემდეგ ვის გადასცა.

### მზახე და ვითიანი

სასწავლო წლის დამთავრების შემდეგ, 1915 წლის ივნისის პირველ რიცხვებში, ბორჯომიდან თბილისში ჩავედი მასწავლებელთა ყრილობაზე დასასწრებად.

მატარებელში ვავიგე ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობის ამბავი, ძალიან შევწუხდი. ჩაფიქრებული მოვდიოდი გოლოვინის /ახლა რუსთაველის/ პროსპექტით. არტისტული /ახლა რუსთაველის სახელობის/ თეატრის ახლოს დავინახე ჩემი ყოფილი მასწავლებლები — ცნობილი მთარგმნელი და ქართული ენისა და ლიტერატურის კარგი მცოდნე ტიგრან ფირუშიანი და ხემინარიის მასწავლებელი, შემდეგ გამოჩენილი რეჟისორი სტეფანე ქაფანაკიანი.

ტიგრან ფირუშიანმა უბიდან ამოიღო რვეული და დასაბეჭდად გამზადებული თარგმანიდან — „შვილის ნუკრის ნაამბობი“ წავვიკითხა ნაწყვეტები.

ამ დროს მოგვიახლოვდა ცნობილი პოეტი ოვანეს თუმანიანი, სახე გაფითრებული ჰქონდა, შუბლი შეკრული, ეტყობოდა, ღრმა მჭმუნვარებით იყო მოცული.

— რა ამბავია, ოვანეს, რადა ხარ დაღონებული? — შეეკითხა ქაფანაკიანი.

— ვაჟას სანახავად ვიყავი, რა ნიჭი, რა ადამიანია განწირული, ძალზე მძიმე მდგომარეობა აქვს, ალბათ, დიდხანს ვერ



იცოცხლებს, აფხუს, ათასჯერ აფხუს კაცო. საქართველოს, ქართველ ხალხს და არა მარტო ქართველ ხალხს, ვაჟა-ფშაველას დაკარგვით სხვებსაც დიდი დანაკლისი ექნება, დაკარგავთ ისეთ პოეტს, რომლის მსგავსი შოთა რუსთაველის შემდეგ არა გვეოლია. შვედი ავადმყოფთან, გადმოძხედა არწივისებური ბასრი თვალებით, გამიღიმა, შევატყვე, რომ ჩემი მიხვლა ესაიამოვნა, ხელით მანამა, დავმჯღღრიყავი იმის სასთუმალთან. ღაპარაკი უმძიმდა, მაინც ვისაუბრეთ ომის საშინელებაზე, სომეხი ხალხბაღში მიყენებულ ზიანზე, ქართველ-სომეხთა მეგობრობაზე. ვაჟა-ფშაველა მხველობდა საღად, ლოგიკურად. სიამოვნებით ვუსმენდი, დაიღალა, ავდექი, გამოვემშვიდობე და ღრმა განცდებით დავშორდი.

ო. თუმანიანის და ს. ქაფანაკიანის წახვლის შემდეგ ტ. ფირუმიანმა მითხრა:

— დღეს უკვე დავკვიანებულია, ხვალ მასწავლებელთა ყრილობის მუშაობას დამთავრების შემდეგ წავიდეთ ავადმყოფის სანახავადო.

შეორე დღეს ორივენი მივედიტ მღვთის ქუჩაზე მღებარე № 9 ხანლში ხანდრო რაზიკაშვილის ბინაზე, სადაც იწვა ავადმყოფი ვაჟა-ფშაველა.

ოთახში და გარეთ აუარება ხალხს მოეყარა თავი, ჩარვლიდანაც ჩამოსულიყვნენ მწერლის თანასოფლელები.

ჩვენ მაგვიწვიეს ავადმყოფთან, შევედიტ, მივესალმე, ვაჟამ თვალები შემოგვანათა, გავვიღიმა. ტ. ფირუმიანმა რამდენიმე ნაწყვეტი წაუკითხა სომხურად, „შელის ნუკრის ნაამბობიდან“, ესაიამოვნა, „რა ადვილი ენა ყოფილა სომხურიო, ყველაფერს მიუხვდიო“, წამოიძახა ავადმყოფმა.

დადხანს არ შეიძლებოდა ავადმყოფის შეწუხება, გამოვემშვიდობეთ, გამოვედიტ გარეთ, რათა მასთან შესვლის საშუალება მიგვეცა სხვებისთვისაც.

1907 წელს სამფეროპოლიდან საქართველოში დაბრუნდი... რამდენიმე ხნის შემდეგ დამნიშნეს რუსული ლიტერატურისა და სიტყვიერების თეორიის მასწავლებლად თბილისის სასულიერო სემინარიაში და მეც შევეუდექი სამსახურს.

დროებით საცხოვრებლად გადავედი ჩემი სემინარიელი ამხანაგისა და მეგობრის ილო აგლაძის ოჯახში...

...ილოს ოჯახში მოდიოდა თითქმის თბილისის ყველა გაზეთი, ქართულ და რუსულ ენაზე. მე მათ ვათვალიერებდი და ვკითხულობდი მხოლოდ სამუშაოდან დაბრუნების შემდეგ. ჩემსა და ილოს დაბრუნებამდის დიასახლისს ოღლას, რომელიც იმეამად არ მსახურობდა გოგონას შეძენის გამო, უკვე ყველა გაზეთი გადათვალიერებული ჰქონდა და გვირჩევედა, ესა თუ ის წერილი, მოთხრობა ან ლექსი წაგვეკითხა. უნდა ითქვას, ოღლა ნამდვილი ინტელიგენტი ქალი იყო და კრიტიკულ აზლსაც იჩენდა...

ერთ დღეს, სადილობისას, ოღლამ მაგიდიდან აიღო „სახალხო გაზეთის“ ახალი ნომერი და ალგზნებულად წაიკითხა ვაჟას მოზრდილი ლექსა „პასუხი ჩემს ძმას ბაჩანას“, რომელშიაც ვაჟა არ ეთანხმებოდა თავის ძმას რაღაც პოლიტიკურ, ერთნულ საკითხში. ლექსის წაკითხვის შემდეგ ოღლამ თქვა:

— მართალია, ეს ლექსი წმინდა ლირიკული ნაწარმოებია არ არის, მასში ჭარბობს მსჯელობა და პუბლიცისტიკა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მშვენიერია, მომხიბვლელი! ვაჟას ბადალი პოეტი დღეს ჩვენ არა ვკვავს...

— ბ-ნო იპოლიტე, — მომმართა მე ოღლამ ვაჟას ალგზნებული პანეგირიკის შემდეგ, — მე გუშინ საბოლოოდ გადავწყვიტე, ჩემი პატარა გოგონა — მარო ვაჟას და თქვენ მოვანათვლინოთ. ვაჟას, როგორც ჩემს საყვარელ პოეტს და თქვენ, როგორც ილოს სიყრმის მეგობარს.

ნათლობის დღეც დანიშნა.

ვაჟა ერთი დღით ადრე ჩამოვიდა.

ილოსთანაც მისულა „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. ნათლობა საღამოს რვა საათზე იყო დანიშნული, მოვიდნენ დაპატივებული სტუმრები: ვრ. რცხილაძე („ზანგი“), სამს. ფირ-



ცხალავა („სიტყვა“), არჩ. ჯაჯანაშვილი, ვახ. მუსხელიშვილი  
(შემდეგში ექიმი, პროფესორი).

მოვიდნენ „ივერიის“ ყოფილი თანამშრომლები. ჩიორა (ახ-  
ნაზაროვი), ია ეკალაძე, ივ. ახალშენიშვილი, ალ. სოლოლაშვი-  
ლი და სხვები. მოვიდა ცოტა მოგვიანებით და ცოტა ნახვამი  
ვაჟა-ფშაველა. ვაჟასთან ჩამოსვლისთანავე მიჭრილან შიო  
მღვიმელი, ია ეკალაძე და შიო არაგვისპირელი, ქოსების ხარ-  
დაფში შეუპატიჟნიათ და ბახუსისათვის სახელდახელოდ მსხვე-  
რპლი შეუწირავეთ. შევნიშნე, რომ ვაჟას სოციალ-ფედერალის-  
ტების ლიდერები დიდი პატივისცემით და ყურადღებით მიე-  
სალმნენ. ვაჟას მათ დანახვაზე მაინცდამაინც დიდი აღფრთო-  
ვანება არ გამოუხატავს, ცალკე მიჯდა და არც ერთ მათგანთან  
საუბარი არ გაუმართავს.

მე და ია ეკალაძე ერთად ვისხედით. ფედერალისტებს მე კა-  
რგად არ ვიცნობდი. ია ეკალაძემ ჩუმად მითხრა:

— ხომ ატყობ, ვაჟა ფედერალისტებს ებუტება, მათთან ლა-  
პარაკიც კი არ ხურს.

— რატომ — ვკითხე მე.

— იმიტომ რომ, როგორც ილიას, ისე მასაც არ მოსწონს  
მათი ორმაგი პოლიტიკა, ორ სკამზე ჯდომა.

ვაჟას ჩვეულებრივი ჩოხა ეცვა. ჯანმრთელად, ბრვე ვაჟკა-  
ცად გამოიყურებოდა. მის სახეს ის საშინელი დაღი არ ემჩნე-  
ოდა, რაც შემდეგ საშინელმა ხენმა — ციმბირის წყლულმა დაა-  
მჩნია. მხიარულად მაინც არ იყო. ჩაფიქრებული იჯდა. დაიწყო  
ნათლობის პროცესი.

მღვდელმა ემბაზთან ერთად დაგზავნა. მსგავსად ვაჟასი,  
მეც ბრვე ვაჟკაცი ვიყავი. ვაჟამ პარველად არ მომაქცია ყურა-  
დღება და ჩუმად ჩამილაპარაკა:

— ახალგაზრდა ყურნალისტო, ზოგი რამ მათხრეს თქვენს  
შესახებ, რატომ არ შევხვედრივართ ერთმანეთს სადმე?

— აქ არ ვიყავი, რუსეთში ვმსახურობდი შვიდი წელიწა-  
დი, — მოვასწარი პასუხი მიმეცა, სანამ ბავშუს მღვდელი გად-  
მომცემდა ხელში.

პროცესი გრძელდებოდა. ერთ თავისუფალ მომენტში ვაჟამ  
მკითხა:

— თბილისში გადმოხვედით? სად მსახურობთ?

— სასულიერო სემინარიაში, რუსული ლიტერატურის შესწავლებლად.

ასლა მღვდელმა ვაჟას გადასცა ბავშვი ხელში. როცა ბავშვი მღვდელმა გამოართვა ვაჟას და განთავისუფლდა, ხელახლად გამოემლაპარაკა ვაჟა:

— ეს რა სასწაული მომხდარა, რომ ქართველისათვის რუსული ლიტერატურის მასწავლებლობა მიუციათ!

გათავდა ნათლობის პროცესი. გაიმართა ქართული სუფრა. სუფრის ცენტრში, მე და ვაჟა, როგორც ნათლიები, ერთად დაგვსვეს. ტოლუმბაშობდა ვახტანგ მუსხელიშვილი. ბევრი სატყუა წარმოითქვა, ფედერალისტები განსაკუთრებულად ხაზს უსვამდნენ თავიანთ ერთგულებას ეროვნული საკითხებისადმი. ილიას სახელი ხშირად ისმოდა დარბაზში.

ტოლუმბაშა აღავერდს გადადიოდა ვაჟასთან, ისიც არ უარობდა, პირწმინდად სცლიდა ყანწებს, გამოცლილ ყანწს მე გადმომცემდა და მეტყვოდა:

— ჩვენ დღეის შემდეგ, ქრისტიანული წესით, ნათესავეები ვართ, ერთმანეთს არ ვუღალატო.

ღვინოს არ იკლებდა ვაჟა. მხოლოდ სიტყვაძუნწობას იჩენდა. მოკლედ, თითქმის უგულოდ ამბობდა სადღეგრძელოებს. ცოტა არ იყოს, ეს მე მაკვირვებდა. მსმენია, გამიგონია, რომ ვაჟა, მით უმეტეს ქეიფის, ლხინის დროს, განსაკუთრებით მჭკვერმეტყველებსო.

გავბედე და ვკითხე ვაჟას:

— რატომ ხართ, ბ-ნო ვაჟა უგუნებოდ, მოწყენილად?

— არ მიყვარს ეს ხალხი; არ მწამს მათი სოციალისტობა! ილიას არ მოსწონდა ეს ვაჟებატონები!

ქეიფი მხიარულად გრძელდებოდა. ვიღაცამ ხმამაღლა წამოიძახა:

— ბატონო თამადა, სთხოვეთ ვაჟას აქ დამსწრე საზოგადოების სახელით, წაიკითხოს ილიასადმი მიძღვნილი ლექსი!

— სთხოვეთ, სთხოვეთ, — იგრიალა ხმამ და ტაშმა.

ვაჟამ არ იუარა, თამადის თხოვნა შეასრულა და წაიკითხა განსაკუთრებული გრძნობით თავისი ცნობილი ლექსი „ვერ მოკლეს!“, რომელიც 1907 წელს „ისარში“ დაიბეჭდა. დამსწრეთა აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა.

ამის შემდეგ ვაჟა უფრო გამხიარულდა, თითქოს გულზე მოეშვაო, თითქოს თავისი დარდი და მწუხარება აღზნებულყოფილი სიტყვებით შეიმსუბუქა, მიიწეო.

ირიყრაჟა. მოთაუდა სადღეგრძელოები. მოვრალი და შეხარხოშებული სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ. ვაჟა დარჩა. ყანწები არ დაუკლია, მაგრამ მაგრად და ფხიხლად იყო.

არც მე გახლდით იმ დროს ღვინის სმაში სუსტი და ნაზი. მეც არ დამიკლია ყანწები და ამისათვის ერთმა პირველთაგანმა მჩარი დაუჭირე ვაჟას წინადადებას:

— ყმაწვილებო, — მიმართა მან დარჩენილთ, — არ ღირს ას-  
ლა შინ წასვლა და დაძინება. ეს არის გათენდა. ჩემი წინადა-  
დებაა, წავიდეთ ჯერის ბაღში, მეზღეს ვთხოვოთ, თევზი დაი-  
ჭიროს მტკვარში, მოგვიმზადოს საუზმე. სანამ ის ამას გააკე-  
თებდეს, ჩვენ წავიძინოთ კაკლის ქვეშ რამდენიმე საათი და  
მერე განვაგრძოთ ღვინო.

მსურველები ბევრი აღმოჩნდნენ. ია ეკალაძე, ნ. კურდღე-  
ლაშვილი, თვითონ მასპინძელი ილო აგლაძე, მე და კიდევ  
სხვები.

ილომ გაგზავნა მოსამსახურე ბიჭი და ეტლები მოაყვანინა. ჩავსხედით ხუთ თუ ექვს ეტლში და წავედით ვაკისაკენ. ჩაუ-  
არეთ ქართული გიმნაზიის ვეებერთელა შენობას და გავსწიეთ  
თბილისის სასულიერო სემინარიის ახალი, ლამაზი შენობისა-  
კენ (დღეს ამ შენობაში მოთავსებულია ქალაქის მეცხრე საა-  
ვადმყოფო). მაშინ, ე. ი. ორმოცდაათიოდე წლის წინათ, სათა-  
ვადაზნაურო გიმნაზიიდან სემინარიამდე (თითქმის ორი კილო-  
მეტრის მანძილზე), ტრიალი მინდორი იყო, ერთი ქოხმაზი სა-  
ხლიც არ იდგა არსად. გზა იყო მოუკირწყლავი, ავდარში საში-  
ნელი ტლაპო დგებოდა. ამ გზაზე ეტლიც იშვიათად გაივლიდა.  
აქ წყნეთის მენახშირეების მონოპოლია იგრძნობოდა.

მალე მივედით სემინარიასთან. აქ ჩამოვბტით ეტლებიდან.  
სემინარიის მახლობლად ბაღში ჩასასვლელი ბილიკი ჩადიო-  
და. სანამ ამ ბილიკს დავადგებოდით, ვაჟამ უბის წიგნაკი ამო-  
იღო, ორიოდე სტრიქონი დაწერა, ქალაქის ფურცელი დაკე-  
ცა და ერთ-ერთ მეეტლეს გადასცა და რაღაც უთხრა. ჩვენ და-  
ვინტერესდით და ვკითხეთ თითქმის ერთხმად:

— ვის უგზავნით, ვაჟა, წერილს?

— შიოსო (მღვიმელს), — გვიპასუხა, — იმისი წული ანდა ჩვენთან არის. ვწერ, ორი-სამი საათის შემდეგ აქ ჩვენთან შევიდეს.

ამის შემდეგ ვაჟამ მეეტლეს უთხრა:

— ყმაწვილო, არწრუნისეული დიდი სახლი რომ არის, იქ წერა-კითხვის საზოგადოებას წიგნის მაღაზიაა, ეს წერალა შიო ქუჩუკაშვილს გადაეცი.

დავადექით ბილიკს და მწკრივად ჩავედით ბაღში. ჩვენს გუშინდელ მასპინძელს — ილოს იქ კარგი ნაცნობი შებაღე ზოლია. ეტყობოდა ჩვენი მისვლა შებაღეს გაუხარდა, ილომ მას შეკვეთა მისცა: ცოცხალი თევზი უნდა გაეჩინა, ქოსების სარდაფიდან საუკეთესო ღვინო მოეტანა და კიდევ სხვა.

— მშვენიერი გაზაფხულის დილა იყო. ბაღში თუმცა ხელ-ვნურად გაშენებული ვარდ-ყვავილები არ იყო, მაგრამ მშვენიერი მწვანე ბალახი ბიბინებდა. ჩვენ ტოტებგაშლილ კაკლის ქვეშ პირდაპირ მწვანეზე დავსხედით და ლაპარაკს განუგრძობდით, ამ ლაპარაკში რულიც მოგვერია და... ტკბილად ჩავკვიანა.

პირველი საათი იქნებოდა, რომ მიღზე გაშხლართულეს შიო თავზე დაგვადგა და დაგვჭყვივლა:

— ბიჭებო, აღექით! მასპინძელს სუყველაფერი მზადა აქვს ზეიმის გასახსნელად.

ჩვენ ნელ-ნელა წამოვდექით, გამოვერკვიეთ. დაიწყო, მართლაც, ნამღვილი ზეიმი, ქეიფი. ტოლუმბამობდა ილო. გამხარულდა ვაჟა. ფხიზლობდა მორცხვი, მორიდებული, სიტყვაძვირი შიო, შეუწყვეტლად შაირობდა, ვაჟას ეჯიბრებოდა. სადღეგრძელო სადღეგრძელოს სცვლიდა. ხშირად ისმოდა ილიას ძვირფასი სახელი. ამ სახელთან დაკავშირებით ვაჟამ წინადადება მისცა ტოლუმბაშს, იროდიონ ევლოშვილის სადღეგრძელოც დაელოა.

ხუთ საათამდის გაგრძელდა ჩვენი ქეიფი ბაღში. ილია აგრეთვე უძლეველი აღმოჩნდა. ყველას (ვაჟასაც) მოაკაკინა თითი. შიო ღვინის მოყვარული იყო. მაგრამ შესამჩნევად სუსტი. მას მალე მოერიდა ნუნუა. ბაღიდან ფეხით უნდა მივსულიყავით სათავადაზნაურო გიმნაზიამდე, ვინაიდან ეტლის შოენა აქ არ შეიძლებოდა. გადავწყვიტეთ, უხმაუროდ, დარბაისლურად გა-

გვეარა ეს მანძილი. გიმნაზიის ახლო, პატარა გორაკზე, გიგა ყიფშიძეს ჰქონდა ერთსართულიანი სახლი, მოზრდილი მშენებელი. როდესაც ამ სახლს მიუუახლოვდით, ვაჟამ გვითხრა: ყმა-წვილებო, მე თქვენ უნდა დაგტოვოთ, გიგასთან შევალ, ახლა შინ იქნება, ცოტას ვილაპარაკებთ, დიდი ხანია, გიგა არ მინახავსო.

გვითხრა ეს ვაჟამ, ყველას ხელი ჩამოგვართვა და ფორალად აიბრინა აგურის კიბე რომელსაც ეზოში შეჰყავდა ამხელელი.

ეს იყო ჩემი პირველი შეხვედრა ვაჟა-ფშაველასთან. ამის შემდეგ კიდევ ერთხელ შევხვდი ვაჟას მის გარდაცვალებამდე...

მე თბილისში ჩამოსვლის შემდეგ ისევ შევვდი ფეხი ქართულ ლიტერატურაში. დავიწყე თანამშრომლობა ჟურნალ „განათლებაში“. აქ უმთავრესად ვათავსებდი პუბლიცისტურ წერილებს. ვაზეთ „სახალხო ვაზეთში“ დავიწყე კრიტიკული წერილების მოთავსება. აქ 1912 წელს მე მოვითავსე ორი დიდი კრიტიკული წერილი (ხულ 14 ფელეტონი) ია გკალაძის და დუტუ მკერელის შემოქმედების შესახებ. ამ წერილებს მკითხველი ხაზოგადობა კარგად შეხვდა. ამით წაქეზებულმა, ვადავწყვიტე დამეწერა დიდი მონოგრაფია ვაჟა-ფშაველას შემოქმედების შესახებ. შევუდექი მუშაობას. ამ ჩემი ნაშრომის მოთავსება დავიწყე ჟურნალ „განათლებაში“, რომელიც ლ. ბოცვაძის რექტორობით გამოდიოდა, ჩემი წერილი „სიმღერა მთის შეილის-ვაჟა-ფშაველასი“ თითქმის ერთი წლის განმავლობაში იბეჭდებოდა ჟურნალში.

მე ამ პერიოდშიც არ შემხვედრია ვაჟა. არ ვიცოდი, თუ როგორი შეხედულებასა იყო ის ჩემ წერილებზე. ვაჟას აზრს მე გიგა ყიფშიძისგან ვიგებდი.

ერთხელ გიგამ მითხრა, რომ ვაჟას მოწონებაა ჩემი წერილის პირველი ნაწილი „ბუნება ვაჟას პოეზიაში“. ვაჟას უთქვამს: „ძლიერ ოსტატურად აქვს ვართაგავას ჩემი ნაწერებიდან ამოკრეფილი და ერთად შეხამებული ის ადგილები, სადაც ბუნებაა აღწერილი“.

რამდენიმე თვის შემდეგ ერთ-ერთი შეხვედრის დროს იგივე გიგამ მითხრა: „ვაჟას ძლიერ მოსწონს შენი „აღუდა ქეთელაურის“ ანალიზი და შეფასება, მაგრამ ისიც დაუმატა მეტი-სმეტი გამოუვიდა კრიტიკოსს, რომ გენიოს ტოლსტოის შემა-

დარა და სიტყვა: ამ პოემას ტოლსტოიცი სიამოვნებით მოწერდა ხელსო“.

არა, მე „მეტისმეტა“ არ მომსვლია, როდესაც მეოცე საუკუნის დასაწყისში ზოგიერთი ცნობილი ქართველი მწერლები ვაქას მხოლოდ ნიჭიერ საბავშვო მწერლად სთვლიდნენ, მე წამომცდა სიტყვა მისი გენიოსობის შესახებ.

ჩემი სიტყვა ისტორიაში, დრომ გაამართლა. დღეს ჩვენს ყოველი შეგნებული და გათვითცნობიერებული ქართველი ვაქას გენიოს შემოქმედად თვლის.

ამ საკითხში პრიორიტეტი მე მეკუთვნის და ამას არავის არ დავუთმობ.

მესამევერ ვიგამ ვაჭა-ფშაველას გულიწყრომა ვადმარტო იმის შესახებ, რომ მას ენა დაგუწუნე და მისი პოემების ხალხურობისა და ორიგინალობის შესახებ საკითხი დავხვი, ამას მოჰყვა მისი „ბასუხი ბ-ნ იბ. ვართაგავას“, სადაც ამკარა ჟამყოფილება გამოსკვივის...

## ნიწო ვაჭაიკია-ნიწიშვილი

მოწყალების დად ვმუშაობდი მე-14 ქართულ ლაზარეთში, რომელიც მოთავსებული იყო ასლანდელი სახელმწიფო უნივერსიტეტის შენობაში. 1915 წ. ივლისის პირველ რიცხვებში მეტად ცხელი დღები იყო. ლაზარეთის უფროსმა ექიმმა ვ. მახვილაძემ წინადადება მომცა, წავსულიყავი ვაჭა-ფშაველას ლაზარეთში გადმოსაყვანად.

ვაჭა-ფშაველა იწვა თავის ძმასთან, ვერაზე, მღვთის ქუჩაზე. მძიმე მდგომარეობაში იყო და მეტად შუუფერებელ პარობებში, პატარა ოთახში, საშინელ და მოუწყობელ კუთხეში. შვეწუხდი. დიდი პოეტი, რომლის ლექსებხაც მაშინ მთელი ქართველი ახალგაზრდობა ზეპირად სწავლობდა, მძიმე მდგომარეობაში დამიხვდა.

სანიტრების საშუალებით ჩვენი დიდი მგოსანი ეტლით გადაყვანეთ ლაზარეთში და მაშინვე მოვათავსეთ დიდ და ნა-

თელ პალატაში. ვაჟა-ფშაველა ავად იყო ფილტვების დაზარალებით (მძიმე ფორმებში), დიდი ხიცხე ჰქონდა.

რადგან მე მას უფრო ხშირად ქართულად ველაპარაკებოდი, განსაკუთრებით შემოიყვარა. მეც დიდი ყურადღებით ვმკიცეოდი. ერთ დღეს მითხრა:

— მომეცი ფანქარი და ქაღალდი, ლექსი უნდა დაგიწერო.

მაშინვე მივურბენინე და ლექსიც დამიწერა, რომელიც დიდხანს ვინახე, მაგრამ სამწუხაროდ სადღაც გადაშეკარგა.

სურათის გადაღებისას თავის გვერდით დამსხვა და მითხრა: „ჩემი სურათი გექნება მოსაგონებლად“.

დასუსტებული იყო მეტად, ექიმები გულმოდგინედ უვლიდნენ მაგრამ ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. 1915 წ. 27 ივლისს (მველი სტილით) გამოგვეცალა ხელიდან.

დაუეწიწარი იქნება ჩემთვის ვაჟას რბილი, ალერსიანი მოპყრობა, ტკბილი კილო ლაპარაკისა და დიდხულოვნება, რომელსაც იჩენდა იგი ლაზარეთის მუშაკთა და მნახველთა მიმართ.

## მისიილ (ქაინოსრო) ზანდუკელი

1904 წელს ხევსურეთსა და ფშავესი სრულიად პირველყოფილი მდგომარეობა იყო. მაგალითად, აქ ვერსად ნახავდი საკერავ მანქანას. 1905 წლის რევოლუციის შემდეგ, პირველად ვნახე, რომ ორწყალში საკერავი მანქანა ედგა ერთ დედაკაცს, ისიც, მგონი, მედუქნის ცოლი იყო. ასეთ საშინელ გარემოცვაში ცხოვრობდა ვაჟა.

აი, კიდევ ერთი წერილმანი გახსენება: დაჭაურას მუხარაღის სანახავად ვაჟამ ეკლესიაში წამიყვანა. ვაჟამ მიაპბო, რომ ეს მუხარაღი ფშაველებს თათრებისა და ქისტებისათვის წაერთმიათ. გმირ ფშაველ მეომარს დაჭაურას მათი წინამძღოლისათვის ზედ მუხარაღზე დაეკრა და სული გაენტხვეინებინა. ამის შემდეგ ფშაველებს მუხარაღი ეკლესიაში მიეტანათ და დაედგინათ, რომ დაჭაურას სახსენებლად სწორედ ამ მუხარაღიდან ღუდი უნდა დაეღიათ, რაც საუკუნოებით სრულდებოდა.

ვაჟამაც წინადადება მომცა — ეს ერთი საეხე ღუღი უნდა  
ლიოთო. სხვათა შორის, მუზარადს წარწერა ჰქონდა არა  
სა თუ სპარსულ ენაზე.

ცნობილი ფოტოსურათი — ვაჟა მუზარადით ხელში, —  
შინ არის ჩემს მიერ გადაღებული.

ვაჟა ძალიან პოპულარული იყო ხევსურეთში. იცნობდნენ  
როგორც პოეტს და ვაჟკაცს. საშინელი გზები იყო ხევსურეთ-  
ში. ვზას თითონ ვიკაფავდით. ერთხელ ცხენი ჩაიხლიწა გადა-  
საჯარდნში და სამი კაცი ჩავაფრინდით, ხელით მოვეჭიდეთ  
და ვიპატიეთ.

მაეაქციე ყურადღება, რომ ვაჟა თბილისში იშვიათად ჩამო-  
დიოდა. შევეკითხე, თუ რატომ ხშირად არ ჩამოდის.

— შენ გენაცვალე, ქალაქში ჩასვლას ბევრი რამ უნდა  
უნდა ჩაიცვა, დაიხურო და სამაგისო ქონება არა მაქვსო. აი,  
ჰხედავ, თვალივამდე ჩასვლასაც ფული უნდაო, თუმცა ცხენი-  
ცა მყავსო.

სხვათა შორის, საწერი ქალაქშიც კი არა ჰქონდა, უპრა-  
დო რვეულებზე სწერდა თურმე. ეს ასე გავიგე. შინაურულად  
მითხრეს, ვაჟა სულაც ვერ არის მოწყობილიო, როცა მე და ჩემ  
კოლს ვვემასპინძლებოდა ოჯახში, ემჩნეოდა უფრო მეტი მას-  
პინძლობის სურვილი ჰქონდა, მაგრამ პირობები ხელს არ უწყობ-  
და. თუ რაიმე წიგნი ებადა, ისიც კიდობანში ჰქონდა ჩაკეტი-  
ლი, რომ ბავშვებს არ დაეხივნათ. ოთახში კი, სრულიად არა-  
ფერი მოჩანდა, გარდა გადაებული კავეებისა სადღეებელისათვის.

ღარიბი იყო ვაჟა, მაგრამ სიღარიბეზე ერთი სიტყვაც არ  
უთქვამს, მეტად ამაყი იყო.

მეორე წელს კიდევ ვიყავი ექსპედიციაში. ახლა უკვე პირ-  
დაპირ მიველი ვაყასთან. მინამ მივიდოდი ვაჟასთან, ბანანს  
შევხვდი ხომში (ჩარგლის კარში), ახლდა რომელიღაც ექსპე-  
დიციას. ბაასი ჩამოვარდა გეოგრაფიულ წერტილებზე. ბანანამ  
თავისი გეოგრაფიული ცოდნით ტყავი გაგვაძრო ყველას.

გაკვირვებული ვიყავი, როგორ არ დააეიწყდა ვაჟას რუსუ-  
ლი ამ უდაბურ ტყეში? ძალიან კარგად ლაპარაკობდა რუსუ-  
ლად. ჩემის მიზეზით საუბარი უმთავრესად რუსულ ენაზე მაშ-  
დინარეობდა.

საერთოდ, მე იარაღი მქონდა. მიყვარდა.



— ქაახოსრო, შენ გენაცვალე, ამ იარაღს თავი დაანებე, შენ კი ხელს არაუინ ვახლებს, მაგრამ ამ იარაღისთვის არაუინ არ გაწყენინოსო — მზრუნველობით მეუბნებოდა ვაჟა.

სხვათა შორის, მითხრა, თუ რაიმე ხაფათი შეგხვდეს, სთქვი, ვაჟახთან მივდივარ, მისი სტუმარი ვარ-თქო.

ამის შემდეგ კიდევ შეეხვდი: ერთხელ მოვიდა ჩემთან არა-ნისში, ძალიან მოეწონა ჩემი კულტურული ცხოვრება, რაი-ა-ლა მედგა შინ.

აი, აქ შეიძლება მუშაობაო. მე ვიგრძენი, რომ ვაჟას სილა-რიბე ძალიან მიმიმედ აწვა თავზე. სიღარიბის მიზეზით ხანდა-ხან ვეჭიღობდა კიდევ.

უნდა გამოტეხით ვითხრაო, რომ მე, პირადად კარგად არ მესმოდა მაშინ ვაჟას მნიშვნელობა ჩვენს მწერლობაში, მისი დადი ღირებულება მხოლოდ შემდეგში ვავიგე.

## ოსა ზურაბაშვილი

აი, ტანაშოლტილ ვაშლის, მსხლისა და ბლის ხეებს რომ ხედავთ, ვაჟას ნახელავია. ფშავში სულ პირველად ვაჟამ შემოიტანა ქართლიდან თუ კახეთიდან ნამყენი ხეხილი. აი, ის კაკალიც ვაჟას დარგულია, ახლა მის ეზოში რომ დგას.

ახუნის მთაზე, საფუტკრის გორაზე ჩვენებურად, გლეხურად თიბავდა ხოლმე. ფშაური გუთნით ხნავდა. ჭიტახევაზე, აფხუშურაზე წითელფორაჯიან კალმახს იჭერდა მგოსანი, ჩარგლისა და ყოფჩის ტყეებში ნადირობდა. სკოლაც ხომ პირველად ვაჟას თაოსნობით გაიხსნა ჩარგალში. მთავრობის მოხელეებსაც ის პირველი გადაეღობა ვოლიათური მხარბეჭით.

სიღარიბისა და შიმშილისაგან შეწუხებულ დუშეთისა და თიანეთის მაზრის მთებში მოსახლკარე ქართველობას — ფშა-ვლებს, გუდამაყრებს, ხევსურებს, მთიულებს და მოხვეეებს 1905 წელს ვაჟა-ფშაველა გაუძღვა შირაქის გულუხვი ველი-საკენ. ქართველი მოახალშენნი ვაჟას თაოსნობით დასახლდ-ნენ მაღლიან ველზე, დაიწყეს ცხოვრება. ფშაველებმა დაიჭირეს

ჩრდილო ნაწილი შირაქისა და გააშენეს სამი სოფელი: ზემო ქედი, ქვემო ქედი და შუაზე — არხილოსკალო. გულუხვი ბუნება და ნაყოფიერი დედამიწა დაუხვდათ ფშავლებს ქედში. მაგრამ 1906 წელს მთავრობამ შირაქში გადმოსახლება შეაჩერა, დასახლებულებს ჯერ უკან დაბრუნება მოუწოდომა, მაგრამ რაკი ვერ მოახერხა, ახლა შირაქიდან სხვაგან გადასახლება სცადა.

აქაც ისევ ვაჟას თაოსნობით მოგვარდა საკითხი და ქედელები თავიანთ ახალ ბინაზე დატოვეს.

მაგრამ შემდეგ კიდევ არასასიამოვნო ამბავმა იჩინა თავი, ფშავლებს და თუშებს შორის ჩამოვარდა უთანხმოება.

შირაქში მოთარეშე ბობოლა თუშები წინააღმდეგი იყვნენ ამ მიწაწყალზე ფშავლების დამკვიდრებისა. საძოვრების ფართობი მცირდებაო, ჩვენს ცხვარს ადგილი აღარა ჰყოფნისო. თუშებსა და ფშავლებს შორის დაეამ დიდხანს გასტანა.

დაწიოკებულმა ფშავლებმა ისევ ვაჟას მიმართეს — თუ რამეს გვიშეულის, ისევ ჩვენი მოამაგე ვაჟა გვიშველისო.

ვაჟა-ფშაველამ ბობოლა თუშებს, მეფის ხელისუფლების სხვა მოხელეებს და მოსამართლეებს დაუმტკიცა, რომ შირაქში წილი ღარიბ ფშავლებსაც ჰქონდათ.

სასამართლოზე მეც ვესწრებოდი. სიტყვას რომ ამთავრებდა, ვაჟამ ფალავანივით შეარხია მხარ-მკლავი, მიუბრუნდა თუშების წარმომადგენელს და უთხრა: პროკურორის კანცელარიაში რაც დღე დაგმართე, იმაზე უარესს გიზამ ახლაო, მომრიგებულ-მოსამართლე ბატკნების მოსამართლეა და არა ხალხისაო. ცხვარი ხალხს ეკუთვნის და არა ცხვარს ხალხისო.

შირაქში ზილიჩის, ბურდოს და ტარიბანის საზამთრო საძოვრები სადაო გაგვიხდა. მოსარჩლედ ვაჟა გვყავდა. საქმის გადაწყვეტას მეც ვესწრებოდი. შირაქის საძოვრებში ფშაველ მეცხვარეებს წილი ჩაგვიდეს. იმის შემდეგ ბევრმა მთიულმა მიატოვა მოუსაველიანი ადგილი და სამკვიდრო ბინა შირაქში დაიდო.

ერთხელ, უკანაფშავეის მოსახლეობის ყრილობაზე, სადაც ვაჟაც მონაწილეობდა, იახსრის ოქროს ჯვარზე დაიფიცა ხალხმა, რომ სისხლის უკანასკნელ წვეთამდის იბრძოლებდა ერთობისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის. ვაჟამ ამ

ყრალობაზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. მან თბილისში  
სიტყვა ლექსით დაამთავრა:

„დაბერდა ლომი, დაბერდა,  
კლანჭებსა ხმარობს ველარა;  
დაუღა შეუღრეს ძალას  
ფაშოეთარების ბევარა“...

\* \* \*

მამა-პაპა მეცხვარეობას მისდევდა. მეც მეტი რა ხელობა  
მქონდა, ავიღე ჯოხი და ცხვარში წავედი. 'ხამთრობით შირაქ-  
ში დამიდოდა ფარა. ერთ შემოდგომას რამდენიმე ნამკალა\*  
ფშაველთან ერთად შირაქის გზას მივეყვებოდი. ნატახტარზე  
გავიარეთ. მოულოდნელად თავზე დაგვადგა ადგილობრივი მე-  
მამულე. მოგვიშარა, რომ ჯეჯილი დაგიღვეინებიათ ცხვრისა-  
თვის და ნაფასური უნდა მიზღოთო. ჩვენ ვუთხარი, რომ ასეთი  
რამე არ მომხდარა, მაგრამ ამოღ, მოგვისია თავისი ამფსო-  
ნება — 14 კაცი და 40 სული ცხვარი წაგვართვა. რაღას გავა-  
წყობდით, ძალა აღმართს ხნავსო, იტყვიან. დავანებეთ თავი და  
გავუღექით სამწყსოს. მცხეთაში ვაჟა-ფშაველა შემოგვეყარა.  
შეწიველეთ ჩვენი გაჭირება. „მაგათი დღეები დათვლილია, —  
გვითხრა პოეტმა, — მაგრამ შემოდგომის ბუზი უფრო იკბინება.  
არ უნდა აპატიოთ. საჭიროა ბრძოლა“. ვაჟამ თვითონ შეადგი-  
ნა საჩივარი. წამიყვანა და დუშეთის მაზრის სასამართლოში  
მიმიყვანა. ვაჟას მეთვალყურეობით სასამართლომ განიხილა  
ჩვენი სარჩელი. თავნება შემამულე გაამტყუვნა და ჩვენი  
ცხვრები უკან დაგვიბრუნეს.

ვაჟასთან სიახლოვემ ილია გამაცნო, საგურამოში ჩამიყვან-  
ა, ილიაობაზე მონაწილეობის მისაღებად.

ილია ჭავჭავაძეს ვეწვიეთ. ილია ღამაში კაცი იყო. ხელ-  
გულგაშლილი შემოგვეყება. ილიამ და ვაჟამ ერთმანეთი გადა-  
კოცნეს. ხელი ჩამომართვა მასპინძელმა. შემდეგ წარგვადგინა  
სტუმრებთან. გაიცანით ფშაველები, — თქვა ილიამ, — მეომარი,  
მამაცი, ხალხი, „კლდის ვეფხენი“.

ილია ჭავჭავაძე ფშავისა და ჩვენი ვაჟა-ფშაველას თავყა-  
ნისმცემელი იყო.

\* ნამკალა — ამხანაგი მწვემსობაში.

დადი ილია ღუშეთში მუშაობისას კარგად გაეცნო ფშა-  
ხევსურეთსაც. ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს ილია ჩარ-  
გალს ეწვია. მართალია, პოეტი ვაჟას მიწვევით მოვიდა, მაგ-  
რამ იგი მთელი სოფლის სტუმრად ვადიარეთ. როგორ შევხ-  
ვედროდით ილიას, ამაზე ადრე მოვილაპარაკეთ. ფშაური სუ-  
ფრა გაეაშზიანეთ. სად ხაშლამა იყო ხბოხი, სად — მწვადები,  
სად — შებრაწული კალმახი. თევზი ვაჟამ და ბაჩანამ დაიჭირეს.  
მე კი ხუთი წლის ჭედილა დაკვალი სტუმრის საპატივცემუ-  
ლოდ. ვაჟას კამკამა სვიანი ლუდი და ქერის არაყი ჰქონდა. სუ-  
ფრას ამშვენებდა ფშაური ხინკალი.

საუბარი ქერის არაყზე ჩამოვარდა. „ჯინი — ჰოლანდიურად  
ქერის ან ხორბლის არაყია, — თქვა ილიამ, — რომელსაც ფურ-  
ძნის სურნელოვანი ნაყოფის წვეწვს უზაგებენ. ჯინი პოპულა-  
რული სასმელი იყო და ჰოლანდიიდან ინგლისში შემოჰქონ-  
დათ. ფშაური ჯინი, — ქერის არაყი ნაკლები არ უნდა იყოს“.

ილია დინჯად საუბრობდა. მის სიტყვას ყველა დაძაბულად  
უსმენდა. „ჩემი წინაპრები, — ამბობდა ილია, — მთიელები იყ-  
ვნენ, მთის შვილები, რომლებიც კახეთში გადასახლებულან ისე,  
რომ მეც თქვენი სისხლი მიდგა“.

თავს ბედნიერად ვგრძნობ, რადგანაც საშუალება მქონდა  
შევხვედროდი დიდ ილიას, ვაჟას, ბაჩანას და სხვებს...

ლუკამ ყველა საქმე იცოდა. დიდთან დიდი იყო, პატარას-  
თან — პატარა. ვინც მას იცნობდა, არ შეიძლება, რომ მისი ზა-  
თრი არა ჰქონიყო. იგი ძალიან ბეჩაეად ცხოვრობდა. როგორც  
ჩვენ, მისი მეზობლები, ჩვეულებრივ ფშაველები ცხოვრობდნენ  
და შრომობდნენ, ისე მუშაობდა და ცხოვრობდა. ტანისამოსიც  
ჩვეულებრივ ფშაველზე კარგი არ ეცვა.

ვაჟა სახლში სტუმრად მყავდა. გავუბედე: — ლუკავ, კატ-  
საკითხი კაცი ხარ, ჩვენზე უკეთესად უნდა ცხოვრობდე. მდი-  
დრული ტანსაცმელი უნდა გეცვას. ხომ შეგიძლიან, რატომ  
ჩინოვნითად მაინც არსად დადგები-მეთქი? ლუკამ გაიცინა და  
მითხრა: — ოსავ, ეგენი არ მადარდებს. თუკი არწივი თან მახ-  
ლავს, ღარიბად არ ვიხსენიები. ჯერ სულ სხვა საქმე მაქვს სა-  
დარდებელი. ჩემი ქვეყნის ბელი მაფიქრებსო. მეც ვიფურე... ვი-  
მდერეთ. ლუკა ახალგაზრდა იყო. არც თვალი ჰქონდა გაფუ-  
ჭებული. მისი წარმოსადგევი მხარბეჭი, თაფლა წვერი, ამაყი

და ზავითანი შეხედულება, ნამდვილად არწივს ემსგავსებოდა, მკლავი უჭრიდა. დიდი ღონისათვის ჩარგალში „რაზიყანთ დევს“ ეძახდნენ.

## სენერა ზურაბაშვილი

როგორც იტყვიან: ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ შთაბეჭდილებანი პატარა ლუკაზე გონებაში ფრთებს ისხამს. თვალნათლად წარმომიდგება მაღალი, ჩასკვნილი ბიჭი, ნათელი, დაბალი შუბლით, ბრჭყვიალა, ოდნავ მოჭუტული თაფლისფერი თვალებით; უშიშარი, ენერგიული, ძალიან ყოჩაღი, ზედმეტად მოუსვენარი, მაგრამ ჭკვიანი და დაფიქრებული, ნათელი გონების, ენამახვილი და ფხიზელი.

ჩარგლის წყლის მახლობლად, ჭიჭახეევას სანაპიროზე, იდგა პატარა ძველებური სახლი. ამ სახლში დაიბადა ლუკა და მისი და-ძმანი, სადაც ის რვა წლამდის იზრდებოდა. შემდეგ მამამ თელავის სასულიერო სასწავლებელში წაიყვანა. ზაფხულობით ყოველთვის სოფელში მოდიოდა. ხოლო 1888 წლიდან სიკვდილამდის ვაჟა კვლავ ამ სახლში ცხოვრობდა. უღიმღამოდ გამოიყურებოდა მაშინ ჩარგალი. არ იყო გზა-ხიდეები, სკოლა, საავადმყოფო, სავაჭრო დუქნები. აქა-იქ გორებზე საბრალოდ ბოლავდნენ ჭვარტლიანი ერდოები. მაშინდელი ჩვენი გართობა მხოლოდ რელიგიური დღესასწაულები იყო: ქორწილი, ღრეობა, დოღი და საფიხენო, სადაც უფროსები ანდერძებსა და თქმულებებს ყვებოდნენ.

პატარა ლუკას ყალით თოვლზე ცურაობა და გუნდაობა იტაცებდა. ბუნქებში და საბძელში დამალობანას ვთამაშობდით. ღრმა თოვლში დიდი სიმაღლიდან ვხტებოდით. ლუკა ზაფხულის დღეებს უმთავრესად ბატკნებისა და ხბოების მწყესობაში ატარებდა.

ერთხელ შურდულები მოვქსოვეთ ბაწრის ძაფისაგან და ქვის სროლაში შევეჯიბრეთ. არა მე გაჯობე, არა მეო. ამის გამო მუშტი-კრივი გავმართეთ. მეზობლის მოზრდილმა ყმაწვილმა გაგვაზავა და იქვე შეგვარივა.

ლუკას უყვარდა ფარიკაობა. ხმლებსა და ფარებს თვითონ  
ვამზადებდით. მახალად ხეს ვხმარობდით. შეჯობრებებს ვაწყო-  
ბდით მდინარის პირას, ველზე, ორღობეში. ჯონებზე ამხულ-  
რებულნი შევებმოდიტ ერთიმეორეს. ფერხულში სხვა ბავშვებ-  
საც ჩავრევდით. ლუკა ვაწვრთნილი, ღონიერი და ხელმარჯვე  
მოფარაკავე იყო. სოფელში ყველას სჯობდა. ხშირად ისე გა-  
ცხარდებოდა, რომ თამაშობა შულში გადაიზრდებოდა. მამის  
უფროსები ჩაერეოდნენ და ბავშვებს დაფანტავდნენ. ლუკა ფი-  
ცხი გუნების, მაგრამ გულკეთილი და თავშეკავებული ყმაწვი-  
ლი იყო.

პატარა ლუკას ჩარგალში რომ მოიყვანდნენ, ბავშვებს გუ-  
ლში სიხარული ჩაგვიდგებოდა. ლუკას სასწავლებლიდან მოქ-  
ქონდა წიგნები, აგრეთვე კითხულობდა მამის წიგნებს. იგი წე-  
რა-კითხვის უცოდინარ თანატოლებს ხშირად ვეკითხავდა  
საინტერესო მოთხრობებს, ლექსებს, ზღაპრებს.

მკათათვისა და მარიამობის ცხელ დღეებს მდინარის პი-  
რას ვატარებდით. ყველაზე დიდი კმაყოფილება ჩვენთვის ბა-  
ნაობას მოქქონდა. წყალში ვჭყუშპალობდით დილიდან საღ-  
პომდის.

— ლუკა, შენ დღეს რამდენჯერ იბანავე?

— ორჯერ. — შენ?

— მე კი უკვე ხუთჯერ, — ვუპასუხე ლუკას.

— ანკესით კალმახი დავიჭირე.

— აბა, სად არის?

— აი, შეხე! — ლუკამ სახრეზე ასხმული კალმახის დარა-  
დელა გამომიწოდა.

ღრმა წყალში შესვლას უფროსები მიკრძალავდნენ, რად-  
განაც ცურვა არ ვიცოდი. ლუკას მიბაძვით ცურვა იოლად შე-  
ვისწავლე. ერთხელ მდინარეზე ფიცარი მივიტანე, ლუკამ არა-  
ყის ტიკი მოიტანა. გავებრეთ ტიკი. შევაკურეთ ფიცარი მდი-  
ნარეში და დავიწყეთ მდინარის ზედაპირზე ტივტივი. გაბრა-  
ლი ტიკი და წნორის ფიცარი ხელს გვიწყობდა, რომ წყალში  
არ ჩავძირულიყავით და ფეხები თავისუფლად გვექნია. ისე  
დავხელოვნდით მოკლე დროში, რომ ცხრა-ათი წლისებს უკვე  
შეგვეძლო გადაგვეცურა მცირე სივანის მდინარე.

ლუკას ძალიან უყვარდა თავისი და-ძმები. იგი ყველას თა-

ვაზიანად და ალერსიანად ექცეოდა. ლუკამ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა სანდროსადმი, რომელიც ყველაზე პატარა დარჩა მშობლების გარდაცვალების შემდეგ. ლუკამ და ბაჩანამ იკისრეს პატარა სანდროს აღზრდა. ძმები რაზიკაშვილები ერთად დიდხანს ცხოვრობდნენ. გაყრის შემდეგ, უფროსი ძმა გიორგი თიანეთში გადასახლდა, მართა ყვარელში გაათხოვეს. ვაჟა, ბაჩანა, თედო და სანდრო სასწავლებელში წავიდნენ. ძმებიდან საბოლოოდ მხოლოდ ვაჟა დაბრუნდა ფშავეში საცხოვრებლად. ბაჩანა ერთხანს ვეჯინში იყო, შემდეგ ბარისახოში, მაღაროსკარში, ღუშეთში და სიღნაღში მასწავლებლობდა; თედო და სანდრო გორსა და თბილისში დასახლდნენ.

მახსენდება ხაინტერესო ეპიზოდი: ჭაბუკი ვიყავი. ძმები რაზიკაშვილები სასწავლებლიდან ჩარგალში ამოსულიყვნენ. ზაფხულია. თანასოფლელებმა ჭიჭახევაზე მოვიყარეთ თავი. ლუკას საომარი ხმალივით მუდამ წიგნები დაჰქონდა. „ვეფხისტყაოსანი“ წაგვაკითხა. ლუკა მარხილის ყელივით შემოხრილ იუნის ჯირკვზე იჯდა და ომახიანად კითხულობდა რუსთაველის ქმნილებას. შიგადაშიგ განმარტებასაც თვითონვე იძლეოდა.

ძლიერ დაგვაინტერესა, ღრმად დაგვაფიქრა ტარიელის, ავთანდილისა და ფრიდონის მეგობრობამ, მათმა თათბირმა, ქაჯეთის ციხის გატეხამ და დატყვევებული ნესტანის დახსნამ. ერთხმად გადაწყვიტეთ, მოგვეწყო „შეიარაღებული“ ლაშქრობა „ქაჯეთის ციხის“ ასაღებად. მეთაურობა ლუკას დაეკისრა. შევიარაღდით მშვილდ-ისრებით, ბოძალებით, ფარ-შუბ-ხმლეებით და გავწიეთ სულა-კურდღელას ძველი ციხე-სიმაგრის მიმართულებით. სწორედ ეს სიმაგრე იყო ჩვენი დათქმული „ქაჯეთის ციხე“. ოცამდე „რაინდმა“ მოვიყარეთ თავი. გავიყავით სამ ნაწილად, შოთას გმირების კვალობაზე. მოვიწონეთ ლუკას მიერ შემუშავებული, ციხე-სიმაგრის იერიშით ალების გეგმა. სამივე მხრიდან დავიწყეთ მხედრული შეტევა სულა-კურდღელას დახავსებული სიმაგრის წინააღმდეგ. ჩვენი ფანტაზიით, ქაჯებს იქ ნესტან-დარეჯანი დატყვევებული ჰყავდათ, პარველ და მეორე რაზმს ლუკა და ნიკო სარდლობდნენ, მესამე რაზმს — მე.

ბრწყინვალედ დამთავრდა სიმაგრის აღება. „ქაჯეთის ციხის“ დაცემის შემდეგ, გამარჯვების აღსანიშნავად, მოვაწყეთ

„ღოდი“ და შეჯიბრება მშვილდოსნობაში. შეჯიბრებაში ლუკამ გაიმარჯვა, რადგანაც სამიზნისათვის არც ერთი ისარი არაუცდენია, რისთვისაც ჯილდოდ დაიმსახურა ხორცის ქადა.

სემინარიელი ლუკა ჩვენი ახალგაზრდობისათვის უფრო და უფრო საინტერესო ხდებოდა. ზაფხულობით იგი მუდამ მთაში იყო. მან შეგვაყვარა ქვეყნისათვის თავდადებული ადამიანები.

ათ მკათათვეს ხევსურეთში: გუდანში და ხახმატში იწყება „ათენგენობა“. ჩვენი მშობლები სწორედ იქ იყვნენ წასულები. ერთ საღამოს ლუკა მოვიდა ჩვენთან, ღამეც ჩვენთან გაათია.

ლუკა გულმოდგინედ, დამაჯერებლად ჰყვებოდა სემინარიის ამბებს. ჩემთვის ბევრჯერ ჰქონდა ნათქვამი, რომ სემინარიის კარგი მეგობრები ჰყავდა: ლადო აღნიაშვილი, ნიკო ლეონიძე (მამა გიორგი ლეონიძისა — ი. ქ.), თეოფილე ხუსკივაძე, ალ. ნათაძე, ალ. გარსევანიშვილი და სხვ.

— შე და ნიკო ლეონიძე ხშირად ერთად ვჭიდობდით, — იტყოდა ლუკა, — კრივში გამოვდიოდით. თევზის დასატყვრადც ერთად დავდიოდით. ერთხელ მტკვარში ბევრი თევზი დავიჭირეთ. სემინარიისაკენ მიმავლებს, გზად გორული მოქალაქეები შემოგვეყარნენ. შეგვაჩერეს და თევზს შემოგვევაჭრნენ. რა თქმა უნდა, ნანადირევი არ გავყიდეთ. თევზი პანსიონის მზარეულს მოვახარშვინეთ და სემინარიელ ამხანაგებს ვაჭამეთ.

ვაჟა თავისი დროის დიდი მოქალაქე იყო. ამან სამშობლოს ხვედრზე ფიქრში იჩინა თავი. მთელ მის პოეზიას ეს ფიქრი ასულდგმულებს. მაგრამ არა მარტო პოეზია, თავის პრაქტიკულ საქმიანობაშიც პოეტი იქითკენ მიისწრაფოდა, რომ ქვეყნის სარგო რამ გაეკეთებინა.

ვაჟა, ისევე როგორც მისი წინაპრები, არ უმღეროდა იმას, რაშიც ვაჟაკობა არ ჩანდა. მას ამპარტაუნობა ეუცხოებოდა, თავმდაბალი იყო.

მწერალი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დაკავშირებული იყო ხალხთან, გლეხობასთან, მათთან მეგობრობა არასოდეს არ გაუწყვეტია. მოსწონდა მათი ხალასი სიტყვა-პასუხი, სიღიადე, პატიოსნება. ვაჟა ყველა დაჩაგრულის ქომაგი და მოამაგე იყო. ზრუნავდა მათი კეთილდღეობისათვის და ეს ხდიდა უსაყვარლეს პოეტად.



ვაჟა-ფშაველა 1888 წელს მუდმივად დაუბრუნდა მსოფლიო  
ურ ფშავს და საბოლოოდ ჩარგალში დასახლდა.

მამისეულ ღარიბულ ქოხში, ძალადი მთებისა და პრიმი-  
ტიული ყოფის გარემოცვაში ვაჟამ ვაატარა თავისი ცხოვრე-  
ბის უმეტესი ნაწილი. აქ ის ცხოვრობდა ჩვეულებრივი მთი-  
ელის ყოფით, ისე, როგორც მისივე მეზობელი ფშაველები და  
ხევსურები: ხნავდა, თესავდა, ნადირობდა. ამასთან ერთად  
ეწოდა ინტენსიურ შემოქმედებით მუშაობას.

## ექვთიმე თაყაიშვილი

ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი პეტერბურგში, რო-  
დესაც უნივერსიტეტში შევედი. ის მოვიდა თავისუფალ მსმე-  
ნლად უნივერსიტეტში და ესწრებოდა ქართული სტუდენტე-  
ბის სხდომას სათვისტომო საკითხების შესახებ. ფშავ-ხევსუ-  
რეთის სახალხო პოეზიიდან აუარებული ლექსები იცოდა ზე-  
პირად. არავითარი რეუული ან წერილობითი საბუთები ხელში  
არა ჰქონია და ყველანი განცვიფრებულნი ვიყავით, როგორ  
შეეძლო ამდენი ლექსების ზეპირად დამახსოვრება. ლექსები,  
რასაკვირველია, დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩვენზე.

ის ცხოვრობდა ერთ ჩემ ამხანაგ გოცირიძესთან, მაგრამ  
დიდხანს ვერ შეეწყვინენ ერთმანეთს და გასცილდნენ.

თბილისში რომ ჩამოვედი, მას ვერა ვხვდებოდი, მაგრამ  
ერთი მისი საქმე წამოიჭრა წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების კომიტეტში და მაშინ შევიტყვე; რომ ის მან-  
გლისის მახლობლად თონეთში ყოფილიყო მასწავლებლად.  
თონეთელებიდან ასეთი საჩივარი მოვიდა: ცუდად იქცევა, მუ-  
შტიკრივით გვიმასპინძლდება და ხანჯლითაც გვემუქრებაო.  
იქ გაგზავნეს გამოძიებისათვის წერა-კითხვის გამავრცელებე-  
ლი საზოგადოების საქმის მწარმოებელი იაკობ მანსვეტაშვი-  
ლი და იმან მოიტანა ამბავი, რომ ვაჟას ჩხუბი მოსვლია ერთ  
რუსის ოფიცერთან, ისინი ერთმანეთს შეხებიან ხელით. ბო-  
ლოს და ბოლოს, საქმე იმით გათავდა, რომ ვაჟა-ფშაველამ  
მიატოვა იქ სამსახური.

შემდეგ მას ვხვდებოდი იშვიათად წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარიაში და ვხვდებოდი მას ლექსებს და მოთხრობებს, რომელნიც „ივერიაში“ იბეჭდებოდა. მაშინ მას უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, როგორც დიდსა და ორიგინალურ პოეტს. ყველაზე უფრო მასი ნიჭს დამფასებელი იყო ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „რუსთაველის შემდეგ ჩვენ ასეთი ნიჭიერი პოეტი არა გვევლიათ“. „ხუთშაბათის სხდომებზე“, რომელნიც ილიას ბინაზე ეწყობოდა ხოლმე და რომელთაც ესწრებოდა რედაქციის ყველა წევრი, მწერლები და ილიას მეგობრები, ხშირად კითხულობდნენ ვაჟა-ფშაველას ამა თუ იმ თხზულებას.

შემდეგ, როცა მე დავაარსე საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოება, ჩვენ შევუდექით აგრეთვე სახალხო პოეზიის ნიმუშების შეკრებასა და გამოქვეყნებას. გვინდოდა, შეგვეკრიბა დაწერილებითი ეთნოგრაფიული მასალები საზოგადოდ მთაველთა და განსაკუთრებით ფშავ-ხევსურების ცხოვრების შესახებ. მე ვთხოვე ვაჟა-ფშაველას: „ამას შენზე უკეთესად ვერავინ ვერ შეგვიდგენს, გასამრჯელოს მოგართმევთ, შეგვიკრიბე ასეთი მასალა. ჩვენ გვაინტერესებს, ვიცოდეთ ფშავ-ხევსურების ცხოვრების პირობები, მათი ზნე-ჩვეულებანი, მისწრაფებანი და ხასიათები“. ვაჟა-ფშაველა დამპირდა და რამდენიმე ხნის შემდეგ მოგვიტანა შესანიშნავი მოთხრობა „ფშაველი და მისი წუთისოფელი“, რომელიც დაბეჭდილია „ძველი საქართველოს“ მე-2 ტომში. ეს ნაწარმოები ნამდვილი პოეტური მოთხრობაა, რომელსაც თან ახლავს ფშაურა ლექსები და ანდაზები. ხევსურების შესახებ ასეთი მოთხრობის დაწერა, საუბედუროდ, მას აღარ დასცალდა.

შვილებს აღზრდაში დახმარებას მოთხოვდა და 1902 წელს მისი შვილი ლევანი პანსიონში მივაღებე კომიტეტის საზოგადოების ხარჯზე. გარდაცვალების შემდეგაც მას ორივე შვილს სტიპენდიები დაუნიშნეთ და სასწავლებლად გავგზანეთ.

როდესაც იგი დასნეულდა, მოვათავსეთ სათავადაზნაურო გიმნაზიის საავადმყოფოში, შენობაში, სადაც ახლა ჩვენი უნივერსიტეტია. აქ მე მასთან ხშირად დაუდიოდი და რაც შეეძლო ყველაფერში ვეხმარებოდი, მაგრამ სამწუხაროდ უღრორდ გამოეცალა წუთისოფელს.



ქუთაისში ვაჟა ორჯერ ან სამჯერ თუ ყოფილა.

ერთი ასეთი ყოფნა ვახლდათ 1913 წელს. ვაჟას საღამოს მომწყობმა კომისიამ, რომელშიაც მონაწილეობდნენ, რამდენადაც მახსოვს, ია ეკალაძე, დავით კლდიაშვილი, თეოფილე ხუსკივაძე და სხვ. ვაჟა ქუთაისში მოიწვია და ამისთვის ერთგვარი სახსარიც გაიღო. დანიშნულ დღეს ქალაქის თეატრში ვაჟას გამოსვლას ხალხი დიდი სიყვარულით შეხვდა.

წაიკითხა დიდმა პოეტმა „გოგოთურ და აფშინა“, „ნუგეშა მგოსნისა“, „ერთხანად ჩემო მძრახაო, ლიხსიქითურა დედაო“.

საღამოზე გამოვიდნენ სხვები. რამდენადაც მახსოვს — რაფლენ გვეტაძე, შ. კარმელი და სხვ. რაღაც მეც წავიკითხე...

საღამოს შემდეგ ვაჟას პატარა სუფრა ვაუწყაღლეთ რესტორან „მედვედში“, თამადამ, თეოფილე ხუსკივაძემ, მობრძანებისა და დიდი პოეტური შემოქმედებისათვის მადლობა მოახსენა.

— რის მადლობა? კაცს რომ სწყუროდეს და წყალი დალიოს, ამისთვის რა მადლობის ღირსია? მემღერება და ვიმღერი! — ეგაა და ეც!..

თითქო მართლა „ეც“ იყო და მეტი არაფერი!

მეორე დღეს ვაჟა ქართულ გიმნაზიაში მიაწვია განხვეწებულმა იოსებ ოცხელმა. ვაჟამ სიყვარულით დაათვალიერა გიმნაზიის ახალი შენობა. მეტად მოეწონა ორსართულიანი ვრცელი ნაგებობა. ბრძანა: ჩვენი წინაპრები ღიდ ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ, რომელნიც დღესაც უკვდავ ძეგლებად გამოიყურებიან. დღევანდელმა საქართველომ მშენებლობის ხალისი და სიყვარული ასეთ განათლების კერებზე გადმოიტანა. უკვდავია ჩვენი ერი!

იმავე დღეს ვაჟა ქუთაისს დაეთხოვა.

1915 წლის ზაფხულში იმავე თეატრში, იმავე ხალხისა და კიდევ მეტის თანდასწრებით ვაჟას გარდაცვალების გამო სამოქალაქო პანაშვიდი გადავიხადეთ!



ათასგვარ ხაბუნავესთან ერთად ჩვენ მხარეს გზის უქონლობა აწუხებდა.

უგზობა იყო მთაველი ხალხის ბევრგვარი ზარალისა და ხილარიბის მიზეზი. მწირნიადაგიან ქვეყანას ხშირად ესტუმრებოდა ხოლმე შიმშილი, ფშავლებსა და ხევსურებს ცხოვრება არ შეეძლოთ თბილისის, კახეთისა და ორჯონაძის (კავკაზის) დამოუკიდებლად, საიდანაც ცხენების საშუალებით, ვიწრო ბილიკებით, ისინი საზრდოს, პურს ეზიდებოდნენ. საცალფეხო ბილიკები არ აძლევდნენ აქაურ გლეხებს საშუალებას ბაზარს დაკავშირებოდნენ. ეს ბილიკები კიდეც იმით იყო საზარალი, რომ პურისათვის წასულებს ცხენები უცვივლებოდათ კლდეზე, რომელთაც ხშირად ადამიანებიც მიჰყვებოდნენ ხოლმე თან.

ვაჟა-ფშაველამ მთავრობის წინაშე რამდენჯერმე დააყენა საკითხი ფშავ-ხევსურეთში გზის გაყვანის შესახებ, მაგრამ ყურადღებას არავინ გვაქცევდა. 1890-92 წლებში ხმა დაგარდა, რომ მთავრობას განზრახული აქვს — ფშავ-ხევსურეთზე რკინიგზა გაიყვანოს კავკაზამდეთ. ვაჟა-ფშაველა ამ ამბავს დიდად გაახარა. ერთხელ ქალილოში მესტუმრა და ამის შესახებ მითხრა, — გამიხარლი, იცოდე რკინიგზა გაამდიდრებს ფშავ-ხევსურეთსო.

ვაჟამ მთავრობას ამის შესახებ კიდეც მისწერა: ფშავის ხევზე დიდი მოსახერხებელი იქნება და იაფიც დაჯდება რკინიგზის გაყვანა. გზაც მკვიდრი და მაგარი იქნებაო. 1895 წელს, მართლაც, დაიწყო მთავრობამ რკინიგზის დაგეგმვა არაკვის ხეობაში. მგეგმავებს ვაჟა-ფშაველა გამოცდილი ინჟინერიებთან დაჰყვებოდა და მითითებებს აძლევდა.

გზის მგეგმავებმა გზის მაჩვენებელი ნიშნებიც კი დასვეს ქალილოში და ყოფნის კარზე. აგეგმვის დროს ამ სოფელში შენიშნული და აღმოჩენილი იქნა ორ ადგილას უზარმაზარი საღვინე ქვევრები, რამაც მთელ თემში დიდი ინტერესი გამოიწვია. ვაჟა-ფშაველამ გვითხრა:

„მე მოხუცებისაგან მომისმენია, რომ ფშავის არაკვის ხეობაზე წინათ მევენახეობა ყოფილა განვითარებული. აქ

გაერცელებული ყოფილა ქართული ვახის ძველი ჯიშები რქაწითელი და საფერავი. აკი ეს ქვევრებიც მოწმობენ ამ აზრსა. გარდა ამისა, ფშაველთა ხატებს კახეთში ქართველი მეფეებისაგან ჰქონია შეწირული საკუთარი ზერები. უნდა ვიფიქროთ, რომ ფშაველები კახეთიდან მოტანილ ღვინოს ამ ქვევრებში ინახავდნენ, — დაბეჯითებით გვეუბნებოდა ვაჟა-ფშაველა...

## იოსებ იმედოშვილი

ვაჟა რამდენადაც მწერლობაში იყო თავისებური და განსაკუთრებული, იმდენადვე კერძო ცხოვრებაში — იგი სხვებს არა ჰგავდა.

თავისებური იყო გარეგნობით, ჩაცმა-დახურვით, მიხრამოხრით, სიტყვა-პასუხით, ლექსთა კითხვით...

შუა ტანისაზე უფრო მაღალი. წელში ამოლტილი, სახე გამბღარი, უფრო ხმელი, ბოლო ხანებში ციმბირის წყლულით ცალთვალ-ატირებული, დინჯი, დარბაისელი, თავაზიანი. ხანდახან იფეთქებდა ხოლმე, მაგრამ სულის სიმშვიდეს მუდამ ინარჩუნებდა, არ ეიცი რათა, მაგრამ ვაჟას მიხრამოხრასა და ლაპარაკს რომ ვუკვირდებოდი, უნებლიეთ ზეზვა, ლუხუში და სხვა მსგავსნი გმირნი წარმომიდგებოდნენ ხოლმე.

მეტად საღაც იცვამდა, უბრალო, სოფლელი ფშაველი გლეხისაგან ვერ გაარჩევდით. მუქი ფერის მოშავო ან მოყავისფერო ჩოხა, შალის საკანჭეები, უყელო ჩუსტები, ტყავის ქამარი, გაღიბანდის ქუდი, მოყვითალო ყაბალახი, — აი, მისი მორიულობა განუშორებელ ნაბდითა და ხანჯლით.

მიხრამოხრა — ვაჟაკური, სიტყვა-პასუხი — დინჯი, უფრო „მკვახე“ „გარეული“, ლექსთა კითხვა — თითქო გაბრუებული, საიდუმლოებით შთაგონებული ქურუმის იდუმალი ლოცვა...

თბილისში ჩამოსვლისას ყელზე მოგდებულ მაუდის ყაბალახში განუშორებლად ელაგა ღორის ლურთი, ხმიადის ღორის ქონიანი ნატეხი, სარედაქციოდ დაწერილი ლექსები, პო-

ემები, წერილები და ლესინგის „ლაოკოონი“, რომლის მეშვეობით მხარე შერუჯულ-შეცვეთილი იყო, ფურცლებსა და ნაბრელებს — შექონილი.

როგორც ცნობილია, ვაჟა მწერალთა ოჯახის წევრი იყო არა მხოლოდ ზოგადი გაგებით, არამედ ოჯახური მოღვაწისა და მამამისი, სოფლის მღვდელი პავლე რაზიკაშვილი, განთქმული მოლექსე-მოშაირე იყო, უფროსი ძმა, გიორგი — მოპუ-ლიციანო მწერალი, მეორე ძმა, ნიკო, ბაჩანის ფსევდონი-მით — ცნობილი პოეტი, მესამე ძმა, თედო — ნაჭიერი საბუ-შვო მწერალი, საუცხოო ლექსებისა და მოთხრობების მწერ-ალი, ქართლ-კახურ ზღაპართა შემკრები, მეოთხე ძმა, შამ-სა — მელექსე...

ჩვენს მწერლობაში ვაჟა-ფშაველა შემოვიდა უჩუბრა-სადა, ფშაური, „გაუჩორკნაფი“ ლექსებით. მისი ბუმბერაზო-ბა პირველად მხოლოდ დიდმა ილიამ შენიშნა, როდესაც „ივე-რიის“ რედაქციაში თავისი ახალგაზრდა თანამშრომლის პო-მა „მოხუცის ნათქვამი“ წააკითხეს.

მანამდე, გორის საოსტატო სემინარიის დამთავრების შემ-დეგ, ვაჟამ სოფლის მასწავლებლობა დაიწყო (თონეთში), მა-გრამ ვერ შეეგუა. აქედან იგი იმ დროის ერთადერთ გაზუ-ს „ივერიაში“ მიიწვიეს თანამშრომლად.

მისმამე მომწვევმა, ცნობილმა მოღვაწე-მწიგნობარმა ი-აკობ მანსვეტაშვილმა („ღონ-იაგომ“), მას თავისი საკვირაო ფელეტონებისათვის („უცხოთა შორის“) უცხო გაზეთებთან პატარ-პატარა ამბების თარგმნა მიანდო. მაგრამ ვაჟა ამ საქ-მეს ვერ შეეწყო, სხვისი ნაცოხნის ლექვა ვერ მოეხერხებინა და უცხო გაზეთების ჩხრეკის ნაცვლად, ლექსებს წერდა. ერ-თხელ საჭირო მასალის დროზე მოუმზადებლობით განაწყენ-ბულმა „ღონ-იაგომ“ თავაზიანი ღიმილით მიმართა:

— აბა, ფშაველო, ესე რომ არ გამოდგება! მე შენ რა და-გავალე, შენ კი.. შაირებს მოჰყოლიხარ.

— არ გამოდგება და ნუ გამოდგება, — მიუგო „მკვახელ“ ვაჟამ, ქუდს ხელი დასტაცა და წამოხტა. ამ დროს ილია შე-მოვიდა. მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი მიმოხრა ირგვლივ მყოფთა შემბორკველი იყო.

— რა ამბავია? — იკითხა.



— ბატონო ილია, ამ ფშაველს ხაგაზეთო მუშაობა მივან-  
დეთ, ამის მაგიერ, შაირებს ზიჰყოლია...

— ვინ ფშაველია?

— ამ წინაზე რომ ხელნაწერი „მოხუცის ნათქვამი“ მოგა-  
რთვით, მისი დამწერი.

— „მოხუცის ნათქვამის“ დამწერი? — ყურადღებით იკითხა  
ილიამ, ახალგაზრდა ფშაველს ახედ-დახედა და შეეკითხა:

— ვაჟო, მართლა შენ დასწერე „მოხუცის ნათქვამი“?

— დიახ.

ილია კიდევ უფრო დააკვირდა: — შენია იქ ნათქვამი:

არწიეთა მალღის მთხათა  
ნეტავ რად უნდა მჭებარი?

— ჩემი ვახლავთ...

ამის შემდეგ ილიამ კალმისტარი ყურზემოდან გადმოიღო,  
მაგიდაზე დასდო და დინჯად წარმოსთქვა:

— ყმაწვილებო, დღეიდან ილია ლექსებს ვეღარ დასწერს,  
არც პოეტია, რადგან დიდი პოეტი მოდისო...

ესა სთქვა იმ დროს კერპად გადაქცეულმა, ქართველთა  
ჭირისუფალმა, ქართველთა ყოველნაირი საქმიანობის მესვე-  
ურმა, დიდმა ილიამ, იმ დროის ერთადერთი ქართული გაზე-  
თის „ივერიის“ რედაქტორმა და სულის ჩამდგმულმა.

— ყმაწვილებო, სახარე ხარს სასკორეში შეეტყობა როგო-  
რი ხარიც დადგებაო, ამ ფშაველ ვაჟს გაუფრთხილდით, —  
დასძინა მანვე\*.

აქედან ცხადია, ახალგაზრდა მწერალს რა ფრთები შეესხ-  
მებოდა.

და მართლაც, ამ დროიდან ვაჟას სამწერლო შემოქმედება  
გასაოცრად გაიზარდა, ამასთან ერთად, გაიზარდა მისი სახე-  
ლიც, თუმცა, მისი ფშაური კილო თითქმის ყველას ეხამუ-  
შებოდა და, ვაჟასთან შედარებით, იმ დროს მისი ძმა ბაჩანა  
უფრო დიდ ფშაველ პოეტად იყო მიჩნეული.

\* ეს ამბავი შიამხო გიგა ყიფშიძემ, მასში ცოტა რამ სხვაგვარადაა,  
ვიღრე ი. მანსვეტაშვილის მოგონებაში („ჩემი წარსულიდან“), მაგრამ ძი-  
რითადი, ილიას მიერ ვაჟას აღიარება და წაქეზება, ორივეგან დასტურდება.



\* \* \*

გასული საუკუნის მიწურულს, დაახლოებით 90-იან წლებში ქართული საზოგადოების ცხოვრებაში რამდენიმე დიდი ამბავი მოხდა: ტფილისის სემინარიელთა ამბოხება, ალ. ყაზბეგის (1893) გარდაცვალება, ევ. ნინოშვილის (1894) გარდაცვალება (რასაც „მესამე დასის“ ჩასახვა მოჰყვა), ნ. ბარათაშვილის ნეშტის განჯიდან გადმოსვენება და დიდუბეში დაკრძალვა (1895), ალა მაკჰაღ-ხანის მიერ ტფილისის აობრების ასის წლისთავის პარაკლისი (1895) და სხვა.

ალა მაკჰაღ-ხანის მიერ ტფილისის აობრების ასის წლისთავის პარაკლასზე ვაჟამ აბჯარ-ჩაჩქანოსანი თუშ-ფშავ-ხევსურნი ჩამოაყვანა, პირველად აქ შევეხედი პოეტს. შემდეგ „ქმწ-კვ. საზოგადოების“ წიგნის მალაზიაში შიო მღვიმელმა გამაინო. გაცნობისთანავე ჩემი დიდი ხნის ნატვრა გავუზიარე: — ნება მომეცით, პოემა „ბახტრიონი“ ცალკე წიგნად გამოვეცე-მეთქი. ჩემი საქმიანობა და გვარი რომ შეიტყო, სიამოვნებით შემომლიმა:

- ჩემი წინაპრის სისხლი გდგომია...
- როგორ თუ თქვენი წინაპრის სისხლი?...
- იმედია ჩემი წინაპარი იყო...
- ხუმრობთ თუ დამცინით!..
- როგორ გეკადრებათ...

იხუმრა თუ მართალი სთქვა, არ ვიცი, მაგრამ იმ დღეს მეგობრულად ერთად ვისადილეო. პოემის გამოცემის შესახებ აზრი ჩემს ამხანაგსაც\* გავუზიარე, ვაჟას პონორარის ანგარიშში ფულას ნაწილი მივეცი, თან 100 ცალი წიგნი შევიპირდი. ამიერიდან მეგობრები შევიქენით და როცა კი ჩამოვადოდა, ჩემთან იყო ხოლმე, მთაწმინდაზე.

ერთ საღამოს ჩვენი სახლის პატრონის ივანე გოგიაშვილის ვაჟიშვილს ანტონს ეწვია თბილისელი ლითოგრაფია, რომელმაც, სხვათა შორის, განაცხადა, რომ მათი ლითოგრაფია საუცხოო სურათებს ბეჭდავს, მაგრამ საქართველოში ამ საქმეს ჯერ კიდევ დიდი გასაქალი არა აქვს, უფრო მეტად უცხონი სარგებლობენო.

ეს სიტყვა გულში მომხვდა. კაი ხანია ოცნებად მქონდა,

\* ივულისხმება ი. იმედაშვილის კომპანიონი საგამომცემლო საქმიანობაში, სპირიდონ ჭელიძე.





რომ წიგნები დასურათებული გამოქვეყნდა. შემასხვევით გვესაუბროს.  
 გებლეს და ლითოგრაფს შევეკითხებო:

— რა ეღიბება, რომ ამ პოემის ათიოდეს სურათი დაეზღუდოს?

— სურათება დაახატვისკენ და სხვაზე მოვრიგდებით...

— მართლა რომ კარგა იქნება, თქვენ შესრულება სთქვით, — დასძინა გოგიაშვილმა.

— მაინც მხატვრობაში ჩხირკედელაობ და აბა სცადე, — ეუთხარი გოგიაშვილს.

— როგორ უნდა დაიხატოს? — შევეკითხა გოგიაშვილი, რომელიც ხაზვა-ხატვას მისდევდა.

— თუ გსურთ ქვაზე დაიბეჭდოს, ქიმიური ფანქრით უნდა დაიხატოს საგანგებო ქაღალდზე და ამ ქაღალდსაც მხატვარს მე ვუშოვნაო.

„ბახტრიონის“ სურათების მოხაზულობა მოსახრებულა მქონდა, მაინც ვაჟას შევეკითხე — რა სურათებში უნდა ყოფილიყო, როგორი ტანისამოსით და სხვა. ვაჟამ ზოგი რამ შეგვეჩვენა. ამ დროს ერთი კურიოზი მოხდა. როცა პოემაში წაწოლას ხეზე ჩამოსხრობის სცენა წავიკითხე:

მუხაზე ჩამოკიდული,

კაცი ხინანს სამკლავიანი...

ანტონ გოგიაშვილმა წამოიძახა: — დახე, ფშავლებში სამკლავიანი ხალხიც ყოფილაო.

ვაჟამ გაიღიმა და დინჯად მიუგო: — სამკლავიანი კი არა, სამკლავიანი... მკლავზე წამოცმული საომარი სამკლავით, რკინის საფარით... ბარელნო, ასე როგორ დაგვიწყებიათ მშობლიური ენა...

ყველა სურათი რომ მოვისახრეთ, ვაჟამ კმაყოფილებით წარმოსთქვა: — კარგი იქნება.

— რას ამბობთ, ჩემი ნათითხნებით თუ შეამკეთ წიგნი, ძლიერ კი დაგიმშვენდებათ, — თქვა ანტონმა.

— „ბახტრიონი“ წაიკითხე და თუ ვაივო, დასურათხატვაც არ ვაგვიჭირდება, — მიუუგო.

— მართალია, მართალი, — დამადასტურა ვაჟამ და წააქეზა ანტონ გოგიაშვილი.

ანტონი დაეთანხმებო, სურათები დავახატვისკენ და წავსაყ...

გამოვეცი, რომელსაც წაუშეშვარეთ გ. ყიფშიძის მიერ ჩემს თხოვნით ვაჟაზე დაწერილი კრიტიკული წერილი. ამ გამოცემის შესახებ ტფილისის რუსულმა გაზეთმა «Новое обозрение»-მ გულთბილი ცნობა მოათავსა, ხოლო შენიშნა კი. — «Только иллюстрации вышли аляповато», თუმცა, ვაჟას კი მოეწონა.

ანტონ გოგიაშვილისათვის ეს პირველი ნაბიჯი, და ვაჟას წაქეზება იმდენად იღვლიანი გამოდგა, რომ მან მხატვრობას მიჰყო ხელი და მოკლე დროის განმავლობაში შესანიშნავი მხატვარი-ეთნოგრაფისტი შეიქმნა. მისი ნახატებით შექმული იყო «კვალა», «ცნობის ფურცლის» სურათებიანი დამატება და სხვა, ხოლო გამოცემა ისე ჩქარა გავრცელდა, რომ შემდეგ რამდენჯერმე გამეორდა და ავტორის გამოცემითაც კი დაიბეჭდა.

\* \* \*

ერთხელ ვაჟა ხალამო ხანს მეწვია, ღორი ჩამოვრეკეთ. შევატყვე, უჭმელი იყო. წიგნის სავაჭრო მივეკეტე, აღამიას ხანაიში წავეყვანე და ჩაი ფუნთუშებით მოვითხოვე.

— სარეცხს ხომ არ მარეცხინებ! — მითხრა.

ვიფიქრე, ჩაი არ ეამება-მეთქი და მაწონი მოვითხოვე.

— ეს რაღაა, ჩემს ღლეში არ მინახავს! — მითხრა ღიმილით.

ვითომ დაცინვა ვერ შევნიშნე და მსახურს ვაეძახე: — ძმობილო, ჩქარა ერბო-კვერცხი.

— ალბათ შენი ჯიბის საქმე ჭანდრაკულად არის, რომ მთიდან ჩამოსული ფშაველისათვის ერთი ხელადა ღვინო ვეღარ მოგიხერხებია...

— უკაცრავად, ჩემო ვაჟა, ეგაც იქნება — მიუუგე და მსახურს მივაძახე — მაწონი საჭირო აღარ არის და მეორე მაგიდაზე გადავდგი.

— მოიცა, — წამომწვდა ვაჟა ხელში, მაწონი ჩაიში ჩაახა, კოვზი მოურიდა და გადაჰკრა. — ამოღებული ხმალი უომრად აღარ უნდა ჩაეგოს ქარქაშშიო... ვინა გგონივარ, რომ ნადული წყლით გავიჭყვიპო... ქართველ კაცს თუ ღვინო არ დაა-

ლევინე, როგორ ეტყვა, პური ვაჭამეო... სადმე სარდაფში უნდა ვნახოთ...

ის იყო სარდაფისკენ უნდა გავძლიოლოდი, რომელმაც ჩასვლა მაინცდამაინც არ მესაიამოვნებოდა, რომ უცებ მოვი-საზრე:

— ვაჟა, სწორედ ბედზე გამახსენდა! წავიდეთ.

გზად სანოვაგე ვიყიდე და სახლში ავედი. განჯინიდან ორი კვარტიანი გადმოვიღე, ღვინო დავასხა და ვაჟას მივაწოდე. ჭიქა გამოსცალა თუ არა, სახე დაეჭმუჭნა და მი-თხრა:

— კაი მოვივა, კაი ღვინო დამალევინე, ვაჟას ამაზე მეტად არ აფასებ? იქნებ ფიქრობ, ფშაველია და ყველაფერს მოინე-ლებსო.

ბოთლს ჩაესუნე, პირკატა შეცა, — ვაი შენ ჩემო თავო, — შევწუხდი განჯინაში ოცდარვა კვარტიანი მქონდა შენახული და ყველა დამძარებულიყო...

— ეგ შენი ყისმათი ყოფილა, ჩემო ლუკა, თუ დამიჯერებ, რაც სოფლიდან ჩამომიტანეს, განჯინაში შევინახე და ერთხე-ლაც არ გამისინჯავს. ხომ იცი, რომ არა ვსვამ.

თურმე განჯინის მოსაზღვრე კედელში ბუნარი ყოფილი-ყო ჩატანებული და იმას სიცხეს გაეფუჭებინა ღვინო.

— ძუნწის საქმე აგრეა, — მითხრა დამიღლით ვაჟამ, — არც თვითონ ირგებს, არც სხვას არგებს.

მე უკვე კარებში გავდიოდი ღვინის მოსატანად, აღარ გა-მიშვა, — მართლა ლოთი ნუ გეგონებო. რამდენიმე ლუკმა შეირგო და ყაბალახიდან ვიწროდ დაწერილი, ორად მოკეცი-ლა რვეული ამოიღო. ამასობაში ორი მეგობარიც მეწვია.

ვაჟა შემეკათხა: — ჩემმა „ბასტრიონმა“ ხომ არ გაზარა-ლაო.

— ვაჟას სახელი ვის აზარალებს-მეთქი?..

— პოდა, — მომიგო ნასიამოვნებმა, — უნდა გადავეშვათ ბა-სტრიონ-გალავანზედა... ახლა მომისმინე, — მითხრა და გადა-შალა „ჭაოს და ქართლოს“.

ვაჟამ თავისებური, სადა, მაგრამ მეტად მეტყველი კალო-თი დაიწყო კითხვა, თითქოს ბაგეთაგან სიტყვები კი არ მოი-სმოდა, ცხოველი სურათები გამოკრთოდა, ცეცხლის ნაპერწკ-

ლუბი ცვიოდა... ეს პოემა შევიძინე და ოცი მანეთი ჰონორარი მივეცი.

იმავე ხანებში ვაქა ერთ საღამოს რედაქციიდან განწვენიებული დაბრუნდა.

— დიდი ილიასაგან ნაკურთხი ჩანგი ვილაც ვაჭრებმა უნდა დამიწუნონ? ესლა მაკლდა... ეგენი კიდეც მოიკითხავენ ვაქას!

— იქნებ ენის გამო დაგიბრუნეს, ზოგიერთს შენა ენა არ ესმის.

— ჩემი ენა არ ესმით?! ვაი, ჩვენს ყოფას... ბარუნო, ეს რა დაემართნიათ! ეს როგორ მოხდა, რომ ნამდვილი ქართული ველარ ვაგივიათ?..

— ვინ იცის, ნამდვილი ქართული სადაა?

— როგორ თუ სადაა?.. ბარში რომ ჭკუა დაიკარგება, მთაში შეიბუღებსო.. ენას რაღა დაემართა! თქვენ იქნება ქალაქური ალთაი-ბალთაი ქართული გგონიათ!..

— მაინც გასაგები უნდა იყოს!..

— მერე ხალხი ხომ თავის ენით უნდა ავალაპარაკო. — ყოველმხრივ გზას მიჭრიდა.

„მოამბესა“ და სხვათ ემდუროდა, რომელთაც ზოგიერთი ნაწერის დაბეჭდვა დაეგვიანებინათ და უკან გამოერთვა, ზოგზე ეთქვათ — ვერ დაუბეჭდავთო... ვგონებ, უფრო ჰონორარის მიუცემლობის გამო.

და ეს გარეგნულად სადა, უბრალო კაცი ცოტას იტყოდა, მაგრამ ისე მკვეთრად, რომ მის შინაგან ძალას ყველა იგრძნობდა.

რედაქციები მაინც ვაქას დიდის პატივით ეპყრობოდნენ, რადგან მისი ყოველი ახალი ნაწარმოები ჟურნალისა თუ გაზეთის დამამშვენებელი იყო.

ვაქა იმდენად თავისებური გახლდათ, რომ როგორც იტყვიან, როცა ვინმე ჭკუაში არ დაუჯდებოდა, უცებ გაშორდებოდა ხოლმე, კომპრომისი არ იცოდა.

ერთხელ თბილისის ვაჭრებზე ბრაზს ანთხედა: თითო ღორს სამ მანეთად ვამღევ, — თოთხმეტ აბაზზე მეტს არ მიგცემთო... ამით ისე იყო გაჯავრებული, რომ თუმცა ფული უჭირდა, მაინც ღორი დაირეკა და სოფლისაკენ გაუყენა, —



დაე, ისევ მგელმა დაჭამოს, ქალაქის ვაჭრებს კი არ შეეცქერო. ამ უკან დაბრუნების დროს ერთი სახიფათო ამბავი შემთხვეოდა, რომელიც შემდეგში შევიტყუე...

ლორის უკან გარეკვის დროს სადგურის მოსორებით, დიდუბეში, მეისრე გზის დარაჯმა გზა გადაუჭრა, რკინიგზაზე გადასვლისათვის ერთი ღორი უნდა მომცეო.

— ჩამომეცალე და შარზე ნუ შემაყენებო, — მიუგო ვაჟამ.

— როგორ თუ შარზე გაყენებ, შე პატრონოვლა ფშაველო, ხელმწიფეს ზარალს აძლევ და შარზე ნუ მაყენებო! — გადაუძახა მეისრემ და ღორს წინიდან მოუბრუნა...

— ძმობილო, გეუბნები, შარზე ნუ მაყენებ, მე ჩემი ბოლმაც შეყოფის.

— ჯერ ღორი მომეცი, თუ გინდა ჟანდარმებს არ დავუძახო და მერე რამდენიც გინდა იშარე, — დასჭყვივლა მეისრემ და ღორი უკან გამოირეკა.

— აი, შენი ღორი, შე მართლა ღორით შენა... — შესძახა ვაჟამ და უცებ ყურისძირში ისეთი სილა გააწნა, რომ მორხუბარი წაჭორტმანდა. ვაჟამ ღორი მოაბრუნა, მეისრემ გასტვინა და ჟანდარმიო — დაიძახა.

ჩქარა ჟანდარმიც მოვარდა, ვაჟას ხელი სტაცა.

— როგორ თუ ხელმწიფის კაცი გალახა, ჩქარა პოლიციაში წამოიყვანეთო.

ვაჟა არა ნებდებოდა, — თავი გამანებეთ, ღორი არ დამიფანტოთო.

— ღორებიანათ წამოიყვანეთო.

ბოლოს ვაჟა მაინც გაჰყვა, ღორებიც მიუდიოდა. სადგურის მორიგემ ღორები რომ დაინახა და იქვე „ხებრე მელორე“, იფიქრა, ეს არის საშობაოდ საკლავი გამიჩნდაო და შეუყვირა:

— როგორ ბედავ, ხელმწიფის კანონს არღვევ, აკრძალულ გზაზე დადიხარ...

ვაჟა არ შეუშინდა: — თავი გამანებეთ, მართლა სახელმწიფო გზაზე ნუ მელობებით... ამაზე უფროსმა დაიღრიალა: — ბაჭებო, ღორები ჩამოართვით და ეს „ხებრეც“ დაამწყვდიეთო.

ვაჟა მაინც ეურჩებოდა — თავი გამანებუთო და გამლალავთ წინ გადაეღობა.

— რაკი თავს აღარ მანებებთ, რაც მოგივათ, თქვენ თავს დააბრალეთო, — უთხრა წმინდა რუსულით ვაჟამ, მიუჯდა ხაწერ ქალაღდს და გუბერნატორის სახელზე არზის წერა დაიწყო. გვარსა და სახელს „იგივე ვაჟა-ფშაველა“ რომ მოაწერა, მორიგეს შეკრებილთაგან ერთმა წასჩურჩულა: — ვაჟა-ფშაველა ყოფილა, ცნობილი პოეტი, მახეში გაბმულხართო.

— ნუთუ თქვენ ვაჟა-ფშაველა ბრძანდებით?.. — მიღება მორიგე.

— ვინცა ვარ, მერე გაიგებთ, რამდენ ღორსაც იბარებო, ბარათი მომეცითო... — ეს ისეთი რიხით უთხრა რუსულად, რომ ყველას თვალში „ხებრე მელორე“ ბუმბერაზად გადაიქცა.

ლაპარაკში სხვებიც ჩაერივნენ, ვაჟა მაინც მაგრობდა, მაგრამ ამ ღროს შეისრემ უბიდან „ბახტრიონი“ ამოიღო და გაუწოდა.

— ამის დამწერი ბრძანდებით განა, თქვენ შუბლსა და კალამს ვენაცვალე.

ვაჟას ეს მოულოდნელობა ისე ესიამოვნა, რომ არზა იქვე დახია და მიუგო: — რაკი მაგის წაკითხვა შეგძლება, გაგებაც უნდა გქონდეს, რომ უსამართლოდ კაცი არ შეაწუხო, ყველას ხომ ვაჟა-ფშაველობა ვერ დაიფარავსო.

გაიგდო ჯოხი და ღორი გაირეკა.

მსგავსი ამბავი მას, — პოეტსა და გლეხკაცს — ხშირად გადახდენია თავს.

ერთხელ იყო და, ირი გუდა ყველი ჩამოიტანა და ერთ ვაჭარს მიაბარა. როცა უკან დაბრუნდა, ვაჭარმა ერთი გულა ყველი გადაუმაღა.

ეს რა მატყუარა ხალხი ყოფილაო, — გაბრაზდა ვაჟა და თავის ნაცნობ გუგუშვილთან (უბნის უფროსთან) გაიქცა. გუგუშვილმა რომ მოუსმინა, დაამშვიდა:

— დაჯექ, შენ ნადიმს შეიქეცი, შენი ყველი არ დაიკარგებაო და ვაჭართან თავისი ხელქვეითი აფრინა: ჩქარა ვაჭარს ყველის გუდა მოიტანე, თორემ ციმბირი აქეთ დაგრჩებაო.

მართლაც, ოციოდე წუთში ვაჟას ყველის გუდა წინ ედო

— მაღლი შენ გამწენს, ან შემომაკვდებოდა, ან შევკვდებოდი იმ გაიძვერას, ასეთ მატყუარა ხალხში ნეტა რაფორცხოვრობთო, — უთხრა და მთისკენ გასწია...

\* \* \*

საერთოდ, ყველა დიდი პოეტი და მოღვაწე, რომელთაც კი მე შევხვედრივარ საუბარსა, ლექსის კითხვასა თუ სიტყვის თქმასა მეტად სადანი მახსოვან. განსაკუთრებით ვაჟა იყო უბრალო, სადა, მეტისმეტად თავისებური. მაგრამ ამ სისადავეში გამოკრთოდა მისი სიდიადე. ვაჟა რომ ლექსს კითხულობდა, მარტო სიტყვები კი არ გესმოდათ, არამედ გონების თვალთა წინაშე მთელი სურათები გეხატებოდათ, გულში — სხვადასხვა განცდები...

ხშირად, როცა კი სახლში მწვევია, განსაკუთრებით, თუ რამდენიმე ამხანაგი ვიქნებოდით, ვთხოვდით წარმოეთქვა ლექსი, ისიც ფეხზე მდგომი ან მძიმე ნაბიჯით მიმომავალი დაიწყებდა ისეთი შთაგონებით, იტყოდი, ამ სიტყვებს ეს გარეგნულად უბრალო კაცი კი არ ლაპარაკობს, არამედ ვინმე ზეზუნებრივი არსებაო. და ამ კითხვის დროს თვით ვაჟაც გარდაიქმნებოდა ხოლმე: ჩვენს წინაშე უბრალო ადამიანის მაგიერ ძველებური ჭურუმი აღიმართებოდა... იყო შემთხვევები, როცა ვაჟა ასევე დინჯად მიმომავალი, ჩოხის ჯიბეებში ზელებჩაწყობილი, ან ცალხელაწეული თავის რომელსამე ლექსს თავისთვის ზეპირად ფუჩუნებდა. უყვარდა „ბახტრიონის“ ადგილების კითხვა.

ვაჟა ლექსის ნამდვილი მჭედელი იყო. როგორც თვითონ ესმოდა, როგორც ეგუნებებოდა, თუ შესაფერ სიტყვას მოუძებნიდა და საბოლოოდ ჩასწერდა, მერე მის მაგიერ სხვა სიტყვას ველარ ჩასვამდა: უკვე ნათქვამ-ჩანაწერი უკეთესთავანი უნდა ყოფილიყო.

თუ ვინმე ლექსს გაასინჯებდა, ბევრ ლაპარაკს კი არ დაუწყებდა: ავტორს ღიმილით მისივე ლექსის ამა თუ იმ ადგილის შეუსაბამობაზე, აღწერილობის უზეირობაზე მიუთითებდა ისეთი კილოთი, რომ ავტორი ყურებამდე წითლდებოდა: რატომ ვერ მოვიფიქრე, რა სისულელე ჩამიწერიაო.

ვაჟა თავის დროზე რამდენად მწერლობით იყო საყოველთაოდ სახელმოხვეჭილი, იმდენად კერძო ცხოვრებაში თავს მთის მეჭვირისუფლედ აცხადებდა, მეფის „მოხელე-სტრაჟნიკებს“ სისხლს უშრობდა, როგორც მწერლობით, ისე პრაქტიკული საქმიანობით და 1905 წლის მოძრაობაშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო. იყო დრო, როცა ვაჟა თავის თემის სახლვარზე ფარ-ხმალშეჭურვილი დადგა, — მეფის „პრისტავ-სტრაჟნიკებმა“ ფეხი არ გადმოდგანო. ერთხელ შეიპყრეს კიდეც და თონეთს ჩამოიყვანეს, მაგრამ მალევე გაუშვეს.

რევოლუციური მოძრაობის გამღიერების ხანაში, 1904-1905 წლებში მისი სახელით მიკიტნებმაც კი ისარგებლეს.

დაახლოებით ამ ხანებში პოეტმა ირ. ევლოშვილმა და ირ. ოქრუაშვილმა ტფილისის სადგურთან, მალაკანის ქუჩის მონა № 50-ში, ღვინის სარდაფი გახსნეს, რომლის აბრაზედაც ი. ხოხიტაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი ი. ევლოშვილი ეწერა. მე იმ დროს არ მომწონდა და არც ახლა მომწონს სამიკიტნო აბრაზე ლიტერატურული ფსევდონიმის წარწერა, თუცა იმხანად ამას ერთგვარი პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა: ვითომ თამადანი ან მოქეიფენი რევოლუციურ აგიტაციას ეწეოდნენ. სუფრიდან სუფრაზე სადღეგრძელოს გადახლის დროს, ამა თუ იმ სარევოლუციო-საჭირობოროტო საკითხს ებუბოდნენ. მოკლედ, ასეთი მხრით სამიკიტნოს არსებობას თითქო თავისი დადებითი მხარეცა ჰქონდა.

სწორედ ამ ხანებში, თითქო ევლოშვილისა და ოქრუაშვილის სამიკიტნოს ჯიბრზე, მათს მახლობლად ვიღაც მიკიტანმა თავის სამიკიტნოს აბრაზე „ვაჟა-ფშაველა“ დაწერა. არც ვხ მესიამოვნა და ვაჟას ვუსაყვედურე: — ამის ნებას რათ აძლევ, ხალხი შენის ლექსებით უნდა სთერებოდეს და არა შენის სახელის სამიკიტნოთი-მეთქი. ვაჟა შეიმრიზა: „უჩემნებართვოდ წაუწერიათ ეგ სახელიო“, მაგრამ მერე დაუმატა:

— არა უშავს, — ვაჟა-ფშაველას სახელით ჯერ ღვინოს დაწვაფებიან, შემდეგ ვაჟას პოეზიასაც მოსძებნიანო.





\* \* \*

ვაჟა წერასიაც თავისებური იყო. ჩემს ბინაზე დაძინების დროს მეტყობდა:

— სანთელი და საწერ-კალამი დაძინებო! — ასე იყო პირველ ხანებში, შემდეგ, რაკი მისი ხასიათი ვიცოდი, სანთელ-საწერ-კალამთან ერთად, ქაღალდსაც მოეუშხადებდი ხოლმე, მაგრამ ვაჟა ზმირად ყაბალახიდან იღებდა ქაღალდს, როგორი ქაღალდიც უნდა შეხვედროდა, დასწერდა. უმეტესად კი ვაჟას ლექსები, პოემები, თუ სხვა მასალები უკვე მთაში დაწერილი ჩამოჰქონდა ხოლმე.

ვიდრე კალამს აიღებდა ხელში ლექსის დასაწერად, ზოგჯერ ცალი თვალით ცად მიბჯენილი, გარინდებული იყო, თითქო ვიღაცას თვალი შეასწრო და უთვალთვალეხსო, თითქო ფიქრით ესაიდუმლოებაო, ფუნუნებდა, ბავკეთ მძიმედ არხევდა, ხანდახან წამომდგარი, სახლში ბოლთის ცემით, ძლივს გასაეონი ხმით ლაპარაკობდა. ძველად ასე მინახავს მღვდელმთავარი, რომელიც ბარძიმ-ფეშხუმის ზევით აწვევის დროს, ზენაარისაკენ თვალმიპყრობილი, თითქო უფალს შესთხოვდა მადლის გარდმოვლენას. ვაჟა ლექსის წერის დროს ნამდვილი ქურუმი იყო. წარმოდგენილ და ქაღალდზე გადასაღებ სურათ-იდევთა შესაიდუმლვე, უწუწუდესი მლოცველი და მსხვერპლის შემწირველი.

მასში ორი არსება ცხოვრობდა: უაღრესად ადამიანური და უმაღლესად შემოქმედებითი...

როგორი სახითაც არ უნდა ეწერნა, რანაირ პირობებშიაც არ უნდა მოგეთხოვათ რისამე დაწერა, ყველგან, ყოველთვის თავის მთავარ იდეას — სამშობლოს გაღვიძების, გაზრდის, ამაღლებისა და დაცვის იდეას ჩააქსოვდა.

აი ორივე მაგალითიც:

1908 წელს ტფილისში, აკაკის საიუბილეო დღეებში, ვაჟამ გაიცნო ჩვენი იმ დროის ბრწყინვალე საზოგადოება, მათ შორის, ერეკლე მეორის შთამომავალი, ელისაბედ ირაკლის ასული ორბელიანისა, სილამაზითა და ქართულ ქალობით განთქმული, საზანდარის ფსევდონიმით ცნობილი პოეტი ქალი. მონიბლულმა ვაჟამ, როცა პოეტმა ქალმა თავისი ალბომი წარუდგინა, ჩამიწერეთ რამეო, იქვე ჩაუწერა:

რა მოვივლო, ან რა დავწერო,  
დღე და ღამ ვსტირი, ვულს მაწევს სვედა,  
ერთი დარდი მაქვს, ერთი ნაღველი,  
საგანი ნაღველის, — ქართული დედა.  
იმასთან ერთად ივერის ბედი,  
დღეს უპატრონო, — მას უნდა შველა,  
და ალბომებში ლექსების წერით,  
ვახლება რამეს ვაჟა-ფშაველა?!

1908 წ., 18 დეკემბერს.

### მეორე შემთხვევა:

ვლ. ალექსი-მესხიშვილის საიუბილეო მზადების დროს აკობაძის წმინდა მარინეს საეკლესიო გუნდმა, რომელსაც კომპოზიტორი ნიკ. სულხანიშვილი ხელმძღვანელობდა, გადასწყვიტა მესხიშვილისთვის მიელოცნა, მაგრამ რით? — კომპოზიტორი გრძნობდა, რომ ეს მილოცვა უნდა ყოფილიყო ორიგინალური, ღამაზი, — შესაბამისი ტექსტი კი არა ჰქონდა. სწორედ ამ დროს, როცა ნიკო ვუნდს სხვა სიმღერებით ამეცადინებდა, სკოლას ესტუმრა ვაჟა-ფშაველა. ყველას იამა. როცა ვაჟამ შეიტყო სულხანიშვილის სურვილი, იქვე დაწერა პატარა ლექსი, რომელიც კიკუშამ\* იმავე საღამოს შეასწავლა გუნდს, და ღადო მესხიშვილის იუბილე ნიკოლოზ სულხანიშვილის ზეიმადაც იქცა.

\* \* \*

ვაჟამ იცოდა თავისი წონა და ფასი, ქართველ მწერალთაგან, აკაკის შემდეგ, რედაქციებისაგან ჰონორარი ოფიციალურად მხოლოდ ვაჟას ეძლეოდა, არც უგვიანებდნენ. ზოგჯერ (ძლიერ იშვიათად), რომელიმე ლექსს თუ არ უბეჭდავენ, ამის გამო ვაჟა აენთებოდა ხოლმე.

— ამათ დამიხედე, მაგათ უნდა დაუწუნონ ვაჟას ენა და აზრი? პაი გიდი, პა...

და გაბრაზებული ხელნაწერს წაართმევდა ხოლმე.

თბილისში, ერთ-ერთ ნადიმს, რომელსაც მსახიობი და იმავე დროს, მოპოეტო სოსო ივანიძე თამაშობდა, ვაჟაც დაუსწრო. ერთ ბანოვანს, როცა მისი სადღეგრძელო დალიეს,

\* ნიკო სულხანიშვილმა (კ. ი.):

ვაჟამ კაფიად ლექსი უთხრა, რომელიც დამსწრეთ აღტაცებით მოისმინეს, ხოლო ბანოვანმა სთხოვა: — ალბომში ჩამიწერეთ. ვაჟამ ჩაუწერა. სოსო ივანიძემაც იმ ბანოვანს სადღეგრძელოდ კაფია მოახსენა, მერე ეს კაფია დაწერა და ბანოვანს გაუწოდა შემდეგი სიტყვებით:

— სადაც ვაჟას ლექსია, ესეც იქ ჩასდეთ.

ეს სიტყვება ვაჟას ისე ეწყინა, რომ წამოხტა, ქუდს ხელი დასტაცა და კარებისკენ გაქანდა.

მონადიმენი შეწუხდნენ, ბევრი სთხოვეს: დარჩიო, საწყენად ნუ მიიღებო, მაგრამ ვაჟა გაკერბდა:

— ვიდრე უზრდელს თავის უზრდელობას პირშივე არ ჩა-  
კნრი, აქ რა დამარჩენსო, — მიუგო და გასწია, ვავიდა.

თუ ვისმეს გულიდან ამოიღებდა, ისე ამოირეცხავდა, რომ სიკვდილიც ვერ შეარიგებდა.

დღიურის ზრუნვით მოქანცული, ნადიმისა და საუზმის შემდეგ, საძილედ რომ მივწვებოდით, ვაჟა თავიქვეშ ამოდებუ-  
ლი ყაბალახიდან ლესინგის „ლაოკოონს“ ამოიღებდა ხოლმე და ლოგინში მთელი ერთი-ორი საათი კითხულობდა.

— ძლიერ დიდბანს კი მოუნდი მაგ წიგნსა, — ვუთხარ ერთხელ, როცა ყაბალახისაკენ ხელი გაიწოდა წიგნის ამოსადე-  
ბად. — აჰა, თუ „ლაოკოონი“ არ იყოს...

— „ლაოკოონის“ კითხვას რა დაქლევს, ბარელო. — მომი-  
გო დინჯად და ჩანიშნული ადგილი გადაშალა, — ხელოვნების  
ჭერეტი სული დაიღლება?... რამდენსაც მეტს წაიკითხავ, იმ-  
დენს მეტს შეიციობ...

სიტყვამ მოიტანა და ლაპარაკი სილამაზისა და მშვენიე-  
რების რაობაზე ჩამოვარდა.

— რაც მოგწონს და აგამაღლებს, სულს დაგიტკბობს და  
გულს აღგიფრთოვანებს, თვალს სიამით მოგახიბლავს და ნე-  
ტარ კმაყოფილებას გაგრძნობინებს, სილამაზე და მშვენიერე-  
ბაც ისაა, — დასძინა ვაჟამ.

— რაში გამოიხატება ერთიც და მეორეც? — შევეკითხე.

— ყველაფერში, რაც კი ლამაზად და მშვენივრად არის  
გაკეთებული ანუ შექმნილი...

— ბუნებითი სილამაზე და მშვენიერება სჯობია თუ ხელოვნ-  
ებითი?

— ორივე კარგია და ის უკეთესი, რომელიც ყოველმხრივ სრულქმნილია, მაგრამ მე ბუნებითი სილამაზე და მშვენიერება მირჩევნავ..

— ტიტველა ქალის დანახვა უფრო გზიბლავს თუ ჩაცმულისა?

— ტიტველა ქალს რა დამანახვებს, არა სჯობია, ალკაჯა დამანახვო?

— მაშ ხელოვნება მაღლა მდგარა ბუნებაზე...

— არა, ვაჟო, არა... მე ტიტველა ქალზე ვითხარი.

— ძველი მოქანდაკე-ხელოვანი თუკი ტიტველ სხეულს ვვიჩვენებდნენ?

— კლასიკურ სილამაზეს... დიალატ. კლასიკური სხეულა ბუნებასთან ახლო იდგა, თვით ბუნება იყო და იმიტომ მარად მომხიბლავი... ახლა კი დაემახინჯდით... დამახინჯდა სხეულა, დამახინჯდა სულიც... და პირიქით.

— მაშ ხელოვნება მაღლა მდგარა:

— არა-მეთქი, ვაჟო, არა. ხელოვნებამ დაცემული სულა უნდა აამაღლოს, სულის ამაღლებამ სხეულსაც თავისი პირვანდელი სილამაზე და მშვენიერება უნდა დაუბრუნოს. ეს საგანი რომ გიზიდავს, ესეც სილამაზეა... — მიპასუხა და წიგნის ფურცელი შეარხა.

...ლამე გატეხილი იყო.

შევიწინე, ვაჟა წამომდგარა, ჩოხა წამოუსხამს, ხელები ჯაბეში ჩაუწყვია, ოთახში ერთი კუთხიდან მეორემდის წინ და უკან მიმოღის, ფურცლებს თავისთვის, ერთსა და იმავე პწკარს იმეორებს, თითქო ზეპირად სწავლობსო...

მერე მაგიდას მიუჯდა და წერა დაიწყო.

მეორე დღეს ხელნაწერები „მოამბის“, „ნაკადულის“ და სხვა რედაქციებს ჩამოურიგა.

იმ დამეს მივხვდი, რად იყო ვაჟა ხელოვნებით მაღლა აზროვნებით ღრმა, სურათმეტყველებით მრავალფეროვანი და სადა.

მაგრამ ვაჟას შემოქმედების წყარო მარტო მაღალი ნიჭი, შემეძენილი ცოდნა და მუდმივი კითხვა არ იყო, არამედ ის დიდი საუნჯე, რომელსაც ხალხურ შემოქმედებას ეძახიან: ვაჟა მთელი სიცოცხლე ხალხში ტრიალებდა, მისი სიბრძნით იკვებებოდა მისი მშვენიერი შაირ-ლექსებით საზრდოობდა, — ამიტომაც



ვაჟას ნაწერების უმეტესობა გახალხურდა, ხშირად გიძნელდება გამოარკვით, სად იწყება ხალხური, სად — ვაჟაური.

\* \* \*

ვაჟა იყო თავმდაბალი, სადა, მარტივი, მაგრამ, ამავე დროს, ამაყი და ზვიადი, როცა ამის მიზეზი მიეცემოდა, უსამართლობის სასტიკი მტერი და სიტყვის გამტეხის დაურიღებელი მგმობელი.

უხერო, უპურმარილო, მუხანათ კაცთან ვაჟას სუნთქვა არ შეეძლო.

ერთხელ, მცირე ნადირის დროს, ერთი არასანდომი კაცი შემოესწრო, — ეს შენიშნა თუ არა, ვაჟამ კარი გააღო და უთხრა:

— კარი ღია არისო, — და ხელით მიუთითა.

არდამპატივე, მოუწვევი სტუმარი იძულებული იყო გასცლოდა.

მწერლობის გარდა ვაჟა სიტყვით და საქმით მეფის მოხელეებს დაურიღებლად ებრძოდა, ჰგმობდა ლეგალურად თუ არალეგალურად და 1905 წლის ამბებში დიდი მონაწილეობა მიიღო, როგორც ორგანიზატორმა და აგიტატორმა. მეფის მოხელეებს მისი ისე ეშინოდათ, რომ ერიდებოდნენ კიდეც, განგებ ყურს იყრუებდნენ, ვითომდა ვერ ვამჩნევთ, აქ არაფერიაო.

ვაჟა მუდამ ხალხთან იყო, მათ შორის ცხოვრობდა, ხალხურ ზნე-ჩვეულებას იცავდა, წერდა ხალხური ენით, ხალხური შემოქმედებით ამეტყველებული... ამიტომაც ხალხი, — განსაკუთრებით თუშ-ფშავ-ხევსურები, ძლიერ ეწაფებოდნენ. მისი „ბახტრიონი“ რომ გამოვეცი, ასობით მიჰქონდათ მთაში, რამაც შემდეგში მისი რამდენიმე გამოცემა გამოიწვია.

ხალხს უყვარდა ვაჟა, ეს სიყვარული ხშირად სულ სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა ხოლმე. ზოგი რამ ზემოთ გავიხსენე, ერთსაც დაეუმატებ.

—სოფლიდან დაბრუნებულმა ვაჟამ ხარაზთან შეიარა (გიორგი შინატყებელთან, რომელიც პოეზიის მოყვარული იყო; ზოგჯერ თვითონაც აქვეყნებდა ხოლმე ლექსებს) და ფეხსაცმელები დაუტოვა — შემიკეთეო. გიორგიმ ახელ-დახედა, გადააბრუნ-გაღმწობრუნა, მერე ვაჟას შეხედა — კარგო. ფეხსაცმელი იქვე

მიჰყარა და სამავგიეროდ სხვა მისცა, — დროებით უფრო გულ-  
თხუთმეტ წუთში მზად იქნებაო.

ვაჟა რომ გაბრუნდა, გ. შინატეხელმა ახალი ფეხსამოსი  
მკერავთან მიიღებინა, თოთხმეტშაურად ახალი ჩუსტები მოატ-  
ნა და ვაჟას დაახვედრა.

— ეს რა არის? — გაიოცა ვაჟამ.

— ჩაიცვი, შენი ფეხსაცმელი ისე იყო, რომ მის დაკარგ-  
ვას, ახლის ყიდვა სჯობდაო.

ძალინძალად ჩააცვა, არც ფული გამოართვა, ორი ბოლო  
ღვინო მოიტანა და მასთან ერთად გადახუხა.

ნურავის გაუკვირდება ასეთი რამ. მეცხრამეტე-მეოცე საუ-  
კუნემ იცის ბევრი მაგალითი მსგავსი დახმარებისა, მაგალითად  
მარტო სვედელიანის პიროვნებაც გამოდგებოდა. რომელიც  
ქართველ მწერლებს, განსაკუთრებით კი ეგნატე ნინოშვილს  
სრულიად უანგაროდ ეხმარებოდა...

\* \* \*

ორიოდე სიტყვა აკაკისა და ვაჟას ურთიერთობაზე.

აკაკი ჩემი ჟურნალის გამო ძლიერ დამიახლოვდა. ხშირად  
შემოივლიდა ხოლმე რედაქციაში და თითქმის საათობით ვუ-  
საიფობდით. ხშირად უთქვამს: „თქვენ იმუშავეთ, ხელს არ შე-  
ვიშლით, — ვიცი, რედაქციის მუშაობა და თონეში პურის ჩაგ-  
რა ერთიაო“. ჩვენი საუბრის საგანი ყოველთვის ჩვენი მწერ-  
ლობა, საზოგადოებრიობა ან ეროვნული საკითხები იყო... ურ-  
თხელ შევეკითხე:

— ბატონო აკაკი, მაპატიეთ, მაგრამ მინდა შეგეკითხოთ: ვა-  
ჟა ასე რად გაანადგურეთ.

— ვაჟა გაანადგურე?

— დიახ.

— რით, როდის?

— ენა რომ დაუწუნეთ.

— დასაწუნია და მიტომაც დაუწუნე... სხვებზე როგორ შე-  
კადრებ განადგურებას?

— ხალხმა კი ისე გაიგო: რაკი აკაკიმ ვაჟას ენა დაუწუნა-  
განადგურაო, მოგეხსენებათ, საქართველოში არაუფრო  
ისე არა სჯერათ, როგორც თქვენი...



— ძლიერ შეცდება, თუ ვინმე მომაწერს, ვითომც ვაყას გა-  
 ნადგურება მენებოს... პირიქით, როგორც მოლუაწე-მწერაღსა  
 და ნამდვილ ქართველს ძნელად თუ ვინმეს პატივს ვცემდუ,  
 როგორც ვაყას... ეგ ისეთ გმირად ჩამბეჭდია გულში, რომლის  
 მსგავსს სხვას ვერ ვხედავ, რადგან მაგას სიტყვა და საქმე ერ-  
 თი აქვს!.. ენის დამახინჯება კი არავის უნდა ეპატიოს, — ენა  
 უნდა იყოს ერთი, ნამდვილ ქართული, ხალასი, წმინდა წყარო...  
 მაგან კი ფშავ-ხევსურების კილოკავეები შემოიტანა, რომელიც  
 არავის ესმის... ეს კუთხური გამოთქმანი არ გამოგვადგება...

— ამ მხრივ სხვებიც რომ სცოდავენ... — მავუგე და კრძალ-  
 ვით შევხედე.

— სხვებიც, სამწუხაროდ... საკუთრივ მეც ქე მაქვს აქა-იქ  
 იმერული, მაგრამ იშვიათად, როცა ამას ტიპიურობა მოითხოვს.  
 ეგ მამაცხონებული კი წრეს გადასცდა: ქართული გააფშავ-ხევ-  
 სურა...

შეკამათება აღარ შეეკადრე, მხოლოდ ერთი შევეკითხე:  
 ისეთი რა გმირობა ჩაიდანა, რომ თქვენს გულში სამუდამო  
 ბინა დაიმკვიდრა?

— ცოტა გრძელი ამბავია,, მაინც ვიამბობთ. რომ იცოდეთ,  
 მხირად რედაქტორს რა მიუღლოდნელი ხიფათი ეწვევა ხოლ-  
 მე... ეგებ გაკვეთილად გამოიყენოთ... გასული საუკუნის 80-იან  
 წლებში რუსეთში გამოჩნდა ერთი უცხო ტომიყლაპია, კაზაკთა  
 ატამანი თუ მოატამანო, ვინმე ანოსოვი, რომელიც მცირე ერთა  
 დაპყრობის აზრებს ჰქადაგებდა და რუსეთის მეფის მთაყრობის  
 მხრივ დიდი წარმატება მოიპოვა. რუსთ ბატონობის მომხრე  
 გაზეთებიც ტაშს უკრავდნენ. სადაც წაეიდოდა, ყველგან, გაზე-  
 თები დიდის ქებით იხსენიებდნენ. მაგრამ ასეთივე ზეიმით არ  
 შეხვდნენ ჩვენში, საქართველოში. აქ იმ დროის გაზეთ „დროუ-  
 ბის“ რედაქტორმა ს. მესხმა ეს ამბავი გულცივად და უფრო  
 უარყოფითად აღნიშნა.

ერთ დღეს ვსხედვართ რედაქციაში თვითონ სერგეი მესხი,  
 ახალგაზრდა ვაჟა და მე. ამ დროს შემოიჭრა ერთი შუატანის  
 კაზაკურად ჩაცმული კაცი და შემოჭრისთანავე იკითხა: — რე-  
 დაქტორი რომელია?

- მე გახლავართ, — მიუგო სერგეი მესხმა.
- მე ანოსოვი გახლავართ.



- ძლიერ სასიამოვნოა!
- თქვენ დასწერეთ ჩემზე?
- ჩვენ დაწერეთ.

- მერე როგორ გაბედეთ!? მთელი რუსეთი ხელის ვულს მატარებს, თქვენ კი... - შესძახა ხმამაღლა და ხანჯალი შეაწორა.

- ბატონო, ნუ ყვირით, აქ რედაქციაა! - მიუგო სერგეი მესხმა. ცოტა არ იყოს შემკრთალმა, მეც სიცხე დამადგა: აქ ხანჯლით არ დაგვერიოს-მეთქი.

- როგორ თუ ნუ ყვირი! - ახლავე დასწერეთ თქვენთვის საწინააღმდეგო ჩემი საპატიო წერილი, თორემ... - და ხანჯალი ტარს ხელი იტაცა...

სერგეი კიდევ უფრო წახდა, შეეკრთი მეც, ხოლო ვაჟი დანჯად მიუგო:

- თორემ?
- თორემ გინკენებთ სეირს, - და გადახედა შემკითხველს.
- ვადრე გვიჩვენებდით, თვითონვე ნახეთ, - მაუგო ვაჟი, წამოხტა, უცებ შეატრიალა, ჭიტლაყი ამოჰკრა და გარეთ გაუძახა...

- სადაც შენი დაიკვეხო, ჩვენიც არ დაივიწყო. იმ წუთს გულზე მოგვეშვა, მაგრამ ქუჩაზე გაულისა კი მერადებოდა, ეს დამთხვეული არსად უკვებდეს, ხანჯალი არ ეტაკოს-მეთქი... მაგრამ ვაჟას ჭიტლაყი ისე ემაგრა ანოსოვს, რომ მერე დილიდანვე ტფილისიდან გამქრალიყო, ქუჩაში არსად შემხვდესო...

დაბოლოვა აკაკიმ სიცილით, მერე დაუმატა: დიად, ზემო რედაქტორო, მე იშვიათად მინახავს მწერალი, რომ სიტყვა და საქმე ასე ერთი ჰქონდეს, როგორც ვაჟას... მას ღღეს აქეთ იქ ჩემს გულში კელაპტარივით ანთია!..

\* \* \*

ვაჟას სამწერლო მოღვაწეობის 35 წლისთავის აღსანიშნავი საღამო გამართა 1915 წლის 23 მაისს ტფილისის საზოგადოებრივ თეატრში, „ქართულ სიტყვა-კახმულ მწერლობის საზოგადოების“ თაოსნობით, ვ. გუნიასა და კ. მაყაშვილის გამეფებით.

საღამოს გამართვამდე აგერ-ეგერ გაისმოდა, ვინ დაესწრე



ბა, ტყუილად შევარცხვინთო, მაგრამ მოხდა „სასწაული“, —  
ოპერის თეატრის დარბაზი ისე გაიჭედა, რომ ნემსი არ ჩაყარ-  
დებოდა, საღამოც რიგიანი გეგმით იყო მოწყობილი (ვ. გუნიას  
ხელმძღვანელობით). თვით ვაჟას სცენაზე გამოჩენას საზოგა-  
დოება ფეხზე ადგომით მიეგება და მხურვალე ტაშით დააჯილ-  
დოვა და დაფნის გვირგვინი მიაართვა. ეს იყო დიდი ზეიმი,  
ვაჟას მომავალ ბრწყინვალეებათა შესავალი. ვაჟას ახალი ჩოხა  
ეცვა (ამ საღამოსათვის საგანგებოდ შეკერილი), წარმოხტევა  
მხოლოდ ერთი პატარა ლექსი, მაგრამ საზოგადოება მაინც  
კმაყოფილი დარჩა: ბევრს პირადად არც კი ენახა თავისი სუ-  
ლის შესაიდუმლე და ახლა კი პირისპირ შეხედა მას, ვინც  
სამნახევარი ათეული წელიწადი ქართველ ხალხს რწმენას, სა-  
სოებასა და უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის უნარს უნერ-  
გავდა.

თვით ვაჟასთვის ეს საღამო საბედისწერო გამოდგა...

საღამოს დასრულების შემდეგ გაოფლიანებული ვაჟა სავა-  
ხშმოდ გააქანეს. ვახშმის დროს ვაჟამ გასაგრილებლად ზურგი  
ცოც კედელს მიჰყუდა. ამას მოჰყვა ჩვენებური სმა, რამაც კვა-  
ლი დააჩნია ვაჟას. მალე ქუთაისშიც გაიწვიეს. ამ საღამოებმა  
ფილტვების ანთებით დასნეულებული ვაჟა საავადმყოფომდე  
მიიყვანა. ტფილისის წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში  
(აწინდელი თბილისის უნივერსიტეტის) ზედა სართულში მოა-  
თავსეს. თუმცა... მსოფლიო ომის ცეცხლი ვიზვიზებდა, გაზე-  
თები და საზოგადოებრიობა უფრო „დიდი“ საქმეებით იყო გა-  
ტაცებული, ვიდრე ფშაველ მგოსნის ავადმყოფობით.

მგოსნის სანახავად დროდადრო დავდიოდი ხოლმე.

ერთხელ ჩემი შვილები შალვა და ვაიოზი გავიყოლიე, რომ  
ბავშვებისათვის მეჩვენებინა. ვხაში ვაიოზი (მაშინ ჯერ კიდევ  
9 წლისა) შემეკითხა: — ძია ვაჟას რა მივართვათ? — რაც გინ-  
და-მეთქი. „სოლღეიდორთან“ (მის. მამულაშვილი) გავიარეთ  
და ვარდები წავუღეთ. ლაზარეთში ავედი. გავიარეთ გრძელი  
ტალანი. შევედით კუთხის დიდ ოთახში, სადაც ვაჟას საწოლის,  
მცირე მაგიდის, ერთი სავარძლისა და პატარა კარადის მეტი  
არაფერი იდგა. სამაგიეროდ, მკათათვის მზე უხვად დაჰქაქანებ-  
და. ოთახში შესვლისთანავე სიცხე-ბული ვიგრძენი. ვაჟას სა-  
წოლი კუთხეში იდგა, თვით სავარძელზე მწოლარეს ხელები  
9. მოგონებები გარდასულ დღეთა

კიხერთან შემოეწყო და გარინდებული ცალი თვალთ გამოიქ-  
ქირებოდა, რომ შეგებუნათ, ნამდვილი ლეკენდარული არსუ-  
ბა, ცალთვალა დევი გეგონებოდათ, დაჭრილი ლომით  
ნათხ ჩაბმული.

მიუვახლოვდი თუ არა (გაიოზი კალთაზე ხელმოკიდებულა  
მომდევდა, მას შალვა მოჰყვებოდა), წამოიწია ოდნავ, ორივე  
ხელი გამოიწოდა, ხელი გაუწწოდე, მაგარმ მე ხელი ჰაერმა  
გაშვერილი შემრჩა, ხოლო ვაჟამ ორივე ხელით გაიოზი გულს  
მიიხუტა და გადაჰკოცნა, ახლა — შალვა.

— თქვენ გენაცვალეთ, ბაღლებო, თქვენ ჩემი გულის გამსა-  
რეო, თქვენ თუკი მოიფიქრეთ, რა მესიამოვნებოდა, მამათქვენს  
რალა დაემართა, რომ ვერ გაიგო, რა შეამების... — ჩამოართვა  
ვარდები, დაყნოსა, გულს მოისვა, ხელი ჩამომართვა და მისა-  
ყვედურა:

— თქვე უღმერთოებო, ვაჟა-ფშაველამ ისეთი რა შვეტო-  
დათ, ისეთი რა დაგიშავათ, რომ ამ სიცხე-პაპანაქებაში აღ-  
ნობთ.

— ლუკა, დამერწმუნე, ყოველი ზომა მიღებულია, რომ დრო-  
ით განგკურნონ...

— ეს კი ვიცი, მალე გამკურნავთ... თქვენებურად... აქედან  
თუ არ გამიყვანთ, გამიტანთ მაინცა...

— ლუკა, საუცხოო ექიმები დაგტრიალებენ...

— ჩემი ექიმობა ის იქნება, მთაში ამიყვანოთ, მწვანე ხის  
ძირას დამაწვინოთ, რომ ერთი ბალახსა და ფოთლებში გადავ-  
გადმოვკორდე... გამიყვანეთ-მეთქი მთაში, თავისუფალ ჰაერზე  
და ღმერთი, სჯული, სიკვდილი ვერას დამაკლებს... აქ ჩემი  
მორჩენა არ იქნების, არა. ეს დაიხსომე...

— ლაპარაკი ხომ არ გწყინს? — შევეკითხე.

— მწყინს კი არა, მწყურის... მაგრამ სად, ვინ არის, ვაი,  
რა ჯამბაზები ყოფილხართ... ამდენი ჰაი-ჰუი და ასე უპატრო-  
ნოდ მიგდება კაცისა გაგიგონიათ...

— ლუკა, იცოდე, მთელი საქართველო ამჟამად შენზე ფი-  
ქრობს, მალე გაჯანსაღებას გისურვებს.

— მისურვებს?... სხვას რომ არაფერს მიკეთებს. მეც ვისუ-  
რვებ ომი ჩვენ სასარგებლოდ გათავდეს, რომ... მაგრამ ცალიუ-  
რი სურვილი რას გვიშველის...

მერე გაუთავებელ ომზე ჩამოვარდა სიტყვა. მე შევწუხდი, რომ შიშივე საუბარი წამოვიწყე და სხვა დროს-მეთქი ამაზე ვთქვი.

— როდისღა? — შემაწყვეტინა ვაჟამ, — ყოველი მამულიშვილი სწორედ ახლა, ყოველ წუთს, ამაზე უნდა ფიქრობდეს, ვინ იცის, ხვალეს რა მოჰყვეს, შორეულ დასავლეთსა და სამხრეთში ყუმბარებას გრიალმა ჩვენში ჰაერი როგორ შეარბიოს... უნდა ვიფიქროთ, ვაჟო, სამშობლოს ბედ-იღბალზე, უნდა... მზად ვიყოთ კიდეც, — ხომ ნახეთ, ყველა ქვეყნის სოციალისტმა როგორ მოძებნა სამშობლო კერა... ეს დიდი ომი ჩვენთვის და, საერთოდ, პატარა ერებისათვის უამბოდ არ გათავდების... ჩვენი ბედი მაინც წინადაც ასე ყოფილა, ბუმბერაზები წაიკიდებოდნენ — ჩვენი ვარსკვლავიც მაშინ გამოჩნდებოდა... უნდა ვიფიქროთ, უნდა ვიზრუნოთ კიდეც, რომ აქლემების ჭიდილში კოზაკი არ გამოიჭყლიტოს.

არ მინდოდა სიტყვა შემეწყვეტინებინა, არც მინდოდა ელაპარაკა — არ აწყინოს-მეთქი, მაგრამ როცა შემნიშნა, რომ ხმას არ ვაღებდი, თვალი გამიშტერა და გადმომძახა:

— ბარელო, მართალს ვამბობ თუ არა?

— ხალას ჭეშმარიტებას... — მივუკვი.

— ჩვენი ბედი რომ შეიცვლება, — განაგრძო ვაჟამ, — ეს მჯერა, უნდა დაიმსხვრეს მონობას ბორკალები და ჩვენ სრულა თავისუფლება მივიპოვოთ... მაგრამ თუ ეს არ მოხდა... ასეთ პირობებში მაინც თავისუფლებისაკენ უნდა მივასწრაფოდეთ...

— რით, როგორ...

— საკუთარი რწმენით, შეუდრეკელი ბრძოლით, თავისუფლების ტრფიალით... ქართველი დედანი კიდეც დაზრდიან ლომებსა...

— იცოცხლე, ვაჟავ, იცოცხლე, რომ ხშირად შთაგვბერო გმირული სული...

— შენც იცოცხლე, ჩემო ვეფხვო, რომ შენი მშვენიერი ჟურნალით დიდხანს და დიდხანს ემსახურო ჩვენ დაბეჩავებულ ქვეყანას.

— გმადლობთ... ახლა კი... მშვიდობით გნახე, ოღონდ ერთ-სა გთხოვთ, ნება მომეცი, ასე — საწოლზე მწოლიარე გადაგიდლო, ჟურნალში დაუბეჭდავ, დაე, ქვეყანამ დაინახოს და გაივოს მისი მესაიდუმლე რა ღლეშაა...

— ნება შენია, — მომივო, — ოღონდ შენც ერთი თხოვნა შე-  
მისრულე.

— ბრძანე.

— ჩქარა მთაში გამგზავნეთ, ეს ერთი, მეორეც: ვანც ეს  
მთა კიდეც ერთხელ მომაგონა თავისი ვარდებით, აი, ეს ვარ-  
დი, შენი ბიჭიკო, კარგად გამომიზარდე, დიდი გრძნობის ბა-  
შვი ჩანს და მაგაში მაღალი სული უნდა იდგეს.

— ვეცდები...

ვაჟამ შალიკო და გაიოზი კიდეც ერთხელ მიიხუტა გულს,  
ხელი მაგრად ჩამოართვა, „გმაღლობთ, ნახვისთვისაო“ და ლო-  
ვანზე მიწვა.

იმავე დღეს ფოტოგრაფი ევ. ყვანია მივიყვანე და ვაჟს  
მოწყალების დებთან ერთად გადავუღე სურათი, გამოვაჭკვევ  
ჟურნალ „თეატრი და ცხოვრების“ 1915 წლის ივლისის 12,  
№ 28-ში.

ვაჟას სურვილი მთაში წაყვანის შესახებ ქართულ რედაქ-  
ციებს ვაცნობე და ვუთხარი, დროით ეზრუნათ რამე, მაგრამ  
დამარწმუნეს: — ვაჟას სიცოცხლე კარგი მზრუნველის ხელში-  
აო და ავადმყოფის ენიანობას ანგარიში ვერ გაეწევიაო.

სასოდაკარგულმა უნუგეშოდ ხელი ჩავიქნიე.

\* \* \*

ჩემი ნახვიდან სამიოდე კვირის შემდეგ:

დღემ დაიხურა პირბადე,  
მთაშან დახურა თვალები.  
ქარი აკენესდა, ღრუბელთა  
ზარი თქვეს შესაზარები.

დიად, სულმნათი აკაკის გარდაცვალების 6 თვის თავზე  
მწვერვალთ არწივმა — აკაკის, ილიას და ნიკოს ღირსეულმა  
მეტოქემ მოისალამურა, — სამუდამოდ თვალი დახუჭა.

ქართველობა კვლავ აქართველურდა, — ეს დიდი მეოსანი  
ქართველური თეატრალიზმით დიდუბის პანთეონს მიაბარა.

ასე გათავდა ამ ლეგენდარული შემოქმედის ცეცხლებზე  
მგზნებარე სიცოცხლე.

დაიკრძალა ვაჟა დიდის დიდებით დიდუბის პანთეონში.

შუა ზაფხულის სიცხე-პაპანაქება იდგა, ცალკე ომის ცეცხ-  
ლი გიზგიზებდა, თბილისი დაცლილი იყო, მაინც აუარება პა-  
ტივისმცემელმა მოიყარა თავი. დაესწრნენ წოდებათა, ქალაქ-  
თა, საზოგადოებათა წარმომადგენელნი და დიდძალი ხალხი.

ქაშვეთის ეკლესიაში ეკ. გაბაშვილმა კუბო შუამკო დაფნის  
გვირგვინით, შუაზე გადატეხილი კალმით და წარწერით: „ვა-  
ჟა-ფშაველას — ქართველი ერისაგან“.

კუბო და სამგლოვიარო ეტლი ვარდ-ყვავილებით იყო შე-  
მკული, მეყვავილე მ. მამულაშვილის მიერ, რომელმაც ამაში  
აღებული 175 მანეთი ვაჟას ფონდს შესწირა.

ერთი საზოგადო გვირგვინის გარდა, იყო რამდენიმე სხვა  
გვირგვინიც, თუმცა წინააღმდეგ განაცხადეს, რომ გვირგვინები  
არ იქნებაო.

„თეატრი და ცხოვრების“ მხრივ ეკლესიაში კუბო შევამკე  
ვარდ-ყვავილთა თაიგულით.

ერისაგან მიძღვნილი დაფნის გვირგვინი მიცვალებულის  
წინ მიჰქონდათ მგოსნებს კ. მაყაშვილსა და ს. შანშიაშვილს.

პროცესიას მიუძღოდა მაგალობელთა რამდენიმე გუნდი და  
ქართველნი ქალნი სამგლოვიარო მკერდსაკრავებით, რომელ-  
ნიც ცხედარს გზად ვარდ-ყვავილებს უფენდნენ.

ბევრი სიტყვა ითქვა, როგორც ქაშვეთის გალავანში, ისე  
სამარესთან.

პროცესიას მსვლელობის დროს ხალხში მრავლად იყიდე-  
ბოდა ვაჟას ლექსები, ბიოგრაფია-სურათი — „ვაჟა-ფშაველას —  
ქართველ სტუდენტებისაგან“.

ღირსეულად და საყოველთაო სიყვარულით დაკრძალეთ  
ვაჟა, მაგრამ სიცოცხელში ამისი მეთაური ზრუნვა რომ გამო-  
გვეჩინა, იქნება ასე უღროოდ არც დაგვესამარებინა.

„იას, ბნელ ხეში მოხულსა,  
დიდი ჭადარი ჰფარავდა,  
ეწადა ბეჩავს სიცოცხლე,  
წადილს აღარა კმალავდა“.

- იცი, ია ვინ არის?
- ვინა?
- საქართველოა!
- ჭადარი?
- ?!

გვიყვარდა ვაჟას ლექსები და ხშირი იყო ტოლებში, ჯერ კიდევ პირველ-მეორეკლასელ მოწაფეთა შორის, ასეთი საუბარი.

ქართული გიმნაზიის მოწაფეთა შორის ვაჟა-ფშაველა ილიასა და აკაკისთან ერთად იხსენებოდა. ჩვენი აღმზრდელები ლ. ბოცვაძე, პ. მირიანაშვილი ყოველთვის დიდი სიყვარულით ლაპარაკობდნენ ვაჟაზე.

ვაჟას უფროსი შვილი ლევანი და ძმისწული პავლე (ბაჩანას ვაჟი) ჩვენს სკოლაში სწავლობდნენ. ლევანი უფროსი იყო, პავლე და მე კი ერთ კლასში ვიყავით.

ვაჟა ქართულ გიმნაზიაში რამდენჯერმე მოვიდა. ელვასავით გავარდებოდა ხოლმე ხმა, ვაჟა აქ არისო.

ჩვენც შორიახლოდან ეუმზერდით მას, მხარბეჭიანს, დარბაისელს, შაჟოხა-ახალუხიანს, პირდაპირ და ჯიქურ მომზირალს. მოწაფეობაში ზოგი გოგოთურს ადარებდა, ზოგი აღუდას, ზოგი მინდიას.

1912 წელს მე და ჩემი უმცროსი ძმა საქრო შიო მღვიმელმა შეგვიკედლა. მასთან ვცხოვრობდით. მაშას, რომელიც შიოს დიდი მეგობარი იყო, სოფლიდან ჩამოჰქონდა სახრდო, რაც ჩვენ შესანახად საჭირო იყო. შიოს მაშინ სამსახური არა ჰქონდა, შემთხვევითი სამუშაოთი გადიოდა იოლადა. უფრო ხშირად კორექტურას აკეთებდა.

ერთ დღეს, სკოლიდან რომ დაებრუნდი, შევადე ჩვენი პატარა ოთახის კარი და ქუჩისკენ მდებარე ოთახიდან ხმაძაღლა ლაპარაკი შემომესმა. გავიხედე — სუფრას სტუმრები უხსდნენ.

— ძმისწულო, მოდი აქ! — გამოიმძახა შიომ.

გავედი... სუფრას უსხდნენ: შიო მღვიმელი, ვაჟა-ფშაველა, ივანე ბუჭურაული და ორი კიდევ სხვა. შევეკრთი. ვაჟა, ქართული ველი გიმნაზიელების საყვარელი პოეტი, დიდი ქართველი პირისპირ შემხვდა. შეკრთომა გაძლიერდა, როცა მაგიდაზე დავინახე ჩემი რვეული, რომელსაც ლეიბის ქვეშ ვინახავდი ხოლმე. საქმე ის არის, რომ იმ დროს გადაწყვეტილი მქონდა, დღეში ორი ლექსი დამეწერა და ვწერდი კიდევ. ახლა კი შიოს და ვაჟას უღევთ წინ. როგორ არ შევეკრებოდი?

— ეს არის მოლექსე? — ვაჟამ თავზე ხელი დამადო. — არა, ძმისწულო, შენგან მოლექსე არ გამოვა. აგერ ამ ამბავს კი არა უშავს რა...

მე ფერფური მიმდიოდა, აღარ ვიცოდი რა მექნა.

აბა მოსვი ღვინო, ჩემი ძმის ნიკოს (მამაჩემი) საღლეგრძელო დაკლიეთ და სამადლობელი შენზეა. კარგა ხანია, არ მიხახავს...

მე დავტაცე რვეულს ხელი, გამოვვარდი ჩემს ოთახში, მივხურე კარი, ნაკუნაკუნად ვაქციე რვეული და დავიწყე მწარედ ტირილი. კარგა ხნის შემდეგ გამოვიდნენ, მამშვიდებდნენ და იცინოდნენ. დავიტირე ჩემი ლექსები. ამის შემდეგ ლექსები აღარ დამიწერია.

1913 წელს ფიქრის გორაზე, ფურცელაძის სახლში ვცხოვრობდით. დედამ ორი თუ სამი ოთახი დაიქირავა, ყველა დამმა (შვიდი) ერთად ვიყავით.

სკოლიდან შინ რომ მივედი, სასადილო ოთახში ვაჟა, შიო და მამაჩემი დამხედნენ. შიომ შემომინათა თავისი ჟუჟუნა თვალები და მომხვია ხელები.

— ოო... მტირალ ვაჟკაცს ვახლავარ! — შემომაგება ვაჟამ. — შიომ მაჩვენა შენი ნაწერი „ნაკადულში“. ეგრე სჯობს... (სწორედ იმ ხანებში დაიბეჭდა ჩემი პატარა მოთხრობა).

მე აღმური მედებოდა სირცხვილისაგან. ამ დროს შემოიბრბინეს უმცროსმა და-ძმამ და მიხსნეს. მე კიდევ კუთხეში მივაჯექი და ვტკბებოდი ჩვენი ორი საყვარელი მწერლის მხერით.

მაღე გაიშალა სუფრა. ერთი-ორი კაციც შემოგვემატა და ქართულ სუფრას მეტი რა უნდოდა.

ცოტა ხნის შემდეგ ვაჟამ გადმოგვხვდა ჩამწკრივებულ ბავშვებს და წამოდგა.

— ჩემო ძმავ, დამისხი ღვინო! — ცოტა გაჩუმდა, ჩაბუღ-  
ლა. — ჩემო დაო, ჩემო რძალო, — მიმართა დედაჩემს — დასუ-  
უტკბესო, ჩვენო ქართველო დედაო, შენ და შენისთანები გვირ-  
გვინია ჩვენი ქვეყნისა. ვარასავით რომ ტრიალებ და ამღვნი  
ქართველი ქვეყნისთვის შევიმატებია — ხელი გამოიშვირა ჩვენ-  
კენ — იცოცხლე ქვეყნის სასახელოდ. დალია, დაჯდა. კარგა  
ხანს ხმა არ ამოუღია. მის თვალში დღემდე ცრემლი მახსოვს.  
ცოტა ხნის შემდეგ შიომ წამოიწყო ჩვენი სადღეგრძელო  
და საღილი თავის კალაპოტში ჩადგა.

ამის შემდეგ მამაჩემმა და ვაჟამ თითქოს ხუმრობით, თით-  
ქოს მართლა პირობა დადეს და ამით ერთხელ კიდევ გამაწით-  
ლეს.

„მემძრის ჩარგალში ჩამოდი, შენი ბიჭებიც წამოიყვანე, მე  
გოგოები მყავს ბევრი, იქნებ ერთმანეთი მოუვიდეთ თვალში და  
უფრო დაემოყვრდეთ. მეც ქართლში ხშირად გეწვევით, ხან  
ჩემს ძმას თორტიზაში, ხან შენ ტყეიავში“.

— აბა, სიყრმისავ, — გამომძახა, იქნებ არწივი თქვა. მე ხმა  
ვერ ამოვიღე. თვითონ წამოდგა და თქვა, ჟრუანტელმა დამაა-  
რა, რადგან ვაჟას ნათქვამში არწივი კიდევ უფრო მკვეთრად  
ჩანდა საქართველოდ.

1915 წელს სოფელში გაეიგე ვაჟას სიკვდილი. წავალ-მეთ-  
ქი, ეუთხარი მამას.

— წადი, შვილო, შენ გასწიე ჩემი მაგივრობაც! — და ამოი-  
ოხრა.

სადამოზე ჩავედი თბილისში. ქაშვეთის ეკლესიაში ვსკენა.  
პანაშვიდი იყო, ქაშვეთის წინამძღვარი კალისტრატე ცინკაძე  
სწირავდა.

ხალხი ბევრი იყო. უფრო ბევრი ეზოში.

მეორე დღეს დიდუბეში წაასვენეს. ცხელოდა. ხალხი, მიუ-  
ხედავად ამისა, მაინც ბლომად იყო... არ იყო აღიაქოთი, აურ-  
ზაური. ვაჟა დაასაფლავეს უხმოდ, ზედმეტი ზეიმის გაუმართა-  
ვად, დაასაფლავეს ისე, როგორც შეეფერებოდა რაინდს, რო-  
მელმაც დღენი სიცოცხლისა შრომასა და ბრძოლაში და-  
ლია.



ქუთაისში ყოველ წლებით იმართებოდა საღამო ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს. ერთხელ საღამოს გამმართველმა კომიტეტმა გადასწყვიტა, საღამოს მონაწილეთა შორის მოეწვია ვაჟაც და ამით საზოგადოებას გაეცნო იგი. საკითხი დაისვა — რა რიგით მოქცეულიყო კომიტეტი, რადგანაც ვაჟას რიგიანი ჩოხა-ახალუხი არ აქვსო და ჩამოფლეთილი როგორ დავანახოთ საზოგადოებასო. გადაწყდა ასი მანეთი გაგზავნოდა ვაჟას, რომ შეეკერა ახალი ჩოხა-ახალუხი, ეყიდნა ახალი ფეხსაცმელები ამ ფულით და ისე ჩამოსულიყო.

— დანიშნულ დღეს ვაჟა ეწვია ქუთაისს და გამოწყობილი მივიდა პეტრე ყიფიანთან.

— ძალიან გამოჩისტულხარ, ვაჟას ჭირიმე! ესლა კი ვაჩვენებთ შენს თავს ქუთაისს! მისებური ხარხარით შეხვდა პეტრე ყიფიანი ვაჟას. ვაჟა კი ოდნავ იღიმებოდა.

საღამოზე სული ამოართვეს პოეტს, იმდენი ლექსები ათქმევინეს. ვაჟაც თავაზიანად ლექსს ლექსზედ ამბობდა და აღტაცებაში მოყავდა ხალხით გატენილი თეატრის დარბაზი. საღამოს შემდეგ გაიმართა ვაჟას საპატივსაცემო ბანკეტი, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. ყველა ქება-დიდებას ასხამდა ვაჟას, მაგრამ ვერასგზით ვერ ააღელვეს იგი. მადლობას უძღვნიდა მის მადიდებელთ და იყო ისევ თავდაჭერილი, ყუჩი, განდიდებას ამორებული ვაჟა, რაც მას ამშვენებდა და საყვარელ ადამიანად ხდიდა.

მეორე დღეს, მრავალრიცხოვანმა საზოგადოებამ, ვაჟას ქუთაისში ყოფნის სამახსოვროთ, გადაიღო სურათი. საღამოს მივაცილეთ სადგურამდ და გავისტუმრეთ თბილისში. სადგური-საკენ მიმავალმა, სხვათა შორის, მითხრა:

— ახირებული ადამიანია ეს ჩვენი აკაკი! დამიწერა „ენას გიწუნებ ფშაველოო“. კაცო, მე ამ ჩემი ენით მომწონს თავი, თორემ სხვა რა არის ჩემს ლექსებში და პოემებში! თუ ენაც დასაწუნია, მაშ ადარაფერი ყოფილა და ბარემც ასე სთქვი პირდაპირ და ის იქნება! უცნაური კბენა იცის ხოლმე! — ამას საოცარი გულიხტკივილით ამბობდა დიდებული ვაჟა.

საოცარი იყო ეს ადამიანი: იმდენი ქება-დიდება, მოწონება

ესმოდა, მაგრამ იგი ისევ უბრალო, თავმდაბალი ვაჟა იყო. სხვა ყვარული ვაჟა, გაჭირვებაში მყოფი, ვაჟკაცურად მებრძოლი, გაჭირვებასთან, რომელშიაც კიდევაც დალია თავისი კურთხეული სული.

## დავით კოზიაშვილი

ერთხელ მე და ვაჟა თიანეთში მივდიოდით. გზაზე სოფელ ვარცლასთან შევჩერდით და სოკოს დაფუწყეთ კრეფა. სოკოს ძებნაში ჩვენ ერთმანეთს დავშორდით. შემდეგ ვაჟა შინდას ბარში ვნახე დამჯდარი, დაბეჯითებით რაღაცას ლაპარაკობდა. როდესაც შეჩერდა, მივედი და ვუთხრა: „რა იყო, რა დაგეშართა; ვის ელაპარაკებოდი? — „ვიღაცას ვეკამათებოდი, ვებასებოდიო, — მიპასუხა მან, — ბუნებაში ყველაფერი ცოცხალია, ყველას ენა აქვს, თითოეული ერთმანეთის მახლობელია. ტყეშიც შინდები ერთადაა მიქუჩებული, წიფლებიც კიდევ ერთადაა და სხვა ერთნაირი მცენარეები კიდევ ერთად ხარობენო“.

## ტატო შველაშვილი

მალაროსკარში ბაჩანას სკოლის შევირდი ვიყავი. პანსიონში ვცხოვრობდი. იმავე შენობაში ცხოვრობდა ფშაველა ახალგაზრდების მასწავლებელი ბაჩანა. ვაჟა-ფშაველა ხშირად მოდიოდა თავის ძმასთან.

შაბათი ღღე მიიწურა. მზე შუბისტარზე იქნებოდა დახრილი, როცა ცხენოსანი ვაჟა ბაჩანას კარებს მოადგა. ჩაფსკენილი, ჯმუხი მასწავლებელი ბაჩანა ძმას პირველი შეეგება. ვაჟა ჩამოქვეითდა. უნაგირადან მძიმედ გადმოიღო ჭრელი ხურჯინი და ბინისკენ გაემართა. ფეხდაფეხ მიჰყვა ბაჩანაც. მოსალამოვდა. ძმებმა ივანშემეს. ტკბილად ლაპარაკობდნენ. მათი საუბრის შინაარსი შევირდებს დაწვრილებით ვეცნობოდა, რადგანც ოთახები თხელი ფიცრით იყო გატიხრული.

ბევრჯერ შეესწრებივარ, რომ ძმები კამათობდნენ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების, ლიტერატურისა და ხელოვნების, კრიტიკის საკითხებზე. ხშირად ბაჩანა ვაყას აშკარა მეტოქეობას უწევდა. თითქმის გათენებამდის იბაუქრეს ლიტერატურისა და ხალხური მეტყველების საკითხებზე.

ძმების დაუსრულებელი დავა გაცხარდა „ბახტრიონის“ ზოგიერთი თავის შესახებ. ბაჩანამ მოურადებლად და ორბროვანად უთხრა უფროს ძმას.

— ვაჟა, კეთილს, კვირიაზე რომ წერ, „ხმალი წელთ ერთკა წნელითაო“ შეუსაბამოა. ნუთუ გმირმა ვერ იშოვა ბაწარი, ლაფანი, თასმა, ღვედი და სხვ.

— ბაჩანავ, გამიგონია, „მექოთნე, ქოთანს, საიდანაც უნდა, იქიდან გამოაბამს ყურსათ“. „ბახტრიონში“ გმირს ჩემებული აღჭურვილობა, ვფიქრობ, მეტ ელფერს აძლევს... შენსავით მაინც არ მოვქცეულვარ. შენ „კაი ყმას“ ტუტუცა და თავსწვერა უწოდებ...“ ბაჩანამ ტონს აუწია, თავს იმართლებდა, ასაბუთებდა. ძმების დავა სიტყვიერ შეურაცხყოფამდეც კი მივიდა. მაგრამ ჩქარა მონახეს საერთო ენა. ფშაური ლაზათიანი სიმღერა წამოიწყეს. მღეროდნენ ხალხურ ლექსს: „სამი არ გაიწურთნება“...

## ნიკო კურდღულაშვილი (ნარკანი)

1892 წლის დეკემბერია, თბილისი და მისი მიდამოები თეთრ სუდარაშია გახვეული, ბარდნის, თუმცა მოშუადღევებულია, მაგრამ ილიას „ივერიის“ სარედაქციო ოთახში ბუნდი სინათლეა. ჭრელი შემადგენლობაა რედაქციაში. ილია თვითონ აქ არსად არა ჩანს. შვიდი-რვა თვის განმავლობაში ერთხელ მოვკარი თვალი, როდესაც გაზუთის ნომერი მოითხოვა და კარებიდანვე გაბრუნდა. რედაქციის გამგედ და სტილისტად გრიგოლ ყიფშიძეა, რომელიც დღეს არ მოსულა და მის მაგივრობას ეწევა ცნობილი ხალხოსან-რევოლუციონერი შაო დავითაშვილი. იგი ერთადერთი გრძელი მაგიდის შუა ალაგას ზის და ხელნაწერებს ჩაჰკირკიტებს. მის პირდაპირ კალამს აწრიპინებს

საშა ნიკიტინი, (ჩორნი), საოხუნჯო ფელეტონსა წერს. მკვე-  
დის ბოლოშია ლურჯსათვალეზიანი მიხა ცხაკაია, რომელსაც  
გრძელი ქოჩორი ხშირად თვალეზზე ეფარება და თავის აქნ-  
ვით უკან გადაიყრის ხოლმე. რედაქციაში მას აბარია უცხოე-  
თის და რუსეთის ამბების განყოფილება. მე, სემინარიის მეო-  
თხე კლასიდან ახლად დათხოვილი, წვრილ-წვრილ ამბებს  
და გასართობებს ვცოდვილობ. საგაზეთო მასალების წასაღე-  
ბად დროდადრო შემოვა მაქსიმე შანიძე—რედაქციის მწე.

ჩემთვის უცნობმა კაცმა შემოაღო კარი. ტოტბედაშვებულ  
თეთრი ყაბალახი მოიხსნა! ახალთ-ახალი კალოშები გაახად  
და შემოილაპარაკა:

— ძაან ბარდნის, ვაჟებო! — ყველანი წამოდგნენ.

— ოჰო, აჰ! ვაჟას სალამი, ვაჟას ვახლავართ.

— სალამი მთის არწივს. დიდებულ პოეტს. — ნითხითი  
მიეხალმა მიხა ცხაკაია.

— მთის სალამი მომირთმევი, ესეც საახალწლო ძღვენი!  
ვაჟამ უბიდან ამოიღო ძველი დავთრიდან ამონახვევ, გაფით-  
ლებულ ქალღღებზე ნაწერი ლექსები და შიოს წინ დაუწყო.

ვაჟა მხარბეჭიანი იყო, წარმოსადევი, კუნთებჩასბზულა.  
ტანთ ეცვა ფშაური შალის, ჩაქებიანი ჩოხა, ზედ ტყავის ჯუ-  
ბაზე გაწყობილი. ახალუხი ეცვა შავი სატინისა, ყაითნის ღილ-  
კილოებით შესკვნილი. ახალუხის საყელო ჯმუხ კისერს ჩე-  
კეცა. ყელიანი მესტები, დაბალყალამიანი შავი ტყავის ფშაუ-  
რი ქული. შუბლზე წამოფენილი ფშაურად შეკრეჭილი ქოჩო-  
რი. წამოგრძელებული წვერ-ულვაში. კისერზე გაუპარსაჟ  
წამოშვერილი თმა... მარჯვენა თვალი ყაითანშებმული შავი ნა-  
ჭრითა პქონდა შეხვეული...

ასეთი იყო ვაჟა იმ დეკემბრის თოვლიან დღეს, როდესაც  
პირველად ვნახე. მოკითხვის შემდეგ შიო დავითაშვილი ისევ  
თავის საქმეს ჩაუჯდა. საშა ნიკიტინმა ისევ ააწრიბინა კალამი:  
მიხამ კი ჩვენსკენ გამოინაპირა ვაჟა და დეკლამაციით წარ-  
მოთქვა ნაწყვეტი „ბახტრიონიდან“.

აჟიდნენ ალაზნის თავსა,  
მთების წვერონი ჩნდებოდნენ,  
საცა გამხედავ, ყოველგან  
გასასტერონი ხდებოდნენ...

მიხამ ოთხიოდ კუპლეტად ზეპირად წარმოთქვა:

— შეხედეთ, როგორ დაუსწავლია, კაცებო! — გაოცებულად ვაჟამ და ტაში შემოჰკრა.

— ჩემმა მშემ, არც ერთი ჩემი ლექსი ზეპირად არ მახსოვს და ვერც ვგრე მოხდენილად ვიტყვი.

მიხამ ახლა სხვა ნაწყვეტიც წარმოთქვა:

...მოგესალმებით, ქედებო,  
მომაქვს ხალაში გვიანი,  
ჩემხამც სამარეს ამკობენ  
თქვენი დეკა და ღვიანი.  
ნუმც გამიწერების პირიმზე,  
ნუმც დამწვეელიან იანი,  
რომ იმათ დედის ძუძუთი  
უხუქდები ცოდვილიანი...

ვაჟა უცებ გასხლტა და ვითაშვილისკენ და კალამს უტაცა ხელი:

— ციც, შიო!

შიომ საბოდიშო ღიმილი შემოაგება:

— ვაჟა, საწყენად კი ნუ მიიღებ და ვიფიქრე, იქნებ ასე სჯობდეს-მეთქი.

— შიო, ჩემს დაწერილს გასწორება არა სჭირდება; რაც დაწერე, დაწერე, ბასტა! არ მოგწონთ, ნუ დაბეჭდავთ. გასწორება კი არა-მეთქი!

შიომ ღიმილითვე წამოიწყო თავისმართლება, მაგრამ ვაჟამ ხიტყვა მოუჭრა.

ლექსი შიომ სტამბაში წასაღებ მასალებთან გადადო. ამ ლექსის სათაური იყო „ბებერი ლომი“. მაინც ისე უზრიკა დავათაშვილმა ვაჟას, რომ იმ დღეს ფელეტონის განყოფილებაში მიაყოლა ცახელის ვრცელი პოემა, აკაკისებური, მსუბუქი სტილით დაწერილი. რითმაც მწყობრი მოსდევდა ცახელს, თუკცა პოემის დედაზრი გამართლებული არ იყო.

რედაქციიდან წახვლის წინ ვაჟამ თქვა:

— მე ქალაქის სტუმარი ვარ, ვაჟებო! ხომ იცით, „მარტოხელა კაცი პურის ჭამასიაც ცოდოაო“, — მოდიოთ ერთად ვისადილოთ!

წითელი ხაზილალა უყვარდა ვაჟას, შავს არ ეტანებოდა.

— ცხელ-ცხელი იანი და ზედაც ქოსების „მტკრიანი“ (ე. ი.

მველი ღვინო) კარგია ხომ? მაშ იქ მოგვლით. მთისას ვიტყვი, ბარისას, ქვეყნის ამბებს გავუზიარებთ ერთმანეთს. ჩარგალში ხომ „ივერიის“ ამბების გარდა სხვას ვერაფერს ვაქმენ“.

\* \* \*

საზოგადო შუკრებულობაში ვაჭა მეტი სმეტად მორცხვი იყო. მოხატრებული; მაშინ ჯერ საჯაროდ არსად არ გამოსულიყო ლექსების სათქმელად. იმხანად თბილისში წამოიწვეს ე. წ. საოჯახო საღამოები, მოსაწვევი ბარათებით. დამსწრენა ნაცნობობით იკრიბებოდნენ. იყო ხოლმე ბუფეტია, მშრალი ხუზით, ხილეულით, ტკბილეულით და მაგარი სახმელებით. ბუფეტის შემოსავალი და მოსაკვევი ბარათების გადასახადი საქველმოქმედო საქმეს ხმარდებოდა.

ზემოხსენებულ დეკემბრის დღეებში, ვაჭას თბილისში ყოფნის დროს, ოღლა ბეჟანიშვილმა (შემდეგში ილია აღლაძის მეუღლე), რომელსაც ხუმრობით „იოლკას“ ვეძახდით, საღამო მოაწყო, საქველმოქმედო მიზნით, შიო არაგვისპირელის სასარგებლოდ, რომელიც იმ დროს ვარშავაში სავეტერინარო ინსტიტუტში მიემგზავრებოდა... ამ საქველმოქმედო საღამოს „ივერიის“ თანამშრომლებთან ერთად ვაჭაც დაესწრო. ხალხი ბერი შეიკრიბა და დარბაზში ყველა მაგიდა დაკავებული იყო. სტუმრების მეტი ნაწილი კიდევ ფეხზედ ტრიალებდა. უკრავდა საზანდარი და ისმოდა ბაიათი. ვაჭას აღტაცებით შეეგებნენ დიასახლისი და მისი თანაშემწე ქალებიც, გარს შემოეხვიენ და სთხოვდნენ მთელი საზოგადოების წინაშე გამოჩენილყო. ერთ-ერთი თავისი ლექსი წარმოეთქვა. ვაჭა პატარძალივით აიწურა, უჩვეულო უხერხულობაში ჩავარდა და ხელების გახვესავებით უარობდა. მოღიმარე ქალები არ მოეშვნენ. დიასახლისმა ხმამაღლა გამოაცხადა: ჩვენი დიდებული მგოსანი ვაჭა ფშაველა წაიკითხავს ლექსსო.

ვაჭა ძალით შეაყენეს სკამზე. ერთხანს თვალდახრით იდგა. მერე დაბალი ხმით, ჯერ გაუბედავად დაიწყო, მაგრამ მალე შემართებით ასეთი პატარა ექსპრომტი წარმოთქვა:

მაველის თვალი გივლვარებს,  
მომანათე შველივითა;  
გოგოვ, შენ კი გენაცუალე,  
დაგოგმანობ მწვერივითა!

ხაერთო ტაშის გრიალში ვაჟა ჩვენს მაგიდასთან ჩამოიმა-  
ლა და თავი აღარ აუღია, თუმცა დიდხანს გრიალებდა ტაში,  
კვლავ იწვევდნენ...

\* \* \*

...იმ ხანობას პანკისში ვიყავ მასწავლებლად; თელავში მო-  
მიხდა ყოფნა და უკან ვბრუნდებოდი. მგზავრობა ცხენით მომი-  
ხდა; ჩოხა-ახალუხითა და ხმალ-ხანჯლით შემოსილს, ნაბადი  
მქონდა წამოსხმული. ჟინჟლაკდა. გზად ახმეტაზე გავიარე.  
უცებ ვიღაცის ძახილი შემომესმა:

— ნიკო, ნიკო. „ნარკანო“!

დუქნის აივანზე ვაჟა და ორიც სხვა მაგიდას შემოსხლომო-  
დნენ. ცხენი შევაჩერე.

— ჩამოხე! — მოკლედ მიმიპატიეთა ვაჟამ. ცხენი ღერეფნის  
ღირეზე მივაბი და მაგიდას შემოუუსხედით.

— საით გაგაწვეაა, ნიკოლოზ?

— პანკისისკენ, მასწავლებლად ვარ.

— ჯოჯოლოში იქნებით, ალბათ. კარგია მასწავლებლობა.  
სკოლის გარდა სოფელსაც არგებს კაცი რასმე. მეც ვიყავი მა-  
სწავლებლად, მაგრამ არ მომასვენეს.

— თქვენ საით, ვაჟა? თელავისკენ თუ თიანეთისკენ?

— არც საით, ჩარგალში მომწყინდა და ამ ჩვენ „სატახტო  
ქალაქ“ ახმეტას ჩამოვუარე.

— ეხლა კარგი ახმეტური მოგვიხდებოდა, ძმისწულო, — მი-  
უბრუნდა ვაჟა მეზობელს.

— შევსვით ვაჟაი, — იყო პასუსი. დახლზე სველი ხელადა  
და ჭიქები გამწყრივდა; დახლიდარმა ყველის ნატური და პურის  
ნატები გადმოძო. „დალიე, დამალევინე, ეგ ღვინო ოხერ-ტიაა-  
ლი, ეგების წადმა ვიფიქროთ ქვეყნის უკუღმა ტრიალი“, ჩაი-  
ლაპარაკა ვაჟამ და ჭიქა ასწია. შესაჯახებლად მივაგებე ჭიქა,  
მაგრამ ვაჟამ ჩემს ჭიქას გამოშვერილი ნეკი მიაგება.

— არ მიყვარს უცხოური ჩვეულება.

— მგონი გერმანული უნდა იყოს, „შტრინგ“.

— ქართული მაინც არ არის... ასე, ძმისწულო, დღეს ერთი  
ზნე შემოგვეჩვევა, ხვალ მეორე და ბოლოს ქართული იერი დაი-  
კარგება. ყველა თავისებური გარეგნობისაა, თავისებური იე-

რისა, ჩაცმულობისა, ხასიათისა და ზნე-ჩვეულებისა. — შკაპოვს ვაჟამ მომმართა:

— ნიკოლოზ, ძაან გიხდება ეგ ჩოხა, მაგრამ პირიქადავ ქისტს უფრო ჰგევხარ, ვიდრე კახელს.

— ვაჟა, სადაც მიხვიდე, ქუდიც იქაური დაიხურეო, ნათქვამია.

მართლაც ქისტურად შეცვია: მოსიარძული ჩოხა-ახალუბი, ოქროს წყალში დაფერილი ბალთებიანი ქაშარი, სპილოს ძვლის ტარიანი ხანჯალი, ხმალი, რევოლვერი და ჩალიღული მესტები.

— ვაჟა, თუ დრო გაქვს, პანკისისკენ გავასეირნოთ.

— პანკისი ლამაზი ხეობაა და ქალებიც ლამაზი იცის; თუ წაწლები გეგულება, გავისეირნოთ! — წაიხუმრა ვაჟამ.

ხატყვას ხატყვა მოჰყვა, ხელადას ხელადა. მოსალამოდა.

— ამ ახმეტურს რა სჯობია, მაგრამ, — თქვა ვაჟამ, — ნათქვამია: „წასვლა სჯობს წარმავალისაო“. ნიკოლოზ, პანკისისა რა მოგახსენო და მატნამდე კი ერთად ვიმგზავროთ, იქ ცოტა რამ საქმეცა მაქვს.

— კეთილი, ამალამ ჩემი სიყრმის მეგობარს, მატნის მასწავლებელს, ლადო ხელაშვილს ვესტუმროთ, ესიამოვნება თქვენი გაცნობა.

ვაჟამ ანგარიშის გასწორება არავის დაგვანება.

— ვიღინოთ, — მოკლედ მოსჭრა ვაჟამ.

შეესხედით. ვაჟას შინდისფერი „ვასკა“ იორღა ყოფილა. ჩემიც იორღაა. (უფრო სწორედ — ჩემი სიძის, ილიკო ლომკაცისა). წვიმს, ნაბად-ჩაბალახებში შებურვილები ხადოლედ მივერეკებით ცხენებს. ჭაჭანური და ახმეტური ძაღას იჩენს. მატნის ბოლოზე შემოგვალამდა. სოფელში სინათლე აკაიფდა. ხელაშვილის კარს მივადექით. მასპინძელი ღიმილით და ხელების სრესით შემოგვეგება, დიდად ესიამოვნა ვაჟას გაცნობა. აგვიპატიეთა აივანზე. სასკოლო ოთახის გვერდით ერთი ფიჭური ოთახი ჰქონდა, სუფთად დალაგებული, — ერთი მაგიდა, ფარდაგადაფარებული მუთაქებიანი ტახტი და რამდენიმე სკამი.

მასპინძელი, ნათქვამია... — წამოიწყო ვაჟამ, მაგრამ თავი შეიკავა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა: — ჩვენი ჩვეულება



უნდა მოგახსენოთ, სანამ ჩემს ცხენს თავლაში დაბინავებულს არა ენახავ, სახლში ფეხს ვერ შემოვლგამ.

მასპინძელი სიცილით ამშვიდებს ვაჟას, რომ ყველაფერი რიგზე იქნება. ჩვენს ცხენებს ოხშივარი ასდის, ქაფში არიან გავლებულნი. ნაბდები წამოვახურეთ და პატარა ბიჭუნა ატარებს ეზოში. მასპინძელმა ცხენები ნათლიმამის თავლაში გაისტუმრა. მაგრამ ვაჟამ არ მოიხვენა და ჩვენც თან გავყევით. აღრწოლებული ჭრაქით გაგვიძღვნენ წინ. თავლაში ვაჟამ თავის „ვასკას“ ყურები და კუდი ჩამოუშალა. დაბრუნებისას მასპინძლის მაგიდაზე ოხშივარადენილი ერბოკვერცხი იდგა. სკოლის გამგეს, გოგოლაშვილს, ცივად მოხარშული დედლები და გრძელი შოთები გამოეკზა. „გალავნის ემირს“, — ასე უწოდებდნენ მატნელ ჩოლოყაშვილს, დიდი გოზაურით ღვინო მოერთმია. სუფრა სტუმარსლა მოელოდა. ჩვენ უკვე ზარნოსმად ვიყავით და... ვაჟამ შემოილაპარაკა:

— შენა ყოფილხარ გუბერნატორი, სოფლის მასწავლებელი და ასეთი სუფრა?

— წყალობითა სხვათა და სხვათა... — სიცილით მიუგო ხელაშვილმა.

ისევ ჭაჭანურით დაიწყო საქმე. ნამგზავრებს მადა მოგვსვლოდა, რასაც ყვითლად ჩაკვერცხილი და დანიერული დედლის ეშხი აძლიერებდა. თითოც შემოგვთავაზა მასპინძელმა, ვაჟამ გადმოიმხედა:

— ნიკოლოზ, რას იტყვი, ბევრი ხომ არ მოგვივა?

მე უკვე ბევრიც მქონდა მოსული, მაგრამ ისტიბარს არ ვიტყბდი, მეგობრებს გუნებას ხომ არ გავუფუჭებდი.

— სამების ძალზე, — არ გვეშევა მასპინძელი.

— სამება იყოს...

ვაჟა მუთაქაზე ფეხმორთხმული, ფაშასავით ზის, ამართულა იერი უხდება, სადინჯეც ოლიმპიური მოსდევს. საუბრის ხალასი თანდათან მატულობს. იწყება სადღეგრძელოები... რუსთაველი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ყაზბეგი, ჭონქაძე, ნინოშვილი... ყველას შესაფერისი სიტყვა და შეფასება უნდა. დაუსრულებელია სამასლაათო თემა, დაუსრულებელია ოხუნჯობა, საცილი, მზიარულება, გიტარაზე დამღერება. ვაჟა ისევ მთასავით ამართულა, ნირი არ შეშლია. მე კი მოჭარბებას

10. მოგონებები გარდასულ დღეთა

ვგრძნობ... ეს „გალავანის ეშირის“ ვოხაურიც „შიოს მარში“  
გახდა სწორედ!.. თანაც კამათი ხომ ბოლომდე უნდა მივიყუ-  
ნო?

— დიახ, იმას ვამბობდი, რომ „რა ენა წახდეს — ერიც და-  
ცესო“, საბედნიეროდ, ესე არ მომხდარა...

— რუსთაველიდან დაწყებული დღემდე ქართულმა ენამ  
მრავალი დევნა და ცვლილება განიცადა, მაგრამ სალიტერატუ-  
რო ენა მაინც ჩამოყალიბდა; ჩვენი ენის ღირსება ის არის,  
რომ სასაუბრო და სამწერლო ენა ერთმანეთისგან არ არის და-  
შორებული, როგორც ზოგიერთ სხვა ენებში. რუსეთში სალი-  
ტერატურო შემოქმედი პუშკინი იყო. ჩვენცა გვყავს სალიტე-  
რატურო ენის შემოქმედნი: ილია, აკაკი...

— პეპლების პოეტებისა არა მწამს რა, — კვლავ ჩაურთო ვა-  
ჟამ.

— საქმე პეპელა კი არ არის, არამედ ის, რომ მგონის ნა-  
წერი ხალხის გულს ჩასწვდეს, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხი-  
სათვის გასაგები იყოს, — ესაა სალიტერატურო ენის ღირსება...

— რუსთაველის ენა მთაშია შემონახული, ფშაე-ხვესურეთ-  
ში, რაჭაში, ხევში, ალბათ სვანეთშიც, ამ ენას უნდა უფრთხი-  
ლდებოდეთ თვალის ჩინივით! — არ ისვენებს ვაჟა...

## არტურ ლაისტი

ეს იყო სწორედ იმ დროს, როცა თბილისში ჰყვავის თეთრი  
მაგნოლიები და ბროწეულის წითელი ყვავილები. ერთმა მგობ-  
ბარმა დაგვაპატიჟა თბილისის მახლობელ სოფელში. მე ყველა-  
ზე ადრე მივედი, რადგან მიყვარს ბუნება დილით, როცა ჯერ  
კიდევ გრილია ჰაერი და სიჩუმეც არ დარღვეულა...

იმ დილით, როცა მე მივედი, სუფრა კაკლის ქვეშ გაეშა-  
ლათ: ჩვენ შევექცეოდით რძიან ჩაის, ქართულ პურსა და ყველს.  
აქ გახლდათ სამი მაღალი ტანის ქართველი, ორი მათგანი ისე  
აჩქარებულად ჭამდა და სვამდა, თითქოს რკინიგზის სადგურ-  
ზეა და მატარებელზე უგვინდებაო. ესენი იყვნენ პატივცემული

ნიკო ცხველაძე და იაკობ გოგებაშვილი, შავ სერთუკებში გამოწყობილები. თუმცა ორივენი ერთმანეთს წააგავდნენ, მაგრამ განსხვავებაც დიდი იყო. ორივენი ქართლელი მღვდლის შვილები იყვნენ, სწავლობდნენ სემინარიაში, საიდანაც გამოიყოფოდა სემინარიელის დაღი. ეს მათ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ემჩნეოდათ. ისინი ერთმანეთს ახალგაზრდობაში დაუმეგობრდნენ; უყვარდათ საქართველო, სამოღვაწეოდ მასწავლებლის ასპარეზი აირჩიეს... მაშინ ისინი ახალგაზრდები იყვნენ. მათ გვერდით იჯდა რაფიელ ერისთავი, მაღალი ტანის მოხუცებული, თეთრწვერა, დინჯი კაცი...

მაღე ჩვენს საზოგადოებას ახალი სტუმრები მოემატნენ. ესენი იყვნენ: ილია ჭავჭავაძე და მისი მარჯვენა ხელი გიგო ყაფშიძე, ვაჟა-ფშაველა და ვანო მანაბელი, არაჩვეულებრივი ყმაწვილკაცები იყვნენ — ორი თავადი და ორი მღვდლის შვილი...

ვანო მანაბელი და ვაჟა-ფშაველა ერთმანეთის საწინააღმდეგო პოლუსს წარმოადგენდნენ. ვაჟა-ფშაველას ჩოსა-ახალუხი ეცვა, და თავისი გარეგნობით არაფრით განსხვავდებოდა აღმოსავლეთ საქართველოს ჩვეულებრივი მკვიდრისაგან. ის გლეხი ან აზნაური გვეგონებოდათ. ვაჟა თავის გარეგნობას არავითარ ყურადღებას არ აქცევდა, როგორც ყველა მაშინდელი სემინარიელი. ვანო მანაბელი მასთან შედარებით ევროპელი ფრანტი იყო. ვაჟა-ფშაველა მთელ თავისი პოეზიის სიმდიდრეს პირველყოფილ ფშაურ გარემოდან და თავისი მთიანი სამშობლოს ბუნებიდან იღებდა. ვანო მანაბელი კი ცდილობდა, რაც შეიძლება ბევრი გადმოეწერა ევროპის გონების ნაჭირ-ნახულევი ქართულ ნიადაგზე...

ილია ვაჟა-ფშაველას ძლიერ მაღლა აყენებდა, მასში ხედავდა ბუნებრიობის ორიგინალურ სიდიადეს, ყოვლისშემძლე ბუნების მიერ გრძნობით დაჯილდოებულს. ოთხმოციანი წლების დასასრულს ილია ხშირად ბეჭდავდა „იერიაში“ ვაჟა-ფშაველას ლექსებს და ყოველთვის აღტაცებაში მოდიოდა, როცა ხმამაღლა წამიკითხავდა ან მესაუბრებოდა ვაჟა-ფშაველას ნაწერებზე.

ხშირად, როცა მის სამუშაო ოთახში შევსულვარ, ილია შემდეგი სიტყვებით მომეგებებოდა: კარგი საჩუქარი მაქვს თქვენ-

თვისო, და წამიკითხავდა ვაჟა-ფშაველას რომელიმე ახალ  
ლექსს...

ვაჟა-ფშაველაში ილია ხედავდა ძველი დროის მთელი ქარ-  
თველობის პანთეისტურ რწმენათა და შეხედულებათა განხორ-  
ციელებას. ილიას აკვირვებდა ვაჟას ბუნებისადმი ძლიერა  
გრძნობა...

ვაჟა-ფშაველას პოეტური შემოქმედება პირდაპირ გასაოცა-  
რი მოვლენაა. ვაჟას შეიძლება დავუპირისპიროთ მხოლოდ რი-  
ბერტ ბერნსი.

## იაკობ ვანსვეტაშვილი

სოფრ. მგალობლიშვილმა (გაზ. „ივერიაში“) მუდმივ მუშა-  
ობას თავი დაანება. იმის მაგიერ უნდა მოგვეწვია ვინმე. სწო-  
რედ ამ დროს ვაჟა-ფშაველა უადგილოდ დარჩა და, რადგან მე და  
გ. ყიფშიძე კარგად ვიცნობდით, ვარჩიეთ ილიასთან მოგველა-  
პარაკნა და ვაჟა რედაქციაში მოგვეწვია მუდმივ თანამშრომ-  
ლად. რა გამოვიდა ამ თანამშრომლობიდან, ქვემოთ ვაიგებთ, უკ-  
ვი ცოტა უკან უნდა დავბრუნდე და ვაგაცნოთ ვაჟას ვინაობა.

ვაჟა-ფშაველა ლიტერატურული ფსევდონიშია. ნამდვილი  
მისი გვარი იყო ლუკა რაზიკაშვილი. ლუკა მღვდლის შვილი  
იყო, სოფელ ჩარგალიდან. ეს სოფელი ფშავეთის ერთ მიწარდ-  
ნილ ადგილშია, უწინდელ თიანეთის მაზრაში. ლუკას სამი ძმა  
კიდევ ჰყვანდა. ორი მათგანი — თედო და ბაჩანაც მწერლები  
იყვნენ. თედო მოხდენილად სწერდა უფრო საყმაწვილო პატარ-  
პატარა მოთხრობებს; ბაჩანა დიდად ნიჭიერი პოეტი იყო და  
ზოგიერთი მისი ლექსი სიმძლავრით და პოეტური აღმაფრე-  
ნით ვაჟას ლექსებს არ ჩამოუვარდებოდა.

ვაჟას მამაზე ბევრთაგან გამიგონია, რომ ბუნებით დიდი  
ჭკუის კაცი იყოვო, წიგნის მოყვარული და დიდი მცოდნე ქარ-  
თული ისტორიისა. სხვათა შორის, იმას მიაწერდნენ იმის ახს-  
ნას, თუ საიდგან წარმოსდგა სიტყვა ხევსური, სახელწოდება  
მთიელთა ერთი ნაწილის მცხოვრებლებისა. ასე ჰხსნიდა თურ-  
მე ვაჟას მამა: როდესაც ბაბილონის მეფემ ნაბუქოდონოსორმა

აიკლო და გაანადგურა იერუსალიმი და ებრაელები განფანტა მთელ დედა-მიწის ზურგზე, ბევრი ამათგან გადმოსახლებული იყო აგრეთვე კავკასიონის მთების ხევებში, და აი სწორედ ამ ხევში დასახლებულ ებრაელებს უწოდეს სახელად ხევის ურიები, ანუ, ცოტა შემოკლებით — ხევსურები. აქედგან თითონ ამ ადგილებსაც დაერქვა ხევსურეთი. არ ვიცი, პატივცემულ ვაჟას მამას რომელ „ისტორიულ წყაროდგან“ ჰქონდა ამოღებული ეს ცნობა, მხოლოდ ეს კი ეჭვს გარეშეა, რომ ამის მთქმელს ჭკუამახვილობა ეტყობა და უფრო კიდევ დიდი ფანტაზია. იქნება ამ მამისაგან გამოჰყვათ მის შვილებს ის პოეტური ფანტაზია, რომელმაც ასეთი ზეალმტაცი ფრთები შეისხა მეტადრე ვაჟას ნაწარმოებში.

ვაჟა-ფშაველა მე პირველად გავიცანი სოფელ თონეთში, რომელიც მანგლისის ახლოს მდებარეობს, სულ ოთხი კერსტის სიშორეზე. ეს ასე მოხდა: ვაჟა მასწავლებლად იყო თონეთის სკოლაში, რომელიც წერა-კითხვის საზოგადოებას ექვემდებარებოდა. ერთხელ საზოგადოებას ქალაქი მოუვიდა, საიდანაც ვცანით, რომ ვაჟას რაღაცაზე ჩხუბი მოქსვლია მანგლისში მყოფ ჯარის აფიცრებთან და ხელის შეხებით შეურაცყოფა მიუყენებია. საზოგადოებამ დაადგინა, გაეგზავნა მმართველობის რომელიმე წევრი, ადგილობრივ საქმის გამოსაკვლევად. მე მაშინ საზოგადოების მდიენად ვიყავი და მე მომიხდა თონეთში წასვლა. აქ ვაჟას ნაამბობიდან შემდეგი გავიგე: თონეთში სამი რუსის ოფიცერი მოსულიყო და ლუქანში ქეიფი გაემართათ, მაეწვიათ ვაჟაც. სმის დროს ერთ აფიცერს რაღაც არასაკადრისი სიტყვა ეთქვა ქართველების შესახებ; ეს ვაჟას შეურაცყოფად მიელო და სილა გაერტყა ამ აფიცრისათვის. ატეხილიყო ჩხუბი, აურ-ზაური, ვაჟასთვისაც ბევრი ეცემათ, მაგრამ ამასაც არ დაეკლო. გაეშველებინათ, და ამით გათავებულყო საქმე.

თუმცა მაინც-და-მაინც დიდი არაფერი მომხდარიყო, მაგრამ შესაძლებელი იყო, საქმე ცუდად დატრიალებულიყო. რაც უნდა იყოს, მაინც აფიცერი იყო შეურაცხყოფილი. ვაჟა თითონაც გრძნობდა ამას და მითხრა: თუ საზოგადოებას რაიმე უსიამოვნება მოეღის ჩემის გულისათვის, მე თითონ დავანებებ თავს აქაურ მასწავლებლობას, მაინც გული არ მიდგება ამ გადაყრუებულ ადგილას.

ვაჟას სკოლაში ჰქონდა ბინა და მეც მასთან ჩამოვხვედი. სადამოს, ოჯახობამ რომ მოიხვეწა, მე და ვაჟა მარტო დავრჩით. ვაჟამ ლაპარაკი ჩამოაგდო „ივერიაზე“ და, სხვათა შორის, მკითხა: აი ლექსები და პატარა მოთხრობები მაქვს დაწერილი და „ივერია“ ხომ არ დამიბეჭდავსო. მერე გამოაღვა დიდრონი რვეულები და წამიკითხა ჯერ „შელის ნუკრის ნაამბობი“, საყმაწვილო მოთხრობა, მერე პოემა, „მოხუცის ნათქვამი“. ჩემს აღტაცებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ვუთხარი:

— შე კაი კაცო, თუ მაგისთანა ძვირუასი მარგალიტები მოგეპოებოდა; აქამდინ რას ინახავდი ძუნწივით ზანდუკში ჩაკეტილებს. მომეცი, ხვალვე წავიღებ „ივერიაში“, დიდის სიამოვნებით დაებეჭდავთ, და სასყიდელსაც მიიღებ.

ვაჟა ნასიამოვნები დარჩა, მხოლოდ მითხრა: მოთხრობა უკვე გავგზავნე საყმაწვილო ჟურნალში დასაბეჭდად, და „მოხუცის ნათქვამს“ კი ცოტა კიდევ გადავათვალაერებ. ჩქარა მე თვითონ ჩამოვალ ქალაქში და ამეებსაც ჩამოვატან. სხვებიც ბავრი მაქვს ნაწერიო, და მაჩვენა ერთი კარგად მოზრდილი რვეული, სადაც მოთავსებული იყო დიდ პოემა, სახელად „თამარიანი“. მერე, აღარ მახსოვს, ასე დაბეჭდა ეს პოემა, თუ შესცვალა და სხვანაირად გადააკეთა.

რამდენჯერმე კიდევ გადავაკითხვინე „მოხუცის ნათქვამი“. მეტადრე მომეწონა ის ადგილი, სადაც მოხუცი ამბობს მეფე ერეკლეზე.

არწიეს აღლისა მთისასა  
ნეტავ რად უნდა ქებანი.

ამ მოსწრებულმა, მოსხლეტილმა შედარებამ ისე იმოქმედა ჩემზე, თითქოს უცბად ცამ გაიელვა და თვალემა მოულოდნელად გავინათაო.

მეორე დღეს გაკვეთილებზე დავესწარ სკოლაში. ვაჟა უხსნიდა ბავშვებს, თუ რა არის ერთეული. ავერ წამოაყენა ერთი პატარა ვერე ექვსი-შვიდი წლის ბიჭუნია, ცოცხალი, ცქრიალა თვალეებიანი, ღია სანდომი სახის და ჰკითხა: აბა, შენ მითხარი, რა გყავთ შინ ერთად-ერთი. იმანაც ჩამოთვალა დედა, მამა, ძმა, მურია ძალი, ძროხა.



აქ მეორე ბავშვმა თითი აიშვირა, მაგრამ ვეღარ დაიკადა  
 რას ეტყობდა მასწავლებელი, და შიამაძახა:

- რასა სტყუი, ბიჭო? ერთი კი არა, ორი ძროხა გყავთ!
- ის მეორე ზომ ბერწია, — დაუყოვნებლივ უპასუხა პირველმა.

ეს პასუხი მეტად საგულისხშიერო იყო, როგორც გამომსახველი გლეხის ბავშვას შეხედულებასა. იმას ისე წარმოედგინა, ვითომ ძროხას ეწოდება ძროხობა მხოლოდ მაშინ, თუ ხბო ჰყავს და რძეს იძლევა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არც ძროხაა, არც ხარი, არმედ საშუალო რაღაც არსება.

ტფილისში დაბრუნებისას ერთხელ კიდევ გადავიკითხე საყმაწვილო ჟურნალში დაბეჭდილი „შკლის ნუკრის ნაამბობი“, და იმ დღესვე მოვითავსე „ივერიაში“ რეცენზია, სადაც, სხვათა შორის, ვამბობდი: ასეთი მოთხრობის დაწერა შეუძლიან მხოლოდ დიდ ნიჭს. ამ მოთხრობას ერთგვარი სიამოვნებით წაიკითხავს როგორც დიდი, ისე პატარა მკითხველი. და სწორედ ეს არის უტყუარი საბუთი ნიჭის სიდიადისა. და შესადარებლად მოვიყვანე დიდებული გიოტეს „რეინეკე ლისი“, რომელიც ერთგვარად სასიამოვნო წასაკითხი და საგულისხშიეროა როგორც დიდი ადამიანებისათვის, ისე პატარა ბავშვებისათვის. ამას ვუმატებდი: ვაჟას ერთგვარ ეხერხება წერა, როგორც პროზით, ისე ლექსად. ორთავე გვარს წერისას აზის უტყუარი ნიშანი მაღალი ნიჭიერებისა, პოეტურ შემოქმედების ძალისა. ასეთი შეზავებული ნიჭის პატრონი დიდს იმედებს იძლევა და, ეჭვი არ არის, ვაჟა-ფშაველა საპატიო ადგილს დაიჭერს ჩვენ დიდ მწერალთა შორის.

ილიამ რომ ეს რეცენზია წაიკითხა, შემოვიდა რედაქციაში და გვითხრა: აბა ერთი მაჩვენეთ ეგ მოთხრობებიო; წაეუკითხეთ, კითხვის დროს ილიას სიამოვნების შუქი გადაჰკრავდა სახეზე. კითხვა რომ გავითავეთ, ილიას აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: წარმავალმა დიდმა ნიჭმა გულით იგრძნო მომავალი დიდი ნიჭი.

კოჭებზედვე ეტყობა, რა ვაჟიც უნდა გამოვიდეს მაგ ვაჟასაგან, შორს წავა, შორს! გაიძახოდა ილია თავის ჩვეულებრივ შორსმჭვრეტელობით.

მომავონდა რუსეთის გამორჩენილ კრიტიკოსის ბელინსკის

სიტყვები, თქმული ლერმონტოვის შესახებ, როდესაც ეს პირველად გამოვიდა სალიტერატურო ასპარეზზე და თავისი ძალაღწიერი ლექსებით ყველა გააკვირვა, გააოცა. ბელინსკის პკითხეს: ეს მეორე პუშკინი ხომ არ არისო და მაშინ ბელინსკიმ იწინასწარმეტყველა: «Нет, он далеко пойдёт, презоидёт Пушкина: слишком широко шагает».

შემდეგ, ცოტა გვიან, ვაჟამ თავისი „მოხუცის ნათქვამი“ მოგვიტანა „ივერიაში“ დასაბეჭდად. რედაქციაში შევეკრიბეთ თანამშრომლები. ხელთნაწერი წავიკითხეთ. მკითხველის მოვალეობა კისრად ედვა გიგა ყიფშიძეს, რომელსაც რედაქციის მედავითნეს ვეძახდით. გიგამ თავისებურად, გრძნობით გადააბუღებულა.

— გიგა, აბა ერთი კიდევ გადაიკითხე, — ვუბნება ილია.

გიგამ გადაიკითხა, ილია დიდხანს ჩაფიქრებული იჯდა. ეტყობოდა, დიდი შთაბეჭდილება იქონია წაკითხულმა. შერე თითქოს ძილიდგან გამოერკვაო, ილიამ ალტაცებით წამოიძახა შემდეგი სიტყვები, რომელიც ბელინსკისებურად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა:

— არა, ჩვენ, ძველებმა ახლა კალამი უნდა ძირს დავსდვით! გზა ვაჟას უნდა დაუთმოთ!

იქნება ეს სიტყვები ცოტა გადამეტებულიც იყო, მაგრამ სიმართლეს კი არ იყო მოკლებული. რომაელები იტყობდნენ *ex ungue leonem...* ე. ი. ბრჭყალებზე სცანით ლომიო. ილია შთაგონებით მიჰხვდა, რომ ახლად გამონავარდებულ ლომის ლექვისაგან დიდი და მძლავრი ლომი გამოვიდოდა.

ვაჟას რედაქციაში მოწვევა მუდმივ მუშაობისათვის გარდაწყვეტილი იყო. მხოლოდ ილია ცოტად ეჭვობდა და გვეუბნებოდა:

— კარგსა ვშერებით, გამოგვადგება? ან კიდევ რომ გამოგვადგეს, ცოდო არ იქნება, მაგისი ნიჭი ვაზეთის მუშაობაში ჩაეკლათ?!

მართალს ამბობდა ილია. აქაც წინასწარ გრძნობამ არ უმტყუნა მას, და მალე თვით ვაჟამ მოკვცა პასუხი ზემოდ მოყვანილ საეჭვო საკითხზე.

ვაჟამ რედაქციაში იმუშავა მხოლოდ სამი დღე. ვაძლევდით გადასაკითხად და გასასწორებლად კორექსონდენციებს, ვათარ-



გმინებდით პატარა წვრილ ამბებს რუსულ გაზეთებიდან. ორ დღეს მუშაობდა, თუმცა იმის მუშაობას დიდი ხალისი არ ყობოდა. მოვიდა რედაქციაში მესამე დღეს. ცოტა ჩაფიქრებული იყო, მივეცი რუსული გაზეთი, მოვუხაზე ერთი ადგილი უცხოეთის ცხოვრების ამბებიდან და ვუთხარი:

— აბა, ლუკა, ეს ადგილი მალე გადამითარგმნე, თორემ სტამბა ძალას გვატანს და მასალა კი ცოტა გვაქვს.

მე საქმეებში გავერთე და ვაჟა დროებით გადამავეიწყდა. მომავონდა და ვუთხარი:

— რა ჰქენ, ლუკა, გადითარგმნე?

წინ დაწერილი ქალაღლი ეღვა. ვიფიქრე ეს სწორედ ნათარგმნი იქნება-მეთქი და ხელი დავავლე გადასათვალეერებლად. დაეზღდე, — ლექსია.

— ეს რა ამბავია, ლუკა? — ვეკითხები.

თარგმანის სამაგიეროდ ეგ ლექსი დაეწერე. თარგმნის მაგიერობას გასწევს.

ამავე დღეს ვაჟამ გამოგვიცხადა, რომ რედაქციას თავს ანებებს: მე აქ მუშაობას ვერ შევძლებო. რედაქციას თათბირი ჰქონდა. და ასე გადავწყვიტეთ: მიგვეცა ვაჟასთვის თვეში ხუთი თუმანი, და ვაჟას, სამაგიეროდ, ევალეობოდა თვეში რაიმე ნაწარმოები უსათუოდ მოეწოდებინა.

ვაჟა აიბარგა და გასწია თავის ჩარგალში. დაუბრუნდა არწივი თავის საყვარელ მთებს. ვაჟა სინდისიერად ასრულებდა თავის მოვალეობას. დრო გამოშვებით ჩამოდიოდა ვაჟა ტფილისში, ხურჯინაკიდებული ცხენით. ხურჯინში ელაგა საგზაღლი: ხორცი, პური — ტფილისში საცხოვრებლად — და ლექსები, მოთხრობები, პოემა და კიდევ სხვა ნაწერები ფშაველების ცხოვრებიდან. დაუტოვებდა ყველას ამას რედაქციას და ასევე გაემგზავრებოდა თავის საყვარელ მთებისაკენ და ასე და ამ გვარად, მთის კაცი ვაჟა ჰკვებავდა სუსტს ქართულ მწერლობას, როგორც მთის პატარა ნაკადული, მდინარედ ქცეული, ჰრწყავს და სულს უდგამს ბარის გადამხმარ დედა-მიწას.

ერთ დღეს ჩვეულებრივ შემოვიდა ვაჟა, მთიდგან ჩამოსული, და წარმოგვიდგა წინ თავისი ძღვნით. ბოხჩაში გამოკრულ ლექსებით და პოემებით. მხოლოდ რა სახით წარმოგვიდგა! მაგრამ წინასწარ საჭიროდ ვრაცხთ ორიოდ სიტყვის თქმას. ვაჟა გა-

რეგნობით მშვენიერი სახის კაცი იყო: მაღალი, ტანადი, ბრგე, ჯან-ღონით სავსე. მისი გულ-მკერდი და თვალები <sup>ზომ ნამდვილ</sup> ვილ მთის არწივს მოგაგონებდათ. ხასიათით, ზნითაც ნამდვილი არწივი იყო: ამაყი, შეუპოვარი. დღეს აი ეს ბრგე კაცი წარმოგვიდგა და რა სახით: ჩამომხმარი, წელში მოხრილი, თვალს გადმობრუნებული, ჩამობღერძილი, დასნეულებული, სწორედ ფრთებ დაშვებულ ბებერ არწივს მოგაგონებდათ. შეგვაძრწუნა ამ სანახაობამ და ერთხმად მივაძახეთ:

— ლუკავ, რა მოგსვლია? ვაჟავ, რა დაგმართნია?

აქ ვაჟამ გვიამბო თავის ჩვეულებრივ ეპიურ-ღინჯი კილოთი შემდეგი სამწუხარო თავგადასავალი. მთაში დაეკლათ ჭირიანი ძროხა. ხორც დანატრულებული ხალხი არ მოპრიდებოდა ჭირს და საკლავი მთლად გაეტაცნათ. ვაჟაც სულს წაეძლია და ეყიდნა ხორცი. ეფიქრა: საცა ამღენი ხალხი, მეც იქაო. ამის იმედიც ჰქონდა: კარგად გავრეცხავ, მოვხარშავ და ჭირი რაღა ჭირს მომჭამსო. საწყალ ვაჟას არ გაუმართლა ეს იმედი. და ახლა დასნეულებული, დასახიჩრებული ადამიანი იდგა ჩვენ თვალწინ. ეს კი იყო, სნეულება ხორცს მოპრიოდა და სულისთვის კი ვერა რა ევნო. რედაქციაში მოტანილ ლექსებს ისეთივე ბეჭედი ესვა დიდის, გაუნელებელი ნიჭიერებისა, როგორსაც აქამდინ მიჩვეულნი ვიყავით ვაჟასაგან.

ისედაც სიღარიბისაგან დაჩაგრული ვაჟა, ამ სნეულების გამო უფრო დიდს გაჭირვებაში ჩავარდა. წვრილშეილი იყო. ბევრს მუშაობდა, წელეებზე ფეხს იდგამდა, მაგრამ მთის შწირი მიწა საკმაო საზრდოს არ აძლევდა. სიღარიბისათვის თავი ვერ აერთვა. დაგლეჯილ ჩოხაში გახვეული, მიღრეცილ-დაჯღანულა ფეხსაცმელებით, თვალეებზე შავი, მუქი სათვალეებით აუარებული შემოვიდოდა რედაქციაში, გახსნიდა თავის ბოხჩას და ამოალაგებდა ისეთ მარგალიტებს, როგორც: „გოვოთურ და აფშინა“, „ბახტრიონი“ და მრავალი სხვა.

ვაჟას შემოქმედებით ძალას, ბუნებით მომადლებულ ნაჭს სნეულებამ ვერაფერი ავნო, მაგრამ ხორცი კი სძლია, ჩამოხმა; ეს, ოდესღაც მძლავრი კაცი, ჩონჩხად აქცია, ჭლექად ჩაავდო და უდროოდ სიცოცხლეს გამოასალმა.



ეს იყო 1912 ან 1913 წელს. ქართულ გიმნაზიაში ჩემთან ერთად ვაჟა-ფშაველას ძმის იცო (ბაჩანა) რაზიკაშვილის შვილი პავლე სწავლობდა.

როდესაც სწავლა დაეამთავრეთ, პავლემ ჩარგალში წასვლა შემომთავაზა. მეც მშობლების დასტური მივიღე თუ არა, ჩარგალში გავემგზავრე.

ჩარგალში ვაჟა სოფლის ცენტრში ცხოვრობდა, მისი ძმა ნიკო კი სოფლიდან დაახლოებით 3 კილომეტრის დაშორებით. შესანიშნავი ადგილი იყო ნიკოს საცხოვრებელი ადგილი, მდინარე ჩარგლულა იქვე ჩაუდიოდა მის დიდებულ კარმოდამოს...

ჩარგალში ჩასვლიდან ორი დღის შემდეგ პავლემ ვაჟასთან ჩამიყვანა.

ძველი ნაცნობობა ჰქონდათ მამაჩემსა და ვაჟას.

ჯერ ერთად უსწავლიათ, შემდეგ ვაჟას კარგა ხანს უცხოვრია ჩვენთან, თბილისში, როცა ვაჟამ ჩემი ვინაობა გაიგო, უზომოდ გახარებულმა ძმიშვილს უთხრა: ეს ჩემთან დარჩება, შენ გინდა დარჩი, გინდა წადიო.

ერთი კვირა ვაჟასთან გავატარე. ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველთვის პოულობდა ჩემთვის დროს. მომიხვამდა გვერდით და მიკითხავდა თავის ლექსებს. ხან სანადიროდ წამიყვანდა, ხან კი მდინარე ჩარგლულასა და არაგვის შესართავთან, სადაც მთავე წყალი გადმოდიოდა. კუჭის ტკივილს მიამებსო — სიამოვნებით სვამდა ვაჟა ამ წყალს.

ვაჟასთან ყოფნით ბევრი რამ კარგი და ცხოვრებაში გამოსადეგი შევიძინე. ახლოს გავცანი ფშაველების ცხოვრების ადრე-ჩვეულებებს.

მთლიანად განსხვავდებოდა ვაჟას ოჯახი სხვებისაგან. მისი ბინა ყოველთვის ზედმარჯვნივ სუფთად და კოპწიად გამოიყურებოდა...

სოფლიდან მოშორებით, მდინარე ჩარგლულას აყოლებით, ერთ ფერდობზე ძველი ნანგრევები იყო, რომელსაც, თუ მეზხიერება არ მღალატობს, „ამალლებას“ ეძახდნენ.

უამრავ ხალხს მოეყარა თავი, ერთ ხუთშაბათს, ამ ადგი-

ლას. ანთებდნენ სანთლებს, ლოცულობდნენ და მზიარულად  
შექცევდნენ ფშაურ ლუდს. აქ იყო ვაჟაც, მეც მის გვერდით  
ვიჯექი.

აქ ერთი ახალგაზრდა მიცვალებულის სულის ასახსნელად  
ყაბახობა (ნიშანში სროლა) იყო გამართული. კარგა მომორე-  
ბით, ერთ დიდ ქვაზე დაყუდებული პურის კვერი ნიშანდ  
ვლებოდა. ფშაველების თქმით, ვინც ნიშანში მოარტყამდა, ის  
გაანთავისუფლებდა მიცვალებულის სულს ეშმაკის ტყვეობის-  
გან, სამაგიეროდ, იგი საჩუქრად გარდაცვალებულის შვახშულ  
ცხენს მიიღებდა.

ახალგაზრდობა ოფლს იწურავდა, მიზანში კი ვერაფერს არ-  
ტყამდა. უცებ, მიცვალებულის გამწარებული ღედა ვეფასკენ  
წამოვიდა და შორიდანვე შეემუდარა: „ლუკაო, შენი კენესამე,  
ჩემ ზაქარას სული ვერ აუხსნეს, შვილი მელუპება, მიშველს  
შენი კენესამე!“

ვაჟა არც წამომდგარა. ერთი შეხედა მტირალ ქალს და მე-  
ორე მხარეს გადაბრუნდა, აიღო თავის „ბერდანა“ და მწოლია-  
რემ დაუმიზნა კვერს... თოფის გაფარდნა და კვერის გადმოფარ-  
დნა ერთი იყო. ყველა აღფრთოვანებული დარჩა, მაგრამ თვა-  
თონ ვაჟამ, ვითომ არაფერიო, განაგრძო ლუდის სმა, ცხენის  
მიღებაზე კი უარი განაცხადა.

სმა გრძელდებოდა... ვაჟა გამუდმებით ეწეოდა თამბაქოს.  
ლაპარაკში გართულს ერთი მთვრალი ფშაველი წამოადგა და  
დამტვრეული რუსულით თამბაქო სთხოვა. ვაჟამ ყურადღება  
არ მიაქცია. ფშაველმა თხოვნა გაუმეორა. ვიდრე ქართულად არა  
მთხოვ, არ მოგცემო, — უთხრა ვაჟამ და მხოლოდ მაშინ მია-  
წოდა თამბაქო, როცა ფშაველმა ქართულად გაუმეორა თხო-  
ვნა.

## მელანია (ნიკოლოზ ნათიკე)

ვაჟას უფროსი ძმა გიორგი და მე როცა თელავის სასულ-  
ეო სასწავლებელში ვსწავლობდით, ერთად ცხოვრობდით. ჩუ-  
ნთან ცხოვრობდა პატარა ლუკაც. წლოვანებით მაშინ ლუკა

იქნებოდა თერთმეტი-თორმეტი წლისა, მაგრამ ტანად კი ზორბა  
და ღინერი იყო. ხშირად შემეხვეწებოდა ხოლმე: დამეჭინდეთ  
მე მაზედ შეიდი წლით უფროსი ვიყავი, ხოლო თუ თავს გა-  
უყადრებდი და ვეჭიდებოდი, ხანდისხან კიდევ მჯობნიდა და  
მაშინ იმის აღტაცებას აღარა ქონდა საზღვარი, შეეჭიდებოდა  
ხოლმე თავის ძმას — გიორგისაც.

გიორგი წარმოსადეგი ყმაწვილი კაცი და შესანიშნავი ღო-  
ნის პატრონი იყო... როცა შეაბეზრებდა ლუკა თავს, გაჯავრე-  
ბული დაავლებდა ხელს და გაისვრიდა რამდენსამე ნაბიჯზედ,  
მაგრამ ლუკა არც კი იქცეოდა, ფეხზედ დასკუბდებოდა ხოლ-  
მე, საითაც უნდა გადაგეგდო. ცუდ დღეს აყენებდა ლუკა თავის  
ამხანაგებს. გათავდებოდა თუ არა გაკვეთილი, ჩადგებოდა საკ-  
ლასო ოთახის კარებში და არვის გამოუშვებდა ოთახიდან, თუ  
ან ზურგს არ აკვრევენებდა იატაკზედ, ან მუშტს არ უთავა-  
ზებდა გვერდებში. ბევრი ცხვირ-პირისისხლიანიც გამორბოდა,  
მხოლოდ არავის არასოდეს მასზედ არ უჩივლია ინსპექტორ-  
თან, რადგანაც ყველამ იცოდა, რომ ლუკა მას სჩადიოდა ბორო-  
ტებითა და ჩხუბის თინით კი არა, არამედ ავარჯიშებდა თავის  
ძალ-ღონეს. გარდა ამისა, მაშინ კრივი ისევ მოღაში იყო და  
ყველა შევირდებო ვარჯიშობდნენ ერთმანეთის ცემა-ტყევაში,  
რომ სათანადოდ მომზადებულიყვნენ კრივისათვის.

როგორც უმცროსს, ხშირად დავსაქმებდით ხოლმე ლუკას,  
უფრო ვგზავნიდით სადმე. ხოლო, რადგანაც ღონიერის სახელი  
გაითქვა და სულ მკლავზე იყურებოდა, ზოგჯერ არ გვეპუებო-  
და და უარს გვეუბნებოდა, რის გამოც ჩვენ „კერპი“ დავარქვით,  
სიკერპესთან უშიშროებაც სჭირდა, რაც შემდეგიდან ჩანს: ერთ  
ღამეს დიდი ჭექა-ქუხილი ატყდა. იქნებოდა თერთმეტი საათი  
ღამისა. ჩვენ სამივენი ვიწექით ქვეშაგებში და ვკითხულობდით,  
ვისაც რა გესურდა. უცბად იელვა და თან საშინელი ჭექაც  
მოჰყვა. სახლი, რომელიც ორსათულიანი იყო და ძირა სარ-  
თულში ჩვენ ვიწექით, ისე შეინძრა, რომ თითქოს თავზედ უნ-  
და დაგვგზეროდა. ოთახში ფანჯრის მინები ჩაიმტვრა, ხანთე-  
ლი დაგვიქრა და შემოვარდა საზარელი სუნი. მეც და გიორ-  
გიც წამოვცვივდით ქვეშაგებიდან და ვეცით კარებს, ხოლო  
ლუკა არც კი განძრეულა, არხეინად, თითქოს არაფერი მომხ-  
დარაო, იწვა თავის ქვეშაგებში. რამდენიმე წუთის შემდეგ გა-

მოირკვა, რომ ჩვენს სახლს დასცემოდა მენი, რომელიც წითლ  
ვარდნილიყო ბუხარსა და იმ საწოლს შუა, სადაც ლუკა იწევს  
და მთელი კედელი შუაზე გარღვეულიყო.

ლუკა თავის სწორ-ამხანაგებთან დაუცხრომლად ცელქობდა  
და თამაშობდა, ხოლო ჩვენთან, მე და გიორგისთან, თავის თავს  
ბავშვად არა სთვლიდა და ცდილობდა ის გაეკეთებინა, რასაც  
ჩვენ ვაკეთებდით; უფრო კი გიორგის ჰბაძავდა, წერდა ლექ-  
სებს, როგორც გიორგი. თუ დაინახავდა, რომ ჩვენ წიგნებს ვკით-  
ხულობდით, ვერ მოისვენებდა, ვიდრემდის არ გაიგებდა, რა  
წიგნებს ვკითხულობდით. მე პირდაპირ მომმართავდა ხოლმე  
ნიკო, რასა ჰკითხულობო, და უთუოდ უნდა გაეშინჯა და რა-  
მე ამოეკითხნა. გიორგის კი ვერ შეჰბედავდა ხოლმე ასეთ კა-  
თხვას, ხოლო როცა გიორგი დაანებებდა თავს კითხვას და გა-  
რეთ გავიდოდა, ლუკა მაშინვე ეცემოდა და გადაჰფურცლავდა,  
რა წიგნი იყო, და რამდენსამე სტრიქონს ანუ სიტყვას უთუოდ  
ამოიკითხავდა.

თელავის ტაძარში მთავარდიაკვანი იყო ვინმე მაისურაძე,  
რომელსაც სასიამოვნო ბოხი ხმა ჰქონდა, გიორგი მგალობელ-  
თა გუნდში იყო, ბოხ ხმაზედ გალობდა, თუმცა არა ჰქონდა კა-  
რგი ხმა. იგი ცდილობდა ხმა შეემუშავებინა და გამსდარიყო  
ისეთივე ხმის პატრონი, როგორც ჰქონდა მთავარდიაკვანს.  
ამისთვის სახლში ხშირად გალობდა და ჰბაძავდა მაისურაძეს.  
ლუკამაც ორივეს მიბაძვა დაიწყო, გაიბერებოდა და სულ „ყო-  
ყოს“ გაიძახოდა, რათა ხმა გამოეჩინა. ამ სამიოდე წლის წინათ  
მოვაგონე აწ განსვენებულს ეს გარემოება და მითხრა, დიდა  
გავლენა იქონია ვანო მაისურაძემ ჩემზედ.

ჩვენ გადმოვედით სემინარიაში და ლუკა კი ისევ თელავში  
დარჩა. მგონია, იგი ისევ პირველ კლასში იყო. მას შემდეგ მე  
იგი მოსწავლედ აღარ მინახავს. მხოლოდ, როცა მასწავლებლ-  
ლად იყო ხევსურეთში, თიანეთში მომიხდა წასვლა და იქიდან  
თბილისში რომ ვბრუნდებოდი, ლუკა გზაზედ შემხვდა და სო-  
ფელში მიმიპატიჟა, სადაც მასწავლებლად იყო, მეც მაშინ  
სოფელის მასწავლებლად ვიყავი. დაერჩი მასთან ერთ ღამეს და  
ძველი ამბები მოვაგონეთ.

ყოველი, რაცა ვთქვი, შეეხება იმ დროს, როცა მე და გიო-  
რგი მეოთხეში ვიყავით და ლუკა, მგონია, პირველ კლასში.

გადმოვედით სემინარიაში და მას შემდეგ ორჯერ თუ სამჯერ შემემთხვა ლუკას ნახვა, ისიც ძლიერ ცოტა ხნით, ხოლო ამ უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში ისევ დაუუახლოვდით ერთმანეთს, რადგანაც ნათესაურადაც დააკავშირდით. ამ ათი წლის განმავლობაში ბევრჯერ დავმტკბარვარ სულითა და გულით ლუკასთან ერთად ყოფნით.

ენით ვერ გამოითქმება და ვერც აიწერება (უნდა კაცს თვითონ თავისი თვალთ ეხილა და დამტკბარიყო) ის კეთილგანწყობილება, სიყვარული და პატივისცემა, რომელიც სუფევდა და სუფევს ძმებ რაზიკაშვილებში. საუცხოო სურათს წარმოადგენდა ყოველთვის, როცა ყველა ძმა, რაზიკაშვილები, ერთად შეიკრიბებოდნენ. პირდაპირ სადღესასწაულო ხასიათი ეძლეოდა მათ ერთად შეკრებას. დაუსრულებელი მზიარულება, ხუმრობა და სიცილი. ხშირად თედო და სანდრო და მათთან მიხაც აუტეხავდნენ ვაჟას ხუმრობით დაცინვას, რომ გაეჯავრებინათ, მაგრამ ვაჟა ღიმილით იგერიებდა ყველას და არა ყოფილა ისეთი წამი, რომ მის სახეს წყენა შესტყობოდა, თუმცა ხშირად ხუმრობას ამლაშებდნენ.

ვაჟას სხვა კარგ თვისებასა და ნიჭიერებასთან ერთად ორი დაუფასებელი ზნე სჭირდა: არ იცოდა წყენა, როდესაც ეხუმრებდნენ, და არასოდეს არ მედიდურობდა და არ იწონებდა თავს იმითი, რამაც იგი უდიდესი და თავმოსაწონი ჰყო სამშობლო ერისათვის. ყველას დაიკვებებდა: ღონეს, სმას, ბიჭობას, მაგრამ იმას, რომ ეამაყნა თავისი ნიჭით, ამას ვერავინ იტყვის. ისე უბრალოდ ეჭირა ყველგან თავი, რომ უცნობი ვერც კი წარმოიდგენდა, მისი პირველი ნახვით, რომ იგი უმზერდა სამშობლოს სიამაყეს. ერთხელ ჩემს სახლში დეკანოზმა თალაკვაძემ თავისებურად მჭევრმეტყველური შესხმა უთხრა ვაჟას. ვაჟამ მადლობა უთხრა და თანაც დაატანა: „მე იმისათვის კი არა ვწერ, რომ მაქონ და მადიდონ, არმედ იმისათვის, რომ ჩემს სულსა და გულს ვასიმოვნო ამითაო“.

ნათქვამია: „ზანდახან ენა უყვილებს ადამიანსო“, სწორედ ასე დაემართა ვაჟასაც. ერთხელ მოვიგონე მისგან თელავში ჩადენილი საქმე და იმან წამოიძახა: „ბიჭო, ჩემ ბიოგრაფიად გამოდგებიო“. აკი ასრულდა. თუმცა მე მახედ 7 წლით უფროსი ვიყავი. როცა სალიტერატურო საღამოს გამართვას უპი-

რებდნენ, ვაჟამ ახალი ტანისამოსი შეაკერვინა საღამოს  
დერცის შარვალი ფეშქაშად შეეკერნა და დაპირებოდა, რომ  
შემოდგომისათვის კაი შალს გიშოვნი და ქულაჯას შეეკე-  
რავო. მოვიდა შინ, რძალს უჩვენა ნაფეშქაშარა შარვალი და  
გადასცა დერცის დაპირებაც და თან დაატანა: „უთუოდ დე-  
რცეკმა ხომ არ გაიგო, რომ უნდა მოგკვდე და იმისათვის დამ-  
პირდაო! ეს ხუმრობით იყო ნათქვამი, სინამდვილეში კი აუ-  
სრულიად არ ფიქრობდა სიკვდილზედ და უკანასკნელ წუთამ-  
დე არც შიშობდა. პირიქით, იმაზედ ფიქრობდა და შელაპარ-  
კებოდა, რომ ამას იქით ზამთრობით ტფილისში უნდა ვიცხო-  
ვრო, ბევრი ნაწერები მაქვს აქა-იქ გაფანტული, უნდა მოფე-  
როვო, გადავშინჯო და შევასწორო, გარდა ამისა აქ უფრო მე-  
ხერხება წერაო. წამიკითხა ჯერ დაუბეჭდავი პოემა „მანდილი“,  
რომლიდანაც ამომიწერა ერთი სცენა, რომელიც მე მომეწონა.  
პატარ-პატარა ნაწერებიც ჰქონდა. ყველა ეს სახდროსთან სახ-  
ლში ინახებოდა, ვაჟას ავადმყოფობის დროს იგი ძლიერ ცუ-  
დად მოიქცა, რომ ეს ნაწერები გადასცა ვაჟას შვილს ლევანს  
და არ მოილაპარაკეს ძმებმა ვაჟას შვილთან ერთად, თუ რა  
ღანიშნულება მიეცათ ამ ნაწერებისათვის.

ვაჟა ავადმყოფი ჩამოვიდა მთიდან, უნდა დაეწყო წამლობა;  
მაგრამ ავადმყოფობა უფრო გაუძნელდა მას შემდეგ, რაც სა-  
ღამო გაუმარეთს. იგი შემომჩიოდა: არა, რა შეკონტაქებოდა,  
მსუბუქად ვიყავი ჩაცმული, საღამოს შემდეგ მიმიპატიფეს ბა-  
ღში და იქ უფრო უარესად გავცივდიო.

## მისა მთიბელაშვილი

ბავშვობისას წერა-კითხვას ვაჟა მასწავლიდა. იმ ადგილას,  
სადაც ახლა ვაჟას სახლია, ოთხწლიანი სკოლა იყო. მოწაფეე-  
ბი თითზე ჩამოსათვლელი ჰყავდა: აბა, მაშინ ვის აინტერესებდა  
სწავლა!

ბიძაჩემი, ლუკა, არასოდეს მინახავს უსაქმოდ გაჩერებული,  
როდესაც უნდა ჩამეველო იმის კარებზე, ყოველთვის რაღაც სა-  
ქმით იყო გართული.



ერთხელ ვზად ჩამოვიარე ვაჟას სახლთან, თორმეტ-ცამეტი წლისა თუ ვიქნებოდი მაშინ, ეზოსში ვაჟა ლასტს ქსოვდა, — გამარჯობა ბიძა-მეთქი! — შევუძახე. ლუკამ თავი ასწია. მიცნო და დამიძახა.

— აბა, ძმისწულო, აქეთ გადმოდი, წნელი მომიჭერი, საცაა ზამთარი კარზე მომადგება, მე კი ვომურისათვის კარები ჯერაც არ გამიკეთებია, მოდი, დამეხმარეო.

ღობეზე გადავხტი. სწრაფად მასთან გავჩნდი.

ლუკამ მომიწონა სიძარდე. თავზე ხელი გადამიხვია. ხმალი გამომიწოდა და მითხრა:

— აი, ამით მოსჭერიო!

— ბიძაჩემო, ამით როგორ მოვჭერი, ხმალი წელშია გადატეხილი-მეთქი, — ვუთხარი მე.

ლუკამ გაიცინა. თვალებში ჩამაცქერდა — ევ ხმალი სამშობლოს იცავდა. მაგ წელში გადაწყვეტილმა და გადაქანცულმა ხმალმა თავისი ვალი მოიხადა. შრომასა და ჯაფას წელში გაუტეხია. ახლა მაგისი ნახევარი შეგვერჩა და მაგის პატივისცემა გემართებსო, — მითხრა ვაჟამ.

ჩამაფიქრეს ვაჟას სიტყვებმა. ორი დღის შემდეგ, როცა მასთან სახლში მივედი, შესანიშნავი ლექსი წამიკითხა — „დაჟანგებულხარ გორდაო“, რომელიც ჩემთან ლაპარაკის შემდეგ დაუწერია:

დაჟანგებულხარ, გორდაო,  
დაგობებია ქარქაში,  
სადა ვაჟას შენი პატრონი,  
დაგაწყებინოს კამკამი!

— დიდებულია, დიდებული! ჩემდა უნებურად ჩაველაპარაკე.

პეტერბურგიდან ჩარგალში ერთი რუსი მეცნიერი ჩამოვიდა, ვაჟა დიდის პატივისცემით დაუხვდა მას. ელაპარაკებოდა და აცნობდა ფშავის ზნესა და ჩვეულებას. მე ცივ-ცივ წყაროს წყალს ვუზიდავდი სტუმარს.

რუსი მეცნიერი საქართველოს ისტორიის შესასწავლად ჩამოსულაყო და ფშაველი ტიპების სურათებს იღებდა. ამ დროს ჩვენს მახლობლად ფშაველმა ქალმა, ვაჟას მეზობელმა, შაკერემ ჩამოიარა. ვაჟა წამოდგა და მეზობელ ქალს დაუძახა:

11. მოგონებები გარდასულ დღეთა

— არ გაბედო ადვილიდან დაძვრა, გაჩერდიო.  
რუსმა მეცნიერმა ფოტო აპარატი მოიხარჯებ. ვაჭამო  
დროს თავის ცოლსაც დაუძაბა:

— მთიულო (ასე უძახდა ცოლს), აბა, შენ მაგ ქალის გვერ-  
დით გაჩერდი.

რუსმა მეცნიერმა სწრაფად ორივე გადაიღო.

გახარებულმა შეკერემ ვაჭასთან მიიბრინა:

— რა მიხარია, ჩემი სურათიც პეტერბურგში წაგაო.

— რა გიხარია შე უბედურო, ეგ შენი ფლანგიც შიგ გამო-  
ვაო! — უთხრა ხუმრობით ვაჭამ.

ბეჩავი ჩვენი ხალხი, როდის იქნება, რომ ჩემი კუთხას  
ხალხს განათლებულს ვნახავო, იტყოდა ხოლმე ვაჭა.

ადამიანში სიცუდლუტე, ზერელობა, ორპირობა ფარისე-  
ლობა არ მოსწონდა მას.

ჩულებრივად ლაპარაკი ვაჭას უყვარდა მხოლოდ დიხ  
ადამიანებთან, თუ რაიმე ჭკვიან აზრს გაიგონებდა — თვალებით  
იცოდა დაშტერება. დაგაცქერდებოდა, თითქოს სულის სიდრ-  
მემდე უნდა ჩაგწვდესო. ფშაველს რომ სწავლა ჰქონდეს, ვინ  
იცის, რამდენი შექსპირი გვეყოლებოდაო, იტყოდა ხოლმე ვა-  
ჭა.

## ალექსანდრე მიხაბერიკე

ვაჭა პირადად გაეიცანი 1898 წელს ქართველთა შორის  
წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარია-  
ში, საცა ამ საზოგადოების მდივნის თანამდებობას ვასრულებ-  
დი.

წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კანცელარია  
და ამ კანცელარიის მეზობელ ოთახში გამართული საზოგადო-  
ების წიგნის მაღაზია ერთადერთი ადგილი იყო, საცა ჩვენი  
მწერლები და საზოგადო მოღვაწენი უმეტეს შემთხვევაში თავს  
იყრიდნენ და ჩვენი საერთო საქმეების ირგვლივ ბჭობდნენ და  
მასლაათობდნენ.

ვაჭას, რასაკვირველია, მისი ნაწერების მიხედვით ვაცნო-

ბდი და მისი გარეგანი შეხედულება ისე ბუმბერაზად მქონდა წარმოდგენილი, როგორც მისი მთელი ბუმბერაზი პოეზია და საერთო შემოქმედება.

ერთხელ, როცა რაღაც საქმის გამო, კანცელარიიდან წიგნის მაღაზიაში გავედი, წიგნის მაღაზიის გამგემ განსვენებულმა შიო მღვიმელმა ჩვეულებრივი ღიმილით მომმართა და მითხრა: „ბ-ნო ალექსანდრე, გაიცანით, ეს ჩვენი ვაჟია!“

ჩემს წინ იდგა მაღალი ტანის, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, ნაბდის ქუდიანი და ძველ ვაზეთებში რაღაც გახვეულით იღვიაში ამოდებული, შუა ხნის, ჯანმრთელობით კარგად შენახული, მკაცრი სახის კაცი.

დიდად მესიამოვნა იმ კაცის გაცნობა, რომლის მაღლიან კალამს არა ერთხელ დაეუტკბივარ და მოგუხიბლივარ.

ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ ვაჟა კანცელარიაში მივაპატიჟე და შიო მღვიმელთან ერთად ლაპარაკი ჩამოუგდეთ ქართული ლიტერატურის მდგომარეობისა და განვითარების შესახებ. „ქართული ლიტერატურა აბა როგორ უნდა განვითარდეს, — გულისტკივილით შენიშნა ვაჟამ — როცა მწერლებს ლუკმა-პურის ძებნაში სული ამოსდით! ჩემი დღენია ვწერ და რამდენადაც ვიცი, ქართულ საზოგადოებას მოსწონს ეს ჩემი ნაწერები, მაგრამ რა გამოვიდა, სული კბილით მიჭირავს. ჩემ ნივთიერ გაჭირვებას და შევიწროებას ბოლო არ უჩანს. ნავთი და მარილი რაა, ოჯახში თავისუფლად და გაბედვით ვერ შემომიტანია. მზის ჩასვლისას ქათამსავით თვალებს ვზუჭავ და ლოგინს თავს ვაფარებ, ცეცხლი არაა, ლობიოსათვის მარილის შოვნაც გეძნელებოდეს! ასეთ პირობებში ვის სცალია ლიტერატურის განვითარებაზედ იფიქროს!

ზოგჯერ დიდი სურვილი მაქვს, ჩავიმუხლო და რაიმე დავწერო, მასალა ბლომად მომიპოვება, მაგრამ შემიძლია გულდამშვიდებით ვწერო, როცა თვალწინ სახრჩობელასავით მენატება ჩემი ნივთიერად უმწეო მდგომარეობა, ჩემი ცოლ-შვილის ლუკმა-პურის მოსაპოვებლად ყოველდღიურად ტანჯვა და ვაება?! განა ვაჟა ასეთ რამეებსზედ უნდა ფიქრობდეს, ასეთ წვრილმან საქმეებში უნდა აბანდებდეს თავის თავისუფალ დროსა და მოცალეობას?!“

ვაჟას გულისტკივილით ნათქვამმა სიტყვებმა საგონებელ-

ში ჩაგვაგდო. ვწუხდი, რომ ეს ბუმბერაზი მთების მესაიდუმლო და მომღერალი დიდი პოეტი, დიდი ხელოვანი ნიუფაურ ხელმოკლეობას, ნიუთიერ შევიწროებას ასეთ სასოწარკვეთილებამდე მიუყვანია.

მართლაც მაშინდელი ცხოვრების პირობები ისეთნაირად იყო მოწყობილი, რომ ლიტერატურული შრომის გასამრჯელოზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. მარტოდენ ლიტერატურული შრომით მწერალს თავის გატანა არ შეეძლო. ლიტერატურული ჰონორარი იმ დროს ჩვენი მწერლებისათვის არ არსებობდა. მწერლები და პოეტები თითქმის უსასყიდლოდ ეწოდნენ თავის დიდად პასუხსაგებ სალიტერატურო მოღვაწეობას.

მართალია, ვაჟა-ფშაველას შემოქმედებამ უდავოდ დაიმსახურა ქართველი საზოგადოების დიდი ყურადღება, ქართველი მკითხველი საზოგადოება ღირსეულად აფასებდა ვაჟას შემოქმედებას, ვაჟას უკვე დიდი პოეტის და დიდი ხელოვანის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი საზოგადოების ფართო ფენებში, მაგრამ, მაშინდელი აუტანელი პირობების გამო, ჩვენი ქართული ჟურნალ-გაზეთების რედაქციები და ქართული წიგნების გამომცემელი ამხანაგობა და თითო-ორორი კერძო პირები მოკლებული იყვნენ საშუალებას ჩვენი დიდი პოეტის სალიტერატურო შრომისათვის სათანადო ჯილდო გაეღოთ, სათანადო ჰონორარი დაენიშნათ.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ვაჟა-ფშაველა იყო იმ დროს ერთადერთი მწერალი, რომელსაც შეეძლო ყველა ჩვენი რედაქციებიდან დიდი დიდი 25-30 მანეთი თვიურად მიეგროვებინა — ლიტერატურული შრომის ჰონორარის სახით.

ამიტომაც იყო, რომ ვაჟა-ფშაველა ნიუთიერის მხრივ გოველთვის დიდ გაჭირვებას განიცდიდა.

პირველი გაცნობის შემდეგ, როგორც კი ვაჟა ტფილისში გამოჩნდებოდა, მუდამ ვნახულობდი და ყოველ შეხვედრისას ჩვეულებრივ მისალმების შემდეგ ერთსა და იმავე ჩივილს ვისმენდი: „ფარები შემომაკლდა ნავთისა და მარილის საყიდლოდ და ამიტომ ტფილისს მოვატანე, ეგების აქ მაინც რასმე ვაუბდეო, — მეტყოდა ხოლმე გულისტკივილით ვაჟა.

ძალიან კარგად მახსოვს, რომ საყმაწვილო ჟურნალის „ნა-

კადულის“ რედაქტორი, ჩვენი მწერალი ქალი ნინო ნაკაშიძე მთელი თვეობით ემზადებოდა ვაჟას ტფილისში ჩამოსვლასათვის და რედაქციის მცირედი შემოსავლიდან გულმოდგინებით უგროვებდა ჩვენ დიდ პოეტს „ფარებს ნავთისა და მარილის საყიდლად“.

ნ. ნაკაშიძე ისე პატივისცემით ეპყრობოდა ვაჟას, რომ არ ყოფილა შემთხვევა ჩვენი დიდი მგოსანი რედაქციიდან გულნატკენი ვაკეტუმრებიანა. ნ. ნაკაშიძე არა თუ დაბეჭდილი ნაწერების ჰონორარს ზედმეტად აძლევდა, დაუბეჭდავ და მოსალოდნელ ნაწერებთან ჰონორარსაც ზოგჯერ წინასწარ აწვდიდა, მგოსნის ნივთიერად შევიწროებული მდგომარეობა რომ იცოდა.

ვაჟა, როგორც კი ტფილისში გამოჩნდებოდა, უთუოდ „ნაკადულის“ რედაქციაში შემოივლიდა ხოლმე, ხშირად სარედაქციო კოლეგიის სხდომებსაც ესწრებოდა და ხელნაწერების შეფასების დროს მონაწილეობას იღებდა მსჯელობაში და თავის აზრსა და შეხედულებას ყოველთვის მოუხრიდებლად, სრულიად გულახდილად გვიზიარებდა.

„ნაკადულის“ რედაქციაში მუშაობის დროს ჩვენ პირადად ისე დაუვახლოვდით ვაჟას, რომ ერთი მეორეს სრულიად გულახდილად ვუამბობდით ჩვენს ჭირ-ვარამს, ჩვენს გულისტკივილს.

ერთხელ „ნაკადულის“ სარედაქციო კოლეგიის სხდომის დამთავრების შემდეგ მე და ვაჟა ერთად გამოვედით რედაქციიდან და აწინდელ რუსთაველის პროსპექტზედ კარგა ხანს ესეირნობდით. საღამოს 11 საათი იქნებოდა. ვაჟამ სეირნობის დროს სხვათა შორის მითხრა: „იცით, რა უნდა გათხრათ, ბატონო ალექსანდრე! ჩემი საყმაწვილო მოთხრობები სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებშია მრავლად გაბნეული. ვინ იცის, როდის მელირსება ამ მოთხრობების შეგროვება და ცალკე წიგნად გამოცემა! მე დღეს დღეობით ასე მიჭირს და ჩემი ნაოფლარი, ჩემი გონების ნაწარმოები და ნამუშევარი ასე უქმად უნდა იყოს გაბნეული! კარგს ინებებდით, რომ ითავებდეთ, მოავროვებდეთ ყველა ჩემ დასტამბულ საყმაწვილო მოთხრობებს და ცალკე წიგნად გამოცემდეთ! თქვენ ამას აღვილად მოახერხებთ. დარწმუნებული ვარ, წიგნი სულ მოკლე ხანში გაიყიდება. იმედი მაქვს, თქვენ შრომასა და ხარჯს აინაზღაურებთ და მეც უგუ-

ლებელ არ მყოფთ. თუ საჭიროდ დაინახავთ, წიგნის გამოცემის უფლების რწმუნების ქალაქსაც მოგცემთ“.

იმ დღესვე თანხმობა გამოუცხადე ვაჟას, რომ სიამოვნებით ვიკისრებ მისი საყმაწვილო მოთხოვნების გამოცემას და თანაც ვთხოვე რწმუნების ქალაქი შეგვედგინა.

მეორე დილითვე ვაჟამ შემომიტანა მის მიერ ხელმოწერილი რწმუნების ქალაქი მისი საყმაწვილო მოთხოვნების ცალკე წიგნად გამოცემის შესახებ და მცირედი საუბრის შემდეგ გამოსალმებისას ღიმილით მითხრა: „კეთილი ბოლო ჰქონდეს ამ ჩვენ მიერ გამოწვებულ საქმეს!“

დიდი სურვილი მქონდა გამომეცა ცალკე წიგნად ვაჟას საყმაწვილო მოთხოვნები, მაგრამ მსოფლიო ომით გამოწვეულმა ქალაქის კრიზისმა, ასოთამწყობების ხელფასის გადიდება და საერთოდ, მაშინდელი ცხოვრების მძიმე პირობებმა არ მომცეს შესაძლებლობა ეს ჩემი გულწრფელი სურვილი განმეხორციელებინა და ამრიგად, მცირედად მაინც დაგვხმარებოდა ჩვენ სასიქადულო მგოსანს, რომელიც იმჟამად დიდ ნიუთაერ შევიწროებას განიცდიდა. სამწუხაროდ ეს ვერ მოვახერხე.

განვლო დიდმა ხანმა და ვაჟა არსად შემხვედრია, იგი არსად მინახავს. რუსეთში და კერძოდ, საქართველოში დატრიალებულმა მაშინდელმა დიდმა ამბებმა იმოდენად გაგვიტაცა ყველანი, რომ ბევრი რამ დაგვავიწყა, რაც არ უნდა დაგვევიწყებოდა. ჩვენი ნიჭიერი მგოსანი ვაჟაც დაგვავიწყდა.

1915 წლის თიბათვეში სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ ვაჟა ძალიან ავადა და ყოფილი ქართული გიმნაზიის შენობაშია მოთავსებული. ამ ამბავმა ძალიან შემაწუხა და უმაღლეს განვიზრახე ავადმყოფი პოეტის ნახვა.

ტფილისში ჩვეულებრივი სიცხე მძვინვარებდა. ნაშუადღევის 5 საათი იქნებოდა, როცა მომვლელმა ქალმა შემიყვანა ქართული გიმნაზიის ზემო სართულის იმ დიდ დარბაზში, სადა წინათ გიმნაზიის ფიზიკური კაბინეტი იყო გამართული და საცა ავადმყოფი ჩვენი მგოსანი იწვა.

სრულიად დაცარიელებულ დიდ დარბაზში გაემართათ ვაჟასათვის საწოლი, დაედგათ საწოლის წინ ერთი ხის პატარა მაგიდა, რომელზედაც ბლომად ჩამოწყობილი იყო წამლით შუშები, და ორი ვენური სკამი. აი, მთელი მოწყობილობა ამ ვე-

ბერთელა დარბაზისა, საცა ავადმყოფი ვაჟა მოეთავსებინათ სა-  
წამებლად.

ვაჟას ეტყობოდა, ძალიან გაუხარდა ჩემი მისვლა. ჩვეულ-  
ბრივი მისალმების შემდეგ ვაჟა საწოლზე წამოჯდა და მისუს-  
ტებული ხმით გამოძელაპარაკა: „კარგი, რომ თქვენ მაინც არ  
ღამივიწყეთ და გაგახსენდით! აგერ რამდენი ხანია ჩამამწყვ-  
დიეს ამ ოთხ კედელშუა და ერთ ნაცნობს კარი არ შემოუღია  
და არ უკითხივარ, ცოცხალი ვარ თუ მკვდარი!“

ვაჟას ლაპარაკის დროს აღელვება ეტყობოდა და ნერვიუ-  
ლად ისროდა სიტყვებს. ავადმყოფს გულის სისუსტე ჰქონდა  
ღამებულნი და ვშიშობდი ამ აღელვებას უფრო ცუდი გავლენა  
არ მოეხდინა მგოსნის ისედაც დასუსტებულ აგებულებაზედ.  
ვთხოვე, უფრო დამშვიდებით ელაპარაკნა.

„ძნელია დამშვიდებით ელაპარაკო“, განაგრძო ვაჟამ: „ნუ-  
თუ მე ღირსი ვარ ასე დამივიწყონ! ხშირად მაგონდება ვიქტორ  
ჰიუგოს მიერ ნათქვამი სიტყვები, რომ მწერალმა მარტოდ მა-  
რტო ერთი სტრიქონი რომ მიუძღვნას ლიტერატურას, ესეც  
დიდი საქმეა, ამ სტრიქონის ავტორიც დიდი პატივისცემის  
ღირსია. მე კი ერთი სტრიქონი კი არა, მთელი ტომები დამი-  
წერია. შეიძლება, ჩემი ნაწერები დიდ ღირებულებას არ წარ-  
მოადგენდნენ, ყოველ შემთხვევაში ვიქტორ ჰიუგოს მიერ ნა-  
გულისხმევი „ერთი სტრიქონი“ მაინც ხომ გამოიძებნება ამ-  
დენ ჩემ ნაწერებში.

მაგრამ გულახდილად უნდა გითხრათ, რომ ჩემი ნაწერები  
თავისი მხატვრული ღირებულებით არც ისე დაბალი ხარისხი-  
საა, რომ საზოგადოებამ ქვა და გუნდა მიაყაროს, არ გამოიცი-  
თხოს, არ შეიტყოს ჩემი უკანასკნელი დღეების სულსკვეთე-  
ბა!

თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ილია ჭავჭავაძე დიდი  
პოეტია, მას უდავოდ შესწევს მხატვრული ნაწარმოების დაფა-  
სების უნარი. ამ დიდბუნებოვანი ადამიანის აზრსა და შეხედუ-  
ლებას საჭიროა ანგარიში გაუწიოთ.

უთუოდ გეცოდინებათ ილიას შეხედულება და აზრი ჩემი  
პოეზიის შესახებ.

ვაჟა ყოფშიძემ როცა „ივერიის“ რედაქციაში ჩემ მიერ გა-  
გზავნილი „გოგოთურ და აფშინა“ წაუკითხა ილია ჭავჭავა-

ძეს, ჩვენი პოეზიის დიდმა ქურუმმა ამ სიტყვებით მიმართა თურმე ყიფშიძეს: „გიგა, გულახდილად უნდა გითხრათ, ამიერიდან ძველმა პოეტებმა ხელიდან კალამი უნდა გაუვადოთ. ვაჟას ამ საუცხოო ლექსების შემდეგ სირცხვილიცაა კალამს ხელი მოუკიდოთ და ლექსების წერა განვაგრძოთ!“

ილიას ასეთი აზრი ჩემი მხატვრული პოეზიის შესახებ, რასაკვირველია, გაზვიადებულია, ყოველ შემთხვევაში, ამ აზრსა და შეხედულებას მცირედი საფუძველი ხომ მაინც მოუპოვება და ამიტომ ჩემი ნაწერების ასე უგულვებელყოფა, ჩემი დეაწლის ასე დავიწყება ქართული საზოგადოების მხრით, ვფიქრობ, ყოველად დაუშვებელია.

განა ოდესმე მოვიფიქრებდი, რომ ქართველი საზოგადოება ასე დამივიწყებდა, ასე უპაატრონოდ დამტოვებდა ამ დაუძლურების დროს! მაგრამ გულს მაინც არ ვიტეხ! მე ჯერ კიდევ იმედი მაქვს, რომ ჩემი მარჯვენა კიდევ ამოძრავდება და ძველებურად სამსახურს ვამიწევს, ჩემ საყვარელ მთებში ჩამარხულ საიდუმლოებას ძველებურად მძლავრად შემოხაზავს! ამის იმედი ჯერ კიდევ არ დამიკარგვია!

ახლა იცით, რა უნდა გითხრათ, ორი გარემოება ძრიელ მაწუხებს და მალონებს.

პირველი ისა, რომ ჩემი ამდენი ხნის ნაწერები, ვინ იცის სად არაა გაბნეული. მე სულ იმაზე ვოცნებობდი, მომეგროვებინა ეს ნაწერები და ჩემ სიცოცხლეშივე გამომეცა.

დარწმუნებული ვარ, ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემ ნაწერებსაც ისეთივე ბედი ეწევა, როგორც სხვა მწერლების ნაწერებს.

ვინ მოსთვლის რამდენი საუნჯეა ჩამარხული ჩვენ ჟურნალ-გაზეთებში, მაგრამ პატრონი ვინ არის! ვის სცალია ამ საუნჯის ამოსაკრებად!

ავტორი თუ თავს არ დასტრიალებს თავის ნაწერებს, თავის ნაშრომს, ძნელია სხვისი იმედით დარჩენა.

თქვენ უთუოდ კარგად გეცოდინებათ, განსვენებული იაკობ გოგებაშვილი სანამ ცოცხალი იყო, თვითონვე ფხიზლად სდარაჯობდა თავის ნაწერების თითოეულ სტრიქონს, გულდასმით აგროვებდა და ცალკე წიგნისა თუ სახელმძღვანელოების სახით აწვდიდა მკითხველ საზოგადოებას და მოზარდ ახალ-თაობას.



იაკობ გოგებაშვილის სიკვდილის დღიდანვე, როგორც თქვენ კარგად მოგეხსენებათ, დაინგრა ის დიდი შენობა, რომლის საშენი აგურები ასე სიყვარულით და მომჭირნეობით მოზიდული იყო განსვენებულის მადლიანი ხელებით, მოიშალა ის დიდი მექანიზმი, რომელსაც ასე სიყვარულით ამოძრავებდა ჩვენი მხცოვანი პედაგოგი. ჩემს ნაწერებსაც ასეთი ბედი მოეწივს! აი, რა მაწუხებს, რა მიკლავს ისედაც დაავადებულ გულს! მეორე ჩემი დარდი, რომელიც მოსვენებას არ მაძლევს, ჩემი ასე ხანგრძლივი ავადმყოფობაა.

აგერ ორი წელიწადია, რაც გული დამიზიანდა, ჩემ ძარღვებში ძველებურად სისხლი არ სჩქევს, მთელი ჩემი სხეული დღითი დღე სუსტდება, ძველებურ გამძლეობას, გამჭრიახობას ვერ იჩენს.

ფიზიკური ასეთი დაუძლურება საწამლავით მოქმედებს ჩემს სულიერ განწყობილებაზედ. თანდათან მეკარგება წერის და შრომის უნარი. ზოგჯერ კალამს ხელს წავატან და მინდა რაიმე დავწერო, მაგრამ ეს მარჯვენა რომ ძველებურად არ შემორჩილება და სულიერი განწყობილებაც ხელს არ მიწყობს?!

აბა, როგორი სულიერი განწყობილება უნდა მქონდეს, როცა ამ ოთხ კედელში ვარ გამომწყვდეული, არც ერთი ნაცნობი ჩემ კარებს არ შემოაღებს, ძველებურად არ მომესალმება, როცა დახშული ოთახის ჰაერი სულს მიხუთავს, როცა ჩემი საყვარელი მთების საიდუმლო ბუტბუტი ყურში არ მეწვევება, როცა ბუმბერაზ მთების გრეხილებიდან მოხეთქილი ნიავი გულს არ მიგრილებს და საამურად არ შეაღერსება.

ახლა, რაც არ უნდა მომივიდეს, ტფილისიდან უნდა ავიბარგო და ჩემს მესაიდუმლე მთის კალთებს შევაფარო თავი.

დარწმუნებული ვარ, ჩემი სოფლის ჰაერი ჩემ დაავადებულ გულს მალამოდ დაედება, ჩემ დასუსტებულ სხეულს განკურნავს და ძველებურ ჯანმრთელობას აღმიდგენს.

ვაჟა ასე ადვილად სიცოცხლეს არ გამოესალმება, ვაჟა ჯერ კიდევ ცოცხალია, ის ჯერ არ მომკვდარა, მისი მარჯვენა ჯერ კიდევ მთლათ არ მოღუნებულა, ვაჟა ჯერ კიდევ ცოცხლობს და კიდევაც დიდხანს იცოცხლებს, ისევ ძველებურად დაჰყვილებს სამშობლო მხარეს, ცამდე აზიდულ ბუმბერაზ მთების მწვერვალებს!"

დადუმდა დიდა მგოსანი, რომელსაც სიცოცხლე სწორად რომელიც ბუნების უღმობელ კანონებს ებრძოდა და ამდენს კი  
კარგავდა, რომ სამშობლო მხარის ჰაერი მას განკურნავდა,  
ჯანმრთელობას აღუდგენდა.

რამდენადაც კი შემქმლო ვანუგეშებდი ჩვენ დიდ მგოსანს,  
ვარწმუნებდი, რომ საკუთარ კარმიდამოში დაბრუნება მრავალ  
ხელს შეუწყობდა მისი დასუსტებული სხეულის გაჯანმრთლე-  
ბას, ვარწმუნებდი, რომ ქართველი საზოგადოება მის ღვაწლს  
და მის ნაწერებს არასოდეს არ დაივიწყებს, მაიღებს საჭირო  
ზომებს, ეს ნაწერები მოაგროვოს და სათანადოდ გამოსცეს.

გამოვეთხოვე ავადმყოფ მგოსანს, რომლის სიცოცხლის დე-  
ები უკვე დათვლილი იყო.

მართლაც, სულ მოკლე ხნის შემდეგ დიდებულმა მგოსანმა  
სამუდამოდ თვალები დახუჭა და საფლავში ჩაიტანა ის გე-  
ლისტიკივილი, რომელიც განსვენებულს ასე მწვავედ აწუხებდა  
ჩემთან საუბრის დროს.

## მესამე მიქელაკე

ვაჟას ყოველი გამოსვლა ლიტერატურულ დილა-საღამოე-  
ბზე, ლექსების თავისებური კითხვა, მისი ოდნავ გადატეხილი,  
ბოხი, მოგუგუნე, „მობუბუნე“ ხმა ღრმად შთამბეჭდავი იყო და  
ყოველთვის წარუშლელ კვალს ტოვებდა მნახველსა და მსმე-  
ნელზე.

ამ ბრგე ვაჟაკს, რომელსაც სევდა-მწუხარების იერიც გა-  
დაკრავდა, მიმხიდეელს ხდიდა მისი ჩაცმა-დახურვაც.

ლიტერატურულ საღამოებზე ვაჟას მიწვევა-მიპატიება  
ქართველმა ინტელიგენციამ წესად შემოიღო. სად არ იწვევ-  
ნენ ვაჟას, სად არ მოელოდნენ მის ნახვას და მის ლექსთა მო-  
სმენას?

ასეთი საღამო ჭიათურაში გაუმართავს მოწინავე საზოგა-  
დოებას. შავი ქვის მრეწველობის ხელმძღვანელები, მუშა-მო-  
სამსახურენი, მასწავლებლობა და სტუდენტობა, ზშირად სხვა



ქალაქებიდან და დაბებიდან ჩამოსული სტუმრებიც ავსებდნენ თეატრებსა და სახალხო საკრებულოებს.

ამ საღამოს დასწრებია ქუთაისის მკვიდრი, მასწავლებელი პარმენ ივანეს ძე მეღია და სტუდენტი კონსტანტინე გამსახურდია, რომელსაც მგზნებარე ლექსი წაუკითხავს.

ვინაიდან საღამოს შემოსავალი საქველმოქმედო მიზნებისათვის იყო განკუთვნილი, ბილეთები შედარებით მაღალ ფასებში გაიყიდა. საღამოს მომწყობი კომისია მას ხელზე ყიდდა; ერთი ბილეთი მრეწველ ბრეგვაძის მოიჯარადეს მინა მიხეილის ძე ნიჟარაძესაც შეაძენინეს; უთხრეს — საღამოს პოეტა ვაჟა-ფშაველა დაესწრებაო. პარტერში მჯდომი შეზარბოშებული ჩოხოსანი, ილიას მსახურის მსგავსად, რაღაც არაჩვეულებრივ სანახაობას მოელოდა მისთვის უცნობი ვაჟას გამოჩენით; როდესაც უთხრეს, ეს არის ვაჟაო, გაჯავრებული მინა გაიძახოდა: მომატყუეს, ამდენი ფული გადამახდევინეს, ერთი ვიღაც ძველი, გახუნებულ ჩოხაში გამოწყობილი ყაძახი გამოიფყანეს, რომელმაც თავადაზნაურობა გაგვლანძღა და გაგვათრიაო. განაწყენებული ნიჟარაძე ძლივსძლივობით დაამშვიდა კიტა აბაშიძემ; მას არ ჰქონდა, ალბათ, წაკითხული ვაჟას სიტყვები: „თუ კაცი თვითონ კაცია, რა უშავს ჩონხას ძველასა“.

### შიო მღვიმელი

გორის საოსტატო-სამასწავლებლო სემინარიასთან არსებულ სამაგალითო სკოლაში ვსწავლობდი. ლუკა რაზიკაშვილი, რომელიც ჯერ ვაჟა-ფშაველად არ იწოდებოდა, მეორედ თუ მესამედ უფრო ახლო ვნახე სემინარიის ეზოში, დასვენების დროს. მისი გარეგნული შეხედულება და მედიდური საარული გვიზადავდა სამაგალითო სკოლის ყველა მოწაფეს; საითაც წავიდოდა ამხანაგებთან ერთად, ჩვენც იქით მივდევდით, რომ უფრო კარგად გაგვეგონა მისი ლაპარაკი და ფშაური კილო.

ვაჟა განვითარებულ შეგირდად და სამაგალითო ადამიანად ითვლებოდა სემინარიაში. ამხანაგები დიდ პატივსა სცემდნენ და უყვარდათ კიდევ.

ხშირად მათე წივეწივადე, სკოლის ამხანაგი, დაარტყამდა ვაჟას ბექობივით ამობურთულ მკერდზე ხელსა და უტყვოდა: „ამან უნდა იცოცხლოს დიდხანსაო!“

— მოგიკვდეთ ლუკა რაზიკაშვილი, თუ არ გასახელოთ, — მიუგებდა დიმილით ვაჟა.

ნათქვამი ასრულდა.

დიდად აფასებდა, აგრეთვე, ვაჟას იმავე სემინარიის დირექტორი სემიონოვი. დიდ მომავალსა და დიდ კაცს ხედავდა მასში იგი, როგორც იტყოდნენ ხოლმე დიდრონები ლაპარაკს დროს.

რამდენი ხანიც გადიოდა, უფრო მეტ სახელსა და საყვარულს იძენდა ვაჟა გორის მოწინავე საზოგადოებაში.

უყვარდა ვაჟა აგრეთვე გორის მდაბიო ხალხსაც.

პატარა ბოხჩასავით შეკრულ ქალაქში მცხოვრებლებმა იცოდნენ ყველა მოწაფის ავი და კარგი.

რაც ხანი იქ სწავლობდა ვაჟა, არავითარი ცუდი მისი არც უნახავთ და არც გაუგიათ.

უყვარდათ ვაჟა მეტადრე ქვემოუბნის მოკრივეებს. როგორც უფრო სუსტი მხარე, ქვემოთა უბანი, ხშირად იჩაგრებოდა ხოლმე ზემოუბნელებისაგან.

კრივი იმართებოდა მხოლოდ ყველიერში. როგორც კი ჩაიგდებდა დროს ვაჟა და გაიპარებოდა სემინარიიდან, მაშინვე ქვემოთა უბნელებთან მოექცეოდა.

ჩავიდოდა თუ არა კრივში რამდენიმე თავის ამხანაგით, ზემოთა უბნელებში ჩოჩქოლი ჩავარდებოდა: ჩამოვიდა ფშაველი და დაგვძრავს კიდევცო.

ყოფილა ცდები გადაბირებისა ზემოთუბნელებისაგან, მათ უმეტეს, რომ სემინარია ზემოთა უბანში იყო, მაგრამ ვერა, ვერ დაუძლევიათ. ვაჟასთან ერთად ჩადიოდნენ კრივში: ლავრენტა ოქროპირიძე (იცოდა სილა), ნესტორ კიკნაძე, ზოდელი, ანთაძე (სამივენი სწავლობდნენ გორის სამოქალაქო სასწავლებელში) იშვიათად ვაჟას ახლო ამხანაგი და დიდი მეგობარი ნიკოლეონიძე (მამა ჩვენი ახალგაზრდა პოეტის გოგლა და პროფესორ ლევან ლეონიძეებისა).

უყვარდა ვაჟას კრივის გარდა ნადირობა და თევზაობა. ხშირად მიდიოდნენ ვაჟა და ნიკო ერთად მტკვარზე სათევზაოდ.

დღე-ღამით, უფლის ციხის მიმართულებით, სოფელ ხიდისთავის პირდაპირ.

ჩანგლებს რომ ჩაპყრიდნენ მტკვარში ვადაძღე, თავად მწვანეზე წამოგორდებოდნენ და მიეცემოდნენ თანწაღებულ წიგნების კითხვას.

მიჰქონდათ ქვაბი და მარილი თევზის მოსახარშად. თავად რომ გულს მოიყირჭებდნენ ახალი თევზის ჭამით, სკოლის ამხანაგებისთვის შეუდგებოდნენ ზრუნვას.

მახსოვს კარგად (ერთხანად მიშო ყიფიანის თბონით, სემიონოვის წყალობით, სემინარიის საავადმყოფოში ვიძინებდი და სამზარეულოში ვსადილობდი) როგორი სულის სისწრაფით და სიხარულით მოელოდნენ ამხანაგები ვაჟას და ნიკოს იმ ფიქრით, რომ არც ისინი დარჩებოდნენ უახალთევზოდ.

ასეც ხდებოდა.

შაბათს სწავლის შემდეგ წასულები მეორე დღეს, კვირა საღამოს, ბრუნდებოდნენ და თან მოჰქონდათ მართლაც ბლომად ახალი თევზი.

ის ორი განუყრელი მეგობარი, ვაჟა და ნიკო, არასდროს თევზს არ გაჰყიდდნენ, რამდენიც უნდა დაეჭირათ და რაც უნდა ეძლიათ. მუშტარი კი ახალი თევზისა სულ მუდამ იყო.

მოვიდოდნენ თუ არა, შემოეხვეოდნენ ამხანაგები და იყვნენ ერთ ამბავში. სამზარეულოს დიდ ტაშტზე წამოჰყრიდნენ თევზს და ყველა სათითაოდ სინჯავდა.

ვაჟა დაუძახებდა პანსიონის მზარეულს ვასილ ხანაკოშვილს და ეტყოდა:

— აბა, ახლა შენ იცი, ჩემო ვასილ, მოზარშე და ერთი ძლო-მაზე აჭამე ამ ბიჭებსაო. არც შენს თავს დააკლოო.

\* \* \*

იმ დროს შიო დავითაშვილისას დაიარებოდნენ საბაასოდ, საკამათოდ მიხეილ ქართველიშვილი, ნილო კასრაძე, თედო გოლიევი, ვაჟა-ფშაველა და კიდევ სხვები. იმჟამად მე შიოსთან ვცხოვრობდი.

მოსვლისას ზოგჯერ წითელი ბოლოკი და მწვანელი მოჰქონდათ თან მაშინდელი მტრების, მეთვალყურეთა თვალების ასახვევად.

პირველად ვაჟას ლექსი „ყარსის ბოლოს“ წავეკითხე შიშა და ვითაშვილისას, თუ არა ვცდები, თვიურ ყურწილში „იმედი“ ში“, რომელიც გამოდიოდა სტეპკო ჭრულაშვილის და სხვების ხელმძღვანელობით. ლექსს ავტორის ვინაობა ასე ეწერა: ლ-უ-კ-ა რ-ა-ზ-ი-კ-ა-შ-ვ-ი-ლ-ი.

ლექსი იყო ათმარცვლოვანი, მძიმე, ილიასებური.

შიშა და ვითაშვილის ოჯახიდან ვაჟას დიდი ყურადღება ჰქონდა ჩემზე მოქცეული.

სემინარიის შენობაშივე, ეზოში ცალკე იყო აგებული ორთქლის აბანო პანსიონერებისათვის, რითაც ხანდახან გარეგან მოსიარულენიც სარგებლობდნენ ხოლმე.

როცა ვაჟას კლასის მოწაფეების ბანაობის რიგი მოვიდოდა ხოლმე, ვაჟა მე და ბაჩანას (ძმას) შეგვიყვანდა აბანოში, და გვბანდა საპნით, დაგვკვდრეჭდა, მუხის ფოთლებისაგან შეკრულ, ცხელ წყალში ამოვლებულ კონით დაგვშხვეპავდა, ბოლოს სუფთა, ნელ-თბილ წყალს გადაგვაველებდა თავსა და სხეულზე და უკანა ტანზე ხელისმორტყმით გვეტყოდა: „გეთ, ჰაიდა, ჩაიცვით და წადით, ახლა მე უნდა ვიბანო“.

ვაჟამ სემინარია რომ გაათავა, პირველად კერძო მასწავლებლად მოხვდა იქვე გორის ახლო, ღიახვ გაღმა მდებარე სოფელ ოთარშენში, ამილახვრის ოჯახში.

კოტე ამილახვარმა განსაკუთრებით დაუჭირა ვაჟა მასწავლებლად თავის ძმისწულს, ოთარის შვილს გიორგის.

ამაყი მთის შვილი ვაჟა და დიდი ამილახვრის ოთარის ძე გიორგი შეზვდნენ ერთმანეთს.

როგორც იტყოდა ხოლმე ვაჟა, გიორგი ძალიან ნიჭიერა და, მიუხედავად მისი მცირეწლოვანებისა (14—15 წლისა თუ იქნებოდა), მეტიმეტი ამაყი, ზვიადი და გულადი ყოფილა.

გიორგიმ ვაჟა ერთხელ მოთმინებიდან გამოიყვანა გაკვეთილის დროს და ვაჟამაც პატარა თავადს, როგორც მასწავლებელმა წაუთავაზა:

მედიდურ გვარისშვილს ეს ძალიან ეწყინა და დაუძახა ბექებს: „გამოიტათ ჩემი თოფიო!“

— ბალო, გაჩერდი, თორემ მეორესაც მიიღებ და წავალ კიდევო!

მართლაც, ვაჟამ დააბირა წასვლა, მაგრამ კოტე ამილახვა-

რმა დიდი თხოვნის შემდეგ დაითანხმა ისევ ვაჟა, დაყვავებით მოუღბო ნაწყენ გიორგისაც გული და შეარიგა ეს ორი გული ზვიადი და ამაყი ადამიანი.

გიორგი რომ დაეაჟაკცდა და ვაჟაც თანდათან ხანში შევიდა, ძალიან უნდოდათ, თითქმის ენატრებოდათ (მით უმეტეს გიორგის) ერთმანეთის ნახვა, მაგრამ არც ერთმა არ მოიხარა ქელი ერთმანეთთან მისასვლელად, ისე დაიხოცნენ.

ვაჟამ ამილახვრიანთსა ყოფნის დროს თვალი შეავლო იმათ სახლში გაზრდილ ახალგაზრდა სოფელელ გოგონას, მიეწონა, შეირთო ცოლად და გამოსწია ფშავისაკენ. სოფელ ერწოში დაენიშნათ სახალხო სკოლის მასწავლებლად.

ვაჟა ერწოში დიდხანს არ გააჩერეს, სოციალისტობა შენიშნეს და მალე აჰკიდეს გულა-ნაბადი.

ვგონებ ამ ამბის შემდეგ წავიდა პეტერბურგში თავის უუროს ძმა გიორგისთან უმაღლეს სასწავლებელში თავისუფალ მსმენელად შესასვლელად.

იქიდან დაბრუნებისას, სადაც დიდხანს არ დარჩენილა ხელმოკლეობის გამო, ვაჟა დანიშნა თავის სკოლაში მასწავლებლად ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ სოფ. დიდ-თონეთში. აქ ხალხმა მალე შეიყვარა ვაჟა როგორც კარგი მასწავლებელი და ადამიანი.

მხოლოდ სოფლის მამასახლისის ვერ ურიგდებოდა: — „მამასახლისი კი არა მამაძაღლისი და სოფლის მჭამელი ხარო“.

თურმე მეტი სმა-ჭამისაგან გასიებული და ვათამამებული მამასახლისი იქამდისაც კი ვაკადნიერდა, რომ ვაჟას ხალხის თვალში დასამცირებლად, ერთხელ ხელით შეხებაც კი მოუნდომა, მაგრამ ვაჟა რიდას ვაჟა იქნებოდა, რომ აქამდისინ მისულიყო საქმე. ვიდრე ის ამას ჩაიდენდა, ვაჟამ იმდენი უთუთქა გასიებულ ფაშესა და გვერდებში, რომ ჯვარ-მენდლები სულ დაავიწყებინა და მამასახლისმა აღარ იცოდა, სად შემძკრალიყო. ეს მოხდა თურმე ქორწილში.

ამ ამბის შემდეგ, როგორც იტყოდნენ ხოლმე, გააუბედურეს მამასახლისი: ჯვარ-მენდლები აჰყარეს და გამოაგდეს, რადგან აღარ შეიძლებოდა ნაცემი მამასახლისის სამსახურში დაყენება.

დიდ-თონეთში მასწავლებლობას რომ თავი დაანება, ვგონებ

ამ დარგზე მუშაობა აღარსად განუგრძვია, დაუბრუნდა სამუდამოდ ფშავს და თავის სოფელ ჩარგალში მიჰყო ხელი მუშაობას. წლიური სარჩო-საბადებელი მოჰყავდა თავის ხელთ და ისე ინახავდა ცოლ-შვილს.

ერთხელ ღორების მოშენებასაც კი მოეკიდა, მართლაც მოაშენა, რამდენიმე ბურვაკი აქცია ტახად და გამოირეკა თბილისისაკენ გასასყიდად.

რომ ასეღ-დაზედეს ვაჟას და შეატყვეს მას ვაჭრობისა და ვაჭრისა არა სცხიარა, ჩარჩებმა სულ მუქთად მოინდომეს ღორების ხელში ჩაგდება, მოუვიდა გული ვაჟას, დაირეკა ღორები და, დიდად გაწვალელებულმა მათი ჩამორეკით, უკან წაასხა.

— სულ მუქთად დავარიგებ და ჩარჩებს კი არ გაველეღებ-ნებიო.

მართლაც ისევ გზა და გზა გაეყიდა რამდენიმე ღორა სოფლებზე შეღავათიან ფასებში.

ვიდრე ვაჟას ძმა, სანდრო რაზიკაშვილი, თბილისში დასახლდებოდა, ვაჟას, როცა მთიდან ჩამოვიდოდა, ჯერ ზაქარა ჭიჭინაძესთან ჰქონდა ბინა, მერე კი ჩემთან. 1888 წლიდან ვადეკი ყოფილი პირველი გიმნაზიის უკან პარალელურ ქუჩაზე კოსენკოს სახლში.

ოთახის ქირას წყლით ვიყავი გარიგებული. როგორც მართლაც კაცს არ მქონდა ჭურჭელი და არც ბინა, რომ ცალკე მომეტანინებინა წყალი.

მთაში ნაჩვევი კაცი, მოიყუდებდა თუ არა კასრში ნაღამ წყალს, ხშირად გამოღვრიდა პირიდან და იტყოდა: „დავხოცა წვიმის წყალის სმით ამ ოჯახქორმა რუსმაო“.

და, მართლაც, მოვიდოდა თუ არა წვიმა, მთელი ოჯახი კოსენკოსი კასრებ-ვედროებითა და ნატეხრებითაც კი იღვნენ შენობის ღარების წინ და ავსებდნენ ყველაფერს.

იმ დროს ყველგან არ იყო წყალსადენი გაყვანილი ეზოებში. მუშები ეზიდებოდნენ წყალს ზურგის კასრებით და თულუხებით, ზოგიერთი სახლის პატრონი, როგორც კოსენკო იყო, ემურებოდნენ წვიმის წყალს, რომ იოლად გამოსულიყვნენ და ამნაირად და კიდევ სხვაფრივ დაზოგვილი ფულით წამოედგათ სახლები.

მართლაც რამდენიმე წლის შემდეგ კოსენკომ, ამ მეტიხმე-



ტად იშვიათმა ძუნწმა კაცმა, აიღო ძველი ქოხმახები და წაძო-  
დგა მშვენიერი ორსართულიანი სახლები. შეიღები კაუჩუკით  
ლობისაგან და წვიმის წყლის სმისაგან გამხდრები, სუსტები  
და ჩაყვითლებულები ჰყავდა.

საახალწლოდ ჩამოსვლისას ცოტა უხერხულ მღვთმარეო-  
ბაში ჩაეკარდებოდიტ ხოლმე მე და ვაჟა; ორივეს გვიხდებოდა  
ერთ ლოგინში წოლა თავშებრუნებით, რადგან სიგანეზე არა  
გვწვდებოდა საბანი.

შეშა და ღუმელი მე არ გამაჩნდა და ღამე, თუ სიცივე შეგვა-  
წუხებდა, ხან ერთი გავიწვევდიტ ძილში საბანს და ხან მეორე,  
რიგრაგობით ვრჩებოდიტ ნახევრად უსაბნო, მაგრამ ამ გარე-  
მოებას არც ერთი არ ვუშინდებოდიტ, ვიყავით ტკბილად და  
სიამოვნებით, ვიდრე ერთმანეთს დავშორდებოდიტ.

მე რომ სამსახურში წავიდოდი, ვაჟა ჩაუჯდებოდა თავის  
გონებრივ საქმეს: ან ახალს წერდა, ან დაწერილ მასალას ათე-  
თრებდა და მიჰქონდა რედაქციებში 11-12 საათზე.

ვაჟა თბილისში რჩებოდა ხოლმე ერთი ან ორი კვირა. დი-  
დი აუცილებელი საქმე უნდა ჰქონოდა, რომ საფხულში ვანმე  
ენახა აქა. ძალიან ერიდებოდა თბილისის სიცხეებს.

ვაჟა ჩარგალში დამუშავებულ ნაწარმოებს, თბილისში რომ  
ჩამოვიდოდა, ვიდრე რედაქციებში წაიღებდა, ერთხელ კიდევ  
გადაათვალიერებდა გულდადებით, ან სხვებთან ერთად წაიკი-  
თხავდა, მეტადრე პოემებს. გაიგებდა მათ აზრს და შემდეგ ისე  
მიჰქონდა დასაბეჭდად.

ძთაში დაწერილ პოემას, იქ რომ ვერ მოასწრებდა, აქ, თბი-  
ლისში, ათეთრებდა ხოლმე. ვერ წარმოიდგენთ რამდენნაირ გა-  
ჭვარტილიანებულ ქალღმრთელს ჰქონდა ხოლმე დაწერილი უშვე-  
ლებელი პოემა!

ილია დიდის პატივისცემით უყურებდა ვაჟას და დიდადაც  
აფასებდა მის ნიჭს.

ილია ვაჟას მხეს ეძახდა, ხოლო მის ძმას, ბაჩანას, მთვა-  
რებს.

ერთხელ, დილით ადრე, როგორც გადმოგვცა გიგა ყიფში-  
ძემ, ჩამოვიდა რედაქციაში ილია ყურში კალამგადებული და  
გვითხრა არაჩვეულებრივი აღტაცებით: „დაგვებადა, დაგვება-  
დაო!“

ეს სიტყვები გაიმეორა თურმე რამდენჯერმე. შემდეგ კაპიტანმა მოიღო ყურიდან კალამი, დადო მაგიდაზე, გადმოიკვებოდა პოემა „მოხუცის ნათქვამი“ და თქვა: „დღეიდან მე თავისუფალი ვარ, დაგვებადა უნიჭიერესი მგოსანი. პოემა ზვალისთვის დაბეჭდეთ (ალბათ კვირა იქნებოდა, პოემები და ლექსები კვირაობით იბეჭდებოდა ხოლმე), მთლიანად, არ გაწვევითო“.

თანამშრომლები გაოცებულნი დაერჩით ასეთი საქციელით. მწერლის დაფასება-ქებაში ილია ძალიან ძუნწი იყო, — თქვა ვივამ.

დღიდან ვაჟას პოემის გამოქვეყნებისა ილიას აღარაფერა დაუწერია.

დაწერა მხოლოდ ორად ორი ლექსი — ისიც დიდი მუდარი. სა და ხვეწნის შემდეგ. ერთი — „კითხვა-პასუხი“ და მეორე — „ბაზალეთის ტბა“. პირველი დაიბეჭდა ახლადდაარსებულ თვიურ ჟურნალ „მომამბეში“. მეორე — ახლადვე დაარსებულ საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“.

ვაჟას ბევრი ჰყავდა თბილისში პატივისმცემელი. ხშირად კპატიულობდნენ ხოლმე, როგორც ოჯახებში, ისე ოჯახგარეთ.

ერთხელ, საღამოს, როცა მე და ვაჟა ვბრუნდებოდით წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებიდან (მე იქა ვმსახურობდი), ვორონცოვის ძეგლის მახლობლად მდებარე ღვინის სარდაფში დაგვაპატიჟა სცენის მოყვარე მსახიობმა გიორგი ხუციშვილმა.

როცა ვაჟამ ღვინოს სუნი და გემო გაუსინჯა, იკითხა: ვინაა ღვინო? იქვე დახლთან მდგომმა ორმა ახალგაზრდამ უპასუხა — ჩვენით.

— ყოჩაღ, ქოსებოო! — უთხრა ვაჟამ და გადაჰკრა მოწონებული ღვინოც.

სარდაფის პატრონები მოსე და გიორგი ხელაშვილები მართლაც სრულებით უწვერულვამო ბიჭები იყვნენ. ის იყო ახლად დაეწყოთ ღვინით ვაჭრობა.

ვაჟას კითხვისა და პასუხის შემდეგ ხელაშვილებს დაერქვათ ქოსები. ხომ იცით, ხალხს რაც ერთხელ მოსაწონი ყურში ჩაეწვეთება, ის აღარ იშლება, და მიუხედავად იმისა, რომ წვერ-ულვაშისა და ოჯახობის პატრონები გახდნენ, დღესაც

მაინც შემოხსენებული ზედმეტი სახელით იწოდებთან  
შვილები და ყველა მადლიერია მათი საქონლით.



თაფლი იყოს, თორემ ბუზა თეირანიდან მოვაო, სწორედ ქოსების რიგიან ღვინოზეა ეს ანდაზა გამოჭრილი და არც ლატობენ თავიანთი ნათლიის ვაჟას დარქმეულ სახელს.

ერთმა ძმათაგანმა, მოსკმ, მართლა ნათლიად მოიკიდა ვაჟა-ფშაველა. მონათვლინა უფროსი ვაჟა ვახტანგა.

ერთ ზაფხულს ვაჟას ჩარგალში მამათადა ჰყავდა. მეზობელმა ფშაველმა რომ ეს შეიტყო, უთხრა: ძროხა გადამივარდა კლდეზე, დაკვალი და, თუ ხორცი დაგჭირდეს, იყადეო. დაუჯერა ვაჟამაც, ენდო.

მეორე თუ მესამე დღეს ხორცის მყიდველიც და გამყიდველიც ავად გაზდნენ. მიზეზი ავადმყოფობისა ცამბირის ჭირი ყოფილიყო, რომელიც ძროხის ხორციდან გადასდებოდათ. ძროხა მეზობელს კი არ გადაჩეხოდა — ავადმყოფი დაეკლა.

ცამბირის ჭირის მუწუკი ვაჟას გამოუვიდა თვალზე, ძროხის პატრონს კი ხელისგულზე. ვაჟა გადარჩა, ის კი მოკვდა.

გადარჩა ვაჟა, მაგრამ თვალი კი სამუდამოდ დაუსახინჩდა.

ერთ ზამთარს ვაჟა თვალის გამო ექიმებისა და მეგობრების რჩევით ნავთლულის სამხედრო საავადმყოფოში (პოსპიტალში) დაწვა საოპერაციოდ.

მკლავიდან ააჭრეს ხორცი ვაჟას და თვალზე დააკერეს. ძალიან ძნელად დააძინეს. უკანასკნელად რომ მისცეს ბანგი თუ ქლორაფორმი, ეს მე არ ვიცი, დაძინებისას ათელვეინებდნენ. რომ მივიდა ათ რიცხვამდე თქვა „ЭТО ЕСТЬ НАУКА“ და წავიდა კიდეც ძილში.

ვგონებ ერთი თვის შემდეგ, თუ უფრო ადრე, გამოვიდა ვაჟა საავადმყოფოდან ისევ თვალშეხვეული. ექიმებს უთქვათ, მაგრე გქონდეს, ჯერ არ შეიბნაო.

ჯერჯერობით ასე თვალშეკრულს უნდა ევლო და დროდადრო უნდა სჩვენებოდა ექიმებს.

სწორედ ამ დატანებაზე შიო არაგვისპირელის, თუ შიო ჩიტაძის (რუსეთში იყვნენ წასულები უმაღლეს სასწავლებელში) სასარგებლოდ რამდენიმე პირის და ჩემი მონაწილეობითაც გაიმართა შინაურული, არაოფიციალური საღამო აუჭალის ქუჩაზე.

ერთ-ერთ უმთავრეს მოთავეს ოღდა ბეჟანიშვილის ქალს (დღეს ილია აგლაძის მეუღლეს) საღამოში მონაწილეობის მოსალოდნელად მოეწვია, სხვათაშორის, ლადო მესხიშვილი და ვაჟა-ფშაველა. პირველი სცენების სათქმელად, მეორე — ლექსებისა, რაიც შესრულებული იქნა ორივესაგან დიდებულად.

გარდა ბილეთებისა, რომელსაც ხელზე ვყიდდით, შემოსავლის გულისათვის ვმართავდით ხოლმე აგრეთვე საღამოს დასასრულს ფასიან ვახშამს, საიდანაც რიგიანი ფული რჩებოდა.

იმ ღამეს თითქმის 5 საათამდე გასტანა ვახშამმა, მოიღსანა ვაჟამაც და სუფრაზედაც თქვა თავისებური კილოთი, მარჯვენა ხელის ხშირ-ხშირად გაშლით რამდენიმე ჯერ დაუბეჭდავი ლექსი.

საღამოს, მეორე დღეს, ვაჟა უნდა სჩვენებოდა ექიმებს, მაგრამ იმათთან წასვლის ნაცვლად ჩარგლისაკენ მოუსვა.

ვახშამის შემდეგ ძილში თვალის ქვედა ქუთუთოზე დაფარებული ხორცი მოსძრობოდა და თვალი ისევ ისე დადღღურძოლი და დაწყლულებული დარჩენოდა.

ვაჯავრებული და ექიმებით გულმოკლული ვაჟა (ჩვენ არ ვიცით, ვინ იყო ღამნაშავე) გაიძახოდა: „ეს თვალი რომ გატიალებული მქონდა, ამ საღ ხორცს რალაზე ვაჭრევიანებდიო“.

ვაჟა თვალის წყლულის მორჩენას ისევ ისე ბუნებისაგან იმედნეულობდა.

— ბუნების მეტი, სხვა არაფერი მომიჩინესო.

ყოველივე სატკიურისაგან თავის დახსნას სულ ბუნებაზე ამყარებდა.

იქ, სადაც ილიას მიერ ვაჟას პოემის ქება-მოწონებაზე იყო ლაპარაკი, დაგვავიწყდა აღგვენიშნა ერთი გარემოება.

პირველი საყმაწვილო სურათებიანი ეურნალი „ნობათი“ გამოდიოდა 1884 წელს ანდრია ღულაძის რედაქტორობით.

მანამდე არ ყოფილა არც ერთი საყმაწვილო ეურნალი, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ორ პატარა საყმაწვილო კრებულს, „საბავშვო ბაღს“ და „წყაროს“, რომელიც გამოიცა მხოლოდ ერთხელ რამდენიმე ცალად ანთიმოზ ჯუღელის მიერ.

ვაჟამ „ნობათის“ რედაქტორს, ანდრია ღულაძეს, მიუტანა ეურნალში დასაბეჭდად პატარა საყმაწვილო მოთხრობა „შელის ნუკრის ნაამბობი“.



გავიდა თვე, ორი, სამი და წელიწადიც, რომ ვაჟას მოთხოვნა არ გამოჩენილა „ნობათში“.

ერთხელ ანდრია ლულაძესთან რედაქციაში მივიდა იაკობ მანსვეტაშვილი — დონ-იაგო (მისი მაშინდელი ფელეტონების ფსევდონიმი) და სრულიად შემთხვევით დაწუნებულ მასალებში წააწყდა ვაჟას „შვლის ნუკრის ნაამბობს“.

რაკი პატარა იყო, წაიკითხა და ძალიან მოეწონა ეს მართლაც მშვენიერი მოთხრობა და ჰკითხა რედაქტორს:

— ანდრია, რატომ არ დაგიბეჭდია ეს ძვირფასი მასალაო!

— Оставте, пожалуйста, — უთუოდ ასე უპასუხებდა ხოლმე თვალეზაბრეწით ყველას ანდრია — რის საქნისიაო!

— შე სულელო, ამაზე უკეთესს რაღას დაბეჭდავდიო?

და მართლაც ეს ანდრიას მიერ გადაგდებული და დონ-იაგოსაგან მოწონებული ამბავი დაიბეჭდა მხოლოდ 1885 წელს „ნობათის“ მე-5 ნომერში ლუკა რაზიკაშვილის ხელის მოწერით.

თუ არა დონ-იაგო, შეიძლება ეს ბავშვებისათვის მეტად საყვარელი მოთხრობა დიდხანს დარჩენილიყო დაუბეჭდავ-გამოუქვეყნებელი.

\* \* \*

1915 წლის გაზაფხულზე უკანასკნელად ჩამოვიდა ვაჟა-ფშაველა თბილისში და აღარც დაბრუნებულა უკან თავის საყვარელ მთაში.

ვაჟამ საერთოდ წელიწადში ორჯერ იცოდა მთიდან ბარად ჩამოსვლა. ერთი ახალწლის წინა ღღეებში და მეორეც აღღგომის დასაწყისში.

მისი ამ ორ ვადაზე ჩამოსვლა ყველას ასე ჰქონდა მიღებული: „ვაჟამ უთუოდ ახალი პოემა და ლექსები ჩამოიტანაო. ეს ასეც ხდებოდა.“

ხელცარიელი არასდროს არ ჩამოვიდოდა. უთუოდ ამალი პოემით უნდა გაეზარებინა მკითხველთა საზოგადოება. ასეთი მოლოდინი თითქმის დაკანონებული იყო.

იმ ჟამად, ჩამოიტანა რამე თუ არა, აღარ მახსოვს. კი არა მგონია, ისე ჩამოსულიყო, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა თავის ჯავარზე აღარ იყო.

მუდმივმა სიღარიბემ და ხელმოკლეობამ, მართალია გვიან, მაგრამ მაინც გასტეხა ეს ბრგე, ჯან-ღონით სავსე და სულით ამაყი ადამიანი.

არც ბინა ჰქონდა რიგიანი თავის სოფელ ჩარგალში, ცხოვრობდა თითქმის ბნელსა და ნესტიან ოთახში და ამან შეუწყო ხელი მის ნელ-ნელა, შეუძინეველად დააეადებას.

ვაჟას მაგარი აგებულება ასე აღვიღად ვერ შეიმჩნევდა მის სხეულში ჩუმად, ფარულად შემავალ ავადმყოფობას — ჩუმ ციებას.

უფრო ოთახის სიბნელე იყო მიზეზი, რომ უკანასკნელად თბილისში ჩამოსვლისას შეუკვეთა ღურგალს ხის ოთხმუშიანი საშუალო ზომის ფანჯარა. „თუ მიშველის, სწორედ ეს ფანჯარა მაშველის“, იტყოდა ხოლმე ვაჟა, როცა კი ფანჯრის შესახებ ჩამოვარდებოდა ლაპარაკი.

— ავალ თუ არა, გამოვანგრევ ოთახის კედელს, ჩავსვამ შიგ ფანჯარას და ეხლა მაინც იდენს ჩემს ბინაში მზის სითბო და შუქიო.

ფანჯარა კი მართლაც გააკეთებინა და გაგზავნა ჩარგალში, მაგრამ თავად ვეღარ მიჰყვა უკან. ის სამუდამოდ გამოეთხოვა სიცოცხლეს თბილისშივე, ქართული გიმნაზიის საავადმყოფოს კედლებს შორის და სამუდამოდ დარჩა დიდუბის ქართველ მწერალთა განსასვენებელ სავანეში.

ოთახის სიბნელესთან ერთად, როგორც ვაჟას უმცროსი შვილი ვახტანგი იტყვის ხოლმე, ხშირად არც ნავთი და სანთელი ჰქონდა თურმე. მთაში ამეების მარაგი უნდა ჰქონოდა კაცს, მაგრამ ვაჟას ეს, უთუოდ, ან დაუდევრობით, ან შორი მანძილის გამოისობით მოსდიოდა.

საერთოდ კი ძალიან დაუდევარი იყო ვაჟა. თავის თავს ნაკლებ ყურადღებას აქცევდა.

ნავთისა და სანთლის უქონლობასთან დამავიწყდა აღმენიშნა ვახტანგის ნათქვამი: ხშირად დამანთებინებდა ცეცხლსო და, როცა გაძლიერდებოდა, ცეცხლის შუქსა და ალზე წერდა ხოლმეო. მეორე დღეს წამოდგებოდა ადრინანდ და მზის შუქზე ასწორებდა და უმატებდა, თუ რამ გამოჩნებოდაო.

როგორც ზემოთა ვთქვი, ვაჟა 1915 წელს ჩამოვიდა თბილისში. მიიარა, მოიარა, ნახა ნაცნობ-მეგობრები, დაიარა რედაქ-

ციება და შემდეგ წავიდა გორში თავისა შვილის ლევანის ქორწილში. ქორწილის გათავების შემდეგ ეწვია თავის ძმას-სოფლო რაზიკაშვილს სოფ. ხელთუბანში, გორის მახლობლად, სადაც თედო დიდხანს მასწავლებლობდა, გახდა ამ სოფლის საძველად და დასახლდა სამუდამოდ იქვე.

თედოზე უნდა ვთქვათ, რომ ძალიან მხნე, გამრჯე, მუყაითი და მომჭირნე კაცი იყო. შრომაში და შეძენის უნარში ის ამით ყველა ძმისაგან განირჩეოდა.

როცა თედომ მოაწყო ყველაფერი კარგად და, რომ იტყვიან, დააგუბა სარჩო-საბადებელი და აღარაფერი დააკლდებოდა მის მრავალნაირ მომარაგებას, გაშალა ხელი და, გზად ისე არაჲს გაივლიდა მის კარებთან, რომ თედოს არ შეეპატიაჲ პურ-მარილსა და სასმელზე. ძალიან გულუხვი კაცი გახდა, რომ მეტი არ შეიძლება.

აიშენა სახლ-კარი მშვენიერის ეზოთი და ბაღით, გაიჩინა საქონელი, ღორი, ფრინველი, ფუტკარი. წელიწადი ისე არ გავიდოდა, რომ რამდენიმე ათი და ასი თუმნის თაფლი, ღვინო, ხილი და არაჲსი არ გაეყადა. ამან, ცოტა კი არა, დიდი შური აღძრა იქაურ მცხოვრებლებში, როგორც შემოხიზნილ, მოსულ კაცზე. რამდენჯერმე მოჰპარეს თაფლით და ფუტკრით სავსე სკები, ვადაუჭრეს ხეხილი და კინალამ გაუკაფეს ვენახიც. მაგრამ ეს მის სიმხნევეს ვერაფერს აკლებდა და უფრო მეტად ძლიერდებოდა ქონებრივად.

რა ვიცით, იქნება ეს ბრმა შურიც იყო მიზეზი მისი დაღუპვისა, სიკვდილისა!

დებმა თუმანიშვილებმა, ხელთუბნის მკვიდრმა მცხოვრებლებმა, არ ვიცია, აჩუქეს თუ ძალიან იაფად მისცეს სოფლის ბოლოში ერთი ნაჭერი ჭაობიანი ადგილი, რომელიც იმათთვის სრულიად გადაგებული და გამოუსადეგარი იყო.

იღგა თედო მუნღამდის წყალში, უხსნიდა ვზას გასასვლელად და აშრობდა ნელ-ნელა. რამდენიმე წლის მედგარი შრომის შემდეგ, ხალხის თქმისა არ იყოს, ეს ჭაობიანი ადგილი სამოთხედ აქცია. გააშენა ზედ ვენახი და მშვენიერი ხილის ბაღი.

თედო რაზიკაშვილის ხილი განთქმული იყო მთელს გო-

რის მაზრაში. ეს მესამე სანაქებო ხეხილის პატრონი იყო ისაია ფურცელაძისა და ნიკო კეცხოველის შემდეგ.

თედოს ბაღი და ვენახი თითოთ საჩვენებელი გახდა ყველასათვის. ვგონებ საუკეთესო ხილის სანერგეც ჰქონდა, სადაც ყოველი მხრიდან მიდიოდნენ ხეხილის ნერგის შესაძენად.

ხელთუბანსა და გორში ვაჟამ თითქმის ერთ თვემდე დაჰყო. თბილისში დაბრუნებისას ცოტა უგემურად გრძნობდა თავსა და თანდათან დაიწყო ზერე-ქვერე ავადმყოფობა. სისუსტეს უჩიოდა. შეიძლება მოგზაურობაშიც გაცივდა. არ უნდოდა სჩვენებოდა ექიმებს, მაგრამ აიძულეს ნაცნობ-მეგობრებმა და გაესინჯა მკურნალებს.

კონსილიუმის შემდეგ გადაწყვიტეს ექიმებმა — დაეწინათ ვერაზე, ქართული გიმნაზიის საავადმყოფოში, სადაც უფრო მეტი ჰაერი იყო და მოვლაც კარგი ექნებოდა.

ჯერ მოათავსეს საერთო პალატაში და შემდეგ კი, როცა შეაწუხა ზაფხულის სიცხემ და უფრო მეტად დასუსტდა, გადაიყვანეს ცალკე, განსაკუთრებულ ოთახში, შენობის მეოთხე სართულზე.

მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღე მორიგეობით და ხან ერთად სინჯავდნენ და თვალყურს ადევნებდნენ ექიმები და ცდილობდნენ ვაჟას ფეხზე დაყენებას, ის მაინც უძლურდებოდა და უკან-უკან მიდიოდა.

მთის ცივ წყაროებსა და სუფთა ჰაერს მიჩვეული ადამიანი თბილისის სიცხე-ჰაპანაქებას ვერ უძლებდა და სულ ეხუთებოდა.

სულ იმას გაიძახოდა: „თქვენ თქვენი გამჩენი, გამიშვიო მთაში და ნახავთ, ერთი კვირის შემდეგ როგორი ვეფხვა ვიქნებიო, ისევ ის ვაჟა გავხდები, როგორაც ვიყავიო“.

მაგრამ ექიმები ამას არ ჰხედავდნენ საჭიროდ და შესაძლებლად, მეტადრე სპირიდონ ვირსალაძე. ჯერ წამლობა ბოლომდის მივიყვანოთ და მერე გავგზავნოთ მთაშიო.

რასაკვირველია, ეს სიკეთით მოხდიოდა და არა სიმტრით.

როცა ვაჟას უკეთესობის მაგიერ უარესობა დაეტყო, მაშინ გადაწყვიტეს — გაეგზავნათ კაცი სურამში ვაჟასთვის ოთახის დასაჭერად და გაგზავნეს კიდეც. მაგრამ კაცი რომ





ამ დღით წაეიდა სურამში და მართლაც დაიჭირა ოთახი, მეორე დღის 5 საათზე ვაჟა უკვე აღარ იყო.

ივლისის 24-ს საღამოს ხუთ საათზე ვნახე ძვირფასი მგოსანი და უსაყვარლესი ადამიანი ვაჟა-ფშაველა. ფეხაკრეფით გავიარე დაჭრილ მეომართა უშველებელი ოთახი (მაშინ საერთაშორისო ომი იყო) და ფეხაკრეფითვე შევედი ვაჟას განსაკუთრებულ ოთახში.

მარჯვენა ხელი მოჩრდილებული ჰქონდა შუბლზე, არა ჩანდა ეძინა, თუ ეთვლიმა. მოწყალების დას, კობიაშვილის ქალს, რომელიც იმ დღეს მორიგეობდა, ვსთხოვე ხელის ჩვენებით — არ გაეღვიძებინა, მაგრამ მაინც მივიდა ნელ-ნელა, დახედა მგოსანს და მომიხმო: ღვიძავსო.

თურმე ნათქვამი ჰქონოდა: ვინც მოვიდეს ჩემ სანახავად, მეძინოს თუ მეღვიძოს, არ გააბრუნოთო.

— გამარჯობა, ვაჟავ!

— აი, გაგიმარჯოს, ძმაო! — მითხრა და გამომიშვირა გამხმარი, ზედ ტყავდამდნარი მარჯვენა. — დაჯექ, მხოლოდ სარკმლისკენ არა, ნიაეი უნდა მომივიდეს და ცას უნდა ვუყურო. წელან მამადავითის მთისაკენ გამაგორეს საწოლიანად მეორე ოთახში გაღებულ ფანჯრიდან დამბერა მთაწმინდის ნიაემა. მე მგონი კოჯრის სიკეთეც უნდა იყოს შიგ. მიუშვირე გული და სულ ამას გავიძახოდი: ოჰ! შენ გენაცვალე ნიაეო-მეთქი... ვაჰ, ბეჩავ ვაჟა-ფშაველაჲ, რა დღეში ხარ! — ჩაილაპარაკა თავისთვის და სიგამხდრისაგან მიღეულ ტუჩებზე ოდნავ დამიღი შეუთამაშდა. — კაცო, ჩემი მთის პატრონს განა ნიაეი უნდა მენატრებოდეს?! ამხირებიან, ვინდა თუ არა, სურამში უნდა გაგზავნოთო, რომელი სურამი სჯობია ჩემს ჩარგალს! — სიტყვა შუბლშეჭმუხვინით და განაგრძო: — ჩემი მთის მეტი არაფერი მიშეულის, იმან უნდა მომარჩინოს. თუ იცი, როგორია სურამი?

— მშვენიერი, ვაჟავ, მშვენიერი! — ვუქე, რაც კი შეიძლება, რომ გული უფრო ჩამორჩენოდა და თან დავაყოლე: ჩვენი პედაგოგი, იაკობ გოგებაშვილი, ყოველ ზაფხულობით სულ იქ დადიოდა-მეთქი.

— ეჰ, კაცო, შენც წახვალ-წამოხვალ და სხვებზე მიმითითებ. იაკობს თავის გემოვნება ჰქონდა, ჩვენ ჩვენი გემოვნება

უნდა გვექონდეს. კაცი ისე მოკვდა, რაც წამოვიდა, თავისი სი-  
ფელი აღარ უნახავს.

— ჩალიან-ჭაობიანი იყო მისი სოფელი კარძანი და ამა-  
ტომ, ვაჟავ.

რაც თავი შეისწავლა და საკუთარის უნარით, შრომით,  
დაიწყო იაკობ გოგებაშვილმა ცხოვრება, მართლა, ვარიანს  
აღარ ასულა. ერიდებოდა ვარიანის ჭაობიან და ერთთავად ქარ-  
ან მიდამოს. ხალხური ლექსიც არის ნათქვამი: „ვარიანი, ჩა-  
ლიანი, უტყეო და ქარიანი“. ათასში ერთხელ თუ ავადოდა სო-  
ლმე გორში და იქ ნახულობდა დაბარებულ ნათესავეებს. იაკობს  
თავის ავადმყოფობას სულ ვარიანს აბრალებდა. ისე კი უყვარ-  
და თავისი პატარა, კობტა სოფელი და, თუ კი რამ შეეხებოდა  
სოფელს წერა-კითხვის გავრცელების მხრივ, სულ მუდამ ვა-  
მარებოდა ფულით თუ წიგნებ-რევეულებით.

სურამის ლაპარაკში რომ ვიყავით, ამ დროს საავადმყოფოში  
გაიხმა დაჭრილ მემომართა სიმღერა.

ვაჟა შემოფოთდა და სხვანაირად გახდა.

— ვაჟავ, თუ წუხნები, ვთხოვ და განუმდებიან-მეთქი.

— კაცო, მე მაგათი სიმღერა კი არ მაწუხებს, პირიქით, მა-  
ხარებს და მასიამოვნებს. კარგად მესმის მე მაგათი ვულის ნა-  
ღველი. მაგ სიმღერაში იკლავენ თავიანთ ჭირსა და ვარაშს. მაგ  
სიმღერით იშუშებენ ნატყვიარ ჭირილობებს. ახლა ყველას თა-  
ვისი სოფელი და ოჯახი უდგია თვალწინა, აბა როგორ შეიბ-  
ლება მაგათი განუმება! მაშ მე კაცი აღარა ვყოფილვარ, — თქვა  
გაოცებით ვაჟამ.

ჩემი წამოსვლის დროც მოვიდა, მაგრამ არ ვემეტებოდი  
ოთახში მარტოკა დამრჩომს და მთხოვდა კიდევ დავრჩენილი-  
ყავი. — ვინ ვაგცემს ხმას, ვინდა ვათენებამდისაც იყო ჩემთან.

ამ დროს შემოვიდა ერთი ნაამხანაგარი სოსო სიღამონ-  
ერისთავი მეუღლით. დაგვიანებული იყო, მაგრამ ვაჟას ხატრით  
გამოემშვათ.

ვაჟას ძალიან გაეხარდა სოსოს დანახვა. ვაახსენდა გორი  
და მასთან სამასწავლებლო ხემინარიაც, სადაც ერთად სწავ-  
ლობდნენ.

ისე გამოესალმა ვაჟა ზიცოცხლეს, რომ არავის არაფერი გაუგია. ძმა, სანდრო რაზიკაშვილი, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფში მსახურობდა, ქართული გიმნაზიიდან ორ ნაბიჯზე იდგა. იმასაც კი ვერ შეატყობინეს ძმის ვერც შეწუხება და ვერც სიკვდილის პირზე მიდგომა.

ერთი თუ ორი საათით ადრე კი სრულ გონებაზე მყოფ ვაჟას ეთქვა: „საწოლი მიაბრუნეთ და პირი მამადავითის მთისაკენ მიყავით, რომ მთას ვუცქიროთ“.

შემდეგ მოეთხოვა მწვანე ბალახი და ხის ფოთლები, გაეშლევინებინა წინ ძირს და ზედ დაწოლილიყო. ბალახსა და ფოთლებს გარშემო იბურავდა და ყნოსავდა თურმე.

ვაჟა-ფშაველას ამყისა და ძლიერ სულს სიკვდილისა არაფერი სჯეროდა, იმდენად უშიშარი და გაუტყნავი იყო.

მე ჩემი კარგად გახდომის ნიშანი მაქვსო, — იტყოდა ბოლმე ვაჟა, — როცა ჩემი ბარომეტრი თავს აიწვევს, მეც იმ წუთში წამოვდგები და მთისაკენ მოვქუსლავო.

როცა არ უნდა მივსულიყავი, მარტო თუ სხვებთან ერთად, სულ მთა ეკერა პირზე და სულ იმის ნატვრაში იყო, როდის ეღირსებოდა მის ნახვას.

სიკვდილის წინა დღით ძალიან მთხოვა, რომ დაგვეჭირა მე და სანდროს ავტომობილი ხვალისათვის და მეც ძმებთან ერთად წავსულიყავი დუშეთში. სურამში წასვლა სრულებით გადაიფაქრა.

— დუშეთში ჩემს ცოლისდასთან დავრჩები. მოვჯობინდები და იქიდან გავწევთ ჩარგლისკენ რითიმე. გზად თვალევში დაგვხვდება იასონ შანიძე. ბიჭმა იცის ძმის პატივისცემა! კაი მწვადები და ზედ კახური წითელი ღვინო კარგად მოუხდებიან ერთმანეთს. იქიდან იასონიც გაგვაცილებს. რის სურამი, რის წაღვერი! წამომყე ძმისავ, და შენ რომ ჩარგლის მთებსა ნახავ, იქაურ ჰაერს ჩაისუნთქავ და მჟავე წყალს დალევ, წამოსვლა აღარ მოგიხდებო.

მეორე დღემ, როგორცა ვთქვით, ყველა ნატვრა-სურვილები მთლად წაშალა და საბოლოოდ მისცა დაეიწყებას.

აჟადმოფობისას ხშირად იცოდა ვაჟამ: „ნეტა ისე არ მომ-

კლა, რომ ომის ბოლო არ გავიგოო. მე კი ვიცი, რაითი გარდა  
ვდებაო, მაგრამ მაინც მინდა — ჩემი თვალით ვნახო

რას ფიქრობდა და რა იცოდა, ამის შესახებ არაფერს  
ფერს ეუბნებოდა და ისე მოკვდა, რომ არც უთქვამს.

ხშირად ერთად მივდიოდით ხოლმე მე და სანდრო ვაჟის  
სანახავად. ვაჟამ, როცა ხუმრობის გუნებაზე იყო, „ინებო“  
იცოდა ხოლმე ლაპარაკი.

ერთ დღეს სანდროს უთხრა: „აღუქსანდრე პავლოვიჩი, მუც  
და შიო ილარიონიჩმა, მამადავითის ეკლესიასთან კლდეში რომ  
წყარო გამოდის, ის უნდა ჩამომიტანოთ. კლდიდან ნაეონი წყ-  
ლი მაინც სულ სხვა არის და, რომ დაღვევ, მთას თვალწინ და  
მიყენებსო“.

როგორც ზევითაც ვთქვით, სულ მთისკენ მიუწვევა გულ,  
სულ მთას ელაპარაკებოდა, ფიქრი და გონება სულ იქითკენ  
ჰქონდა. ბარად ჩამოსვლა ხილად უყვარდა.

შევასრულეთ ვაჟას თხოვნა. მეორე დღეს გამოვართვა  
მოზრდილი შტოფი ვიქტორ კერვალიშვილს წყლის ჩამოსატა-  
ნად და იქიდან კი არ წამოვიღეთ წყალი, სადაც მიგვითხო-  
ვდა, არამედ მოსკოვის ქუჩის მალლა მდებარე კლდიდან. ის უფრო  
გვიარჩიეს კერვალიშვილის გასტრონომიულ მაღაზიაში, რო-  
გორც სუფთა და უფრო გემოწმინდა წყალი.

— ა, ყოჩაღ, ბიჭებო! გიშველოთ ქიშმიშელამა! ძლივს ჩემ  
გემოს წყალი არ დაველიე! ხომ არ დაიღალენით მთაზე ასე-  
ვლით? — გვეითბა და გადაგვიხადა მადლობა.

ვაჟასთან სხვაც ბევრნი დაიარებოდნენ. ნიკო კურდღელ-  
შვილი, ვეფხვი (ვაჟამ დაარქვა) — კოლა კავკასიძე, ვანო სა-  
თაშვილი, ბერძნიშვილი, ძმები მოსე და ვიორგი ხელაშვილ-  
ბი. იოსებ გარსევანიშვილი, რაჭდენ მირიანაშვილი და კიდევ  
სხვები, ერთის სიტყვით, ყველა ის ინტელიგენტი და არაინ-  
ტელიგენტი, ვინც კი დარჩენილები იყვნენ აქ, თბილისის ს-  
ტბე-პაპანაქებაში.

ერთხელ მეჩქმე იოსებ მაწკიაშვილმა (გარსევანიშვილმა)  
პატარა კოჭობით შინ გაკეთებული ტკბილ-მყავედ შენელებუ-  
ლი შინდის შეჭამანდი მოუტანა. სიცხიან გულზე იამა და დღე  
მადლობა გადაუხადა.

ერთ დღესაც მე და სანდრო რომ მივედით სანახავად, შევ-

ვატყო ცოტა არ იყოს, გადაკერა, როგორც ვაჟა იტყოდა ხოლმე. ჯერ გაიცინა, მერე თვალი ჩაგვიკრა და გვითხრა: მოდი, თითო ჭიქა ღვინოს დაგალევიანებო, ვინ იცის, თქვე საწყლუმო, დღეს არაფრისთვის ვისუნიათო. რაკი უფროსი ძმა, გიორგი, აღარა ჰყავდათ, მე მეხუთე ძმას მეძახდნენ რაზიკაშვილები. ვაჟა არაფერში არ მერიდებოდა, მით უმეტეს, რომ მის ხელში ვიყავი აღზრდილი. „ეს ღვინო ქოსებისაგან მივიღე, ესეც — მირიანაშვილებისაგან, — მიგვითითა ბოთლებზე, — არც სუხივევი მაკლებს საუკეთესო ღვინოსო“.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პირნი ღვინით მოვაჭრენი იყვნენ და დიდ პატივს სცემდნენ ვაჟას. სულ თავ ღვინოს უგზავნიდნენ სააეადმყოფოში, რაკი ექიმებისაგან თითო-ოროლა ჭიქის დალევის ნება ჰქონდა მიცემული.

პო, შეგვატყო ვაჟამ, რომ შუათანად ვიყავით გადაკრულები, დაგვისხა და გვითხრა „თითო წვეთი თითო რამედა ღირსო“.

ვაჟა ხუმრობის გუნებაზედაც დადგებოდა ხოლმე და მოგვიყვებოდა სხვდასხვა ამბებს. ერთხელ ზაქარია ჭიჭინაძე გვეწვია ფშავში. მივატარ-მოვატარეთ, ვაჩვენეთ ყველაფერი და ერთი კვირის შემდეგ დააბირა წამოსვლა. ჩვენც ცხენით გამოვიხტუმრეთ და თან კაცი გავაყოლეით. ცხენზე ისე იჯდა ზაქარია, როგორც მეწვრიმალე ურიაო; ჩვენც ტყე და ტყე გამოვყეთ, გამოვაცილეთ და, რომ დავემშვიდობეთ, ქუდი ხის ტოტს მოუხვდა და ძირს გადმოვარდაო. თან ძაღლები მოგვდევდნენ ერთმა მათგანმა დაავლო ქუდს პირი და გადაეშვა ტყის გულში. ბევრი უძახეთ, ბევრი ულოლიეთ, მაგრამ ძაღლი ახლოს ვეღარ მოვიკარეთ, ვინ იცის, სად ჯიჯგნიდა და სად ეთამაშებოდა ქუდსა. მამაჩემი გაეხუმრა: „ზაქრო, უთუოდ კაი კაცად არ გიცნო, თორემ მაგ საქმეს არ დაგმართებდაო.“

ხევსურეთში მოგზაურობისას, — თქვა ვაჟამ, — პეტრე უმიკაშვილი საღამოთი მიადგა ერთი ხევსურის ოჯახს და თავის შეფარება სთხოვა. ფშავ-ხევსურეთში პეტრე დადიოდა ხალხური ანდაზებისა და თქმულებების შესაკრებად. რომ შეხედეს უწვერულვაშო კაცს, გაუოცდათ და უთხრეს — შენ კაცი, ადამიანი კი არა, გაპარსული ეშმაკი ხარო.

პეტრე უმიკაშვილი იყო ქართველი კათოლიკე, თბილისის პირველი გიმნაზიის მასწავლებელი. კაცი დინჯი, დარბაისელი,

ლიტერატორი და ძალიან ნელა ტკეპნით მოლაპარაკებდა. ვად წვერ-ულვაშგაპარსული დადიოდა. ეს იყო მიხეტი, რომელიც ფიქვლ ერისთავმა იოხუნჯა ერთ სუფრაზე ორთაჭალაში, სადაც ის თამადად იყო და უთხრეს, პეტრე ღვინოს არა სვამსო, „ულვაში აუწიეთ და ისე დააღვინეთ“.

დიდი ხვეწნისა და მუდარის შემდეგ შეიყვანეს პეტრე სალში, მისვეს კუნჭულში და ასე თეთრად გაათენებინეს. თავდაც ისე გაათენეს, რომ თვალი არ მოუხუჭიათო, — თქვა ვაჟამ.

\* \* \*

ვიდრე საავადმყოფოში დაწვებოდა ვაჟა, მანამდე ძმასთან, სანდროსთან იწვა და წამლობდა.

უნდა ითქვას ძმათა რაზიკაშვილებზე, რომ დიდი საყვარელი პქონდათ ერთმანეთისა და დიდ პატივსა სცემდნენ ყველანა ვაჟას; მეტადრე თედო და სანდრო.

ისევ სანდროსას იყო ვაჟა, რომ რალაცა წამლის შესაყვთად შევედით ვარლამ ახვლედიანის აფთიაქში, რეცეპტი მადლო ვარლამმა და უთხრა, რომელ საათზედაც იქნებოდა წამლი, ხოლო ფულის გამორთმევა არ მოინდომა: თქვენისთა იშვიათ ხალხს ფულს არ ვართმევთო.

— გლახობას ნუ შემაჩვევთ! როცა მაქვს ფული, წამალი მუქთად რად უნდა წავიღოო, — უთხრა ვაჟამ და ამყად გადაურიადა საშმანეთიანი. — ის უფრო საწყენი იქნება ჩემთვის, რომ ფული არ აიღოთო.

პურის ჭამაში ვაჟამ სანდახან ქილიკაობაც იცოდა. ღვარძლიანი კი არ იყო, ისე უბრალოდ, კუდმოსაწველად, გასაცანად თუ იტყოდა ქილიკ სიტყვას.

ერთ ზაფხულს თურმე მუშტაიდთან ახლოს ბად „ალაზნის ველში“ შევიდნენ საგახშმოდ: ვაჟა, ბაჩანა, მასწავლებელი თუში ვანო ბუქურაული და კიდევ სხვები.

ბაღს შუაში განიერი რუ ჩაუდიოდა. ბაჩანა, მიუხედავად თავისი სიფუხისა, ძალიან ფიცხი და მარდი კაცი იყო, ამასთან ღონიერიც. გული სულ მუღამ ერჩოდა. მოინდომა ამ რუზე გადახტომა. გადგა შორს და თქვა: ალაზანზე გადავმხტარვარ (თურმე შთაში ზოგან ისე ვიწროდ მიდის ალაზანი, რომ კაცს აღ-

ვილად შეუძლია ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადახტომა) და აქ რაღა დამემართება, რომ ვერ გადავხტეო. თქმა და გაქანება ერთი იყო, მაგრამ მეორე მხარემდე ვერ უწია და ნაპირში ჩავარდა. რასაკვირველია, გაიწუწა. შუა ვახშამზე ვაჟამ უთხრა: „ბაჩანო, გიხდება შუალამისას ალაზანში თევზის ჭერაო?!“

ხანდახან ქალაქგარეთ, ვერის ბალებს ზემოთ, ეგრეთ წოდებულ „სუხოიას“ დუქანშიაც გვიხდებოდა ხოლმე ვაჟლა. დუქანი იდგა მაღლობ, გაშლილ მინდორზე, საღამოობით სულ ერთთაუად უბერავდა გრილი ნიაფი. ეს, ვგონებ, კოჯრის წყალობით უნდა ყოფილიყო. ვაჟას ყველაზე ძალიან ეს ალაგა მოსწონდა სიგრილის გამო.

აქ ზოგჯერ კიკლია მეზურნე დაგვზვერავდა ხოლმე შორიდან და ჩამოერეოდა ჩვენს კამპანიაში თავის დამქაშ გიგოთი და მედოლით. თავისთავად, ვითომდა პატივსაცემად, ჩაბერავდა დუღუკს. რასაკვირველია, ფულს ვაძლევდით ბოლოს. თითო თალია ჩაბერვა თუ ჯილაფი მაშინ იმდენად არაფერი ღირდა და არც ჩვენ გვიჭირდებოდა საერთო ძალით მისი გასტუმრება.

ვაჟას რომ აღეძვრებოდა ხელ-ფეხის გაშლის სურვილი, განუმებულ კიკლიას გადასძახებდა: „კიკლიაო, კიკლიაო, ჯიბეს კიდევ გიკლიაო!“ და გადაუსრიალებდა ვერცხლის მანეთიანს.

კიკლიაც ჩაბერავდა ლეკურს, გულმკერდგადმოვარდნილი, ხელებგაშლილი ვაჟაც გადმოფრინდებოდა მწვანე მოღზე და უსვამდა მსუბუქად ფეხს, ვიდრე არ დაიღლებოდა და არ გადაულოცავდა სხვას. სხვაც ჩვენი თუში მასწავლებელი ვანო ბუქურაული იყო, რომელიც თავისი ანწუხურით გლეჯდა იქაურობას და ბღღვირს ადენდა მართლა მძლავრი და მოხდენილის ლეკურით მწვანე ბაღასს. სხვების ლეკური ანგარიშში არ არის ჩასაგდება.

\* \* \*

ვაჟამ დიდ სიყვარულთან ერთად დიდი სიძულვილიც იცოდა. ერთ მეგობარს, რომელსაც ვაჟას სანჩოსა თუ პანჩოს ეძახდნენ, დიდი ხნით ხმა აღარ გასცა, რადგან სხვასთან გატანებული ფული ჩაიჯიბა. ეს ამბავი დიდხანს აწუხებდა ვაჟას და ვე-

რას ვხვით ვერ ურიგდებოდა ამ, მისი თქმით, უმსგავსოვს ჩვენი ნილ ამბავს.

კაკუშა სულხანიშვილის, თუ სანდრო კავსაძის სასარგებლოდ გაიმართა ზუბალაშვილების სახალხო თეატრში პატარა მუსიკალური დილა. ეს ორივე პირი იღებდა დილაში მონაწილეობას. დილა რომ გათავდა, რამდენიმე პირი და ვაჟაც, როგორც მონაწილე (თქვა რამდენიმე ლექსი) გამოვედით ვერაზე მისა ბაზიერაშვილის დუქანში. ვაჟამ თქვა, ისეთ ალაგას წავიდეთ, რომ ჩემთვის უსიამოვნო პირმა არ მოგვაგნოსო. მაგრამ მოგვაგნო და, ეს რომ ვაჟამ შეიტყო, ჩაიყო ჯიბეში ხელი, ამიღო ფული და უთხრა სადილის მოწესრიგებს: აჰა, მივეით და სადაც უნდა, იქ ისადილოსო, ხოლო თუ მისი ჩვენს შორის ფუნა ვინდათ. მე აქ დამდგომი არა ვარო.

აბა ვაჟას რას გაუშვებდნენ, გაისტუმრეს გარედანვე ეს პირი, ფული აიღო თუ არა, ამისი აღარაფერი ვიცი.

სულაც არ გასცემდა ხმას ვაჟა ამ მოძულეებულ პირს, რომ მისი დიდი ავადმყოფობა არ გამხდარიყო მიზეზი. შეირყ მხოლოდ სიკვდილის წინა დღეებში.

რატომღაც ევლოშვილს ქვრივიშვილს ეძახდა ვაჟა. ქვების სარდაფში პურსა ვჭამდით. როცა წამოვიშალენით, ევლოშვილი ეცა ვაჟას საჭიდაოდ. ქეიფის შემდეგ იროდიონს უყურდა ხოლმე ძარღვების ათამაშება, ძაღლონის გამოჩენა.

— ქვრივიშვილო, ე მანდ თავი დამანებე, თორემ შეე მელა დაიჭერო! როგორც ხელიკს, ისე გაგასრიადებო, — უთხრა ვაჟამ და მთირიდა, მაგრამ იროდიონი მაინც არ მოეშვა და ეპკიდევ.

ევლოშვილისა და ვაჟას ღონის შედარებაც კი არ შეძლებოდა, ისეთი მძლავრი იყო ვაჟა. რაკი აღარ მოეშვა იროდიონი, ვაჟამაც უკისრულა და იმ გრძელ სარდაფში შორს პირველ გართხო.

ევლოშვილი კვლავ ეცა, მაგრამ ვაჟამ აღარ გაიმეტა.

იროდიონს ძალაუნებურად მოუხდა, მეორედ რომ შეეშალა ჩონის კალთა ჩამოახია.

იმ დამეს ერთად წავედით ჩემსას დასაძინებლად. მე და





იროდიონს ცოლ-შვილი სოფელში გვყავდა. დასაძინებლად რომ გაიხადეს, ევდოშვილს აღარ მოუთმინა გულმა და ეცა კიდევ ვაჟას.

ჩვენს ქვემო სართულში ნიკა გოცირიძე ცხოვრობდა თავის მამით. იმ ღამეს ნიკას ისე მაგრა სძინებოდა, არაფერი გაუგია მიწის ძერისა, (იმ დროს რკინიგზის დეპოში მსახურობდა). მისა მამა სიმონი კი გამოვარდნილიყო ვარეთ შეშინებული და სულ იქით-აქეთ იყურებოდა თურმე — სახლი ხომ არ დაინგრავო. ისე მაგრა დაენარცხებინა ევდოშვილი ვაჟას, რომ სახლს სულ ზანზარი დაეწყო.

მეორე დღეს ვაჟამ ახალი ჩოხა იყიდა და ევდოშვილს ასე უთხრა: „შარი ხეირად მექცა, თუ არ შენ, მე ჩოხას ვერ გამოვიცვლიდი, ვერ გავიახლებდიო. ალბათ შენც მალარიჩის იმედი გქონდა და მიტომაც მეტანებოდი ქორივითო“.

ვაჟა კარგად თამაშობდა ახალგაზრდობისას ბილიარდსაც, როგორც ტყვიას არ ააცდენდა ნიშანს, ისე ბილიარდის ძვლის ბურთს — დანიშნულ ორმოს. ვაჟა კარგ და მარჯვე მონადირედ ითვლებოდა.

ერთხელ ისა და მისი მეგობარი, დიმიტრი მღებრიშვილი, შევიდნენ საბილიარდოში სათამაშოდ.

ჯერ ბუფეტზე უნდა გაეარათ და მერე ისე უნდა შესულიყვნენ საბილიარდოში.

ვაჟას ეჭირა გათლილი კობტა და ხელმარჯვე ჯოხი, რომელიც დახლიდარს მიაბარა შესვლისას.

თამაში ვაჟას სასარგებლოდ დამთავრდა. წამგებმა და მომგებმა ერთად ივახშმეს. გამოსვლისას ვაჟამ ჯოხი მოითხოვა, მაგრამ, რაკი უბრალოდ ეცვა, დახლიდარმა გაუტრიზავა: „რისი ჯოხი, რა ჯოხი, ვის დაჰკარგვიხარო!“

როგორც ჩანდა, დახლიდარს ჯოხი მოსწონებოდა. რამდენიმე გაფრთხილების შემდეგ, მოთმინებიდან გამოსულმა ვაჟამ, რომ ჩაავლო ხელი საყელოში, ისე ღონივრად გადმოიქნია შიგნით მღვომი დახლიდარი, რომ მთელი ბუფეტი თან წამოაღებინა და ზედ იატაკზე გაშალა.

ჯოხი მალე გამოჩნდა და ვაჟამ „კნიაზის“ სახელიც კი დაიმსახურა, მაგრამ არ შეიფერა.

— რა გრჯიდა, ცხვარივით კაცი რაზე გამაცეცხლეო და

შენსა და შენი ბუფეტის ცოდოში რად ჩამაყენო. უკერძო  
უნდა გაგესინჯა და მერე ისე უნდა ჩაგეყლაპათ.  
ვაჟა მომთმენი და აუჩქარებელი კაცი იყო. ძნელად მოუ-  
დოდა გული. ეს მძლავრი და ღონიერი ხალხის თვისება ყო-  
ფილა.

ვაჟა ახალგაზრდობაში და შემდეგაც, სანამ ციმბირის ვანი-  
თვალს გაუფუჭებდა, მშვენიერი შეხედულების ვაჟაკი იყო.  
მისი ჩასხმული, განიერი მხარ-ბეჭი და წინ წამოდგმული გულ-  
მკერდი მართლაც რომ ამშვენიებდა ვაჟას.

წერა-კითხვის საზოგადოებიდან სახლში, ბინაზე, მიმავლ  
ვაჟას თავისი გახუნებული ნაბდით მოუხდა კონკაში ჩაჯდობა.  
მაშინ ტრამვაის ხსენებაც კი არსად იყო.

ერთ-ერთ შესაჩერებელ ადგილზე ვილაც კოპწია ქალი ვა-  
ჩერებუდიყო კონკაში ჩასაჯდომად, ალაგი არც ერთ სკამზე  
არ იყო.

რაკი ახალგაზრდა კონდუქტორსაც თვალი შეუთამამდა,  
ლამაზი ქალის დანახვაზე, არც აცია, არც აცხელა და რუსულად  
უბრძანა ვაჟას ჩამოსვლა.

ვაჟამ, ვითომ ვერც კი გაიგონა, ყურადღება არ მიაქცია.  
მეორედ კიდევ რომ გაუმეორა და მესამედ შეტყვევით უთხრა:  
„ну сойди с лаван“, ვაჟამაც არც აცია, არც აცხელა და თე-  
ხედ კონდუქტორს ისეთი უთავაზა ხელუკუღმა ყბაში, რომ კონ-  
დუქტორი მოწყვეტით გაიშალა მიწაზე თავის ბილეთებ-ჩანთა-  
ანად.

როცა მოვიდა წესრიგის დამცველი და მოისმინა ვაჟას და-  
ლაგებული რუსულით ახსნა-განმარტება, ეს ამოღენა კონკაში  
მსხდომი ხალხი გაკვირდა ასე უბრალო ტანისამოსიანი კაცის  
პასუხით და ყველამ უმოწმა კონდუქტორი ტყუოდაო.

ვაჟას არ უყვარდა ბევრი და მეტი ლაპარაკი. მსჯელობდა  
მოკლედ და მარტივად. არ შესდგამდა თავის ქება და გაზვიად-  
დება. ცხვირი არასდროს არ აუწევია და არ გაბერილა. ვაჟა  
სულ უბრალო კაცი იყო, მხოლოდ თუ ვინმე ცუდად და უზე-  
შად მოექცეოდა და მოუნდომებდა დამცირებას, სამაგიეროს გა-  
დახდას შორისთვის არ გადასდებდა. მაშინვე გამოსცემდა პა-  
სუხს, როგორც შეეფერებოდა და ეკადრებოდა.

ზნეობრივადაც ფაქიზი იყო ვაჟა. მეგობრობა ძლიერა სწა-



მლა და, ვის ოჯახშიაც კი შევიდოდა, იქ თავის დღეში ჰუჭყი-  
ან გულს არ შეიტანდა.

ღვინოს სვამდა ვაჟა ზომიერად, ხანდახან მეტსაც, მაგრამ  
ვაჟას უწესო ქცევა თბილისში არავის უნახავს.

არაყს ათი-თორმეტი წლით აღრე დაანება თავი, ვიდრე ავ-  
ად გახდებოდა. რაკი მთაში ღვინო არ იშოვებოდა, არაყს სვა-  
მდა ხოლმე მანამდე.

თამადად არასდროს არ დგებოდა — ჩემი საქმე არ არისო,  
ღალიეთ და დამალეუინეთო.

ნაღვინევი იშვიათად წერდა, მუდამ ფხიზელს უყვარდა კა-  
ლმით მუშაობა. მთერალი ორ სიტყვას ვერ დავწერო, — იტყო-  
და ხოლმე.

ღვინოს სვამდა უეჭველად წითელს, იშვიათად — თეთრს.

ეწეოდა პაპიროსსაც, მხოლოდ არა გაკეთებულს. თავის ხე-  
ლით უყვარდა ქისიდან თუთუნის შეხვევა. რა ვიცა მანქანით  
გაკეთებულ პაპიროსში რა ყრიაო? იმას რა სჯობია, ჩემი მო-  
საწევი ჩემივე თვალით ვნახო და მერე გავაკეთოო.

ბოლოს პაპიროსზედაც ხელი აიღო — ვატყობ გულზე მწყე-  
ნსო.

ვაჟა სიტყვის ბატონიც იყო და პატრონიც. ლაყაფი სიტყ-  
ვა ეჯავრებოდა, რასაც იტყოდა, შეასრულებდა.

ჭამაში ნაზი იყო. არ უყვარდა ხარბად პურის ჭამა. თითქ-  
მის წიწკნიდა ყველაფერს. ყველაზე ძალიან უყვარდა ლოქო  
და წითელი ხიზილალა. ორაგულის ჭამა მთაშიაც მომწყინ-  
დაო, — იტყოდა ხოლმე.

ერთ დღეს ვაჟასთან რომ შევედით მე და სანდრო, იქ დაგვ-  
ხედა ჩვენი ახალგაზრდა მგოსანი სანდრო შანშიაშვილი (იმ  
დროს რედაქტორი იყო გაზ. „საქართველო“-ში), თან მოეყვან-  
ა მხატვარი ვლ. სიღამონ-ერისთავი და ვაჟას პორტრეტს ახა-  
ტვინებდა. შემდეგ ეს პორტრეტი კიდევაც დაიბეჭდა გაზეთის  
დამატებაში.

ვაჟა შანშიაშვილს ნაყოფიერ მწერლად თვლიდა და უყვარ-  
და კიდევ. დამჯდარი და დამთავრებული პოეტი თითქმის ახა-  
ლგაზრდა მწერალს გამოცდას აჭერინებსო. მუდამ კამათი ჰქო-  
ნდათ უცხოეთის მწერლებზე.

იმ დროს დიდ მოღაში იყო ნიცშე თავისი „ზეკაცით“ და

ვაჟა ეუბნებოდა შანშიაშვილს: „ხერხემალგამოფიტული როპელი ფილოსოფოსი, შენი ნიცშე, ჩვეულებრივი ნაცისტური ქექიაა. აზვიადებს ყვლაფერს, რაც თვითონ არ მოეპოვება“.

ახალგაზრდა მწერლებში სანდრო შანშიაშვილს უფრო დიდ ყურადღებას აქცევდა და ამიტომაც იყო, რომ, როცა ვაჟა თბილისში ჩამოვიდოდა, ევდოშვილთან ერთად მოიკითხავდა ხოლმე სანდროსაც. გვეტყოდა — მომიყვანეთ ჩემი მეორე ქიზიყული პოეტი-გარდანიქეშანიო.

არც სხვა მწერლები ჰყავდა ყურადღებასამოკლებული, როგორც იყვნენ ნ. ჩხიკვაძე, ი. გრიშაშვილი, გ. ლეონიძე, ს. ფაშაღლიშვილი და სხვები. ყველას ყურადღებას აქცევდა და თითქმის ყველა ახალგაზრდა პოეტის თითო მართლა მოსაწონი ლექსი იცოდა ზეპირად ხსოვნა და მესხიერება დიდი ჰქონდა ვაჟას.

გრიშაშვილზე იტყოდა ხოლმე ვაჟა: „მაგ ბიჭში დიდი ნაჭი და ცეცხლიაო, მაგრამ ჯერ საკმარისი ცოდნა არა აქვს და არც საბოლოო გზა აქვს ამორჩეულიო. გზას რომ გაიკვლევს, მერტ თავად იცის, ბიჭმაო!“

როგორც ზემოთაცა ეთქვი, ვაჟას აქ ყოფნის დროს თითქმის სულ ჩვენთან იყო ხოლმე სანდრო შანშიაშვილი.

ერთხელ სუფარზე შანშიაშვილმა ვაჟას მოაგონა ის ამბავი, როცა მწერალმა მელიტონ გობეჩიამ „სახალხო ფურცელში“ დასაბუჭდად მოტანილი ლექსი დაუწუნა და არ დაუბეჭდა — „რითმები არ გივარგაო“, ვაჟას ამ ამბის გახსენება სიცილადაც არ ეყო.

მეორე თუ მესამე დღეს შანშიაშვილმა ვაჟას წაუკითხა გამართული აკროსტიხი, სადაც გამოდიოდა: „გობეჩია — კამეჩია“. თურმე ეს ლექსი გობეჩიას ძალიან მოსწონებოდა და სტამბაშიაც გაუგზავნია „სახალხო ფურცელში“ დასაბუჭდად. მაგრამ ვაჟამ არ ურჩია ასეთი რედაქციით ლექსის გაშვება. შანშიაშვილმა შეასრულა და ლექსი იმ სახით აღარ დაბეჭდილა, შეცვალა.

\* \* \*

სწორედ სიკვდილის წინა დღით, როცა საავადმყოფოდან გამოვდიოდით მე და სანდრო და ვემშვიდობებოდით ვაჟას (თურმე ეს გამომშვიდობება უკანასკნელი იყო), დაგვავალა — მეორე დღისათვის მიგვეტანა ყარფუზი — საზამთრო,

— თუ ბიჭები ხართ, კარგი აარჩიეთ, ბედასლი რამე არ წა-  
მოიღოთო. მინდა იმითი მაინც გავისველო ამომშრალი ხახა,  
გავიგრილო გული, აჰა, დაიჭით ფული, ვიცი თქვენს ყელში  
არაფერი ჩაივლისო, — ჩაიცანა თავისებურად უღვაშებში და  
წაიღო ბალიშისაკენ ხელი.

ვაჟას მუქთახორობა არ უყვარდა.

მეორე დღეს სანდრო, ფოსტაში სამსახურის გამო, კარგა  
ხანს დაგვიანდა. ამიტომ ნაგვიანევიად მოგვიხდა ვაჟასთან წასვ-  
ლა. საზამთრო ვიყიდეთ ერთად. მე წავედი წინ ნელ-ნელა,  
სანდრომ კი ოჯახში აირბინა, მლეთის ქუჩაზე, მიხა რაზიკა-  
შვილისაგან გორიდან გამოგზავნილი და აქ ჩახოხბილი ნანა-  
დირევი მწყრების წამოსადებად. მწყრები ამ დილით ჩამოეტა-  
ნათ განსაკუთრებით ვაჟას სასიამოვნოდ. მიხა რაზიკაშვილს  
ძალიან უყვარდა თავისი დედის ძმა — ბიძია ვაჟა.

სანდრო რომ მოვიდა, მე დღევანდელი უნივერსიტეტის  
ეზოში დაუხვდელი და გულმა აღარ გამწია ვაჟასთან ასასვლე-  
ლად.

— მოდი, მე ნულარ ამიყვან, ცუდად ვარ-მეთქი, — ვუთხარი  
სანდროს.

სანდროს ეზოს გარეთ, დასავლეთის მხრივ მინდორზე დიდ-  
ხანს ვუცადე. იქ უნდა მოსულიყო, მაგრამ ეს კაცი აღარ გამო-  
ჩნდა, ვიფიქრე, უთუოდ ვაჟამ შეაგვიანა და აღარ გამოუშვა-  
მეთქი.

სანდრო რომ ავიდა და აიტანა საზამთრო და ჩახოხბილი  
მწყრები, ვაჟა მკვდარი დახვედროდა და ტყვიანაკრავივით გა-  
მოვარდნილიყო და გაქცეულიყო შინისაკენ, მე აღარ გავხსენე-  
ბოდი.

როგორც ზემოთა ვთქვი, ვაჟა ისე მოკვდა, რომ ვერც ძმამ,  
ვერც რძალმა და ვერც მეგობრებმა ვერაფერი გაიგეს.

წინა დღით სრულს გონებაზე მყოფ და მოაზროვნე-მოლა-  
პარაკე კაცს, ვინ მოიფიქრებდა რომ ცოცხალს ვეღარ ვნახავ-  
დით.

ზემოთ დამავიწყდა ვაჟას უმცროსი, ნაბოლარა შვილის ვა-  
ხტანგის შესახებ მეთქვა რამე, რაც ვაჟას სულ მუდამ აწუხე-  
ბდა და ადარებდა.

ჯერ ისევ კარგად მყოფი სულ იმას იხვეწებოდა, ჩემი ჭონ-

ქარა. (ასე ეძახდა პატარა ვახტანგს) ძაან ბიჭია, ნაჭიერა ღია ღლია და რა ვიცი, კაცის თავს ყველაფერი მოსალოდნელი უსწავლელს ნუ დამიტოვებთო.

## იოსებ მჭედლიშვილი

1908 წელს თბილისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მოწაფეებმა, დიდი წვალების შემდეგ, მივიღეთ ნებართვა ჟურნალ „მოწაფის“ გამოცემისა. პირველი ნომერი აკაკისავე იუბილეს მიეძღვნა.

დიდი მამულიშვილის იუბილეზე მისალოცად გამოვიტყვემწერლები, სხვადასხვა დაწესებულების, ჯგუფების, პარტიების წარმომადგენლები და სხვ.

ბოლოს სცენაზე უეცრად ქორბუდა ირემივით შემოიჭრა ვაჟა. აკაკისთან მივიდა. ქუდი მაშინვე მოიხადა.

ვაჟას გამოჩენამ ხალხში მგრგვინავი და მქუხარე ტაში დააყენა. დიდხანს გაგრძელდა ეს ტაში და, როდესაც ხალხი სულ გაჩუმდა და გაინაბა, ვაჟამ წაიკითხა ლექსი, რომელიც საყოველთაოდ ცნობილია.

მე პირველად ვნახე აქ ვაჟა და ის იმავე ბუმბერაზად დარჩა აქამდე ჩემს ხსოვნაში, როგორც მაშინ მეჩვენა.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო. ის ნაბდით შემოვიდა „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში. გამეხარდა. შემთხვევა მომეცა ახლო გავცნობოდი. მიეუახლოვდი და ვუთხარი:

— თქვენი გაცნობა და თქვენთან საუბარი მენატრება-მეთქი.

— შენ გენაცვალე! — წამოიძახა მან და შემდეგ მკითხა: ვინ ხარ შენაო.

ჩემი გვარი ვუთხარი.

— ჰო, წამიკითხია შენი ლექსები. ახლად შებუმბულა ხარ, ნუ გეშინიან, მარჯვედ მოიქნე კალამი! — მითხრა მან.

შემდეგ, ბაასში ასე დაახასიათა მწერლის ბედი: ხანდახან გაზაფხულზე მოსავალს კაი პირი უჩანს, მაგრამ შემდეგ უეცრად გაფუჭდება ხოლმე. ზოგი მწერალიც კარგა იწყებს, მაგრამ



რამ ცუდად ამთავრებს ან სულ იკარგებაო. არიან მწერლები, რომელთაც ადრინდელი სიჭაბუკის ლექსები კარგი აქვთ, მაგრამ შემდეგ წინ ფეხი ვეღარ წადგეს, ხოლო ზოგიერთ დად მწერალს ბავშვობის ლექსები ისე სუსტი აქვს, რომ მათზე დადნდობით მომავალს ვერ იწინასწარმეტყველებო. ამიტომაც, — მითხრა ვაჟამ, — განაგრძე წერა გაბედულად, იმედიანად და თავადვე გამოერკვევიო.

ისეთი ტკბილი მამა-შვილური ბაასი გვქონდა და ისე დავუმეგობრდი ამ ერთი შეხვედრით ვაჟას, რომ სახლშიც კი დავპატიჟე, მაგრამ უარი მითხრა.

### ალექსანდრე ნათაძე

თოვლიანი დღე იყო. ჩვენ ყველანი სემინარიის ეზოში გაეშალენით და გუნდაობასა ვთამაშობდით. ორ რაზმად ვიყავით გაყოფილი, ერთ რაზმს ბელადობდა ვაჟა-ფშაველა, მეორეს კი ნიკო ხუციშვილი (სემინარიაში ყველაზე უფროსი და ნიჭიერი ახალგაზრდა). ბრძოლა მეტისმეტად სასტიკი გამოდგა. ბევრმა ჩვენგანმა ვერ გაუძლო ამ ბრძოლის სისასტიკეს და ხელ-ფეხ დამშრალთ, დაოსებულთ, გაწუნულთ, მყუდრო ადგილი მოგვაძებნინა. ბრძოლის ველზე ორი ბელადიღა დარჩა: ნიკო ხუციშვილი და ვაჟა-ფშაველა. ისინი არ ეშვებოდნენ ერთმანეთს და საქმე ისეთს ხასიათს იღებდა, რომ ცუდად უნდა გათავებულყო, თვით ღირექტორი რომ არ ჩარეულიყო და არ გაეშველებინა ეს ორი მოძმე ვეფხი.

პირველ ხანებში სემიონოვი ზევიდან დაგვყურებდა და ბევრსაც იცინოდა, მაგრამ რა შენიშნა, რომ ბრძოლამ სახიფათო მიმართულება მიიღო, თავისი რიხიანი ხმით უბრძანა მოშორებოდნენ ერთმანეთს. განშორდნენ ესენიც ერთიმეორეს, ანთებული თვალებით გადაჰხედს ერთმანეთს და მუქარით აქა-იქ წავიდნენ.

შევედით ოთახში, ბრძოლის შემდეგ ძვლები გავითბეთ. ჩვენი ღრიანცელი და სიცილ-ხარხარი ზეცასა სწვდებოდა. ლადო აღნიშნული (საზოგადო მოღვაწე) ფეჩთან მიკრუნჩხულიყო და

რადსაც წერდა. ჩვენმა სიცილ-ხარხარმა გამოარკვია თვისებური ირონიით გადმოგებახა: „კარგი, ე, ვერისოფისა გეყოფათ სულელური ფართი-ფურთი. ახლა ერთი კარგი ასრ დაძებადა და მინდა ეს აზრი გაგიზიაროთ“. ამ ხმაზე ქართულები (უმეტესობას შევადგენდით) წინ წავდექით და ღაღიწრე შემოვაველეთ.

აღნიაშვილმა განგვიმარტა თავისი განზრახვა, ქართულ ენაზე ხელნაწერი ჟურნალის დაარსების შესახებ. აზრი მთლიან მოეწონა. მეორე ოთახში შევედით სათათბიროდ. დაეწყო სჯა და ბაასი. ძალინა ცხარე სჯა-ბაასის შემდეგ ასე მოეწყო საქმე: რედაქტორად მე ამომირჩიეს, აღმინისტრატორად და გამომცემად ლადო აღნიაშვილი. მესტამბედ (გადამწერად) ჩვენი ნიჭიერი პოეტი ბაჩანა (მეტად კარგი წერა იცოდა და სამი წინეთი დავუნიშნეთ თვეში). თანამდებობა ასე გაუანაწილეთ: ბუნდა მეწერა შინაური მიმოხილვა და პედაგოგიური სტატეჯა, აღნიაშვილმა კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ითავა, ვაჟა-ფშაველამ — პოეზია, ჩვენმა ნიჭიერმა ბელეტრისტმა თეოფ. ზუსკვაძემ — ბელეტრისტკა, მათიკაშვილმა — პოლიტიკა და სხვ. თქვენ ვერ წარმოიდგენთ ამ ხანებში მე რაც დამემართა: ტიტული რედაქტორობისა რომ მივიღე, გავყოფიდი, კვებულ მიზვერვივით ხტუნვა დაეწყო, ცა ქუდად აღარ მიმანდა და დღამიწა ქალამნადა; ყველას მალლიდან დაუწყო ცქერა. ეს ჩემი ცვლილება ამხანაგებმა შენიშნეს, დაცინვა დამიწყეს, ვაჟა-ფშაველამ სახელი რედაქტორობისა გამომიცვალა და მის მაგიერად „რექტორი“ დამიძახა. მეწყინა, მაგრამ რას ვიზამდი, გაერმდი, ყოყონა ენა საკლიტულში ჩავაბი და ისევ ისე ჩემი სიღიწრე დავიბრუნე.

ჩვენი განზრახვა არისტო ქუთათელაძეს (ქართულ ენას ასწავლიდა) და დირექტორ სემიონოვს გავუზიარეთ. ქუთათელაძეს ისე გაუხარდა ეს ამბავი, რომ იმწამსვე თუმნიანი ამოგვია ყაჭა. სემიონოვმა კი ამ სიტყვებით მოგვმართა: „იმუშავეთ იმუშავეთ ჩემო გვრიტებო, თქვენი ქვეყანა გაგებულ მუშაობას მოელის და შრომას შეუჩვეველი, მოუმზადებელი მუშა ვერაფერს გაუკეთებს თქვენს სათაყვანებელ სამშობლოს. მე ცენა ზორს არ გინიშნავთ, როგორც ამ შემთხვევაში სხვა სკოლებში იციან ხოლმე, ჩემი თქვენდამი სიყვარული და თქვენი სიყვარუ-



ლიც ჩემდამი — თავდება მისი, რომ ბოროტად არ მოიხმარო ჩემს ნდობასაო“.

ამ სიტყვებზედ ვაშა, ვაშა: — დაეძახეთ ჩვენს ძვირფას ხელმძღვანელს.

აღნიაშვილმა ბლომად ფული მოაგროვა ამ საქმისთვის, თვით სემიონოვმა ხუთი მანეთი შემოგვწირა. პირველი ნომერი თებერვლის პირველში გამოვიდა. კარგად მახსოვს ამ №-ის შინაარსი: „რიურაჟი“ № 1, მეცნიერული და პოლიტიკური ჟურნალი, სარჩევი: 1) შინაური საქმეები — ალექ. ნათაძისა, 2) პოლიტიკური მიმოხილვა — მათიკაშვილისა, 3) „ბუნების კარი“ — კრიტიკა ლადო აღნიაშვილისა, 4) „ყარსის ბოლოს“ — პოემა ვაჟა-ფშაველასი, 5) მელოდია — ლექსი — მისივე, 6) პედაგოგიური წერილები — თეოფ. ხუსკივაძისა, 7), ფიზიოლოგიური წერილები — დავ. კარიჭაშვილისა და სხვ.

სულ ათი ეგზემპლარი გადაგვიწერა ჩვენმა მოამაგე ბაჩანამ. ეს №№-ბი ასე გავანაწილეთ: სამი ცალი გორისათვის დავტოვეთ, ერთი ცალი „დროების“ რედაქციას გავუგზავნეთ (მაშინ რედაქტორად სერგეი მესხი იყო), ერთი ცალი ილია ჭავჭავაძეს. ერთი კიდევ საოსტატო ინსტიტუტს (ქართველობა ბევრი იყო მაშინ).

ამ ხანებში კერესელიძესთან ქ. გორში ანტ. ფურცელაძე იყო ჩამომხტარი. ამას გულმოდგინედ წაეკითხა ეს ხელნაწერი და ისე მოსწონებოდა (მეტადრე ვაჟას პოემა), რომ მთინდომა ჩვენთან გაცნობა. წაგვიყვანეს და წარგვადგინეს ანტონს ეს ახლად გამომცხვარი „ჟურნალისტები“. სოფრ. შვალთბლი-შვილიც აქ იყო. ვახშამზედაც მიგვიპატიჟეს და ბევრი კარგი სიტყვებიც გავგაგონეს.

სოფრომი და ანტონი თავის აღტაცებულ თვალებს არ აშორებდნენ ვაჟა-ფშაველას, ამ ჩაკირკიტებულ, ამაყსა და მრისხანე მთის არწივს. თვითონ ამას წააკითხეს თავისი ნაწარმოები და ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ჩვენს აღტაცებას საზღვარი არა ჰქონდა: ყველას სასიხარულო ცრემლი მოგვადგა. ჩვენმა მწერლებმა სოფრომმა და ანტონმა მიიკრეს იგი გულზე, ეს ჩვენი ქვეყნის დიდება. ეს ცოტაა. კიდევ სერ. მესხს ისე მოსწონებოდა ვაჟა-ფშაველას ლექსები, რომ ორი

მათგანი (ალარ მახსოვს რომელი) დაბეჭდა კიდეც და ჩემი ძმის იასონ ნათაძის პირით (თანამშრომლობდა) ებაში“) დიდა აღტაცება და თანაგრძნობა შემოგვიტოვალა.

## 6060 ნაკაშიძე

თამამად შეიძლება ითქვას, რომ თუმცა ვაჟა არ იყო განსაკუთრებით საბავშვო მწერალი, როგორც იყო შიო მღვიმელი, მაგრამ ქართველ ბავშვებს რომ არ ჰქონოდათ ვაჟას საუცხოო მშვენიერი ქართული ენით დაწერილი მოთხრობები: „შელის ნუკრის ნაამბობი“, „სათაგურა“, „ბუნების მგსონები“, „ჩხიეთა ქორწილი“, „გასამართლებული ჩიბუხი“ და სხვა მრავალი, ასევე მისი საბავშვო ლექსები, არ ვიცო, რით შეაესებდნენ ამ დანაკლისს. ვაჟა, რომელიც ღარწმუნებული იყო თავის დღე ნიჭში და მოჰქონდა კიდეც ამით თავი. იტყოდა ხოლმე: „მე თვითონ დიდმა ილია ჭავჭავაძემ მაკურთხა მწერლობაში და განა ასე უნდა ვცოდვარობდე ცხოვრებაში?“ მაგრამ ამავე დროს ის იყო უბრალო, თავმდაბალი და ცნობისმოყვარე ადამიანი.

აი, როგორ გავიცანი მე ვაჟა-ფშაველა.

თქორავს. ცა მოდრუბლულია. გოლოვინის პროსპექტზე ხალხი უხალისოდ მიდი-მოდის კალოშებითა და ქოლგებით. მიუღივარ ლორის-მელიქოვის ქუჩისაკენ, ფოსტაში. მივალწაე გოლოვინის პროსპექტზე ვაჟთა პირველი გიმნაზიის მაღალ კედელს, რომელიც ახლანდელი მაღაზიების ადგილას იყო ამოყვანილი. პროსპექტზე ჩემს წინ მიდის კაცი. ვუიქრობ, ვინ არის ეს ძველნაბდიანი კაცი, რომელსაც წუღები აცვია და თეთრი შალის წინდები მოუჩანს, თავზე ბოხოხი ახურავს და მხრებზე აქლემის ყელისფერი ყაბალახი აქვს გადმოვადებული. ყველა ჩემი ნაცნობი მგონია, რომელიც შორიდან, მე მიცინის, თურმე მე ვერც კი მაშინვეს, უცინის ჩემ წინ მიმავალ ძველნაბდიან და სალაშსაც იმას აძლევს. ძველნაბდიანი კი მიდის ნელა, აუქარებლად და თვითონაც ყველას საღმით პასუხობს.

მე გადავდივარ ქაშვეთის ქუჩისაკენ. ვხედავ: ნაბდიანი ახ-

ლაც ჩემ წინ მიდის. ცხენის ტრამვაის წყარა-წყური გააქვს, ცოტა ხნით გვაჩერებს ორივეს. ტრამვაიდან ნაბდიანს მხაარულად, სიცილით უკრავენ თავს ვასო აბაშიძე და კოტე ყიფიანი, ორი ჩვენი დიდი არტიისტი. ვფიქრობ: „ნეტა ვინ უნდა იყოს ეს კაცი“... გაიარა ტრამვაის ვაგონმა და წვენ ისევ ისე განვაგრძეთ გზა. წინ ნაბდიანი კაცი, — უკან — მე, და ვხედავ: ქაშვეთის ქუჩიდან ამოდის ჩემი კარგი ნაცნობი, არისტო ქუთათელაძე. სახე გაუბრწყინდა არისტოს. ოპ, რასაკვირველია, რომ მე დამინახა და ახლა შემომძახებს, როგორც ყოველთვის, „გაუმარჯოს ნინოს“ და მომცემს სალამს. მეც ვემზადები საპასუხო სალმისათვის, მაგრამ ცხადად მესმის:

— ვაჟას გაუმარჯოს, ჩვენს ძვირფას ვაჟას, როდის ჩამობრძანდი? ჩამოიტანე ახალი პოემები და ლექსები?

— ჩამოვიტანე ჩემო არისტო, მაგრამ...

არისტო, რასაკვირველია, მე სრულიადაც ვერ მაშინვეს, მაგრამ მე ვაჟა-ფშაველას ვხედავ, მის ღია თაფლისფერ თვალებს, ღია წაბლისფერ უღვაშებს და მის შეუდარებელ, ბავშვურ, ალერსიან ღიმილს...

მე მახარებს ნახვა ვაჟასი, სახელგანთქმული პოეტის. თუმცა იმის ნაწერების შესახებ მსჯელობას ჯერჯერობით ვერ ვხედავ: ჩემი გურული სმენა არაა შეჩვეული მისი რითმების ბგერებს. ჩემ გულს ვერ შეუთვისებია მისი გმირების ჩვევანი, მაგრამ მთავარი ისაა, რომ მას დიდად აფასებენ ადამიანები, რომელთა გემოვნებასაც ვენდობი, ვუჯერებ და ვცდილობ მეც გავიგო „ბუმბერაზი და დიდებული მთების ჩურჩული“, შვეითვისო სიდიადე ვაჟას პოეტური სახეების და შედარებებისა — „ხევსურთ რომ ზვავმა მთისამა წინ წაიმძღვარეს ქარია“.

მუდამ სიამოვნებით ვიგონებ წვიმიან შემოდგომის დილას, 1895 წელს, როდესაც ვაჟა ვნახე და მისი სახე სამუდამოდ დამამახსოვრდა ისეთი, როგორაც იყო მაშინ, რომელსაც ვერც ერთი მისი სურათი, ვერც ფოტოგრაფიული და ვერც საუკეთესო მხატვრების დახატული, ვერ შეედრება.

• • •

1905 წ. საზღვარგარეთიდან ჩამოვიდა ავადმყოფი მწერალი არჩილ ჯორჯაძე. არჩილი ეძალეზოდა მეფის ადმინისტრაციას

და ამხანაგებმა გადაწყვიტეს ჩვენთან მოეყვანათ იყო: ჩვენ ვ-  
შინ დიდუბეში, საგურამოს ქუჩაზე, ეცხოვრობდით. მასთან  
ხი მიუუჩინეთ ავადმყოფს და არავის არ უშეუბნებოდა მასთან  
გარდა ძალიან ახლო ამხანაგებისა და მეგობრებისა.

და, აი, ერთ დღეს, — ეს იყო გაზაფხულზე, — ჩვენთან მოუ-  
და ვაჟა-ფშაველა. თვალი აღარ ჰქონდა შეხვეული, მაგრამ გე-  
რემლებოდა კი. რუხი ფერის ჩოხა ეცვა და მაღალყელიანი წა-  
ღები.

მე ძალიან გამაკვირვა და გამახარა მისმა მოსვლამ. მასალ-  
მების შემდეგ მკითხა:

— ილიკო არ არის შინ?

— არ არის, — ვუბახუხე მე.

— მასთან ერთი ძალიან საჭირო საქმე მქონდა, სწორედ  
ამიტომ შეგაწუხეთ.

— რა საქმე იყო, ბატონო ვაჟა, იქნებ, მე შეეძლო მაგე-  
რობის გაწევა.

ვაჟამ გაიღიმა.

— ეს მართალია, — თქვა მან, — რომ ხშირად დიაცები წვე-  
დნენ ხოლმე საჭიროების დროს. მაგალითად, ომიანობის დროს,  
ვაჟაკების მაგივრობას, მაგრამ ცოტა ხანს დაუუღლი ილიკოს  
და თუ არ მოვა...

ეს დიაცის შედარება მეხამუშა და მეწყინა კიდევაც, მაგრამ  
ისე სერიოზულად თქვა, რომ მაშინვე მივხვდი: ჩემი შურაღბ-  
ყოფა არ უნდოდა. დავჩუმდი, თვითონაც ჩუმად აჯდა კარზე  
ხანს.

ბოლოს მითხრა ღიმილით:

— ილიკო არ ჩანს და, რა გაეწყობა, უნდა გასწიოთ მისი  
მაგივრობა.

— ბრძანეთ.

— არჩილის ნახვა მინდა, — თქვა მოკლედ.

მე გაეშრი მოულოდნელობისაგან. როგორ? საიდან გაავო?

— არჩილის? — წარმოვთქვი მე და, ალბათ, შიშა გამოძეხა-  
ტა სახეზე.

— დიახ, არჩილის. ნუ გეშინიათ, ვიორგიმ (ლასხაშვილმა)  
მითხრა მისი ჩამოსვლის ამბავი, ისიც მითხრა, ილიკოს შუქ-  
ლია განვენოსო, მაგრამ თუ არ გინდათ, ნუ მეტყვით.



— ცოტა დაიცადეთ, — ვუთხარი და არჩილის ოთახში შევედგინე.

არჩილს ახველებდა. ლამაზი, სანთელივით ჩამომდნარი სახე შეწითლებოდა. გული მწარედ შემეკუმშა მის დანახვაზე.

— არჩილ, ვაჟა-ფშაველა მოვიდა შენს სანახავად... გაუგია შენი ჩამოსვლა... გიორგის უთქვამს...

— ვაჟა-ფშაველა? — შესძახა მან და მისმა ჩაცვინულმა, შავმა თვალებმა სიხარულით გაიელვეს ხშირ, გრძელ წამწამებში; წამოიწია კიდევაც ლოგინიდან, — მობრძანდეს, — თქვა მან სიხარულით, მაგრამ ხველამ უმატა. დაუფაცურდით, რძე მივაწოდეთ, ცოტათი დაწყნარდა.

— აბა მოვიყვან!

— დიახ, დიახ, მოიყვანე, მაგრამ, ელენე, — მიმართა მან ელენე ჯორჯაძეს, თავის ბიძაშვილს, რომელიც უვლიდა, — ხელი მომეცი! — არჩილი ლოგინში უხელოდ იწვა. (მას მარცხენა ხელი წაწყვეტილი ჰქონდა მაჯაში. უცაბედად გასროლილმა თოფმა წააგლიჯა, ჯერ კიდევ მეხუთე თუ მეექვსე კლასში რომ იყო გიმნაზიაში). ელენემ მიაწოდა ლაიკის ხელთათმანიაანი ხელის პროტეზი, მან გაიკეთა და დაიდვა საბანზე.

შევიყვანე ვაჟა.

არ კიცხ, მანამდის იცნობდნენ ისინი ერთმანეთს თუ არა, მაგრამ ისე შეხვდნენ, როგორც ძალიან მოსიყვარულე უფროს-უმცროსი ძმები. არჩილი წამოიწია, ვაჟა დიხარა, ერთმანეთს გადაეხევივნენ და გადაკოცნეს. როდესაც ვაჟა წელში გაიმართა, ორივეს ცრემლები ადგათ თვალებზე.

პირველად ვაჟა გამოერკვა.

— დაბრუნდი, არჩილ, სამშობლოში?..

— აი, ხედავ, როგორ დავბრუნდი... მაგრამ, ვაჟა, თქვენ ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ თქვენი მოხელით, დიდი ყურადღებით ვკითხულობდი უცხო ქვეყანაში თქვენს „ბახტრიონს“, „სტუმარ-მასპინძელს“, „სისხლის აღებას“, „ალუდა ქეთელაურს“... შედეგებია, შედეგებია... საზღვარგარეთ თქვენი ბადალი მწერალი არ ჰყავთ. განსაკუთრებით ამ ბოლო დროს ძალიან დაეცა ფრანგული მწერლობა.

არჩილის ხმა თანდათან ყრუვდებოდა და სუსტდებოდა. ელენე

ნემ რაღაც წვეთები დააღვინა და ოღნავ დაწვინა. კმაყოფილებით და თან მწუხარედ უსმენდა.

— რა ვიცი, აბა, კი არაფერი გამოდის ჩემი წერისაგან ვინ აფასებს... — თქვა მან.

— აბა, რას ამბობთ, ვაჟა! თქვენ თუ არ გაფასებენ, ამა ვინ აფასებს ქართველი ხალხი. თქვენა უფრო მეტი დაფასებს კი მომავალს ეკუთვნის... მაგრამ მიაძებთ, ახლა რას წერთ... რიგორ ცხოვრობთ...

ვიღაცამ დარეკა, მაშინვე გავედი, რომ ვინაცოდაა უცხო სტუმარი ყოფილიყო, არაფერი ეჭვი აეღო. სტუმარი ჩვენი გლობარო ექიმის — ევგენი ფეოლოროვი გამოდგა.

— რა ამბავია? — მითხრა მან, — რამდენი ხანია ვერკავ და ვერ გაგაგებინეთ. გუშინ საღამოს ვიყავი და თქვენს ღერეფანში „კატელოკები“ და პალტოები ეკიდა, ეტყობა, სტუმრებს იყვნენ და ელენე ჯორჯაძემ კი არ შემომიშვა, არაფერი არ არის შინო. ცხვირწინ მომიკეტა კარი. ნეტავი, რას ნიშნავს ეს ფელაფერი? იქნებ, კონსპირაციაა და მიმალავთ რამეს.

შევეცადე ხუმრობაში ჩამეტარებია მისი სიტყვები. მარალაც, წინააღმდეგობით იყვნენ არჩილის სანახავდა ახლო მეგობრებს და მათი ქუდები ღერეფანში ეკიდა... ორ ცეცხლშუა ვიფიქროვოროვოც ეტყობოდა, ფეოლოროვი არ ამბობდა წასვლას, და მეშინოდა, ვაჟაც არ გამოსულიყო. ელენესთან გაეაქეცი, ვაზარი, ვაჟა მეორე კარებიდან გაესტუმრებინა წასვლისას. მერე ელენემ მიაძებო, რომ ვაჟაც გაჯიუტდა, თურმე არ უნდოდა მეორე კარებიდან წასვლა, ნინოს უნდა გამოეცემოდა.

— ძლივს-ძლივობით გავაგებინე, — მეუბნებოდა ელენე, — რომ სტუმარი არის და არ გვინდა ვაიგოს, ვისთან მობრძანდით, სტონო ვაჟა-მეთქი. ბოლოს, რომ ვაიგო, ვაიცინა და გაედა მეორე კარებიდანო.

\* \* \*

1907 წ. ერთ კვირა დილით შეიკრიბნენ ილიკოს მეგობრები და ამხანაგები... ვაჟაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ყველა აღნიშნავდა, რომ ვაჟა პატრიოტიზმის მოქადაგეა, ვალოდია ღერეთქიფანიძემ ამტკიცებდა: როგორც მწერალი, ვაჟა მეტად კეთხურია, ქართველი ხალხის უმეტესობას არ შეუძლია მისი და

ქსების და პოემების შეთვისება. რაც შეეხება მის პოეზიას გმირულ ხასიათს, ამ მხრივაც არ არის იმდენად საგულისხმიერო, როგორც აგერ ილიკო ნაკაშიძეს ჰგონიაო...

— როგორ, მისი გმირები „სტუმარ-მასპინძლისა“ და სხვა პოემებისაც, რომლებიც იბრძვიან ბნელი ადათების წინააღმდეგ არ არიან საგულისხმიერო? — თქვა ილიკომ.

— რას ამბობ, — უთხრა მას ვასილ წერეთელმა, — ვაჟას გმირები ყველა თავდადებულა სამშობლოს ხსენისათვის და ყველა თავგამოდებით იბრძვის. მარტო მისი „ბახტრაიონი“ რად ღირს!

— არა ძმავ, — თქვა გიორგი ლასხიშვილმა, — ვაჟა რომ დიდი პოეტია, ამას დამტკიცება არ უნდა. გაიხსენეთ თუნდ მისი პოემა „სისხლის ძიება“, ახლა რომ იბეჭდება, და ნახეთ, როგორ აგვიწერს ქალის სილამაზეს, — მან აიღო „კვალის“ ნომერი, მიიტანა თვალებთან (ბეცი იყო) და პათოსით წაიკითხა:

„ქალი გამოდგა ქოხიდან,  
შუქი გამოჰყვა პირითა...  
ქალი ვაშგაკესე ამ ღროსა  
ნამს, ვარდზე მბრწყინავს დილითა.  
თუ შურთხი არის ლამაზი,  
მსტვინაეი მაღალ მთაზედა?  
ან თუ შავარდნის წიწილა,  
მწოლარე ღედის ფრთაზედა?  
ან თუ ვარსკვლავთა კრებული,  
უხესხივიანი ცაზედა?  
ან თუ ალმასი ფრანგული,  
ღაღირებული მკლავზედა?  
ან თუ ზღვა არის მშუოთვარე,  
აყვირებული ზღვაზედა?“ და სხვ.

— აბა ვინმემ აღწეროს ქალის სილამაზე ასე მიმზადველაღ. განსაკუთრებით ეს ადგილი: „ან თუ ალმასი ფრანგული, ღაღირებული მკლავზედა“, — დაამთავრა მან.

— შენ გიორგი, ვინ არ იცის, რომ ქალის სილამაზის პატრიოტი ხარ. — შენიშნა სიცილით ვ. წერეთელმა, — ილია ჭავჭავაძე კი ვაჟას სწორედ სამშობლოს საყვარულისა და მშობლიური მთების დიად დასურათებისათვის აფასებდა და არა ქალის სილამაზის აღწერისათვის. „სამშობლოსათვის მამაცი არის მაღლი და დიდებაო“, — ამბობს ვაჟა ამავე პოემაში...

ილია ნაკაშიძე იმ აზრის იყო, რომ პოემა „სისხლიანი ხე“ გმირმა — ქიჩირბემ მტრის სისხლი არ იძია, მაგრამ მის წინაშე ქედი არ მოიხარა, არც შეშინდა, დამშვიდებით აუღო კოცონზე და გმირობის ქებათა-ქების სიმღერით მოკვდა. მისი ძლიერი სული არ შედრკა და ამით სძლია თავის მტერს.

კამათმა კარგა ხანს გასტანა. შემდეგ ლაპარაკი ვაჟას კერძო ცხოვრებას შეეხო. აღინიშნა, რომ ვაჟა ღარიბაძე ცხოვრობს, დახმარებას საჭირო... უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ უნდა ქალაქში გადმოსახლდეს, თორემ, თუ ახალი შთაბეჭდილებების და თანამედროვე ცხოვრების ვითარებას მოკლებული იქნება, შესაძლებელია, ჩამორჩეს ცხოვრებასო.

მხოლოდ ვ. წერეთელი და ი. ნაკაშიძე არ ეთანხმებოდნენ ამ აზრს. ილიკო ამბობდა, რომ ვაჟა, მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ჩივის სოფლის აუტანელ ცხოვრებაზე, მაინც საეჭვოა გადმოვიდეს ქალაქში; ის ჩივის მხოლოდ სულეერი სისუსტის დროს. სოფლის ცხოვრებას ვერ თმობს, თორემ სათავდაზნაურო გიმნაზიის ეკონომის ადგილს ან სხვა ამგვარს, როცა უნდა, იშოვის. ვაჟა თავისი გმირებივით ებრძვის სხვადასხვა ცდუნებას, ცხოვრების დუხჭირ პირობებს. მისი ძალა სოფლის ცხოვრებასთან, მიწასთან არის დაკავშირებული! — სხვათა შორის ილიკომ მოიყვანა ამერიკელი ფილოსოფოსის ჰენრი თოროს აზრი, რომ მწერალს არ უნდა ჰქონდეს დრო, ნამდვილი შემოქმედი და ჭეშმარიტი მწერალი ისაა, რომელიც წერს მხოლოდ მაშინ, როდესაც აუცილებელ მოთხოვნილებად გადაქცევა რამე აზრის გამოთქმა. მხოლოდ ამისთანა მწერლობას ექნება მნიშვნელობა და როგორც ყოველი მახვილი ცულის დარტყმა ხეს, ისე მძლავრად მოხვდება ყოველი სიტყვა ადამიანის გულს. მე დარწმუნებული ვარ, ვაჟა რომ არ იყოს ფაზიკური შრომით დატვირთული და ბევრი დრო ჰქონდეს, მისი მწერლობაც არ იქნება ისე მნიშვნელოვანი.

— ვაჟას უყვარს თავისუფალი, ღალი ცხოვრება მთაში, სადაც მისი ოჯახი, სოფლელები, და ასე გასინჯეთ, მოხელეებიც კი დიდ ანგარიშს უწევენ მას. ის ისე გრძნობს თავს, როგორც მთების, ტყეების და საძოვრების მფლობელი და აბა, რათ უნდა მას გიმნაზიის ეკონომის ადგილი — თქვა საცილით ვ. წერეთელმა.





ერთ საღამოს ვაჟა შემოვიდა ჩვენთან. შემოდგომა იყო ნაპრაღი  
 ბაღი მოიხადა და მზიარულად უთხრა ილიკოს:

— ილიკო, შენთან მოვედი, ჩემი „გველის მჭამელის“ შესახებ მინდა მოგელაპარაკო. დღეს მქონდა ამის შესახებ საუბარი (ვაჟამ ორი ქართველი ლიტერატორი დაასახელა), ზოგიერთ რამეში ამათ არ ვეთანხმები. შენი აზრიც მინდა გავიგო.

ილიკოს „გველის მჭამელის“ პირველი ნახევარი ძალიან მოსწონდა, მეორე ნახევარი უფრო მღარედ მიაჩნდა. დიდხანს ილაპარაკეს ამის შესახებ. მე არ ვღებულობდი მონაწილეობას. როდესაც მეორე ოთახიდან გამოვედი მათთან, ვაჟა ელაპარაკებოდა:

— ილიკო, შენ ხევისბრად ასარჩევი კაცი ხარ, მაგრამ ხევისბერი ჯერით და ხმლით იბრძოდა მტრის წინააღმდეგ. შენ კი მარტო ჯვარი გიჭირავს ხელში, ჯვრით გინდა გამარჯვება მოიპოვო, — და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა გაციანებულმა: — მაგრამ არ ვიცი, მტერი რომ მოგადგეს კარზე, რას იზამ, მოიშველიებ ხმალს, არა?

— მე არ ვიცი, მტერი რომ მომადგეს რას ვიზამ. მაგრამ ქრისტიან ადამიანს ჯვარი უნდა სძულდეს, რადგან ჯვარი ქრისტეს სახრჩობელა იყო, რომელზედაც გააკრეს იგი...

— ბატონო ვაჟა, — ვუთხარი მე, — თქვენ კი უთუოდ ხმლით გამოხვალთ მტრის წინააღმდეგ. ჩვენ გვითხრა ერთ კრებაზე პედაგოგმა თ. კიკვაძემ, რომ 1905 წ. ნასაკირალის შეტაკების შემდეგ თქვენ გლომებაათ გურიაში დამსჯელი რაზმის წინააღმდეგ საბრძოლველად ორასი შეიარაღებული ხევსურის გამოყვანა.

— პოდა, მერე რა, — თქვა მან, — მე და ჩემმა ღრმეთმა, ჩამოვიდოდით კიდევაც და ვიბრძოლებდით კიდევაც. მაშინ ილია ჭავჭავაძეც აპირებდა წამოსვლას. იმან შეგვაგულიანა ყველანი.

— მერედა, მართლა რომ ჩამოსულიყავით, როგორ ვაუძლებდით დამსჯელი რაზმის ზარბაზნებს, უთუოდ დაგხოცავდნენ!

— მე და ჩემმა ღმერთმა, სჯობდა იქ მოეკლა ალიხანოვის დამსჯელი რაზმის ზარბაზანს სამშობლოს დაცვისათვის შეიარაღებული, მებრძოლი ილია, ვიდრე ის მოეკლა წინამურში, ავაზაკების ტყვიით.

ლაპარაკმა მეტად სუედიანი კილო მიიღო და რომ გმობდა  
ცვალა საგანი, ვაჟას ვკითხე:

— „ნაკადულისათვის“ არაფერი მოგიტანიათ?

მე მაშინ სარედაქციო კომისიის წევრად ვიყავი მიწვეულად  
„ნაკადულის“ დამაარსებელ და რედაქტორ მარიამ ლემურია-  
საგან და „ნაკადულის“ საქმე ყოველთვის მაინტერესებდა.

— მოვიტანე, ერთი მოთხრობა, უკვე გადავეცი რედაქციას,  
თავკვების ოინებია აწერილი. მინდოდა მეც დავსწრებოდი კა-  
თხვას, მაგრამ დრო არა მაქვს და, მგონი, ვერ დავესწრო.

\* \* \*

რამდენიმე დღის შემდეგ, საღამოს, გავეშურე „ნაკადულის“  
რედაქციაში. კომისია უკვე შეკრებილიყო. მარიამის გარდა  
იყვნენ: ივანე მაჭავარიანი (თავმჯდომარე), ალ. მირიანაშვილი,  
ალ. მიქაბერიძე, პროფ. გ. გეხტმანი და ვალოდია ლორთქიფა-  
ნიძე. ვალოდიას ხელთნაწერი ეჭირა ხელში და კითხულობდა.  
მე მაშინვე დავექეპი ვალოდიას გვერდით.

— ვაი ჩემს თვალებს, რაღა ვქნა ახლა. განაგრძე, შენ გე-  
ნაცვალე ვალოდია, განაგრძე, გეთაყვა, იქნებ გამოდგეს, ამას-  
წინათაც დაუწუნეთ და ძალიან გაჯავრდა, — ემუდარებოდა  
ვალოდიას მარიამი.

— არ ვარგა, რა წასაკითხავია ქათამ-კვერცხის მოვაჭრე  
ჩარჩების ამბავი. რა საჭიროა ბავშვებისათვის ამისთანა მოთხ-  
რობები. თანაც ისეთი ხელითაა დაწერილი, რომ ეშმაკი ვერ  
წაიკითხავს, — და ვალოდიამ გადადო იქით ხელთნაწერი.

— აბა, მაჩვენე. იქნებ, მე გავარჩიო, — ვუთხარი მე.

ვალოდიამ უკმაყოფილოდ მომაწოდა დაწერილი ფურც-  
ლები.

ხელთნაწერი გავარჩიე და წავაკითხე. ეს იყო მშვენიერი  
მოთხრობა „სათაგური“. რედაქციას შემადგენლობას ძალიან  
მოეწონა და გადაწყდა მისი დაბეჭდვა.

ვალოდია სიცილით ამბობდა:

— კინაღამ არ დავლუპე საუცხოო მოთხრობა და კინაღამ  
არ მოვაკელი „ნაკადულის“ მკითხველებს სიამოვნება. მაგრამ  
რა არის ამისთანა საშინელი ხელნაწერი!

ვაჟას ხელნაწერი მართლაც ძალიან ძნელი გასარჩევა იყო

— კარგია, რომ ასეთი წერაც შეუძლია ფიზიკის სინათლეზე, — თქვა ალ. მიქაბერიძემ.

— ეს კია ჩვენი ქართველობის სიგლაზე, უთუოდ ყურადღება უნდა მიექცეს იმ კაცს, — შენიშნა ივ. მაჭავარიანმა და მიმართა მარიამს: ჰონორარს ხომ აძლევთ?

— როგორ არა, აი, ამ მოთხრობაში წინდაწინ მივეცე სხვას სამ კაპეიკს ვაძლევ პროზის სტრიქონში, ვაჟას კი შაურს.

— და ვალოდიამ დაუწუნა შაურიანი სტრიქონი, — გაიცინა ივ. მაჭავარიანმა, — ლექსში რაღას აძლევთ?

— ლექსში შეიდ კაპეიკს.

— ცოტაა, — თქვა ალექსი მირიანაშვილმა.

— რა ვქნათ, ჯერჯერობით არავითარი საშუალება არ გვქონდა, ახალი წლიდან კი იმედი მაქვს, საერთოდ გავაღწყოთ ჰონორარები.

— ახალი წელიწადიც აღარ არის შორს.

\* \* \*

„სათაგური“ დაიბეჭდა 1908 წ. „ნაკადულში“ (მოზრდილთათვის) II, III და IV ნომერში. 1909 წლის თითქმის ბოლო რიცხვებამდის სულ იბეჭდებოდა ორივე ასაკის „ნაკადულში“ ვაჟას მოთხრობები და ლექსები.

„ნაკადულის“ რედაქტორი, მარიამ ივანეს ასული დემურია, განსაკუთრებული ყურადღებით და პატივისცემით ეპყრობოდა ვაჟას. მაგრამ 1909 წლის ბოლო რიცხვებში ვაჟა შემოსწყრა „ნაკადულს“ და გამოაცხადა: მეტ მასალას აღარ მოვიტანო. მიზეზი მასალის დაწუნება იყო რედაქციის მიერ. ახლა აღარ მახსოვს, რა მასალა იყო დაწუნებული. მარიამი ცდილობდა როგორმე მოეზრუნებინა ვაჟა და, მე ვფიქრობდი, ამას კიდევაც მოახერხებდა იგი თავისი გულკეთილობით და ალერსიანი ხასიათის მეოხებით, მაგრამ 1910 წლის თებერვლის დამდეგს მარიამი მოულოდნელად გარდაიცვალა. აუნაზღაურებელი დაწაკლასი იყო ენერგიული, საქმის მოყვარე, „ნაკადულის“ დამარსებელი „დედას“ — მარიამის დაკარგვა.

მარიამის გარდაცვალების შემდეგ, 1910 წლის თებერვლიდან, სარედაქციო კომისიამ და ჟურნალის გამომცემელმა პავ-

ლე იოსების ძე თუმანიშვილმა მე მიმიწვია „ნაკადულის“  
დაქტორად.

და აი, მარტის ერთ დღეს რედაქციაში შემოვიდა ვაჟა-ფშაველა.

— მოთხრობა მოგიტანე, — მითხრა მან შემოსვლისთანავე.

— ძალიან სასიამოვნოა, მე წერილის მოწერას ვაპირებდი თქვენთვის.

— არ ვიცი, მოგეწონებათ თუ არა.

— რასაკვირველია, მოგვეწონება. წავიკითხავთ სარედაქციო კომისიაში.

— არა, ჯერ შენ წაიკითხე. თუ არ მოგეწონება, აღარ დეტოვებ. სარედაქციო კომისია მე არ ვიცი. შენც კარგად მიხედები, ვარგა თუ არა დასაბეჭდად.

ამის შემდეგ რაღა მეტქმოდა, გამოვართვი და მასთანვე წავიკითხე ხმამაღლა. ეს მოთხრობა იყო „გასამართლებელი ჩიბუხი“. საუცხოო მოთხრობა იყო და, რასაკვირველია, ჩემი აღტაცება გამოვთქვი. რომ ვკითხულობდი, ვაჟა იჯდა და ნელა იღიმებოდა სიამოვნებით, ეტყობოდა, თვითონაც მოსწონდა.

— მაშ, მოგეწონა?

— ძალიან.

— მე ვიცოდი, მოგეწონებოდა. — თქვა მან.

— რას ნიშნავს ღვთისუნელი („გასამართლებელი ჩიბუხის“ გმირის სახელია), ამნაირ სახელს არქმევენ მთაში? — ვკითხე მე.

— ღვთისუნელი შერქმეული სახელია, ნიშნავს ღვთის კაცს, გუფუბრყვილო ადამიანს...

— მე კი ვიფიქრე, სულელს ხომ არ ნიშნავს-მეთქი.

— არა, არა, როგორ შეიძლება? ვანა ჩემი ღვთისუნელი სულელია?

— რას ბრძანებთ, რასაკვირველია, არა.

ვაჟა ცოტა ხანს დაჩუმდა და მითხრა:

— კი არ გეწყინოს და თუ მოთხრობა მართლა მოგეწონა და ფული თუ გაქვს, ცოტაოდენი მომეცი, ბაღლებს წუღებუნდა ვუყიდო, თორემ მე ჯიბეში კატები მიჭყავიან.

რედაქციაში წლის დასაწყისს ფული ყოველთვის იყო და მახსოვს, ოცი მანეთი მივეცი. ძალიან კმაყოფილი დარჩა.

შემდეგ ჩამოსვლაზე ლექსებიც ჩამოიტანა და მოთხრობებიც. თან ერთი ყმაწვილი კაცი მოიყვანა. ჩვენთან, რედაქტორებთან ამ დროს იაკობ გოგებაშვილი იჯდა.

— ეს ყმაწვილი, — გვითხრა ვაჟამ, — საუცხოო პოეტიკა. კიკნა-ფშაველას ეძახის თავის თავს, მაგრამ კიკნა-ფშაველა ახლა მე ვარ. ნამდვილი ვაჟა-ფშაველა კი ეს არის.

კიკნა-ფშაველა გამხდარი, ფერმკრთალი ახალგაზრდა კაცი იყო. რბილი, ღია წაბლისფერი თმა მოგრძოდ ჰქონდა შეკრეჭილი. მისმა სახის გამომეტყველებამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე.

— ღმერთმა ქნას, — თქვა მზიარულად იაკობმა, — ფშაველებს ბევრი ვაჟა-ფშაველა გამოეზარდოს ჩვენდა საბედნიეროდ და ბავშვების გასახარებლად... მოიტანეთ რამე ლექსი? — ჰკითხა მან კიკნას.

კიკნამ მორცხვად ამოიღო უბის ჯიბიდან დაკეცილი ქაღალდი და მიაწოდა იაკობს.

— რედაქტორმა წაიკითხოს, — თქვა იაკობმა და მომწოდა ლექსი.

— არა, არა, — ვუთხარი მე, როდესაც ბ-ნი იაკობი და ვაჟა-ფშაველა აქ ბრძანდებიან, მე როგორ წაიკითხავ.

— მოიტათ, მე წაიკითხავ, — გაიღიმა ვაჟამ, გამოართვა იაკობს ლექსი და წაიკითხა. წაიკითხა, მაგრამ მაინცდამაინც კარგად ვერ წაიკითხა. ხელნაწერს ვერ არჩევდა, ხშირად ჩერდებოდა, კითხვის დროს ბორძიკობდა. უნდა ვთქვა, მიუხედავად ცუდად წაიკითხვისა ლექსი კარგი იყო, მაგრამ შევატყვე: იაკობს არ მოეწონა. მხოლოდ ვაჟას წყენას მოერიდა და ახლა კიკნას სთხოვა:

— მაშ ახლა მეორე ფშაველო, შენ წაიკითხე, შენა ხმაც გავაგონე.

კიკნა-ფშაველამ წაიკითხა მორცხვად, მაგრამ მოხდენილად, გამომეტყველებით და იაკობსაც ლექსი მოეწონა. შეაქო და გააძხვდა კიკნა.

— უნდა წეროთ, წეროთ, ყმაწვილო. გარემოება უნდა დაიმორჩილოთ. თქვენ, მთიელებმა, უნდა შემოიტანოთ ქართულ ცხოვრებაში თქვენი ძალუმი სული, უნდა ამოუდგეთ ჩვენს ვაჟას გვერდში.

ვაჟას ძალიან გაეხარდა იაკობის შექება.

— აკი გვეუბნებოდით, ბიჭია, რაღა... — ამბობდა ისკანდარი კიკნას ლექსი, რასაკვირველია, დაიბეჭდა „ნაკადულში“.

\* \* \*

1910 წლიდან ვაჟა ხშირად დადიოდა ჩვენთან, როგორც რედაქციაში, ისე ოჯახშიც.

1896 წ. ილია ნაკაშიძემ „კვალის“ ფურცლებზე სტატიის (კრიტიკული ცდა) გაარჩია ვაჟას ნაწარმოებები; ძალიან მაღლა აყენებდა ვაჟას მწერლობას, როგორც შინაარსით, ისე ფორმითაც. სხვათა შორის, წერდა: „ვაჟას შემოქმედების ფორმა მისი ნიჭის სამოსელია, თვისებურად ორიგინალურია, ჩვენ მწერლობაში ვაჟას ვერავინ შეედრება... ვაჟას შემოქმედებაში ჰომეროსისებურ სტრაქონებს შეხვდებით და გული ავითამაშდებათ ხოლმე სანეტარო განცვიფრებით... ვაჟა ლალი შეიღია მთებისა და გვეუბნება იმას, რაც ამ დიდებულმა, ბუმბერაზმა მთებმა უჩურჩულეს ყურში. ...მხოლოდ ბუნების შეიღეს, ბუნების ხორცშესხმულ სიყვარულს შეეძლო სიტყვით გამოესახა, რომ ნისლი ფიქრია მთებისა. ამით გადაგვიშალა თვალწინ ბუნების ღრმა ფილოსოფია... რომ ფიქრიც ისე ამშვენებს ადამიანის ნიჭს, როგორც ნისლი — მთას“.

გარდა მისი ნაწარმოებებისა, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, ე. ი. ნაკაშიძეს ვაჟა უყვარდა მისი პირადი ცხოვრებისთვისაც, რომელიც გამირულ ცხოვრებად მიაჩნდა.

ერთხელ ილიაკომ მას ანეგლოტი უამბო, როგორ მოკვდა ვოლტერი. არასოდეს არ მინახავს ვაჟა ისე გაცინებული, როგორც ამ ცნობილი ანეგლოტის დროს იცინოდა. რამდენჯერმე გაამეორებინა. „ვოლტერი რომ კვდებოდა, — უამბობდა ილიაკო, — მივიდა მასთან ორი მღვდელი; ორივე დადგა ვოლტერის სარეცელის იქით-აქეთა მხარეს და მოჰკიდეს ხელი ორივე ხელზე, ხოლო მეორე ხელით კი ორივეს ეჭარა ჯვარი; ორივემ უქადაგა მას და ბოლოს, რადგანაც ვოლტერი წყნარად იწვა, მღვდლებმა ჰკითხეს:

— როგორ გრძნობ ახლა თავს, სულიერო შეილო?

— როგორც ჯვარცმული იესო ორ ავაზაკს შუა, — უთხრა ვოლტერმა...“



ანეგდოტების თქმა უყვარდა ვაჟასაც. ერთი ანეგდოტი მა-  
ლიან უყვარდა, ხშირად ამბობდა ხოლმე.

„ერთხელ ორი კაცი შევიდა მაღაზიაში. ერთს ჩოხის ყიდ-  
ვა უნდოდა. აირჩია ჩოხა და ფასი ჰკითხა. ვაჭარმა თოთხმეტი  
მანეთი დაუფასა. მყიდველმა მაშინვე ამოიღო თოთხმეტი მანე-  
თი და დაუთვალა ვაჭარს. მეორე კაცმა უსაყვედურა: რა გეჩა-  
რებოდა, შე კაცო, ფულის მიცემა. შევაჭრებოდა, იქნებ, ფასს  
დაგიკლებდარო. აბა, რამდენს დამიკლებდა. ერთ-ორ მანეთს  
მეტს ხომ არ დამიკლებდა, ახლა კი გულზე გასკდება, რატომ  
მეტი არ დაუფასეო“. ეტყობოდა ანეგდოტი თვითონაც მოს-  
წონდა და ყოველთვის გულიანად იცინოდა.

შემოდგომაზე რედაქციაში თითქმის არასოდეს არ გვექონდა  
ფული, რადგანაც ჯერ ხელის მომწერლებისაგან არ იყო შე-  
მოსული და ის სუბსიდია, ორასი მანეთი თეიურად, რომელ-  
საც „ნაკადულის“ რედაქცია ღებულობდა, პ. თუმანიშვილისა-  
გან, ყოველთვის წინდაწინ იყო დახარჯული ქალაქისა და  
სტამბის საფასურში, მაგრამ ვაჟას ფულს თუ იმავე დღეს არა,  
მეორე დღისათვის მაინც უთუოდ ვუშოვიდით. ჩემს ვარდა ამა-  
ზე ზრუნავდა „ნაკადულის“ საქმის მმართველი და ჩემი თანა-  
შემწე, ოლია ლეჟავა, და ჩვენი თანამშრომელი ანდრია ბაქრაძე.

\* \* \*

რედაქციაში მოდიოდნენ ვაჟას ძმებიც — თედო და ბაჩანა.  
თედო ყოველ ჩამოსვლაზე შემოდიოდა რედაქციაში. მხოლოდ,  
როგორც მახსოვს, ხშირად არ ჩამოდიოდა თბილისში. მისი  
მოთხრობები საინტერესოდ კარგები და, საინტერესონი იყვნენ  
ბავშვებისათვის, დინჯი, სიმპათიური და სასიამოვნო მოლაპა-  
რაკე იყო თვით თედო რაზიკაშვილი, ჩანდა, რომ მწერლობას  
მეორეხარისხოვან საქმედ არ თვლიდა, მაგრამ მეორე ადგილ-  
ზე კი აყენებდა, რადგანაც მალიან უყვარდა მეურნეობა და  
განსაკუთრებით მეფუტკრეობა, პირდაპირ ალტაკებაში მოჰ-  
ყავდა ფუტკრის ჭკუა-გონებას, შრომის მოყვარეობას და უნარს.  
ერთხელ მითხრა:

— მინდა საბავშვო მოთხრობა დავწერო. ადვილად ფუტკ-  
რის მთელი საქმიანობა, ზნე-ჩვეულება და მისი შრომით სარ-  
გებლობა. მხოლოდ ვეძებ საამისოდ ახალ მხატვრულ ფორმას,

რომ ბავშვებისათვის საინტერესო საკითხავი და ამავდროულად მცნიერულ საფუძველზე იყოს აგებული.

— ამავდროულად, — ამბობდა ის, — დრო არა მაქვს, ჩავეუბნო სამუშაოს, რადგანაც მარტოხელი კაცი ვარ და ბევრი შრომა მჭირდება ოჯახის გამოსაკვებად და დასაკმაყოფილებლად.

სხვათა შორის, მან მიაჩნო, როგორ იგზავნება ამერიკაში საქართველოდან ფუტკრის დედა-დედოფალი. თელავ ამტკიცებდა, რომ ჩვენებური ფუტკარი ტანით უფრო დიდი და ნაყოფიერია ამერიკულ ფუტკარზე და უფრო მეტ თაფლსაც იძლევა. ამიტომაც იწერენ ამერიკელი მეურნეები და ფერმერები ჩვენებური ფუტკრის დედას. ისიც მიაჩნო, თუ როგორ გზავნიან აქედან ფუტკრის დედას ამერიკაში.

— ნამდვილი დედოფლის მოგზაურობაა, — თქვა მან, — დაჩერებულ, სუფთა ყუთში, რომელშიაც ჰაერმა თავისუფლად უნდა იმოძრაოს, ჩასვამენ დედოფალს, თან გააყოლებენ, ე. ი. იმავე ყუთში ჩასვამენ მხლებლად ოცდაათ მუშა ფუტკარს, რომ გზაში მომსახურეობა გაუწიონ თავის დედა-დედოფალს. კოლოფის ერთ კუთხეში ჩაატანენ ერთი თვის ან თვენახევრის სამყოფ საგზალს. შემდეგ დაკეტულ ყუთს აბარებენ მატარებლის საგანგებო ვაგონში და გზაში ფრთხილად მიაქვთ.

ერთხელ, როდესაც ვაჟა იყო რედაქციაში, თელოც შემოვიდა, თბილისში ახლად ჩამოსულ ძმებს ჯერ ერთმანეთს არ ენახათ თურმე და ძმურად, ხალისიანად შეხვდნენ ურთიერთს. ერთმანეთის პირდაპირ, ერთნაირად დასხდნენ სკამებზე, მუხლებზე ხელები დაიბჯინეს და ოდნავ წინ წამოიწიეს. მეგობრულად მოიკითხეს ერთმანეთი. მესმოდა, როგორ ეკითხებოდა თელო ლევანის, ნაზიას, თებრონეს, ბერუას და სხვა მეზობლების ამბებს.

— რა გაუჭირდებოდათ — ეუბნებოდა ვაჟა, — არიან რაღაც ხან წვალბენ, ხანაც კიდევ ზინკალს მიირთმევენ.

ძმები კარგა ხანს ლაპარაკობდნენ და გულიანად იცინოდნენ ამ ლაპარაკის დროს.

რედაქციაიდანაც ერთად წავიდნენ მხიარული ლაპარაკით.





ბაჩანა თვითონ მოვიდა რედაქციაში. მანამდე არ ვიცნობდი და ძალიან გამეხარდა „ვინა თქვა საქართველოზე, ეგ არის ლომი კვდებაოს“ ავტორის ნახვა. მოვიდა, ალერსიანად მომესალმა და, როგორც დიდი ხნის ნაცნობმა და მეგობარმა, გადამიშალა თავისი გულის ნადები:

— გაჭირვებამ და სოფლის მუშაობამ დაგეჩაგრა ყველა ძმები. დრო არ გვეყოფნის ვიფიქროთ რამეზე სერიოზულად. ვერა ხედავთ, ვაჟა როგორ წუწუნებს, როგორ უჭირს ცხოვრება და ჩვენში, ძმებში, კი ის უფრო გაბედული და უზრუნველყოფილია ოჯახშიც და გარეთაც. ვერავეინ უბედავს, რომ ფული დროზე არ მისცეს. ჩვენ კი ყურადღებით ვინ ვგეჟტავა? ნამეტნავად მე ვარ დაჩაგრული ყოველმხრივ. ჯერ კახეთში გადმოსახლება... ხომ იცით, ახალ ადგილას დასახლება რა ძნელია... ფშავში რომ დავრჩენილიყავი...

— თქვენ, მთიელებს ისე გიყვართ მთები და, მიკვირს, რატომ გადმოსახლდით? — ვკითხე მე.

— იძულებული ვიყავი, — მითხრა მან, — ფშავში აღარ მედგომებოდა, რადგან ჩემი წაწალი შევირთე ცოლად.

— განა არ შეიძლება წაწლის შერთვა?

— არ შეიძლება. წაწალი დაზე უფრო დად ითვლება მთაში და მე კი ეს წესი დავარღვიე. თვითონ რომ არ გადმოსახლებულიყავი ამის შემდეგ, სულერთია, ხალხი გამომაძევებდა.

— მერე როგორ ცხოვრობთ ცოლთან? ხომ არ იქონია გავლენა ამ იძულებითმა გადმოსახლებამ თქვენს დამოკიდებულებაზე?

— არა. არა, ჩვენ ძალიან კარგად ვცხოვრობთ, ძალიან კარგი ქალია ჩემი ცოლი. წაწლად ყოველთვის საუკეთესო ქალს ირჩევენ, ვინც ყველაზე მეტად მოსდით თვალში და ვისაც კარგად იცნობენ. ვაჟა გმირიც არის, დახმარებაც იცის. თავს არ დაზოგავს, თუ საჭირო იქნა. შირაქის ამბავი ვაგიგონია უთუოდ. შირაქის სამოვრები რომ ხალხს დარჩა, ეს ვაჟას მართლა რომ გმირული საქმეა. არავის არ შეუშინდა, დიდი წინააღმდეგობა გაუწია მაშინ მთავრობის ხალხს და შეაშინა... მისი ყველას ეშინია და თუ ვინმემ გააჯავრა, მის-

თვის სულერთია პრისტავი, „ლესნიჩი“, შანური თუ უცხო  
ჯოხი და მათრახი შემართული აქვს საცემად. — თქვა მან  
ცილით.

— თედოც ასეთია?

— თედო? თედო სხვანაირი კაცია. ძალიან იშვიათად მი-  
უვა გული. მაგრამ თუ მოუვიდა, ყველაფერი ავიწყდება ირე-  
ლივ.

\* \* \*

1912 წელს, სოხუმში წასვლის წინ, რედაქციაში შემო-  
ვიდა იროდიონ ევდოშვილი. მიუხედავად იმისა, რომ გაღას-  
ლებიდან ჩამოსულმა, ნაავადმყოფარმა ზაფხული მანგლისში  
გაატარა, მაინც გამხდარი და გაყვითლებული იყო. რედაქციაში  
აკაკი იჯდა. იროდიონს ძალიან ესიამოვნა აკაკის ნახვა. ვა-  
სახლების შემდეგ არ ენახა და გახარებული გადაეხვია აკაკის  
აკოცა ჯერ მხარზე და მერე სახეზე. აღელდა, ხველა დააწყ-  
ბინა აკაკისაც ძალიან ესიამოვნა იროდიონის ნახვა და, რი-  
გორც იცოდა, ალერსიანი სიცილით შეხედა, ალერსიანად მი-  
იკითხა და დაბრუნების ამბავი ჰკითხა. ლაპარაკის დროს შე-  
მოვიდა ვაჟა.

— ჰაა, ჩვენ მთის არწივს გაუმარჯოს! — შესძახა მხარუ-  
ლად აკაკიმ.

— მთის არწივიც შენ ბრძანდები და ბარის ბულბულიც! —  
უთხრა ვაჟამ ღიმილით და ხელი ნამოართვა.

— მე ახლა ბულბული კი არა, ჯაჯა! არა ვარ... წაწილამ  
მოტაცებაც კი არ შემძლია. აგერ, ამით ერთი პატარა „ყინ-  
ჩილა“ მოვუტანე და უკანვე გამატანა რედაქტორმა, არ ვარ-  
გაო, — თქვა სიცილით აკაკიმ.

აქ უნდა მოვიხსენიო, რომ „ნაკადულის“ სარედაქციო კო-  
მისიას გარდაუვალ წესად ჰქონდა, ვისი მასალაც უნდა ყოფი-  
ლიყო, თუ კომისიის აზრით შესაფერი არ იყო ჟურნალისათ-  
ვის, არ დაიბეჭდებოდა. მასალის დაბრუნება აკაკის არაოღებ  
არ სწყინდა.

— იროდიონ, შენმა გაზრდამ, ძალიან მიამა შენი ნახვა! —  
უთხრა აკაკიმ.

<sup>1</sup> ჯაჯა — ძერა.

— და ახლა მე როგორ გამახარა თქვენმა ნახვამ! ისე შენატრებოდა თქვენი ჭალარა თმების ნახვა, თქვენი გაცხნებულნი სახის... და არ ვიცოდი, სად მენახეთ...

აკაკი ადგა, ყველას თავი დაგვიკრა და უცებ წაეიდა, იროდიონი გაჰყვა გასაცილებლად. მალე უკანვე შემობრუნდა.

ო. ლექავამ კანტორაში საქმეზე დამიძახა და როდესაც დაებრუნდი, კაბინეტში ისხდნენ ვაჟა, იროდიონი, ილიკო და ბაასობდნენ. საუბარი ვაჟას შემოქმედების შესახებ იყო.

— შენ დიდი პოეტი ხარ, — ეუბნებოდა იროდიონი. — შენი მთა, შენი გმირები მძლავრნი, ადამიანი-სათვის ცხოველყოფელი სულის ჩამდგმელნი არიან, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ისინი, ე. ი. გმირები, კვდებაან ისე, რომ ცხოვრებაში ვერ იმარჯვებენ.

— როგორ თუ ვერ იმარჯვებენ? მაშინ ტყუილი ყოფილა ჩემი შრომა; ვაი საწყალო ლუხუმო, ჩემო ზეზვაე, ჩემო ქიჩირბეი, კვირიაე... მაშ, ისე მოკვდით, რომ კვალი ვერ დასტოვეთ? — შენც ასე ფიქრობ. ილიკო? — მიუბრუნდა ის ილიკოს.

— არა, რასაკვირველია, მე არ ვეთანხმები იროდიონს, როგორ ვერ იმარჯვებენ? — მიუბრუნდა ის იროდიონს, — მთავარი ისაა, რომ ეს მთის გმირები დიდი ზნეობრივი ძალით არიან აღჭურვილნი, გარდა იმისა, რომ იარაღი ვერ ერევა, ხმალი ვერ ჰკვეთს და ცეცხლი ვერ სწვავს მათ ნებისყოფას, დროც ვერ შლის იმ დიდ ზნეობრივ ძალას, რომლითაც ისინი ებრძოდნენ სამშობლოს მტრებსაც და მკვნე ადათებსაც. განა ხალხში არ დარჩნენ, როგორც ცოცხლები, — ზეიადური, ქიჩირბეი, გველის მჭამელი, კვირია და სხვები?

— თუ გმირი ცხოვრებაში ვერ გაიმარჯვებს, — ამბობდა იროდიონი, — მარტო გმირული თავის განწარვა და სიკვდილი არ არის საკმაო ცხოვრების გასაუმჯობესებლად და წინ წასწევად, გმირებმა ცხოვრება უნდა წინ წასწიონ, როგორც გარიბალდიმ, რამე ნიშანი უნდა დააჩნიონ ცხოვრებას.

ახლა აღარ მახსოვს სიტყვა-სიტყვით იმათი კამათი, რომელმაც კარგა ხანს გასტანა, მაგრამ ლაპარაკი ტრიალებდა რევოლუციონერების, დეკაბრისტების, ანარქისტების და ქრისტიანობის ირგვლივ. შემდეგ გადავიდნენ ლიტერატურულ თემებზეც. ამ კამათის დროს ვაჟა თითო-ორილა სიტყვას თუ

ჩაურთავდა, უფრო სდუმდა. ბოლოს, თითქოს ხუმრობით  
წარმოთქვა:

— ვაი, საწყალო ჩემო თავო, ვაი, შე საწყალო ვაჟო, გორ ვერ მოახერხე იროდიონის მოსაწონი გმირის გამოწევა ცხოვრებაში, რომ თვითონ შესძლებოდათ თავიანთი თავის დაცვა? — ისიც კია, რომ გამოვეყრუვდი მთაში, — დაუმატა მან, — სულ ერთი და იგივე, ერთნაირი ცხოვრება. მინდა ერთი წლით მაინც მოსკოვს წავიდე, შანაივსკის სახელობის უნივერსიტეტში ლექციებს მოვიხმენ, ქვეყანას ვნახავ, სხვა ხალხს, სხვა ცხოვრებას გავეცნობი.

იროდიონმაც და ილიკომაც ურჩიეს და ძალიან შეაგულა-ანეს, უთუოდ წასულიყო.

— ხელმოკლეობის გამო, აბა, სად წავალ, თუმცა იმედი კი არა მაქვს, რომ მომცემენ, მაგრამ მაინც შევიტანე თხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, სტაჟინდას ვთხოვ ერთი წლით.

ჩვენ მაშინ დარწმუნებული ვიყავით, რომ წ. კ.-ის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა უარს არ ეტყოდა, მაგრამ როდესაც ვაჟას თხოვნა განვიხილეთ გამგეობის სხდომაზე (შე იმ დროს გამგეობის წევრი ვიყავი), მომხრე არაიან აღმოჩნდა ჩემს მეთი. უარის მოტივი ის იყო, რომ სარაჯაშვილის თანხა მხოლოდ ახალგაზრდა, გიმნაზიაში კურსდამთავრებულ, უნივერსიტეტის ნამდვილი სტუდენტისათვის იყო განკუთვნილი, სხვა თანხა კი საზოგადოებას ამისათვის არ მოეპოვებოდა თავისუფალი, თუმცა, უნდა ვთქვა სამართლებველას უნდოდა დახმარებოდა.

რედაქციიდან ყველანი ერთად გავედით. გზაში ილიკომ სადილად დაპატიჟა ვაჟაც და იროდიონიც, მაგრამ ვაჟამ არ მოინდომა წამოსვლა.

— შენ, ილიკო, სამარხვო სადილი გექნება და მე და იროდიონი ხინკლის საჭმელად წავალთ, აკერ სარდაფ „ძმობაში“. — ეს „ძმობა“ ოლღას ქუჩაზე იყო (ახლა ლენინის ქ.).

— თუ ხატრი გაქვს, ვაჟა, იროდიონს ღვინოს ნუ დააღვინებ, აწყენს, — ვთხოვე ვაჟას.

— აჰა, ქალის ჭკუას დამიხედეთ. თუ ცოტა ნუნუა არ ვიგემთ, რა სადილი იქნება, მერე კიდევ ღვინო აწყენს ირო-

დიონს? ღვინო კი არ აწყენს იროდიონს, იროდიონი აწყენს ღვინოს. ღვინო წამალია იროდიონისათვის, წამალი არა იროდიონს? — იცინოდა ის.

როგორც მახსოვს, ერთხელ შემოდგომაზე ვაჟამ რედაქციაში მოიყვანა თავისი შვილი, გამხდარი, ლამაზი ბიჭი, რომელიც თბილისში ჰყავდა სასწავლებელში.

— ძალიან ბიჭია, — თქვა მან სიყვარულით. — ამაზე მეტად აღარავინ მიყვარს ქვეყანაზე, ჩემ ძმასთან ცხოვრობს, სანდროსთან, ჩემს ძმას, სანდროს, ხომ იცნობ, ჩვენში ყველაზე უმცროსია, ტელეგრაფისტია, ფოსტაში მსახურობს და ყოველ თვე ჯამაგირს ღებულობს.

მე სანდროს არ ვიცნობდი.

— როგორ, — გამიკვირდა მე, — თქვენ, ძმები, ყველა პოეტები ხართ, დედაც პოეტი გყოლიათ, როგორც ამბობთ და უმცროსი ძმა, სანდრო, რატომ არის ტელეგრაფისტი?

ვაჟამ ოდნავ ამოიოხრა და ნელა წარმოთქვა:

— მე და ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ტელეგრაფისტობა სჯობია. ჩვენ თუ პოეტები ვართ, რა ოქროს ჯილა გვადგია თავზე? ამ ჩემ ბიჭსაც ვუბნები, არ გაბედო ლექსების წერამეთქი.

— და არ წერს?

— მადლობა ღმერთს, არ წერს და სწორედ ამიტომაც კაი ბიჭობაში ბადალი არ ჰყავს! ჰა, შენ რას იტყვი? — მიუბრუნდა ის თავის ვაჟს.

ყმაწვილი ნელა იცინოდა. მისი ღიმილი მამას მოგავონებდათ, მაგრამ მამაზე უფრო ლამაზი და ნაზი იყო. და როდესაც ვიგონებ ყოველთვის წარმომიდგება თვალწინ, როგორ იჯდა სკამზე რედაქციის დიდ მაგიდასთან შავთვალწარბა, ლამაზი, გამხდარი ბიჭი, თავზე გიმნაზიელის ქუდით, ოდნავ თავდახრილი და როგორის სიყვარულით და სიხარულით შესცქეროდა მას მისი ჩოხიანი დიდი პოეტი—მამა და როგორ ნატრობდა, რომ ეს საყვარელი შვილი პოეტი არ გამოსულიყო!

გული მეტკინა, რატომ უნდა ეთქვა ეს სიტყვები ვაჟს? იყო თუ არა ქართველი ხალხი დამნაშავე მისი ცხოვრების

მოუწყობლობაში, სიღარიბეში? იყო თუ არა ვაჭარ-ქართლ-  
 ხალხის მიერ უყურადღებოდ მიტოვებული? და თუ აღნიშნულ-  
 ხატებოდა მაშინდელი მწერლების უსუგემო მდგომარეობა,  
 დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ: ეგ. ნინოშვილი, ირ. ეედოშვი-  
 ლი, ნ. ჩხიკვაძე, ნინო ორბელიანი, შიო მღვიმელი, თვითონ  
 აკაკიც კი არ იყო უზრუნველყოფილი. მწერლება ან იღუპე-  
 ბოდნენ დუხჭირი ცხოვრების წყალობით, ან ისეთ მწერლებს  
 როგორც იყვნენ: შიო დედაბრაძეშვილი, ნიკო ლომოურა,  
 ს. მგალობლიშვილი, მელანია და სხვები, უნდა ემსახურათ  
 ლუკმაპურის მოსაპოვებლად. ვაჟას ბუნება ვერ ურთავდებოდა  
 ამნაირ მდგომარეობას და მუდამ უკმაყოფილო და შეწუხებუ-  
 ლი იყო. გამოსავალს ეძებდა და ვერ პოულობდა, ფიქრობდა,  
 რომ ირგვლივ გულგრილი ხალხი ეხვია და ეს იყო მისი  
 გულისტკივილის მიზეზი.

\* \* \*

1912 წ. შემოდგომაზე ვაჟამ მრავალი მოთხრობა და  
 ლექსი მოიტანა. სარედაქციო კომისია პირდაპირ ცას დაქნა  
 სიხარულით, რომ ვაჟას ყოველთვე დავებეჭდავდით ჟურნალ-  
 ში. ორი მოთხრობა — „ბუნების მგოსნები“ და „საჩივარი“  
 წავეკითხეთ დეკემბერში. „საჩივარი“ დაიბეჭდა 1913 წ., № 1  
 (მცირე წლოვანთათვის) და „ბუნების მგოსნები“ — ამავე  
 წლის № № 1 და 2-ში (მოზრდილთათვის). სხვა ლექსები და  
 მოთხრობები, სახელდობრ, მოთხრობა „ქართველი კაცი, დე-  
 ნის ქვევრი და ბოჩკა“. ლექსები: „ჭივჭავთ ბაასი“, „ეს და  
 კურდღელი“ და მოთხრობა „კაკალი“, რედაქციამ საბავშვო  
 ჟურნალისათვის შესაფერად ვერ ცნო, რაც აღნიშნულია  
 „ნაკადულის“ რედაქციის ოქმებში, რომლებსაც ხელს აწერს  
 სარედაქციო კომისიის წევრი — მდივანი კარბელაშვილი. წესი  
 ასეთი იყო, რომ ოქმში აღნიშნული ყოფილიყო, ვინ დაესწრო  
 კრებას და ხელს კი მარტო ერთი წევრი — მდივანი აწერდა.  
 მოთხრობა „კაკალი“ ვაჟას აღარ მოუკითხავს და დარბა  
 რედაქციაში, ინახებოდა ჩემთან და ამ ბოლო დროს გადავიკ-  
 ლიტ. მუზეუმს.

ამ შემთხვევის შემდეგ მხოლოდ ერთხელ იყო ვაჟა ჩემ-  
 თან, 1914 წლის ერთ საღამოს. იგი ილიაკომ მოიყვანა.

შემოვიდნენ თუ არა, ილიკომ მითხრა:

— აი, ვაჟა მოვიყვანე. აღარ გვიჯავრდება, მასალასაც მოიტანს და შენც ნუ ემდურები, — შემდეგ ვაჟას მიუბრუნდა: — ნინომ როდი იცის დიდხანს დამახსოვრება.

ჩემი აზრით, ვაჟა თუმცა ილიმებოდა, მაგრამ მაინც უხერხულად დაჯდა მაგიდასთან.

ილიკომ მაშინვე სალამური ამოიღო ჯიბიდან. დაუკრა სხვადასხვა ხალხური სიმღერები, ანეგდოტებიც უამბო. ძალიან უნდოდა გაემხიარულებინა. მაგრამ ვაჟა გაბუტულივით იჯდა, ჩემსკენ სრულიადაც არ იყურებოდა. მეც ვერ ვგრძნობდი თავს ისე კარგად და მხიარულად, როგორც ყოველთვის. შემდეგ ილიკომ თავისი ფლეიტა დაუკრა ნოტებზე: ზოგიერთი ადგილები „ფაუსტიდან“, „ნიბელის სიმღერა“.

ორივე ეს მოტივი ვაჟას მოეწონა, აგრეთვე მარში „აიდადან“. მაგრამ ტანკვიზერიდან „მლოცველების ვალობა“ არ მისწვდა მის გულს.

მერე უმღერა „ყარანა“ და „ლილე“. იწვევდა ვაჟასაც სასიმღეროდ, მაგრამ ვაჟა მხოლოდ ილიმებოდა და ამბობდა:

— ჯერ ვისწავლო სიმღერები, ილიკო, უთუოდ კი შეეისწავლი შემდეგისთვის. შენთან და ილია ქურხულთან წამოვალ, ეზო-ეზო ვიაროთ და ვიმღეროთ; ბევრ ფელსაც მოვაგროვებთ, კარგი სანახავეებიც ვიქნებით. მე ჩემი ძველი ჩოხით, შენც ამ შენი ჩინური ტანისამოსით (ილიკოს იმ დროს ლურჯი ჩინური შარვალი და კაფტანი ეცვა). ყველას თვალი ჩვენზე დარჩება — მე და ჩემმა ღმერთმა, პოეტობას ის აჯობებს!

შემდეგ ლაპარაკი მოგზაურობაზე ჩამოვარდა. ვაჟა ამბობდა:

— ერთი ისეთი პოემა მინდა დავწერო, რომ მასში ასახული იქნას როგორც მთის, ისე ბარის სატყევარი, სიბრძნე და სიხარული. მინდა ჩემ გმირს საქართველო დავატარო და ყველას ჭირ-ვარამი გავაგებინო. მაგრამ ამისთვის საჭიროა, ჯერ მე თვითონ დავიარო მთელი საქართველო. ერთი ეს ომი გათაუდეს, მერე ვნახოთ. ყველაზე უწინ მინდა გურიის-აჭარა ვინახულო. ჰა, შენ რას იტყვი, ილიკო, ერთად წავიდე?

— უთუოდ, — უთხრა ილიკომ, — გურიისაში შენ ვიცნობენ. იქ ხომ ყველამ იცის წერა-კითხვა, შენს ნაწერებს კითხულო-

ბენ და ერთხელ დიდ კრებაზედაც ვილაპარაკე 1905 წელს  
შენს შესახებ, — და ილიკომ უამბო, როგორ ვილაპარაკე  
ხალხს ვაჟას შესახებ.

ვაჟას ძალიან ესიამოვნა ეს ამბავი და ლაპარაკმა თან  
თან გამხიარულდა. ვახშმადაც დარჩა.

ნავახშმევს ილიკომ ბევრი სთხოვა, ღამე ჩვენთან დარჩე-  
ნილიყო, მაგრამ არ დარჩა.

— აქ ან ჩემ ძმასთან, სანდროსთან, ავალ, ან იოსებ იმე-  
დაშვილთან გავათევ ღამეს, — თქვა მან. გამოგვემშვიდობა და  
წავიდა.

ამის შემდეგ ვაჟა ცოცხალი აღარ მინახავს.

\* \* \*

1915 წ. ივნისში ხმა გავრცელდა, რომ ავადმყოფი ვაჟა  
მთიდან ჩამოვიდა საექიმოდ. ქართველი საზოგადოება შემ-  
ფოთდა და ამოძრავდა. „სიტყვაკაზმული მწერლობის საზო-  
გადოება“ შეუდგა ვაჟას სასარგებლოდ, მისივე მონაწილეო-  
ბით, სალიტერატურო საღამოს მოწყობას. ვაჟას ავადმყოფო-  
ბა თანდათან რთულდებოდა. იელისში ის უკვე ჩავარდა ლი-  
გინად. იწვა ჰოსპიტალში, ახლანდელ უნივერსიტეტის შენო-  
ბაში. ვაჟა ყოჩაღად არის და ჩქარა გამოჯანმრთელდებათ-  
წერდნენ გაზეთები. მახსოვს, გარდაცვალების ერთი თუ ორი  
დღის წინ, გაზეთში იყო წერილი, რომ ექიმებმა გადაწყვიტეს  
ვაჟას წადვერში გაგზავნა სრულიად გამოსაჯანსაღებლად.

როგორ მწყინს ახლა, რომ ვერ ვნახე ავადმყოფი. როგორ  
იფიქრებდა ვინმე, რომ ვაჟა აღარ გამოვიდოდა საავადმყოფო-  
დან? მისი გარდაცვალების ამბავი მოულოდნელი იყო ქარ-  
თველი ხალხისათვის. თვით ვაჟას თქმისა არ იყოს, ლექსში  
„გმირის სიკვდილი“ „ცის ქუხილივით გაისმა სოფლად სიყ-  
დილი გმირისა“. სწორედ რომ მეხივით მოულოდნელად და-  
გვატყდა ყველას თავზე ეს ამბავი და დაგვადონა.

ვნახე ის მხოლოდ კუბოში, მისი მოკლედ შეკრეჭილი ქა-  
ლარათმიანი თავი, დამშვიდებით იწვა ყვაილებში, თითქოს  
სძინავსო... მის მეტყველ, გამზდარ სახეზე, თითქოს, არასოდებ  
არ აღბეჭდილიყოს არავითარი უკმაყოფილება და წყენა. მას  
ამშვენებდა განსაკუთრებული ბავშვური ღიმილი და ამ ღიმი-



ლით ის თითქოს, ამხნევებდა ირგვლივ თავმოყრილ, საქართველოს ყოველი კუთხიდან მოზღვავებულ, მგლოვიარე ხადებს. ვაჟას დასაფლავება ორ აგვისტოს 1915 წელს, დასაფლავება კი არ იყო, არამედ თვით პოეზიის საზეიმო მსვლელობა თბილისის შხით გაშუქებულ ქუჩებზე. პროცესიის წინ მიმავალი ქალიშვილები ვარდ-ყვავილებს აბნევდნენ გზაზე, ფერადი ბაირაღები მიირხეოდნენ ნელა. მგალობელთა გუნდები ქებათა-ქებას უგალობდნენ. ვაჟა კი, მაღლა აწეული ქართველთა მოსიყვარულე ხელებით, დამშვიდებული, გაღიმებული ვიღოდა ნელა, აუჩქარებლად, დიდუბისაკენ... და ხალხი, ხალხი, აუარებელი ხალხი, ჩუმად, მდუმარედ მიჰყვებოდა მის კუბოს...

თითქოს, ახლა მიხვდა ყველა, თუ რა ძვირფასია იყო და როგორ უყვარდათ ის, ვინც საუკუნოდ შორდებოდა მათ.

## გიორგი ნაყურბი

ჩარგალში აღზრდილა მათურელი ბავშვი. იქვე დაუქორწინებიათ და უთქომ ჩარგალელსა, ახუნის გადაღმა ერთი ლამაზი, ბახჩასავით ადგილია, იქ დასახლდით. ჭაბუკი მართლაც დასახლებულა მთების კალთებზე, ბახჩასავით ადგილზე, რომლისთვისაც შემდეგ დაურქმევია ყოფნა. ვაჟა ჩვენ ზურგის მეზობლებს გვეძახდა. იმ დროს ყოფნაში სამოცამდე ოჯახი ცხოვრობდა. ხილით განთქმული ადგილი იყო. ცნობისმოყვარე და ენამზე ხალხი ცხოვრობდა. მოლექსეები ამ სოფელში ბლომად იყვნენ. ვაჟას არც ეს გარემოება გამოჩინია. მან პირველად ყოფნაში მოიპოვა მასალები „გოგოთურ და აუშინასათვის“. მწერალმა პოემას ძველი ამბავი უწოდა. მაგრამ იგი არც ისე ძველია. მათურ ნაყურების წინაპარი გოგოთური, მართლაც, ცხოვრობდა ყოფნაში. მისი გმირობა მუჟე ერეკლეს დროინდელ ამბავს ეხება. გოგოთური ყოფილა გარეგნულად ბრვე, სანდომიანი შესახედაობისა. ამირანის ძალია ჰქონია. უყვარდა იარაღი, ესარჩლებოდა დაბეჩავებულ

აღამიანებს. უებარი მეომარი იყო. „ომში რვა ხმელი მძიმე  
თე, მეცხრე თეთრტარა ხანჯალი“, — ამბობს იგი. აღმოსავლეთის  
თურქის საფლავი ყოფილია.

ვაჟას უტყუარ მასალებს აწვდიდნენ ყოფილი მოხუცე-  
ბი: ბეწინიკა, ბუთლა, კოჭლა, მათე, მაშენია, მარტია, ქერ-  
სიკი და ძუგარა ნაყუურები.

ვაჟა, როცა ყოფილაში მოვიდოდა, ისე არ დაბრუნდებოდა  
რომ ლეგენდარული სახალხო გმირის — გოგოთურის სახელი  
არ ეხსენებინა.

## დავით კავლიაშვილი

ხევსურეთიდან დაბრუნებისას, მე ვმუშაობდა „ცნობის  
ფურცელში“, რომელსაც ჯერ კიდევ ხევსურეთიდან ეწვდიდა  
ეთნოგრაფიულ წერილებს. აღ. ჯაბადარის მიერ დაყენებული  
იყო ევროპიულ წესზე, ტირაჟი ჰქონდა დიდი და ვაჟასაც გა-  
ზეთში საპატიო ადგილი ჰქონდა დათმობილი. ერთ დღეს  
ვაჟამ მძიმე ნაბიჯით შემოაღო რედაქციის კარები. ვეღარი  
ფეხზე წამოდგნენ და შემოეხვივნენ პოეტს: შიო ჩატაძე, ვა-  
ლოდია ლორთქიფანიძე, შაქრო ბილანიშვილი, აღ. ჯაბადარა,  
გიორგი ლასხიშვილი, ილიკო აღლაძე, განდევილი. გადინა  
გაქონილი ჩოხის გული, ამოიღო ლექსები და გადასცა ილი-  
კო აღლაძეს დასასტამბად. თანაც დაატანა: — ჩემი ილიკო  
ეს კარგად ვიცი, რო ჩემი ლექსები დაიბეჭდება, მხოლოდ  
იცოდეთ, მთიდან გროშებისათვის ჩამოვსულვარ, ჯამაგირი მე  
არა მაქვს და სახლშიც არა გამაჩნია რა.

აღ. ჯაბადარმა მოახსენა: ბატონო ვაჟა, თქვენ დაგინიშ-  
ნათ უმაღლესი პონორარი — 20 კაპ. სტრაქონზე, ვებლავ  
ჩაბრძანდით კანტორაში და თქვენი ხვედრი მიიღეთ.

იმევე დღეს, ვაჟამ მიმიწვია თავისი ძმის, სანდროს ქორ-  
წილში მეჯვარედ. ვახშამზე თითონ თამალობდა და ვათენ-  
ბისას ყველა მიაძინა, მხოლოდ სმაში ივანე ბუქურაული მის-

დექდა მხარდამხარ. შემდეგ დღეს, ჩვენ ორნი მოეხვდით „ქო-  
სების“ სარდაფში, სადაც თავანკარა ღვინო იშოვებოდა. ჩა-  
მოვადეთ ხანგრძლივი ბაასი თანამედროვე მწერლობაზე.  
ვაჟამ განაცხადა: სანდრო შანშიაშვილის დიდი იმედი მაქვს.  
ვაჟას თავის თბზულებებიდან მარტო „არწივი“ ახსოვდა სა-  
დექლამაციოდ. ხალხურ ლექსებიდან კი უყვარდა:

„ამბობენ მახვევები,  
ხევსურებ ვაჟაქციეთა,  
წითლებ-ყვითლები დროშები  
სამელეს დაეყრიეთა.  
იმათ ნახრევი ისრები  
იმათავ შაფასრიეთა“.

შუალამისას, როცა ქოსებმა დარაბები აუგდეს, ჩვენც სარ-  
დაფი დატოვეთ და გამოვემშვიდობეთ“.

მეორე დღეს ვაჟაც მთაში გაემგზავრა.

1913 წ. ვაჟამ მომინახა „სახალხო ფურცლის“ რედაქცია-  
ში. თებერვალი იყო. საზოგადოება ემზადებოდა ვლადიმერ  
მესხიშვილის იუბილესათვის. ამ დროს მე გატაცებული ვი-  
ყავი ახლად გამოსული კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვი-  
ლის ნიჭით და ჩემი აზრებიც ვაჟას გაუზიარე. სულხანიშვილ-  
მა იუბილისათვის დასწერა „სამშობლო ხევსურისა“ და „აღ-  
რესი“, რომლისთვისაც შესაფერა სიტყვები მაინც ვერ მოე-  
ნახა. იმავე დღეს მე და ვაჟა გავემგზავრებით ავლაბრის  
წმ. მარინეში, საცა ნ. სულხანიშვილი გუნდს ამზადებდა. მე  
გავაცანი ერთიმეორეს. როგორც სულხანიშვილი, ისე გუნდი  
ცას დაეწივნენ ვაჟას იქ მისვლით.

პარტაზე ჩამოჯდა ოთახის ბოლოს. გუნდმა დაიწყო „სამ-  
შობლო ხევსურისა“ ვაჟას სახე აელეწა. როცა სიმღერა დას-  
რულდა, მიიჭრა სულხანიშვილთან და გადაჰკოცნა იმ მშობ-  
ლიურ ჰანგებისათვის, რომელთაც ჰქონდათ გამოძახილი ვაჟას  
გულში.

სულხანიშვილმა მადლობა მოახსენა და ვაჟა შეჰპირდა  
ლექსს.

და მართლაც, მეორე დღეს მესხიშვილის აღრებისათვის  
შემდეგი ლექსი დასწერა:

„ქართულ თეატრის მშვენივალ,  
ღმერთმა აგზადოს წვენაო;  
ვნებათ რაზმებში მებრძოლო,  
სალამს მოგიძღვნიო ყველაო.  
აპოლონიისა ტაძარი  
შენ თვალთ ცრუმს დაესველაო,  
ქართულად ეხვეწებოდი,  
ქართველებს მიე შეველაო.  
ერთ დროს შეწირვა მსხვერპლისა  
მალიან გაგეძნელაო.  
მაინც არჩიე უცხოურს  
სამშობლო დედის კერაო:  
სამშობლო დედის ძუძუსა,  
სხვა შეადრება ვერაო,  
ეს თურმე კარგად გცოდნია,  
მით გადღეგრძელებო წველაო...“

იუბილეზე სულხანიშვილმა გაიმარჯვა. ის და მე გახ-  
რებულები ვჯდებოდით კიდეც ბანკეტზე, რო მსახურმა გუა-  
ნობა: „ვინმე ნაბდიანი კაცი გეძახითო“.

გაველით და დაგვიხვდა ვაჟა. მაშინვე ჩაგვსხა ეტლში და  
პატარა ხანს უკან მასთან ერთად ვისხედით ვერაზე ერთს  
ვიწრო სარდაფში. ვაჟა აღელვებულყო.

— ნიკო, მე ღირსი არ შევიქენ მესხიშვილის საღამოზე  
მიპატიჟებისა. ამიტომ კარში დავრჩი და მხოლოდ ველოდა  
შენ გამარჯვებას. მართლაც ბრწყინვალედ გაიმარჯვე და მი-  
ხარია, მხოლოდ ერთს გთხოვ: ტაშს არ აჰყვე. ტაშს დაეა-  
რავენ და მშიერს მოგკლავენ! აქ ვაჟამ დაასხა ღვინო და  
კიდეც უსურვა გამარჯვება სულხანიშვილს.

## გულქან რაზნიკაშვილი

როცა დედა დაგვეღუბა, მე და მარიამი ჯერ ისევ პატ-  
რები ვიყავით. დედის სახე აღარ მახსოვს. მახსოვს მხოლოდ  
რომ ორივენი: მე და ჩემი და ავად ვიყავით ქუნთრუშით. ვ-

წეკით. მალ-მალ პირა გვიშრებოდა. დედაკაცები შემოდიოდნენ და გადიოდნენ. ბავშვები ლოკინიდან თავს წამოკეციდნენ და წყალს ვითხოვდით ხოლმე. მოჰქონდათ ხან რძე, ხან წყალი და გვაყლაპებდნენ. მეორე მხარეს ვიღაც დედაკაცი იწვა. თავსმდგომი ქალი ჩასძახოდა: კაკე! კაკე! კაკეო! ვაიმე, ხმას აღარ იღებს, დაღუპულაო!

აღარ მახსოვს, რამდენი ხანი ვიყავით აეად. მახსოვს მხოლოდ, რომ თოვლში ფეხშიშველი, ტიტყელი ფეხებით წავედი ჩვენს ნათესავთან, ჭიჭახევს გადაღმა, ბასილაანთას.

შინ რომ დაებრუნდი, თოვლზე ფეხშიშველი ვიდექი ჩვენივე სახლის გვერდით აშენებულ ყორის თავზე. კართან ვიღაც მამაკაცი და დედაკაცი მოსულიყვნენ. დედაკაცი მოვიდა, გულში ჩამიკრა, ხელები მომხვია: ვაი შენს მამიდას, რარიგად დამშრალი ტუჩები აქვს, რარიგად დამშრალი ფეხებიო. შიმვლეგაყინული ფეხისგულებზე ხელები მომიჭირა, იტირა. ფეხები ფესტამალაში შემიხვია და ხელში აყვანილი ბუხართან მიმიყვანა. იგი, როგორც შემდეგ გავიგე, მაშიდაჩემი ყოფილიყო და კაცი კი მამაჩემი, ვაჟა.

დედაჩემის სიკვდილი რომ გავგოთ, ისინი ყვარლიდან წამოსულიყვნენ, მაგრამ დასაფლავებისთვის კი ვეღარ მოესწროთ. დედაჩემი (შემდგომ მეზობლებმა მიაშვეს) ფეხმძიმედ ყოფილიყო. თივის მძიმე ტვირთი აეკიდა ზურგზე, მუცელი მოსწყვეტილდა და გარდაცვლილიყო. მამაჩემი კი იმ დროს პურის საშოვნელად ყოფილა წახული კახეთს. იმ წელს კახეთში დიდი თოვლი მოსულა, რის გამოც მამა დროზე ვეღარ მიჰპატრონებია ოჯახს. ჩვენ, თურმე, მეზობლები გვივლიდნენ და თანაც გვერიდებოდნენ, რადგან ქუნთრუშისა ემინოდნენ.

ერთხელ მე და ჩემი უმცროსი და მარიამი ბუხართან ვიდექით. მამა საიდანღაც მოვიდა. მოიხადა შავი, ვრძელბეწვიანი ქუდი, დაბერტყა, გაიხადა ძველი დაბანდული ქალამნები, სველი იყო და ბუხრის წინ, სიახვე დააწყო. თვითონაც ბუხარს მიუჯდა გასაშრობად, სველი ფეხები ცეცხლს მიუშვირა. პატარა ხანს შემდეგ ვადმოილო ფანდური, დაუკრა და დაამღერა:

თავის პატრონი ენაცლოს  
თავის თვალყვიოულ ციცასა.

დაძვრება მეზობლებშია,  
დამბალ ხაჭოსა ზიდავსა.

ხსნილ-მარხვა გამაგებინა,  
ვემც დამაყრის მიწასა,  
ვინც მაგას წკებლას დამიკრავს,  
ვე იფოს იმის მკედრისადა.

მამა სხვა სიმღერებსაც მღეროდა:

ზესტაფონო, ზესტაფონო, გმორღები,  
ვაიმე ჩემო, ვაიმე ჩემო, ვენახო,  
ზუთ წელიწადს, ზუთ წელიწადს ვერ  
ენახო.

იცოდა ასეთი თქმაც:

მმასა ეგეთა ძმა უნდა,  
უსუპს რო ბადრი ჰყოლია,  
უსუპ კლდეთ გადაეარდნილა,  
ბადრი თან გადაჰყოლია.  
ნეტავი, მაგათ ღუდასა —  
რა კარგი ძმობა ჰქონია!

ხანდახან მამა თხებში მგზავნიდა. არ მიყვარდა თხებში წასვლა. დამპირდა, კარგ, ჭრელ კაბას, დაბალყელიან წალს და ბუზიკასაც გიყიდო. გამეხარდა დაპირება და წავედი თხების სამწყემსავად. მამამ მართლაც მომიტანა თეთრცისფერ წვრილყვავილებიანი საკაბე. სირმებიანი ჩუსტებიც ეყიდა ჩემთვის. კაბა შემიკერეს, გულზე ნაოჭიანი რუში მომიელეს ძალიან მიხაროდა.

ძალიან ღარიბად ვცხოვრობდით, მაგრამ მამასთან სტუმრები გამოულეველი იყო. ჩვენსა სულ ერთთავად თოფისნობდნენ. ერთხელ მამაჩემს შევეხვეწე: თოფი მასროლინემეთქი. მამამ მიპასუხა: ხელში ვერ დაიჭერ თოფსაო. ხარხაზე დაღო თოფი და მითხრა: გამოჰკარ თოფის ჩახმახსაო! გამოვკარი, თოფი გავარდა, მაგრამ ხელიდან გამეყარდა და ძირს დაეცა. მამაჩემი სიამოვნებით იღიმებოდა და თან მკვირდებოდა.

\* \* \*

ჩვენს ახლოს ორი კომლი ცხოვრობდა. ესენი იყვნენ — ბერის მჭედელა და სანიკუანთ ივანე. ორივე ჩვენზე ღარიბები.

იყვნენ. ერთხაც და მეორესაც მამა თავის ძველ ტანსაცმელს აძლევდა. ეს მაშინ, როცა ჩვენ თვითონ ტიტვლები ვიყავით. ერთხელ მჭედელაანთ პური გამოლევდათ. მამაჩემმა მშვიდრები ყოფილან, ფქვილი ჩაუფარეთ, მიეცითო. აღარ მახსოვს ვინა თქვა: ვერ გადაიხდიანო. ვერ გადაიხდიან და ნუ გადაიხდიან, ხალხი მშვიდრები ყოფილან, ახლავე მიეცითო! — გაჯავრდა მამა.

სანიკუანთ ივანეს, მახსოვს, რამდენჯერმე მისცა ხან პურანი, ხან თავისი ნაცვამი ახალობი. მამა, რაც შეეძლო, ეხმარებოდა გაჭირვებულებს. მხოლოდ ზარმაცი, გაურჯელი ადამიანი ძალიან ეჯავრებოდა. თუ ჯველი, ჯან-ღონით სავსე ადამიანი იყო და თავის სიზარმაცით აკლდა რამე, ასეთი კაცის დახმარება ვაჟამ არ იცოდა.

მახსოვს, ჩვენსა ორი ახალგაზრდა მათხოვარი მოვიდა. ეტყობოდათ, ჯანმრთელები იყვნენ. მამამ მათ არაფერი მისცა, მხოლოდ ჭკუა დაარიგა — იშრომეთ და იშოვეთ, მათხოვრობას საკუთარი შრომით მონაგარი სჯობიაო.

\* \* \*

მამა იმდენად დატვირთული იყო საოჯახო საქმეებით და ღამით წერით (თუმცა დღისითაც წერდა), რომ ჩვენს ყურახსავადებლად ვეღარ იცლიდა. სად დაედით, რას ვაკეთებდით ან ვაფუჭებდით, სწირად ის ვერც გებულობდა. თუ მეზობლები მოუტანდნენ ამბავს — შენმა შეილებმა ესა და ეს დაამავესო, მაშინ მკაცრად დაგვტუქსაუდა და გვიყვირებდა.

მახსოვს, სანიკუანთ მელანიას თხილი გაეშალა ბანზე გასაშრობად. მე და ჩვენი მეზობლის ვოგომ სალომემ ქვემოდან ამოვიარეთ. მელანიამ თხილი არ შემოგვთავაზა. ჩვენც ეკლესიის მამულის გორაზე ავედით. დავინახეთ, მელანია სახლიდან მოშორებით, კაკლების ქვეშ იჯდა. ჩვენ დრო ვიხელთეთ. იქვე მამულის ნაღორღი ქვა იყო შეგროვილი. ბანზე გაშლილ თხილს მალედიან დაუშინეთ ქვები და სულ აქეთ-იქით მიეფანტეთ. მელანიამ შინ მოსვლისთანავე დიდი ალიაქოთი ატეხა, ჩვენ კი გავაქვეით. ბებერი უკვე გადასულიყო მამაჩემთან საჩივლელად: ბალებმა თხილი დამიბნიესო. ასეთ შემთხვევაში მამა

ყოველთვის გვიჯავრდებოდა და გვაფრთხილებდა,  
აღარ ჩაგვედინა ასეთი რამ.

\* \* \*

გამიგონია, მამას დედაჩემის სიკვდილზე დაუწერია ლექსი  
„იას უთხარით ტურფასა“.

იას უთხარით ტურფასა,  
მოვა და შეგჭამს ჭიო,  
მაგრე მოხდენით ლამაზო,  
თავი რომ აგიღიაო!  
შენ თუ გგონია სიცოცხლე —  
სამოთხის კარი ღიაო;  
ნუ მოხვალ, მიწას ეფარე,  
მოსვლაში არა ფრიაო.  
ნუ ნახავს მზესა, ინანებს,  
განა სულ მუდამ მზეაო!  
მიწავ შენ გებარებოდეს  
ეს ჩემი ტურფა იაო,  
შენ უპატრონე, უმშობლე,  
როგორაც შენი ზნეაო,

\* \* \*

მამას ჭიჭახევეზე მჟავე და გოგირდოვანი წყაროება აღმო-  
ეჩინა. ჩამოვიდა შინ და ამბობს: ჭიჭახევეს მარცხენა ნაპირზე  
მდინარეს ბექი მოუგლეჯია, მჟავე წყალი გამოჩენილა. ამა,  
ჩემო ქალო, ჭურჭლები და წერაქვი წავიღოთო! იქვე ახლი  
გოგირდის წყალი უნდა იყოს, იმ ადგილას გოგირდის სუნი  
დის, მიწა რომ მოვთხაროთ, აუცილებლად გოგირდის წყალი  
აღმოჩნდებაო.

წავედით, შევევეით ჭიჭახევეს, ავედით ხილიან ველში. ხი-  
ლიან ველის ძირს მართლაც მჟავე წყალი ამოდიოდა. წყალი  
ჭურჭელში მოვავროვეთ. შემდეგ მამამ მიმიყვანა იმ ადგილას,  
სადაც ბექი ჩამოწოლილიყო. გოგირდის სუნი დიოდა ამ მიწას.  
დავიწყეთ მიწის თხრა. თხრიდა მამაჩემი ბექს წერაქვით  
თხარა მანამდის, სანამ წყალი არ გამოაჩინა. თული წურწუ-  
რით ჩამოსდიოდა შუბლზე, მაგრამ მაინც არ ვშეკებოდა. და-  
ვუსკადეთ. წყალი დაწდა. იგი უგემური, თბილი და არასასიამო-  
ლოა.



მოვნო იყო. მამამ ბუერის ფოთლით შეაგროვა წყალი ბოთლში. ამის შემდეგ დახუთვილი, ქარებისაგან და რევმატიზმებისაგან დაავადებული ავადმყოფები დაიარებოდნენ ამ წყალზე და აბაზანებს იღებდნენ, მკურნალობდნენ. მოჰქონდათ საარაყე ქვაბები, კასრები, ვისაც რა გააჩნდა და აშენებდნენ პატარა ფოთლის ქოხებს. წყალზე სამკურნალოდ რჩებოდნენ კვირით კვირამდე. რამდენი ადამიანი მოარჩინა ამ წყალმა. დღესაც ამ წყალზე აუარებელი ავადმყოფი დადის.

\* \* \*

მახსოვს, ზამთარი მიწურული იყო. გაზაფხული ჯერ კიდევ არ დამდგარიყო. მიწა არ იყო ყინულისაგან გამლზვალი. საქონელი გავრეკე ნეკერზე. მამამ წინდაწინ გამაფრთხილა: ჩრდილისაკენ არ გარეკო, არ გაგეპაროს და საქონელი არ გადმოგივარდესო. როცა საქონელში მივდიოდით, სულ ასე გვარიგებდა: ნადირს მოერიდეთ, ან არა დაჰკარგოთ რა, ეშმაკს ნუ ჩახედავთ, საქონელს უგდეთ ყურიო!

მე კიდევ ტყეში მეფანტებოდა საქონელი. ერთი იქით წამივიდოდა, მეორე — აქეთ. ან ქალამანი გამეშლებოდა, ან სახვიელა (წინდის ყელზე შემოსახვევი ძაფი) მომეხსნებოდა, ძროხას მეტი ხანიც არ უნდოდა. ამ ხანში ან კლდეზე გადმოვიდოდა, ან ბექზე, მით უმეტეს, თუ ჯიუტი საქონელი იყო.

გვყავდა ერთი ასეთი ძროხა, რომელიც სწორედ იმ დღეს გადმოვარდა ჭიჭახევის ჩრდილში. სახელად ამ ძროხას იაღბაშას ვეძახდით. შავი ფური იყო, კარგი მეწველი. იაღბაშა მთარული ძროხა იყო, კლდეზე აბლატებულყო. გრძელ ბალახს თუ ცდილობდა მისწვდენოდა. შესხლეტოდა ფეხი და დაყირავებულყო. ველის პირას ვიდექ. ზრიალი მომესმა. მოწყვეტილმა ძროხამ თხილიანები გადმოლექწა და გორაობით ხევში დაეშვა. დავლონდი. მამაჩემისა მეშინოდა, გამიჯავრდებოდა. ძროხასთანაც ვერ მიველ ახლოს. არ ვიცოდი, ცოცხალი იყო თუ მოკვდა. მალე გავიგე, სასიკვდილოდ დაშავებულყო, ფეხები დამტვრიოდა. ის აღარ მორჩებოდა. იმ წამსვე ავირბინე ერთ ტყიან გორაზე და იქ დავიმალე.

არ ვიცი, ჩვენებს ეს ამბავი ვინ შეატყობინა. ცოტა ხნის

შემდეგ ხევის ბოლოს მოადგნენ მამა და ჩემი დედა. თამარი. ვხედავდი თვალთ ყველაფერს. ისინი დაუდნენ. დამიძახეს კიდეც: გულქან, სადა ხარო? მაგრამ არ გამიცია. გატრუნული ვიყავი ერთი ჯაგის ძირში და დან უთვალთვალეზი.

მამა და დედა (ასე ვეძახდით დედინაცვალს) მივიდნენ ძროხასთან, თავს დასტრიალებდნენ, ეწეოდნენ ასაყენებლად, მაგრამ ძროხა ფეხზე ვეღარა დგებოდა. ეტყობოდა, იაღბამა სულს ლევდა. ძროხა რომ მურდლად არ მომკვდარიყო, მამამ იძროხანჯალი, ყელი გამოსჭრა და შეუდგა მის გატყავებას. ხოლო დედამ კი იწყო დანარჩენი ძროხების მოგროვება. თან მუხანჯოდა. მე ვერ გავხედე ხმის ამოღება, სანამ ახლოს არ გამაარა. მერე კი წამოვიძახე ყვირილით: აქა ვარ-მეთქი. მამა ჩემისა მეშინიან, შინ ვერ წამოვალ, მომკლავს მამაჩემი-მეთქი — ვეუბნებოდი დედას. არა გიშავ, ჩაჰყე ძროხებს, თავს გადენო; აღარსად წახვიდე, მამაშენს მე ვეჭყვი და ხელსე არ გახლებსო, — მანუგეშებდა დედა. მეც ცოტა იმედი მომეცა. გამოვყევი ძროხებს ტირილით. დედა ისევ მამას მისაშველებლად წავიდა — ტყავ-ხორცის წამოსაღებად.

დედინაცვალი ძალიან კარგი გეყავდა. არ მახსოვს ოდესმე ჩემთვის და ჩემი დის, მარიაამისთვის ხელი შემოეკრას. მამასთანაც ის იყო ჩვენი ქომაგი. ახლაც, ძროხის დამტყვევებდროს მამას არ გაუულახივარ. ხოლოდ ეს კი მითხრა: ხომ გითხარი შეილო, საქონელს გაუფრთხილდი, მიწა გაყინულა და ძროხები ჩრდილისკენ არ გაუშვაო. რაც მოხდა, მოხდა და შემდეგვისათვის გაუფრთხილდიო.

\* \* \*

დიდ მარხვაში, რომელიც შვიდ კვირას გრძელდება, სახსნილოს არა ვჭამდით: არც ხორცს, არც ერბოს, არც კვერცხს არც ყველს. მარხვაში ჩვენი საჭმელი იყო ნივთების საჭმელი. კაპარი გამუდმებით გვედვა ქილაში; დავისხამდით ჯამბუზე, ჩაიყრიდით პურს და ეს იყო მარხვაში ჩვენი საჭმელი. ხანდახან ქერის პურზე მარილს დავაყრიდით და იმას ვჭამდით. ასევე მარხულობდა მამაჩემიც. ეს მარხვა იმატომ იყო ჩვენი ოჯახში, რომ გაზაფხულზე ძროხები ნაკლებად იწველებოდნენ.

ნენ, სურსათიც იღეოდა და ვცდილობდით საადღეომოდ კარაქის მარაგი დაგვეგროვებინა, რომ შესაძლებლობა გვექონოდა წესიერად დაეხვედროდით სტუმრებს. ეს მარხვა გავწყობდა ხელს, ოჯახში ერთგვარი მომჭარნეობა დაგვეცემა. ბავშვებსაც ამასვე გვაჩვევდნენ პატარაობიდან, თორემ ვერ ვატყვი, მამაჩემს სწამებოდეს მარხვის წმინლად შენახვა.

\* \* \*

გაზაფხულზე, ხენის დროს, მეხრეობა ყოველთვის მე მევალებოდა. მეხრეობაში ძალიან მარჯვე ვიყავი. მამას ვულაღადი ხარებს. თვითონ მამა კი გუთნისდებდა იყო. გუთანს რა ხელს მოჰკიდებდა, ხარებს შესძახებდა:

— ჰო, დილა! ჰო, ჯვარელა! ჰამო, დაადგი ფეხები გუთანს, გაუჯავრდი, გოგო, წინა ხარებს! ჰო, ნიჟარა, ჰო, დეინია! ჰამო, ჰამო! კვალი, კვალი, ჯვარელა! — თუ ვინცობაა ხარი ასცდებოდა კვალს.

კვალის ბოლოში რომ გავდიოდით: — ხი, მოდი, ხი, მოდი, მოდი, ჯვარელა! კვალი, კვალი, გავიდეთ, გავიდეთ, თქვენი ჭირიმეთ! აბა, ხარებო, აბა, ხარებო! — იმეორებდა ხოლმე მამა ხენის დროს.

მაგრამ თუ ლექსის წერის გუნებაზე დადებოდა, ძალე მიაგდებდა გუთანს და მაშინვე შინისაკენ წამოვიდოდა ხმამოუღებლად.

\* \* \*

მამა ძალიან ხშირად ამბობდა ზეპირად ადგილებს „ვეფხისტყაოსნიდან“. მაზხოვს მისი ნათქვამი:

ხატაეთს მყოფნი მოვიდეს, მათგან მოსელისა დრონია,  
სიტყვანი შემოეთვალნეს ლაღნი და უკადრონია:  
„არცა თუ ჩუენ ვართ ჯაბანნი, არც ციბე უშავრონია,  
ვინ არის თქვენი ხელმწიფე? ჩუენზედა რა პატრონია?“

სუფრაზე, როცა სტუმრები ჰყავდა, მამამ იცოდა ხოლმე თქმა:

ასწი დალიე! ნუ გწყდება წელი!  
მეც მომაწოდე, მიშრება ყელი!

პატარაობისას მამა კურდღლის ლექსს მასწავლობდა მას  
მახსოვს ეს სიტყვები:

კურდღული ჩამოცანცალდა  
ფეხმოტეხილი, საწყალი,  
ზურგზე ეკიდა საგძალი —  
თუნგ-ნახევარი მაჰარი...  
ნტავი საით შავროდი,  
მე ვიყავ მაგის ვაჰარი.

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
სამეცნიერო ცენტრი

## ეთერ, რაზიკაშვილი

ექვს წლამდე ვაჟა-ფშაველა თითქმის სულ არ მახსოვს. ის ვიცი მხოლოდ, როგორ იგონებდა ხოლმე მამაჩემი თავის მშობლებს, ძმებს: ვიორგის, ლუკას, ბაჩანას, სანდროს, დას მართლმადიდებლობის გვიკითხავდა მათ ნაწერებს. მათი წერილის მიღება ხომ ხშირად იყო ჩვენს სახლში.

ბირველად ბიძაჩემი ვაჟა-ფშაველა ჩემს ხსოვნაში აღიბეჭდა მაშინ, როდესაც გვეღირსა სახლის დამთავრება. მამაჩემი ძმები — ვაჟა და სანდრო გვეწვივნენ მოსალაოცად. სანდრო მეორე დღესვე წავიდა, ვაჟა კი დარჩა. როგორც ეტყობოდა, კარგა ხანს დარჩებოდა და იმუშავებდა. მამაჩემს უკვე ოთახი ჰქონდა მომზადებული მისთვის. მაგრამ ყველაფერი ჩაგვშალდა, როცა ღამით პოლიცია დაგვესხა თავს და მოჰყვა, ჩხრეკას. სახლში ყველანი აფორიაქებული ვიყავით.

უეცრად ერთმა პოლიციელმა ბუხრიდან ნიკოლოზ II-ს სურათი გამოიღო, რომელიც თურმე თავდაყირა იდო. გაცემულ ბუხრულმა პოლიციელმა ყვირილი ატეხა.

ამაზე ვაჟამ დინჯი ხმით რაღაც წარმოთქვა, რის გამო პოლიციელი სწრაფად მიუბრუნდა და შეეკითხა: — რა თქვით? ვაჟამ უპასუხა: ყრუებისთვის ორჯერ არა რეკავენო, და სანამ პოლიციელი რამეს მოიფიქრებდა, მეორე ოთახში ვაიდა.

მე მაშინ არც რუსული ვიცოდი და ვერც მივხვდი იმ სიტყვების მნიშვნელობას, მაგრამ მამაჩემი დაპატიმრებული რომ წაიყვანეს, ეს კი კარგი ამბავი არ იყო. ვაჟაც მეორე დღეს წავიდა და დედამისს დაუბარა, ოჯახს უმამობა არ დაანიაო.

შემდეგ, ძმების ლაპარაკის და სიცილის დროს გამოიჩინა, რომ ვაჟას უთქვამს: „У всякой вещи своё место!“ ბაჩანას დაცინვაზე — რა ვაჟაკი ხარ, პოლიციელმა დაგაფრთხო და მეორე ოთახში დაიძალე, ალბათ, დონ-კიხოტი ეგონე, არ ჰგვე-ხარ, თუ რაო! — ვაჟამ მხოლოდ გაიღიმა და უპასუხა: განა და-გავიწყდა, „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა ვაჟაკი-საგან?“. უკეთესი იქნებოდა ჟანდარმს ჩავევარდნოდი პირშიო?.“

ბუხარში თავდაყირა დადებული ნიკოლოზის სურათი კმა-როდა მიზეზად, რომ დიდი ხნის სურვილი შეესრულებინათ და სოფლის მეამბოხე მასწავლებელი საცემბიროდ გაემზადე-ბინათ. მართლაც, არ დააყოვნეს, დააპატიმრეს. და ხელ-ფეხზე ბორკილდადებული, ფეხით ციმბირისაკენ გაამგზავრეს 13 წლის ვადით.

მაგრამ მამას 1905 წლის რევოლუციამ მოუსწრო და მანი-ფესტით ყაზანის ციხიდან უკან დააბრუნეს. ეს ამბავი მამას აღწერილი აქვს თავის ერთ-ერთ მოთხრობა „ყორანში“.

ერთი წლის ციხეში ჯდომის შემდეგ მამაჩემი პატიმრობი-დან დაბრუნდა. სახლი ისევ გაივსო პროპაგანდისტებითა და რაზმელებით, მხოლოდ ახლა უკვე აღარ იმალებოდნენ.

მაგრამ დიდხანს როდი გაგრძელდა ეს ბედნიერი დრო. რამ-დენიმე თვის შემდეგ გაისმა: დამსჯელი რაზმები მოდიანო. მა-რთლაც, შორიდან ქუხილივით მოდიოდა ერთ გრუხუნს და ყვე-ლას თავზარსა სცემდა ზარბაზნების ხმა. წითელრაზმელები გაუჩინარდნენ. მათ ჩვენს ბაღში თუ შეხვდებოდით ზოგჯერ ხადილის ჩატანისას, თორემ ისე აღარც ერთი ჩანდა.

ერთხელ მამაჩემი სახლის უკან ბაღს ბარავდა. უეცრად თავს ორი კაზაკი წამოადგა და უბრძანა, გამოგვეყვიო. დედა-ჩემს დაენახა და სასწრაფოდ ვენახში გაგვეგზავნა წითელრაზ-მელებთან, რომლებიც დაუყოვნებლივ მამაჩემთან გაჩნდნენ. იმ დღეს კი ყველა გადარჩა, მაგრამ საჭირო იყო გარიდებოდნენ სოფელს.

მამაჩემმა და მისმა ქვისღმა — შაქრო გაგნიძემ გადაწყვიტეს გარიდებოდნენ. მამაჩემი წავიდა ფშავეში, თავის ძმებთან, მიუ-ვალ ჩარგალში. თურმე პოლიციას ვაჟასი ეშინოდა, ვინაიდან ვაჟა ამბოხების მეთაურად ითვლებოდა.

ჟანდარმერია ვაჟაკიცებით ეძებდა და იჭერდა ყველას,

ვისზედაც კი ოდნავი ეჭვი ჰქონდათ. მაგრამ თედოს ახალ-  
სავალი ვერ გაიგეს. მაშინ ჩვეულ ხერხს მიმართეს: 1906 წლის  
22 იანვარს ჩვენს სახლს ზარბაზნები დაუშინეს. მერე ცხ-  
ლი წაუკიდეს და მთლად გადაბუგეს. ჩვენ წინასწარ შევუ-  
ბინეს მეზობლებმა, დამსჯელი ჯარი მოდის და გამოდით ს-  
ლიდანო.

ოჯახიდან ოჯახში გადაყვავდით მეზობლებს. ერთ ხანს ს-  
მადლოდ პურს გვაჭმევდნენ, სანამ არ მოგვივიდა ამბავი, გორ-  
ში გიბარებნო.

ჩავედით ჩვენს მამიდაშვილ მიხა რაზიკაშვილთან. იქ ღ-  
დაჩემს დახედა მამის წერილი, გვწერდა ვაჟას გამოძევებით.

მიხა მცხეთამდე წაგვიყვანდა მატარებლით. იქ კი ვაჟა-უშ-  
ველა გვიცდიდა ცხენებით. უპ, რა საინტერესო იყო! ჩვენ არ  
მატარებელი გვინახავს მანამდე და ცხენებით ხომ როგორ ვ-  
სეირნებდით!

ჩარგლამდე სამი დღე და ღამე ვიარეთ. ერთი ღამე მცხეთა-  
ში, სადგურზე დავრჩით, ერთი ღამე ღუშეთში გავათიეთ. შე-  
დგე თვალისამდე მივალწიეთ და ღამეც იქ დავრჩით. ზამთარ  
იყო. თოვლით შელესილი აღმართ-დაღმართი ფრთხილ სა-  
რულს მოითხოვდა. მით უმეტეს, ცხენებით პირველად ვმზა-  
რობდით. ფრთხილად, ფრთხილად! — მალ-მალე გვეტყოდა ბ-  
ძაჩემი, — თორემ დამემტვრევით და თევდორეს რაღა პასუხ  
გავცეო. მივალწიეთ, როგორც იქნა, ჩარგლის მიდამოებს.

მამაჩემს მოთმინება აღარ ჰყოფნოდა და ჩვენს შესახვე-  
რად წამოსულიყო. თურმე არ სჯეროდა, რომ უნებლად ვფა-  
ვით, და თვალებიდან სინარულის ცრემლები სცვიოდა.

მივედით სახლშიც. სახლს ჭრაქი ანათებს. ბუხარაც ანთია  
სადაც ზედადგარზე დიდი ქვაბია წამოდგმული. ქვაბი ხან-  
ლისთვის არის გამზადებული. სტუმრები მოვედით, უხანკლოდ  
როგორ შეიძლება! ხინკლის მოლოდინში ვათვალისწინებთ იქ-  
ურობას. ორი პატარა ოთახია. ორივეში თითო დიდი ტახტია  
გაწყობილი, რომლებზედაც შინნაქსოვი ფარდაგებია ვადა-  
რებული. ბუხართან ღვას ერთი ძველი რკინის საწოლი. ის  
ზედაც ფიცრებია გაწყობილი და ქენის ნაგლეჯი გვია. ის ბ-  
ძაჩემის საწოლი ყოფილა. ბუხარის რაფაზე წიგნები აწე-  
ხინკლით დანაყრებული ბავშვები მეორე ოთახში წაგვიყვან-  
ნენ.

მოსასვენებლად. ჩვენს ბიძაშვილებთან ერთად ტკბილად დავიძინეთ.

პატარა ბექობზე არწივის ბუდესავით განმარტოებით ვადმოღვმული ქვა-ტალახის პატარა სახლი ზევიდან ვადმოჰყურებს კალმახებით სავსე ანკარაწყლიან ჩარგულს. მარცხნივ ჭიჭახევაა. დასავლეთით კოწახურის ბუჩქებია. სამხრეთით გაჭიმულან მწვანე ხავერდისკალთებიანი მთები, სადაც აქა-იქ მოჩანს რამდენიმე მოსახლე.

სახლის ოდნავ მოშორებით გომურია. სახურავის ქვეშ, ბანზე, ჩალა-თივა ინახება, რომელსაც საწოლადაც იყენებენ (თუ ვინმე უცხო კაცი მოვიდა) და საქონლის საკვებადაც. ეზოშივეა პატარა ფურნე, სადაც პურს აცხობენ. პური ქვიან, თორე ტალახის გუნდაა. აქ ერთ ხანს მოგვიხდა დარჩენა, თუმცა უჩვეულოდ ბლომად იყვნენ. ვაჟა-ფშაველას ხუთი შვილიდან ოთხი შინ იყო. ვახტანგი მეორე ცოლთან შეძენილი, ჯერ ისევე აკვანში იწვა, ჩვენც სამნი ვიყავით. შემდეგ მამაჩემმა აფხუშოში გადაგვიყვანა ბიძაჩემ ბაჩანასთან. არც იქ იყო უკეთესი პირობები. თვითონ ბაჩანა მალაროსკარში მასწავლებლობდა და კვირაში ერთხელ ძლივს ამოდოდა დატვირთული ხორავითა და წამლებით, რაც მეორე კვირამდე აღარ ჰყოფნიდა მის წერილშვილს და ჩვენ.

თითქმის მთელი წელიწადი დავრჩით ფშაეში და ხშირად მინახავს, როგორ მუშაობდა ვაჟა ფიზიკურად თუ გონებრივად.

სახლის უკან პატარა ადგილი ჰქონდა, სადაც ხორბალს თესავდა. ის ერთი ცხენით და კავიანი გუთნით ხნავდა, ჩვენ კი დავდევიდით უკან და ბელტებს ამოყოლილი ვინტორით\* ვიტკბარუნებდით პირს.

ჩვენი ჩარგალში ყოფნის პირველი გაზაფხულის პირველი დღეებია.

დაისიდანვე ვინჯლავს. ცა შავადაა ჩამობურული. ეტყობა, იწვიმებს. ჩვენ ადრე დაგვაძინეს, ვინაიდან ყველას ფეხებში ვედებოდით. ბიძაჩემს კი, ეტყობა, მუშაობა უნდოდა.

ღამით წვიმამ იმატა და ნიაღვრად იქცა. ჭიჭახევაც ახმაურდა.

\* ვინტორა — ღიმი, მიწისქვეშ იკეთებს ძირებს.

ბავშვებმა, მოგეხსენებათ, მაგარი ძილი იციან, მაგრამ  
სამახსოვრო ღამეს საშინელმა რაღაცამ დაგვაფრთხო  
— დედა-ა — მესმის გუგულის ხმა. — მეშინია, ვინ მოვიდა?  
— არავენ, შვილო, გენაცვალოს დედა, დაიძინე, რამ შუა-  
შინა?

— დევები მოვიდნენ, დედა! დევები! — განაგრძობს გუგული  
— არა, შვილო, დევებს აქ რა უნდათ? დაიძინე.  
— ჰო, ჰო-ო! დევებია, დევები, — უდასტურებს ნინოც.  
მართლაც, ღამის წყვედიანში გაისმის საზარი გრუხინი,  
გრიალი, წივილი, კივილი, სტვენა, ბუბუნი, მტვრევისა და  
მსხვრევის ხმა. გეგონებათ, მართლაც დაძრულან მთელი ქვე-  
ნის დევები, შემოსევიან იქაურობას და სურთ ქვეყნის წაღუ-  
ვაო.

ლოგინში წამოვსხედით, დედაჩემი ცდილობს დაგვანწა-  
როს; გვარწმუნებს, არავითარი დევები არ არსებობენო. ბო-  
ლოს და ბოლოს მამათქვენისა და ბიძათქვენის შიშით ცაში  
ფრინველს ვერ გაუვლია და დედამიწაზე ჭიანჭველას, დევებს  
როგორღა გაბედავდნენ აქ მოსვლას! დედაჩემის ხიტყვებს  
გვეჯერა, მაგრამ ეს ხმაური რომ აშკარად გვესმის!

— დაიძინეთ, დაიძინეთ! — შემოგვეხმა მამაჩემის ხმა. — რი-  
სა გეშინიათ, ბიძათქვენი ვაჟა აქ არ არის? სულ ყურებით მო-  
ათრევს მაგ დევებს და, ნახავთ, რა დღეს დააყრის!

ჩვენც გვწამს, რომ ჩვენ ბიძა ვაჟა-ფშაველას ვველაფე-  
რი ემორჩილება. მამამ ხომ თქვა, ვველას ლაპარაკი ესმის და  
დევების გასაქვავებელ წამალსაც ბალახები ეტყვიან.

მართლაც, დილაზე ვველაფერი მიწყნარდა, მზე ამოვიდა  
ღამის ალიაქოთის ნიშანწყალიც აღარსად იყო.

— ძია, დევები დააბი? — ეკითხებიან ვაჟა-ფშაველას ნინო  
და გუგული.

ვაჟა-ფშაველა იღიმება და მივყავართ ჭიჭახევისაკენ, რო-  
მელიც ოდნავ მომატებულია და აჩქარებით მოწანწკარებს. მხო-  
ლოდ აქა-იქ მოჩანს კლდის ვეებერთელა ნამტვრევები. ჭიჭა-  
ხევას გარდიგარდმო კი გაწოლილია ფესვებიანად მოგლეჯილი  
და წყლისაგან ჩამოტანილი უშველებელი ხე.

— ხედავთ? — გვეუბნება ვაჟა-ფშაველა. — ესენია ის დევები,



წუხელ რომ შევაშინათ. ახლაც გეშინიათ?! პირველად რომ ხმაური გავიგონე, მეც დევებისა მეგონა.

ჩვენ გაოცებულები შევეყურებდით ხან ბიძაჩემს, ხან ჭიჭახევას.

— გახსოვთ, წუხელ რომ წვიმდა. აი, იმ ნიაღვარმა წამოიღო აღმართიდან ეგ ლოდის ნამტვრევები და აქ მოგვიტანა. გზადაგზა ისინი მაგრე ხმაურობდნენ.

— დევები მართლა არ იყვნენ? — ვეკითხებით ბავშვები და აღტაცებით შევცქერით ბიძაჩემს ვაჟა-ფშაველას, და ვიცით, რომ ამიერიდან აღარაფრისა შეგვეშინდება.

მუშაობა ვაჟა-ფშაველამ საღამოობით იცოდა, როცა ბავშვები მივწვებ-მოვწვებოდით. ბავშვები კი, როგორც ვთქვი, ბლომად ვიყავით და, აურზაურის მეტს აბა, რას შევიტანდით ოჯახში!

მიუჯდებოდა ფინხით ავიზგიზებულ ბუჩარს და წერდა თავაუღებლად.

გაზაფხულზე ვაჟა-ფშაველა თბილისისკენ გაეშურა ფერად-ზოლიანი ხურჯინით. სააღდგომოდ დაბრუნდა შინ, სურსათი, მარილი და ნავთი ამოიტანა, თანაც ბავშვებისათვის ვარდისფერი ჩითის საკაბეები მოაყილა. მას ცრემლები უბრწყინავდა თვალებში, როცა ჩვენს აღტაცებას ხედავდა: ფული არ მეყო, თორემ წითელ-წითელ ჩუსტებსაც წამოგიღებდითო, — ვეითხრა თითქმის მობოდიშებით და ეს თვალჩამობღღემილი გოლიათი ისეთი ლამაზი და გულკეთილი იყო, მთელი ქვეყანა რომ მოგედგომოდა, ვერაფერს გადაგვაჯერებდა ამის სიმართლესო. ანკი რა ფული ეყოფოდა ამდენი ბავშვის დაბურებას და მათ მოკაზმვას? თანაც ქალიშვილი ჰყავდა გასათხოვარი და „შიშველ-ტიტველს ხომ ვერ გავუშვებ უცხო ოჯახშიო“, — იტყოდა ხოლმე.

ცოტა ხნის შემდეგ ბიძაჩემ ბაჩანასთან გადაკედით აფხუშოში. აფხუშო ჩარგლიდან დასავლეთით, სამი კილომეტრის მანძილზეა. გზა სულ ტყე-ტყე მიდის ბაჩანას სახლამდე და მთავრდება გოლიათი იფნების ჭალით. მართალია, აქა-იქ პანტიისა და მაჟალო ვაშლის ხეებიც გამოერევა, მაგრამ ჭალა თავისთავად იმდენად დიდებულია, რომ ზღაპარს მოგაკონებთ.

16. მოგონებები გარდასულ დღეთა

აფხუშოს ისე ერქვა სოფელი, თორემ ერთი კომლის მებაიქ  
მაცხოვრებელი არ გვინახავს.

ბაჩანას სახლის ზურგი თითქმის ბექობს მიჭყულებოდა, წი  
გაშლილი იყო მინდორი, რომლის ბოლოს მოქუხდა აფხუშო-  
რა და მისი შხუილი დღედაღამ არ გვაძინებდა, აედრის დრის  
კი ისიც ჭიჭახეკვასავით ბობოქრობდა, თითქოს ვილაყას ერქ-  
რებო.

მაგრამ მთავარი ეს ჭალაა, ჭალა აქაური სახატეა გას-  
ფხულის ერთ მშვენიერ დღეს (სახელდობრ, საეკლესიო დღე-  
სასწაულის ამადღება დღეს) ერთბაშად გაცოცხლდებოდა და  
ახმაურდებოდა ხოლმე, იქ თავს იყრიდა მთელი ფშაე-ხეცე-  
რეთი. აი, მთელ ჭალაში აქა-იქ შეჯგუფულა ხალხი და მო-  
ლის დროშით მომავალ მლოცველებს. მეორე ადგილას ახალ-  
გაზრდები სროლაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. სხვა ადგილას  
ცეკვა-თამაშია გაჩაღებული. ხნიერ ქალებს სასაფლაოს ქვე-  
ზე გაუშლიათ მკვდრების ტანსაცმელი, დაუწყვიათ მათივე ქ-  
მარ-ხანჯალი, იქვე ალაგია ქადა-ხაჭაპურები და მწარედ მოიქ-  
ვამენ შვილების გმირობასა და ვაჟკაცობაზე. სამაგიეროდ, მი-  
ხუცი მამაკაცები ჩამომსხდარან დინჯად და ბჭობენ რაღაცაზე,  
ან იგონებენ აფხუშოზე დაცემული მტრების უკუგდებისა და  
მათი სამუდამოდ გაძევების ამბებს.

მაშინ იმ ჭალის მნიშვნელობა არც ისე მქონდა შეგნებუ-  
ლი, მაგრამ მაინც მიყვარდა მისი სიღამაზე, სიღიაღე. შემდეგ  
კი, როცა წამოვიზარდე და ვაყას პოემების აზრს ჩაეწელი  
დღესაც ვეღარავინ დამაჯერებს, რომ იმ სასაფლაოზე არ  
თხრიდა საფლავს მტრის შემოსევის გამო უკაცოდ დარჩენილ  
სოფელში მოხუცი ხანათა, რომ იქ არ ხდიდნენ ლუღს მტრზე  
გამარჯვების შემდეგ. ჩვენ კი ბავშვებს, ჭალა სათამაშო ადგი-  
ლად გვქონდა გადაქცეული. ვკრეფდით დამზრალ პანტას, მი-  
ქალოს და წიწიბოს.

ერთ დღესასწაულზე თვით ვაჟა-ფშაველა, ბაჩანა და მამა-  
ჩემი თედოც იღებდნენ მონაწილეობას საერთო ზეიმში, ესროდ-  
ნენ თოფს ნიშანში, ან ისხდნენ ფშაველებსა და ხევესურბთან  
ერთად, მათ ახალ ამბებს უყვებოდნენ, ან უკითხავდნენ საქ-  
თარ ნაწარმოებებს.

ვაჟა-ფშაველა გულს არავის აკლებდა, ყველასთან მიდი-



ოდა. ყველას ეკითხებოდა თჯახისა და ჯანმრთელობის ამბებს.  
 თვითონაც მონაწილეობდა შეჯიბრში.

აი, აიღო თოფი, არც დაუმიზნებია და ტყვია ნიშანში მო-  
 არტყა.

ტოლები ალტაცებით და სიამაყით შესცქერიან ვაჟს.  
 ახალგაზრდობა კი თითქოს შურიტაც, მაგრამ ვაჟა ყველას ამშ-  
 ვიდებს: — დაუზარელი ვარჯიშითა და მოთმინებით ყველაფერს  
 მიაღწევთო.

მოხუცებს მოწიწებით და პატივისცემით ეკითხება ამბავს;  
 იცის, რომ მათგან უფრო მეტ საინტერესოს გაიგონებს, მათ  
 თვითონაც უზიარებს გულისნადებს, უკითხავს თავის ნაწარ-  
 მოებებს.

წაკითხვა კი მართლაც განსაკუთრებული იცოდნენ ძმებმა.  
 ვაჟა კითხულობდა დაბალი, ღინჯი ხმით, მაგრამ მისი ხმა მო-  
 წოდებასავით გაისმოდა და მსმენელებიც, როგორც ძველი  
 მორწმუნენი წინასწარმეტყველს, ისეთი სასოებით შესცქეროდ-  
 ნენ.

ბაჩანა, როგორც ყველაფერში, აქაც გამოირჩეოდა თავისი  
 ძმებისაგან. ქოჩორა თავს მაღლა ასწევდა, თვალებს სივრცეს  
 მიაშტერებდა, გეგონებოდათ, იქ კითხულობსო, და დაიწყებდა  
 ლექსის თქმას. ამბობდა და სულში გაძვრებოდა, ცრემლები  
 სცვიოდა და სხვასაც ატირებდა. რომელი ლექსიც არ უნდა  
 ეთქვა, ისეთ აზრს ჩააქსოვდა, მსმენელი იტყოდა, ნუთუ კითხ-  
 ვა არ ვიცი, რატომ აქამდე ვერ ვამჩნევდიო! თან ნერვიულად  
 გაიცინებდა. გაიცინებდა, მაგრამ ეს სიცილი ტირილს უფრო  
 ჰკავდა, ვიდრე სიცილს, და კაცს აფიქრებინებდა, რომ მას ღი-  
 დი ღრამა ჰქონდა გადატანილი. სიღარიბე, გაჭირვება, ცოლის  
 აუადმყოფობა და ორი შვილის უეცარი სიკვდილი განა თავი-  
 სას არ იზამდა! გარდა ამისა, ბარისახოში იძულებით დასახ-  
 ლებას ის ტრაგიკულად განიცდიდა. საქმე კი შემდეგში იყო:  
 ფშაური ადათით თუ კაცი თავის თემიდანვე მოიყვანდა ცო-  
 ლად ქალს, იგი მოკვეთილი იქნებოდა თავის თემიდან. ბაჩანა  
 არ დაემორჩილა ამ ადათს და შეირთო თავისი შეყვარებული.  
 იმავე თემიდან, გურასპაულის ლამაზი ქალიშვილი მარიაში;  
 თემმა ეს არ დაუთმო, მოკვეთა თემიდან, რის გამო ბაჩანა წა-  
 ვიდა მასწავლებლად ბარისახოში და იქ იხდიდა სასჯელს

მთელი ათი წლის განმავლობაში; ამის ნიადაგზე დაწვრილებული  
აქვს პოემა „წაწლობა“.

მამაჩემი ხედავდა ბაჩანას გაჭირვებულ ცხოვრებას და არ  
აქ გაჩერებულა უსაქმოდ. უსაქმოდ ყოფნა, როცა მოკვდები  
მაშინაც მეყოფაო, — იტყოდა. სახლის წინ ნაკვეთი გაღობო  
შემდეგ მოხსნა და ნახევარში ხორბალი დათესა, ნახევარში კარ-  
ტოფილი.

მალე ჩვენი წამოსვლის დროც დადგა. ზოგნი სკოლის  
უნდა წავსულიყავით, ზოგნი აოხრებულ სახლ-კარს მაინც მი-  
ხედავდით. მამაჩემი კი ჯერჯერობით იქვე უნდა დარჩენილ-  
ყო, სანამ ამბავს არ შევატყობინებდით, შევძლო თუ არა ხელ-  
თუბანს დაბრუნება.

თედო მეხუთე შვილი იყო. ხუთ ძმას ჰყავდა ერთი და მარ-  
თა, ერთი ძმა — გიორგი და მართა ახალგაზრდები დაიბოძრეს  
ისე რომ მე მხოლოდ სამი ბიძა მახსოვს. თუმცა უნდა ვთქვა-  
იმ უდროოდ წასულების ისეთი ხშირი ხსენება იყო ჩემს  
ოჯახში, რომ ახლაც, ზოგჯერ, ეჭვიც კი მეპარება, ვეცნობო  
მათ თუ არა. მამაჩემი თავის დროზე ძმების მხრივ არა მარტო  
ზრუნვას გრძნობდა, მათ გავლენასაც განიცდიდა. ამის მოხუ-  
დავად, სკოლის დამთავრებისთანავე, ცხოვრებაში დამოუკ-  
ლებლად ჩაება და გარკვეული გზაც აირჩია. ამ საკითხში ის  
არც თავის საყვარელი უფროსი ძმის, ლუკას (ვაჟა-ფშაველას)  
წყენინებას მოერიდა და, როდესაც მშობლების სიკვდილის შემ-  
დეგ ვაჟამ წინადადება მისცა — დაბრუნებოდა ოჯახს, დაეჭირა  
მამის ადგილი და ოჯახი არ მოეშალა, გადაჭრილი უარი უთხ-  
რა. მომყავს ვაჟას წერილი:

„ძმაო თევდორე!

გატეხით გამაგრებითა ხმალმა ბედენად არ გასჭრაო, ნა-  
ქვამია. მაშასადამე, რაც მე ვითხრა და ვიამბო, შენმა ძმამ  
არასასიამოვნო ამბავი, როგორც ვაჟაკმა, გულმტკიცედ უნდა  
მოისმინო. მართალია, ისეთი არაფერი შეგვემთხვევია, რომ სხვას  
არ შემთხვეოდეს. დედ-მამა უნდა დაიბოცოს, შეილება დაი-  
ნენ. შენი სიზმარი გაგვიმართლდა. მართალია, მიწის ზედა  
დაეცა ჩვენს სახლს: დედ-მამა დაგვეზოცა, ძმა, მაგრამ რა ვუ-

<sup>1</sup> გაღობდა — მიწა ვაასუფთავა ქვა-ლორღისაგან.

ყოთ, მოთმინების მეტი აღარაფერი გვმართებს. მოთმინება და ამასთან გამოფხიზლება; მტერი ბევრი გვეყავს, ბევრს გაუჩიარდა ჩვენი ზარალი, მაგრამ ჩვენ კიდევ იმას უნდა ვეცადო, რომ მტერი ვავაშავოთ და ვაეწიბილოთ... აბა, რა ვუყოთ სახლსა და ოჯახს, მეც რომ თავი დავანებო, ხომ სულ გაოხრდა და გატიალდა იქაურობა. შენი იმედი მაქვს, რომ ჭკვიანი კაცი ხარ და გესმის მომავალი. შენ ეხლავე უნდა ეცადო და, რაც შეიძლება, მალე თხოვნა გაუგზავნო არქიელს, მით უმეტეს, რომ შენ სალდათობა ნარგები გაქვს (№ 61 ბილეთი) და პრისუსტიცამ გამომიცხადა შენზე, თუ ამ ექვსი წლის განმავლობაში იმან მასწავლებლობას თავი დაანება და ყოველ წელს მოწმობა არ წარმოგვიდგინა მასწავლებლად ყოფნაზე, პირდაპირ სალდათად წავაო. რა ვიცით, კაცის თავს რა შემთხვევაა, ძმაო, იქნება დავითხოვონ, ხომ იცი, ჩვენი საზოგადოების ამბავი. შენს თხოვნაში არქიელს განუმარტავ ამ გარემოებას: და დამრჩა გასათხოვარი და ძმა აღსაზრდელი-თქო. ამასთან, სამრევლო სკოლის გახსნასაც დაჰპირდი. რაც შეიძლება ჩქარა ეცადე, იმას ნუ იფიქრებ, ძმაო, რომ ჩემთვის მინდოდეს შენი მღვდლობა. არა, მე ის მინდა, რომ ოჯახში კაცი იყოს ვინმე. მე საითაც იქნება გზას გავიგნებ. ჩემი ძმური რჩევა ეს არის, მე, როგორც უფროსმა ძმამ, გირჩიე ჩემი მოვალეობისამებრ და ახლა შენ იცი და შენმა ჭკუამ — შენი მარადის კეთილის მოსურნე ძმა ლუკა რაზიკაშვილი“.

თელამ მტკიცე უარი უთხრა ძმას, სამუდამოდ ხელთუბანში დამკვიდრდა და შეუდგა მეფისდროინდელი სოფლის მასწავლებლის ბედკრულ შრომასა და მოღვაწეობას. ვაჟა დარჩა ჩარგალში, ბაჩანა ხევსურეთში, გიორგი თიანეთში დასახლდა და ვექილობდა.

\* \* \*

მართა, ჩვენი მამიდა, უწყინარი და უჩინარი, მშრომელი და ძმების დიდი მოყვარული ყოფილა. გათხოვილი იყო ყვარულში. ძმების სტუმრობის დღეს ყველაზე უბედნიერეს დღედ თვლიდა. „დაგენაცვლოთ თქვენი უბედური და მართა, ნეტავი თუ კიდევ მოვესწრები თქვენს ნახვას“, — ეს იყო თურმე მისი გამოსათხოვარი სიტყვები ძმებთან. მართლაც, მალე აღარც ღირსე-

ბია მათი ნახვა. დარჩა ორი შვილი. მიხა და პავლე. მისა სი-  
ძებმა გაზარდეს და თავის გვარზედაც დაიწერეს, პავლე გვარ  
გაჩნდა და ათი წლის ასაკში ხუნავით მოკვდა.

დარჩენილ ძმებში ვაჟა-ფშაველა ყველაზე უფროსი იყო  
და გარეგნულადაც გამოირჩეოდა მათგან: მაღალა, გამბდარი  
(მხარბეჭიანი კი იყო). ბაჩანა იტყოდა ხოლმე: „ხორცმა თუ  
როგორმე ფეხი მოიკიდა მაგის ჩონჩხზე, ბიძა ბოივარს გვერდ-  
ზე ჩამოიყენებს. თვალის რომ ჩამობღღეძილი აქვს, თორმეტ-  
თავიანი დევიც ველარ გაუბედავს შებრძოლებას“.

ვაჟა-ფშაველა დინჯი, დარბაისელი, თავის გახუნებულ  
ჩოხასა და თხელძირიან წულეებშიც დიდებულ შთაბეჭდილებას  
ტოვებდა. როგორც ყველა, მამაჩემიც მოწინებით ეპყრობოდა  
ძმას, და მას ეს ლექსი უძღვნა:

### გ ა ზ ა ვ ს უ ლ ი

(ვაჟა-ფშაველას)

ია ამოვა მთაშია,  
ობოლი შვილი ველისა,  
ნახოვარს ადგილებშია  
კენკეშა აფოდეებისა,  
მერცხალიც დაიჭიკჭიკებს,  
ბულბულიც მოფრინდება.  
მთანი გულს გაგვიხარებენ,  
დაგვეანებულნი ლილასა,  
მემცხეარეც თავის ფართა  
მინდერად დაიდებს ბინასა.  
ვაიფრეინებს ნაზამთრსა,  
ირეში გაღამაზდება;  
ჩირთი\* შემოვა ტყეშია,  
ჩირთს თან გუგულით მოჰყვება,  
მამინ შენც, ჩემო ძმობილო,  
დარდი გულს გადაგვირება.

საერთოდ ძმებს ძალიან უყვარდათ ერთმანეთი.

ძმებთან ვაჟა თავდაჭერილი, მოსიყვარულე და დამთმობი  
იყო. ხშირად ძმები პირს შეკრავდნენ, რომ იგი წონასწორობ-  
იდან გამოეყვანათ, მაგრამ არც ისე ადვილი იყო ამის შესრუ-

\* ჩირთი— ზემცენარის კვირტია ახლადგამოსული ფოთილი.

ლება. ვაჟა ვველას დიმილით შესცქეროდა და თითქოს წა-  
ნებოდა: მოდით, ერთი ვნახოთ, რას დამაკლებთო.

ბიძაჩემის მოსვლა ჩვენს ოჯახში დღესასწაულს უდრიდა.  
მამაჩემიც მაშინვე შეატყობინებდა თავის ყოფილ მასწავლე-  
ბელს ნიკო ლომოურს და კოტე გარაყანიძეს, მათთან ერთად  
წამოვიდოდა სიმღერის მასწავლებელი სიმონ გოგლიჩიძეც.

მოხდიდა მამაჩემი ხელთუბნის მარანში „ვაჟას საზუღაშე“  
ორმოცოკიან ქვევრს და იწყებოდა სტუმრიანობა. თვითონაც  
გადიპატიუებდნენ ხოლმე, მაგრამ ვაჟა-ფშაველა ერიდებოდა  
სხვაგან სტუმრად სიარულს და ბოლოს ჩვენგანაც მალე გაიქ-  
ცოდა ხოლმე: აქ ჭამა-ყლაპვის მეტს მე ვერაფერს ვაკეთებო.  
შენც, აღბათ, დიპი იმიტომ გაქვს დასიებულიო, — ეტყოდა მა-  
მაჩემს. თვითონ თითქმის არა სვამდა. ორი ჭიქის შემდეგ, ყუ-  
ლიც რომ გაგეჭრათ, წვეთს აღარ დაღვევდა. სამაგიეროდ, უყ-  
ვარდა ქვეყნის ამბების გაგება, ლიტერატურის საკითხებზე  
საუბარი. დიდი სიყვარულითა და პატივისცემით ახსენებდა, რო-  
გორც რუს, ისე უცხოელ მწერლებს, ჩვენი ილიათი და აკა-  
კით ხომ ამაყობდა. შოთაზე უბრალო ლაპარაკი არ შეიძლე-  
ბოდა.

ხელთუბანში უყვარდა სახლის უკან, კაკლების ქვეშ წამო-  
წოლა და წიგნების კითხვა. უხაროდა, რომ მამაჩემს კარგი  
ბიბლიოთეკა ჰქონდა.

ერთხელ ჩემს პატარა დებს უთხრა: აბა, რომელი ლექსი  
გიყვართ, მითხარითო. უცბად წამოხტა ჩემი სულ უმცროსი  
და ელიკო და დაიწყო რიზიანად: „არწივი ენახე დაჭრილი“...  
მაგრამ შუა ადგილას შეეშალა, გააქცა და ტირილი დაიწყო.  
ვაჟას ესიაშოვნა, რომ პატარა გოგონასაც სცოდნოდა მისი არ-  
წივის ფასი და შეაქო: აი, შე კუდრაჭა, შენა, შენ ელიკო კი  
არა, გუგული ხარო. ამ დღიდან შერჩა მას ეს სახელი.

ვაჟას მოსწონდა, რომ ჩვენ წიგნებს ვუსხედით, ან სულგა-  
ნახული ვუსმენდით მამაჩემის ან მის მიერ წაკითხულ მოთხ-  
რობას, ლექსს.

ერთხელ, როდესაც მე ჩემს უმცროს დებს — ნინოსა და გუ-  
გულის „შვლის ნუკრის ნაამბობს“ ვუკითხავდი, ბავშვებმა ვე-  
ღარ მოითმინეს და თითქმის ტირილით წამოიყვირეს: რად  
მოუკლეს შვლის ნუკრს დედა, რადა? — ბიძაჩემი იქვე იჯდა.

ამის გაგონებაზე გაელიმა და გვკითხა: — მამ ძალიან შეშინდა?  
დათ? განა არა ფლობია მარტო ერთს მოუკვდეს, დედა გვინდა  
ყველას უკვდებოდესო.

ვაჟას ხუთი შვილი ჰყავდა, სკოლაში კი მარტო ერთი სწე-  
ლობდა. ადგილობრივ სკოლა არ იყო, შვილების სხვაგან წა-  
ყვანა კი მას არ შეეძლო უსახსრობის გამო, რაც ძალიან  
სწყვეტდა გულსა.

მისი ვაჟი ლევანი თბილისის ქართულ გიმნაზიაში სწე-  
ლობდა. ის განთქმული იყო გარეგნული სილამაზით და ცნა-  
თამაშით, რის გამოც ხშირად პატიჟობდნენ სადილ-ეახმოდ  
და საქეიფოდ. ეს მაინცდამაინც არ სიამოვნებდა ბიძაჩემს: სა-  
ლა ფეხებში წაუვა და სწავლას ჩამორჩებაო, თან დააფიქრებდა,  
დროს რა ვუთხრა, დროს, რომ ზოგს ფეხები ყოველდღე აჭე-  
ფებენ და ზოგს თავიც კი ვერ აძლებსო.

მამაჩემს ზამთრობით ხშირად ჩამოჰყავდა ჩვენთან ვაჟას  
უფროსი ქალიშვილი თამარი და სკოლაში ასწავლიდა. ლე-  
ვანიც არდადეგებზე ჩვენთან იყო.

ლევანთან და თამართან ერთად ჩვენთან მოდიოდნენ მოსკ-  
თამარი და კატო მოსაშვილები, მამაჩემის გარეშე მამიდაშვი-  
ლები, პოეტ ილო მოსაშვილის და-ძმანი.

თვით ვაჟასთვის ჩვენს სახლში გამოყოფილი იყო ერთი  
ოთახი, სადაც მას როგორც დასვენება, ისე მუშაობაც შეეძლო.  
მაგრამ ჩვენსას სამი ან ოთხი დღე, დიდი დიდი ერთი კვირა  
დარჩენილიყო, თბილისისაკენ მიემშურებოდა სამუშაოდ. ჩვენ-  
თან ბევრი ბავშვი იყო. ამასთან, გორის საზოგადოება თავს მი-  
ვალებდ თვლიდა გადაეწვია, პატივი ეცა, ქეიფი გაემართა. მის-  
თვის ქეიფი კი წამება იყო, ვერ იტანდა ვერც სმას, ვერც ბურ-  
ხმაურს და აურზაურს, სუფრიდან პირველი ადგებოდა, ვაიღ-  
გამოივლიდა, მეორე ოთახში გავიდოდა და თავის საქმეს ჩა-  
უჯდებოდა ხოლმე. ჩვენ დიდი, სტუმრიანი ოჯახი გვქონდა  
ღვინოსაც ბევრს სვამდნენ, რასაც ბიძაჩემი ხშირად გაღიქმე-  
და შინაურ მიმოწერაში, ან სადმე, ქეიფის დროს. ერთმა ჩვენ-  
მა ნათლიმამამ იგი დაპატიჟა და როგორც ჩვეულება ქონდათ  
ვაჟას ღვინო შიამაღეს. მასპინძლის მამამ ვაჟას თავის გამოსას-



ყიღლად ლქნის დაწერა სთხოვა: ვაჟამ უარი არ უთხრა და  
იქვე ექსპრომტად თქვა:

„გულიც მეყოფა საამოდ, ღვინოს ნუ  
მასმევთ უხვადა,  
თუ დავთვერ, ეს მასპინძლობა მაშინ  
ჩაგივლით ფუჭადა...  
ტვინს ნუ დავჩაგრავთ, ცოდვას, ნუ  
გადეიტყვით კუჭადა,  
თორემ სმით ვერ შემაშინებთ, თუღო  
აქა შეავს ბურჯადა.  
მოართვით, რამდენიც გზურდეთ, ღვინო  
ბიჭს ჩასაყდურჭადა!“

თედოც მხარს უჭერდა: მოგიკვდეს ძმა, თუ გიმტყუნოს,  
მოკლას ხარი თივამაო — იტყოდა და ჩაიკისკისებდა. კისკისი  
კი ძალიან გემრიელი იცოდა.

\* \* \*

ვაჟა წერდა ყველგან, სადაც კი პირობები ხელს უწყობდა.  
შინ ხშირად ნავთიც არ მოეძევებოდა და ფინახით ანთებულ  
ბუხრის შუქზე ქმნიდა თავის დიდებულ ნაწარმოებებს. თბი-  
ლისში კი უფრო მშვიდი გარემო ჰქონდა, მაგრამ თავისი კერა  
ერჩივნა სხვის სასახლეებს. თბილისში ხელნაწერებს ჩამოი-  
ტანდა ხოლმე, სამაგიეროდ, თბილისიდან მიჰქონდა წიგნები,  
გაზეთები, პატარ-პატარა წიგნებად გამოცემული საკუთარი ნა-  
წერები. მათ შემდეგ ურიგებდა მეგობარ-მეზობლებს, რომლე-  
ბიც გულისფანცქალით მოელოდნენ ვაჟას თბილისიდან დაბ-  
რუნებას. წერდა დღეც, ღამეც, ავადმყოფიც კი. ერთხელ თბი-  
ლისში ვიყავი არდადეგებზე. ბიძაჩემი იქ იყო. საშინლად სტკი-  
ოდა კბილი. მე იმ ოთახში დამაწვინეს, სადაც ბიძაჩემს უნდა  
დაეძინა. იქ ერთი ზამბარებიანი ტახტი იდგა. ვიფიქრე, ბიძა  
ტახტზე მოისვენებს-მეთქი და ჩემთვის იატაკზე გავიშალე ლო-  
გინი. ამ დროს შემოვიდა ბიძაჩემი და რომ დაინახა, სად ვაპი-  
რებდი დაწოლას, მკითხა: „რაო, ძმისწულო, ჩემი კანონიერი  
ადგილის წართმევას ხომ არა ჰლამობ? აგერ ზამბარებიანი  
ტახტია შენთვის, წადი და იქ დაიძინეო“. მე ძალიან ვიუარე,  
არ დავწვები, იქ თქვენ უნდა მოისვენოთ-მეთქი. არ ქნა. მე დაჩ-  
ვეული ვარ ასე წოლას, შენ კი შეიძლება გაცივდე და მამამენს

რალა პასუსი გაუცო. მეტი რა ჯანი მქონდა, დაეწყო მათი მთელი ღამე არ ღამძინებია. ჯერ ერთი, მრცხუნრდა, რომ ბატონივით გამოჭიმული ვიწექი რბილ ტახტზე, ბიძა კი ატაკზე იწვა. თავით მუთაქა ეღო (ბალიში არ უყვარდა), თანე კბილი სტკიოდა, მალე სულ ადგა და დაიწყო ოთახში სიარული. ხანდახან მაგიდას მიუჯდებოდა და რაღაცას წერდა მორე დღეს წაგვიკითხა ღექსი „მარტოობა“.

აი, თურმე რად ეჩქარებოდა ხოლმე გორიდან თბილისში წამოსვლა. ჩვენ მისი სტუმრობა დღესასწაულად მიგვიანდა, ის კი იღლებოდა და წერაშიც ხელი ეშლებოდა.

როგორც აღვნიშნე, ბიძაჩემი ძალიან გულთბილად და დიდი სიყვარულით ვევექცეოდა.

განსაკუთრებით უყვარდა ჩემი უფროსი და გულქანი, რომელსაც ჩვენი დიდების (მამაჩემის დედის) სახელი ერქვა და როგორც თვითონ ვაჭა იტყოდა ხოლმე, თავისი მოსახელის ნამდვილი განსახიერება იყო ყველაფრით. დარბაისელი, ნიჭიერი, ბეჯითი. გიმნაზიას ოქროს მედლით ამთავრებდა, რითაც ვაჭა-ფშაველა დიდად ამაყობდა. დაენაცვლა ბიძა, პირწაყარნილი დედაჩემი გულქანია, ეს ნამდვილად გვესახელებსო, იტყოდა ხოლმე. ვაჭა-ფშაველა რომ ქუთაისსა და ფოთში მაიპატიფეს, ისიც თან წაიყვანა.

გულქანისა და ვაჭას ავადმყოფობა ერთმანეთს დაემთხვა. გულქანმა სისხლი ამოახველა და საჭირო გახდა მისი ცემა წაყვანა. ვაჭას ფილტვების ანთებაზე გართულება დაერთო. იყო ამ დროს თბილისში იყო. მთის ჰაერს შეჩვეული ვაჭა თბილისის სიცხეს ჯანმრთელიც ძნელად იტანდა და ზაფხულში თავის დღეში თბილისს არ გაჰკარებია. სანდროსაც კი მთიანეთში იწვევდა ხოლმე. ანთებამ ვაჭას მაგრად ჩასჭიდა ხელი და სიცხე აღარ უნელდებოდა. მამაჩემი დარდისაგან ადვილს ვეღარ პოულობდა, მეურნეობა კი თავისას მოითხოვდა. ხელთუბანში ფუტკრის ყრის და გამრავლების დრო იყო, მკა მოახლოვდა შემდეგ ბალი იყო დასამუშავებელი, თანაც — ორი გაჭირვებული ავადმყოფი! საიდან რა დაეწყო, აღარ იცოდა. ცემა ოთახში მაინც იქირავა, გულქანს წაეყვან, დავაბინავებ, მანამ ვაჭას სიცხე დაუკლებს და იმასაც იქ ჩავიყვან, თორემ თბილისის სიცხით ძმა მომიკვდებაო. მაგრამ ეს უკანასკნელი ძმური ზრუნ-

ვა ვერ შეუსრულდა. სიცხე არათუ უკლებდა, პირიქით, უფრო და უფრო უძლიერდებოდა ვაჟას. ექიმები განძრევის ნებებს არ აძლევდნენ.

როდესაც თედომ საბოლოოდ და მტკიცედ გადაწყვიტა, აღარ დაეჯერებინა ექიმებისათვის და ძმა ცემში წაეყვანა, გორში გაიგო — ვაჟა გარდაიცვალაო. უზომო იყო მისი მწუხარება და კიდევ უფრო გაორკვცდა, როდესაც შეიტყო ვაჟამ თავის „დეკა და ღვიანის“ ნატვრაში დაღიაო სული. მამამ ვაჟაზე ზრუნვა ახლა ავადმყოფ პოეტ იროდიონ ედოშვილზე გადაიტანა, რომელიც გულქანთან ერთად ცემში იყო და ნაძვნარის ჰაერით იხანგრძლივებდა უკანასკნელ დღეებს.

ვაჟა-ფშაველას სიკვდილის გაგებისას როგორც გულქანმა, ისე იროდიონმაც თურმე სისხლი აღებინეს, რის შემდეგაც დიდხანს აღარ უცოცხლიათ არც ერთსა და არც მეორეს.

\* \* \*

უმცროსი ძმა, სანდრო, სამსახურის გამო მუდმივ თბილისში ცხოვრობდა და მისი ბინა არა მარტო რაზიკაშვილების საგვარეულოს საკრებულოდ იყო ცნობილი, აქ თავს იყრიდნენ მთელი რაზიკაშვილების ნაცნობ-მეგობრებიც. მეგობრები კი ბევრი ჰყავდათ.

გარეგნულად სანდრო უფრო ვაჟას წააგავდა და ძალიან ლამაზიც იყო, ამასთან მხიარული, მოქეიფე, გულუბვი, სტუმართმოყვარე. იგი ძმების დახმარებით გაიზარდა და თვითონაც ცდილობდა ვალში არ დარჩენილიყო. ვაჟას ლევანი სკოლაში მიბარებისთანავე ბინად მასთან იყო. იქვე იყვნენ ბაჩანას შვილები: პაულე, ვანო და ვიგლა. სიკვდილის უკანასკნელ დღემდე მისი სახლის კარი ყოველთვის ღია იყო.

ჩამოვიდოდა თუ არა ვაჟა (ხშირად მთელი ზამთრობით რჩებოდა მასთან), სანდრო მაშინვე აფრენდა წერილს ხელთუბანში, მამაჩემთან, ლუკა ჩამოვიდა თბილისისკენ ჩამოიხიერნო.

მამაჩემიც დაიძვრებოდა სხვადასხვა ხორავით დატვირთული: ხურჯინებითა და საკუთარი მარნიდან ამოღებული „ვაჟას სახედაშე“ ღვინით (მამაჩემს მარანში ჰქონდა ვაჟას სახელზე გამოყოფილი ერთი ორმოცკოკიანი ქვევრი, ყველაზე უწინ მას

აავსებდა და იტყოდა: „მინამ ვაჟა არ მოვა, ეს ქვეყრა არ  
ინდებო“. ღვინოს „ვაჟას საზედაშეს“ ეძახდა და ქვეყრს მძინ  
მოხდიდა თავს, როცა ვაჟა ჩამოვიდოდა მთიდან). <sup>დაწვევას</sup>  
რაზიკაშვილების დღესასწაული. მაგრამ თუ დაემთხვეოდა და  
ძმების ზეიმს შეესწრებოდა სანდროს სიამამი ილია პეტრია-  
აშვილი, თავისი ბაკურციხული კახურიტ, მაშინ დაიწყებოდა  
ერთი ამბავი: გაამასხარავებდნენ „ხელთუზნურას“, ვითომ ღვი-  
ნობში წერიათ, — იტყოდნენ, და ელოდნენ, როდის იფეთქებდა  
მამაჩემი, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ საყვარელი ძმა მას  
დაყენებულ ღვინოს უფრო სიამოვნებით შეექცეოდა და მთ  
დაცინვას აინუნშიაც არ აგდებდა. ასევე სიამოვნებით სება  
იმავე ღვინოს, ბიძაჩემი, სანდროს ქეისლი, „ბნელოს“ ატო-  
რი — მელანია — ნიკო ნათიძე, კაცი დარბაისელი, ჭკვიანი, შე-  
სანიშნავი მოსაუბრე, იწყებოდა მხიარული სიცილ-საუბარი,  
ერთმანეთთან გაშაირება, ხშირად ცეკვაც. ამ დროსტარებამ  
რომ უფრო მეტი მხიარულება შეეტანა, მამაჩემი გამოვიდოდა  
საცეკვაოდ და უნდა გენახათ მაშინ, როგორი სიცილ-კიხისა  
ატყდებოდა ვარშემო. აძუნძულდა ჩვენი დათუნათ, დასცემდნენ  
ყიყინას. ის კი უფრო უმატებდა ბრაცაბრუცს და ძალიან ახა-  
ლისებდა იქ მყოფთ.

სუფრიდან ყველაზე ადრე ვაჟა წამოდგებოდა. ძმები და-  
უწყებდნენ დაცინვას: ვერ გაგვიძლო ვეფხვმაო. მოაგონებდნენ  
რომელიმე „ცოდვას“. მაგრამ ვაჟა ღიმილით სავსე თვალებით  
შესცქეროდა ძმებს, თითქოს ეუბნებოდა: იცინეთ, იცინეთ, რას  
დამაკლებთო. ზოგჯერ იყო შემთხვევა, ვაჟაც გამოეხმაურებო-  
და მათ: „იბზუეთ, იბზუეთ, განა არ იცით, ბუზი ყველა ბზუის,  
ფუტკართან ყველა სტყუისო?“ ძმები კი სიხარულით ცას ვწე-  
ოდნენ, გამოვიყვანეთ წონასწორობიდანო. უფრო მეტად უხა-  
როდა ბაჩანას: ის , როგორც ყოველთვის, ყველაზე მწარე-მწა-  
რეს იტყოდა. მას აჰყვებოდა სანდრო. მამაჩემი კი მოწინებით  
ექცეოდა ვაჟას და მისი გაჯავრება დანაშაულად მიაჩნდა.

ასეთი შეკრებების დროს ძმებთან ყოველთვის იყო მათი  
ღისწული მიხა, რომელიც ბიძებს ძმის მაგიერად მიაჩნდათ.

მიხა საკმაოდ ლამაზი და მოხდენილი ვაჟაკი იყო. საშუა-  
ლო ტანის, ბაჩანასავით ქოჩორა, ნიჭიერი და მშრომელი. უწ-  
ვარდა კოხტად და ლამაზად ჩაცმა-დახურვა და თითქმის ყო-

ველდლე იპარსავდა წვერს, იმ ხანებში ცოლი არ ჰყავდა. ერთხელ ვაჟამ მიმართა ლექსით:

„ბიჟო ბირი მოვიპარსავს,  
საარშიყოლ კისერი,  
ბიჟო, რატომ ცოლს არ ირთავ,  
ყურუმსადო, ვის ელი?“

ეს იყო მიზეზი და დაიწყო მათი შაირობა. ვაჟას აჰყვა სანდრო, და უნდა გენახათ. როგორი ოლიმპიური სიმშვიდით უძღვებოდა ყველას ვაჟა.

მშობს ძალიან უყვარდათ ნადირობაზე ლაპარაკი, ივონებდნენ ახალგაზრდობის დროს დახოცილ ნადირს. აჯავრებდნენ მიხას: ვის უფრო მალე იჭერ, ქალებს თუ კურდღლებსო. მიხაკი ნამდვილად განთქმული მონადირე იყო. მიხას ნანადირევთა ფიტულები და რქები დღესაც ინახება მისი შვილის სახლში.

სანდროს წამოწყებულ შინაურულ იუმორულ გაბაახებას მიხა შეთაურობდა. მისი გამონათქვამები სასიამოვნო საკითხავიცაა (დაბეჭდილია ს. ყუბანეიშვილის კრებულში — „ვაჟა-ფშაველა, დოკუმენტები და მასალები“)

ვაჟას ავადმყოფობის დროს ჩემმა დამ ნინომ წერილი მისწერა ავადმყოფ ბიძას. მან იცოდა, რომ მამაჩემი აპირებდა მის ამოყვანას ჩვენთან, მხოლოდ სიცხის დაკლებას ელოდა... ბიძაჩვენო, მაგ ჩახუთულ ჰაერში რას იწვი, აქ ამოდი, სუფთა ჰაერით და თაფლით ხელად მოგარჩენთ!

იმავე დღეებში მამაჩემმა ნინო წაიყვანა ავადმყოფ ბიძასთან სანახავად და თან, თუ შეძლებდა, უნდა დაეტოვებინა მასთან, წყალს მაინც მიაწვდისო. ბიძაჩემს უკვე დღეები ჰქონდა დათვლილი, უარი უთქვამს ბავშვის დატოვებაზე: ამ სიცხემ მე მომკლა, ახლა ეგეც გინდათ დაასწეულოთ, ხედავთ, ისედაც სინათლე გასდის ბავშვსაო.

ნინოს კი უთხრა: შენ, მგონი, ექიმობა გიფიქრია, ჩემო მშისწულო, მაგ გზით თუ წახვალ, კარგს იზამ, თუმცა მე კი ვეღარაფერს მიშველითო.

ნინოსთვის ვაჟას ეს სიტყვები თითქმის ნაწინასწარმეტყველვეი გამოდგა. ნინომ საექიმო ფაკულტეტი დაამთავრა და კარგი ექიმიც იყო.



სოფელი ჩარგალი, სადაც მამაჩემს, ვაჟას თავისი რეზიდენციის უმეტესი დრო გაუტარებია, რამდენიმე წელიწადი შედგება. ამ წიწილებს დღესაც ძველი სახელები ჰქვიათ. მაგალითად: ჩარგლის ჭაღისსოფელი, სადაც მამა ცხოვრობდა და დღესაც ცვხოვრობთ — მისი შთამომავლობა; აფხუშო, სადაც ვაჟას ძმა ნიკო (ბაჩანა) ცხოვრობდა და ბოწახი, სადაც მამის ბიძა და ბიძაშვილები ცხოვრობდნენ.

პაპაჩემის — პავლე მღვდლის დროს ჩვენებს შექმნილ უცხოვრიათ ჩარგალში. პაპას ღუქანიც კი ჰქონია არავეის ჭაღახე, გუდარახის პირდაპირ, ტყიან მთის ძირას; ერთ პატარა გორაზე ახლაც ეტყობა ნაშალი ყორე (ნასახლარი).

პაპაჩემს, პავლეს თავის დროზე ღუქანში დაქირავებული მღუქნე ჰყოლია. პავლეს სიკვდილის შემდეგ ღუქანი გემუვიდრეობით შვილებზე გადავიდა და „ღუქაის ღუქანი“ ღერქვა. მამაჩემს ეს ღუქანი ვინმე ვართანასთვის მიუყვია.

დღესაც ფშაველი მოსახლეობა ამ ადგილს „ღუქაის ნაღუქნარს“ ეძახის, მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას ამ ღუქანმა არასოდეს არ უვაჭრია.

ამ ღუქნის გარდა, პაპაჩემს მღვდლობითაც ჰქონდა საკმარისი შემოსავალი. კახეთშიაც — ართანასა და ახმეტას ჰქონია ნაყიდი ვენახი და ბაღი. იქაც მესვერე და მებაღე ჰყოლია დაყენებული.

მშობლების სიკვდილის შემდეგ მამა ჩარგალში დასახლებულა.

ჩვენც, როგორც მეზობელი გლეხები, ვხნავდით, ვმკიდით, ვთიბავდით. ვამუშავებდით ჩვენს მიწას და რასაც ვღებულობდით ნაყოფს, ეს იყო სულ ჩვენი დედულ-მამულის შემოსავალი. გვყავდა ხუთი თუ ექვსი სული ძროხა, ცხენი, რამდენიმე სული ცხვარი, საბარგოდ ერთი სახედარა ან ჯორი, აგრეთვე ქათამ-ინდაურები.

მთავორების გამო, ურემი ჩვენში არ იცოდნენ, მის მყოფობას ფშავეური პატარა მარხილი ან ყალი (მანჯიკა) სწევდა.

წლიური სარჩო არ მოგვდიოდა. ყოველთვის გვაკლდა ჰერი, რადგან მთამ, საერთოდ, ნაკლები მოსავალი იცის; ამას

გარდა, მამაჩემიც ოჯახის საკმარისს ვერ ხნავდა და სთესავდა, რადგან მეტ დროს წერას ანდომებდა, ქონების მოხვეჭა არ აინტერესებდა. საშუალება კი ჰქონდა, განა არა, შეძლებულად ეცხოვრა, თვითონ ევაჭრა მამისეულ ღუქანში, მთელი ფშაე-ხეესურეთის ერბო-კარაქი თუ სხვა შემოსავალი თავად ჩაეგ-ლო ხელში, რადგან ვერც ზევით და ვერც ქვევით მიმავალი მგზავრი ამ ღუქანს ვერ ასცდებოდა. მარტო ღამის გამთევ მგზავრებიდან მიიღებდა საკმაო ქირას.

მამაჩემმა არც ღუქნის გაქირავება და არც ვაჭრობით ფშაე-ხეესურთა გაყვლეფა არ ინდომა. მან ხალხის გაძარცვას და მოტყუებას არჩია ალალი შრომით ცხოვრება. ვცხოვრობდით გაჭირვებით. რაც გვექონდა, იმას ვჯერდებოდით, ხსნილში სახს-ნილოს ვჭამდით და მარხვაში — სამარხვოს. დანაზოგი — სტუმ-რისთვის გვექონდა შემონახული. მამა სტუმართან მაინც გა-მოჩნდებოდა, თუნდა მეორე დღისთვის ლუკმა-პურიც აღარ დარჩენოდა. სტუმრის დიდი მოყვარული იყო.

\* \* \*

მამაჩემი ხუთი-ექვსი წლიდან მახსოვს. ძუძუსა ვწოდვი ისევ და მიშლიდა, დედაჩემს ეუბნებოდა: ნულარ აჭმევ ძუძუს მაგ ბავშვსაო!

ანბანი შინ მასწავლეს. სკოლა იქვე, ახლოს გვექონდა. სას-წავლებლად პირველად ბიძაჩემმა, ბაჩანამ, წამიყვანა. ექვსი წლის რომ ვიყავი, დედაჩემს სთხოვა, რძალო, ეს ბავშვი გა-მოუშვიოთ სკოლაში — ასობის წერას შეეჩვიოსო, კითხვას ის-წავლისო.

მამა ხანდახან რვეულს გამისინჯავდა და დაწერილს შემის-წორებდა, სისტემატურად არ მასწავლიდა. მოუთმენელი კაცი იყო, თუ სწრაფად ვერ გავიგებდი, გამიჯავრდებოდა.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო. მამამ გადამიშალა ლექ-სების წიგნი, გაჩერდა იმ ადგილას, სადაც მისი ლექსი „კლდე და მდინარე“ იყო დაბეჭდილი:

კლდე შეზღუდა ნობა,  
რაზეც მდინარე დიოდა,  
სალხა, ასპიტსა, დიდრონსა  
ფერულიც კი არა სცვიოდა...

ეს ლექსი თვითონ მამაჩემმა მასწავლა — და როგორ უნდა წარმომეთქვა, ამას აქცევდა ყურადღებას: დუნედ ნუ ხმამაღლა, ცოცხლად წარმოთქვი სიტყვებით, ჩამძახოდა.

სკოლაში მასწავლებლად ბიძაჩემი — ბაჩანა გვყავდა; იმის ლექსიც ვიცოდი:

მუხავ, მიყვარხარ, ტიალო,  
განმარტოებით მდგომარე,  
ერთი შენ გპოვე გულისა,  
ქვეყანა შემოვიარე.

ეს ლექსი „მუხა“ მამაჩემს უყვარდა და ხშირად წარმოთქვამდა ხოლმე მას.

თავის ლექსებიდან მამამ მასწავლა: „არწივი“ და „ქორმა წიწილა წაიღო“.

სათამაშოებიდან მამამ პირველად მშვილდ-ისარი გამიკეთა, მერე დანა და მომცრო ხანჯალი, პატარა ცულიც მომიტანა ქალაქიდან. ხანჯალს უბრალო რკინის რბილი პირი ჰქონდა იმით ვერაფერს ვერ ვთლიდი. მარტო შნოსთვის ვირტყამდი წელზე. დანა კი ფოლადისა იყო და ამ დანით ისრებს, მშვილდსა და წვრილ წნელებს ვჭრიდი ლასტებისათვის.

ბავშვობაში ძალიან თამამი ვიყავი, მოძრავი, ცოცხალი და გაბედული. ამის გამო, მეზობლები ზოგი მამუას და ზოგი მამაილას მეძახოდა. უფრო მეტად უფროსი კაცები მეძახდნენ მამაილას: — როგორ ხარ, მამაილა? — მეტყვოდნენ.

პატარაობისას ძალიან მიყვარდა ჩექმები და დანა. როცა ქალაქში ან დუქანში მიდიოდა მამა, სულ ერთთავად ჩექმებს და დანას ვაბარებდი.

შენი ჭირიმე, მამავ, ჩექმები და „ზავიალოვის დანა“ მომიტანე-მეთქი, — ვეტყვოდი. „ზავიალოვის დანას“ მაშინ ეძახდნენ ერთნაირ, შავტარიან ფოლადის დანას, კვესადაც ვარგოდა — ტალზე აბედს უკიდებდა; საქონლის მწყემსობის დროს როცა გინდოდა, ცეცხლს გააჩალებდა. ჭრაც კარგი ჰქონდა.

ჩექმას ჩემთვის ყოველთვის ვერ შოულობდა. დანები კი ხშირად მოჰქონდა ხოლმე, მაგრამ მე დანას მალ-მალე ვარგავდი — ერთთავად სულ ჩხირებს ვთლიდი, ტყეში შეკარგებოდა და დღენიადაგ მე და დედაჩემი ძებნით ვიყავით ვართული.



გამოირჩეოდნენ ისეთები, ვისთვისაც მიუწვდომელი რჩებოდა ვაჟას დიდი ნიჭი და მაღალი გონება; სამაგიეროდ, ზევნი იყო მოხიბლული მისი ვაჟაკობითა და გამბედაობით. ზევნი ვაჟამ ბოქაულს დასთბლიშაო! ჩვენს ვაჟას „მირიადის-რედნიკისთვის“ გაურტყამსო; ა, ბეჩავ, ეგეთა უნდა ვაყიადო! ვაჟა რომ არ გვყავდეს, რა გვეშველებოდაო! — იტყოდნენ ხოლმე ფშაველები. შენ კი ვერ იქნები, ბაღლო, ეგეთიო? — სიხარულით, სიცილით მეკითხებოდნენ, მეც დავთხლეშ ბოქაულს-მეთქი, — ვუპასუხებდი ყველას, და იმათაც უზაროდათ ჩემი პასუხი.

ერთხელ დედის ძმებში, სოფელ ხორხს ვეყავით: მე, დედა და მამა. ჩემს პაპას (დედაჩემის მამას) გიორგი დიდებაშვილს, ეხოში ბევრი ფუტკარი ჰყავდა. სახლის წინ ეთამაშობდი ბავშვებთან ერთად.

გიორგის სტუმრები ჰყავდა. მათ შორის ჩვენი ცნობილი მეცნიერი აკაკი შანიძე.

თამაშობის დროს ფუტკარმა მიკბინა. მოვრთე ტირილი და მოვკურცხლე შინისაკენ. რა მოვივიდაო? — მეკითხებოდნენ სტუმრები და მამაჩემი. ფუტკარმა მიკბინა და ძოლი (ძვალი) გამიტეხა-მეთქი, — ვუპასუხე კითხვაზე.

ბევრი იცინეს მამაჩემმა და დამსწრეებმაც — ძოლი გაუტეხნია ფუტკარსაო.

თხილის წნელისაგან პატარა გუთანი გავაკეთე: ქუსლი, სამხრე, ხელკუდი, ერთი სიტყვით, მთის გუთნის რა ნაწილებიც ვიცოდი, არაფერი დამიკლია.

გამოვედი ჩვენი სახლის გვერდზე მდებარე ტყიდან, გამოვიტანე ის პატარა გუთანიც, მამაჩემისთვის რომ შეჩვენებინა. გუთნის სიგრძე სულ ოცი სანტიმეტრი იქნებოდა.

ამ დროს მამა თავის ხაწურ მაგიდასთან იჯდა და ფანჯარა ღია ჰქონდა. ზაფხული იყო. მივედი ახლოს და შევძახე ვარდნა: აი, მამა, როგორი გუთანი გავაკეთე-მეთქი.

ჩემს დამახეხაზე მამამ სათვალის ქვემოდან გამოიხედა. ჩემი ნაოსტატარი გუთანი გამომართვა და გულმოღვინედ სინჯვა დაუწყყო, კარგიაო, მითხრა, დაიდო მაგიდაზე გვერდით. უკან აღარ დამიბრუნა, არ ვიცა რისთვის.



იმავე დღეს დედაჩემს უთხრა, ბაღს მეურნეობაში წავიყვანო და საგურამოს სამეურნეო სასწავლებელში წავიყვანო. დედა გაჯავრდა: რის მეურნეობა, ან კი მეურნეობას რაღა სკოლა უნდა, ისედაც ისწავლისო. მამას გაეღიმა. მეურნეობა კი მეურნეობაა, დედაკაცო? საგურამოში მებაღეობის სკოლა არის და იქ ყველაფერს ისწავლის. ბავშვებს აუცილებლად იქ უნდა ვასწავლო.

ამის შემდეგ, დედაჩემსაც აღარ გაუწევია წინააღმდეგობა. მამა მოელაპარაკა დავით ჯანაშვილს, რომელიც სოფელ მალაროსკარში ცხოვრობდა. მასაც ჩემი ტოლი ვაჟიშვილი ჰყავდა, — იოსები. დავითის მეუღლე რაზიკაშვილის ქალი იყო. და ის ჩვენ სიძედ გვერგებოდა. მამაჩემი და დავითი შუთანხმდნენ, ბიჭები საგურამოს სამეურნეო სასწავლებელში წავიყვანოთო.

საგურამოს სასწავლებელში ჩემი წაყვანა თვითონ დავითმა ასე მიაბო: „საგურამოში რომ გამგზავნა ვაჟამ, ხათრი ვერ გაუტეხე, ჩავედი, გავიგე სწავლის პირობები და თქვენთვისაც ბინა ვიშოვნე. როცა იქიდან დავბრუნდი, ვაჟა ჩემს სახლში ავადმყოფი დამიხვდა. გაეცივებინა. საბანში იყო გაბვეული, სახე სრულებითაც არ უჩანდა. მე ვუამბე საგურამოს ამბები. სკოლის შესახებ ვუთხარი, რომ ბავშვებს მშვენიერი ბინა ვუშოვნე. დიდებული ოჯახი, ცოლ-ქმარი, ეტყობა, ღვთისნიერი ადამიანები არიან-მეთქი.

როდესაც ქალზე (დიახსახლისზე) ჩამოვაგდე ლაპარაკი, საბინიდან ცოტა თავი გამოყო და საცოდავად შემეკითხა: „ჯუღუღიო?“ ცუდად კი იყო, ციებისაგან ამბავბავბდა. მე ვაღაურობდი: მელა კვდებოდა და თავი საქათმისაკენ მიჰქონდა, — ვუთხარი. არა, ისე შეგეკითხეო — იმართლა თავი ვაჟამ.

კარგად მახსოვს: მამაჩემმა და დავითმა ჩვენ, პატარები (მე და იოსები), შემოგვისვეს ცხენებზე და წავგიყვანეს საგურამოს ხევში ჩავედით. მოზრდილი რუ მოდიოდა. ჩვენი ცხენი გადახტა თუ მამამ გადაახტუნა, გადმოვვარდი ცხენიდან და თავი წყლისაკენ დავეცი ისე უცნაურად, რომ სანამ ხელი არ მაშველეს, ვერ ავდექი. ადექიო! — მიყვირა კია მამამ, მაგრამ

აბა, როგორ ავღვებოდი! დავითი მომეშველა. ამომათრია ამ  
რუდან და ისევ მამაჩემს შემომისვა ცხენზე.



მივდიოდით გზაზე და მიკვირდა: პირველად ვხედავდი ასეთ  
დიდ მინდვრებს, როგორც საგურამოს მინდვრები იყო. ვღარ-  
ღობდი ძალიან, მაგრამ არ ვიმჩნევდი. ალბათ, მამაჩემმა შე-  
მატყო და მომეფერა. ასე ტკბილად იშვიათად მომქცევია, ალერ-  
სით მესაუბრებოდა გზაში, მართობდა. წამოსვლის დროსაც  
მანუგეშა.

უღედოდ ყოფნა ძალიან მიჭირდა. სახლის პატრონს ღიზა  
ერქვა. კარგი ადამიანი გამოდგა. როგორც ნამდვილი ღუდა,  
ისე მეპყრობოდა და მივლიდა. სხვა ბავშვებზე მეტ ყურადღე-  
ბას მე მაქცევდა.

შემოდგომიდან ახალწლამდის დავრჩი ამ სასწავლებელში.  
საახალწლოდ დაგვითხოვეს. მამაჩემს დავით ჯანაშვილი გა-  
მოეგზავნა ჩვენს წასაყვანად. გზაზე დიდი თოვლი იყო. მაგრამ  
მე სინარულისაგან აღარც თოვლი და აღარც სიცივე არ მიკრ-  
ძენია, ისე ავედი შინ.

მამაჩემი გახურებულ ბუხართან იჯდა, როცა მე და დავითი  
შვევდით შინ; მამას ძალიან ესიამოვნა ჩვენი მისვლა. არ ვიცი,  
ჰაერის გამოცვლამ იმოქმედა ჩემზე, თუ რა იყო მიზეზი, საკ-  
მაოდ მომატებული დავბრუნდი საგურამოდან. მამაჩემმა იბუშ-  
რა: ეს ბაღლი ფუტკრებს ხომ არ დაუტებნიაო? დავითი ჩვენი  
სახლის პატრონის ქებით აღარ დაილალა.

ამის შემდეგ დავრჩი სოფლად, ჩარგალში, ჩემს დებთან.  
ზაფხულობით გულქანთან და მარიამთან ერთად დავედიოდი  
ცხვარ-ძროხაში, ზამთრობით კი ისევ ჩარგლის სკოლაში  
ვსწავლობდი. საგურამოში მამას აღარ წაუყვანივარ: არეუ-  
ლობაა და ეს ბავშვი არ გამიჭყლიტონო.

\* \* \*

რაც მამა მახსოვს, არც უმასწავლებელია და არც რაიმე სამ-  
სახურში ყოფილა. ფშაველი გლეხი, მიწის მუშა იყო, მზუნელ-  
მთესველი და მთიბველ-მომკელი. როგორც ახლა ვაკვირდები,  
მამაჩემი მაინცდამაინც კარგი მეურნე არ გახლდათ, თუმცა ვე-  
ლაფერი ემარჯვებოდა. იმის ხელით გაუკეთებელი აღარაფერი  
რჩებოდა. თვითონ აკეთებდა უღლებს, ტაბიკებს, ცულის ტარს,

ნიჩბებს, ნამგლებს, წაღდისა და ხერხის ტარებს, საჭინოს  
ბაგებს, ბაკებს, წნავდა ლასტებს, მართაუდა საბძლებს, წინა  
და ლატანს, თლიდა საბძლის კავეებს, აკეთებდა მარხილებს და  
სხვა.

ყველაფერს თავისებურად აკეთებდა, სხვების ნახელავს არ  
ჰბაძავდა, რაღაც ახალი შეჰქონდა საქმეში. ხშირად ეს ახალი  
უვარგისი იყო, მაგრამ მაინც თავისებურად გაკეთებული მო-  
წონდა.

მამა კარგად აგებდა ყორეს. ორი ყორული აქვს თავის ხე-  
ლით გაკეთებული. დღემდის არის დარჩენილი ჩვენს სახლით,  
ნასკოლარის ბოლოზე, ვაჟას ხელით აგებული ქვის ყორე კ-  
დევაც დიდხანს გაძლებს ის ყორე. ქვები ლამაზად არის ერი-  
მანეთზე გადაბმული, მოხერხებულად და ოსტატურად გადა-  
კერილი.

საცხენე გომურის კედელიც მამამ თვითონ ააშენა.

თავის ნაკეთები საქმე ძალიან მოსწონდა. შორიახლოს დაუ-  
დებოდა, უყურებდა ხოლმე სიამოვნებით თავის აგებულ ყორეს  
და ამკლელ-ჩამომკლელი მგზაურისა თუ მესობლის დანახვაზე  
იქაძნინდა — აბა, შეხედეთ; ასე უნდა ყორის აგება! აბა როგორა  
ბიჭი ვარო! მართლაც, მამაჩემის აგებულ ყორეს ვერაფერს და-  
იწუნებდა.

შრომასა და საქმეში იყო მუდამ გართული. სულ უუსუ-  
სებდა, უსაქმოდ ვერასდროს ნახავდით. აკი თვითონაც ამბობ-  
და ერთ ლექსში:

არც რომ უსაქმოდ არა ვარ,  
მუდამ ვკოწიწობ, ვჩუჩუნებ.

ჩვენს ეზოში რაც ხეხილები დგას, სულ მამაჩემის დარე-  
ლია.

კალველი ვაშლის ჯიში ფშავში პირველად მამაჩემმა გა-  
აერცელა და ვაშლის ამ ჯიშს ფშაველები დღესაც „ლუკაის  
ვაშლს“ ეძახიან. დღესაც ეკითხებიან ფშაველები ერთი მეორეს,  
ლუკაის ვაშლისა არ გიდგასო? ლუკაის ვაშლმა თეთრი ფერის,  
მოწითალო ნაყოფი იცის, თუ კარგად შეინახავ, აღდგომამდე  
მიატანს.

ვაშლის გასწვრივ, ყორულის პირას, გვედგა ერთი ძარი  
ბალი — „წითელ ჭოპორტულს“ რომ ეძახიან. თვითონ მამა და

ჩვენ, ყველანი, ხელის ბაღს ვეძახდით, რადგან ასასველვლად იოლი ხე იყო; მეც შემემლო ასვლა ზედ, მაგრამ არც მამაჩემმა და არც დედაჩემი ბაღზე არ მიშვებდნენ.

როცა ბაღი დამწიფდებოდა და წითლად დაიხუნძლებოდა, მაშინვე გაჩნდებოდნენ ჩხიკვები და შაშვები. მამა მოჰკლავდა ხოლმე ჩხიკვს და საფრთხობელად ჩამოჰკიდებდა ბაღზე.

ბაღზე აკეთებდა აგრეთვე ვაზეთის ქალაღს, მაგრამ ზოგერთ თამამ ჩხიკვს და შაშვს არ ეშინოდა საფრთხობელასი და იერიში მიჰქონდათ ჩვენს ბაღზე.

როცა ბაღს კრეფდა მამა, მხარ-ილლივ თეთრი ლანინის პარკი ეკიდა ხოლმე და ამ პარკში გვიკრეფდა. მაგრამ სამწუხარო ის იყო, რომ თვითონაც ვერ ბედავდა წვერომდის ასვლას და მხოლოდ ქვედა ტოტებზე მოსხმული ბღის ანაბარა რჩებოდა.

ეზოში რამდენიმე ძირი კაკლის ხეც გვედგა. მათგან, გემოს მხრივ, გამოირჩეოდა: ადრეულა ნასკოლაურის კაკალი (რომელიც დღესაც ჩვენი სახლის დასავლეთით დგას) და აღმოსავლეთის მხარეს — კალოს კაკალი, რომელსაც მამა „ინდოეთის“ კაკალს ეძახდა.

ამისთანა მსხვილი ნაყოფის კაკლები ჩარგალში არავის უდგას. არც ვიცო, ვისი დარგულია: მამაჩემისა თუ პაპაჩემის. დანარჩენი ხეხილი კი, მსხალი და ვაშლი — მამაჩემის დამყნობილია და დარგულია.

ერთი ამბავი მახსოვს ისე ცოცხლად, თითქოს გუშინ ყოფილიყო. ცხრა წლისა ვიქნებოდი. მკათათვე იყო. სოფლად თიბვა-მკა იყო გაჩაღებული. მამაჩემი სათიბზე დადიოდა. მე ვთხოვე თუ თვითონ მოიწადინა, კარგად აღარ მახსოვს, ცელი მომიტანა. პატარა ცელი იყო, სწორედ საჩემო. მხოლოდ ჯერ არ მქონდა ნახმარი, რადგან თიბვაც არ ვიცოდი. ან კი რა უნდა მცოდნოდა ცხრა წლის ბავშვს.

მამამ ცელი ვამიშართა. ცელს რომ მიკეთებდა, მიხაროდა. მეტად მსუბუქი, ლამაზი ცელის ტარი ვამითალა. წამიყვანა სათიბზე ჯვართაკ, სულა-კურდღელას გორებზე საგძლით, წყლის ჭურჭლით და ხალესავით.

დავიწყეთ მამა-შვილმა თიბვა. ამ ადგილებში მაგარი, წმინდა, ქუჩიანი ბაღახი იცის. აქ კარგ ვაჟაკსაც გაუჭირდება

თიზა. ვთიბავთ, ჭადარა მამა თავის ლევა ჩობით  
ტარა ბიჭი, ძველი ახალუხით. მაგრამ რას გაუთიბავდი! ე-  
ლავ ბალახს. ნახევარსაც ვერ ვაჭრევინებ ცელს. მრჩება მტე-  
წილი გაუთიბავი. გადამდის ხვითქი, მაგრამ მაინც ჩემს სას-  
რულს საზღვარი არა აქვს, ჩემი თავი ვაჭკაცად მაქვს წარ-  
მოდგენილი. მამა ხშირად მილესავს ცელს ყველა შუა ნაფთუ-  
ზე\*. გაულესავად ერთი ნაფთევიც ვერ გამაქვს.

სულა-კურდღელაანთ ციხესთან რომ მიადწია, მამამ ხის  
ქვეშ დაისვენა, მე ისევ ვთიბავდი. მიცქეროდა ფიქრში ვახუ-  
ული და დღესაც ვერ ამიხსნია, რას ნიშნავდა მისი მოწვენი-  
სახე! მე ხომ არ შევებრალები. ან იქნებ თავისი თავი ეცოდუ-  
და? ერთი წელიდა იცოცხლა მას შემდეგ. ვინ იცის, აქვს  
კიდევაც ვებრალებოდი და მაჩვევდა შრომას, თორემ მე რა  
უნდა გამეთიბა?.. ჩემი შრომით რა ბარაქა შეემატებოდა თუაბნ

მამაჩემმა ბევრი აღერსა არ იცოდა, შვილები კი ძალიან  
უყვარდით და ვეცოდებოდით. განსაკუთრებით, როცა ხედა-  
და, რომ კარგად არ გვეცვა. ან კი რა ტანსაცმელი და ფეხსაც-  
მელი გაგვიძლებდა ჩვენი ძროხასა და თხა-ცხვარს დაუღველი  
ტყე-ღრეში. ჩვენი მოსვენება არ იყო, არც გაფრთხილება ე-  
ცოდით რამისა.

\* \* \*

მამას ცხენი და იარაღი ძალიან უყვარდა. თოფს ხშირად  
ატარებდა. ხმალსა და ხანჯალს ყოველთვის ირტყამდა. თოფს  
კარგი მსროლელი იყო. ჩვენი სახლის ახლო მიდამოებში  
ხშირად იმართებოდა თოფოსნობა. სროლის წინ დადგამდნენ  
ნიშანს სასროლად. ნიშანი წარმოადგენდა პატარა ფიფარს,  
რომელზედაც ჭიქის ძირზე მოჭრილი ქაღალდი იყო მიწე-  
ბებული. დადგამდნენ ამ ნიშანს საკმაოდ შორ მანძილზე და  
ვინც ამ ქაღალდს მოარტყამდა, გამარჯვებულიც ის იყო. შე-  
ჯიბრებაში ბევრი მსროლელი მონაწილეობდა, განსაკუთრებო  
ჩვენი სოფლიდან, მაგრამ ყველას მაინც მამა სჯობდა სროლაში.

მამას ყოველთვის კარგი ცხენი ჰყოლია. ცუდ, უკლებს  
ცხენს შინ არ გააჩერებდა. მე „ნიკორი“ მახსოვს — შავი, იორ-

\* ნაფთევი — მოცელილი ბალახი.

ლა ცხენი; მხოლოდ, ჩემს ხსოვნაში უკვე ბებერი იყო, ამდენად ბებერი, რომ ზამთარში ვობურის წინ წყლიდან მოსულე კაპუცინი და ვეღარც ადგა. მამამ ბუერი უტრიალა, მაგრამ ვეღარც შევხვარა უშველა. მამას ცრემლი მოერიდა იმ ცხენის სიკვდილზე. შეხვია ფარდაგში და ისე დამარხა.

ვერ გავიმეტე ადრევე გასაყიდად, — იტყოდა ხოლმე მამაჩემი, — დიდი ამაგი ჰქონდა ჩემზეო!

ნიკორის შემდეგ კვიცი იყიდა, წითელი ფერისა იყო და სახელად „ცეცხლას“ ეძახდა. „ცეცხლა“ თვითონ გახედნა. შეჯდა შეუკაზმავ ცხენზე და არბენინა. დედაჩემმაც და სხვებმაც დაუშალეს: — ქვიანი ხურჯინი აჰკიდე და ისე მიიჩვიე უნაგირსაო, მაგრამ არ დაიშალა. სახე და ხელები სულ დაუსისხლიანდა. მაინც არ გაანება თავი, სანამ არ მოღალდა.

\* \* \*

ჩვენს ჯალაფთიდან ე. ი. ბასილაანთ და მწარიანთ ნასახლარიდან სახარე გზა გადადის სარაყდრის გორაზე, რომელიც არაგვის ხეობას გადასცქერის. ამ ადგილს, სარაყდრის გორს, შესანიშნავი მდებარეობა აქვს. პირდაპირ ჯაღოსნური ადგილია, — მარჯვნივ და მარცხნივ ტყით დაბურული. აქედან იშლება მთელი ფშავ-ხევსურეთის ხეობა: არაგვის ღამაში, მწვანე ჭალებით, ლურჯი ტყით, სერებიტა და შორს გაწოლილი კაკასიონის თოვლიანი მთებით. ეს იყო ვაჟას საყვარელი ადგილი ჩარგალში. აკი ნატრობდა კიდევ — როცა მოვკვდები, აქ დამმარხეთო:

დამცქერდეს დიველის გორი,  
ინოს მთა კიუხიანი,  
ყინაღ ნაღრანტი აქა-იქ...  
ხეცები შალდაყინი...

აქ ბევრჯერ სძინებია მამაჩემს, ამ საყდრის გორის მოღზე, ღამარიდან და ხევსურეთიდან მომავალს. სძინებია ნაბაღში გახვეულს. თავისი საყვარელი ცხენი ნიკორი კი მოღზე მიუშვია საბალახოდ. ცხენს არც დააბამდა, იმიტომ, რომ იცოდა, პატრონს არ მიატოვებდა არასოდეს. ასე ჰყავდა თავისი ცხენი შეჩვეული და გამოზრდილი.

\* \* \*

მამაჩემს უყვარდა დასვენება ივლიანთ გორზე. მდებარეობს ჩარგალშივე, სადაც ამჟამად ვაეას სახლ-მუხუმი, მდინარე ჩარგლულას გადაღმა, — სამების შთის მხარეზე. ახუნის გადასასვლელის შუა წელში, მოედანზე, როგორც წერილი კოშკი, იდგა ხმელი წიფელი ერთი ტოტის ამარა.

ეს ხე ჩვენი სახლიდან დღედაღამ მოჩანდა და მას მამაჩემი, მთელი ჩვენი ოჯახი და მეზობლებიც „ხმელ წიფელს“ ვუძახდით. ამ ხეს ორივე მხარეს ნიაღვრისაგან მიწა შემოსილია და მაღალ ბორცვზე დარჩენილს მსხვილი, დაგრებილი ფესვები ვეებერთელა თასმებივით გართხმოდა აქეთ-იქით.

აი, ამ ხმელი წიფლის დასწერივ არის დაკიდებული და თავში ამოზურცული მწვანე გორა, რომელსაც ივლიანთ გორა ეწოდება. გორის აღმოსავლეთით, ახუნის ხევისკენ, დიდი წიფლიანი ტყის ნაპირზე, მიჰყვება იელის ბუჩქნარი. ალბათ, ამ ტომაც ეწოდება ამ გორას ივლიანთ გორა.

ხშირად დავდიოდით მე და მამაჩემი ახუნის ხეებზე ფოლის საკრეფად. როდესაც ქვაბსა და ტაგანს ფოლოთი გაეაყვებოდა, წერილი ბილიკით გადმოვუყვებოდით ივლიანთ გორისკენ და თითქოს გათენდაო, თვალწინ გადაგვეშლებოდა მზიანი ჩარგალი. აქედან ჩვენი სახლი მდინარე ჩარგლულას ნაპირას და სახლის წინ მოსიარულე ადამიანები პატარა წერტილებივით მოჩანდნენ.

ამ გორაზე დავისვენებდით ხოლმე მე და მამა. ვაეა იჯდა უძრავად და გასცქეროდა ჩარგლის ხეობას, ირგვლივ გადაშლილ თვალწარმტაც პეიზაჟს.

მე იმდენად სანახაობა არ მზიბლავდა, როგორც ქვების სროლა აქედან. მაღლიდან ხევში ნასროლი ქვა შორს მადიდოდა და მეც გატაცებით ვტყორცნიდი ქვევით თხელ სიფრიაფანებს.

მამაჩემის საყვარელი ადგილი იყო აგრეთვე ჩვენი ეზოს კუთხე, სახლის დასწერივ, ჩარგლულას ნაპირზე, სადაც იფანი დგას ამ იფნის ქვეშ იჯდა ხოლმე, როდესაც ისვენებდა ბოსტანში ყორულში მუშაობის დროს, ანდა, როცა ბოსტანს ვთოხნიდით, ვბარავდით ან ვლორღავდით.



გაზაფხულზე, ვიდრე ჩარგლის ჭალები და ტყეები შეიჭრებოდა მწვანე ფოთლით და ველებს მოეფინებოდა მრავალგვარი ბულულა და ყვაილი, ყველაზე ადრე ერთი არყი ამწვანდებოდა მთელ ხეობაში. ეს არყი დღესაც ღვას ახუნის ხევის თავზე, ჩარგლულას გაღმა და პირდაპირ ჩვენს სახლს გადმოსცქერის. ამ არყის გაშლას ყოველ გაზაფხულზე მამაჩემი ძალიან შეჰხაროდა: — ეგ არის გაზაფხულის მახარობელიო; ყველას სთხოვდა და აფრთხილებდა არაეის მოეჭრა ეს არყი.

ყვაილებიდან მამას ყველაზე მეტად ია უყვარდა. მოკრეფდა რამდენიმე ღერს და ყნოსავდა ხოლმე. ეს რომ ვიცოდი: მეც გავიდოდი ჩვენს გვერდით, მახლობელ ტყეში, მოვკრეფავდი იებს, შევკრავდი კონაღ და მივართმევდი, როცა იგი ფანჯარასთან იჯდა და გატაცებით წერდა.

წერის დროს სარკმელი ხშირად ღია ჰქონდა. მეც გარედან გადავაწოდებდი ხოლმე იის კონას. მამა სიხარულით ჩამომართმევდა, მაშინვე წყლიან ჭიქაში ჩადებდა და დაიდგამდა ახლოს.

მე ვგრძნობდი, რომ დიდხანს ლაპარაკით მამას ხელი ეშლებოდა წერაში და უმაღლ მოვერიდებოდი ხოლმე ფანჯარას.

\* \* \*

მამას ფანდური ყოველთვის გვერდით ედო, მაგრამ ხანგრძლივი დაკვრა და სიმღერა არ უყვარდა; ერთი ჩაჰკრავდა თითებს და უმაღლ გადადებდა გვერდით, ან წერას მიუბრუნდებოდა, ან ადგებოდა და ბოლთას სცემდა მცირე ხნით, ან კიდევ დაწვებოდა გულალმა, ბალიშს ბალიშზე დაიდებდა, რომელიმე წიგნს მიიყრდნობდა მუხლებზე და კითხულობდა. ძალიან ბევრს კითხულობდა. მწოლიარე ავადმყოფიც რომ ყოფილიყო, აუცილებლად მოიხვევდა იმერულ ბაშლაყს და ისე იწვა. დაწოლილიც კი დროს არ კარგავდა და კითხულობდა წიგნს. მხოლოდ რომელ წიგნს — ეს არ მახსოვს.

იმ წიგნებიდან თვალწინ მიდგას ერთი მოზრდილი წიგნი წითელი ყდით, რომელიც, როგორც შემდეგ გავიგე, ლევ ტოლსტოის ნაწარმოები იყო. წიგნის პირველ გვერდზე ეხატა ლევ ტოლსტოი თავისი თეთრი, გრძელი წვერით.

მეტად უცნაური ხასიათი ჰქონდა მამას. თუ გული რამეზე მოუვიდოდა, იყო მძვინვარე, როგორც ვეფხვი. ახლოს ვერ გაუკარებოდი, იყო სრულიად უშიშარი და უკან დაუხვეული თუთა სიკვდილის წინაშეც კი. ჩვეულებრივ კი, მამა იყო მეტწილად მშვიდი, წყნარი დარბაისელი, გულალაღი, ბავშვივით მამა. ტი, უეშმაკო და მეტიმეტი მგრძნობიარე. მაშინვე ცრემლი მოადგებოდა ხოლმე თვალებზე, თუ ისეთ ამბავს ეტყოდა ვინმე.

თუ ვინმეს სიკვდილს გაიგონებდა, ჭირისუფალივით მეწუხდებოდა. სოფელს ჭირსა და ლხინში გვერდში ედგა და არ გამოირჩეოდა მათგან, თავს არავისზე მაღლა არ აყენებდა. პარიქით, შინაურებში თავმდაბალი იყო. აფასებდა — პატიოსნებას, სინდისს, უყვარდა ადამიანის სამსახური და ხალხის ზნე-ჩვეულების პატივისცემა. არ დააკლდებოდა არც ხატობას, არც ქორწილს, არც ხალარჯობას\*. ყველგან გაჩნდებოდა თავისი ხარჯით.

სადაც საკლავი, სასმელი, ქადა-პური, ზედაშე, საწირავი ან ფული იყო საჭირო, ყოველთვის და ყველაფერში მონაწილეობას იღებდა და ირჯებოდა. თავის წილს არავის არ აკლებდა, არც ხატსა და არც ხალხსა.

თუ დასტურობა ევალებოდა (ლუღის დუღება სამარაამოდ), დასტურობდა, მასპინძლობდა სხვა ფშაველი გლეხებივით, რომ არავის არ დაეყვედრებინა გადაგვარება და დიდკაცობა. ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა, მცირე თქმაში ბევრს იტყოდა. ახასიათებდა მოკლე და აშრიანი მეტყველება, დარბაისლური კალი.

ადამიანის დაჩაგვრას ვერ იტანდა. სხვებთან ყოველთვის ამაზე მოსდიოდა უხიამოვნება. იტყოდა ხოლმე საჯაროდ: „კაცნო, ერთურთს ნუ სჩაგრავეთ, ერთურთი უნდა გავიტანოთ!“

მამა დიდად აფასებდა ოჯახს, მშობლიურ კერას. მახსოვს, სტუმრები გვეყავდა; ჩვენსა იყვნენ: ბიძაჩემი გრიგოლი, მეზობლები და სხვები. ყველანი ხინკალს შემოსხდომოდნენ, მამა მათ ღვინოს ასმევდა. იჯდა ტახტის წინ და მუხლებზე ღვინიანი ხელადა ედგა, ილოცებოდა, ჩვენი სახლის ჭერის სად-

\* ხალარჯობა — საეკლესიო დღესასწაული, სულიწმინდას მიუძღვნის დღე

ლევრძელის სვამდა და აღარებდა ცას. მხატვრულად თქვენს  
სადღევრძელს და კარგად ვერ დავიხსოვ, შექვიფიანეს  
ყო იმ დღეს, რაღაც არაჩვეულებრივი გულგახსნილობა და მზი-  
არულობა ეტყობოდა.

\* \* \*

როგორც შემოთაც ვთქვი, მამას ართანაში და ახმეტაში ვე-  
ნახები ჰქონდა, მეზერეცა ჰყავდა მეზერე ვენახს სანახევროდ  
აკეთებდა. მამაჩემს თავისი წილი ღვინო, თიანეთის გზით, ცხე-  
ნებზე აკიდებული ტიკებით მოჰქონდა ჩარგალში და ქავე-  
რებში ასხამდა. ქვევრები საჯალაბო ოთახში იყო მიწაში ჩად-  
გმული, ღვინის ნაწილს კი ტიკებით ინახავდა.

სტუმრის მოხვლის დროს, თავის საყვარელ საქმეს, წერა-  
ხაც კი მიატოვებდა, კაცს არ გააბრუნებდა უკან, რომ არ შე-  
მოეპატიუა, პატივი არ ეცა, არ გამასპინძლებოდა. თავის ნა-  
წერს სტუმარსაც წაუკითხავდა, განსაკუთრებით — ლექსებს.  
ლექსს რომ წაუკითხავდა, თან შეეკითხებოდა. როგორ მოგ-  
წონსო? აბა, ვინ დაუწუნებდა, ყველა უქებდა ნაწერს. მასაც  
ეს ესამოვნებოდა. მხოლოდ დიდად თავის მოწონება არ იყო-  
და. ლექსს უბრალოდ კითხულობდა, ყოველგვარი დეკლამაცი-  
ის გარეშე, სადად, გასაგებად. ცდილობდა მხოლოდ რომ მკითხ-  
ველისთვის ლექსის აზრი ნათელი ყოფილიყო.

მეზობლები მამას სცნობდნენ, როგორც დიდ პოეტს და  
მისი ბევრი ლექსი და პოემა „ბახტრიონი“ სულ ზეპირად  
იცოდნენ. ასეთები იყვნენ, მაგალითად: ღვთისო და მიხა მთიბე-  
ლაშვილები, ოსა ზურაბაშვილი, ხეხერა ზურაბაშვილი, ბესო  
პირქუშაშვილი და სხვ.

ღვთისო მამას დიდად მეგობრობდა. ეს უსწავლელი კაცი,  
რომელსაც სკოლა არ ენახა, ნაკითხი და მეტად განვითარებუ-  
ლი იყო. მას მეტსახელად „არჯალანთ ხმელას“ ეძახდნენ,  
რადგან ხმელი, შავგვრემანი კაცი იყო, უკვე ხანში შესული,  
თუმცა ჭადარა ნაკლებად ერია. იგი დინჯი და სიტყვაძვირი  
იყო. ორიოდე სიტყვით შეაფასებდა მამაჩემის შრომას. მამა-  
საც სწორედ ეს მოსწონდა, რომ მასში ცბიერებას და სიცრუეს  
არ ხედავდა.

თავის ნაწერებს მამა უკითხავდა მეზობელ ქალებსაც, ვინაც

სურვილი ჰქონდა მოესმინა მისთვის, უკითხავდა სურვილებს წერა-კითხვის უცოდინარ ფშავლებს. მის ლექსებს ყველა გიბულობდა, ხალისით უსმენდა.

\* \* \*

ამ პატარა სოფელ ხოდის ჯეჯილები კარგი სანადირო ადგილები იყო და მამასაც აქ უყვარდა კურდღლებზე ნადირობა. ეს სანადირო ადგილები იყო: არჯალაანთ და საძვრიათ ველები (სადაც შველები იცის) და ნადირყუნის მამული.

ერთხელ, გაზაფხულზე, ნადირყუნის მამულში, თბილის ქვეშ დავსხედით მე და მამა, და ველოდებოდით კურდღლის გამოსვლას ჯეჯილში.

— ხმამალა არ ილაპარაკო! — გამაფრთხილა მამაჩემმა, — აქ კურდღლები გამოვლენ და ხმას რო გაიგონებენ, დაფრთხებიან.

კარგა ხანს ვისხედით, მაგრამ ამოდ ველოდებოდით ნადირის გამოსვლას. შემოვუარეთ ველს გარშემო და ღვეწვით შინისაკენ მიმავალ ბილიკს. ჩვენი ყორულის თაუზე, სათიფე შარაში რომ ჩავედით, ხევს გაღმა, მთელი სისწრაფით მირბოდა დამფრთხალი კურდღელი. კურდღლის დანახვაზე მე ყვირილი მოვრთე. ის იყო შუა მამულს შიდალწია კურდღელმა და თოფმაც იგრიალა! კურდღელმა თავქვე გამოუხვია და რამდენიმე ნაფრენის შემდეგ მიწაზე გაიშხლართა. გავიქეცი, კურდღელი დავითრიე, ჩამოვიტანე ხევში. მამამ გამომართვა, გამიღიმა და მითხრა: ნახე, როგორი ბიჭები ვართო!

მართლაც, საკვირველი იყო. ასე შორს მანძილზე საფანტანანი თოფით ნიშნის აუცდენლობა.

მტრედებზედაც დაედოლით სანადიროდ მე და მამა ზენა სოფელს, ნახნავებში.

\* \* \*

მამას ძალიან უყვარდა თევზაობა, განსაკუთრებით კალმანის ჭერა.

ერთ დღილას მე და მამაჩემი სახლის ბოლოდან საჭით შეყვებით მდინარეს სათევზაოდ. ბევრი კალმანი დავიჭირეთ... კალ-

მახეზი კავიანხის ტოტზე ავასხით და მე მიმიქონდა. მამა კი  
ნემსკავს უთრევდა მორევში. თევზი კარგად ებზოდა.  
ერთი კვირის შემდეგ მე და მამამ ჩარგულუას ტოტი და-  
წყვიტეთ. გუბეებიდან კალმახები ამოგვეყავდა, წყლიან ქვაბში  
ყვრიდით.

ერთ გუბეში შეგვხვდა ლურჯი მცურავი. მე ისე შემაშინა  
იმის დანახვამ, რომ აღარც წყალში ჩაესულვარ და აღარც  
ქვისქვეშ შემიყვია ხელი თევზის საძებნელად. მამას შეეძლო  
მოეკლა მცურავი, მაგრამ ხელი არ უხლია. მითხრა: გაუშვი,  
მაგას თავისი გზა აქვსო!

ჩვენს ეზოში იცოდა გველები, მაგრამ მამას მათი დაზოც-  
ვა არ უყვარდა. მაგათ შურისძიება და გადაკიდება იცინათ.

მართლაც, ერთი ასეთი შემთხვევა მოხდა ჩვენს ოჯახში.  
ჩვენი სახლიდან ასი მეტრის მანძილზე, ჭიჭახევის გადაღმა,  
სასმელი წყაროს თავზე, იდგა და დღესაც განმარტოებით ღვას  
ერთი იფნის ხე.

ამ იფნის შესახებ ძველი, ხალხური გადმოცემა მოგვითხ-  
რობს, ვითომ ეს იფნი იყო ხატის იფნი. ხვეისბერების და მო-  
ხუცი კაცების საუბრიდან ჩანდა, თითქოს ამ იფანზე ლაშარი-  
საკენ ხატხევიდან მომავალი ანგელოზი კოჭს იკიდებდა.

ხატხევის სალოცავი არის ჩარგლის მთის საშუბის გადაღ-  
მა, ივრის ხეობაში. აქედან არის ოქროს შიბი გაბმული უკანა  
ფშავის შუაგულში მდებარე ლაშარის სალოცავამდის, და ეს  
ოქროს შიბი გადის ჩარგლის იფნის წვერზე, სადაც ანგელო-  
ზი ისვენებსო.

ამ იფნს მამაჩემმა თავისი ხელით შემოავლო ქვის ყორე  
საქონლის ბაკისთვის, სადაც ზაფხულში ღამით საქონელი გვე-  
ყენა. მამაჩემის ხელით გაკეთებული ყორის ნაწილი დღესაც  
ღვას იფნის გვერდით. იფნის ქვეშ ორი დიდი გველი ცხოვ-  
რობდა, მაგრამ საქონელს ეს ქვეწარმავლები არ ერჩოდნენ.  
წყაროზე გველებიც ჩამოდოდნენ, სვამდნენ წყალს და ადი-  
ოდნენ თავის ბუნაგში.

ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს წყლიდან დაბრუნებული  
გველი ზღაზუნით ადიოდა ბექობზე. ჩვენი გორიდან იგი შე-

ამინია ჩემმა ძმამ, ლევანმა. ის კარგად ისროდა ნიშნები. მთელი მხრიდან მოვი, ესროლა გველს, მოარტყა გველი მოვდა. მას დარჩა ტოლი. იმ დამესვე თუ მეორე დამეს, კარგად არ მახსოვს, (მხოლოდ მოწმე კი ვარ ამ ამბის), იმ ტოლმა ჩვენს ძროხებს — ორ მეწველ ფურს, უკბინა ბუბუებს. ეს ძროხები მეორე დღესვე დაიხოცნენ. ამის შემდეგ რა ქნა იმ გველმა — გადაინაცვლა ადგილი თუ იქ დარჩა, არაფერი ვიცი. მხოლოდ მესობლები კი ამბობდნენ, რომ იქვეა, თუმცა არაუბერნის, ჩვენთან კარზე არ ამოდის; ჯერჯერობით უწყინარია, შეიძლება ფუძისა არისო.

### თამარ რაზნიკაშვილი (ვაჟას მუშლემ)

მე ჩემ დედამთილ-მამამთილს არ ვიცნობდი: ლუკამ რომ მომიყვანა დედ-მამა აღარ ჰყავდა. პირველი ცოლი რამდენიმე წლის გარდაცვლილი იყო. დამხვდა დარბი, არეული, აწეწილ-დაწეწილი ოჯახი, უდედო, დაუბანელი, მოუვლელი ბავშვები. ლუკას უმცროსი ქალები: გულქანი და მარიამი პატარები აყნენ.

როდესაც ლუკა და ბაჩანა ჩემს წამოსაყვანად სოფელ ხორხში მოვიდნენ, გულქანი და მარიამი ბაჩანას თავის მეუღლისათვის, მარიამისათვის მიებარებინა.

მადაროსკარში რომ მოვედით, ბაჩანამ და ვაჟამ ბავშვებს ახარეს: შვილებო, დედა მოგიყვანეთო! ბავშვები სიხარულითა და კანკალით შემომხვივნენ. შემრცხვა: ახალგაზრდა ვაჟო და მეთაკილა.

ბაჩანას ცოლი მარიამი სათნო და გულკეთილი ადამიანი იყო. გვერდით მომიჯდა და ჩუმად მითხრა: გული უჩვენე ცოდონი არიანო. მეც შემეცოდნენ ბავშვები, ვანუგეშე, მოვეწმარე და ლუკას ვუთხარი: აქ ნუ დავტოვებთ ბავშვებს, მე მინდა ესენი ჩემთან იყვნენ; წასვლისას თან წაგიყვანოთ-მეთქი.

მართლაც, ბავშვები ცხენზე შემოვისვით და წავედით ჩარ-

გალს. შინ ლუკას უფროსი ქალ-ვაჟი — თამარი და ლუკასი დაგვხვდნენ. მისვლისთანავე დაეკარიალუ სახლი. სისუყითავე და საოჯახო საქმეს ბავშვობიდანვე ვიყავი მიჩვეული.

ჩემი დედ-მამა გუდამაყრელები იყვნენ. მამა — ლადება ბე-ქაური მშრომელი კაცი იყო, კარგი მონადირე. დედაც, წიკ-ლაურის ასული, მთელ სოფელში ცნობილი იყო, როგორც კარ-გი მეოჯახე ქალი. ჩემი მშობლების დედ-მამა გუდამაყრიდან მთიულეთის სოფელ ხორხში გადასახლებულან და მეც ამ სო-ფელში მთიულურ წესზე აღვიზარდე.

ფშაველებსა და მთიულების საოჯახო წესები, მეტადრე ძველად, რამდენადმე განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან. ფშავე-ლის ქალები უფრო მეტად ასრულებდნენ მამაკაცურ სამუშაო-ებს, ვიდრე მთიულეთის დედაკაცები. მაგალითად, ისინი მი-დიოდნენ ცხვარში, თიბავდნენ, მკიდნენ, ხნავდნენ, თესავდ-ნენ. ერთი სიტყვით, ფშაველ ქალს სამამაკაცო საქმიანა უფრო მეტი ეკითხებოდა, ვიდრე მთიულ ქალს.

ჩვენში, მთიულებში, რძის შესადღვებად ვარიას ანუ სადღ-ვებელს ვხმარობდით. ფშავეში კი, ვარიის ვარდა, ხმარობდნენ ჩხუტს, რომელიც ბარნელათი (ჩასადღვებია, ბოლოზე პატარა ფიცრის ჯვარი აქვს) იდღვიბებოდა.

მეორე დღესვე რძის ჩხუტში დღვება დაეიწყე, რამდენიც ჩაეურიე ბარნელა, იმდენჯერ სახეზე რძე შემომეშხაბუნა. მაგ-რამ მალე მივეჩვიე ყველაფერს. ვდღვებავდი, ეწველიდი, საქო-ნელს თვითონ ვუბამდი საძირეებს, ვუკეთებდი ვირკლებს, ვუ-ცემდი მარგილებს და სხვ. ასევე ვისწავლე საქონლის წამლო-ბა ხალხური წესით: ხარისპირათი, გულბანდის წვენით, აც-რით. ყოველივე ეს ლუკამ მასწავლა.

ერთხელ, გაზაფხულზე, ლუკამ მითხრა: ქალო, ანწლის და სვიის ძირები დათხარე, მოხარშე საჯალაბო ქვაბში და და-ღვევინე ძროხებს — შეცეიბულები არიანო.

ყოველ გაზაფხულს ძროხებს მოხარშული სვიასა და ანწ-ლის წვეს ვასმევდით, ნაზამთრი რომ არ გამოჰყოლოდათ.

ცელით არ მითაბია, გუთანზე კი ვმეზრობდი, ხარებს პურეკავდი ლუკას.

\* \* \*

სახნავზე ლუკა თვითონ იყო გუთნისდედა. გუთნის თვითონ ეკიდა. ავღგებოდი დილით ადრე; მე თივას დაუყვარიდა ხარებს, რომ მშიერი საქონელი არ შეგვება უღელში, ლუკა კი წაყიდოდა ტყეში — კირცხლის, თხილის ან შინდის წნელების მოსატანად. დილიდანვე დაგრეხდა წნელებს, დაამზადებდა, რომ წინა ხარების საყვეარზე ან გუთანზე საბმური არ გაწყვიტალიყო და ხვნაში გუთანი არ გამცდარიყო. ქვა-ღორღიანი სახნავი გვექონდა და წნელები მალ-მალე წყდებოდა.

გუთან-უღლის დამზადებას ლუკა ზამთარშივე იწყებდა. უღლებს იფნის ხისგან თლიდა. ბოლოს ახალგათლილ უღელს მეტი სიმაგრისთვის, ცეცხლზე ტუსავდა.

თავდაპირველად ჩვენი საკუთარი გუთანი გვება და საკუთარი ხარები გვეავდა. ხარების სახელები ახლაც მახსოვს: ორი დიდი ხარი — ჯვარელა და დილა, ორიც ახლადშობილი მოზვერი იყო. ერთს ერქვა ღვინია (ყოლოსფერი მოზვერი იყო), ხოლო მეორეს კი, შავ მოზვერს, ნიჟარას ვეძახდით.

დიდი ხარები რომ დაგვეზოცა, ორ ხარს ვაბამდით. ვხნავდით საზიაროდ, მეზობელთან ერთად, მთის ძიწებზე და ბარშიც.

მთის მამულად ითვლებოდა: ასავალთ-გორი, წერილთ-გორა და დიყელაში აღებული პატარ-პატარა მიწები, ხოლო ბარის მამულებს ვეძახდით: სულა-კურდღელათ ბოლოზე მღებარე მიწას და ეკლესიის გასწვრივ ნაქონ მამულს. მთის სათიბები კი გვექონდა აფხუშოს თავს...

როგორც დაემზადებოდა ლუკა აფხუშოს თავს სათიბად, გამაკეთებინებდა ხაეიწს, ან ხაჭო-ერბოს ჩაიდგანდა ქილით ხურჯინში. ცხენს გადაჰკიდებდა ბარგს: ნაბადს, ტარზე დაგებული ცელს და მხარზე თოფგადაგდებული ერთი კვირის საგზალით გაემგზავრებოდა აფხუშოს თავს სათიბად.

ყანაში კი, როცა ქერი შემოვიდოდა სამკალად, მხარში ვუდექით ცოლ-ქმარი ერთმანეთს და ზაფხულის პაპანაქებას ცხენში — სისხამ დილიდან მოყოლებული — ერთად ვმკიდით მოწეულ ყანას.

მზე რომ დასავლეთისკენ კარგად გადაიხრებოდა, დაიწყებდით ხელეურების კონვას. ძნებს ვაკვებდით ხუთულებად ან წერებად.



როცა ლუკას წერის განწყობილება მოუვიდოდა, მიატო-  
ვებდა სამუშაოს და ბრუნდებოდა შინ.

ერთხელ მე და ლუკა ყანასა ვმკიდით სულა-კურდღელა-  
ურთ მამულში. იმ ხანებში რომელიღაც პოემაზე მუშაობდა  
(რომელზე, კარგად არ მახსოვს). ყანა ძალზე გადამწიფებული  
იყო. ორთავენი სამკალში ვიყავით. შუაღლე გადასული იყო. და-  
ყოვნება აღარ შეიძლებოდა — ყანა უნდა მოკვემკო სასწრაფოდ.  
ლუკას უცბად რაღაც აზრი მოუვიდა, ნამკალსათითეები ძირს  
დადო და აჩქარებული ნაბიჯით დაეშვა თავქვე, შინისაკენ. მი-  
ვაძახე: კაცო, სად მიდიხარ? ყური არ მათხოვა, გზა განაგრძო.  
მაშინვე მივხვდი, რომ საწერად მიდიოდა.

დამტოვა მარტოკა ყანაში: მომკალიც, მკონაეიც და ძნის  
ამგებელიც. სამივე საქმე უნდა შემესრულებინა მარტოკა. მეც  
ზომ ვერ მივატოვებდი ყანას. ბალები საქონელთან იყვნენ:  
ზოგი — ინდაურებში და ზოგიც — ხბორებთან და ცხვრებთან.  
მარტოკა ვმკე იმ დღეს ყანა. სადამოთი ავკონე, ავაგე წერებად,  
დაბინდებისას, ხურჯინ-საგზლით, წყლის ჭურჭლით, ჩემი და  
ვაჟის ნამკალ-სათითებით შინ ჩამოვედი.

საქონელი მოერეკათ და შეეყარათ ბაკში, რომელიც ახლოს,  
ხევს გაღმა, იფნისქვეშ გვქონდა შემოღობილი.

ლუკა მაგიდას მისჯდომოდა, რაღაცას წერდა. ჩემსკენ არ  
მოუხედავს, თითქოს ვერც კი იგრძნო ჩემა მისვლა.

ავიღე ტაგნები ფურების დასაწველად და, როცა გამოვდი-  
ოდი, დამიძახა: ქალო, ხინკალი მინდა, ერთი, ხინკალი მოე-  
ხარშოთო! დაღლილი ვიყავი ძალიან და დამეზარა, მაგრამ  
სიტყვა არ შემიბრუნებია, რადგან ლუკას თქმა ჩემთვის კანონი  
იყო.

გავედი ბაკში. ფურები დაწველე. ვადმოვიტანე რძე, სარ-  
ძევეში ჩავეწურე და დაღამებულში შევუდექი ხინკლის კეთებას.

შემა არ გვქონდა. მოვიტანე, დავჭერა, ცეცხლი დავანთე,  
ზორცი დავკებე და ცომის ზელას შევუდექი. ძილი თავს მართ-  
მევდა, ძლივს ვახვევდი ხინკალს. როგორც იქნა მოვხარშე ხინ-  
კალი და შევუტანე ხონჩით.

ლუკას სახეზე ღიმილმა გადაურბინა. შეკატყვე, ესამოვნა.

18. მოგონებები გარდასულ დღეთა



შემომხედა და მითხრა: ყოჩაღ, დედაკაცო! ლუკა ცოცხალია და, მხოლოდ მალ-მალე უყვარდა პურის ტკემა.

ერთხელ, გუთანი დააყენა კვალში, ხარები არ გამოგვაშვებინა, წავიდა მაშინაც შინ — საწერად. მე და ბაღულები ხარებს ვუდექით. შეწუხდნენ ხარები. უღლიდან იზიდებოდნენ. უუდექით ხარებს და ვტრიალებდით ისევ კვალში.

მკაცრი კაცი იყო ლუკა, დაეინებით ვერაფერს გაუბედავდი. სანამ თვითონ არ გადმოვიდა გუთანთან (მაშინ სახლის ახლოს, გაღმა, ყორულში ეხნავდით), ჩვენ ვერ გაუბედავთ დაძახება.

ლუკას ხასიათი გაგებული მქონდა, ამიტომ ხელს ვწყობდი, ვერ ვუბედავდი დაეინებით მეთქვა, ოჯახს შენახვა სჭარდება, გაისარჯე, ცოლ-შვილს რჩენა უნდა-მეთქი.

როგორც იყო, ერთხელ გაბრაზებულმა გაუბედავ და ვუთხარი: რა არის, კაცო, ცოლ-შვილი მშვიერ-ტიტველი გყავს, მან არაფერი გაქვს, ყველაფერი თავდება, შენ კი ზიხარ, ჯღან და სულ ჯღაბნი-მეთქი. მოველოდი, ძალიან გაჯერდებოდა ჩემი ნათქვამისა მევე შემეშინდა. მაგრამ საქმე სხვაგვარად დატრიალდა. გაიცინა და მითხრა: ეეჰ, შე საწყალო, უზნაულო ხარ და რა გითხრა, ნასწავლი რომ იყო, მაგ სიტყვას არ გაპატიებდიო.

\* \* \*

ჩარგალში ლუკას ჰყავდა ერთი კარის მეზობელი მეცხვარი — ფოცხვერა ბაჩიაშვილი — ნათლიძამა და კარგი მეცხვარი. დინჯი, ტკვიანი კაცი იყო ფოცხვერა. ვაჟას ჰყავდა სხვა მეგობრებიც: ოსა ზურაბაშვილი, გოგოთურ მარცვალაშვილი, თეიმურაზ მთიბელაშვილი, კრიგოლ რაზიკაშვილი, ლეიპი მთიბელაშვილი და სხვ.

ღვთისო მთიბელაშვილი ჩუმი, უთქმელი კაცი იყო, დღემო ორ სიტყვას არ იტყოდა, მაგრამ, რასაც იტყოდა, ყოველმე აწონილი და გაზომილი ჰქონდა.

ფოცხვერა ხშირად პატიჟობდა ლუკას. როცა ცხერიდან მოვიდოდა, ცხვარს დაკლავდა, დაიწყებდა თუ არა ხინკლის გულის კეპვას, გაღმიდან გამოისმახებდა: ლუკავ, აქ გამოიხე ცოტა ხანსო!

— იმ ცულს რომ აკაკუნებენ, ჩემი ნათლიდედა ნამდვილად

ხინკლის გულსა კებაეს, ამიტომ მეძახისო, — იტყოდა ხოლმე ლუკა და ნელ-ნელა, დინჯი ნაბიჯით გასწევდა ფოცხვერამდე.  
ქნ.

ფოცხვერას ცოლმა მარიამმა მიაპბო: ლუკამ ზომ პურის ჭამა არ იცის, სამ ხინკალზე მეტს არ შეჭამს. ერთხელ ჩემს თქმასზე: პურის ჭამა არ იცი, რად გინდა ნახნავ-ნათესი, სამი ხინკალი ბაღლსაც ვერ გააძღობს-მეთქი, — ლუკამ მიძახუხა: არწივი ცოტას ჭამს, მაგრამ როგორი ბიჭიაო!

ლუკას დედ-მამა ძალიან უყვარდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: ხაწყალი მამაჩემი დღე-ღამეს ასწორებდა, ჩვენ მოვეინდა ის კაცი, სულ რაღაცას აკეთებდა, უსაქმოდ არასოდეს არ გაჩერდებოდა და თავის სიცოცხლეში ერთხელაც არ დაუსვენიაო.

დედაც ეგვითი მყავდა. ვაჭკაცები ვიყავით და სულ თავს დაგვეტრიალებდა პატარა ბაღლებივით.

მამაჩემი დედას ბუნზურას ეძახდა. ერთი უყურეთ, უყურეთ იმ ბუნზურას, კალთაში გამოხვეული რომ მადის. ახუნის გორაზე ჩამოსავალი მგზაერი დაინახა, გზაში უნდა დაუსხედეს ჭიჭახევზე, — დაჯე, შვილო, დადლილი იქნები, პური გემშევაო — იტყოდა მამა. დედას ყველა ღარიბა და ხაწყალი ადამიანი ებრალებოდა.

ლუკას ხეზე ასვლისა ძალიან ეშინოდა. ვაშლის დაკრეფის დრო რომ მოატანდა, ხეზე ვერ ადიოდა, მუხლები მიკანკალესო. მიზეზი რომ ვკითხე, ერთი ამბავი მიაპბო:

ბავშვობისას ძალიან მიყვარდა ხეზე ასვლა. სულ ერთთავად ხეებზე ვიჯექი, დედაჩემს ეშინოდა, ხიდან არ ჩამოვვარდნილიყავი და დამაშინა. მითხრა: შენ თუ ხეზე ასვლას არ მოიშლი, აგერ, ახუნის გორაზე, სულ ზევით, მაღალი წიფული რომ დგას, ავალ, იმ წიფელზე შეგხტები, სულ წვერზე მოვემცევი, იქიდან გადმოვვარდები, დავეცევი და მოკვდები, შენ კი უდედოდ დარჩები და რაღა გეშეველება თბოლსაო.

დედის სიტყვამ ისეთი გავლენა მოახდინა ჩემზე, რომ ის დღეა და ის დღე, მე ხეზე აღარ ავსულვარ, როცა ხესთან მივალ, მაშინვე დედაჩემის სიტყვები მომაგონდება და მუხლები ამიკანკალდებაო.

დედაჩემმა ისეთი ტკბილი და შთამაგონებელი ლაპარაკი

იცოდა, რომ იმისი ნაამბობი ზღაპრები დღესაც მახსოვდა იტყოდა ხოლმე ლუკა.

ჩვენი მეზობლის ბეკურა ბაჩიაშვილის დედას (ზედმეტ სახელად კოჭლას ეძახდნენ) ლუკა გაეჯავრებინა. ხბოები გადასულიყვნენ ყანაში და ამაზე მოხვლოდათ უსიამოვნება. კოჭლას უგინებია ლუკა. მოვიდა ლუკა გაჯავრებული და ლექსი დაწერა. ლექსი იწყებოდა ასე:

ლომს ტახტი უფავს მხეცებში,  
არწივს — ფრინველთ შორისაო.

ასეთი შემთხვევაც მახსოვს. ჩვენი ხბოები გადასულიყვნენ არჯალაანთ ვეჯილში. ის ხბოები, ვაჟას მეგობრის, არჯალაანთ ღვთისო მთიბელაშვილის ცოლს შეეყარა გომურში და კარი გამოეკეტა. ლუკა ხბოების კვალს გაჰყოლოდა და ეთხოვო ქალთამზესთვის პირუტყვი გამოეშვა. მოხვლოდათ ლაპარაკი, რაც შემდეგ ჩხუბში გადასულიყო. ქალთამზეს აედო შუბი და როცა ლუკა გომურს დაახლოებოდა, ეს დედაკაცი შუბით გამოხდგომოდა უკან. ლუკა გამოქცეულა.

— ჰმ, მაშ, რას ვიზამდი, ის დედაკაცი შუბს წამომაცმევდა, რომ არ გამოვქცეულიყავიო, — ღიმილით იტყოდა ხოლმე ლუკა.

ლუკას ფასი ფშაველმა მამაკაცებმა უფრო იცოდნენ, ვიდრე დედაკაცებმა. ლუკას ეჯავრებოდა ყბედი, მეჭორე, უწესი დედაკაცები. ღირსეულ ქალს კი დიდ პატივს სცემდა. მაგალითად, მეცხვარე გარსევანიშვილის მეუღლეს — ნათელას, რომელსაც სოფელში „ბეროთ ნათელას“ ეძახდნენ. ამ ნათელაზე ლუკა იტყოდა ხოლმე: ეს დედაკაცი ნამდვილად პოეტიაო. როდესაც მკვდარს ტირის, პოეტურად ამოთქვამს სიტყვებსაო.

მართლაც, ბეროთ ნათელა თავის დროზე განთქმული იყო ტირილში. ლუკაც კარგად იტირა. მახსოვს, როცა ჩარგალში სახლის წინ მწვანე მთლზე გავშალე ლუკას ნაბადი, ზედ დავაწვეე ჩოხა-ახალუხი. ჩოხაზე ვაჟას ხმალი იყო მიწვენილი. გარშემო ლუკას სატირალს მთელი ჩვენი სოფლის დედაკაციები ეხვივნენ. წამოდგა შუა დედაკაცებიდან ბეროთ ნათელა აიღო ლუკას ხმალი ხელში, დაიბჯინა და დაიწყო მოთქმა:

...ეს თუ არი და ჩვენი ლუკაი,  
ბადალი მთელი ხმელეთისა-ა-ა-ა.

ნათელას ქვითინს მთელმა ქალებმა ხმა მისცეს, ქვითინი  
ვე უპასუხეს. ამ სიტყვებმა ისე იმოქმედა ხალხზე (დანარჩენი  
სიტყვები არ მახსოვს), რომ მამაკაცებსაც ტირილი მოერიათ.  
ფშავში ხომ წესად არ იყო მამაკაცებს ქვითინი. ნათელას  
ტირილზე კი მათ თავი ვეღარ შეიკავეს.

ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ერთი თამამი ქალი — სახე-  
ლად ქაცინა. ლუკა ოდესღაც გახუმრებოდა ქაცინას. ერთ დღეს  
ქაცინა ეწვია ლუკას, რაღაცას შესტიროდა და სჩიოდა. ლუკა  
უცებ გაჯავრდა. დაედევნა ამ დედაკაცს. თითქმის ჭიჭახევეამ-  
დის გადაჰყვა. როცა დაბრუნდა, მე შევეკითხე: კაცო, რა მო-  
ვივიდა, რაზე გამოუდექი იმ ქალს, ან შენ რა გინდოდა, ან  
იმას რა უნდოდა-მეთქი? ლუკამ მიპასუხა: ჰკითხე, აბა, რა  
ვიცი, რა უნდოდა ე მაგისტანებზე არის ნათქვამი, გიგს ნურც  
ემტერები და ნურც ემოყვრებიო. მოვიდა და მოჰყვა აქ სლუკ-  
სლუკსა. ყველაფერი შენი ბრალია-მეთქი, ვუთხარი. ლუკას  
აღარაფერი უპასუხნია, შევიდა თავის ოთახში და წერას შე-  
უდგა. ასეთ შემთხვევაში ლუკამ იცოდა ლექსის დაწერა. მხო-  
ლოდ არ მახსოვს, მაშინ რა დაწერა.

ლუკამ მე და ჩვენს მეზობელს, ბეჟანის ქალს, დიაკვანი  
ბესო პირქუშაშვილის ცოლს, კუკას (ასე ეძახდნენ) — გამოგ-  
ვითქვა ლექსი. კუკამ თავისთვის კაპოტი შეაკერიდა და სულ  
იკვებინდა, კაპოტს აქებდა — ჩემი კაპოტაო.

ეს ლექსი ასე იწყებოდა:

კუკამ შეაკერა კაპოტი,  
მის ხანახაედ ვაერბოდი...  
ნეტავი თამარსაც მისცა.  
დაღონებული ვამბობდი!

ეს თამარი მე ვიყავი. მე ლუკამ ცალკე ლექსიც მიძღვნა. აი  
ეს ლექსიც:

ყური დავიწინდა, სხივი კრთის,  
სრულად დამიწინდი მთვარეო!  
გზადაკარგულსა მტირალსა  
მიშველე, გამაზარეო,  
გაუანტე, ვეებ გზა ვნახო,  
წყველიადი მარტყავ გარეო.  
აღარა ვწვევლო, ვეებ  
ჩემი სიცოცხლე მწარეო.



გულს სწყურის გნაზოს ბაღრადა,  
 ამო, ამონინდი ბარეო,  
 ვიხილო შენი სხივები  
 მთა-ბარზე მოუღეარეო!  
 გზადაკარგულთა ნუგეშო,  
 შენს სხივებს ვენაცუალო!

მე რას ვუშველიდი ბეჩავს ლუკასა: ვეყავით ღარიბები და ეს აწუხებდა იმას. ბოლო დროს უფრო დასწეულდა, ვეღარ მუშაობდა ყანაში და სათიბში. მუშის ფულიც აღარ გვექონდა-სარჩენი კი ჰყავდა, ვეებერთელა თჯახი.

ერთხელ ვუთხარი: წახვალ ქალაქში, ფულს, რასაც აიღებ იქ შეჭამ და მოხვალ ცარიელი-მეთქი. ამაზე ლუკამ მიმასხუხა მამ, რა ვქნა, ქალო, ზოგჯერ ისეთ ხალხში ჩავვარდები, მსტიყობენ, პატივსა მცემენ, ხარჯავენ და მეც თუ არ დავხარჯვარ შეიძლებაო. ამასწინათ კამპანია იყო, მანეთიანი პაპიროსები (სიგარები) მოიტანეს და მეც რომ არ მეყიდა და მომეწია, არ შეიძლებოდა, რადგან ყველა იმ სიგარებს ვწეოდაო.

ჩვენ პირველად საკუთარი წისქვილი არა გვექონდა. ვერს ხან კურდღელაანთაგან ვღებულობდით, ხან კიდულაანთგან, ხან კი ჩარგლისკარის წისქვილებში ვფქვავდით. საფქვავეზე შორს ხაარულმა ძალიან შეგვაწუხა. ორ-სამ კილომეტრზე მიხდებოდა წისქვილში სიარული. გავაწყობდი საფქვავეს, ჩავყრიდი მოზრდილ ხბოს გულაში, ავიკიდებდი ზურგზე, თანაც თოკს წაყიდებდი. საფქვავე მიმქონდა ჩარგლისკარს და ბოწახში.

თუ წისქვილი ჩქარა ვერ ფქვაუდა, საფქვავეს დაეყრდი სვიმურზე, შევამოწმებდი ნაჭლიკას. ზომის დაგების დროს, როგორც სამაქნე მოითხოვდა, ისე დავაყენებდი სარკველს. ზომს რა დავუგებდი წისქვილს, დამშვადებული წამოვიდოდა შინ. გზადაგზა ხმელ ტოტებს შევავაროვებდი, შევკრავდი თოკით, წამოვიკიდებდი ზურგზე და გამოვწევდი შინისაკენ.

წინასწარ გამოანგარიშებული მქონდა, რამდენ ხანში უნდა დაეფქვა წისქვილს საფქვავე, იქნებოდა იგი ქერი, წმინდა ახალწმინდა სიმინდი თუ სვილი. ნავარაუდევ დროზე მივდიოდი და წამოვიღებდი ფქვილს შინ ჩემი ხბოს გულით.

წისქვილში სიარულით ვიღლებოდა და ლუკას შევჩაიქვებდი აღარ შემიძლიან ამდენ მანძილზე სულ სხვის წისქვილში სიარული.

რული და მათი ხვეწნა-დიჯინი. თუ ჩვენ შევძლებთ, ცალკე  
ავიშენოთ, ვინმე მეზობელი შევიზიაროთ და აქვე ახლოს  
მართოთ-მეთოქი.

ლუკა დამეთანხმა. ჩვენი ყორულის ბოლოს შეათვალეურა  
საწისქვილე, ამოიტანა წისქვილის ქვები თბილისიდან, ამხანა-  
გად ჩაიზიარა თავისი ნათლიმამა ბეკურ ბარიაშვილი და შე-  
უდგა საქმეს. საწისქვილე ადგილი შეარჩია მდინარე ჩარგლუ-  
ლას ნაპირზე — ჩვენი სახლიდან ორასიოდე მეტრის დაშორე-  
ბით.

წისქვილის გამკეთებელ ოსტატად ლუკამ ხომელი მიხა ქო-  
თილაშვილი — ქოთილათ მიხად წოდებული, დაიბარა. ქოთი-  
ლათ მიხა ეახლა ლუკას. მორიგდნენ ფასზედაც.

— აბა, შენ იცი, ერთი კარგი წისქვილი უნდა გამიშართო,  
ჩემო მიხა! — უთხრა ლუკამ.

— მე ხელს არ გავამრუდებ, ვაჟავ! — ძაღვო მიხამ.

მიხას ბევრი ლაპარაკი და თავის ქება არ უყვარდა, დაიწყო  
მუშაობა და რამდენიმე დღეში გამართა წისქვილი. დავაყარეთ  
საფქვავეი. დაიწყო ფქვა. ლუკას მოეწონა თუ არ მოეწონა მი-  
ხას ხელობა არ ვიცი, შემდეგი ღვექსი კი გამოუთქვა:

მიხამ ვაგმართა, წისქვილი,  
ვაგმართა, ვაგამზრილა,  
ვე საღერდელი თუმც მოცვა,  
სამშობლოზელი კი — არა.  
შაკასაც მალე მოგიშლის,  
თუ კიდევ ჩამოარა.

ეს ღვექსი მთელ სოფელს მოედო და მიხას დასცინოდნენ.  
ყველგან ეუბნებოდნენ თურმე: მიხავ, გვითხარი, ვაჟამ როგორ  
გაგაღვექსაო. მიხას, თურმე, საშინლად სწყინდა: ჩემისთანა  
წისქვილის ოსტატი მთელ ფშავის ხეობაში არ არის და მეც  
კიდევ რაზიკაანთ საღვექსოდ გავხდით.

ამ დღიდან მოყოლებული, ჩვენ საკუთარი წისქვილი გვექონ-  
და. შორს აღარ გვიხდებოდა სიარული.

ბეკური ბარიაშვილი, თავის სიცოცხლეში ჩვენს საზიარო  
წისქვილს ერთგულად უვლიდა: მართავდა, დროზე შეაკეთებ-  
და, თავის ჯერში მოჯერებესაც იყვანდა. ლუკას კი, არ მახსოვს,  
ვისთვისმე რამე გამოერთმისო დაფქვაშა, მე მინდს ვერ ავი-

ლებ, ფქვას, ვისაც უჭირს, ხოლო წისქვილს ნუ მოშლია  
იტყოდა ხოლმე ლუკა.

\* \* \*

ერთხელ ბეკურის თხები ჩვენს ჯეჯილში შესულიყვნენ. ლუკამ დაინახა, დაიწყო ძახილი: თხებია ჯეჯილში, გამორეკეთო! ხმა არავინ გასცა. ეს მერამდენედ ამოუშვეს თხები ჩვენს ჯეჯილში, მე ვურჩენებ მაგათ სეირსო, — თქვა ლუკამ, აიღო თოფი და გაემართა თხებისაკენ სასროლად.

გადასულა თუ არა მამულის პირში, ჯეჯილში კურდღელი ამოსჩენია. უსროლია ლუკას თოფი და მოუკლავს. თხები კი გადარჩენია სიკვდილს. ეს ამბავი ბეკურს უამბო ლუკამ და ბევრიც იცინეს: — კურდღელმა დაიხსნა შენი თხები, ჩემო ბეკურო! — სიცილით ეუბნებოდა ლუკა ბეკურს.

ჭირნახულის წახდენას ლუკა, საერთოდ, ვერ იტანდა, ჩვენი იქნებოდა თუ სხვისა, იმისთვის სულ ერთი იყო. როცა ჩვენი საქონელი გააფუჭებდა სხვის ყანას, ჩვენ დაგვიწყებდა ჩხუბს. საქონელს ყურს რატომ არ უგდებთ, ნამუშევარი არ წაახდინონო.

ჩვენი მეზობლები, ბუკუკიანთ ბერის მჭედელას მამა, მთერალი ჩვენს კალოზე ჩამოსულა და ყვირის: ეპეთ... ვცოფდებიო.

ავიდა ლუკა. ნელ-ნელა მიუახლოვდა ამ კაცს.

— რა არას, რა მოგივიდა? რა გაყვირებს!

— ვცოფდები, ბიძაის კაცი! — იმეორებდა ბუკუკის შვილი.

— შენ თუ ცოფდები, მე კიდევ ვვიფდებიო! — შესძახა ლუკამ, გაუშალა სილა და შიგ ყურის ძირში სთხლიშა. ბუკუკის შვილი გადაიქცა. ჩვენ შევშინდით, ხომ არ მოკვდაო, რადგან ხმას აღარ იღებდა, არც იძვროდა. მე შორიდან ვუთვალთვალელებდი. კარგა ხანი რო გავიდა, ეს კაცი მოსულიერდა. წამოყვდა, გაიხედ-გამოიხედა, მერე ერთბაშად წამოხტა და მოკურცბლა შინისაკენ.

ლუკამ დიდი დათმობაც იცოდა, თუ გრძნობდა თავის დანაშაულს ან სიმტყუვნეს.

ბეკურს და ქალთამზეს კარებზე რომ მიუხტა, ორთავემ გამოაქცია. ქალთამზე შუბით გამოსდგომოდა, ამაზე ზემოთაც



გვექონდა ლაპარაკი. ბეკურთან რომ მისულა საჩხუბრად, ბეკური ხანჯლით დასდევნებია. ბუდახაანთ კაკლებამდე მოაყოლია. — მაშ, რა მექნა, დათვია ხანჯალს დამცემდა, ყველა თავის გარემოს იცავსო, — ამბობდა თვითონ ლუკა.

ლუკა ჩარგალს ქორწილში წასულა. ფადიურაანთ ბაიაც ყოფილა ამ ქორწილში. ბაია რაღაც ნაწყენა ყოფილა ლუკაზე, როცა სახლის წინ, მწვანე მინდორზე გაშლილ სუფრის გარშემო ფიცრებზე ჩამომსხდარი ფშაელები ღხინში იყვნენ და ნუფე-დედოფალი ჯარზე ისნდა, ბაიას უთქვამს: მოდი ერთი, დავცხო სილა ამ ვაჟს, რაც მომივა, მომივაო.

მისულა და შიგ სახეში დაუკრავს ლუკასთვის. თვითონ ბაიამ მიაძბო. — წამოხტა ლუკა, ხელი რევოლვერზე იტაცა; როდესაც მიცნო, რომ მე ვიყავი, გაუკვირდა და მითხრა: — ყოჩაღ, ძმაო, ყოჩაღ — შენ თუ მაგდენი შნო გქონდა, არ ვიცოდით! გადამეხვია და გადამკოცნა. მე ისე შემრცხვა, რომ რამდენიმე წელიწადს, როცა ლუკა ცხენით ჩამოივლიდა ჭალაზე, მე გზას ვუქცევდი. მურყნებში გადავდიოდი, მრცხენოდა კაცს პირდაპირ შევეყოფი და თვალში შემეხედაო.

ლუკას დროს, ჩარგალს, ზენა სოფელში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ერთი როყინა ხმის პატრონი — შალვა გორხამაული. ბოროტი კაცი არ იყო, მხოლოდ ცოტა ბრიყვი და უბრძელი ხასიათი ჰქონდა. ლუკასთვის ზენა ემართა. ქირა წინდაწინ გადავუხადეთ შალვას, რომ სამ დღეს ეხნა ჩვენი მიწა ეკლესიასთან.

ორი დღე გვიხნა. გააედრდა და გუთანი შინ წაიღო, მესამე დღეს აღარ უხნავს. დაავიწყდა თუ რა მოხდა, არ ვიცი.

ერთ დღეს შალვას ამოუვლია ჩვენი სახლის გადაღმა, ჭიჭახეზე. გორიდან ლუკას თვალი მოუკრავს და გადაუძახნია:

— რატომ არ მიხნავ, შე დათვო?

— აკი გიხან, შე თვითონ დათვო, — უპასუხნია შალვას. ლუკას გული მოსვლია, გადასდგომია წინ და შალვასთვის ერთი სილა უტკეცია. ის წაქცეულა. მერე ლუკას უთქვამს: — არ აღგე, აქედან არ გაინძრე, თოფი უნდა გამოვიტანო და დაგკრაო.

შალვას მართალი ეგონა ეს ამბავი, წამოხტა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხევდახევ გაიქცა. მე თვითონ გადავედი ლუ-

კას დავალებით, — აბა გაიხედე, ის კაცი იქვე არისო? — ზღაპარი  
ვა ხეკვუ ვარბოდა, მე კი შორიდან ვუყურებდი.

ამ ამბავს რომ გაიხსენებდნენ ძმები: ლუკა, ნიკო, თედო და  
სანდრო დასცინოდნენ შალვას და აჯაურებდნენ ლაპარაკს: „კა  
გითხარ, შენ თვითონ დათვოთ“. უკვირდათ შალვას პასუხი და  
ისიც, რომ მართლა ეგონა ლუკა თოფს გამოიტანს და დამ-  
რავსო.

\* \* \*

ღარიბი და ბენიავი კაცი ძალიან ებრალებოდა ლუკას უ-  
ვარდა გაჭირვებულების დახმარება. ჯერ ჩვენ თვითონ რა გავ-  
ვანხდა და ლუკას ცალი ხელი ქვეყნისაკენ ჰქონდა. არ იცო და-  
ზოგვა, — ვეტყვოდი ხოლმე, — გადაგებული ხარ სტუმრებს,  
ხალხსე და შინ კი საკუთარი ცოლ-შვილი ვერ შევინახე-  
მეთქი.

— ძროხა ხომ არა ვარ, დედაკაცო, რომ ხულ თავისთვის  
ვიყო, — მეტყვოდა. — გაუკაცო თავისთვისაც უნდა იფოს და  
სხვისთვისაცაო.

მეზობლის ქალი მოვიდა ლუკასთან და შესწივლა: — რა  
ექნათ, ბენიავები, საწყლები ვართ, წუხელ ქმარი მომიკვდა, ტიტ-  
ველია და არ ვიცი, რით დავმარხოო...

ლუკამ აიღო და თუ რამე გაგვანხდა: პური, ფქვილი, ხახუდ-  
რო, მისცა და უთხრა: აჰა, წაიღე, ბენიავო, იმ კაცს ტიტველს  
ნუ დავმარხოვთო! თავის ჩოხა-ახალუხი გაატანა. ფართალი  
გექონდა სახლში, — ისიც მისცა, დამარხე ის კაცი და ბა-  
ღებს მოუარეო. ქალი ხულ ლოცვა-კურთხევით წავიდა შინ.

ლუკას სიზარმაცე და უსაქმურობა არ უყვარდა. ეზარებო-  
და გაურჯელი, უსაქმო, ცრუ, ამპარტაუნნი და თაღლითი ად-  
მიანი.

ერთხელ ჩვენსა მათხოვრები მოვიდნენ. ორი კაცი იყო.  
ახალგაზრდები იყვნენ და ჯანითაც არა უშავდა რა. ვინ ხართ  
თქვენაო? — ჰკითხა ლუკამ. მათ უპასუხეს: ჩვენ ბერძნებს  
ვართ, გაჭირვებული, საწყალი ხალხი. დავდივართ ასე სოფელ-  
სოფელ სამათხოვროდ — იქნებ ვინმემ გავკვიკითხოო.

— მოიხადეთ, დააწყეთ ეგ ქულები, აიღეთ ეს ბარები, ჩა-  
დით ავე, იმ ბოსტანში, დაბარეთ და პურსაც გაჭმევთ და ფულ-

საო მოგცემთო, — უთხრა ლუკამ და წასწვდა ერთ მათგანს გუ-  
ლაზე. ორივენი გაიქცნენ. გულაზე ხელი ეკიდათ, თან გარბოდ-  
ნენ, უკან იხედებოდნენ და იმუთრებდნენ ერთსა და იმავე სიტყ-  
ვას: რა კასია! რა კასია! რა კასიაო! ასე სირბილ-სირბილით  
მიიძალნენ ხევში. ეგ რა ჰქენი, კაცო-მეთქი — ვუსაყვედურე  
ლუკას. ლუკამ მიპასუხა: ისა ვქენი, რომ ჩემზე ახალგაზრდები,  
ჩემზე ჯანმრთელები დადიან სოფელ-სოფელ და ხალხს ატყუ-  
ებენ, განგებ თავს ისაწყლებენო.

დავრდომილი, ხეიბარი ან მოხუცი, ჯანდაკარგული მათხო-  
ვარი რომ მოვიდოდა, იმას უმოწყალოდ არ გაუშვებდა, ასეთი  
გაჭირვებულისთვის ფქვილსაც კი ჩამაყრევინებდა ხოლმე.

\* \* \*

ლუკა სხვას არ წაჰგლეჯავდა, ხოლო თავისას არავის  
შეარჩენდა. მით უმეტეს, თუ მის საკუთნოს უსამართლოდ  
ვინმე მიითვისებდა.

ასეთი ამბავი მახსოვს: ერთ დროს აქ, ფშავში, ინჟინრები  
დადიოდნენ და გზას ზომავდნენ: რკინიგზა უნდა გავიყვანოთო.  
ჩვენი ვაშლის ხე, რომელიც გუდარახის ძარას მდგარა (ლუკას  
პაპის ნამყენი), ჩვენს დაუკითხავად მოჭრეს თურმე. შესაძლე-  
ბელი იყო ისე შეედგინათ გეგმა, რომ ვაშლი არ მოეჭრათ. მაგ-  
რამ ამისათვის ინჟინრებს თავი არ შეუწუხებიათ, არც ანგარი-  
ში გაუწევიათ პატრონისთვის. ლუკამ ეს ამბავი გაიგო. შეკაზ-  
მა ცხენი, ჩავიდა თიანეთს (ჩვენი სოფელი მაშინ თიანეთის  
მაზრაში შედიოდა) და ინჟინრებს ვაშლის მოჭრა უჩივლა. სა-  
სამართლოს განაჩენით ინჟინერს დააკისრეს, გადაეხადა პატ-  
რონისათვის ხის ღირებულება.

\* \* \*

ლუკას გველის კბენისა ეშინოდა. ერთხელ ფეხშიშველა ცე-  
ლით თიბავდა ბალახს სახლის ახლოს. თიბვის დროს გველი  
შემოვარდნოდა ცელში. ველარ გაეგო, ცელი შემოუვარდა ფეხზე  
თუ გველმა უკბინა. ლუკა სათიბიდან აღელვებული მოიჭრა შინ  
და დამიძახა: ქალო, ბერა თითი მეწვის, გველმა მიკბინა და  
წითელი ბაწარი ხომ არა გაქვს, მომეცი ჩქარაო.

კიდობანში სხვადასხვა ფერის საფარდავე თხორები მქონ-

და დამზადებული. წითელ თხორს საჩქაროდ მოეხსენი ნათლის  
ქაფი და მიუბრუნებინე ლუკას. ლუკამ სწრაფად დაიხუთა მკერდი  
თითზე წითელი ქაფი, მაგრად შეიკრა. მაინც ღელავდა, დარწ-  
მუნებული იყო, რომ გველმა უკბინა. მაგრამ თითი სწრაფად  
მოურჩა, აღარ გამიზეზებია. ალბათ, ცელის ფხას შეატყრა  
ფეხი-მეთქი — ვეუბნებოდი. ის მაინც დაეინებით ამბობდა: ნამ.  
ღვილად გველმა მიკბინაო.

\* \* \*

ლუკას სოკოზე სიარული უყვარდა. ხის სოკოს (ნაადრზე  
ამოდის, დიდი წიფლის ტოტზე, ტყეში), ხშირად მოიტანდა  
ხოლმე შინ. ფშავში ასეთ სოკოს კალმახა სოკოს ეძახიან. ლუ-  
კაც სწორედ ასეთ სოკოს ეზიდებოდა ხურჯინით, როცა მა-  
ღაროსკარს წავიდოდა.

მე შევეკითხე: სადა კრეფ ამ სოკოს, გველის სოკო არ შე-  
მოგიყვეს და არ მოვიწამლოთ მთელი ჯალაბობა-მეთქი.

— რას მეუბნები, დედაკაცო, გველისა და კალმახა სოკოს  
ვეღარ ვცნობ? — მიპასუხა ლუკამ. — ამ სოკოს ვკრეფ არაგვის  
მარცხენა ნაპირზე „ავთანდილის საქანში“ (ერთი ვიწრო ხე-  
ვია). შეღმა, შიგ ხევში გადმოწოლილა ბურდღლიანით დაფა-  
რული უშველებელი წიფელი, რომელიც წვიმების დროს თავით  
ბოლომდე სოკოთი იფარებაო. აი, იქა ვკრეფ ამ სოკოს ჩიხის  
კალთებში. ცხენით ვერ ავდივარ, ცხენს ქვევით ვტოვებ არაგ-  
ვზე და მე კი ზევით მის დასაკრეფად მივეშურებიო.

ლუკას ბადით თევზაობა უყვარდა. მისა სათევზაო საყვარე-  
ლი ადგილები იყო: ჩარგლისკარს, სადაც ჩარგლულა არავს  
უერთდება; ინოს ძირს — მყავე წყალთან, კობალის ქვასთან,  
დიყელის ხევზე, — არავს რომ ერთვის. იჭერდა: ფინხულს, კალ-  
მახს და მურწას.

ლუკას ნადირობაც უყვარდა. ხშირად დაიარებოდა თოფით  
სანადიროდ შვლებსა და დათვებზე: დიყელას, ასავალთ გორს,  
საშუბის ხევს, ინოსთავს და აფხუმოსაკენ.

\* \* \*

როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ლუკას ხუთი ძმა ჰყავდა და  
ერთი და — სახელად მართა.

ლუკას ძმა ნიკო (ბანანა) აფხუშოში ცხოვრობდა. დანარჩენი ძმებიც სხვადასხვა ადგილას იყვნენ დასახლებულნი. მართლაც ლუკა დარჩენილა ღედ-მამის ბინაზე.

უფროსი ძმა, გიორგი, თიანეთში მსახურობდა ვეჭილად, თედო ცხოვრობდა ხელთუბანს, გორის ახლო, სადაც მასწავლებლად იყო. უმცროსი ძმა სანდრო, თბილისში ცხოვრობდა და ფოსტის მოხელედ მუშაობდა. ჩემს მახლებს და რძლებს ყველას ადრეც ვიცნობდი. მხოლოდ ლუკას უფროს ძმას, გიორგის, ვეღარ მოვუსწარი, ის უკვე გარდაცვლილი იყო.

როგორც გადმოცემით ვიცი, გიორგი მეტად აზოვანი და ლამაზი ვაჟკაცი ყოფილა. ქალებს ცილაობა და ქიშპობა ჰქონიათ გიორგიზე. ბოლოს, ვიღაც ქალს მოუწამლავს. დაავადყოფებული გიორგი ძმებს ჩარგალში მოუყვანიათ. ავადმყოფ მახლს, თურმე, ლუკას პირველი ცოლი კეკე უვლიდა.

მე მართას ვერ მოვუსწარი: როცა ლუკას სახლში მომიყვანეს, ის აღარ იყო ცოცხალი. მართაზე ამბობდნენ მეზობლები, ძალიან ყოჩაღი, ვაჟკაცივით ქალი იყო. ნაბღიანი და ხანჯლიანი დადიოდაო. საქონელი ძალიან ჰყვარებია, ზამთარ-ზაფხულ საქონელთან ყოფილა თურმე. ძროხების გვერდით ეძინა, ზამთრობით საქონელი კახეთში გადაუდიოდა, ზაფხულში კი — ჩარგლის მთებში. ყვარლის ახლოს ყორიანის ტყეში, მდინარე ჩაგურგულას ნაპირზე, ბიძაშვილებთან ერთად ამოვებდა ხოლმე მართა საქონელს. ამ ადგილს ხალხი „მართას ნაბინაურებს“ ეძახდა. მართა ლამაზი ქალი ყოფილა. ბევრს მოსწონდა თურმე.

ერთი კარგი ვარეგნობის ვაჟკაცი, ტომით ლეკი, დადიოდა თურმე მართას ბინაზე მის სათხოვნელად და ემუქრებოდა მოგიტაცებო. მართას ეთქვა ლეკისთვის: ლეკო, აქ სიარულს თავი დაანებე, თორემ აქ ერთი ავი ფშაველი გეყავ; იმან თუ მოგასწრო, ვაი შენს ტყავსაო!

ბინაში, შუაცეცხლთან ჩამომჯდარი ლეკი არ წახულა: ერთი უნდა ვნახო, რა ფშაველი გყავთო!

ლუკა სანადიროდ ჩამოსულიყო. მართა წინდაწინვე შეხვედროდა ლუკას და ეთქვა: ის ლეკი ისეკ მოვიდაო! ლუკას ლეკი ისე ეუფრინა თოფით, რომ შემდეგ იმ ადგილას არასოდეს აღარ გაუვლიაო.

ჩემს მოსვლამდე, ჩარგალში მასწავლებლად ვოფთავდებოდა. სვანი თავადიშვილი, გვარად ჯაფარიძე. ეს კაცი ჩემს მართას შესწევია და შეუცდენია — ცოლად შერთვას დასრება. ეს ამბავი ძმებს არ სცოდნიათ. ქალი დაორსულდება. ეს რომ შეუტყვიათ, გამოსდგომიან ჯაფარიძეს თოფით. მას სიკვდილის შეშინებია, მიუტოვებია ორთახიანი სახლი ბარგით, ფარდავებით, ხალიჩებით მორთულა, და გაქცეულა სენეთს.

მართას ვაჟი დაჰბადებია. ძმებს თავის გვარზე მოუნდალავთ ბავშვი და სახელად მიხა უწოდებიათ. მიხას ასწავლეს, საშუალო განათლება მიადებინეს. ლუკამ რომ მომიყვანა, იგი უკვე ვაჟკაცი იყო, ძალიან კეთილი ხასიათის. ლუკას, ბაჩანას, თედოს და სანდროს ძალიან უყვარდათ თავის დისწული. „ჩვენს მიხას“ ეძახდნენ სიყვარულით. ჩვენი მიხა ყოჩაღია, კარგი მსროლელი და მონადირეაო. ნადირისათვის ტყვია ჯერ არ აუცდენიაო, — ხშირად იტყოდნენ ხოლმე ძმები.

მიხა ვორში ცხოვრობდა და საფხულობით ხშირად დადიოდა ფშავში ლუკასთან და ბაჩანასთან.

თედოც და სანდროც თავიანთ ცოლ-შვილით ხშირად ესტუმრებოდნენ ხოლმე ჩარგალს.

როცა თედოს მეფის მთავრობა სდევნიდა და კახაკებმა ზარბაზნით სახლი დაუნგრირეს ხელთუბანში, თედო ცოლ-შვილი ჩვენთან და ბაჩანასთან იყო თავშეფარებული.

ჩემი გერები: თამარი, ლევანი, გულქანი და მარიამი ისე დაიზარდნენ ჩემთან, რომ ხელი ერთხელაც არ მიხლია მათთვის, არც მკაცრად დამიტუქსავს.

ერთხელ ჩემმა რძალმა თიკომ (თედოს ცოლმა) მისაყვდურა: შენ და ჩემი რძალი მარიამი ბაღდუბს ანებიერებთ, ხანდახან უნდა დატუქსოთ, უფრო წესიერები გაიზრდებიანო.

მართლაც, ჩვენი ბავშვები უფრო თავნება იყვნენ; ძროხაში დადიოდნენ გულქანი, მარიამი და ვახტანგი. ხშირად ეკარგებოდით საქონელი. ვუწყებოდით, მაგრამ არ მეპუებოდნენ თურმე, წაუწყებოდნენ ფურებს და პირში იწვევლიდნენ რძეს, ხან ბუერებში წვევლიდნენ. საქონელი ირეოდა, აღარ იწვევებოდა ხეირიანად. მერე გაჰყვებოდნენ მარწყვს, ყოლოს, მაყვალსა და პირუტყვი ეკარგებოდათ. გვიან ბრუნდებოდნენ შინ და სა-

ქონელიც გვიან მოუდიოდით, ხან კი გარეთაც რჩებოდა ჩვენი პირუტყვი.

ლუკა მე მიჯავრდებოდა. უთხარი ბაღლებს, საქონელს უყრო უვლონო. თითონ ლუკასაც არ უყვარდა ბაღლების ცემა.

ბაჩანამ დიდი მოფერებაც იცოდა და ამავე დროს გაჯავრებაც. ძალიან ფიცხი იყო. ლუკა კი უფრო ზომიერი ხასიათისა იყო შეილებთან.

ლუკას და ბაჩანას განსხვავებული ხასიათი ჰქონდათ. ჩვენ, შინაურებმა, ეს კარგად ვიცოდით და ვაქცევდით ისე, როგორც ესიამოვნებოდათ, ვერიდებოდით მათ წყენას.

ბაჩანას ცოლი ძალიან უყვარდა. ერთ ზაფხულს სამივე ძმა: ბაჩანა, თევდორე და სანდრო ცოლ-შვილით იყვნენ ჩვენთან. ძმები ჩვენი სახლის წინ მწვეანეზე გაშლილ სუფრას უსხდნენ და ღვინოს სვამდნენ.

გაიშართა კამათი და ცოლების ქება. ბაჩანა თავის ცოლს აქებს: ვთქვათ პირდაპირ, ჩემი დედაკაცი ნამდვილი გენიოსიაო. სანდრო იცინის, ლუკა იღიმება... ლუკამ ხმამაღალი სიცილი არ იცოდა, მარტო იღიმებოდა ხოლმე. თედოს სერიოზულად სწყინდა. უყურა, უყურა შუბლშეკრულმა თედომ ბაჩანას და თქვა: „ვისა, ჩემი თიკო, აფსუს!“

გაიშართა დავა — ვისი ცოლი სჯობდა?

ჩვენ მათთან არ ვიყავით. სახლიდან ვუსმენდით მე და ჩემი რძლები და გვეცინებოდა. (მთის ჩვეულების მიხედვით, ღვინოს დროს, ქალები და მამაკაცები ცალ-ცალკე ისხდნენ. ხანდახან ძმებიც იცავდნენ ამ წესს).

ბაჩანას ცხენოსნობა უყვარდა. როცა ლუკას მივყავდი მაგრებით, ბაჩანა გვარიანი ნასვამი იყო. იჯდა ცხენზე, რომელსაც „მობილს“ ეძახდა. ცხენს ძალიან დაარბენინებდა. მზიარულობდა. გააქცევდა, წინ გაგვისწრებდა, შემდეგ დაბრუნდებოდა და ისევ ჩვენთან მოვიდოდა. იცინოდა და იძახდა: მე ბაჩუა ვარ, ბაჩუაო! ლუკა აფრთხილებდა: კაცო, მაგ ცხენს ნუ არბენინებ, გადმოგაგდებს, ნასვამი ხარო! ბაჩანა არ იშლიდა. მაღალ ღობეზე გადაახტუნა ცხენი. მინდორზე გაათამაშა. ხელმეორედ დაბრუნდა და ისევ გადმოაფრინა ცხენი ღობეზე. აკი გადმოაგდო ცხენმა ბაჩანა. წამოხტა ვაჟკაცურად ფეხზე და შესძახა ბაჩუა ვარ, ბაჩუაო! ბაჩუა კი არა, შე ხაწყალო, აჩუა

ხარ, აჩუა! რას დაარბენინებ მაგ ცხენს, რას აწვალელებო? უბრალო  
ძაბა ვაჭამ.

\* \* \*

ლუკას პირველ ცოლზე მეზობლის დედაკაცები იტყობდნენ  
ხოლმე: კეკე იმდენად დაბალი ტანისა იყო, რომ მახლეები ბევ-  
შევივით ხელში აიყვანდნენ და ისე ათამაშებდნენო.

კეკე ძალიან კარგი ხასიათისა ყოფილა. როცა ლუკა გა-  
ჯავრდებოდა, ის თურმე გაიქცეოდა და ყელზე შემოეხვეოდა.

ზამთარი ყოფილა. ლუკა თავის დასთან მართასთან წასუ-  
ლა ყვარელს. კეკე ფეხმძიმედ ყოფილა. თივის მძიმე ტვირთი  
აუკიდებია. გამხდარა ავად. დაწოლილა და რამდენიმე დღეში  
მომკვდარა.

ლუკასთან კაცი გაუგზავნიათ ყვარელს მომხდარ უბედუ-  
რების შესატყობინებლად. ლუკა სანადიროდ ყოფილა წასულა  
ყვარლის მთებში. ირემი მოეკლა და მოათრევედა თურმე ტყე-  
დან. ამ დროს მასთან ამბის მომტანი მიხსულა, დაბარებული გა-  
დაუცია. ლუკა ხის მორზე ჩამომჯდარა, ძალიან დაღონებულია.  
თურმე ერთსა და იმავე ლექსს იმეორებდა:

ემაში ბაწარა დავდე,  
ა ის ბაწარა რა იქნა?  
მოიპარაუდა სიკვდილი,  
მაინც ქურდია, მაინცა.

ლუკას მიუტოვებია ნანადირევი. ის და მართა შემსხდარან  
ცხენებზე და იმ დღესვე წამოსულან ჩარგლისაკენ.

\* \* \*

ლუკას უყვარდა ხატებში სიარული. დადიოდა ცაბაურ-  
თობას. ცაბაურთობა ლუკას მამის სალოცავი იყო და ზაფხუ-  
ლობით შუაფხოს ზევით, მთაზე იმართებოდა. დღეობა მთელ  
კვირას გრძელდებოდა. ხევის ბერები კლავდნენ კურატებსა და  
ჭედნილებს. იყო ღრეობა და ღზინი.

ლუკა არ დააკლდებოდა არც ლაშარის ჯვარის დღეობას.  
ლაშარობა იმართებოდა სოფელ ხოშარას გადაღმა, ახადის  
ბოლოზე. აქვეა თამარის სალოცავი ნიში და პატარა ეკლესია.



მთაწმინდობას ლუკა მიდიოდა კოპალას დღესასწაულზე  
კარატეში. კარატეს კოპალას ქვის სალოცავს ეძახიან.  
აქ ასვენია მძიმე ქვა. ხალხში ამბობენ, ეს ქვა დევმა მოი-  
ტანა კარატეს წვერიდან. მას დასდევნება კოპალა და დევის-  
თვის ლახტი დაუკრავს. ის ქვა წაურთმევია და ავთანდილის  
საქანთან დაუგდებინებია. დევი შუა არაგვში ჩაუარდნილა და  
ქვად ქცეულა, წყალში ახლაც მოჩანს ადამიანის მოყვანილო-  
ბის დიდი ქვაო.

ის ადგილი, სადაც კოპალამ დევს ქვა გააგდებინა, იქცა სა-  
ლოცავ ხატად (ადგილად). ლუკას სიცოცხლეში აქ იმართე-  
ბოდა დიდი დღეობა. ამ დღეობაზე ფშავეის ყველა კუთხიდან და  
სოფლებიდან თავს იყრიდა დიდძალი ხალხი.

კოპალას ქვა მეტად მძიმეა. ახალგაზრდობისას ძმები თურ-  
მე ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ამ ქვის აწევაში. ბაჩანა სხვა  
ძმებს სჯობნიდა.

ჩარგლისა და აფხუშოს დღეობაში გოველ წელს მთელი  
ჯალაბი მივდიოდით ხოლმე.

სწამდა თუ არა ლუკას ხატი, ამას ვერ ვიტყვი, მხოლოდ  
ეკლესიაში სიარულზე უფრო ხატობაში სიარული უყვარდა.

ვაჭა ფშაველი იყო, ფშაური წესების ერთგული. ქორწილი  
იქნებოდა თუ საღმრთო, ან თუ რიგი, ხალარჯობა და სხვა —  
არავის თავის წესსა და რიგს არ დააკლებდა.

თუ ვინმე ნათესავი მოგვიკვდებოდა, ჩაისვამდა ხურჯინში  
საკლავს (მამალ ბატკანს ან თოხლს), ტაკში არაყს ჩაისხამ-  
და, გამომაცხოვრებდა ქადა-ხმიადს, დამაკეთებინებდა ან თვი-  
თონ დააკეთებდა სანთლებს, შეჯდებოდა ცხენზე და წავიდოდა  
დაზარალებულ ნათესავთან.

ღვთისმშობლის დღეობაში ბოლომდის აღარ იცდიდა, გა-  
თენებამდის აღარ ჯდებოდა ლუდის სმაზე. მალე იცოდა შინ  
წამოსვლა. ლუდი ამურღვდება,\* ხალხი აირევა, სასმელმორე-  
ულების დღეობაში აღარ მწადიანო. — იტყოდა ხოლმე.

ბოლო დროს სანადიროდაც აღარ დადიოდა. მარტო მტრე-  
ღებზე გაივლიდა ხოლმე ნახნავებში, ანდა ჯეჯილობის დროს

\* ამურღვებული — ამღერეული.

კურდღლებზე ნადირობდა. სამი თოფი ჰქონდა. ერთს სასაფარს  
ტე თოფს ეძახდა, მეორეს — ყაზახურ ბერდენკას და მესამეს  
აინალს. ეს აინალი ახლაც ინახება ჩარგალში, ვაქანს სახლში.

ლუკას საკუთარი საფარი ანუ საყუჩი ჰქონდა სახლის აბ-  
ლოს, სულა-კურდღელათ ციხის კაკალთან. ამ კაკალზე მოდი-  
ოდნენ და სხდებოდნენ მტრედები დილა-საღამოს. ლუკაც ამ  
დროს უსაფრდებოდა თავის საფანტიანი თოფით. მტრედებს  
რომ არ შეენიშნათ — საფარს თოფლები ჰქონდა გაკეთებული  
საზარეში. ეს საზარე ახლაც არის, ოთხ სვეტზეა აშენებული,  
და თავზე ქვის სახურავი აქვს თაღებზე გადაყვანილი. ამ საზა-  
რეში ჩაუსაფრდებოდა კაკლის წვერზე შემომსხდარ ქედნებს.  
სროლა კარგად იცოდა და ნადირსა და ფრინველს იშვიათად  
თუ ააცდენდა ტყვიას.

ხატში, აფხუშაობას ყაბახები (ფშავეურად — ღაბახი) იცოდ-  
ნენ. ყაბახს მრგვალი პურის ხშიადს ვეძახდით. ხშიადს შუა-  
გულში მრგვალად გამოჭრილი პატარა ქალაღი აკრავს. სწო-  
რედ ამ ქალაღს უნდა მოარტყას მსროლელმა ტყია. აი, ამ  
ყაბახებს ესროდნენ მამაკაცები თოფს.

ეს ხატობა იმართებოდა სამი დღით. თითქმის ყოველ დღე  
იდგმებოდა ყაბახი. ზოგს მკვდრის პატრონი დადგამდა, ზოგი  
შესაწირავს იძლეოდა ყაბახში გამარჯვებულის სასარგებლოდ.  
ამ შესაწირავს შეადგენდა წინა-საფუხარი ან ფული (სამი მა-  
ნეთიდან ოცდახუთ მანეთამდის), ჩოხა-ახალუხი, ქამარ-ხან-  
ჯალი ან სხვა რამე ნივთი. ხანდახან კურაჰის დადგმაც იცოდ-  
ნენ.

მეთოფეთაგან ვინც უკეთესად ესროდა და მოარტყამდა ყა-  
ბახს, იმას დარჩებოდა ყაბახში დადგმული ფული და ნივთი.

თოფის სროლა (თოფოსნობა) იმართებოდა საჯარე ბინე-  
ბიდან ცოტა მოშორებით. მსროლელებსა და ნიშანს შორის მან-  
ძილი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ორასი სამასი მეტრი.

მახსოვს ერთხელ კაი ხანი გაგრძელდა ყაბახზე სროლა. ვე-  
რაინ ვერ მოარტყა. სთხოვეს ლუკას ჩამოსულიყო სასროლო  
გორზე და ესროლა. ლუკა ადგილიდან არ დაძრულა, თუმცა  
მანძილი უფრო შორი რჩებოდა. მოითხოვა თოფი და მწვანეზე  
დამჯდარმა სუფრის გვერდიდან ესროლა ყაბახს. ყაბახი დაგორ-  
და. ყარაულმა დაგორებული ხშიადი დაიჭირა, აიტაცა მალა და

დაიძახა: გაუმარჯოსო! ხშირად ქაღალდზე ეტყობოდა ნატყვი-  
არი. ყაბახი აღებული იყო. სუფრის გარშემო მსხდომმა, მანშია  
შესულმა ფშაველებმა მხიარულად შესძახეს ლუკას: „ყონად,  
ლუკავ! ყონად, ლუკავ! ყონად, ვაჟა!“ (ლუკას ფშავეში ზოგი  
ლუკას ეძახდა, ზოგი ვაჟას).

დღეობაში ლუკას ისეთ კაცებთან უყვარდა ყოფნა, ვინც  
დინჯი, დროული, კარგი მოსაუბრე იყო. ანდა ისეთი, ვისაც  
ბევრი რამ გამოეცადა ცხოვრებაში, კარგის მთქმელი და ფაქი-  
ზი ვაჟკაცი იყო. უყვარდა ძველი ამბების მოსმენა, კარგი  
თქმულების, ამბის ან ლექსის გაგონება. ხშირად დედაკაცებ-  
საც დიდი სიამოვნებით მოუსმენდა, თუნდაც ყბედი ყოფილიყო,  
ოღონდ საინტერესო ამბავი ეთქვა. ლუკა სიამოვნებით უსმენ-  
და ხევისბერის ლოცვას, ქადაგად დაცემულს.

თუ არ მოეწონებოდა ადამიანის ლაპარაკი, არ მოუსმენდა.  
ეჯავრებოდა ჭორიკანები, მოღუნებული ლაპარაკი არ უყვარ-  
და. თვითონაც ხმამაღლა ლაპარაკი იცოდა. თუ ვინმე ლუკას  
ლექსს კითხულობდა და ისე ვერ წაიკითხავდა, როგორც მას  
მოსწონდა, დაუყვირებდა: ცოცხლად წაიკითხე, კარგად გამოთქ-  
ვი, სიტყვას ნუ ამახინჯებო!

როცა ლუკას სთხოვდნენ ლექსის წაკითხვას, უთუოდ „არ-  
წივს“ წაიკითხავდა. სხვა ლექსს ვერ ათქმევინებდნენ ხოლმე.  
ეს ლექსი იყო მისი საყვარელი ლექსი. მაგრამ თუ აღარ მო-  
ეშვებოდნენ, მაშინ ვაჟა თავისას კი არა, ბანანას „მუხას“  
იტყვოდა. ეს ლექსი ვაჟას ძალიან მოსწონდა.

მუხავ, მიწვარხარ, ტიალო,  
განმარტოებით მდგომარე,  
ერთი შენ გპოვე გულისა.  
ქვეყანა შემოვიარე.

• • • • •  
საფლავემც აუყვავდება,  
ვინაც გვაუწფა მცნებაო:  
კაცი იშობის ერთ დღესა  
და ისევ ერთ დღეს კვდებაო.  
კარგი ვაჟკაცი სიკვდილსა  
არროს არ შეუდრკებაო!

ლუკა წერის დროს მეტყვოდა — ფანდური დაუკარიო. მე  
ავიღებდი ხელში ფანდურს და წყნარად ვუკრავდი, ის კი წერ-  
და.

ლუკას სიმღერა, ცეკვა, დაკვრა ასე თუ ისე ეხერხებოდა. ცეკვით ვერ ცეკვავდა კარგად, უფრო ბაჯბაჯებდა, ვიდრე ცეკვავდა. ფანდურის დაკვრას კი — არაუშავდა, საამური დაკვრა იცოდა. ხოლო შემომახილი ფანდურზე ნაკლებად იცოდა ხოლმე. უყვარდა ფერხულში ჩაბმა და ბანის მიცემა. ხშირად თავისთვის ღიღინებდა და მღეროდა სახუმარო ლექსს:

სანამ მქონდა ფულები —  
ეჭამე მოხრაკულები,  
როცა გამომეღია,  
ჩამოყვარე ყურები.

ხანდახან ძმები: ლუკა, ბაჩანა, თედო და სანდრო ვიღაცა ნაცნობს (გვარი არ მახსოვს) დასცინოდნენ სიმღერაში. იცინოდნენ და თან ღიღინებდნენ:

ვინდ მეძინოს, მაინც ხულში მიზიხარ,  
თვალს ავახელ, ზედ წამწამზე მიზიხარ...

ხშირად დასცინოდნენ ფშაეში მოსიარულე ვიღაც ვაჭარ ვართანასაც. ამ ვაჭარს ცხენით ფარჩა დაჰქონდა სოფლებში გასაყიდად. ვართანას მოსწონდა თურმე ფშაელის ღედაკაცი მელანია. სადღაც დღეობასა თუ ქორწილში ეს ვაჭარი დამთვრალა. გაზურებული ცეკვა-თამაშის დროს ვაჭარი ტაშს უკრავს რაც ძალი და ღონე აქვს, გამალებული ცეკვავს და თან ყვირის: ტაში, მელან, ტაში, მელან, ტაში მელანო!

ბაჩანა აჯავრებდა კარგად იმ ვაჭარს და ძმებიც ბევრს იცინოდნენ ხოლმე ამ მელანოს გახსენებაზე.

ერთ სხვა სასაცილო ამბავსაც ხშირად იგონებდნენ ძმები: ლუკას მდინარე ჩარგლულას გამორიყული ჯირკვები და ფინხი შეეგროვებინა ჩვენი სახლის ბოლოზე. ჩვენი მეზობლის, ლუკას მეგობარ ფოცხვერას, სიდედრი დუთა ჩამოსულა და შეშა საბელზე დაუწყვია სახლში წასადებად. ამ დროს მოუსწრია ლუკას და დაუყვირია: სად მიგაქვს ეგ შეშაო? დუთას უპასუხნია: ნუ მიჯავრდები, თორთ ვიტყვით! ლუკა დაინტერესებულა და შეჰკითხვია: მაინც რას იტყვით? დუთას უთქვამს: იმას ვიტყვი, რომ შენ მოლოდინაანთ წინოს ლოყაზე ხელი აუსვიო. ლუკას გასცინებია და უთქვამს: ოღონდ ნუ იტყვი და წაიდე, თუნდაც სულ შენი იყოსო. ბაჩანა ხუმრობით ეტყოდა

ხოლმე ლუკას: როგორ გითხრა დუთამ, ვატყვი, შენ რომ ნინოს  
ლოყაზე ხელი აუსვიო? ატეხავდნენ ძმები სიცილს და გულდასაწყვეტად  
ნად ხარხარებდნენ.

\* \* \*

ლუკა ცრუმორწმუნე არ იყო. მაგრამ ხანდახან სიზმრისა  
სჯეროდა ხოლმე. ჩემს სათხოვნელად რომ მოვიდა სოფელში,  
ლუკა მის მხლებელ მღვდელსა და ბაჩანას ეუბნებოდა: სიზ-  
მარში ვნახე, ვითომ დედალი ინდაური დაეიჭირე ამ ეზოში.  
როგორც მახსენდება, სწორედ ეს გზა იყო.

სოფელ ჩარგალში ცხოვრობდა დიდუელა რაზიკაშვილი,  
რომელიც ლუკას გარეშე ბიძად ერგებოდა. ამ დიდუელას ვი-  
ლაციზგან ეყიდა ხატისათვის შეწირული ზარიმის თოფი. ლუკა  
გაუწყრა დიდუელას: ეგ თოფი არ უნდა გყვიაო. მე სიზმარა  
ვნახე, ვილაცა ჯარისკაცმა თოფის ხიშტა შიგ თვალში გამი-  
ყარა. დაკვლიე და ეგ თოფი იყო, რომელიც შენ იყიდუო.  
იმის შემდეგ გამიფუჭდა ეს თვალის... არ ვიცი, სწამდა რამე  
ამ ამბისა, თუ ნაქურდალის საგვარეულოში შემოტანაზე ჯავ-  
რობდა.

ლოცვების თქმა ლუკამ არ იცოდა. მხოლოდ დასაძინებლად  
(რომ დაწვებოდა, იტყოდა: ღმერთო შენათ და არა ჩვენითაო.  
ხალხის ზნე-ჩვეულებას ლუკა გულგრილად როდი უყუ-  
რებდა, ყველაფერი აინტერესებდა.

ჩარგალში ერთი დედაკაცი (რომელსაც თუშაის ქალს ეძახ-  
დნენ) ქადაგად დავარდა: მოთქვამდა, ქადაგებდა ათას რამეს.  
გულუბრყვილო ხალხი ამბობდა: ღმერთი ალაპარაკებსო. ლუ-  
კაც დაინტერესდა, წავიდა თუშაის ქალის სანახავად. მოუსმინ-  
ა იმის ქადაგობას და შინ დაბრუნდა. მე შევეკითხე:  
მართლა საოცარ რამეს ამბობს ის თუშის ქალი თუ არა-მეთ-  
ქი? ლუკამ მიპასუხა: თვითონ არ იცის, რას ბოდავს, მოთქ-  
ვამს რაღაცებს, რაც მოაგონდებაო.

\* \* \*

ლუკას მეტად უყვარდა ფშავ-ხევსურეთის ძველი მეომარი  
გმირები: ხირჩლა ბაბურაული და ხიმიკაური. ფშაველი გმი-  
რები: სუმელჯი წოწკოლაური, განთქმული კუკუმაური, თადი-

აური (თხისტყავიანი), ლაჭაური და ბეკო ბაკურაული.  
ტრიონში“ ნახსენები ჰყავს სუმელჯი:

სუმელჯიმ კარგა გირნია,  
წასვლა გირჩევნავ, ქალაო,  
შენის ყოლით და არ ყოლით  
არ გვიბედუნებს ძალაო!

პოემა „გიგლიაში“ თადიური გამოყვანილი ჰყავს გიგლიას  
თანამებრძოლად და მას „მყვირალს“ ეძახის.

ლუკას ძალიან უყვარდა საქართველოს სახალხო გმირები;  
ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარი, გიორგი,  
სააკაძე და განსაკუთრებით პატარა კახი (ერეკლე მეორე).

\* \* \*

ქართველ მწერლებსა და პოეტებში ლუკა დიდი მოწიწე-  
ბით ახსენებდა შოთა რუსთაველს. მისი სიტყვები, განსაკუთ-  
რებით აფორიზმები, ხშირად მოჰყავდა ლაპარაკის დროს:  
„კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია!“, „რა  
მისჭირდეს მაშინ უნდა, გონებანი გონიერსა!“, „ჭირსა შიგან  
გამაგრება ისრე უნდა, ვით ქვითკირსა“ და სხვ.

ილია ჭავჭავაძის დაკარგვას მისტიროდა ყოველთვის: რა  
კაცი დავდუბეთ, რა კაცი მოვკალითო. აკაკის სიკვდილი რომ  
გავიგო, ძალიან ეწყინა.

ლუკა ახლო მეგობარი იყო დემურიასა, ბაბილინასი, შიი  
მღვიმელისა. მათ ხშირად ახსენებდა.

ზაფხულობით ლუკასთან მოდიოდნენ ხოლმე სტუმრები:  
თბილისიდან, თელავიდან, გორიდან, თიანეთიდან და სხვა კუ-  
თხიდან.

ჩვენთან, ჩარგალს, ამოვიდა ერთი მაღალ-მაღალი მხატვა-  
რი, ტომით რუსი (გვარი არ მახსოვს). მან ფერებით დავგხა-  
ტა ლუკა და მთელი ჯალაბობა. ცალკე დახატა ლუკა და სო-  
ფელი ჩარგალი.

\* \* \*

ლუკა ვერ ურიგდებოდა მეფის მოხელეებს: ბოქაულს, მაზ-  
რის უფროსს, მამასახლისს, ნაცვალს, გზირებს, „აბეშჩიკებს“.  
ყველას ედავებოდა და ეჩხუბებოდა. დაობდა ადგილებზე. 33-

ტყოლი ხოლმე: რა გინდა, რასა დაობ, რატომ არ მოიხვეწებ, ხალხს რას იმტერებ? ლუკა მიპასუხებდა: განა ჩემთვის მინდა ეს ადგილები? ხალხისთვის მინდა და იმისათვის ვდაობ. ხალხი შირაქის თაობაზე რომ ვიყავი წასული, შირაქი ჩემთვის კი არა, ხალხისთვის მინდა. ხალხი შეწუხებულია გადასახადებისაგან. ყველა მას ატყუებს: ჩარჩიც, ვაჭარიც, გზირ-ნაცვალიც, „აბეშნიკებიც“ (ტყისმცველებიც) ხალხს ყველფენ, შინაური ტურები უფრო მეტს ჩადიან, ვიდრე გარეული მგლებიო. ჩვენი ხალხიდან ზოგიერთს არ ესმის, რომ მხარი დამიჭიროს. აი, მიგრიანებებიდან ზოგიერთმა რა გამიკეთა. შენობა დამინგრიეს. ჰკონიათ, ვაჟა-ფშაველა მეთვე წყალს ბაჟს დაადებსო. ის კი არ იცინა, რომ უფრო მეტი ბაჟი და ხარჯი სჭირდებათ, თუ ვე მეთვე წყალი ისევ „აბეშნიკების“ ხელში დარჩაო.

ჩარგლისკარს ცხოვრობდა ერთი ფშაველი, სახელად ნადირა. ნადირა შირაქში გადასახლდა და იმისი ძველებური დარბაზი ლუკამ იყიდა. ეს სახლი სულ მუხის მასალისაგან იყო აშენებული.

ლუკამ დაახერხინა მუხის კოჭები და მეთვე წყალზე გაიტანა ხარებით.

რამდენიმე კვირაში ააშენა კიდევ ჩარდახი ავადმყოფებისათვის. მოათავსა შიგ ავადმყოფები უფასოდ. „აბეშნიკები“ კი სამკურნალოდ მოსულ ავადმყოფებს ბილეთებს ურიგებდნენ და სულზე მანეთს ახდევინებდნენ. ლუკას კი ავადმყოფებისაგან თავის დღეში კაპიკიც არ აუღია.

ამ ჩარდახის აშენება შეიტყვეს მეფის მოხელეებმა, კერძოდ, „აბეშნიკებმა“. მათ მოსახლეობის ნაწილი მიიმხრეს და ვაჟას აუმხედრეს. ერთმა კაწალხეველმა „აბეშნიკმა“, სოფელ მიგრიანულთის მცხოვრებლებს ჩააგონა, რაკი ვაჟა-ფშაველა მეთვე წყალს დაისაკუთრებს, თქვენც აგყრით აქედან და მთელი არემარის პატრონი შეიქმნებაო.

მან მიგრიანულებს ურჩია დაენგრიათ ლუკას აშენებული ჩარდახი და მთელი მასალა მდინარე არაგვში გადაეყარათ. მართლაც, მიგრიანულთიდან ხალხს მოეყარა თავი და დასცემოდა მეთვე წყალზე ავადმყოფებს.

ამ დროს ლუკას უფროსი ვაჟი ლევანი იქ ყოფილიყო მეთვე წყალზე სამკურნალოდ. მას სძინებოდა, როცა მიგრიანულე-

ბი შუალამისას დაეცნენ ჩარდახს დასანგრევად. ლევანს მხედრულ  
ნარეს დასხმოდა თავს რამდენიმე კაცი. თოფი აღარ დასწრებულ  
ბინათ. ლევანი მათ ხელიდან გასხლტომოდა და მდინარე არაგ-  
ვით გამოვარდნილიყო გამოღმა, ჩარგლის მხარეს.

მიგრიაულებს იმ ღამესვე დაენგრიათ ჩარდახი და მთელი  
შენობა არაგვში გადაეყარათ. შეშინებული ავადმყოფები ზოგი  
იქვე დარჩენილიყო ველზე, ზოგიც ტყეში გაქცეულიყო საც-  
ლებისამარა.

ამ ამბის გამო მოეწყო სასამართლო. მიგრიაულებმა საქმე  
წააგეს. სასამართლოს დანიშნულებით მათ დაეკისრათ შენო-  
ბის ანაზღაურება.

ღარიბები ვიყავით და ლუკამ ხელმეორედ ვეღარ შესძლო  
ხალხისთვის თავშესაფარი ბინის აგება. ის კია, რომ არავის  
ჰქონდა უფლება ავადმყოფებისათვის „ვაჟას წყალზე“ ბაგი  
გადაეხდევინებინა.

ვაჟამ რკინის კეტით დაანგრია ტყის მცველის მიერ ცე-  
მენტი და ტყვიის მილით გაკეთებული მჭავე წყალი და და-  
ტოვა ისევ იმ კლდეზე მომდინარი.

„აბეშჩიკებს“ ლუკასი ძალიან ეშინოდათ: გულბრაზიანი  
კაცია და ადვილად თოფს დაგვეკრავსო.

ლუკა და ლევანი უკანა ფშავის ხატში იყვნენ, აღარ მახ-  
სოვს კარგად: ცაბურთობაში თუ უძილაურთაში. ამ დღეობა-  
ში ვილაც „აბეშჩიკს“ განუზრახავს ლუკას მოკვლა. ამ განზ-  
რახვის ასრულებას აპირებდა მალულად, თოფის დაკერით. ეს  
ამბავი ვილაცას ლევანისთვის უცნობებია. ლევანს მთელი ღამე  
თოფით უყარაულნია თავისი მამისთვის. ლუკას გაუგია და რო-  
ცა სუფრაზე ისხდნენ, უთქვამს: აი, რა საწყალია ჩვენი ხალხი,  
ბრმა და უვიცი. არ იციან, რომ მათ თავიანთი მამა უნდა მოკ-  
ლანო!

ლუკა და ლევანი ხატობიდან დაბრუნდნენ უვნებლები. გზა-  
ში ლუკა შეხვედროდა ტყის მცველს და ჩხუბი აეტეხა: მჭავე  
წყალზე ავადმყოფებს ფული რად გამოართვით? გაერთყა, ცხუ-  
ნიდან გადმოეგდო და ხმალი წაერთმია.

კახეთს მიმავალ ლუკას გზაში, მალალ ახადზე, თოფით ჩა-  
საფრებოდა ვილაც „აბეშჩიკი“ — მოსაკვლავად. ის ნასვამი ყო-  
ფილიყო და ჩასძინებოდა. ხესთან ჩამომჯდარ „აბეშჩიკისთვის“



ლუკას შორიდან მოუკრავს თვალი. თოფითვე წარსდგომოდა თავზე მძინარეს, გამოედევინა და ერთი მაგრად ეცემა. მაგრამ ცემაც არ უკმარებია, თოფი წაურთმევია.

ერთ არტაანელ „აბეშჩიკს“ გადმოუვლია ჩარგლისკენ და გზაში ჩარგლელი გლეხებისთვის ცულები წაურთმევია. გლეხებს ლუკასთვის შეუჩივლიათ: ცულები წაგვართვაო. ლუკა ბოწახის ჭალაზე, თუ სადღაც ზევით, დახვედრია „აბეშჩიკს“ და იარაღი აუყრია მისთვის.

ერთხელ ლუკას თიანეთიდან ექიმი ეწვია. სადილი გამოვანყვი; სუფრაზე მოხარშული დედალი და კვერცხები ბლომად ეწყო, ლუკამ მაინც დო მომატანინა; ცოტა არ იყოს უხერხულად მიმაჩნდა სუფრაზე იმის გამოტანა; დო უკვე დამჯავებული იყო, მაგრამ ველარაფერი ვუთხარი; ვაჟამ ჩაიყარა პური დოში და დაიწყო კოვზით ჭამა. ეს რა არისო? — შეეკითხა ლუკას ექიმი. — ერთი მოუტანე ამასაცო, — მითხრა ლუკამ. მიმატანინა ექიმისთვის დო ჯამით. შენც ჩაიყარე პური და ამოჭამე, მაშინ გაიგებ, რაც არისო! — უთხრა სიცილით.

ბოქაული ოზიევი მოუვიდა ლუკას სტუმრად. იმ დროს ბაჩანაც ჩვენთან იყო. შევუდექით ხინკლის კეთებას. აქეთ ოთახში ჩვენ ვიყავით, ვაკეთებდით ხინკალს, ბაჩანაც გვეშველებოდა, იქით ოთახში კი — ოზიევი, ლუკა და ორიც სხვა სტუმარი: ლაპარაკობდნენ. ოზიევმა უთხრა: ვაჟაუ, აქამდე ხომ მერეოდი, ახლა ველარ წამაქცევო! შუა კარები ღია იყო. ვხედავდით ყველა, თუ როგორ წამოხტა ლუკა. აბა, გამოდი, სანამდეოდ ხუთი თუმანი დადოს, ვინც წაიქცესო! ოზიევი ეხვეწებოდა: არა, ვაჟაუ, გეხუმრეო! მაგრამ ლუკა აღარა ცხრებოდა. ბოლოს, ბაჩანაც ჩაერია მათ ლაპარაკში და რაკი ხინკალიც მოიხარშა, ყველა მხიარულ ხასიათზე დადგა.

გავიდა რამდენიმე ხანი. ოზიევი კვლავ ესტუმრა ლუკას ოჯახში, მაგრამ ახლა ფორმის ტანსაცმელი აღარ ეცვა. ზევიდან ძველი ჩოხა ჰქონდა გადაცმული. მოკვლისა ეშინოდა: თოფი არავინ დამკრას ჭალაზეო.

შემოვიდა შინ, გაიხადა ჩოხა და გამოინდა ბოქაული თავისი მედლებით. იცინოდა: მეშინია, კაცო, თოფი არავინ დამკრას ამ არეულობაშიო — და ლუკას უამბო: მითხრეს, უნდა წახვიდე რამდენიმე კაციით, ვაჟა-ფშაველა დაიჭიროთ და ჩამო-

იყვანოთო, მე ვუთხარი: ახლავე რომ თოკით ჩამომკიდოთ და ჩამომახრჩოთ, მე ვაჟას ვერ დავიჭერ, რადგან მთელს საქართველო აჯანყდება-მეთქი. შეცვალეს აზრი და შერც დაჭერას გადარჩი, ჩემო ლუკაო.

\* \* \*

ლუკამ და მღვდელმა გიგო სონლულაშვილმა უკანა ფშაესა და მაღაროსკარის თემში ხალხი დააფიცეს ერთობის ერთგულებაზე. ტყისმცველებს და გზირ-ნაცვალ-მამასახლისებს მედლები აჰყარეს. ეს მედლები ლუკამ შინ ხურჯინით მოიტანა და მაგიდაზე დაყარა.

მე შემეშინდა. ვკითხუე: ეგ რაღა არის-მეთქი — ეს შენ საჩუქრად მოგიტანე, შენთვის შიბი უნდა გაეკეთებინო! — მითხრა ლუკამ სიცილით.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოტანილი მედლები ლუკამ მაღაროსკარისა და შუაფხოს კანცელარიებს დაუბრუნა. ამაზე ვაჟას სასამართლო დაემუქრა. მაგრამ მან სასამართლოშიც თავი გაიმართლა... ხალხი გაიფიცა, მედლები აყარა და მე ჩამაბარა, მე კიდევ ზომ არ გადავყრიდიო!

\* \* \*

ლუკამ იცოდა წაკაფიაგება ლექსებისა, არ ვიცი, მას ეკუთვნის თუ არა ეს ლექსი, მისგან კი გამიგონია:

ტირილით ლუკმას ვერ შევჭამთ,  
ვერც გზას გაეიგნებთ ბნელასა,  
ვერც ღუშმანს მოვიგერიებთ,  
თავს მოვაბუზრებთ ყველასა.  
დაგვიგმობს შთამომავლობა,  
დაგვიწყებს ახზე წყევასა!

იცოდა აგრეთვე თქმა:

ტირილითა და ვიშითა  
მტერნი არ შეგვიბრალებნო.



\* \* \*

ერთხელ მე, ბაჩანა, ლუკა და ლევანი ცხენებით წავედით სათევზაოდ. წავიღეთ ბადეები, ტიკით ღვინო და საგზალი. ბადე ლუკამ ისროლა. ბევრი თევზი დავიჭირეთ. იქვე მწვანეზე დავანთეთ ცეცხლი და თევზი მოვხარშეთ. გავშალეთ სუფრა. ამ დროს ზევიდან გამოჩნდა ცხენით მომავალი მღვდელი.

— მობრძანდით, მამაო! — მიესალმნენ მღვდელს ძმები. მოიპატიჟეს სუფრაზე მოძღვარი და გააბეს ქეიფი. კიდევ ვიღაც ფშაველი შემოგვემატა. მღვდელი უზომოდ დაითვრა, ვაჟას არ მოეწონა მღვდლის ასეთი დათრობა.

— აბა, ასეთმა მოძღვარმა რა უნდა ასწავლოს ხალხს, როცა თავის მუცლის ზომაც არ იცის! — წამოიძახა გაჯავრებით ლუკამ, როცა მღვდელი სუფრასთან წაქცეული ნახა.

\* \* \*

სანამ ცოცხალი იყო ლუკა, მე თბილისს არ წაუყვანივარ. თბილისი პირველად მის დასაფლავებაზე ვნახე. მკათათვე იყო, ზაფხული. ვთქვი კიდევ მაშინვე: ამ სიცხეში რა გააძლებინებდა-მეთქი! გული მიწუხდა, ისეთი სიკვამლე იყო. იმოდენა ხალხში, აღარ ვიცოდი, რა მექნა. მრცხვენოდა, ტირილი მინდოდა და ვერა ვტიროდი. დიდძალი ხალხი დაესწრო ლუკას დასაფლავებას. დიდი პატივი სცა ქართველმა საზოგადოებამ. კარგი სიტყვები თქვეს დიდუბეში მის დასაფლავებაზე.

ლუკა ფშაველების იმედი იყო. როცა ლუკას სიკვდილის ამბავი მოვიდა ფშავში, ერთმა ფშაველმა ეგრე დაიტირა:

ვერ გაიგეთა, ფშაველნო,  
შეგეხსნათ რკინის კარიო?  
ქალაქში დარჩა ლუკაი,  
რაზიკანთა გვარიო!

## თამარ რაზიკაშვილი

(ჰამას ძალიშვილი)

მამაჩემი სოფლად მუშაობდა, როგორც სხვა ფშაველები. ყველაფერს თვითონ აკეთებდა, მაგრამ მაინც ღარიბად ვცხოვრობდით. მე და ჩემი ძმა ლევანი მოზრდილები ვიყავით და მამას ვშველოდით საქმეში, განსაკუთრებით თიბუა-მკაში.

მე ყანის მკა კარგად ვიცოდი. დედაჩემი მარტო კონეას გვშველოდა, მკა არ იცოდა.

მამაჩემს ჩვეულებად ჰქონდა: სამკალში თოფი უნდა გამოეყოლებინა. როცა იფნებზე ან რომელიმე ხის ტოტზე შემომსხდარ მტრედეებს დაინახავდა, სამკალს თავს გაანებებდა, სანადიროდ წავიდოდა.

ხან შინაც იცოდა წასვლა.

ჩვენ გვეტყოდა: მკეთ ყანა, იმუშავეთ, სადილ-სამზარს მე მოგიტანთო. მოგიტანდა ხან ხავეწს, ხან ხაჭო-ერბოს. საჭმელების კეთება მამას კარგად ეხერხებოდა. დედაჩემი კეკე რომ მოგიეკვდა, საჭმელს მამა გვიკეთებდა.

საერთოდ, დედა სუსტი აგებულებისა იყო. თხუთმეტა წელი იცოცხლა მამაჩემის ხელში.

დედის სურათი არ დაგვრჩენია, რადგან იმ ხანებში სოფლად არავინ იყო სურათის გადამღები, ქალქში კი ჩვენ არ დაედითო.

უკანასკნელად დედა რომ ავად გახდა, მე, მარიამი და გულქანი ჯერ კიდევ ბალები ვიყავით. ვინ იყო ჩვენი ბატონი? ხანდახან ბიძაჩემი ნიკო (ბაჩანა) თუ მოგვხედავდა. გულკეთილი, ძმისწულების მოყვარული იყო, ჩვენც ძალიან გვიყვარდა. როცა ნიკო მოვიდოდა, სიხარულით ცას ვეწეოდით ხოლმე.

ასე მიდიოდა ჩვენი ცხოვრება.

ბალებს მამის შიში და დიდი ხათრი გვქონდა. თავის საწერ მაგიდასთან არ მიშვებდა დასალაგებლად, თვითონ ალაგებდა. თუ გაიგებდა, რომ ჩვენ მივალაგ-მოვალაგეთ, ძალიან გაჯავრდებოდა.

მამას საწოლზე დათვის ტყავი იყო გადაფარებული. დათვის ტყავზე თეთრი ნაბდის ქერა ეფინა. ქერაზე ვეფხვის ტყავი

ეხატა. საწოლის თავთან კედელზე მიკრული იყო ირმის და  
ჯიხვის რქები, აგრეთვე არწივის მხრები და ბრჭყალები.

იქვე კედელზე ჩამოკიდებული იყო ფარ-ხმალი, ორი თო-  
ფი: ერთი ბერდენკა და ერთიც აინალი, შათ გვერდით ნახავ-  
დით დიდ ფანდურსაც.

როცა მამა გაჯავრდებოდა, იტყოდა ხოლმე: საკრამენტო,  
საკრამენტო! ამას დიდი გაჯავრების დროს იტყოდა ხოლმე.

\* \* \*

მამა უმეტესად ღამე წერდა, როცა ჩვენ გვეძინა. დღისით  
საქმიანობა უყვარდა. ბაღებს ყოველთვის გვეუბნებოდა: სი-  
ზარმაცე წაახდენს კაცსა, შრომა კი სიკეთეს აძლევსო.

მამამ ხშირად იცოდა ფანდურზე დამღერება.

ერთ ღამეს გვიანობამდე არ დამეძინა. ჩუმად ვადევნებდი  
თვალს მამაჩემის წერას. ვხედავდი: ადგებოდა, ხან ერთ კე-  
დელს მიაჩერდებოდა, ხან მეორეს. მიმოდითოდა ოთახში. მივი-  
დოდა, დაწერდა, კიდევ გაივლ-გამოივლიდა. ხან ფანდურს ჩა-  
მოიღებდა კედლიდან, დაუკრავდა და დაამღერებდა:

თავის პატრონი ენაცელოს,  
თავის თვალყუითელ ციცასა...

უფანდუროდ სხვა ლექსების მღერაც იცოდა:

ბიჭო, წვერი მოვიპარსავს,  
სალამაზოდ — კისერი,  
ბიჭო, რატომ ცოლს არ ითხოვ,  
ყურუმსადო, ვის ელი?

რუსულადაც მღეროდა რაღაც ლექსს. ორი სტრიქონი  
ძლივს დამამახსოვრდა:

უ კაზბევა შატგაროი  
ბილ ველიკი სპორ...\*

\* ეს სტრიქონი ამოღებულია მ. ლერმონტოვის ცნობილი ლექსიდან  
«Спор»:

«Как-то раз перед толпой  
Соплеменных гор,  
У Казбека с Шат-горой  
Был великий спор...»

მამა მოწადინებული იყო ესწავლებინა ჩვენთვის, მაგრამ საამისო პირობები სად იყო. ხშირად ჩიოდა ხოლმე: ნუმს კა... ლიშვილს ვერ ვასწავლე, უსწავლელი დამრჩაო. მარტო ერთი ზამთარი ვიარე სასწავლებელში.

როცა სადმე წავიდოდით, ცხენს მე შემაკანზმინებდა, კარვად მყავხარ დაცდილიო: თამარ, შენ ჩაუდევ აღვირი ცხენსო — მეტყოდა ხოლმე.

ერთად რომ მივდიოდით გზაში ცხენებით, ჯიბიდან წიგნაკს და ფანქარს ამოიღებდა, რაღაცას ინიშნავდა, მთებს და ტყიან ვორებს აკვირდებოდა, თვალს ავლებდა. არაგვის პირზე დიდი მორევების ყურებაც იცოდა: აქ ნამდვილად ორაგული იქნებაო, იტყოდა ხოლმე. ორაგული ძალიან უყვარდა.

თოვლი რომ მოვიდოდა, უყვარდა სანადიროდ წასვლა. სოფლებს ამ დროს თივა თრევით ჩამოაქვთ მთიდან. მამა იტყოდა ხოლმე: შვლები ამ დროს ნათივარს ეტანებიან და კაცი ადვილად შეხვდებაო. ნადირს ბლომად ხოცავდა. დიდი თოვლის დროს მამა საბელზე დააწყობდა თივის ტვირთს და წამოიკიდებდა მხარზე. მეც, ტვირთიანი, ძუნძულით მოვდექვით უკან. ხან წავიყვანდით დიდ ხარებს, მარტო უღლით შებმულებს. ხარებს, ცხენებსაც ტვირთს აკვიდებდით და ასე სამი კალომეტრის მანძილზე, აფხუშოდან ვეზიდებოდით თივას.

ზამთრისთვის მამას უყვარდა მომარაგება: გვაზიდებოდა ბაღლებს მაჭალოს ჩალა-ბზეში ჩასაყრელად და მწნილისათვის, ხოლო საარაყედ — პანტას. მე საკაბებს დამპირდებოდა, ლევანს — ჩოხა-ახალუხს.

ზამთარში ამოვყრიდით შეციებულ მაჭალოს ჩალიდან, ვალ-ხოზდით ცეცხლთან და შევექცეოდით. ვაყენებდით კარვ კაპარს სუფთა, დიდი ქილაში. ზამთარში კაპარი მუდამ გვქონდა. მამას უყვარდა მისი სმა. ზაფხულში პანტიდან ტკბილ სასმელს აკეთებდა — წვენიში ჩამიჩს ყრიდა, ბოთლებში ასხამდა, სამური სასმელი იყო. აბა, კარგი, ტკბილი პანტა შეარჩიეთ და თითო ბოთლს თქვენც გაგიკეთებთო, — წავგახალისებდა ხოლმე.

\* \* \*

ერთხელ ძროხაში ვართ. ჩემი ტოლი მეზობლის გოგო და მე ერთად დაედოდიოდი საქონელში. ახუნის გორაზე ერთი გვერდ-გამომწვარი, ხმელი წიფელი იდგა. ამ წიფლის ახლოს ვიყავით საქონელთან. უცებ გაავდრდა. წვიმამ ცოტა დაგვასველა. გავიქეციოთ და ხმელი წიფლის გამომწვარ გვერდში შევაფარეთ თავი. წვიმამ გადაიღო. მზე გამოჩნდა. საქონელი ბალახს ძოვდა. გავთბით მზეზე. ერთავეს ჩაგვძინებოდა; ვერ გაგვეგო დალაშქბა. მამა წამოსულა ჩვენს საძებნელად.

უცებ ხმა შემომესმა: თამრო, სადა ხართ, რა უყავით საქონელიო! რომ გამომეღვიძა, ფეხზე წამოვდექე. ბნელოდა, ქალს მოვკიდე ხელი, მასაც ისევ ეძინა. შემდეგ გამოიღვიძა. ძროხები ხეების ქვეშ, ყურეში ერთად შეყრილიყვნენ. ძალიან შემეშინდა: ვფიქრობდი: მამა გამიჯავრდება-მეთქი, მაგრამ არ გამჯავრებია: — დაგთბებოდათ მზეზე და იმიტომ დაგძინებიათო, — გვითხრა მამამ.

\* \* \*

როცა წამოვიზარდე, მამამ ერწოში გამათხოვა. ჩემი მამამთილი ბეწუკლიშვილი შეძლებული ოჯახის პატრონი იყო. მაგრამ სიმდიდრე მე სრულებით არ მიზიდავდა. ისევ ჩარგალი მეძახდა: ჩვენი ღარიბი ქოხი, მამის სახლი და მამის კერა.

ჩარგლიდან მაყრიონი გამომყვა: ჩემი ძმა, ბიძაშვილები, მეზობლის ახალგაზრდობა, მამა და ბიძები. კარგი ქორწილი გადაიხადეს.

ბოლოს ყველა დამემშვიდობა; გული მწყდებოდა, ჩემები რომ მტოვებდნენ. ბიძაჩემს ბაჩანას ძალიან ვუყვარდი. გადამეხვივნენ, გადამკოცნეს. ცხენებზე რომ შესხდნენ, ბაჩანამ ასეთი ლექსით მომმართა:

რთვილმა დააზრო ყვაიელი,  
ყინვამ დათოვა მთებია...  
ჩვენ კი მიედივართ, თამრო,  
შენ კი ერწოხა გვრჩებია.  
ნუ დაგვივიწყებ გენაცვლე,  
თუ გიყვარს მამა-ძმებია!

საქართველოს  
საგარეო ურთიერთობების  
სამსახური

\* \* \*

უკანასკნელ ხანს, როცა მამა მძიმე ავადმყოფი თბილისში, წმინდა ნინოს სახელობის ლაზარეთში იწვა, მე ერწოში, სოფელ მარგანეთს, ქმრის ოჯახში ვიყავი. მამას ჯანმრთელობისა არაფერი ვიცოდი.

ერთ ღამეს სიზმარი ვნახე. ჩვენი სახლისაკენ მომავალ გზაზე გამოჩნდა მამაჩემი. ის თავის ცხენზე „ნიკორზე“ იჯდა და პირდაპირ ჩვენსკენ მოდიოდა.

მე გამეხარდა მამის დანახვა და წინ შევევებე. მოახლოებულმა ხმა არ გამცა და გზის გაგრძელება დააპირა. მე „ნიკორს“ ყელზე შემოვებვიე, მამამ თავი გაიბრუნა და მითხრა: ეჰ, რაღა დროსიაო!

გამომეღვიბა დაღონებულს და შეშინებულს. როგორც კაინათა, გავიქეცი ჩვენს მახლობელ სოფელში ბერაანთას. ბერაანთ მისვლა-მოსვლა ჰქონდათ თბილისშია და გაზეთებსაც ღებულობდნენ. ბერაანი მოწყვნილი დამხედნენ და ბოლოს გამომიტყდნენ კიდევაც. მითხრეს: მამა მოგკვდომია, შე საწყალო, და რატომ არ მიდიხარ, რას აკეთებო.

დავბრუნდი. ტირილით გამოვიარე მთელი გზა. მივედი შან. მაშინვე შევკახე ცხენი, შევეჯექი და იმავე დღეს ნაძალადეუში ჩამოვედი. აქ მითხრეს: მამა ქაშვეთის ეკლესიაშია დასვენებულიო. ქაშვეთის ტაძარში რომ მივედი, დიდძალი ხალხი ირეოდა, შესვლა არ შეიძლებოდა. ამ დროს გამოვიდა ერთი ნაცნობი, ქუდი დაიქნია და ხალხს მიმართა: ხალხო, ვაჟს ქალიშვილი მოდის და დაუთმეთ გზაო! ძლავს მივალწიე კუბომდის.

## მისა რაზნიკაშვილი

\* \* \*

[ვაჟა ყვარლის სხირი სტუმარი იყო]

ყვარელში ყოფნისას ყველაზე ძალიან ჩვენს მოკეთებში ილია ჯანიკაშვილი (ვაჟას ჩამოსვლის დღეს რომ ძღწით გვეწვია) მოეწონა, რომელმაც აუარებელი ზღაპრები, იგავები და სხვა და სხვა ამბები იცოდა. უამბო თავის თავგადასავალი,

804



როდესაც ის ნოქრად მე-2 გილდის ვაჭარ ცაკანასთან იყო, რომელსაც გაბრაზებული, ნაკვერჩხლებით სავსე მყვანი თაფ-ზე ჩამოაცვია და კინაღამ დაწვა. უამბო ისიც, როგორ მოუხარ-შა ყვავს კვერცხები, რომელიც ბუდეში იმდენი ხანი იჯდა კრუნად, რომ ფრთაბოლო სულ გასცვივდა და ძლივს დაფრინავდა, ვაჟა გულიანად იცინოდა და სთხოვდა კიდევ სხვა ამბების თქმას.

ბოლოს როგორაც იყო თავი დავაღწიეთ სოფელს და მივაშურეთ ისევ ჩვენს ბინებს.

მეორე დღისთვის გადავწყვიტეთ დოლის გუბის სათავე და ჩაგურგულის კუდები დაგვეთვალიერებინა. ეს ადგილები გაცილებით შორს იყო ჩადუნიან ქედთან შედარებით და დილა ადრეან უნდა წავსულიყავით.

ჩაგურგულის ხეობა და მისი სათავე მდებარეობს დოლის გუბის გორის და თივად ქედების შუა, რომლებიც თავის ცხვირებით ყორიანის ჭალებში იჭრებიან. ეს ადგილები უფრო დაშორებულია სოფლიდან და უფრო მყუდრო ადგილად ითვლება ნადირისათვის. ტყე აქ უფრო შენახულია. წაბლის მუხის და წიფლის ხეები ამ ტყეებში ბლომად არის და საჭმელიც ნადირისთვის გამოუღეველია.

ერთად ერთი ამ ქედებისა უწყლობაა. დოლის გუბის გორზე არის მარტო ერთი გუბე, რომელშიაც წვიმების დროს წყალი ჩადგება ხოლმე და გახურებული და მოწყურებული ნადირიც მას ეტანება. ბევრ ნადირს ძვირად უჯდება იქ მისვლა. მონადირეებმა იციან ამ გუბის მნიშვნელობა და უსაფრდებიან მის ახლო. უცდიან ორი-სამ დღეობით. ესე ნადირობენ უფრო ზაფხულობით, როდესაც წყალი ნაკლებად არის და ნადირიც მეტს სასმელს მოითხოვს. მე ასეთი ნადირობა არ მიყვარდა და არც ვკრძნობდი სიამოვნებას ერთ ადგილს მივეჯაჭვულიყავ 2 დღე და ღამე და კოლოებისაგან დამსიებოდა თავ-პირი. არა, ეს ჩემს წესებში არ ეწერა.

დილა ადრეან შეუდექით ამ გორას. ვაჟამ იცნო და მოისაზრა ის ადგილი, საიდანაც რამდენიმე წლის წინათ წაუვიდა დიდი ტახი. ამ თორმეტი წლის წინეთ, თქვა ვაჟამ, მომიხდა ყვარელში ჩამოსვლა.

სწორედ აქ, აი, ამ საგუბის მახლობლად ერთ ტახს ვეს-

როლე, გაქცეულს შეეასწარი თვალი, ალბათ, ძალიან აენჭარ-  
დი, ტყვია დაბლა მომივიდა და ფეხის ჩლიქში დაიჭრა, ვეღარ  
წამოვიწიე და წამივიდა.

ამ ტახის ამბავი მე უფრო კარგა ვიცოდი. ვაჟას ნასროლი  
შემდეგ ამ ტახს ფეხი მოურჩა, ჩლიქი მრუდედ შეუღულდა  
და მისი კვალი მუდამ განირჩეოდა სხვებისაგან. მის შემდეგ  
ძალიან გაფრთხილდა და დიდი ხანს იარა. ყვარლის მონადირე-  
ბები ლუკას ტახს ეძახდნენ. ძალიან გაეშმაკებული იყო და  
ისეთ ადგილებში ინახავდა თავს, სადაც მონადირეები ვერ წარ-  
მოიდგენდნენ. ბოლოს შემთხვევით, შვლებზე და ტურებზე ნა-  
დროობის დროს, თბილისიდან ჩამოსულმა 80 წლის მოხუცმა  
ჭავჭავაძემ კარტყით მოკლა. წინიდან ყელში ნასროლი ერთი  
კარტყი გულში როგორღაც სტაკებოდა და ამოდენა მხეცი მი-  
სი მსხვერპლი გახდა... მართლაც ისეთი დიდი იყო, რომ ურუბ-  
ზე ძლივს ეტეოდა. — „ჩემზე უარესი გადაყრუებული ესა ყო-  
ფილაო“, — იცინოდა ჭავჭავაძე.

დილით გუბის გორის ორი მესამედი გავლილი ვვაქვს, ხა-  
ირმეს უახლოვდებით. ამ დღის გეგმა თვითონ ვაჟამ შეადგი-  
ნა... მითხრა: შენ უფრო მუხლი გიჭრის, წადი და აგერ, გადა-  
სასვლელი ყელი რომ მოსჩანს, შენ ის შეუკარი, მე ამ კალ-  
თებს გამოვყვები. თუ სადმე რამეა, იქით გამოიქცევა და იმ  
ყელს მოატანს, არ აგცდება, აბა, ყოჩაღად. მე ქვევით ვიქნები.  
მეც წავალ. ზევით და ზევით დიდი თოვლი იყო, ზოვან წე-  
ლაძედ ვიფლობოდი, რადგანაც უფრო ჩრდილის მხარეს მიხ-  
დებოდა სიარული. ძალიან გამიჭირდა. როგორც იყო მივაღ-  
წიე დანიშნულ ადგილს. მე მინდოდა ვაღმა ფერდობებიც და-  
მენახა, ამიტომ ავედი ერთ ხეზედა, იქიდან დაუწყვე თვალი-  
ერება. აქედან ვაღმა სროლაც შეიძლებოდა და ვაღმოსავალ  
ყელშიც. არ გასულა დიდი ხანი. რომ ფერდობებიდან ფოთ-  
ლის შრიალი და ფეხის ხმა მოისმა. თვალი მოვკარ, რომ ჩემ-  
კენ ირმები გამოიქცნენ, მხოლოდ ცოტა ზევით არიან და ხი-  
დან სროლა არ შეიძლება. როგორც იყო ჩამოვედი ხიდან და მი-  
ვაშურე იმათ გეზს. აჩქარებული ნამქერში ჩავეარდი, ვაი-ვაგ-  
ლახით ამოვძვერ, ირმებიც ამოცვივდნენ, ვაღმოლახეს ყელი  
და ჩემს შესტვენაზე შეჩერდნენ. ორივე ფურები (დედლები),  
აღარ ვიცი, როგორ მოვიქცე, ვესროლო თუ არა, ვყოყმანობ.

ამ მდგომარეობიდან ახალმა ფეხის ხმამ გამომიყვანა... აჰა, ვი-  
ფიქრე, უკან ხარია, ფურემა გამოასწრეს, ჩამორჩებოდა, სწრაფ-  
ბილში ფურები სჯობნიან. ბედმა გამარჯვება ისევ მე მარგუ-  
ნა, თუმცა ჩემთვის სრულებითაც არა ვცდილობ... ვუცდი, ფუ-  
რები ჩრდილისაკე გადაეშენენ. გამოინდა ნუკრი, კარგა მოზრ-  
დილი, ხბოს ტოლა... მე ზეზე წამოვიწიე. იმან მოიხუდა ჩემ-  
კმ, შეჩერდა, ყურები წინ წამოყარა, თვალი თვალში გამიყარა,  
მაყვალვით შავი ნესტოები დაბერა და რაკი გამარჩია, ერთი  
შეხტომით ისიც დედებს კვალზე კამარ-კამარათი ისარივით  
მოსწყდა.

ჩრდილში ერთმა ფურმა ხავილი (ბუხუნი) დაიწყო, ალბათ  
ნუკრს ეძახდა. მე დაერჩი ხელცარიელი. სიმართლე უნდა  
ვთქვა, რომ მათი წასვლა არ მწყენია. ჯერ ერთი, რომ ხამ-  
თარში ირმის ხორცი არ ვარგა, მჭლეა, აბედივით არის, და  
მეორეც დედაჩემი საყვედურით ცხვირს გამიხვრეტავდა. ხომ  
ჰნახე, რომ დედლები იყო, რათ ესროლეო... ვაჟას საქმე სხვა  
იყო. მას შემთხვევით უნდა ესარგებლა, რომ ნადირობის ჟი-  
ნი მოეკლა, ჩვენ კი მუდამ დრო გვქონდა.

აშკარა იყო, ირმებმა ვაჟას სუნი დაიყარეს და მას გამო-  
ექცნენ. ვაჟას ისინი თვალითაც არ დაუნახია, დავიწიე ქვევით  
იმისაკე. დანიშნულ ადგილზე ისიც მოვიდა. აღარ ვიცოდი, რა  
მექნა. მეთქვა სიმართლე, თუ მეცრუა. ისევ სიცრუე ვარჩიე  
და უთხარ, რომ ვერ მოვასწარი, გადამასწრეს-მეთქი. იმან  
გაკვირვებით შემომხედა. დრმა თოვლს და ნამქერს დავაბრა-  
ლე; თანაც დაუმატე, რომ დასახოცად არა ღირდენ ფურ-ხბო-  
ები იყვნენ-მეთქი.

ჩაგურგულის კუდში ღორების საჩარი მეგულებოდა და  
იქით გაუძელ. მათი ჯავრი მჭირდა, აქ დედალ-მამალს არ ვარ-  
ჩედივით, მაგრამ ვერაფერს შევხვდივით.

— შე საღავათ ძაღლო, იქ რალაც იეშმაკე და აი, დღეს ცა-  
რიელები ვრჩებით, — მეუბნება ვაჟა.

მე დავამშვიდე, ჯერ კიდევ ადგილები გვაქვს გასავლელი  
და დროც ბევრი გვაქვს-მეთქი. მეტი რა ღონეა, ისევ საწყალ  
შვლებს უნდა გაუაროთ, აქ კარგი ადგილები ვიცი. ეხლა ვაჟა  
ზევიდან მოვაქციე, მე უფრო მრეკავის როლს ვასრულებ. იმი-  
საკენ უნდა გავაქციო რამე. ნახევარი საათი მეტი გავიდა, რაც

გავიყარენით, კარგ ადგილებს თითქმის ვათავებ: რაშია საქ-  
მე, ნუთუ აქაც არაფერია?! ჯავრით აღარ ვიცი, რა ვქნა. უცებ  
ზევით თოფი გავარდა, მე შევჩერდი, თოფი მოვიმარჯვე, არა-  
ფერი სჩანს. ცოტა ხანს შემდეგ სტვენის ხმა გავიგონე. მეც  
ხმა მივეც. ვაჟა მიმასწრაფებდა. მიველ, ვაჟა ზის, პაპიროსს  
ეწევა, წინ ზორბა შეელი გდია. ნასროლი იღლიაში სჭირს.  
ენა გადმოუგდია, კიდეც უქადის მონადირეს. მე მიულოცე. იმან  
ღიმილით გადმომხედა — „ნახე არც ბიძა შენი ჰხოცს დედ-  
ლებსაო“. მერე მიამბო, როგორ და რა პირობებში ესროლა. გა-  
მოირკვა, რომ მოკლულთან ორი სხვაც იყო და ჩემგან დაფ-  
თხობილები წააწყდნენ მას.

— თოფზე რას იტყვი, ბიძაჩემო, ვეუბნები მე, დაგიჯერა  
თუ არა?

— ნატყვიარი თვითონ ამბობს, შეუღარებელია, ამით გაც-  
დენა ცოდოა, ნაწვეითივით მიდის. გავატყავით, მე წამოვიკიდე  
და კარგა შეღამებული იყო, რომ ბინაში მივედი. გზაზე ვაჟამ  
მითხრა, რომ რაც ფშავიდან წამოვედი სულ ასოთ სამღერალი  
მაქვსო და რაღაც ეს კარგი ნიშანი არ არისო... მე ასოთ სამღე-  
რალს მნიშვნელობას არ ვაძლევდი და არაფერი უპასუხე.

ჩვენებს გაუხარდათ ვაჟას გამარჯვება და უთხრეს, რომ  
ადრევე უნდა აეღო ჩემი თოფი. — თუ კიდეც წახვალთ, ეუბნე-  
ბა დედაჩემი, ისევ მაგ ბიჭის თოფი წაიღე. ეგენი სუ აქ არ  
არიან, რას აკეთებენ მაგის მეტს, ცოდვების მეტს რას იმა-  
ტებენ... ნეტავი სულაც არა ჰქონდესთ თოფები... რაც მანება,  
იმას კი არა ჰკლავენ, ლამის მგლებმა დაგვჭამონ, ამას წინა-  
თაც ერთი ძროხა შეგვიჭამეს და ამ საცოდავ შვლებს, მოსვენ-  
ებას არ აძლევენ. არ მინდა, ძმაო, არ მინდა! შინ რომ დარ-  
ჩენ, უფრო მეტ საქმეს გააკეთებენ, ზოგჯერ დაკარგულ ძრო-  
ხის საქებნელადაც კი ვერ გაჰგზავნი. მაგრამ სანადიროდ კი  
ამ ცივ ზამთარში მთაში ღამე დგომითაც კი მიდიან. თვითონ-  
ვე ამბობენ, ცეცხლს რომ წამოუწვებით, როგორც წინიდან  
სიცხე გვწვავს, ისე ზურგიდან სიცივეო. მთელი ღამე შამ-  
ფურივითა ვტრიალებთო.

დედაჩემს ჩვენთვის კარგი სადილი დაემზადებინა, ჩვენს  
მოლოდინში არც თვითონ ეჭამათ და გვიცდიდნენ. საზინკლეს,  
თუ მოვისურვებდით, დაკეფილი, გამზადებული ჰქონდა. მეტემ

ვაქას ღვინო მიუმარჯვა და ცოტა ხანს შემდეგ სულ დაგვი-  
ვიწყდა იმ დღის დაღლა-დაქანცვა.

მაინც იმ ღამეს ადრე დავიძინეთ. რაკი მეორე დღეს არსად  
წასვლას არ ვაპირობდით, გვიან ავდექით.

დილით წამოდგა თუ არა, მეუბნება, რომ ისეთი სიზმარი  
ვნახეო, რომ ჩემი არ ვიცი და შენ კი უთუოდ რამეს მოჰკლა-  
ვო. — ჩვენ ხომ დღეს არსად წასვლას არ ვაპირობთ, ვეუბნები  
მე. — მე კი გეუბნები და ეხლა შენ იცი, არა გჯერა? აი, ნახავ,  
თუ არა!

— აბა, დაო, დღეს ერთი კარგი ხინკალი ვჭამოთ, წუხელ  
კი არა, ეხლა ვარ გუნებაზე, მერე მე და ეს ბიჭი ცოტას გა-  
ვივლით. სიზმარი ვნახე, სახეიროა. თივათქედის გვერდზე  
ერთი დიდი შინდიანია, თუ სადმე რამე იქნებოდა, იქ უნდა  
ყოფილიყო. აუარეთ აქეთ-იქიდამ, მაგრამ ვერა ვნახეთ რა. აღ-  
მართს ვათავებთ. მომიბრუნდა და მეუბნება: „იცი, შვილო, რა  
გითხრა, აი, დაიხსომე დღევანდელი დღე, ჩემ თავს რაღაც ამ-  
ბავია. ჩემი ასოთ სამღერალი გათავდა. მოსაკვდავი იყო ვინ-  
მე — მოკვდა, გასაჩენი — გაჩნდა. ოღონც ჩემ ძმებს კი ნურაფე-  
რი დაემართებათ რა“.

მივედი ბინაში. რაც მე მითხრა, ის დედაჩემს გაუმეორა,  
დედაჩემი უარესი ცრუმორწმუნე იყო, მაგრამ მაშინ მხარი არ  
დაუჭირა. პირიქით დასცინა: „აღბათ, ძმაო, ცოლშვილისაკე  
დასწუხდი და მის ბრალიაო. ვაჟამ გაიცინა „დაწუხებაზე“.

იმ ღამეს გვიან დაეწეკით. მეორე დილით ადრე გაიღვიძა,  
ძილშიაც ბორგავდა, ცუდად ეძინა, რომ წამოდგა დედაჩემს  
გადასძახა: „ხალხნო, თქვენ გუშინაც მიკიჟინეთ ღუკა ცოლ-  
შვილისაკე დასწუხდაო, მაგრამ მოდი და ნუ იტყვი. წუხელაც  
ცუდი სიზმარი ვნახე: მოვიდა ვიღაც უცნობი კაცი და მეუბ-  
ნება: „კაცო, ადექ, წადი, აქ რას აკეთებ, ცოლ-შვილი სულ  
ამოვიწყდაო“. — თქვენ რაც გინდა თქვით, მაგრამ ეს უმნიშვნე-  
ლო სიზმარი არ არის, დრო არის მივხედო, თორემ ვინ იცის  
მართლა რა დაემართათ“...

ჩვენ ისევ გაუქარწყლეთ, უთხარით, რომ ბაჩანა იქ არის  
და მის ცოლშვილს არაფერი გაუჭირდება.

იმ დღეს შინ დავერჩით, სწერდა რაღაცეებს, მოწყენილი  
იყო. დედაჩემი ცდილობდა გაერთო და სულ თავს დასტრია-

ლებდა. სადილზე მეტე ღვინოს აძალეებდა, საღამოზე უფრო კარგ ხასიათზე დადგა. მეზობელი ბინებიდან ფშავლები მოვროვდენ. მუსაიფი გაიმართა. ბევრმა მათგანმა ვაჟას ლექსები ზეპირად იცოდა. ვაჟას ესაიმოწუნებოდა. ჰპირდებოდა წიგნებს, თუ ისინი მასთან როდისმე შაივლიდნენ ჩარგალში.

მუსაიფმა მეზობლებთან კარგა ხანს გასტანა. სვალინდელი ნადირობა უკანასკნელი იყო. ვაჟამ გადასწვევტა, თავის ოჯახში დაბრუნებულიყო, ამიტომ ძალიან შორს ვერსად წავიდოდით. ჯერი ისევ ნატახტრის თავზე მიდგა. დილით ადრე, მეორე დღეს, შეუდექით სერებს. ავიწიეთ ზევით, ავცდით ღორების საყრებს და გადავედით ჩაღუნიანი ქედის სათავეში. მზე უკვე დაეშვა. ჩვენც დავსხედით ერთი კინჭუნის თავზე. ვაჟამ პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა ცეცხლი და წვეა დაიწყო. ძალიან მაღლა ვართ. ჩვენს წინ მთელი ალაზნის ველი გადაიშალა. მის შუაზე ალაზანი ვერცხლის ზოლივით მიიკლავებოდა. შორს აღმოსავლეთით, წიწამურში შირაქის ქედები მოსჩანდა. თეთრად გადაპენტილი კავკასიონის ქედის მწვერვალები მზის შუქზე ცეცხლივით ანთებულყო. დაბლა ხეებს ში ჩამდგარი ჩრდილები კი ბნელად გამოიყურებოდა. დაბლა ტყეს მკვდარი ძილით ეძინა.

ჩვენ ვისხედით და ხმა ამოუღებლივ მიეჩერებოდით ამ დიად სურათს. ვაჟა ჩაფიქრებული იყო. პაპიროსის ცეცხლიც კა გაუქრა, მაგრამ ის ამას არ ამჩნევდა. თითქმის ერთი საათი დავრჩით ამ მდგომარეობაში. მერე მომბბრუნდა და მითხრა: ბანანა შეეცადა, თავის პატარა ლექსში კახეთის ბუნების სილამაზე დაეხატა, მაგრამ ვანა შეიძლება კაცმა ეს დახმლოს. ვანა ამაზე ტურფა მხარე იქნება კიდევ სადმე? არა მგონია!

უკვე გვიანდა იყო. უნდა ბინებისაკე გვებრუნა პირი. კარგა მანძილი გავიარეთ, არაფერი ამბავია. უახლოვდებით მწვემხების ხმაურობას. ეტყობა, საქონელს აქუჩებენ. ქვევიდან ფშავლის ქალმა დამიძახა: აქ ჩამოდი, შენთან საქმე მაქვსო. მოდი, ჩემმა ძმამ იოსებმა დამაბარა, უნდა რამე გითხრაო. ვაჟამ ეჭვის თვალით გადმოხედა და მეუბნება: „ჩადი რადა, გეძახის“-ო. მეც ჩაველ. ქალი მეუბნება: ფშავიდან კაცი ჩამოვიდა, წერილიც ჩამოუტანია, რომ ლუკას ცოლი მოჰკლამია და ნიკოს

ბიჭიო. ნუთუ თქვენ ვერ არაფერი გავიფიქრეთ, რომ ასე არხეი-  
ნად ნადირობთ.

მე გავშრი, კინალამ გული შემიწუხდა. მუხლები ამიკან-  
კალდა და ხეს მივეყუდე. ქალი წავიდა. მე კიდევ რამდენიმე  
ხანი გაშეშებული ვიყავ ერთ ადგილას. ვაჟა მიცქერის. უკვე  
ჩემს სახეზე ამოიკითხა, რომ რაღაც არასასიამოვნო ამბავი  
მითხრეს. — „რა იყო, ბიჭო, რა გითხრა ი ქალმა“, მეკითხება  
ის და თან თვალებში შემომცქერის. მე არ მინდოდა მეთქვა,  
ვიდრე ბინაში არ მივიდოდით და უპასუხე — „არაფერი ისე-  
თი...“ თვალი მოვარიდე, თან გული ყელში მეზღინებოდა. ვა-  
ჟას ცოლი ნათესაობას ყველას ძალიან გვიყვარდა. მეტიმეტი  
სათნო ადამიანი იყო. ჩემზე ხომ დედასავით ამაგი ჰქონდა.  
თავი ვეღარ შევიკავე, ცრემლები მოშერია. ამ დროს ფშავლის  
პატარა ბიჭი მოვიდა. — „ბიჭო, ჩვენ ვინ მოგკვდომიაო“ — შე-  
კითხა ბაღლს. — „ეგრე თქვესო, რომ ლუკას ცოლი მოჰკ-  
დომია და ნიკოს ბიჭიო“.

მაშინვე ზეზე წამოდგა და მითხრა: „აკი გითხარით, რომ  
ისეთი ნიშნები მაქვს, რომ საერთოდ ვერ გადაერჩებოდი“. შე-  
ბინდებისას უკვე ბინაში ვიყავით... ბინაში ყველას გაეგო, მაგ-  
რამ გადაეწვევითათ მეორე დღემდე არ ეთქვათ. მისვლისთანავე  
ვაჟამ ცხენი იკითხა. — ცხენი რად გინდაო, შეეკითხა დედაჩე-  
მი, ცხენი ბალახზე აბიაო. — იმიტომაო, რომ ცოლშვილი გამ-  
წვევტია და ამაღამვე უნდა წავიდეო. დედაჩემმა ტირილი და-  
იწყო და შეშეკითხა, ვინ გითხრათო. მე უამბე, როგორც გა-  
ვიგეთ. მაშინ დედაჩემი მიუბრუნდა და უთხრა, რომ ამაღამ  
წასვლით საქმეს აღარა ეშველებარა, შევეშადოთ ხვალ მეც  
მოვდივარ და ერთად წავიდეთო. ვაჟა დასთანხმდა, გაეხარდა,  
რომ დედაჩემი მიჰყვებოდა. მოგროვდნენ მეზობლები ტირი-  
ლით და თანაგრძნობის გამოცხადებით. ჩამოვართვი თოფ-იარა-  
ღი, შევედით სახლში. ვაჟა წამოწვა ტახტზე, გამშრალია, თვა-  
ლიდან ცრემლი არ ჩამოვარდნია. დედაჩემმა უთხრა მეზობ-  
ლებს, არ წასულიყვნენ და გაერთოთ როგორმე. თვითონ ვახშ-  
მის სამზადისს შეუდგა. ყველა ცდილობს, რაღაც სანუგეშო  
უთხრას. ვაჟა ხმას არ იღებს და განაგრძობს ტახტზე წოლას.  
განუწყვეტლივ თუთუნს სწევს. ბაჩანას წერილიც მოიტანეს.  
ის დაწვრილებით იწერებოდა ყველაფერს და იტყობინებოდა,

რომ დანარჩენები ყველანი კარგად არიანო. ვახშამი დამზადდა, სუფრა გაიშალა. ვაჟა საჭმელს არ დაჰკარებია. სასმელს კი სევამდა. მეტე მიუჯდა მუხლის ძირში და სასმელს აძალებდა, იქნება დარდი გაუქარვდესო. ვაჟა კი ზოგჯერ ამოიოხრებდა, გარინდებოდა, ერთ წერტილს მიაჩერდებოდა.

ხანდახან აიღებდა თოფს, გადახედავდა ხალხს და იტყოდა გოგოლაურის ლექსს შებრუნებითა.

„ემაში ბაწარა დაეღვე,  
აის ბაწარ რა იქნათ?  
სიკვდილი მოიპარავდა,  
მაინც ქურდია მაინცაო“.

ბოლოს მარტო ჩვენა ვერჩებით. მეტე ისევ ღვინოს უმარჯვებს, ის უარს არ ამბობს, მაგრამ სასმელი მას არ ეკიდება, არავითარ გავლენას არ ახდენს, ის ისევ ფხიზელია — გამტკნარებულია... დედაჩემი ანუგეშებს, თან არიგებს, როგორ მოიქცეს. — ეხ, დაო, შენ რომ ახლოს მყავდე, მე რაღა მიშავს, ჩემ შეილებს ობლობა არ შეეტყობოდა, მაგრამ ეხლა რა კენა. ადამიანი არ არის სახლში, რომ პური გამოაცხოს, ბავშვებს გაურეცხოს, დაუკეროს, დააძინოს... მე, ხომ იცი, ოჯახისა არა მესმის რა და არც შემიძლიან გავაკეთო ის, რაც ქალის საქმეა, ნიკო რომ იყოს ახლო, მაშინ კიდევ არა ჭირდა რა, ჩემი რძალი მიჰხედავდა ბაღლებს. ეხლა იმათაც თავის დარდი აწუხებს, ნიკოს ხომ იცი, როგორ გაგიყვებით უყვარდა ის ბავშვი. მე კიდევაც მეშინიან თავს არა აუტეხოს რა. მეტი-მეტი საცოდავი კაცია და თავს იმ ბავშვს გადააყოლებს.

იმ ღამეს არც იმას და არც ჩვენ არა გვძინებია. დედაჩემი სამზადისში იყო. არც ადვილი იყო ამ ცივ ზამთარში მზავრობა. ყვარლიდან ჩარგლამდე სულ უკანასკნელი 3-4 დღე მაინც უნდოდა, ვინ იცის, კიდევ რა ამინდი დადგებოდა...

გათენდა. მეტემ ცხენები შეკაზმა. ხურჯინები გადაჰკიდა და ელის ვაჟას გამოსვლას. ის თავჩალუნულია, ვერა ჰხედავს გარშემო, რა ჰხდება... ხანდახან ხელს ჩაიქნევს და ისევ ერთ წერტილს მიაჩერდება. დედაჩემიც მზადაა. მუხოზლებიც მოგროვდნენ, გარედ ჩუმად ლაპარაკობენ. მწყემსებმა საქონელი გამოუშვეს და ქალებისაკენ მიერეკებიან. დედაჩემისთვის გამზადებული ცხენი რომ ჰხედავს დანარჩენი ცხენების სამოვარ-



ზე გარეკვას, ჭიხვინებს. ამ ჭიხვინზე ვაჟა ერკვევა და ჰხედავს, რომ ყველაფერი მზადაა. დედაჩემი ეუბნება, შაჭამოს რამე, გუშინდელს აქეთ მშიერია. ის უპასუხებს, რომ ყვარლამდის არაფერი არ უნდა. დგება, გამოდის გარეთ. ყველანი ემშვიდობებიან, გზას ულოცავენ, ქალები იწირპლებიან... ის მწარედ იღიმება. მივდივარ მეც, ვეხვევი, ის შუბლზე მკოცნის და მეუბნება: თუ გინდა, რომ ბედნიერი იყო, ოჯახურ ცხოვრებას ნუ მოეკიდებო; ერთი კიდეც მოვეხვე და გაეშორდი. შეჯდა ცხენზე და გაემართა. დედაჩემი და მეტეც გაჰყვნენ. მეტე მართო სოფლამდე მისდევდა. — ეს იყო და ეს. მას შემდეგ ყვარულში აღარ ჩამოსულა და აღარც გული მოსწევდა. სამი წლის შემდეგ დედაჩემიც გარდაიცვალა და ამითი ყვარულთან თავის თავად კავშირი გასწყდა...

## სანდრო რაზიკაშვილი

ჩვენი მშობლები ფშაელები იყვნენ: მამა — პავლე ამავე ჩარგლიდან, ხოლო დედა გულქანი კი სოფელ სხლოვანიდან (იორზეა), ფზიკლეთ ქალი. მისი ბიძა პარასკევა განთქმული მოლექსე ყოფილა. განა ისეთი ფშაეელი იქნება, რომ მისი ნათქვამი ლექსები არ გაეგონოს? მამაჩვენის პაპა იმედაც ხომ განთქმული კაცი ყოფილა, როგორც თავის ვაჟკაცობით, ისე თავის ჭკვითა. რომელსაც ერთხელ მეფე ერეკლესათვის ეთქვა: „ბატონო, ორი რომ შენ მიბრძანო, ერთი ჩემიც გაიგონეო!“

მამა ჩვენს წერა-კითხვა 15 წლისას დაეწყო, როდესაც ის ცხვარში დადენილა. იმ დროს მთაში წერა-კითხვის მცოდნე სანთლით მოსაძებნი ყოფილა, გარდა იქაური მღვდელ-დიაკვნებისა, რადგან მთაში წიგნის სწავლა იმ დროს თემის დალატად ყოფილა მიჩნეული. პავლეს ამ მღვდელ-დიაკვნებისაგან ესწავლა წერა-კითხვა.

პაპა ჩვენს გვივის რომ გაეგო, პავლე წიგნსა სწავლობსო, წამოველო თოფისათვის ხელი და მოსაკლავად გამოსდგომო-

და: „როგორ თუ შენ წიგნსა სწავლობ, შენ ამით რჯულსა სტვენ და თემსა პლალატობო“, მაგრამ პავლეს რაკი კრისტულ წიგნის გემო გაეგო, მამის მუქარისათვის ყური არ ეცვლო და თავისი მაინც გაეტანა. ის თურმე ჩუმად თავის ჩანთაში ქალღლის ნახევებს ატარებდა და ცხვარში ყოფნის დროს სწავლობდა, რადგანაც პავლესათვის ასეთ პირობებში ჩარგალში დარჩენა საშიშო ყოფილიყო, ის სახლიდან კახეთში გაპარულიყო, მონასტერში 3 თუ 4 წლის განმავლობაში ისე კარგად მომზადებულიყო, რომ დიაკვნობა მიეცათ და ფშავეში გაეშწესებინათ. ამის შემდეგ ძმებიც გაპყროდენ.

მამაჩემი ხილამაზესთან ერთად მეტად ღონიერი კაცი იყო. ამასთანავე იყო ძალიან ნიჭიერი და მომეცადინე. წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. იმ დროს ქართულ ენაზე გამოცემულ წიგნებს და ყურნალ-გაზეთებს სადაც კი ჰნახავდა, შეიძინდა და სახლში მოიტანდა.

როგორც „ვეფხისტყაოსანი“, ისე დ. გურამიშვილის, ილა ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, ა. წერეთლის და სხვ. ზოგიერთი ლექსები სულ ზეპირად იცოდა. უყვარდა ჩვენი ქვეყნის გამოჩენილი მამულიშვილები და მოთაყვანე იყო საქართველოსი. იმასთანავე მეტად მჭევრმეტყველი კაცი იყო. ვინც განდა განათლებული კაცი ყოფილიყო, ის მას კამათში არ ჩამოუვარდებოდა.

დედაჩემი ლამაზი, მეტად გულკეთილი, მოსიყვარულე ადამიანი იყო. შეუძლებელი იყო, რომ იმას ვისთვისმე მაღალი სიტყვა ეთქვა, ან ვისმე ვასჯავრებოდა. ღარიბ-ღატაკი ძალიან ებრალებოდა. დედაჩემი მეტად მგრძნობიარე ადამიანი იყო. როგორც ის, ისე მამაჩემი ბუნებით პოეტები იყვნენ. დედაჩემმაც აუარებელი საგმირო ლექსები იცოდა, ბევრი ზღაპარი და ლეგენდები, რასაც თავისუფალ დროს გვიამბობდა ხოლმე. როგორც მამაჩემი, ისე დედაჩემი ძალიან მშრომლები იყვნენ. ისინი ისე მუშაობდენ, როგორც დანარჩენი ფშაველები. მამაჩემს თვითონ ეჭირა ხოლმე გუთანნი და შეილება კი მესრეებად ვიყავით ხოლმე. სამკალ-სათიბზედაც თვითონ დადიოდა. დედა ჩემმა ხომ დაღალვა არ იცოდა რა იყო.

გიორგი და ლუკა მაძახემს პირველად თელავის სასულიერო სასწავლებელში მიეღებინებინა. საცხოვრებლად კი ნათლიმაძა სინიკო აჯიმაძედოვთან დაეყენებინა. ამათთანავე ჩაეყვანა ჩემი და მართაც. თვითონ სინიკო ჩარგალში ვაჭრობდა, ღუქანი ჰქონდა, მისი ცოლშვილი კი თელავში ცხოვრობდა საკუთარ სახლში.

რადგანაც იმ ჯგუფში, რომელშიაც ლუკა მიეღოთ, ბევრი მოწაფეები ყოფილიყვნენ და იმისათვის დასაჯდომი ალაგიც კი აღარა ყოფილიყო, ის იქვე საკლასო ოთახის ერთ დიდ ბუხარში მოეთავსებინათ, საიდანაც „მარტოკა გამოვიჭყიტებოდით“, გვიამბო თითონ ვაჟამ.

თელავში ძმები თურმე კარგადა სწავლობდნენ. კრივი ხომ პირველები ყოფილიყვნენ. როგორც ამ ორი ძმის ყოფნის დროს, ისე შემდეგშიაც კიდევ დიდხანს იცოდნენ თელავში კრივი. კრივი უფრო ყველიერში იმართებოდა, რაც თელაველებს ჩვეულებადა ჰქონდათ გადაქცეული. მათთვის ეს კრივი ერთგვარ გართობას წარმოადგენდა. თელაველები ამ კრივის დროს ორ ბანაკად გაიყოფებიან ხოლმე: ძველგალავენელები ცალკე და ნადიკერელები ცალკე.

ყველას, თავისი ფალანები ჰყვანდათ. კრივის დროს საცქერლად თელავის დიდი და პატარა სულ იქ იყო. ზოგჯერ ეს კრივი ნამდვილ ხელჩართულ ბრძოლად გადაიქცეოდა ხოლმე და, როცა საქმე გაჭირდებოდა, კეტებსა და ქვებსაც იშველიებდნენ, რის გამოც ბევრი მათგანი თავგატეხილი და დაშავებული ბრუნდებოდა სახლში.

ასეთი კრივების დროს თურმე ვის მხარეზედაც ეს ორი ძმა ფშაველები იყვნენ, აუცილებლად იმ მხარეს უნდა გაემარჯვა. ჩემს თელავში ყოფნის დროს ბევრჯერ შემხვედრიან იმათდროინდელი განთქმული მოკრივეები: გოგრაჭამია, ღირჯალა და ბუტყაჭა, რომლებიც ქებით იხსენიებდნენ ხოლმე ამ ორ ძმასა. „იმათ მეტი ვერავინა გვცემდაო“, იტყოდნენ ხოლმე.

გიორგი და ლუკა თელავიდან თბილისში გადმოსულან: გიორგი სასულიერო სემინარიაში, ხოლო ლუკა კი საოხტატო

ინსტიტუტთან არსებულ სამოქალაქო სასწავლებელში. გიორგი თურმე სემინარიაში საუკეთესო მოსწავლედ ითვლებოდა. მამინ ლექსებიც უწერია. მამაჩემი თურმე გიორგის ძალიან ხელს უწყობდა და თუ რამეს შოულობდა და პოულობდა, სულ იმას ანდომებდა.

გიორგის სემინარიაში ყოფნა დიდხანს არ გაგრძელებულა: ერთხელ, როდესაც ის თავის ამხანაგებით ალექსანდრეს ბაღში მსხდარან, იმ დროინდელ მეფის ნაცვალს მიხეილს გამოეკვლო, გიორგი და მისი ამხანაგები ფეხზე არ ასდგომოდნენ და მისთვის საღამო არ მიეცათ, რის გამოც ყველა ისინი, სულ 16 კაცი, სემინარიიდან დაეთხოვათ.

ამის შემდეგ რაკი ენახა გიორგის, რომ ის თბილისში ვერსად მოეწყობოდა სწავლის გასაგრძელებლად, პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შესულიყო იურიდიულ ფაკულტეტზე.

\* \* \*

თბილისში, სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. ლუკა გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა, სადაც შემდეგში დანარჩენი ძმები ნიკო და თედოც მიიღეს. იქ ამ დროს და შემდეგაც, სხვათა შორის, მასწავლებლად იყო მწერალი ნიკო ლომოური, „რომელმაც ჩვენზე დიდი გავლენა იქონია და ყოველნაირად ხელს გვიწყობდა განვითარების მხრივო“, იტყოდნენ ხოლმე ჩემი ძმები. ნ. ლომოური ჩემ ძმებს ძალიან უყვარდათ. სემინარიაში ყოფნის დროს დაიწყო ლუკამ ლექსების წერა ჯერ ლიტერატურულ კილოზე „ლ. რ.-ზ.-კ.-შ.-ლი“-ს ხელის მოწერით, ხოლო სემინარიის დამთავრების შემდეგ შესცვალა ეს კილო და დაირქვა „ვაჟა-ფშაველა“ მისი პირველი ლექსები დაბეჭდილია „იმედში“.

\* \* \*

გორის სემინარიის დამთავრების შემდეგ ვაჟა დანიშნეს მასწავლებლად ერწოში, სოფელ ტოლათ-სოფელში, სადაც მე და დედაჩემმაც გავატარეთ მასთან ერთი ზამთარი. მე და დედაჩემის შემდეგ მასთან გაატარა თითქმის ერთი წელიწადი

ჩემმა ძმამ თედომაც, რომელსაც იქ თვითონ ვაჟა ამზადებდა სემინარიაში შესასვლელად.

იმ დროს თვითონ ჩვენს სოფელშიაც იყო სკოლა, მაგრამ რადგან იმ სკოლაში რუსი მასწავლებელი გამოგზავნეს, რომელმაც ქართული ერთი სიტყვაც არ იცოდა, ხალხმა მამაჩემის მეთაურობით მას ბოიკოტი გამოუცხადა და სკოლაში შვილები აღარ გაგზავნეს, რის გამოც სკოლა მთავრობამ დაკეტა. თედოც რაკი იმ დროს ამ სკოლაში სწავლობდა, სკოლის გარეთ დარჩა და მეტი ჩარა არ იყო, ვაჟასთან უნდა წასულიყო მოსამზადებლად.

ვაჟას ტოლათ-სოფელში დიდი ხანი არ უმსახურია, რადგანაც ამავე სოფლის მღვდელმა აღნივემა დააბეზდა: „ეს მასწავლებელი აქ დასაყენებელი არ არის, რადგან „ნიდილისტი და სოციალისტი“, მოწაფეებს ხელმწიფის საწინააღმდეგო აზრებს უნერგავსო!“ რის გამოსაძიებლად და სკოლის ხარვეზიოდ მაშინდელი სახალხო სკოლების დირექტორი დარსკი მოვიდა. ვაჟამ ის პირველად სკოლაში არ შეუშვა, „ვიდრე არ მიჩვენებთ იმ ქალაღს, რის გამოც მე ბრალსა მდებთო“, და როდესაც კი ქალაღი უჩვენა დარსკიმ, მაშინ გამოირკვა ვისი ბრალიც იყო. ამის გამო ის სამსახურიდან დაითხოვეს. ამაზედ აქვს ვაჟას მაშინდელი დაწერილი ერთი ლექსი, რომელიც მაშინ არ დაუბეჭდეს. სახელად: „მთიელის გოდება“, რომლის ოთხი სტრიქონი მომყავს:

ვერ შემაშინებ ბილწო თათარო,  
თვალთა ბრიალით, კბილთა ღრკენითა,  
ვერ შემაძულებ ჩემ მოძმე ქართველო,  
თუნდ ვადმიწვევით დაწვა ცეცხლითა...

მართალია ვაჟა სამსახურიდან დაითხოვეს, მაგრამ ის ამას არ შეუშინდა, ის ჩამოვიდა თბილისში იმ იმედით, რომ ქართველი საზოგადოება დაეხმარებოდა და მოახერხებდა რუსეთში წასვლას სწავლის გასაგრძელებლად, რადგან ის სწავლა, რაც იმასა ჰქონდა მიღებული, არ აკმაყოფილებდა. ჩვენი საზოგადო მოღვაწეებიც დაჰპირდნენ, მაგრამ იმდენი არა მისცეს-რა. იმ დროს ვაჟა სხვა ფშაველებთან ერთად ავჭალის ქუჩაზე კულა

გლდანელის ბაკში იყო ჩამომხდარი, სადაც კულას ბაკი ეჭირა და დუქანიცა ჰქონდა. იქ ვაჟა ფშაველეთანა ქეიფობს, რომლებთანაც თვითონ კულაცა ზის. ვაჟას, სხვათა შორის, ჩამოევდო ლაპარაკი იმაზე, რომ იმას სწავლის განაგრძელებლად რუსეთში უნდა წასვლა, მაგრამ საკმაო ფულის უქონლობის გამო ვერ მომიხერხებიაო. მაშინვე წამომხტარაფო კულა და ვაჟასათვის ეთქვა: „მოგიკვდეს კულა, თუ არ დაგეზმარო“. მართლაც კულამ შეასრულა თავისი ნათქვამი: ის ამისათვის ავიდა თიანეთში, გამართა ჭიდაობა და იქიდან შემოსული ფული სულ ვაჟასთვის გადაეცა.

ამის შემდეგ წავიდა ვაჟა რუსეთში და პეტერბურგის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად შევიდა, სადაც ჩვენი უფროსი ძმა გიორგიც სწავლობდა.

რაკი ვაჟას ქართველი საზოგადოების იმედი გაუცრუდა, და იმათგან აღარაფერი დახმარება არ მიიღო, რაც ფული ჰქონდა, ისიც გაუთავდა და მამაჩემსაც აღარა ჰქონდა იმდენი წელი, რომ ვაჟასთვისაც ეგზავნა ფული, ის იძულებული გახდა საქართველოში დაბრუნებულიყო. პეტერბურგში იმან ორი წელი დაჰყო. სიზმარივით მახსოვს, როდესაც ის ჩამოვიდა, თან ლექსები ჩამოიტანა და სახლში კითხულობდა ხოლმე.

\* \* \*

ვაჟა-ფშაველა რუსეთიდან, რომ დაბრუნდა, ჯერ რამდენიმე ხანს შინ იყო, შემდეგ კი ის ქართლში, სოფელ ოთარშენში, ამილახვრიანთ შინა-მასწავლებლად მიიწვიეს, სადაც დიდ ფეოდალს გიორგი ამილახვარს ასწავლიდა. „გიორგი ამილახვარი მეტის მეტი კერპი იყო, იტყოდა ხოლმე ვაჟა, ერთხელ ისე გამაჯავრა, რომ გაბრაზებულმა სილა გავცხეო და რომ ველარაფერს გახდა, ეცა იქვე კედელზე ჩამოკიდებულ თოფს და უნდა ჩემთვის ესროლაო, თანაც იმუქრებოდა და ამბობდა: „ჰაი, დროებას რა უთხრა, რო ვილაცა ფშაველი ამილახვარსა სცემსო“.

ამილახვრიანთ ოჯახშიაც ვაჟა დიდხანს არ დარჩა: ამათვე ოჯახში შეუყვარდა მათი ნახუშარი და მათივე გაზრდილი კეკე-კეკე ობოლი იყო და სხვა პატრონი არა ჰყავდა. კეკე ლამაზი ქალი იყო. მეტად გულკეთილი, თავმდაბალი და მოსაუ-

ვარულე. იმის მზითევს ერთი სკივრი, ორი ხელი ლოგინი, და-  
ირა და ერთი „გარმონი“ შეადგენდა, რომლებზედაც კარგდაც  
უკრავდა.

ვაჟას მამაჩემისათვის მიეწერა, რომ ცოლი შევირთე, მანდ  
მომყავს და ვინძლო ამა და ამ დროისათვის მცხეთაში ცხენე-  
ბი დამახვედროთო. მამაჩემსაც, როგორც ჩვენი ბიძაშვილები,  
ისე სხვა ჩვენი სოფლელი ახალგაზრდები, სულ ასე 10 კაცამ-  
დე თავის ცხენებით, დანიშნულ დროისათვის გამოეგზავნა მცხე-  
თაში. ვაჟას გორიდან ბაჩანა და თედოც გამოჰყოლოდნენ. მე  
კი იმ დროს დუშეთის სკოლაში ვსწავლობდი. დუშეთისაკენ  
ამოვლისას, ვაჟას თედო კიდევ ჩემთან გამოეგზავნა, რომ ის  
ბაღლიც წამოიყვანეო. მე და თედო ვაჟას და მის მაყრიონს სო-  
ფელ უინვალში დავეწიეთ. ვაჟა თავის პატარძლით წინ მიდი-  
ოდა და ამაყად იჯდა ცხენზე.

\* \* \*

თონეთიდან წამოსული ვაჟა სამუდამოდ დარჩა ჩარგალ-  
ში. მამაჩემი იმ დროს მღვდლად იყო ჩარგალში. ხევსურეთიდან  
ის გადმოიყვანეს თავის სოფელში, სადაც ის სიკვდილამდე  
დარჩა. რადგან ვაჟა ამის შემდეგ სამსახურზე აღარა ფიქრობ-  
და და ზედაც დაწვრილშვილდა, ის უფრო მუყაითად შეუდგა  
წერას, რომ ამითი დაექმაყოფილებინა თავიც და თავის ცოლ-  
შვილიცა. მაგრამ ის ამ წერიდან მაინც ბევრს ვერაფერს ღებუ-  
ლობდა და ისევ მამაჩემის ჭირად გახდა თავის ცოლშვილითა.  
მამაჩემი, რაც შეეძლო, მაინც უწყობდა ხელს და ძალიან უხა-  
როდა, რომ შვილები პოეტები ჰყავდა (ამ დროს ხომ ბაჩანაც  
და თედოცა სწერდენ!). სახლის წინ ერთი დიდი საგრილობე-  
ლი გვექონდა, სადაც ზაფხულში ჩვენ — შვილები, ვიყავით  
ხოლმე: ჭამითაც იქა ვჭამდით და ძილითაც იქ გვეძინა. თუ  
სტუმარი ვინმე მოგვივიდოდა, იმასაც იქ ვამყოფებდით ხოლ-  
მე. ჩემი ყველა ძმები ძალიან კარგი თოფის მსროლელები  
იყვნენ. ყველას თითო „ბერდანკა“ ჰქონდა ნაშოვნი და სრო-  
ლაში სულ ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხოლმე. ჩვენი სახლის  
პირდაპირ ბექში ერთ ნიშანს დაედგამდით და ამ ნიშანს ეს-  
როდნენ, აბა, ვინ უფრო მოარტყამსო. ამ დროს ჩვენ სახლ-  
თან ისეთი თოფების გრიალი იდგა ხოლმე, იტყოდა კაცი, მტე-

რი თუ შემოსევიათო. ხანდახან თოფს მეც მომცემდნენ, აჰ, შენც ესროლეო! თუ ვინმე ყაბახს<sup>1</sup> დასდგამდა, იქ ხომ ვაჟის ვინ გაასწრობდა და ბევრი ყაბახიცა ჰქონდა აღებული, როგორც იმას, ისე ბანანასა. ზოგჯერ ყაბახის ასაღებად ვაჟა და ბანანა ერთი დღის სავალზედაც წასულან და აუღიათ კიდევ ყაბახი.

ჩვენი სახლი ნამდვილი სამკითხველო იყო. ყოველ კვირა-უქმე დღეებში, როგორც ჩვენი ბიძაშვილები, ისე სხვა ჩვენი სოფლის ახალგაზრდობა სულ ჩვენს სახლში იყრიდა თავს, ვაჟა, ბანანა და თედო უკითხავდენ სხვადასხვა წიგნებს და თავიანთ ნაწარმოებთ. ძალიან უყვარდათ ჩემი ძმების დაწერილი ლექსები და პოემები, ხოლო „ვეფხისტყაოსან“-ს ზეპირად სწავლობდნენ და ფანდურზედაც დამღეროდენ.

საზოგადოდ, მთაში უფრო საგმირო ლექსების კითხვა უყვარდათ. ზოგიერთ მათგანს ჩვენსა წაკითხული წიგნები არ აკმაყოფილებდათ და ახლა თავიანთ სახლში მიჰქონდათ ხოლმე წასაკითხავად, ამიტომაც ჩვენი წიგნები სულ გაჩანაგებული იყო იმათგანა. იმის გარდა, ჩემი ძმები უცოდინარებს ასწავლიდნენ წერა-კითხვას, რის გამოც ჩვენს სოფელში ახალგაზრდა არ იყო, რომელსაც წერა-კითხვა არ სცოდნოდა. სემინარიაშიც კი მიაღებინეს ორი ფშაველი, რომლებიც ჩვენს სახლში მოამზადეს, ერთი მათგანი იყო გრიგოლ აფშინაშვილი (მწერლობაში ფშაველიშვილი) და მეორე კიდევ ჩვენი მომღერალი ნიკო ქუმსიაშვილის მამა, კარატიელი.

---

<sup>1</sup> ძველ ფშავეში დღესაც ჩვეულებაა აქვთ, როდესაც ვისმე მიცვალებული ჰყავს, ის ამ მიცვალებულის სახელზე რამეს დაასახელებს, ე. ი. იმის სულის მოსახსენებლად რამეს გადასდებს; ზოგი საქონელს, ზოგი ფულს, ზოგი ტანსამოსს, იარაღს და სხვას. ამის შემდეგ დაქნიშნავეს ერთ დღეს, როდესაც მის სახლში უნდა შეიკრიბონ თოფის მსროლელები. იმათთვის მომზადებული აქვს სასმელ-საჭმელი. შემდეგ ის კარგა შორს მანძილზე დასდგამს ნიშანს, რომელსაც დაუწყებენ თოფის სროლას. ვინც ამ ნიშანს მოარტყამს, ის დასახელებული საგანი იმას უნდა მისცეს. თუ ვინცოთაა, იმ დღეს ვერაუინ მოახვედრა, მაშინ მიცვალებულის პატრონს გადააქვს შემდეგი დროისათვის. ა ვ ტ.



ვაჟა ლამაზი ვაჟკაცი იყო, მხარ-ბეჭიანი. სიარულში სულ ბიძა ბოიგარსა ჰგავდა.

ერთ ზაფხულს ბიძა ჩემმა მწარიამ ხარი დაჰკლა: (მწარია, ქვეთარი და ვასილი მამაჩემის ბიძაშვილები იყვნენ). ხარი თურმე ბედნიერით (ციმბირის ჭირით) ყოფილიყო ავად და კი არა სცოდნოდათ. ვაჟა წავიდა მწარიასთან ხორცისათვის და რადგან ხორცი ძალიან კარგი ყოფილიყო, ხარის ნახევარი წამოიღო. სანამ ის შინ ხორცს წამოიღებდა, მწარიას იქვე მწვადები შეეწვა და ზედაც ფშაური არაყი მიეყოლებინათ. დილით წასული ვაჟა საღამოზე-ღა მოვიდა სახლში, კარგად შეზარხოშებული. ხორცი თავის ცხენისათვის აუკიდნა. ხორცი მართლაც ძალიან მსუქანი და გემრიელი გამოდგა. იმ საღამოზედვე გამოსჭრა ვაჟამ რბილი ხორცი, რომლისაც ხინკალი ვაკვაკეთეთ და დანარჩენი რბილი ხორცი კიდევ ბასტურმად ქილაში ჩადო.

ამის მეორე, თუ მესამე დღეს ვაჟას სიცხე რომ მისცა და თვალის ქუთუთოზე ქავილი დაუწყო, რაზედაც მუწუკიც გამოუვიდა, შეატყო დედაჩემმა. რომ ის მუწუკი „ბედნიერი“ იყო. მაშინვე ხორცი მიწაში ჩაფვალეთ, რომ ძაღლებსაც კი არ ეჭამათ.

ვაჟა ამის შემდეგ ჩაწვა ლოგინში და მთელი ერთი თვე, თუ თვე-ნახევარი ლოგინიდან არ ამდგარა. ვაჟას ცხენიც, რომელსაც ხორცი ეკიდა, არ ასცდა ამ ჭირს. მასაც გამოაჩნდა „ბედნიერი“, რომელიც ძლივს მოვარჩინეთ. დედაჩემმა, რომელმაც შესანიშნავი მოვლა და ექიმობა იცოდა, ვაჟა შინაური წამლებით მოარჩინა. მხოლოდ ერთი თვალი კი დაუსახინრდა.

საზოგადოდ, უნცროს ძმებში ვაჟას ხანდახან ბაჩანა თუ შეეკამათებოდა, თორემ სხვები რას ვაუბუბედავდით, გვეშინოდა. რადგანაც ვაჟას ბაჩანა ზოგჯერ არ უთმენდა და შეეკამათებოდა ხოლმე, ვაჟას არ მოსწონდა, რატომ არ მითმენსო.

ერთხელ გაბრაზებულმა ვაჟამ ბაჩანას შამფური დაარტყა

თავში, მაგრამ ბაჩანამ ისე მაგრა დაუჭირა ხელი, რომ ვაჟას ის შამფური ხელიდან გაჰკარდა. ბაჩანა საშინელი ღონიერი იყო.

ვაჟა თუმცა ამაყი იყო, მაგრამ იმას თავის გამოჩენა არ უვარდა. როდესაც ვისმე გაიცნობდა, ის არას დროს არ ეტყოდა მუ „ვაჟა-ფშაველა“ ვარო, თავის გვარს ეტყოდა ხოლმე. ამის გარდა, სუფრაზე ჭიქას ჭიქაზე არავის არ მიუჯახუნებდა, ეს ჩვეულება ქართული არ არისო.

ჩემი ძმები ახალგაზრდობაში თურმე ძალიან რევოლუციონერობდნენ და როგორც ერთმანეთს, ისე მამაჩემსაც ეკამათებოდნენ სხვადასხვა საკითხებზე, სხვათა შორის — ღმერთის ყოფნა არ ყოფნის შესახებაც. მაგრამ პაუღე მღვდელი ძალიან მედგრად უხედებოდა ყველას.

თუ ხატობების დროს ვაჟა ფშავეში იყო, ის ამ ხატობებს არასდროს არ დააკლდებოდა და ისეთსავე მონაწილეობას იღებდა მათში, როგორც დანარჩენი ფშაველები. ასეთი ხატობები კი ბევრჯელ იცის: ლაშარ-ღელეობა, ცაბურთობა, კოპალას ქვაზე და ჩვენს სოფელში მარიამობა და ამაღლებობა, როდესაც ბევრი ყაბახის დაღვმა იციან და ამ ყაბახებისათვის მთელ დღეს თიფის სროლა. ამ ხატობას დიდი ღრეობა, ლექსაობა და ღზინი იციან. არ შეიძლება, რომ ვაჟა იქა ყოფილიყო და „საკარგვმო“ არ დაეღია, რომელსაც ხევის ბერი აუცილებლად იტყოდა და ყველას ფეხზე ადგომით და ქუდის მოხდით არ გამოეცალა ლუდით საგსე თასი.

ვაჟა-ფშაველა ფშაველის ლამაზ ქალებსაც არ ივიწყებდა და ჩუმად რამდენიმე წაწალიცა ჰყავდა. ერთი სიტყვით, ვაჟა ჭირში და ღზინში სულ თავის ფშაველებთან იყო და ნამდვილი ფშაველი იყო.

ვაჟას ქეიფი და დროს გატარება უყვარდა, მხოლოდ ძალიან დათრობას კი ერიდებოდა. როდესაც კი შეატყობდა, რომ სასმელი მეტი აღარ იყო საჭირო, რაც გინდა ბევრი ეხვეწნა კაცს, ერთ წვეთს ვეღარ დააღვეინებდა. ზომა იცოდა. ამასთანავე ის მაგარი ხასიათის კაცი იყო. რასაც იტყოდა, აასრულებდა კიდეცა. ავიღოთ მაგალითისათვის თუთუნის წვეა. ის თუთუნს მოწაფეობიდანვე ეწეოდა, მაგრამ ხანში შესულმა ხოქვა, აღარ მოვსწევო და მართლაც აღარ მოუწევია.

გშობლების სიკვდილის შემდეგ ვაჟა-ფშაველას პირველ ხანში ცხოვრება ძალიან გაუჭირდა, რადგან შემომტანი პლაგაინა ჰყავდა და თვითონ კიდევ რეაქციები იმდენს არ აღწევდნენ, რომ ეცხოვრა და ცოლ-შვილიც შეენახა. ჯერ კიდევ მამაჩემის სიცოცხლის დროს ვაჟკაცები ეყავით და ის გვეგონა, თითქოს ყველაფერი თავის თავად მოდიოდა.

ვაჟას პირველი ცოლიდან ოთხი შვილი ჰყავდა: ერთი ვაჟი და სამი ქალი. ვაჟს ლევანი ერქვა. ქალებს კი თამარი, გულქანი და მარიამი. ვაჟს, როგორც იყო, სათავადაზნაურო გიმნაზია გაათავებინა და შემდეგ კი სწავლა ვეღარ გააგრძელებინა უსახსრობის გამო. ქალები კი უსწავლევლები დარჩნენ, მხოლოდ წერა-კითხვა ისწავლეს და საოჯახო საქმე, სამივენი ფშაველებზე გათხოვდნენ. მართალია ვაჟა გაჭირვებითა ცხოვრობდა, მაგრამ ის მაინც მეტად დაუდევარი კაცი იყო. ცოლ-შვილს არაფრად ავლებდა. ამასთანავე თავმოყვარე იყო და არავისთან არ მივიდოდა სათხოვნელად. გაჭირვებითა ცხოვრობდა, მაგრამ არ უტყდებოდა.

ჩარგლის კარს, არაგვის პირზე შრავლად გამოდის მთავე წყლები და აგრეთვე გოგირდისა. ამ წყლებთან პატარა მიწის ნაჭერი გვეჭირა, რომელსაც კარვა დიდხანსა ვფლობდით. იმ ადგილს ვაჟამ ხელი ჩასჭიდა და დაუწყო მთავრობას დაევა, რომ ეს ადგილი მე მეკუთვნისო. მართლაც იმდენი ედავა, რომ ბოლოს საკუთრებად დაინარჩუნა. ახლა მთავე წყალზე დაუწყო დაევა და რომ საბუთები ჰქონოდა იმის დამამტკიცებელი, რომ ის მთავე წყალიც იმისი იყო, ამისათვის, ამ წყლებზედ სამკურნალოდ მოსულ თუშებს ორ-ორი შაურს, თუ თითო აბაზს ახდევინებდა მთელი ზაფხულის განმავლობაში და სათანადო ქვითრებსაც აძლევდა, ამან თუშების მხრივ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.

როდესაც ძმებმაც უუკიფინეთ მისი ასეთი მოქმედება რაღაც გროშების გულისათვის, იმას გაეცინა და ერთხელ გვითხრა: „ბიჭო, იქნება შენა გგონია, რომ დავისაკუთრებ და არავის ვასარგებლებ? მე მარტო ჩემთვის კი არ მინდა, ჩვენი ხალხის-

თვის მინდაო. ოღონდაც კი ამ მთავრობას გამოვევლიჯო ხელი-  
დანაო და თუ რაღაცა კაპეიკებს ვახდევინებ და ქვითრებს ვამ-  
ძლევე, ეს საბუთებად გამომადგება საჩივრის დროსაო". ბევრი  
კი იმ აზრისა იყო, რომ ვაჟა მისაკუთრებდა იმ მუჟავე წყალს  
და ბატონობას მღინდომებდა. ამის გარდა ის მთავრობას ტყე-  
საც ედავებოდა, რის გამოც მაშინდელ ტყის მკველთან დიდი  
უსიამოვნება ჰქონდა. ერთხელ იმ ტყის გულისათვის დაჭერი-  
ლი და ხელებ შეკრული ვაჟა თიანეთშიც კი ჩაეყვანათ.

• • •

ჩაცმა-დახურვით ვაჟა უბრალოდ იცვამდა: ტანზე ჩონა-  
ახალუხს იცვამდა, ფეხებზე ხან ყელიან ჩუსტებს, ხან ჩექმებს  
ატარებდა.

თავზე ტყავის ქუდს იხურავდა, წელზე ხანჯალს ირტყამ-  
და. თუ სადმე შორს მიდიოდა, მაშინ ხმალსაც ჩამოიკიდებდა  
ხოლმე. ამასთანავე თავის თოფსაც არ ივიწყებდა და თავის  
ძველ ნაბადს. როდესაც თიანეთში ჩავიდოდა, აუცილებლად  
ჩვენ ძმა გიორგისთან უნდა დამდგარიყო. რამდენჯერ უკიფი-  
ნებდა ხოლმე გიორგი ვაჟას იმის ძველ ნაბადზე: „არ იქნა,  
ვერ მოიშორე, ე შენი ნაბადიო“. მაგრამ ვაჟა მაინც არ იშო-  
რებდა. გიორგის ეფიქრა: ამას თუ ერთი ოინ არ ვუყავი, ეს ამ  
თავის ძველ ნაბადს არ მოიშორებსო: და მართლაც მოაშორებინა.

ერთხელ, ვაჟა თიანეთში გიორგისთან ყოფნის დროს, თა-  
ვის საქმეებს რომ მორჩენილიყო, შინ წასასვლელად მომზა-  
დებულიყო: შეეკაზმა თავის იორლა ცხენი. აეკიდნა ხურჯინი,  
გავაზე კიდევ თავისი ძველი ნაბადი დაეკრა, თვითონ კი ბა-  
ზარში წასულიყო. ამ დროს გიორგის ეპოვა დრო: მოეხსნა  
ცხენისთვის ის ნაბადი, გაეშალა, თავის ცხენისათვის ამ ნაბ-  
დიდან ორი თექალთო გამოეჭრა, შემდეგ დაეხვია ისევ ნაბადი  
და ისევ დაეკრა ვაჟას ცხენისათვის. ასე, რომ ვაჟას ეს ამბავი  
არა სცოდნოდა, როდესაც გამოეთხოვა ვაჟა გიორგის, მოახტა  
თავის „ნიკორას“ და მოუსვა შინისაკენ. იერის მინდორი რომ  
გაიარა, მიადგა სოფლიონის მთას. სოფლიონის მთას რომ გა-  
ივლის კაცი, იქიდან ჩვენს სოფელს გადაჰხედავს. ვაჟაც შე-  
უდგა ამ მთას თუ არა, ერთბაშად თურმე კოკისპირულმა წვი-  
მამ კი დაასხა. მოხსნა ვაჟამაც ცხენს ის თავის ნაბადი და

მოიხვია, მაგრამ ნაბადმა წვიმა ვერ დაიჭირა და უშენს ვაჟას შიგ ზურგში. ვაჟაც ხან იქით მიუბრუნებს კალთებს ნაბადს და ხან აქეთ, მაგრამ წვიმა თავისას არ იშლის. ბოლოს რომ მიუსვ-მოუსვა ხელი და კარგად გაშინჯა, ჰხედავს, და რას ჰხედავს? იმის ნაბადში ისეთი ფანჯრებია გამოჭრილი, რომ შიგ თურმე ბულა კამეჩი გაძვრება. მაშინლა მიხვდა ვაჟა ვისი „ძაღლობაც“ იყო ეს ოინი, მაგრამ რალას გააწყობდა?

ასე კი მოაშორა გიორგიმ ვაჟას ის თავისი ძველი ნაბადი.

\* \* \*

როგორღაც მოჰხდა, რომ მაშინდელი სათავად-აზნაურო ბანკიდან თვეში ხუთი თუმანი პენსია დაუნიშნეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ მოუსპეს. დახმარება რომ არ მოესპოთ, მისი საქმე ძალიან კარგად იქნებოდა: შვილებსაც ასწავლიდა და თვითონაც უფრო ბევრს დასწერდა. მაგრამ სად იყო იმდენი შეგნება ჩვენს საზოგადოებაში? ამის მიზეზი, თურმე როგორც ბოლოს გამოირკვა, იყო ისა, რომ ვაჟა ჩამომავლობით თავადიშვილი არ იყო. ამაზე ვაჟას ერთი ლექსი აქვს დაწერილი, რომელიც აქ მომყავს:

#### სათავისოდ (ქაფია)

„ავიდ-დავიდე ცხოვრება,  
ჩემი შრომა და კაცობა.  
მე ღიღკაცობად არ ესახავ,  
ტანჯვა ჩემთვის არს ვართობა:  
სხვებმა კი ღიღად მიიღეს, —  
მომიხსენიეს ქებითა —  
ხარი ფერდ-ფერდზე მიკრული  
შემომტერული რქებითა.  
აღარც თევია ჩემთვისა,  
აღარც ბზე, აღარც ნეკერი;  
ქება და ქება უსახღვრო  
მხოლოდ საღამი ერთფერი...  
ამ ოინების მხილველსა  
ჩამეცინება მწარედა:  
თუ მართლა კარგი რამა ვარ  
რად გამომაგდეს გარეთა?!  
ამასლა ვამბობ: აღბათა  
კიდევ თუ რამე მაკლია?!“

ვიცი და იმასვე ვვოღებ,  
ერთი დიდი მაქვს ნაკლია,  
ის ჯადოდ ამეკვიტა,  
იღბალიც შუა გამიყო...  
რა იქნებოდა მაშინა,  
ნეტავ, კნიაზიც რომ ვიყო?!  
— სრულ ჰყოფდა ჩემს პოეტობას  
და ვველაფერიც მზად იყო..

• • •

ვაჭას, როგორც სიზმარი, ისე ცხვირის დაცემინება და მკითხავეები ძალიანა სწამდა. როდესაც კი ცხვირს დააცემინებდა, იმ დროს თუ ვინმე არ ეტყოდა: „ხეირი“-ო, ის თავის თავს თვითონ ეტყოდა ხოლმე: „ხეირი ჩემო თავო, ხეირიო!“

ვაჭას დილ-დილით თავის ბოსტანში უყვარდა ხოლმე გასვლა. ერთხელ, ჩვეულებისამებრ, ის დილით თავის ბოსტანშია, იმისი პატარა ბიჭი ვახტანგი კი იმ დროს ჩვენი სახლის გაღმა ვორაზე ძროხებს აძოვებდა. ვაჭას რომ ამ ბოსტანში ცხვირს დააცემინა, ვახტანგს იქ-ვორაზე გაეგონა. ვახტანგი რომ შინ მოვიდა და შევიდა სახლში, ვაჭა იმ დროს თავის ბუხართან ზის და რაღაზედაც ფიქრობს. მივიდა ბალდი ბუხართან და ვაჭას ეუბნება: — იცი, მამავ, შენ რომ ბოსტანში ცხვირს დააცემინე, მე იქ ახუნის ვორზე გავიგონეო! — მერე, რო გაიგონე, „ღვთის წყალობა“ არ მითხარიო?

— აბა რას გეტყოდი, შენ კი ვერ გაიგონებდიო, ეუბნება ვახტანგი. — მე თუ ვერ გაიგონებდი, ღმერთი ხომ გაიგონებდა, შე არ გასაზრდელიო, შენაო, დაუყვირა თურმე ვაჭამ და მოეცხო კიდევ ამ ბალდისათვის სილა ყბაში, რომელიც ღრი-აღლით კარში გამოვარდნილიყო.

წინათ ავლაბარში ერთი გათქმული მკითხავი ყოფილიყო, სახელად „კოდელი ნინო“. ერთხელ, მიამბო ვაჭამ, იმ კოდელ ნინოს ვაკითხვინე, და, სხვათა შორის. მითხრა, რომ „სახელიანი კაცი გამოხვალო“.

აქ, ჩემთან, თბილისში ყოფნის დროს ვაჭა ხომ საქმეს უჭირებდა ხოლმე ჩემს მეუღლეს: „რძალო, ბაბო, აბა ერთი ქაღალდი გამიშალე, მალე იქნება ის ფული თუ არაო?“ როდესაც რედაქციებიდან ფულს ელოდა, მაშინ იცოდა ხოლმე ქა-

ლაღლის გაშლინება. ხან და ხან თვითონაც უშლიდა ხოლმე ქალღმერთის თავის თავსა. ერთხელ ჩემმა სახლობამაც წაიყვანა ავლაბარში მკითხაუთან, რომელსაც იგივე ეთქვა ვაჟასათვის, რაც „კოდელ ნინოს“.

ვაჟა-ფშაველას ფშავში წერა ძალიან ცუდ პირობებში უხედლობა, მეტადრე ზამთარში, იმ ბნელსა და ნესტიან ოთახში, რომლის დაბალი ფანჯრები ნახევრად სულ ქალღმერთით იყო გაკრული და გაბოლილი, ღამით კიდევ მზუგუტავ ღამფაზე. ამიტომაც ის ხშირად თბილისში ჩამოდიოდა და ჩემთან ცხოვრობდა ხოლმე. ჩემს ბინაში ერთი პატარა ოთახი ჰქონდა და ჩემებული და იქა სწერდა. როდესაც სადილს მოვრჩებოდით, ის ცოტას წაიძინებდა და როცა გაიღვიძებდა, მაშინ შეუდგებოდა ხოლმე წერას, როცა რამეს დასწერდა, თავის ოთახიდან გამოძახებდა: „სანდრო, აბა, გამოდი აქა, ყური დაუგდე შენს ძმას, რა დაეწერე, ერთი წაიკითხო!“ მეც მაშინვე გავიდი და ყურს დაუვგდებდი, რის შემდეგაც მოუწონებდი და ისიც ნასიამოვნები მეტყოდა ხოლმე: „იცის და შენმა ძმამა!“ ფშაველიან ჩამოსული ვაჟა, სახლში რომ ცოტას დაისვენებდა წერა-კითხვის საზოგადოებაში წავიდიოდა ხოლმე და იქიდან რედაქციებში, ნაწერები მიჰქონდა.

ერთხელ სახლში ძალიან გაჯავრებული მოვიდა, როცა მიზეზი ვკითხე, ვაჟამ მითხრა: „კაცო, მოდი და კაცი ნუ გაჯავრდება, როდესაც ნაწერები კი უნდათ და ფულის მოცემა კი ეზარებათო. ის ნინო ნაკაშიძეზე იყო გაჯავრებული, რომელიც იმ დროს „ნაკადული“-ს რედაქტორად იყო. მაშინ „ნაკადულს“ ძმანი ზუბალაშვილები აძლევდნენ დახმარებას. „კაცო, შემძვრალან შიგა თავგებივით ზუბალაშვილების საკუჭნაოში და არხეინადა ჰხრავენ, შენ-კი ვაჟა-ფშაველა, მოითმინეო!“ ამის შესახებ წერილიც კი მოათავსა „სახალხო ფურცელში“. იმის შემდეგ ვაჟას აღარ უთანამშრომლია „ნაკადული“-ს რედაქციაში. თბილისში ვაჟას უყვარდა ხოლმე დროების ტარებაც. ხან ძმ. ხელაშვილების სარდაფში, რომელსაც ვაჟამ „ქოსები“ დაარქვა, ხან „ოსების“ რესტორანებში, ან კიდევ ს. კურდღელაშვილის სარდაფში, „პურ-ღვინოში“ და სხვ. რადგანაც ვა-

ეს ბევრთან უყვარდა დროების ტარება, ამისათვის ყოველთვის რამდენიმე კაცი უნდა ვყოფილიყავით ერთად. ჩვენთან ხშირად იყვნენ ხოლმე: შიო მღვიმელი, ივანე ბუქურაული, ვასო მათურელი, ვალიკო გუნია, იროდიონ ევლოშვილი, დავით პავლიაშვილი („ნაპოლეონ“), ნიკო კურდღელაშვილი, ილია აღლაძე, ია ეკალაძე და სხვანი.

ერთხელ როგორღაც მოხდა, რომ კაფა საახალწლოდ აღარ ჩამოვიდა თბილისში და სამაგიეროდ ასეთი წერილი მომწერა:

ბმთ სანდალავ!  
მოგილოცავ ახალწელს,  
დაესწარი მრავალსა,  
თუ იკითხავთ ჩემს ყოფნას,  
ჩემ თავადასაყალსა,  
არა მიჭირს დღესნამდღე:  
ზინკალსა ექვამ მრავალსა.  
ვაყოლებ ზედ მთავე წყალს  
კლდიდან გამონაყალსა.  
შენა, ვასო<sup>1</sup> და შიო<sup>2</sup>  
და ივანე თუშია<sup>3</sup>  
„ქიზიყელთა პადეალი“  
ვისაც დაუფუშია, —  
რომ დასხდებით და ჩემზე  
გეცინებათ გულშია,  
უჩურჩულებთ რაღაცას  
ერთმანერთსა წერშია,  
თან „ილიკოურს“ სვამთ  
გამოდიხართ მუქთშია. —  
ამ ეპისტოლეს ვიძღვნით,  
მე მოვდივარ ველარა.  
ვინ იცის, ვიხარიანთ,  
რომ მოგშორდათ ბეკარა?  
მაგრამ ერთხელც იქნება  
გესტუმრებით კიდევა,  
და მაშინა ფამ-კარი  
თქვენი გადაირევა!

ეს ეპისტოლე ვიძღვენით და თქვენ რომ არაფერს მიძღვნით  
ვგ რა მიზეზია? ვადაეცი ჩემ მაგიერი მოკითხვა ჩემ რძალ

<sup>1</sup> ფშაველი-ვასო მათურელი.

<sup>2</sup> შიო მღვიმელი.

<sup>3</sup> ივანე ბუქურაული — მწერალი.



გაბოდან დაწყებული ყველას, ვინც კი იკითხავს ჩემს ამბავს, რა გულითაც ვინ მიკითხავს, ღმერთმა ყველას იმ გულით უშველოს. ჩვენ კარგადა ვართ. ლუარსაბი თუ ჰნახო, უთხარი წერილის პასუხი მალე მომწეროს.

შენი მოსიყვარულე ძმა ვ ა ჟ ა

1912 წ. 8 იანვარი

\* \* \*

ამ 25, თუ 26 წლის წინათ, ვაჟა-ფშაველას ნებართვით, მ. განჩილაძემ, რომელსაც იმ დროს სტამბა „სორაპანი“ ჰქონდა, მისი ზოგიერთი რჩეული ლექსები ცალკე წიგნად გამოსცა („ცრემლები“). პირობებისამებრ, განჩილაძემ ვაჟას ნაწილი ფულისა წინდაწინვე მისცა, დანარჩენიც წიგნის გამოცემის შემდეგ უნდა მიეცა, ცოტა არ იყოს, გაუჭიანურა. ასე რომ, საქმე ბოლოს „სამედიატოროდ“ გაუხდათ. მედიატორედ, სხვათა შორის, სამსონ ფირცხალავაც იყო.

მედიატორეთ საქმე ვაჟა-ფშაველას სასარგებლოდ გადასწყვიტეს. ასე, რომ ის დანარჩენი ფული განჩილაძეს შიო მღვიმელისათვის უნდა მიეცა, ხოლო შიო მღვიმელს კი ჩემთვის უნდა გადმოეცა. განჩილაძეს, როგორც იყო, ფული შიო მღვიმელისთვის მიეცა, მაგრამ რადგანაც შიოს ეს ფული შემოჰხარჯოდა, დროზე ვერ გადმოცა. იმ ხანებში ერთმა მთიულმა, გვარად ბურდულმა, ვაჟა-ფშაველასათვის მიძღვნილი ლექსი მომიტანა და მთხოვა, რომ ის ლექსი რომელიმე ახეთში დაბეჭდვად, რადგანაც მე არ მიბეჭდავენო. მართლაც, ვინ დაბეჭდავდა, იმ ლექსს, რომელშიაც: „ჰა, ბენავ კვნესამე ბაღლებო“, და „დედობილთ მიერ კვნესამეს“ მეტი შივ არა იყო რა. ვაჟას ერთხელ რომ ის ლექსი მოუტანე და წაიკითხა, სიცილისაგან მუცელი ხელში მეჭირა.

ვაჟა-ფშაველა ახალგაზრდობას თუ ამაყი, მოუთმენარი და სასტიკი იყო, სამაგიეროდ ის ხანში შესული ძალიან დადინჯდა. ძმებს ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა და უერთმანეთოდ მზე არ ამოგვდიოდა. როდესაც კი ერთად შევიყრებოდით, ჩვენ დანარჩენი ძმები, ვაჟას ხან რაზე დავცინოდით და ხან რაზე. უფრო კი იმის ჩამოგლეჯილ თვალზე ვიცინოდით ხოლმე და თვითონ იმასაც ვაცილებდით. ხანდახან ეს ჩვენი ხუმრობა ლექ-

სობახედაც კი გადადიოდა ხოლმე, რადგან მაშინ განუწილად  
საქმე და ბურდულის ლექსი კარგი მასალები იყო, ვაგა  
ბურდულის ჰანგზე პირველად შე ვალექსე, რომლის ნაწილიც  
აქ მომყავს.

### მიგააკმა ბურდულისა

(ვატა-ფშაქელას და ბანიწილაძის ბრძოლის შემო)

ჰა, ბეჩე, ვაეას კენებაზე,  
ცალ თვალს რომ ვერა მხუჭავსა;  
ლოქო თევზს ძაან რომ სწყალობს,  
ზედაც ნუნუას ჰელურჰავსა!  
ლაღად გახრდილი მთაშაა,  
სოფელს წარგად რო ჰქეიანო,  
წყაროს წყლით არის ნაზარდი  
ჰიჰახევეს რო დიანო,  
ამასაცა ჰევე მერანი,  
რომელს ნიკორა ჰქეიანო  
იმის ნაფრენსა ჰელეებზე  
ბალახს აღარა დიანო.  
გაისეირნებს თბილისში,  
ვანა თუ პური მშიანო?  
თვითონ იქ ჰაშნიეებს შირჯავს,  
ცოლ-მვილ მშიერნი ჰყრიანო.  
კენებაზე შენი, ვაეაო,  
კენებაზე შენი სმისაო!  
შემოუძახებს ვაეაი  
განეილაძეს, ბიჭსაო.  
რა უევე, ბიჭო, ფულები  
იმ წესი „ცრემლებისაო“?  
არ გამოაღდა, ბეჩავო,  
მოწმობა ხამსონისაო.  
დაეათეღვეინო მთლიანად  
მადლმა ლაშარისჯერისაო!  
ამოდიოდეს კუნელი  
მავ შენი „სორაპნისაო“,  
მათრახხსაც კარგადა ვხმარობ,  
ხანჯარიც კარგად სჭრისაო,  
შენს დღეში დარდის უნახავს  
ახლა ვაგიჩენ ჰირსაო!  
ჰირიმე შენი, ვაეაო!  
შურთხი ხარ მადლის მთისაო.

იმედი მაქვს, აიტან,  
არ ვეწეინება ძმისაო.  
ამისი მალექებელი  
ქალაქ თბილისში ზისაო.  
შენფერა ბიჭებისასა  
სხვასაც მრავალსა სთხზვისაო!

ვაფას ეს ლექსი რო გადავეცი, წაიკითხა, ბევრი იცინა და გავიდა თავის ოთახში დამუქრებული. მართლაც არ ვასულა იმის შემდეგ სულ ნახევარი საათი, რომ გამოვიდა ოთახიდან, გადმომცა ერთი ქალაღდის ნახვევი და მითხრა: „აბა ახლა შენ წაიკითხე, რა გიძღვენით“, აი რა ეწერა იმ ქალაღდის ნახვევზე:

„შიზაჰვა ბურჯულისა“<sup>1</sup>  
(მუკაღმნი აღ. რაზიკაშვილს)

ჰა, ბენავ, ხანდროს კენესამე,  
თვალუბის, უღვაშისაო;  
ჰა, ბენავ ბოთლების მცლელო  
და მტერო ქალუბისაო.  
ჰა, ბენავ, ხანდროს კენესამე,  
შე ჯიხვო შავის კლდისაო:  
შეუღრეკელო სმაშია  
პირს ოფლი გადავღისაო.  
ჰა, ბენავ, ხანდროს მოუვა  
გორით წერილი ძმისაო  
და სატრფიალო ვოდება  
მიხასი ღისწულისაო,  
ჰა ბენავ, ხანდროს კენესამე,  
ქალსუდა მანაბლისაო.  
ჰა, ბენავ, ბენავ, ბიჭებო!  
არა ჰღალატობთ ჯიშისაო.  
ვიპატიეებენ სმაშუდა,  
წერილი წერილს სეკლისაო.  
ნეტავი თვალთა გნახით  
დრო რო დადგება სმისაო,  
ფეორიანი რო დაცლილა,  
წითლიანს ქვეურსა მხდისაო  
თევდორე: „ღვინოს უეურეთ  
გემო აქვს ჰადავისაო“.

<sup>1</sup> იხილეთ ლექსი: „ვაგა-უშაველას დედობილთ მიერ კენესამე“ და „ჰა, ბენავ ბაღლებო“.

გავარდა საქართველოში  
ხმა თქვენის ბიკობისათ.  
რა უჭირს იხეთს დედასა,  
ვინც თქვენ ვერ შეიღებს ზღისათ,  
მა, ბენაჲ, ფშაველის შეიღებო,  
თვალის მოხრელებო მტრისათ!

ამის შემდეგ ახლა თვითონ უძღვნა თავის თავს ვაჟამ ლექსი, რომელშიაც ჰგოდებს იმას, ვითომ როგორ წაიქეიფეს სხვებმა მისი „ცრემლები“ ფულებით და ის კა თვითონ ამ ქეიფს შორით უცქეროდა. აი ეს ლექსიც:

### ფშავერი მუსაფაზი

განწილაძე ღიღინებს  
მღვთმი „ხორაჲნის“ მთაზედა,  
შენ გენაცვალე, უფალო,  
რომ დამარიგე ჭკვაზედა —  
ვაჟა-ფშაველამ მაწენია.  
მეც მოვექმეცი ახზედა.  
რაც ფული უნდა მიმეტა  
გადაუიტანე სხვაზედა.  
იტყვიან შიო-მღვიმელსა,  
ვანთქმული არას სმაზედა —  
უკან არ იხევეს თუ საქმე  
მიდგა ლექსების თქმაზედა:  
თან წაფრურჩულე: „შენ მიშველ,  
ძმაჲ, უმტკიცესო ძმაზედა —  
როგორც სამსონმა მიშველა  
მედიატორედ სჯაზედა.  
შენ გქონდეს, ვაჟა-ფშაველას,  
რისათვის მიეცე რაზედა?  
რა შრომა გაუწეუია,  
დაჯდეს, ქვა კენიტოს მთაზედა,  
არ მიღალატე, ძმობილო,  
მადლობელი ვარ მასზედა  
გირჩევე ვხლავე ეცადო  
ძმა აამხედრო ძმაზედა...!  
არც სანდროს მისცე, არც ვაჟას,  
ხელი გეკიდოს ჭკვაზედა.  
ამ დროსა შიო მღვიმელი  
პაღვალში იჯდა სკამზედა.

<sup>1</sup> აქ გამოვტოვე ოთხი სტრიქონი, რომელიც შიოს ეხება. ა ვ ტ.

აღღვრებულება რაც კი რამ  
არსებობს ქვეყანაზედა;  
სამშობლოს, ლიტერატურას,  
ქვეყ თუ ხადმე ძევს ქვაზედა,  
თამადად ამორჩეულხა  
ჯდომა უხდება ჯარზედა.  
გვერდს უხის ბუჭურაული  
ყანწებსა ხელიდა ყანწზედა.  
მოხაკრავენი ატკობენ,  
კიკლია! პანგს სცელის პანგზედა.  
მოსულა ვაჟა-ფშაველა  
ამ ერიაშულის ხმაზედა.  
უცქერის კარებიდანა  
ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.

ვაჟა-ფშაველას უკანასკნელი ჩამოსვლა იყო თბილისში 1915 წელს აპრილში. ის ჩარგლიდან ჩამოსული ვერის დაღმართთან შემხვდა. თბილისის სადგურიდან ფეხით წამოსულიყო. ნაბადი ჰქონდა მოხვეული და მხარზე კი ხურჯინი ჰქონდა გადაკიდებული. გაგვიხარდა ორივეს ერთმანეთის ნახვა, გადავეხვიეთ და დავკოცნეთ ერთმანეთი. გამოვართვი ხურჯინი, ნაბადი კი არ მომცა, რადგან ისევე ავადა ვარო, მითხრა და ვაი თუ გავცივდეო. წამოვედით სახლში. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, სხვათა შორის, ვკითხე მისი ჩამოუსვლელობის მიზეზი იმ ზამთარს აკაკის დასაფლავებაზე.

— აქ ათასი ჭორი გაავრცელეს-მეთქი, ვუთხარი ვაჟას, თითქოს შენა და აკაკის ერთმანეთი გპულდათ და ვითომ შენც იმისთვის არ ჩამოხვედი იმის დასაფლავებაზეო.

ამის გაგონება ვაჟას ძალიან ეწყინა და გაჯავრებულმა წამოიძახა: „ვერ უყურებთ მაგ უსინდისოებს, რა მოუგონიათ? რა მქონდა აკაკისთან გასაყოფი, ან კიდევ საჯავრებელი? მე ვაჟა-ფშაველა ვარ და ის კი აკაკიო“. ძმაო, დაიჯერე, აი ხომ ჰხედავ როგორა ვარ?

იმ დროს როდესაც თბილისიდან დეპეშა მომივიდა, ლოკინში ვიწვევ, — ფილტვების ანთება მქონდა. აი ეს გვერდი ეხლაცა მტკივა. ან კი როგორ გადავრჩი ცოცხალი. აბა შენვე მითხარ, თუ ძმა ხარ, ეს ავადმყოფი კაცი ხად უნდა წამოვსულიყავი.



ვაჟა მართალი იყო. როდესაც აქა ნახეს ის ავადმყოფი კაცი, მაშინ-ღა დაიჯერეს. როდესაც ქართველი საზოგადოება დარწმუნდა, რომ ვაჟა მართლაც ავად იყო, მაშინ-ღა გამოიბერტყეს ყურები და ერთი საღამოს გამართვა ძლივს მოუხერხეს. ამასაც ვალიკო გუნიას უნდა ვუძაღლოდეთ, რომლის ინიციატივითაც ეს საღამო მოხერხდა. საღამო ოპერის თეატრში მოუწყვეს, რასაც აუარებელი საზოგადოება დაესწრო. ამ საღამოზე სხვათა შორის თვითონ ვაჟამაც წაიკითხა ორი, თუ სამი თავისი ლექსი.

როგორც ჩვენს ქართველ საზოგადოებას სწვევია, საღამოს გათავებისას, ვაჟას ორთაჭალის ბაღში კარგი ვახშამი გაუმართეს, სადაც ეს ავადმყოფი კაცი მარტო ჩოხის ამარა წაეყვანათ. ვახშმიდან ის მეორე დღეს-ღა დაბრუნდა. ჩემს შეკითხვაზე, რად დაიგვიანე-მეთქი, გაჯავრებულმა მითხრა: „წამათრეუს, კაცო, მაგ ოჯახქორებმა ეს ავადმყოფი კაცი და უარესად გამაცოცხლო“.

მართლაც იმის შემდეგ ვაჟა უარესად გახდა. ჩაწვა ლოგინში და ვეღარ წამოდგა. ერთ თვეზე მეტი ჩემ ბინაზე იწვა, და ჩემი სახლობა უვლიდა. აქვე ყოველდღე მოდიოდა ექიმები: ვანო ვოძართელი, გ. მუხაძე, სპ. ვირსალაძე. აქ პატარა ოპერაციაც კი გაუკეთეს და გვერდიდან წყალ-მანკი გამოუშვეს. ამან ვაჟას ცოტა შეღავათი მისცა. იმედიც კი მიეცა მორჩენისა, მაგრამ სად იყო მორჩენა? რადგანაც გამართულ საღამოდან ვაჟას ერთი ოთხმოციოდე თუმანი ერგო, ერთხელ, წოლით გაბეზრებულმა, მითხრა: „აღე კაცო, დაეთხოვე სამსახურიდან, ეს ფულები არის, რისა გეშინიან, დაეიქირაოთ ერთი ავტომობილი, წაეიყვანოთ თან შიო მღვიმელიც, წაეიღეთ აქედან, თორემ მე ამ სიცხეში რა გამაძლებინებს, მოეკვდები. ისევ მთაში, თორემ აქაური ცარიელი წამლები მე ვერას მიშველიანო, იძახდა და მართალსაც ამბობდა. ვანო ვოძართელიც სულ იმას გვეუბნებოდა, რომ ვაჟა ისევ მთაში წაგვეყვანა ჰაერზე. მაგრამ მუხაძემ რაკი სთქვა: „შეიძლება გვერდში წყალი ჩაუდგესო“, ამისათვის ჩვენც თავი გავანებეთ.

• • •

ვიდრე ავადმყოფი ვაჟა ჩემს ბინაზე იწვა, შემოვიდა ერთი მაღალი ტანის კაცი ფოსტაში, სადაც მე ვმსახურობდი, რასაკვირველია, ვუთხარი ჩემი ვინაობა. ისიც გამეცნო და მითხრა, რომ ოვანეს თუმანიანი ვარ, გავიგე ვაჟა-ფშაველას ავადმყოფობა და ისიც, რომ თქვენს ბინაზე ყოფილა, მინდა მისი ნახვა და როდის შეიძლება მისი ნახვაო. მეც ვასწავლე ჩემი მისამართი და ვსთხოვე, რომ მეორე დღეს მოსულიყო. სახლში დაბრუნებისას ვუამბე ვაჟას ეს ამბავი, რომელსაც იამა ასეთი მოულოდნელი ამბავი და მითხრა: „მოვიდეს, კაცო, ერთი გავიცნო, რა კაციაო.“ მეორე დღეს, დანიშნულ დროს მართლაც მოვიდა ოვანეს თუმანიანი, რომლის მოსვლამდე ვაჟა ლოგინიდან წამოდგა, ჩაიცვა ტანს და როცა ოვანესი სახლში შემოვიდა, გავაცანი ერთმანეთს. ოვანესმა ბოდიში მოიხადა, რომ საუბედუროდ, ქართული ენა არ იცოდა, რის გამოც რუსულად დაიწყეს ლაპარაკი. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, ჩამოაგდეს ლაპარაკი მაშინდელ ომზე, მის შედეგებზე და თუ რას მოუტანდა ის ომი პატარა ერებს, ბედნიერებას, თუ უბედურებას. შემდეგ ოვანეს თუმანიანმა ჩამოაგდო ლაპარაკი, რასაკვირველია, მაშინდელ სომეხ-ქართველთა ურთიერთობაზე. ამ ორი მკონის ლაპარაკი მეტად გულწრფელი იყო.

• • •

ექიმების აზრით, ვაჟას გაგზავნა ისეთ ალაგას, სადაც ექიმები არ იყო, არ შეიძლებოდა. იმის გაგზავნა შეიძლებოდა სადმე ახლო-მახლო აგარაკებზე, სადაც ყოველ ჟამს შესაძლებელი ყოფილიყო ექიმის შოვნა. ვიდრე ისინი ასეთ აგარაკს მოსძებნიდნენ, დრო გადიოდა და ავადმყოფობა თავისას არ იშლიდა. ბოლოს გადასწყვეტიეს, რომ ვაჟა გადაეგზავნათ ახლანდელ უნივერსიტეტის შენობაში, სადაც იმ დროს დაჭრილებსათვის „წმინდა ნინოს სახელობის სამხედრო ლაზარეთი“ იყო მოთავსებული.

ექიმების გადაწყვეტილების თანახმად ვაჟა ლაზარეთში გადავიყვანეთ და მოვათავსეთ სულ ზემო-სართულის ერთ დიდ ოთახში. იქ ექიმი მახვილაძე ისე დასტრიალებდა თავს დღე და ღამ, როგორც თავის მშობელს. ქართველი მოწყალების დე-



ბიე დარაჯებივით სულ გარს უვლიდენ. ყოველ სამ დღეში ღანარჩენი ექიმები იკრიფებოდნენ ერთად და ისე შინჯავდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ იქ ყველაფერი ბლომად ეძლეოდა, მაინც შინაური საჭმელი ერჩივნა, რომელიც თითქმის ყოველ დღე მიმქონდა. გორიდან ჩვენმა დისწულმა ნანადირევი მწყრებიც კი გამოუგზავნა, რომელიც სახლში შეუწვით და მიუტანე, რაც ძალიან იამა. ნაცნობ-მეგობრებიც ყოველ დღე მისდიოდნენ, რომლებსაც ზოგს რა მიჰქონდა და ზოგს რა. სოლოლაკიდან ხესიაშვილი ძველის ძველ წითელ ღვინოს უგზავნიდა ყოველ დღე თავის სარდაფიდან. მაგრამ თვითონ ბევრი არ ესმეოდა და ედგა იქ სავსე ბოთლები. მე და შიო მღვიმელი მივდიოდით იმასთან, იგი ვაჟას ძალიან უყვარდა, აგრეთვე შიოსაც, სიცილით გვეტყოდა ხოლმე ვაჟა: „აბა, ხომ ვიცა, რომ გემსუნაგებათ ე წითელი ნუნუა, თქვენს ცოდვაში არ ჩავსდგე, მოდი დალიეთო“ და ჩვენც უარს არ ვუბნებოდით.

ვაჟას ერთი მოწყალების და ჰყავდა მიჩნეული, ანიკო კობიაშვილისა, რომლის შესახებაც გვეტყოდა ხოლმე სიცილით: „ეს ჩვენი ანიკო ქალი ხანდახან წაეპარება ამ წითლიანებს, ჰგონია ვერ ვამჩნევო“ და გვაცინებდა.

ჩემ ქვისლ მელანიას კრიალოსანი მიეტანა იმისათვის, ვაერთობიო, რის გამოც ძალიან ნასიამოვნები იყო და მითხრა: „რა მშვენიერი ადამიანია ეს ჩვენი წვერაჟა, ძალიან ვერთობი ამაზედლო“.

ასე მიდიოდა დრო და იმისი ჯანმრთელობა კი დღითიდღე უარესდებოდა.

მკათათვის საშინელი სიცხეები იდგა. ჯერ კარგათმყოფისათვის რა იყო იმ დროს აქ, თბილისში, ყოფნა და ავადმყოფისათვის ხომ პირდაპირ ჯოჯოხეთი იქნებოდა.

არ იქნა, არა ეშველა-რა ჩვენს საზოგადოებას, რომ საღმე გავგზავნათ და უარესად დადნა ეს კაცი იმ სიცხე-ჰაპანაქებაში. ერთხელ წყაროს წყალი მოგვთხოვა, რომ მამა-დავითიდან ჩამოგვეტანა. მართლაც ჩამოვატანინეთ მისთვის ის წყაროს წყალი, მაგრამ როდესაც დალია, ის აღარ იყო, ცოტა გამთბარიყო. იმ ხანად საზამთრო ახლად იყო შემოსული და რაკი იმას უყვარდა, ყოველდღე მიმქონდა.

26 მკათათვეს როგორღაც მოხდა, რომ სამსახურის გამო



ველარ წავედი ვაჟასთან თავის დროზე. თურმე მკითხულობს: „რა იქნა ის ბიჭი, რატომ არ მოდიხარ?“ დაემტკვრებინა იქვე ეზოში მდგომი ხეებისათვის ტოტები და იმისი ფოთლები გაეშლევინებინა იატაკზე და წამოწოლილიყო. 27-ში გამოეგზავნა ჩემთან ანიკო, რომელიც ჩემთან არ მოხულა. მე სამსახურში ვიყავი, ის კი ბინაზე მოხულიყო, შემდეგ მოეკითხა ქალღი და ფანქარი, მოენდომა რაღაცის დაწერა, მაგრამ ვეღარ დაეწერა.

მე კი ჩვეულებისამებრ წავუღე სადილი და ერთი საზამთრო, თან შიოც გამომეცა. შიო გარეთ დარჩა. მე კი ავედი ლაზარეთში. მივედი თუ არა იმის ოთახის კარებთან, იქ ექიმი მახვილაძე და მოწყალების დები დამხედნენ თვალცრემლიანები. მაშინ-ღა მივხვდი რაშია ციო საქმე. ექიმი მახვილაძე მეუბნება ტირილით: „მორჩა, აღარ არის“. შენს მტერს, რომ მე ვაკხდი: შევედი შიგ ოთახში, ვხედავ ვაჟას მკვდარს... ხმა ვეღარ ამოვიღე, ცრემლებიც არ მოდის ეს ტიალი! ვაკოცე ჯერ კიდევ თბილ შუბლზე. მივდივარ და მოვდივარ შეშლილივით. გამოვარდი კარში და შიოსაც ვამცნე ეს უბედურება. წავედი იქიდან „სახალხო ფურცლის“ რედაქციაში შესატყობინებლად. იმ დღესვე საღამოზე წავედი მე, შიო და რამდენიმე მუშახელოსნები. ჩავასვენეთ კუბოში და წამოვასვენეთ ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც ყოველდღე პანაშვიდებს უხდიდნენ, ვიდრე დავასაფლავებდით. დასაფლავების დღეს, ქაშვეთის ეკლესიიდან გამოსვენების დროს პირველი სიტყვა ივანე გომართელმა სთქვა. დიდუბის პანთეონში კი სხვათა შორის, ბაჩანამ და ვაჟას შეიღმა ლევანმა. დასაფლავების დროს გვირგვინები არა ყოფილა, იყო მხოლოდ ერთი გვირგვინი, მთელი ქართველი ერის სახელით.

## სვიმონ სალარიკა

ლუკა რაზიკაშვილს (ვაჟა-ფშაველა) ნაკლებად იცნობდნენ სემინარისტები. ამიტომ ამხანაგები მასზე ამბობდნენ: „აი, ადამიანი, რომელიც დადის მარტორქად“.

22. მოგონებები გარდასულ დღეთა

ერთ მშვენიერ დღეს ლუკამ შემოიარა ჩემთან ფოხტის „ფიზიოლოგიური წერილებისა“ და ბიუნზერის „ძალა და მატერიალის“ წიგნების წასაღებად. იმჟამად მე ვკითხულობდი ბარიატინსკის ლექსს „გიოტეს სიკვდილზე“ —

С природой одной он жизнью дышал,  
Ручья разумел лепетанье,  
И говор древесных листов понимал,  
И чувствовал трав прозябанье;  
И была ему звездная книга ясна,  
И с ним говорила морская волна.

მთელი მთა სიხარულისა ამოსკდა ლუკას გულიდან, ციბრუტივით ტრიალებდა ჩემს ოთახში და გაიძახოდა: „აი, ჩემი სარკე, მე ვიპოვნე ჩემი თავი“. ლუკა — ეს ჩანასახშივე გენიალური ნიშნების გლეხი, ბუნების შეგრძნობასა და ვაგებაში ორივე ფეხით იდგა სპინოზას პანთეისტურ თეოლსაზრისზე და ღმერთად მიაჩნდა სამყაროს გასულიერებული სუბსტანცია.

## მაკო საშაროვა-აბაშიძისა

ნეტარსხენებული დიდი მგოსანი ვაჟა-ფშაველა ხშირი სტუმარი იყო არტისტების ოჯახში და რასაკვირველია, ჩვენსასაც ხშირად დადიოდა. ძალიან უყვარდა თეატრზე მასლაათი. იმ ხანებში ჩვენი თეატრის შემოსავალი ცოტა სუსტად იყო. ერთხელ ჩემმა ქმარმა უთხრა: კაცო, მაგრე რომ გიყვარს თეატრი, მოდი ერთი დაგვეხმარე და შემწეობა გაუწიე ჩვენს საქმესაო.

— დიდი სიამოვნებითო, — უპასუხა ვაჟამ — თუკი რამ შემიძლიან, მითხარი და გავაკეთებო. მაშინ ვასომ უთხრა, — აი, ჩვენ ამ ახლო ხანში უნდა დავდგათ პიესა „ხევსურთა ქორწილი“, შენ ხომ გიყვარს მთიულები და ეს პიესა სწორედ მთიულების ცხოვრებიდან არის აღებული; მოდი ამ პიესაში გაბედე და შენ ნეფე ითამაშე, ჩემი ცოლი კიდევ პატარძალს ითამაშებს, შენც ისიამოვნებ და ჩვენც შემოსავალს შეგვმატე-

ბო. — დიდის სიამოვნებითო, უთხრა ვასოს, თუ ამისთანა პატარძალი მეყოლება, იქნებ გავბედო თამაში, მაგრამ სკანდალი არ გამოიკეთო, თუ ქორწილის დროს პატარძალს ვაკოცეო.

ამნაირად შესდგა ეს წარმოდგენა და ვაჟას სცენაზე გამოსვლა. წარმოდგენის საღამოს მეხუმრებოდა, ცხოვრებაში ვერ ველირსე თქვენისთანა პატარძალს და სცენაზე მაინც გავბედნიერდეო.

ვაჟამ სუსტად შეასრულა ნაკისრი როლი, მეტადრე სუსტი იყო სიმღერის დროს — ამ პიესაში სასიმღერო ჰქონდა. ერთი სიტყვიდან მეორემდე ისე აჭიანურებდა, რომ ხალხმა კინალამ დაიძინა. მერე ვასომ უთხრა ჩუმაღ: — ჩქარა, კაცო, ზმა ამოიდე, თორემ ხალხს დაეძინაო. მაგრამ ვერც ამან უშველა. დიდი მგოსანი ძალიან სუსტი მსახიობი აღმოჩნდა. მაგრამ ჩვენ მაინც მიზანს მივალწიეთ: იმ დღეს ვაჟას წყალობით ძალიან კარგი შემოსავალი გვექონდა.

## თედო სასოკია

ბრვე ვაჟაკი, მხარბეჭიანი. არწივისებური გადმოხედვა. შინმოქსოვილი შალის ღართით გამოწყობილი. ქამარზე მუღამ დიდ სატყვეარ ჩამოკიდებული. მის შემოხედვა-ლაპარაკში ჰგრძნობდით, რომ თქვენთან იდგა ფშავეის ლაღი ბუნების ლაღივე შვილი: თამაში, შეუდრეკელი, შემმართებელი! ქალაქის ცხოვრებას, კარნაკეტილ ოთახის ჰაერით სუნთქვას ვერ უძლებდა, გაურბოდა... ბარად რო იყო, მარად მიისწრაფოდა მთისკენ, რომელსაც მისთვის აკვანი ურწევია და მის უებრო, ზეციურ მეხოტბედ და გუნდრუკის მკმეველად, ქალაღზე მისთა ათასგვარ საიდუმლოებათა და გრძნობათა გამომხატველად გამოუზრდია...

ეს იყო ვაჟა-ფშაველა ანუ, მოკლედ, ვაჟა, როგორც ფშავეის მთის უებრო მგოსანს ვეძახდით ყველანი.

მე რომ ვავიციანი, უკვე ათი წლის სამწერლო სტაჟი ჰქონდა. იღია ჭავჭავაძის „ივერიაში“ უკვე ცნობილ თანამშრომ-

ლად ითვლებოდა; თვით ბუმბერაზ ილიას მიერ ცნობილი ხალხური ქართველოს მომავალ დიდ მგოსნად და ბუნების მესაიდუმლედ მიჩნეული, რომლისათვის ილიას, თვით ილიასივე თქმით, „ადგილი უნდა დაეცალა, კალამი ძირს უნდა დაედო, როგორც პოეტს“ (გიგო ყიფშიძის ნაამბობი). ვაჟას უნდა დაეჩრდილა ყველანი. ამ დაჩრდილვას მხოლოდ აკაკი თუ არ მოყვებოდა.

ახალგაზრდანი დიახაც რომ ყველანი მოწინებების გრძნობით შევეყურებდით...

პირადად გავიცანი ვაჟა 1891 წელს, ქართველი კრიტიკოსის და ციმბირში ნაკატორღალის სტეფანე (სტეპკო) ჭრელაშვილის სახლში, ანდრეევის (აწ ორჯონიკიძის) ქუჩაზე, № 11, სადაც სამოქალაქო პირველდაწყებითი სკოლა იყო მოთავსებული და მასწავლებლად სტ. ჭრელაშვილის და ეკატერინე, ქვრივი ჟურნალ „იმედის“ თანამშრომლის და ცნობილი ხალხოსანი მწერლის მიქელ ასათიანისა ასწავლიდა... აქვე ცხოვრობდა სტეპკოს მეორე და, ოღლა ნასიძისა, ისიც მასწავლებელი. დედა სტეპკოსი ცოცხალი იყო. თვითონ სტეპკო ქალაქის გამგეობაში მსახურობდა და ამავე დროს „ივერიაში“ თანამშრომლობდა „სანოს“ ფსევდონიმით.

სტეპკოს და ეკატერინე ასათიანისა საყმაწვილო ჟურნალ „ჯეჯილში“ იღებდა მონაწილეობას. მის დას ოღლასაც უყვარდა ლიტერატურა. იგი სახალხო სიტყვიერების შემკრებელი იყო. მე კიდევ ამ ოჯახში დავდიოდი, როგორც ფრანგული ენის მასწავლებელი ეკატერინეს ორი ვაჟისა, რომელთაგან უმცროსი, მიხეილი შემდეგში ექიმ ფსიქიატრად, ფსიქიატრული საავადმყოფოს პროფესორ-გამგედ მოგვევლინა.

და აი, ამ ლიტერატურულ ოჯახში სრულებით ბუნებრივი იყო გამეცნო ვაჟა, რომელიც სტუმრად მოდიოდა ხოლმე სტეპკოსთან და რომლის სტუმრობით ყველას თავი ექებოდა. სასტუმროში სადმე ჩამოხტომას ვაჟა ვერიდებოდა. არავის ახსოვს, ვაჟა, თავის სოფელ ჩარგლიდან ჩამოსული, სასტუმროში სადმე განერებულიყო...

ვაჟა გამოჩნდებოდა თუ არა კარებში, ყველას მზე გადაეფინებოდა სახეზე: გულსავსებით მიეგებებოდნენ, მოიკითხავდ-

ნენ, მაშინვე სუფრას გაუშლიდნენ და ნამკზავრს გულუხვად გაუმასპინძლებოდნენ. ამის შემდეგ საზრუნავი სტეფანე ჭრე-  
ლაშვილის დედისა და დებისა იყო ვაჟას სამოსელის გენერა-  
ლური რეცხვა. ამ დროს სტეპკოს ჩასაცმელებით უნდა შეემო-  
სათ ვაჟა და ერთი-ორი დღე გარეთ არ უშვებდნენ. თავს დაკ-  
კანკალებდნენ — არაფერი დააკლდეს ჩვენს ვაჟასაო!..

ციმბირიდან ლტოლვილმა 1909 წელს ბელგიის დედაქა-  
ლაქს ბრიუსელს შევაფარე თავი.

მე და ჩემთან ერთად იქ შეხიზნული ქართველობა ცხოვ-  
რების ათასგვარ გაჭირვებას ვებრძოდით. მთელი ჩემი ენერჯია  
ამ ბრძოლას უნდებოდა. ამ დროს, გავიხედოთ, სამშობლოდან  
ჩვენი საყვარელი მგოსნის, წერილი მომდის. მილოცავს ციმ-  
ბირს გადარჩენას, მეგობრულ საღამოს მიძღვნის შორ სამშობ-  
ლოდან, მისურვებს მალე დაბრუნებას ჩემიანებში... სხვათა  
შორის, მწერდა: „გავიგე, შენ და პ. ყიფიანს ჩემი „გველის-  
მჭამელის“ თარგმნა განგიზრახავსთ ფრანგულად. ღმერთმა ხე-  
ლი მოგიმართოსთ და კეთილად შეგასრულებინოსთ განზრახ-  
ვა. იმედი მაქვს, მეც არ დამივიწყებთ“. შემოვუთვალე: ჯერ  
გვეძნელება, ასეთ მძიმე საქმეს ხელი მოვკიდოთ, რადგან გამ-  
ძაფრებულნი ცხოვრებას ვებრძვით, ლუკმაპურისთვის წელებ-  
ზე ფეხს ვიდგამთ და თუ მოვახერხეთ რამე, იმასაც შევატყო-  
ბინებთ-მეთქი.

ამის შემდეგ სამს წელს არ გაუვლია, ვახეთმა ამბავი მოგ-  
ვიტანა საზღვარგარეთ მყოფ ქართველობას: ვაჟა აღარა გვეყავ-  
სო... თავზარი დაგვცა ამ ამბავმა. ყველაფერს წარმოვიდგენ-  
დით, მაგრამ არ მოველოდით — ვაჟას, ამ გოლიათს, ამ ფიზი-  
კურის სიძლიერის განხორციელებას თუ სიკვდილი წარბს, ოდ-  
ნავაც არი, შეარხვეინებდა.



...კარგი გყოლია გამგელი,  
ღმერთმ გადღვეგრძელოს გუარიო!  
ვაჟა-ფშაველა

ვაჟა-ფშაველას სახელი პირველად მწყემსისაგან გავი-  
გონე.

ეს იყო ბავშვობის წლებში, როცა მინდვრად ვიზრდებოდი  
და მენახირე-მწყემსებში მიხდებოდა ტრიალი.

ჩემს მიერ აღწერილ გლეხურ „სალამოებზე“, როგორც  
ვთქვი\*, ხშირად იმართებოდა გაშაირება, ზღაპრების თხრობა  
და სხვ. იმ წრეში ერთი შუახნის კაცი ერია — მოსე ბეგიაშვი-  
ლი. იგი მთაში ნავალი იყო, ფშავეში მწყემსად ნამყოფი, საინ-  
ტერესოდ მოსაუბრე და მომღერალი. ჩონგურს დიდი ხელოვ-  
ნებით „აჩქამებდა“ და საუცხოო ლექსებს დაამღერებდა. მო-  
სემ „ქაღალდიც“ იცოდა: წიგნს ჩათულით კითხულობდა, მაგ-  
რამ წაკითხულს ისე ენაწყელიანად ვეებოდა, რომ მინდვრის ბი-  
ჭების გული მონადირებული ჰქონდა.

ბევრი მთვარიანი საღამო მაჩხოვს ალაზნის პირად გატა-  
რებული: მოშრიალე ვერხვების ჩრდილში ცეცხლი ღუღღუ-  
დებდა, ნაცარში ხშიადი ცხებოდა, ალზე გარფა\*\* მზადდებოდა,  
ხოლო ცხელი ღუკმის მომლოდინე შეძროხეები სულგანახულ-  
ნი უსმენდნენ მოსეს. ის გაპოხილ ჩონგურზე თითებს ათრთო-  
ლებდა, თითქოს ალაპარაკებდა სიმებს, დროგამოშეებით ტკბი-  
ლი, დაბალი ტენორით დაღულუნებდა შაირს — მღვერად წა-  
სული ვაჟკაცისას, რომელმაც მტერს სძლია, მეთაური მოუკლა,  
მაგრამ მისი მამაცობით მოხიბლულმა მოკლულს მკლავი არ  
მოსჰრა. ამით თემის ადათი დაარღვია და თემმაც განდევნა იგი.

ეს იყო „ალუდას შაირი“.

ტკბილი სიმღერით ნაამბობი რაინდული პოემა გულში  
გვწვდებოდა.

\* იგულისხმება ავტორის კრებული „შეხვედრები დაუვიწყარ ადამიანებ-  
თან“.

\*\* გარფა — სიმარდის ფქვილის შექამადი.

— კარგი შაირია, მთაში ისწავლიდი! — უთხრეს ერთხელ მოსეს.

— ეს ქალაქში სწერია! — განუმარტა მან.

— ქალაქში? აბა, დამწერიც ისა ყოფილა! ვისი დაწერილი იქნება ეგ ქალაქი?

— ეს ფშავლის დაწერილია, ვაჟა-ფშაველს ეტყვიან...

— ფშავლისა კი არა და ინგილოსი, — უნდობლად შეხვდა ერთი ცნობისმოყვარე, — ფშაველი როგორ დასწერდა ქალაქსა? — მაგას ხომ ნასწავლი კაცი უნდა!

— ჰოდა, ნასწავლია ის ვაჟაი!

— რა იცი, რომ ნასწავლია?

— მე მინახავს!

— არა, თუ ღმერთი გწამს, ნამდვილს ამბობ?

— მინახავს-მეთქი! ცხვარში რო ვიყავ, ბარე ათჯერაც ენახე.

— მეცხვარეა?

— არა, მეცხვარეებთან მოდიოდა. ბუქურაულებს ჰმეგობრობდა. ერთხელ იალაღზე დაეა ჩავარდა, ქისტებმა ბიჭებს გვეკმეს და საქმე სისხლითაც გათავდა.

მოსემ პერანგი გადაიწია და მარცხენა ბეჭი გამოიჩინა. ბეჭის თავს მთელ ციდაზე ნარკინალი ეტყობოდა.

— აი, ეს მაშინდელია!

მოთხრობილის ლოკუმენტით დადასტურებამ კიდევ უფრო გაამძაფრა მეძროხეების ინტერესი, დაწვრილებით აამბობინეს.

— ერთი სიტყვითა, — ფშავეურად უქცევდა მოსე, — ფშაველების ყორულებში\* ცხვარ ჩამორეკეს ქისტებმა. ჩვენმა ბიჭებმა გაურეკეს. იმათ იგრევ მაიწადინეს ძალად გადმოსვლაი. როცა ჩქამ გაიგეს — მთელი მწყემსობა მოქუნდა. დაიწყო ერთუცის\* დაჯობვაი, მეძრე, საქმე საჭერზე (დახანჯვლაზე) წავიდა. ხუთიოდე ბიჭი დასისხლდა. მეც იმათშია. სად იყო, სად არა, ჩვენი სარქალიც გაჩნდა, თან ორი კაცი მოჰყვა. ერთი ჩალა-ცხენზე რო იჯდა, დაწინაურდა, შიგ ჩხუბში შემოვარდა, ნაბალი გადაიგდო და გადმოგეძახა:

\* ყორული — შემოკეებული ადვილი, სამოვრისათვის, საქონლის გასაჩერებლად და ა. შ.

\* ერთუცი — ერთმანეთი.

— გაყუნდითო, ვაჟებო, რასა სწადითო? — თან ცხენიდან ჩამოხდა. ამ დაძახილმა მართლაც დააყუნა მორკინეები, თღონდ ერთი მიდეგა\*\* ქისტი ჭირვეულობდა: ხანჯლით იწვედა და იგინებოდა. იმასაც უთხრა ქისტურად — დადექო, — ქისტი ოგურში\*\*\* არ ჩავარდა და ახლა იმას მიუტურტურა ხანჯალი. მაშინ ახლადმოსულმა უმაღლ მარცხენა ხელზე ჩოხა დაიხვია და უტაცა ხანჯალზედა. მარჯვენით კი მაჯა დაუბლუჯა, გადაუგრიხა და ხანჯალი ააცალა.

— რას კილოსა ხარო, ჯოყოლოელო, ვერ მიცანი? — მაშინ კი, ლხენა მოგეცა, იკადრა იმ ქისტმა დაყუნებაი.

მენახირეებმა იმ ვაჟკაცის მისამართით აღტაცებული წამოძახილებით შეაწყვეტინეს მოსეს. ბოლოს ვიდაცა შეეკითხა:

— ჩხუბი რა მაგ სიტყვის პახუხი იყო? შენ ხო ი ფშაველზე გვიამბობდი?

— ჰოდა, ის ცხენოსანი ვაჟა-ფშაველა იყო, — მიუგო მოსემ.

— არა, თუ ძმა ხარ, მართლა?

— ვაჟა-ფშაველა იყო-მეთქი!

— რაო, თითონ ვითხრათ ვაჟა ვარო?

— არა, სარქალმა ვაგვაცნო. რას ჩხუბობთო, — გვითხრა, — სტუმრის პატივისცემა მაინც არა გაქეთო? იცით, ვინ არი ესაო? ფშაველების პირველი კაციო, წიგნების მწერალიო, ვა-ვა-ფშაველას ვეტყვიო.

ამ სიტყვებზე მოსემ ყველას თვალი შეავლო, ალბათ შთაბეჭდილების დასაჭერად და პაუზის შემდეგ განაგრძო:

— სწორე ვითხრათ, ჩვენ იმისმა არწივეულმა მოხტომამ იკრე მოგვინადირა, რომ სარქლის უთქმელადაც მივხვდით, უბრალო კაცსა არ ჰგავდა: ტანადი იყო, მუქწითელი ჩოხა ეცვა და ეგეთი წვერულვაში ქონდა, — ქრისტე როა დახატული ხატათა!

თავისებური „მეტაფორებით“ აუწერა ნამწყემსარმა მსმენელებს ვაჟას პორტრეტი და ჩემს წარმოდგენაშიც ბაღღური ქვეშეცნობით დაიხატა კაცი, რომელსაც ქრისტეს ხატთანაც

\*\* მიდეგა — თანება, ჯოტტი.

\*\*\* ოგური — ნათესავი, ახლობელი. ოგურში არ ჩავარდა — არ მოშინა-ურდა, ჰქუას არ მოეგო.



ჰქონდა საერთო, არწივთანაც და აი, იმ გულის სიღრმეში  
ჩამწვდენ სიმღერასთანაც, ღონგურის გაპოხილ სიმებზე რომ  
თრთოდა იმ ცეცხლის პირას.

და ახლა, როცა იმ პასტორალურ იდილიასთანაც და ვაჟას  
პირად ნაცნობობასთანაც წლების გრძელი გრეხილი მაშორებს,  
მაინც არ შემიძლია ვაჟა-ფშაველას გახსენება ისე, რომ ის  
სალამო მეხსიერებაში არ გადაიშალოს, როგორც ულამაზესი  
წიგნის ფურცელი.

• • •

დრო წავიდა. მან ხარკად წაიღო სიყმაწვილე. ცხოვრებამ  
მკაცრი საგზური მოგვცა და თავის აღმართს შეგვიყენა.

ვახუტ „დროების“ რედაქციაში ვაჟა ხშირად მოდიოდა.  
ვაჟა-ფშაველა გამუდმებით ამ ვახუტში ბეჭდავდა ლექსებს.  
დროდადრო ჩამოვიდოდა ჩარგლიდან, მასალებს ჩამოიტანდა,  
მეგობრებს მოინახულებდა და, აქ გატარებული დღეებით „გულ-  
განედლებული“ კვლავ მთას მიაშურებდა, რომ ბუნების სილა-  
ლეში ჩაძირულიყო.

„დროების“ რედაქციაში ვნახე ის პირველად. ეს იყო 1910  
წლის ზამთარში: დინჯად შემოვიდა შუახნის, მაღალი, ოდნავ  
ტანხმული კაცი. მას გაცრეცილი მუქი შინდისფერი ზედაწოხა  
ეცვა და მხრებზე „აქლემის ყელის“ ბაცი ყაბალახი ჰქონდა  
გადავადებული. ხელში ეჭირა ჩოხასავით გაცრეცილი კრავე-  
ლის ქუდი, წვერმოპარსულს, კოხტად გადავარცხნილი, ვერ-  
ცხლშერეული თმა სათნოების შარაუანდელივით დაჰფენოდა  
შუბლზე და ნაქანდაკარი ცხვირი მკვეთრ გამომეტყველებას  
აძლეოდა მის ოდნავ მოგრძო სახეს. ვაჟას ცალი თვალის ქუ-  
თუთო ჩამოხეული ჰქონდა, შეწყლულვებულ-შეწითლებული და  
ამას დისონანსი შეჰქონდა მისი ანტიკური სახის ნაკვთებში.

— შეიძლება? — იკითხა მან მორიდებულად.

რედაქციის მუშაკებმა გაბედული ეპითეტებით შემკული  
გულთბილი შემახილები შეაგებეს:

— ო, ვეფხვო! ჩვენო ვეფხვო, მობრძანდით!

— ჩამოფრენილხარ, ფშავის არწივო? გამარჯობა!

— სალამი, სალამი ჩვენს მემთურსა!

და გაიმართა სალამ-ქალამი, ხელის ჩამორთმევა, სკამების

ხმაური, მოკითხვა-გამოკითხვა. მე მეხსიერებაში ვკრებდი ნახულ-გაგონილს, მაგრამ დიდად არც დავუინტერესებოვარ იმ მუქ შინდისფერჩოხიან კაცს, რადგან აზრადაც არ მომსკლავა, რომ ის ვაჟა-ფშაველა იყო. იგი თითქმის არაფრით ჰგავდა იმ სურათს, რომლითაც ვაჟას ვიცნობდი: არც პერიკლესურის<sup>\*</sup> წვერი, არც დაკალმული თვალები, არც ყაწიმებიანი მკერდი! — არა, ვაჟა არ ჰგავდა იმ სურათს, ალექსანდრე ყაზბეგთან, ან შიო მღვიმელთან და დიმიტრი მაჩხანელთან რომ ჰქონდა გადაღებული.

შეხვედრის ცერემონიალის შემდეგ რედაქციის მუშაკები საკმეს დაუბრუნდნენ. ჩოხოსანი ვეფხვი ფრანგულ ჟურნალს „ილუსტრასიონს“ ფურცლავდა და, ეტყობოდა, ჩათვლით კითხულობდა სურათებქვეშ წარწერებს. შემდეგ უცაბედი გაკვირვებით დაარღვია პაუზა:

— ჰა, ბლერიო კიდეც გაფრენილათ? აბა, შაქრო, ერთი ეს შენებურად ჩამიბუღებულე! — მიმართა მან იმ დროს კარგად ცნობილ მთარგმნელს, უცხო ენების მცოდნე ჟურნალისტს შაქრო ბილანიშვილს.

ფრანგი კონსტრუქტორი ბლერიო მაშინ აუმაჯობესებდა საფრენ მანქანას. ცდებს ატარებდა და სენსაციის მოყვარული უცხოეთის პრესაც ყოველმხრივ აღწერდა მის წარმატებებს. შაქრომ გადაუთარგმნა, მგონი ლამანშზე გადაფრენას ეხებოდა საკმე.

— ბარაკალა, ბიჭო! მაშ ფრთები მოდიან. ლეონარდო დავინჩი იმახდა — ფრთები იქნებიანო, მითოლოგიური იკაროსი და ლედალოსიც იკეთებდნენ ფრთებსა, მაგრამ ეს მითოლოგია აღარ არი, ფრთები მოდიან! ჰაი თუ გადაუფრენენ ჩვენს მთებსა, მაშინ მშვიდობით, ჩემო არწივებო!

— რატომ მაინცდამაინც არწივებო? — ღიმილით შეეკითხა კიტა აბაშიძე, რომელიც აგრეთვე რედაქციაში სტუმრად ჩამოსულიყო ქუთაისიდან.

— ისე, მებრალვიან, სილაღეში შემცილე რო უჩნდებათ!

— მაშ, ძირს ტექნიკა?

\* პერიკლე — ანტიკური ათენის გამოჩენილი სტრატეგი (ძვ. წ. 490—429 წ.წ.).

— არა, რაღა ძირს! პირიქით, ახლა ტექნიკაშია საქმე წინათ ხმალი და ხარი იყო, ახლა ტექნიკის დრო მოდის!

— ეგ ხომ არწივების აზრი არ არის?

— რა ვუყოთ, არწივების აზრს გული გამოსთქვამს, ეს კი გონების აზრია...

ასე, დაახლოებით ამ კილოზე წარიმართა პირველი ვიზიტის მუსაიფი.

შემდეგ დღეებში მუქჩოხიანი სტუმარი რამდენჯერმე მოვიდა რედაქციაში. მის შემოსვლას მსჯელობა მოსდევდა, უფრო ლიტერატურის გარშემო.

1910 წლის პირველი მაისის წინაღამეს ჟანდარმებმა დაარბიეს „დროების“ რედაქცია. დააპატიმრეს მისი რედაქტორი ილია ავლაძე და გაზეთის სხვა ხელმძღვანელები. „დროება“ შესცვალა „სახალხო გაზეთმა“, რომლის უახლოეს თანამშრომლად მიიწვიეს ეეროპიდან ახლად დაბრუნებული ახალგაზრდა კრიტიკოსი და შესანიშნავი პუბლიცისტი გერონტი ქიქოძე. „დროების“ თანამშრომლებისაგან მხოლოდ ისინი გადაარჩნენ, ვინც დამალვა მოასწრო, ზოგი მათგანი გადასახლებაიდან გამოიპარა და სხვისი პასპორტით ცხოვრობდა. ეს, როგორც ჩანს, იცოდა ჟანდარმერიამ და რედაქციის გარშემო ვანქის ქუჩის კუთხეებში განუწყვეტლივ იდგნენ ჯაშუშები.

ასეთ ალყაშემორტყმულ პირობებში დაიწყო ახალი გაზეთის გამოსვლა. „სახალხო გაზეთის“ პირველ ნომერშივე გამოქვეყნდა დიდი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა და ფული მხოლოდ ჩემს სახელზე გამოვზავნილიყო. ჩემი მისამართი, სახელი და გვარი მსხვილი შრიფტით იყო გაჭრელებული ქართულ-რუსულად. მაშინ უკვე „ხალხში გამოსული“, სამსახურში დაწინაურებული ჭაბუკი გახლდით და ლექსებსაც განუწყვეტლივ მიბეჭდავდნენ. ზემოაღნიშნული განცხადება რამდენიმე ხნის მანძილზე ყოველ ნომერში იბეჭდებოდა და ისეთი რედაქციით იყო შედგენილი, რომ ზოგიერთს შეუქმნა შთაბეჭდილება, თითქოს მე რედაქტორი ან მისი შემცვლელი ვიყავი, ასეთი ადრესით ვღებულობდი ფულსა თუ მომართვებსა და წერილებს.

ერთ დღეს გადმომცეს შერუჯული კონვერტი. ზედ გაკრული ხელით ჩემი გვარი ეწერა. გავხსენ, წავიკითხე, სიხარულ-



ლით და მღელვარებით დაკეცე ის, მაგრამ კვლავ გაუხსენ და რამდენჯერმე გადავიკითხე:

ეს ვაჟას პირადი წერილი იყო ჩემთან. მწერდა:

„მართალია, პირადად ერთმანეთი არ გვიანახავს, მაგრამ შორიდან, ცხა-  
და, ვიცნობთ ერთმანეთსა. ერთი სათხოვარი მაქვს თქვენთან: ფასანაურულ  
მღვდელს — კოტე კაკასიძეს ჩემი ნაჩხაპნები გამოვატანე და ხიტყვად და-  
ვაბარე თქვენთან. წიგნი მომწერა — ჩაებაბარე რედაქციასო. ის კი აღარ მა-  
ცოდინა, რა პირობებითა? ან როდის დაისტამბება და თქვენ როგორ მოიქ-  
ცევით ფულის საქმეში? ამასთანავე წერილს ვწერ ჩემს ძმას სანდრო რაზი-  
კაშვილს, რომელიც მთავარს ფოშტაში მსახურობს, — ის მოვა და, გთხოვთ  
დანამდვილებით პასუხი შემომითვალოთ.

იმასაც ძალიანა გთხოვთ თუ დასტამბოთ ჩემი ეგ ნაჩხაპნი, უფრო კი  
ლექსი — კორექტურას წურადლება მიაქციეთ, რადგან ჩემი ლექსების ბედი  
ისეთია, რაც კი უჩემოდ დაიბეჭდა, ყველაში საწყენი კორექტურული შეც-  
დომა შეიპარა. გთხოვთ გაისარჯოთ და თქვენ მიაქციოთ წურადლება.

თქვნი კეთილდისმოსურნე ვაჟა-ფშაველა“.

რალა თქმა უნდა, უსახლერო იყო ჩემი სიხარულიც და სი-  
ამაყვეც. საჩქაროდ გავიგე, რაც მას აინტერესებდა და მოკრძა-  
ლებული წერილი გავუგზავნე. მის ძმას, სანდრო რაზიკაშვილს,  
რომელსაც შემდეგ თითქმის ყოველდღე ვხვდებოდი, ვეკითხე-  
ბოდი ვაჟას ამბავს, სალაშს ვუთვლიდი და ამას ბუნებრივად  
მოჰყვა ვაჟასთან ერთგვარი შორეული ურთიერთობის დამყა-  
რებაც.

ამ ზეპირგაცნობის შემდეგ კარგა ხანი გავიდა.

ერთ დღეს კვლავ შემოაღო რედაქციის კარები იმ ჩოხაგაც-  
რეცილმა კაცმა. მთელი ამაღა შემოჰყვა თან: იმდროინდელი  
გაზეთების ერთადერთი პროფესიონალი ქართველი რეპორტი-  
ორი ნაპოლეონ (დავით) პავლიაშვილი, პოეტი შიო მღვიმე-  
ლი, კომპოზიტორი ნიკო სულხანიშვილი, მასწავლებელი  
ივ. ბუჭურაული და მღვდელი კოტე კაკასიძე.

ბინდებოდა, მუშაობა დამთავრებული იყო და სამსახურის  
ხასიათის გამო მხოლოდ მე დავუხვდი მათ ადგილზე. ყველანი  
მხიარულად იყვნენ, როგორც იტყვიან — ნაბახუსეე გუნებაზე.

— აი, ვაჟავ, ეს არის ის ყმაწვილი! — ჩემზე მიუთითა სა-  
ხეაწითლებულმა, ყველაზე მეტად შეღვინებულმა ნაპოლეონმა  
და მომიბრუნდა:

სიხარულით, მღელვარე მორიდებით მივესალმე. ვაჟამ ხა-

ოიანი ხელი გამომიწოდა და ისე ენერგიულად ჩამომართვა, რომ მარჯვენა მკლავის კუნთებში ტკივილი ვიგრძენი.

— გამარჯობა შენი, კაცო! შენ ხომ გიცნობდი, მაგრამ სწორე გითხრა, არ მეგონა, თუ შენ ის კაცი იყავ, „სახალხო“ რომ გაცხადებს. სუფრაზე ლაპარაკი გვქონდა, სასიამოვნოა, ახალგაზრდა კაცი ყოფილხარ, თითქმის ბაღლი, მე კი ხანშესულად მყავდი წარმოდგენილი. შენი ძალიან მადლობელი ვარ, პასუხიც ვერ მოგწერე...

მე სიტყვებს ვერ ვპოულობდი და ხშირად უადგილო „ღიახს“ ვიმეორებდი. სიყმაწვილეში არის სათუთი და უწრფე-ლესი გულის სიწმინდე, რომლითაც ადამიანებთან თუ საგნებთან ადვილად ამყარებ კავშირს და ეს მთელს სიცოცხლეში შეუცვლელი და შეუბღალავი რჩება. ეს შეხვედრა ვაჟა-ფშაველასთან სწორედ ასეთი დამოკიდებულების ბედნიერი დასაწყისი იყო ჩემთვის, შეიძლება ლაპარაკის თემა იყო მიზეზი, რომ პირველივე გამოლაპარაკება ისე უბრალოდ დაიწყო, თითქოს ასაკით ტოლნი ვყოფილიყავით. ის მესაუბრებოდა ჩემთვის მი-საჩვედომ საკითხებზე სადად, გულლიად და ცნობისმოყვარედ. გამოკითხვამ ჩემს პატარა ბიოგრაფიასთანაც მიმიყვანა. ვუამბე მწვემსის მონათხრობი. ზოგი რამ ენიშნა და ნასიამოვნებაც დარჩა. აღსანიშნავი კიდევ ის იყო, რომ ვაჟას შემოვლილი ჰქონდა ის ადგილები, სადაურ ამბავსაც მე ვუყვებოდი: ჩემი სოფელიც, ალაზნისპირიც, შირაქიცა და ალტაცებით იგონებ-და იქაურობას.

დრომ განამტკიცა ჩვენი ახლო ნაცნობობა. ის თმაშეთრი-ვილულ, მწვერვალს აღმავალი, მე ასაკითაც და შემოქმედე-ბითაც მცირეწლოვანი, მახლობელნი გაეხდით. ეს, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ვაჟას გულწრფელობის, უანგარო-ბისა და უბრალოების შედეგი იყო.

\* \* \*

რეაქციის წლების ლიტერატურაში დაცემულობის ტონი ძლიერდებოდა. ახალგაზრდა მოლექსეთა უმრავლესობა წუწუ-ნებდა და, როგორც ვაჟა ამბობდა, „ცრემლებით სველ“ ლექ-სებსა წერდა. მარტო ახალგაზრდები როდი წერდნენ ასე, ირო-დიონ ევლოშვილის პატრიოტული ლექსებით, რომლებსაც პო-

ეტი აგზავნიდა ჯერ მეტეხის ციხიდან, ხოლო შემდეგ ციხი-  
რიდან, მწუხარედ ეღერდნენ ჩვენს პოეზიაში. ასეთ პესიმი-  
სტურ განწყობილებას ვაჟა გულისტკივილამდე განიცდიდა.  
სიტყვა მოიტანდა, თუ საქმე, მუდამ იმის დამტკიცებას ცდი-  
ლობდა, რომ სასოწარკვეთილება, უიმედობა არ მართებს ჩვენს  
მწერლობას, ნამეტანაუად კი ახალგაზრდობას, რომ ეს უილა-  
ჯობისა და ჩვენი დიდი წარსულის უცოდინარობის შედეგია.

— განა უფრო შავბნელი ტანჯვა და ნგრევა არ განუცდია  
ჩვენს ქვეყანას უფრო მძვინვარე მტრების ზელში? მაგრამ იგი  
ამდგარა და კვლავ წელში გამართულაო, — ჩავგჩინებდა  
ახალგაზრდებს. ბევრჯერ დაუუტუქსივარ სევდიანი ლექსის და-  
წერისათვის. იგი ჰკიცხავდა ყველას, ვინც ასე უიმედოდ გან-  
წყობილი იყო და განსაკუთრებით აფასებდა იმედითა და სი-  
ცოცხლის ხალისით აღსავსე ლექსების ახალგაზრდა ავტო-  
რებს. ახალგაზრდობისადმი ყურადღებისა და ვაჟას გულისხ-  
მიერი აღლოს შედეგი იყო ისიც, რომ მან გულთბილი ლექსი  
უძღვნა ჯერ კიდევ ასპარეზზე გამოუსვლელ გიორგი ლეონი-  
ძეს, რაც ერთგვარი განჭვრეტა იყო მომავალი პოეტის ნიჭიე-  
რებისა.

მას დიდ ნაკლად მიაჩნდა, რომ ჩვენს პროზაში ინტელი-  
გენციის სულსკვეთება არ იყო ასახული, ვარაუდს გამოსთქ-  
ვამდა, თუ რომელ ბელეტრისტს შეეძლო ამ მიმართულებით სა-  
სარგებლო რამ გაეკეთებინა, უფრო კი თვალი ახალგაზრდები-  
საკენ ეჭირა. როცა იმ ხანებში დიმიტრი ყიფიანის ცხოვრე-  
ბისა და მოღვაწეობის შესახებ არჩილ ჯორჯაძის ვრცელი მო-  
ნოგრაფია გამოქვეყნდა, ვაჟა კმაყოფილი ამბობდა:

— აი, რა მშვენიერია! განა არ შეუძლიათ ჩვენ ბელეტ-  
რისტებს ასევე, სინამდვილიდან ამოღებული მოქმედი ადამი-  
ანების ტიპები გამოიყენონ და დაგვიხატონ ჩვენი ახლანდელი  
ცხოვრება? — განა იღია თემა არ არის, განა ივანე მაჩაბელი,  
ევდოსიელი თემა არ არის? — განა რევოლუციამ ახალი ადამი-  
ანები არ დაგვანახვა? ახალი ტიპი აკლია ჩვენს პროზას, აქეთ  
უნდა მიიხედოს ჩვენმა ახალგაზრდობამ.

იგი გულწრფელი სიხარულით ხედებოდა ახალი ძალების  
დამკვიდრებას ჩვენს ლიტერატურაში. განსაკუთრებით უყვარ-  
და გერონტი ქიქოძის კრიტიკული წერილების კითხვა და

თუმცა დიდი მოთაყვანე იყო ვასილ ბარნოვისა, ჩვენს პრო-  
ფაში ახალ ნაკადად თვლიდა ლეო ქიაჩელსა და ნიკო ლორთ-  
ქიფანიძის მოთხრობებს.

ვაჟასთვის, მგონი, ყველაზე გულთან მისატან სალაპარაკო  
თემას ეს საკითხები შეადგენდა, როცა მეგობარ მწერლების  
წრეში მსჯელობდა. ასეთ საკითხებზე უყვარდა ვაჟას საუბარი  
მახლობელთა ოჯახებშიც. მაგალითად, თედო რაზიკაშვილის  
ოჯახში, სადაც ვაჟასთან ერთად რამდენიმეჯერ მოვხვედრილ-  
ვარ გორსა და ხელთუბანში, ყოველთვის გაცხოველებული მსჯე-  
ლობა იმართებოდა ლიტერატურულ თემებზე. ერთი შეხედვით,  
თითქოს „უბრალო“ ეს ხალხი ლაპარაკში ხშირად გამოურევდა  
ენ-ჟაკ რუსოს, ლესინგის, ტოლსტოის, პუშკინის, ვორკის,  
ბელინსკის, გოეთეს და სხვათა სახელებს: მათი ციტატებით  
ასაბუთებდა წამოყენებულ დებულებებს, აკრიტიკებდა თუ  
ეთანხმებოდა მათ.

ერთხელ, თედოს ოჯახში, სადაც სამი ძმა რაზიკაშვილი  
(ვაჟა, თედო, ხანდრო) და მათი მახლობელი უსხდნენ სუფ-  
რას, ბაჩანა აღდევრძელეს. ცნობილია, რომ ძმებს რაზიკაშვი-  
ლებს დიდად უყვარდათ ერთმანეთი, აფასებდნენ და ერთურ-  
თის ხათრი და თავაზი ჰქონდათ. ამ მხრივ ცოტათი გამოირ-  
ჩეოდა ბაჩანა, — იგი გულფიცხი იყო და ერთგვარად ბუზღუნა  
ხასიათისაღ. დაახასიათეს იგი, „მიუტყვევს შეცოდებანი“ და  
დღევრძელობა უსურვეს.

— ეგ აგრე იყოს, ფშაველებო, — თქვა ვაჟამ, — „მიუტყვევოს  
მას ნებსითნი და უნებლიეთნი“, მაგრამ იმ საბაბს მამლისა არ  
იყოს, ერთ ცოდვას ვერ შეეუნდობთ: ძალიან წუწუნა გაგვიხდა  
ლექსებში. ეგ დალოცვილი, წელიწადში ერთ ლექსს დაწერს  
და მაშინაც საქართველოს ბედ-იღბალი დასამარებულად მი-  
აჩნია. ეგრე არ იქნების, ფშაველებო! ამაზე პასუხი უნდა აგოს  
რაზიკაანთ სინკლიტთან!\*

„რაზიკაანთ სინკლიტი“ ეს თვით ვაჟა იყო. მისი ეს საყვე-  
დური შეეხებოდა ბაჩანას ლექსს: „მთამ თქვა“, რომელიც და-  
იბეჭდა ჟურნალ „ერში“ და რომელშიც სიმბოლურად გამოხა-  
ტული იყო უნუგეშობა საქართველოს მომავლისადმი. ეს ლექ-

\* სინკლიტი — კრება, თავყრილობა (ბერძენი.)

სი იყო, რომელსაც შემდეგში მშვენიერი ლექსითვე გამოეცა-  
მათა ვაჟა-ფშაველა:

„მთამ ვე არა თქვა, ბანანავ,  
როგორაც შენა გგონია:  
მასი ნათქვამი, ნაგრძნობა —  
მე სულ სხვა გამოეონია“ და სხვ.

თუ დაუუკვირდებით ვაჟას იმ პერიოდის მოღვაწეობას, ნი-  
შანდობლივად ადასტურებს მის ოპტიმისტურ თვალსაზრისს,  
როგორც ზემოხსენებული ლექსი, ისე „ფშაველი ჯარისკაცის  
წერილი დედას“, „პასუხი აკაკის“, „იმერეთს“ და სხვ.\*\*

ამ „სინკლიტის“ განაჩენმა ერთი კარგი საქმე გააკეთებინა  
კომპოზიტორ ნიკო სულხანიშვილს. ეს იყო 1912 წლის შე-  
მოღვრომაზე. ვაჟა ფოთში მიიწვიეს საღამოზე. დიდად პატივ-  
ნაცემი და კმაყოფილი დაბრუნდა იქიდან. ამ დღისათვის ფა-  
სანაურიდან ჩამოვიდა ზემოხსენებული კოტე კავკასიძე. არაგვ-  
ში დაჭერილი ახალი კალმახი ჩამოიტანა და ამ საბაბით რეს-  
ტორან „ანავაში“ ვაჟას შეხვედრა მოეწყო.

ამ შეხვედრას ესწრებოდნენ ვაჟას კომპანიის „მუდამ თა-  
ნამავალი“ — ნაპოლეონ პავლიაშვილი, ვანო ბუქურაული, შიო  
მღვიმელი, ნიკო სულხანიშვილი, რომან ბებიაშვილი, ნიკო  
კურდღელაშვილი და სხვები. კაი ღზინი გაიმართა. ანავის  
ღვინომ გუნება ასწია და გაცხოველებული მუსაიფი შიგადაშიგ  
სიმღერით შეაზავა. ჩვენს შორის იყო საერთო ნაცნობი ვინმე  
შავტრიფონა. კაცი ოდესღაც ნასტუდენტარი, კარგად განვითა-  
რებული, პოეზიით გატაცებული, შემდეგ უიღბლო სიყვარუ-  
ლით ქეიფს გადაყოლილი, ტკბილი ხმის პატრონი და თარზე  
დამკვრელი. იგი უკრავდა თარს და ხედიანად მღეროდა ბაია-  
თებს.

სიცოცხლე ვა-ა-ლა-ად არა ღირს!

ქვეყანა ჩა-ალა-ად არა ღირს!

სიმღერა მოსწონდათ, კომენტარებს უკეთებდნენ, შავტრი-  
ფონას აქეზებდნენ:

\*\* აქ ლექსების სათაურები არაა ზუსტად მოტანილი. უნდა იყოს: „ფშა-  
ველი ჯარისკაცის წერილი“ და „დაკვიანებული პასუხი აკაკის“.





— ყოჩაღ, ტრიშკა, ყოჩაღ! ასწი ჰანგებსა!

ვაჟა ღუშმა, მამასადაძე, არ სიამოვნებდა.

წაქეზებული ტრიშკაც, ეშხში შედიოდა და „ჰხარჯავდა თავის ჰუნარებსა“. მას ჩემი ორი ლექსი ჰქონდა რეპერტუარში: ერთი „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი: „ყურს ნუ დაუვდებ ჩემსა სიმღერას“ და ერთიც დაუბეჭდავი: „მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე!“, რომელიც, მგონი, 1911 წელს ცენტურის შიშით „სახალხოს“ მაშინდელმა რედაქტორმა არ გაუშვა დასაბეჭდად. იგი ერთხელ შავტრიფონას გადავეცი და ისიც ბაიათების კილოზე ამ ლექსებს ჩვენს კომპანიაში მღეროდა ხოლმე.

ახლაც შემოსძახა პირველ ლექსზე აწყობილი ბაიათი:

„ყურს ნუ დაუვდებ ჩემსა სიმღერას,  
თორემ ავიშლის გულის იარებს!..“

— ეს ამისი ლექსია, — განუმარტა ვაჟას რომან ბებიაშვილმა და ჩემზე მიუთითა.

— ჩემი ლექსია! — თავმოძწონედ დავუკარი კვერი ვაჟას შექებას მომლოდინემ.

— ჩემგან ნუ გეწყინება, მაგრამ ძალიან დაგიშავებია: ახალგაზრდა ხარ, სიმღერით ვარსკვლავებს უნდა ეთამაშებოდე, შენ კი წუნუნებ და „გულის იარებს“ გვიშლი? ხალისი, ხალისი არა გაქვთ ახალგაზრდებს!

ეს მკვახე საყვედური ბოლოს მაინც შეატკბო, რომ დატუქსვა არ გამოსულიყო. ჩემს მაგიერ სხვები შეეკამათნენ, შიო მღვიმელმა მისივე ციტატები მოუყვანა, შემდეგ კამათი სადღევრძელომ შეცვალა და როცა საქმე კვლავ სიმღერაზე მიდგა, შავტრიფონამ ეშხიანად დაიწყო:

„მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე,  
იყუი ჩემთან შენ განუყრელი, —  
ხანამ საკუთარ თვალთ არ ენახოთ  
თავისუფლება — ჩაგრულთა მხსნელი!“

ვაჟას ნელ-ნელა შუბლი გაეხსნა და მაგიდის მეორე კუთხეში მჯდომ ნიკო სულხანიშვილს გადასძახა:

— კიკუშ! გესმის, რა ჰანგებია?

კიკუშამ ყური ცქვიტა. ტრიშკამ რომ შეატყო, ბაიათი მოწონებულაო, კვლავ თავიდან დაიწყო.

მე ფრთები შემესხა.

— ეხეც ჩემი ლექსია, — ჩაილაპარაკე ვაჟას გასაზრნად.

— მაგისია, — დაადასტურა შავტრიფონამ.

— აი, ეგ სხვა ჭაშნიკისაა, მაგაზე ყოჩად! ჩვენ ხალისი გვინდა, ხალისი. ჩვენს ხალხს, ჩვენს ქვეყანას სიცოცხლე უნდა შევავართო, მომავლის იმედი უნდა ჩაუუნერგოთ — „მამ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლე!“ — ბარაქალა, ბიჭო! — კიკუშ, ეს საშენოა, ნამდვილად საშენოა!

ნიჭიერმა კომპოზიტორმა აღტაცებით უპასუხა:

— სწორედ სათქმელი წამართვი: მეც ეგ აზრი დამებადა. მაგ სიტყვებზე უნდა დაიწეროს სიცოცხლისადმი მისაღმება, მევალოს შენგან!

— გევალოს!

ამ სიტყვებს ავტორისა და შემსრულებლის სადღეგრძელო მოჰყვა, ხოლო მომავალ ავტორს გულწრფელი წარმატება უსურვეს.

ეს ჩემთვის მით უფრო დიდი ჯილდო იყო, რომ იმ დღის შემდეგ ვაჟა-ფშაველა ხშირად მოითხოვდა ხოლმე: „მამ გამარჯვებას“ სიმღერას.

ნიკო სულხანიშვილმა შემდეგში ნამდვილად „გადაუხადა ვალი“ ვაჟას: მან დაწერა მუსიკალური შედევრი, კლასიკური საგუნდო სიმღერა „მამ გამარჯვება“, რომლის შესრულებაც ყოველთვის აღტაცებას იწვევდა.

ასე შთააგონა ვაჟამ ნიჭიერ ქართველ კომპოზიტორს ოპტიმისტური საგალობლის შექმნა სიცოცხლისადმი. ასე იყო ყველა მახლობელთან, ყველასგან მოითხოვდა მაღალი მიზნისათვის კეთილშობილ სამსახურს სიტყვითაც და საქმითაც.

\* \* \*

ჩარგლიდან, როგორც თვითონ უყვარდა თქმა, „დამბეგით“ ჩამოდიოდა ხოლმე, ამაყად, მხარგამშლილად გაივლიდა — შემართებული და პირუთვნელი. მუდამ მიმზიდველი იყო თავისი ხასიათით. მას შესანიშნავად ესმოდა საკუთარი ნიჭის ძალა, მაგრამ არასოდეს ყოფილხურად არ გამოუხატავს ეს თვალსაზრისი. ეს ის წლები იყო, როცა კრიტიკა ვაჟასკენ შემობრუნდა, როცა ჩვენმა საზოგადოებამ გაიზიარა დიდი ილიას ღებუ-

ლება — ვაჟას მაღალი ტალანტის შესახებ, როცა დაიწყო მისი ხოტბა, მასზე ლექციების კითხვა, მისი მიწვევა საღამოებზე ტალღასავით დაიმტკნა ვაჟას სახელი.

მაღალბუნებოვანი ადამიანის სიღინჯე ჩანდა ამ მოვლენისადმი ვაჟას დამოკიდებულებაშიც. არავითარი გაამპარტავება, არავითარი ნიშნის მიგება საზოგადოებისათვის! როცა ამ თემაზე ჩამოუვდებდნენ სიტყვას, ის დინჯად მიუგებდა:

— მე ეს იმდენად მაზარებს, რამდენადაც მწერლის დაფასება და სიყვარული ხალხის კულტუროსნობას ამჟღავნებს, თორემ ჩემი მაზანდა თვითონაც ვიცოდით!

მაგრამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინა ვაჟა-ფშაველასე ქუთაისში მიწვევამ.

ეს ფაქტი უთუოდ შესანიშნავი შტრიხია მის ბიოგრაფიაში. საწუხაროდ, დღემდე გამოქვეყნებულ იმ მოვლენებებსა თუ რეცენზიებში, რაც ვაჟას 1910—1913 წლების ქუთაისში სტუმრობას ეხება, უფრო გარეგნული მხარეა დანახული, ხოლო ამ ბუმბერაზი მწერლის სულიერი მდგომარეობის ანალიზი არავის მოუცია. ამაზე ღირდა შეჩერება.

„ივერიის“ პერიოდიდან მოკიდებული 1910 წლამდე ვაჟას შემოქმედებას თითქოს საკმაოდ არ აფასებდნენ. ცნობილია ანეკდოტური ხასიათის პროტესტები, ქუთაისიდან რომ უგზავნიდნენ ილიას (ვამბოზ ზოგიერთ ხელისმომწერზე): ვაჟა-ფშაველას ბეჭდვას თუ არ უკლებ, „ივერიას“ აღარ გამოვიწერთო. მოტივად მოყავდათ ვაჟას არა ერთხელ ნახსენები დიალექტი, მისი პოეზიის ვიწრო-კუთხური ტერმინებით აჭრელება. ვაჟას გული სტკიოდა, დიდად განიცდიდა ამ უგულუბელყოფას.

სრულიად ბუნებრივია, რომ ქუთაისის ინტელიგენციამ ამ მოვლენას ყურადღება მიაქცია და ვაჟა „ლიხს იქით“ ორჯერ მიიწვია. გასაგებია ვაჟას უსაზღვრო სიხარული, რაც ამ მიწვევებმა გამოიწვია.

ქუთაისში ვაჟას პირველი მიწვევა 1910 წლის ოქტომბერში მოხდა. ვაჟა მიიწვიეს იოსებ გრიშაშვილთან ერთად. ასეთი შერჩევით ქუთაისლებმა საინტერესო საღამო გაუმართეს უფროსი თაობის ბრწყინვალე პოეტს — ვაჟას სახით, ხოლო გრიშაშვილის სახით — ახალგაზრდა თაობის ნიჭიერ წარმომადგე-

ნელს. სამი წლის შემდეგ ქუთაისელებმა ვაჟა კვლავ მიიპატივეს.

ეს იყო 1913 წლის 18 თებერვალს. ამ დღეს გორში ლიტერატურული საღამო ეწყობოდა ვაჟას მონაწილეობით. სხვა მონაწილეებთან ერთად, მეც გახლდით. საღამოს დაწყების წინ გორის თეატრში მოვიდა ერთი უცნობი სტუმარი — ქუთაისის ქართული სასულიერო სემინარიის მოწაფე, ნიჭიერი პოეტი აკაკი სვანი (აკაკი მარგიანი) და ადმინისტრატორს სთხოვა — ვაჟასთან ვარ ქუთაისიდან ჩამოსული და მაჩვენეთო.

აჩვენეს. აკაკი მარგიანმა (პოეტ რ. მარგიანის მამა) ვაჟას წერილი გადასცა მოწიწებით და პირადად უთხრა:

— ქუთაისის ინტელიგენციის დაეალებით პეტრე ყიფიანმა თქვენთან წერილი გამომატანა და ვთხოვათ ჩამობრძანდეთ ქუთაისის ლიტერატურულ საღამოში მონაწილეობის მისაღებადო.

ვაჟამ წერილი გახსნა, წაიკითხა და სიხარულისაგან აღელვება დაეტყო. ვაჟასთან ახლოს ვიდექი მაშინ, ასე კმაყოფილი სახით ჯერ არ მყავდა ნანახი. ცდილობდა, მაგრამ აღელვებას ვერ მალავდა. ეს გულწრფელი, ნამდვილი სიხარული იყო. კარგა ხანს დუმდა.

— მერე როდის არი საღამო?

— ზეგ, ბატონო! ისე რომ, თუ ხვალის მატარებლით ჩამობრძანდებით, ღამე იქ დაისვენებთ და მთელი დღეც თქვენს განკარგულებაში იქნება. მე ამალამვე უნდა დავებრუნდე. თუ დასტურს მიბოძებთ, სასიხარულო ამბავს ჩავიტან.

პატარა პაუზა მოჰყვა. ცხადი იყო, ვაჟა უარის თქმას არ აპირებდა, მაგრამ რაღაცას ყოყმანობდა.

— კარგი, — უთხრა მან სტუმარს, — ოღონდ ხალხი დაგესწრებათ?

— თუ თქვენ ჩამობრძანდებით, ხალხი დაესწრება და მადლობასაც იტყვის.

— კარგი, კეთილი იყოს!

მკითხაობა იქნებოდა იმის თქმა, რომ ამ უეცარი მიპატივებით ვაჟას პოეტური აღმაფრენა ეწვია, მაგრამ, ვფიქრობ, სწორედ იმ ყოყმანისა და აღტაცების მომენტში დაებადა მას იდეა შესანიშნავი ლექსისა „იმერეთს“.

იმ საღამოზე ქუთაისში მეც დამიბარეს.

როცა სტუმარი გამოგვეთხოვა, ვაჟამ დაუფარავი ალტაცე-  
ბით მითხრა:

— მამ მიედივართ, ბაღლო, იმერეთსა? კიდევ შპატიყობეს?  
ეტყობა, გადნა ღიბზე ჩამოწოლილი ზოვი!

— ჰაი, ჰაი, რომ გადნა!

მან დაუძახა თედო და მისა რაზიკაშვილებს, თედოს უფ-  
როს ქალიშვილს გულქანს პეტრე ყიფიანის წერილი გადასცა  
და უთხრა:

— წაუკითხე, გოგოვ, ამ ფშაულებსა!

ვაჟას სიხარული მათაც გადაედოთ. იქვე გადაწყდა, რომ  
ვაჟა თავისი ძმის — თედოს ფარჩის ახალუხს ჩაიცვამდა, მისას  
ნაბადს წამოიღებდა და თედოს ქალიშვილს გულქანს თანამგ-  
ზავრად წამოიყვანდა.

ამ სიხარულის განწყობილებით გამოვიდა ვაჟა ვორის სა-  
ღამოზე და დიდის ექსტაზით წაიკითხა თავისი ლექსები.

იმავე ღამეს თედოს ახალუხი ტანის ზომაზე დაუვიწროეს,  
ყაბალაში გაუუთოეს და მეორე დღეს გორიდან ქუთაისს გა-  
ვემგზავრეთ.

როგორც თვითონ ვაგვიზიარა, დღისით ეს პირველი მოგ-  
ზაურობა იყო ვაჟასი ქუთაისისაკენ. ძალიან უხაროდა.

გვირაბის გაელის შემდეგ დიდხანს უხმოდ იჯდა ფანჯარას-  
თან და გაჰყურებდა იმერეთის დამატყვევებელ პეიზაჟებს.

— წიფა, წიფა! — შემოგვძახა მან სადგურ წიფასთან. — ამ  
სიტყვის ძირი „სიმწიფა“ არა?

— მოლითი... მოლითი. — გვამცნო მოლითთან, — ეს მოლი-  
საგან უნდა იყოს წარმომდგარი.

შემდეგ წამოწვა კუბეში და ფიქრს მიეცა. მე და გულქანი  
პირველად მივდიოდით ქუთაისს, ფანჯარაში ვიყურებოდით  
და განვაგრძობდით ვაჟას მიერ დაწყებულ ფილოლოგიურ  
კანკლედობას.

შორაპანთან ვაჟას მოეუხსუდით გვერდით. მას ოთხად მოკე-  
ცილ ქალღღზე ლექსი ჰქონდა ფანქრით დაწყებული. რამდენ-  
იმე სტრიქონი წაშლილი იყო, ხოლო ორი ტაეპი მოთავე-  
ბული.

— სწერ, ძია? მე კი მეგონა გეძინა! — უთხრა გულქანმა.

— არა, რა დამაძინებს. იცი, სად მივდივართ? იმერეთის სტუმრობაო, არ გეგონოს ხუმრობაო, — ლექსით უნდა მივესალმო. აჰა, ნახეთ! — და გამოგვიწოდა ქაღალდი. თვითონ ფანჯარასთან მივიდა და იქიდან გვიყურებდა. „შერიგება იმერეთთან“, — ასეთი იყო სათაური. იწყებოდა კი ასე:

„ერთხანად ჩემო მწვევარო,  
ლიხსიქეთურო ღელაო!  
ვაივე, შამრიგებისარ,  
მეც შენთან ხალამს ვბედავო!..“ და სხვ.

მე და გულქანი ვიყავით ამ შესანიშნავი ლექსის პირველი წამკითხველნი და ერთგვარად კრიტიკოსებიც. სიტყვა: „ჩემო მწვევარო“ მე მენოთირა. იმხანებში ერთი ლექსი დაუბუკდევ, შიგ სიტყვა „წყევლა“ მქონდა ნახმარი. ამხანაგებმა მისაყვედურეს: ეს ესთეტიკურად საშინელი სიტყვააო. ამ ასოციაციით ვაჭას „მწვევაროც“ თვალში მეცა და ეს გულქანს ვაუზაარე.

— ძია ვაჭა! — მიმართა გულქანმა, — აი, სვიმონი ამბობს და მეც ვეთანხმები, „მწვევარო“ არ უხდება.

ვაჭა ჩაფიქრებით შემოგვაჩერდა.

— მართალია! სწორ ვითქომს, ყოჩაღ, ბიჭო! „მწვევაროს“ ექსორია უნდა ვუყოთ. კიდევ?

— სხვაფრივ შესანიშნავია, მხოლოდ ჩვენ ხელს გიშლით დამთავრებაში.

— არა, ჩემო ბახლებო, არა! — მაგას მე ამაღამ ქუშტარას\* ვაკერავ, აქ მზადა მაქვს!

და ღიმილით თავზე ხელი დაირტყა.

შემდეგ ლექსი ჯიბეში ჩაიღო და ისევ წამოწვა. მისი შთაგონების პროცესი გვაცილებდა ქუთაისამდე.

სალამოს ქუთაისის სადგურზე ვაჭას ბლომად შეხვდნენ მასპინძლები. ბევრმა ის სახლში მიიწვია, მაგრამ ვაჭამ გადაჭრით უარი უთხრა და თბილისის ქუჩაზე, სასტუმრო „ივერიისაკენ“ გაწვიეთ. ვახშმისა და მუსაიფის შემდეგ ვაჭა მაგვიდას მიუჯდა. მეორე დღით ოთახის კარიდან გამოშპაზა:

— მოდი, მოდი იმერეთის ჭაშნიკი ვნახოთ!

ეს იმ დაწყებული ლექსის შესახებ იყო ლაპარაკი. წაგვი-

\* ქუშტარა — გრძელი შალაშინი.

კითხა მე და გულქანს უკვე დახვეწილი და დამთავრებული ლექსი. შეცვლილი იყო სათაურიც, ამოღებული იყო სიტყვებიც: „მწყვევაროს“ მაგიერ „მძრაბაო“ ეწერა, „გაუიგე შამრიგე-ბიხარს“ მაგიერ — „გზედავ, რომ შამრიგე-ბიხარს“; ერთის სიტყვით, ლექსი გამართული იყო ისე, როგორც დღეს ვიცნობთ მის შედევრს — „იმერეთს“.

— აბა, კრიტიკოსებო! თუ მოგწონთ, მაშ მისუფლიორეთ, ზეპირად უნდა ვისწავლო.

და იმ დღის ნახევარი „იმერეთის“ დახეპირებას მოანდომა.

გამართა საღამო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო ვაჟას პირველი ტრიუმფი სცენაზე. ყოველთვის მგრძნობიერმა, ყოველთვის გულლია და ალტაცებულმა მასპინძელმა — ქუთაისმა თითქოს ერთ დღეს, ერთჯერად მოიწადინა აენახლაურებინა ის უნებური წყენა, რაც მის ძვირფას სტუმარს „ლიხსიქითური“ დედის დუმილით მიეღო. მე მგონია, რომ ეს ასეც მოხდა: უსაზღვრო ალტაცებითა და გულის სითბოთი შეხვდა ქუთაისის მოწინავე საზოგადოება ვაჟას. დაუსრულებელი ტაშითა და ყვავილებით შეეგება სცენაზე მის გამოჩენას. სულგანაბული ისმენდა დარბაზი მის საოცარ ლექსებს და მოხიბლული იყო მისი დეკლამაციით.

მართლაც, მეტად თავისებური იყო ვაჟა-ფშაველას დეკლამაცია: შთამაგონებული სიდინჯითა და მოკრძალებული სიამაფით გამოდიოდა სცენაზე, ოდნავ შუბლშეკრული; თვალბმომწყურული. დარბაზში ერთ წერტილს ამოიღებდა ხანიშნოდ, — თითქოს ვინმე მოპირდაპირე ჰყავს და მას ელაპარაკებაო. ტანით უმოძრაო, ნათქვამ სიტყვებს ძალას აძლევდა მხოლოდ მარჯვენა ხელის საჩვენებელი თითის დირიჟორული ფესტიკულაციით, მისი ლითონნარევი ხმა და უბრალოება ბოჭკავდა მსმენელს და საერთო მოწონებას იწვევდა.

ეს თვისება განსაკუთრებული სიმძლიერით გამოამჟღავნა იმ საღამოს და ისედაც კეთილად განწყობილი საზოგადოება ალტაცებაში მოიყვანა. პირველად „იმერეთი“ წაიკითხა და ტაშის ქუხილში რამდენჯერმე გაამეორებინეს. საღამოს სამივე განყოფილებაში გამოიყვანეს, მრავლი ლექსი წააკითხეს, მრავ-

ვალი ლექსი უძღვნეს და სიტყვებით მიმართეს. ერთის სიტყვით, დიახაც რომ პოეტური „შარიგება“ გაუმართეს. საღამოს შემდეგ ბანკეტი რესტორან „მედვედში“, მეორე დღეს ქართულ გიმნაზიაში შეხვედრა მოწაფეებთან, შემდეგ სურათების გადაღება დავით კლდიაშვილთან და ქუთათელ მოღვაწეებთან, ექსკურსია ბაგრატიის ტაძრის ნანგრევებზე! — ასე მიიღო „ლიხსიქითურმა დედამა“, რომელმაც საკუთარი გულის სითბოთი და სიყვარულით აუვსო გული თავის გულნატკენ შვილს.

როგორც ვიცით, ვაჟა-ფშაველას ცხოვრების ეს პერიოდი მისი და აკაკის პოეტური დისკუსიით აღინიშნება. ამ დისკუსიის შედეგად ორმა ბუმბერაზმა თავისი დიდი მემკვიდრეობის საგანძურს მიუმატა საშვილიშვილო მარგალიტებიც, რომლებსაც დღესაც ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

რამდენადაც ეს ამბავი ქუთაისში მოგზაურობასა და ვაჟასთან ჩემს თანხლებას მოჰყვა, ასე თუ ისე მოწმის როლი მხედა წილად. ამის გამო ხსენებული დისკუსიის შემსწრე და ერთგვარად ტექნიკური მონაწილეც კი ვიყავი.

ქუთაისიდან დაბრუნების შემდეგ ვაჟას საინტერესო ლიტერატურული „მოულოდნელობა“ დაუხვდა: გაზეთ „თემის“ 1913 წლის 18 თებერვლის ნომერში მოთავსებული აკაკის ლექსი „ენას გიწუნებ, ფშაველო“ მან გორში ჩამოსვლისას წაიკითხა. ხსენებული ლექსი ვაჟას ქუთაისში მოგზაურობის დღეებს ემთხვეოდა, მაგრამ ეტყობა, რაღაც ტექნიკური მიზეზის გამო „თემი“ რამდენიმე დღის დაგვიანებით გამოსულიყო და გიმნაზიის მოწაფემ, ვაჟას შვილმა ლევანმა კიოსკიდან იმ დღით გამოიტანა.

ეს პოეტური გამოწვევა „თემის“ პოზიციასთან ერთგვარად განსხვავებულიც იქნებოდა, რადგან ამავე ნომერში მოთავსებულია პოეტი ქალის დომინიკა განდევილის ვრცელი და მეტად გულითადი ფელეტონი, რომელშიც იგი აღნიშნავდა ვაჟა-ფშაველას ნიჭის ბუმბერაზობას, მის დიდ ღვაწლს და მოუწოდებდა საზოგადოებას ვაჟას იუბილე გავუმართოთ.

ვაჟა „თემის“ წაკითხვის შემდეგ ერთგვარად გაწბილებუ-



ლი დარჩა, პასუხიც დააპირა, მაგრამ „სახალხოს“ მესვეურების რჩევამ შეაჩერა — „ამ საკითხზე კამათის აღძვრა აკაკისათვის საწყენი არ გამოვიდესო“, დააშოშმინეს და ვაჟა ჩარგალს წავიდა.

მაგრამ, ეტყობა, ამ „ვალის“ გადახდა იქ მაინც საჭიროდ ჩათვალა და იმავე წლის 1 ივნისს სოფელ ქედისაკენ მომავალმა თავისი საპასუხო ლექსებით თბილისს ჩამოიარა.

იმ დღეს ვაჟას ძმამ სანდრო რაზიკაშვილმა „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში ტელეფონით შემატყობინა, — „გუშინ ვაჟა ჩამოვიდა, შეუძლოდ არის, ჩემთან სახლში წევს და ვთხოვ, ინახულო“.

ღრუბლიანი დღე იყო, საკმაოდ გრილოდა. კობტად მოვლილ შესასვლელ ოთახში მაგიდებზე ლარნაკებში ეწყო ვარდები და ყვავილგაუშლელი რტოები. ფანჯრები დახურული იყო და ოთახში თუთუნის ბოლი იდგა. უკვე ალაგებულ ლოგინზე, ზემოდან, ტანჩაცმული ვაჟა იწვა და ზედ ქალის მოსახამი თივთიკის შალი ეხურა. შუბლი თეთრი ხილაბანდით ჰქონდა წაკრული, ფეხთ ჭრელი წინდები ეცვა.

— ოპ! მაგვიხვედ, ბარელო? ქეშეშ, ქეშეშ, ოთურ სავარძელზედა! — შემეგება ის ხვესურულ-თათრული სიტყვებით, ლოგინზე წამოჯდა და სავარძელი ჩემსკენ მოსწია.

— რა კილოსა ხართ ქალაქელები, როგორ არიან ყმაწვილები, — შიო გულთაფლიანი (ასე ეძახდა მოფერებით შიო მღვიმელს), იროდიონი (ევდოშვილი), რედაქციელები და, საერთოდ, კალმიან-ჩალმიანი კომპანია?

კითხვებზე ვუპასუხე და ცნობისმოყვარედ შევეკითხე — პაპიროსის წევა დაგიწყია-მეთქი?

— არა, კაცო, ჯავრიან გულზე პირს ვიბოლავ, რომ სიტყვა უნდილი არ გამოვიდეს. როგორ არ გავჯავრდე? სადაც მივალ, წინა მხედება — ენა დაგიწუნაო, მაგ კაი კაცმა, რაღა ახლა მიყელა?

— შე ვფიქრობდი, ეს ლიტერატურული გამოხმაურება იყო.

— გიცხონდა ქოჩორი, თუნდ დიდმარხვის ლოცვა დაარქვი, ე, მე კი უპასუხოვას ვერ ვურიგდები და!

ამ სიტყვებზე ბალიში ასწია და მისთვის ჩვეულებრივად

ოთხად მოკეცილი თაბახის ქალღი გამოიღო, რომელზედაც გრძელი ლექსი იყო დაწერილი.

— აი, მეც დავჩხაპნე საპასუხო. ამისთვის შეგაწუხე. შირაქს მივდივარ, ჩარგლიდან ღუშეთს ჩამოვიარე, იქაც სადავიდარაბო საქმე გადავიკიდე: ჟინვალელ ბოქაულს გლეხები დაეწიოკებინა და, საკადრისი ფიცხი მივეცი, გზაში კი ქარწვიმა შემხვდა, დავსველდი და პატარას ვიშუშები, ნუ დამზარდები, გეთაყვა, მითხოვე რედაქციელებს, დღესვე დამიბეჭდონ, კორექტურა შენზე იყოს... მაგრამ ჯერ წავიკითხოთ!

და დაიწყო კითხვა. კითხულობდა ისეთი პათოსით, თითქოს იქვე ყოფილიყოს აკაკი, რომელსაც პოეტურ გულის პასუხს უსაბუთებდა.

სულგანაბული ვუსმენდი უფროსი შემოქმედისადმი განკუთვნილ უმცროსი მეგობრის პასუხს. როცა პათეთიკურად ჩაათავა „ნუ შეგაშინებს, არ გავნებს, მთიდან ყვირილი ხარისა!“ — თვალეში ენერგიულად ჩამხედა და შეშეკითხა:

— გამოდგებისა?

— თუ მე მსაჯულად გამოვდგები, ჰაი-ჰაი, რომ გამოდგებისა!

— ჰოდა, სთხოვე, ჩემს მაგიერ „სახალხოელებს“, ნუ დააყოვნებ, ბრალდებულს ხომ პასუხიც უნდა მოუსმინონ!

„სახალხოს“ რედაქციაში ვაყას ლექსმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა. იმ დროს გაზეთს რედაქტორობდა ჩვენი ცნობილი ბელეტრისტი არისტო ჭუმბაძე, რომელმაც ლექსი უშალვე სტამბაში გაგზავნა, მე კი იმავე საღამოს კორექტურით ვეწვიე მღვთის ქუჩაზე ვაყას. მეორე დღეს „სახალხო“, როგორც იტყვიან, „დღის ლურსმანი“ იყო.

ამრიგად, კამათი მათთვის შესაფერი ნამდვილი ლიტერატურული ფორმებით დასრულდა. თავიანთი სიცოცხლის მწუსრის მოახლოებისას ორმა ბუმბერაზმა ერთმანეთს ლექსით უთხრა გულისხნადები. მაგრამ როგორც გამოწვევაში, ისე პასუხში პირადულს მაინც არ გადაუხრია ზომიერების სასწორი. ისინი ჩვენი ქვეყნის ტკივილებზე, მისი კეთილდღეობის სურვილებზე შეეხმაურნენ ერთმანეთს და ამით უთუოდ დაეაღებული დატოვეს ჩვენი პოეზიაც.

\* \* \*

— მთელი ჩემი ცხოვრების პარადოქსია: როცა ვხედავ — პოეზიაზე ვფიქრობ, როცა ლექსებსა ვწერ — პრაქტიკულ საქმეებზე ვსაზრიანობ. ხან ერთი მიშლის ხელს, ხან — მეორე! ეს აკვიტებული აზრი ხშირად გამოუთქვამს ვაჟა-ფშაველას, იგი საკუთარ შემოქმედებასა და ცხოვრებაზე მსჯელობდა. მართლაცდა, საოცრად იყო ერთმანეთზე გადაჯაჭვული მისი შემოქმედებითი მუშაობა და პრაქტიკული საქმიანობა: წვრილმან, საოჯახო, საარსებო საზრუნავს რომ თავი დაკანცხლებოთ, იგი მუდმივად იყო ჩაბმული საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეებში: ხან მთაში იალაღების მოწესრიგებაზე ღარბოდა, ხან შირაქის ველებზე, ფშაველებისა და მოხვევების ჩამოსახლების საქმეებში იძირებოდა, ხან საკუთარი სოფლის მცხოვრებთა ინტერესების დაცვაზე ხარჯავდა ღროს, ფულსა და ენერჯიას, ხან თავისი ნაწერების გამოცემაზე წვალობდა და ასე დაუსრულებლივ!

მაგრამ ყველაფერი ეს მაინც ხელს ვერ უშლიდა მუყაით ლიტერატურულ შრომას. საჭირო შემთხვევებში საუცხოოდ კრიტიკოსობდა, აგროვებდა ეთნოგრაფიულ მასალებს, იკვლევდა ამა თუ იმ საკითხს და ცდილობდა სხვისთვისაც ჩაენერგა ჩვენი სალიტერატურო თუ საკვლევო მასალების შეკრება-შესწავლის თაოსნობის უნარი. მას მარცხენა გულისჯიბეში ვეებერთელა ტყავის საფულე ედო, რომელშიც თუმცა ფული ხშირად არ მოეპოვებოდა, მაგრამ ხალხში გაგონილ-ჩაწერილი ამბებით თუ ფარატინა ქაღალდებზე ჩანიშნული მასალებით მუდამ გავსებული ჰქონდა. ამ საფულეს დაცინვით „პანდორას ბოხჩას“<sup>\*</sup> უწოდებდა და დაუბეჭდავი ლექსებიც ამით დაჰქონდა ხოლმე.

სიტყვამ მოიტანა და უნდა აღვნიშნო ერთი შეუსაბამო მოვლენა: ერთხელ ვიღაც ეგზოტიკის მოყვარულმა ვაზეთში დაწერა — ვაჟას მთიდან ლექსები ხურჯინით ჩამოჰქონდაო; ერთმა ქართველმა მხატვარმა ფერებით ნაწერი დიდი სურათიც კი გამოფინა, რომელზედაც წარმოდგენილი იყო ვაჟა-

\* პანდორა — ბერძ. მითოლოგიიდან; ქალი, რომელიც ფლობდა უბედურებათა შემცველ ყუთს, ბოხჩას;

ფშაველა „იერიის“ რედაქციაში: საწერ მაგიდასთან ზის ილია ჭავჭავაძე, ხოლო მაგიდის აქეთა მხარეს, ვაჟას მხრებიდან მოუხდია სავსე ჭრელი ზურჯინი, იქიდან იღებს დაწერილ ლექსებს და ილიას აწვდის. გამოდის, რომ ამ სურათის მიხედვით ჩვენმა ახალგაზრდობამ ვაჟა უნდა წარმოიდგინოს როგორც უბირი სოფლელი კაცი, რომელსაც შეეძლო ზურჯით შეეტანა რედაქციაში საპალნე, ზურჯინი იატაკზე დაედო და ილიასთვის ეთქვა: „აირჩიე, რომელიც მოგწონსო“.

ვინც ვაჟას ახლო იცნობდა, ვინც იცის, თუ რა მაღალი ტაქტის, რა სათუთი გულის, რა კულტურის მქონე ადამიანი იყო, არ შეიძლება ასეთი რამ ჩვენი მწერლისათვის უხერხულად არ მიიჩნიოს. ვაჟა თავმოყვარე და ამაყი კაცი იყო, როგორც იტყვიან, — „ბუზს არ დაისვამდა“. მართალია, ღარიბულად ეცვა, მაგრამ მუდამ ისე სალუქად გამოვიდოდა, ისე დაილაპარაკებდა, რომ მოწიწებას შთაგინერგავდათ. დიდ ქალაქში გავლისას, დიდ დაწესებულებაში შესვლისას ზედმეტ ამანათს არ დაიჭერდა ხელში. განა წარმოსადგენია ასეთი ადამიანი, რედაქციაში ზურჯინით შესულიყო?

მაგრამ ეს სხვათა შორის.

ერთხელ, 1914 წლის ზაფხულში შირაქისაკენ მიმავალმა ვაჟამ ქვემო მანხაანში გამოიარა. ეს გზა მის მუდმივ მარშრუტს შეადგენდა მას შემდეგ, რაც შირაქში ფშაველების ჩამოსახლება დაიწყო: თბილისიდან დილიჯანსით სიღნაღამდე, იქიდან საფოსტო „ტროიკით“ — დედოფლისწყარომდე, შემდეგ ცხენით — შირაქის ველებზე.

იმ დღით სიღნაღში ნათესავეებთან შეპკვიანებოდა, „ტროიკისათვის“ ვეღარ მიესწრო და მანხაანელ მეეტლეს „კვარტალ“ სულიკოს გამოპყოლოდა. დაბინდების ხანი იყო, წვიმას აპირებდა. თბილისიდან ახლად ვიყავი ჩასული ჩემს სოფელში. გაიარა ჟღარუნებიანმა ეტლმა. ვხედავ, შიგ ვაჟაა! ეს სასიამოვნო მოულოდნელი შეხვედრა იმით დამთავრდა, რომ იმ ღამეს ვაჟა მანხაანში დარჩა და ჩემი ბიძაშვილის შაქრო ფაშალიშვილის ოჯახში გამართულ ვახშამზე საინტერესო მუსაიფში გაატარა დრო ადგილობრივ ინტელიგენციასთან.

მეორე დილას ვაჟა ჩემი პატარა სახლის სტუმარი იყო და ჩვენს მარანში გაშლილ ფარდაგზე, ხევისბერივით ლურჯ სუფ-

რასთან დაბრძანებული ძვირფასი ფშაველი, გულთბილი სად-  
ღეგრძელოებით მიმწყალობებდა მამა-პაპის ჭერ-ფუძეს. ვაჟა-  
პოეტური ფერებით გვიხატავდა ალტაცებულ თანამოინაზნებს,  
ამ კუთხის ისტორიულ თავგადასავალთა ეპიზოდებს: „ლეკი-  
ანობის“ დროის თავდასხმებსა და თელავის ალყის დროს  
ერეკლე მეორის მიერ ქიზიყიდან ჭარ-ბელაქნის დასახველად  
გაგზავნილი ლაშქრისა თუ ამ ჩვენი კუთხის მთავორიან მიდა-  
მოებში შემორჩენილი ნასოფლარ-ნასახლარების თაობაზე გა-  
გონილ ამბებს, ეს ამბები მან აქაურებზე უკეთ იცოდა, ხოლო  
ჩვენთვის სრულიად ახალი იყო!

დღემდეც სახსოვრად დამრჩენია ბოსტაანთ კოშკის თემა.  
ეს კოშკი ჩემი მეზობელი სოფლელის, ზემო-მანხაანელი ის-  
ტორიული გმირის ბოსტაშვილის მიერ მეფე ერეკლეს თვალ-  
წინ გამოჩენილი ვაჟაკობის აღსანიშნავად აგებულია თვით  
ერეკლეს მიერ და უთვალავი მტრების თარეშის ასპარეზს წარ-  
მოადგენდა. მთელს ჩვენს კუთხეში (სიღნაღის ციხე-გალაენის  
შემდეგ) ერთადერთი კოშკი ყოფილა, ან ჩვენს დრომდე ერთა-  
დერთილა შემორჩენილა!

არ შემიძლიან ამ სასიამოვნო შემთხვევით არ ვისარგებლო  
და არ გავიხსენო ჩემი გვარისათვის „თავგამოსაღები“ ერთი  
ეპიზოდიც.

მანხაანში ფაშალიანთ უბანი გომბორის გადმომავალ ნა-  
წყვეტების ერთ-ერთი გორის ჩამოსათავარზეა გაშლილი. უბ-  
ნის დასწვრივ ფანიანისა და ჩვენებური „ორნავის“ ჩხრიალა  
რუები მოიკლაკნება, თვით ჩემი უბნის ძირას კი ანკარა „ციფ-  
წყალა“ გამოდის. მთელი ეს რუები, ხეხილიან ბაღ-ბოსტნებ-  
ზე გადავლით, „შიხია ხევს“ მიჰყვება, რომელზედაც ჩემს ყმაწ-  
ვილობას პატარა წისქვილების დოლაბები შხუოდა და სარე-  
კელები რაკრაკებდა. ასეთ ნაკვეთზე მდებარეობდა ჩვენი ბოს-  
ტანიც, სადაც ღილიფარებში გაბარდულ ნათესებს გარდა  
ჩრდილების დამფერი ლეღვების, კაკლებისა თუ მსხმოიარე  
მსხლის ხეების მწკრივები ცვლიდა ერთმანეთს.

სანატრელმა სტუმარმა სიამოვნებით მოისურვა იქაურობის  
„თვალის გადავლება“ და როცა რუისპირის მწვანე მოღზე  
მჯდომმა ჩვენს „კოწოლა“ გორას თვალი მოავლო, წყაროების  
ჩხრიალში გართულმა წამოიძახა:

— იფ, შენს მადლსა, ჩარგლურასავით არ მელაპარაკება და-  
ლოცვილი!

მაშინ ჩარგალი არ მენახა და ეს შედარებაც ჩემთვის გაუ-  
გებარი იყო, მაგრამ როცა შემდეგში ვაჭას სოფელი ჩარგალი  
ვინახულე და მისი ძველი სახლი დავათვალიერე, როცა „სა-  
ყორნეს“ კალთაზე ომახით ჩამომავალ მდინარე ჩარგლურას  
დავაკვირდი, ვაჭას მაშინდელი შედარება გასაგები გახდა (რა-  
საკვირველია, ჩარგლისა და ჩარგლურას მიდამოები ბუმბერა-  
ზულია, ფაშალიანთ უბანი, მათთან შედარებით მინიატურულ,  
ციცქნა სანახაობას წარმოადგენს, მაგრამ ბუნების მესაიდუმ-  
ლე სტუმრის მიერ ასეთი პარალელის გავლება ბუნებრივად მი-  
ვიჩინიე).

იმ სერობაზე დედოფლისწყაროსაკენ (დღევანდელი წითელ-  
წყარო) მიმავალი ტრანსპორტის მოლოდინში მეტად გაცხო-  
ველებული მუსაიფი გაგვიმართა.

მუსაიფის თემა იყო თამარ დედოფლის ციხე (დღევანდელი  
წითელწყაროს გარეუბანში მდებარე უძველეს ციხე-სიმაგრეს  
ხორნაბუჯს, ანუ ჭოეთს — თამარის ციხედ იხსენიებენ თანა-  
მედროვენი). ვიხსენებდით ამ თემაზე ვაგონილ და ხალხში  
დარჩენილ თქმულებებს და რასაც კი საინტერესოდ ჩასთვლი-  
და ვაჭა, შეაჩერებდა მოსაუბრეს და წამოიძახებდა:

— აბა, ეგ ჩავაგდოთ ქითაბში!\*

გახსნიდა „პანლორას ბოხჩას“, ჩანიშნავდა წიგნაკში და  
კვლავ საუბარს დაუბრუნდებოდა. ვაჭამ გაუზიარა მოსაუბრეთ,  
რომ აპირებდა თამარის ციხის ლეგენდის კანვაზე ისტორი-  
ული პოემის დაწერას და დიდი სურვილი გამოთქვა დასწრე-  
ბოდა რელიგიურ დღესასწაულს — „ელიაობას“, რაც ყოველი  
წლის 20 ივლისს თამარის ციხის ნანგრევებზე იმართებოდა.

როგორც უკვე ვახსენე, ეს მეტად საინტერესო ციხის ნანგ-  
რევია. იგი ოდესღაც კახეთის მეფეთა დიდი რეზიდენცია ფო-  
ფილა, პერეთის სტრატეგიული კარი. არქიტექტურულად სა-  
ინტერესო. ამ ნანგრევების გარშემო ფანტასტიკური ლეგენ-  
დები ტრიალებდა ხალხში. ციხის ჩრდილოეთ მხარეს კლდე-  
ში გამოთლილი ერთი ტერასა საშიშარ უფსკრულს გადაჰყუ-

\* ქითაბ — წიგნი (სპარს.)

რებდა. ამბობენ, ამ ტერასიდან მოღალატეებს ჰყრიდნენ უფსკრულშიო. ეს წესი თითქოს დაცული ყოფილა მეფე ერეკლეს დრომდე.

ციხის ერთი მღვიმიდან, იმხანად იდუმალი ატმოსფერული მიზეზებით, საგრძნობლად თბილი ქარი ამოჰქროდა, შიგ ვერ ჩადიოდნენ, რადგან ქარი ჭრავს აქრობდა და სუნთქვას აძნელებდა. ლეგენდა იყო: იქ, ქვეშ, დარბაზში თამარ დედოფალს სძინავს და მისი მოდარაჯე კეთილი სული შიგ არავის უშვებსო. ეტყობა, ან მინერალური რამ ნაკადი იყო იქ, ან მიწის-ქვეშა გვირაბების შესაყარი და ორჭოლი\* ქარი ჩნდება.

ვაჟას მიერ განზრახული პოემის შესახებ მეტი არაფერი გამიგონია შემდეგში, მაგრამ საინტერესო იქნებოდა ამ თვალსაზრისით გადასინჯულიყო მისი არქივი.

საუბრის მეორე თემა მეტად საინტერესო იყო და ეხებოდა დიდი რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ძეგლს ქიზიყში.

— აქ, თქვენი სოფლის კალოების ბოლოს, ყარღანის (ყარღანი, ანუ ყარა-ღაჯ) წყალთან ლერმონტოვის ძეგლი როა აგებული, იცით თუ არა იმის შესახებ რაიმე ამბავი?

თანამოსაუბრეთ ვაუკვირდათ.

— ლერმონტოვის ძეგლი? ვინა თქვა, საიდან?

ვაჟამ ნაწყენად მიუგო:

— როგორ თუ საიდან? აქაურები არა ხართ? ის ძეგლი ხომ თქვენს თვალწინ არი? მთის ძირში წყალგალმა, გზის პირას! რამდენჯერმე დამიხევნია მისი აკაციების ჩრდილქვეშ დიდ რუს პოეტზე ნაღვლიანი ფიქრებით!

მანხაანელებს გვენიშნა: სწორედ ვაჟას მიერ დასახელებულ ადგილას ძველთაგანვე შემორჩენილი, თითქმის ხელუხლებელი, აგურებით აგებული ობელისკისმაგვარი ძეგლი იყო, კირით გათეთრებული. აქეთ-იქიდან ძველისძველი აკაცია ედგა, სამხრეთის კედელზე ჟანგისაგან მთლად შეჭმული, წვრილი, აბრისებური წარწერა იყო დარჩენილი ბოლო სამიოდე ასოთი.

ამ ძეგლ-ობელისკს მანხაანელები „ფათრეთს“ ეძახდნენ. მაშასადამე, იქ ოდესღაც პორტრეტი იყო იმისი, ვის სახელზედაც იყო აგებული ეს ძეგლი. ამ ძეგლის მნახველი დღესაც

\* ორჭოლი — ორპირი (?)



მრავალია ქვემო-მანხაანში, მაგრამ თუ ის მიხეილ ლერმონტოვის საპატივცემლოდ იყო აგებული, იქ არავენ იცოდა. ეს იმ დამეს ვაჟა-ფშაველამ გვამცნო.

საქმე ის არის, რომ ყარღაში სწორედ ვაჟას მიერ დასახელებული ადგილი ოდესღაც ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის სადგომს შეადგენდა, ეს ის პოლკი იყო, რომელშიც კავკასიაში გადმოსახლებული მ. ლერმონტოვი განაწესეს. ლერმონტოვს, როგორც დამკვიდრებული ვერსიით ვიცით, თითქოს ყარღაჩამდე ვერ მოუღწევია, რადგან ჩრდილო კავკასიაშივე მას ტყვია შეაგებეს აზრისა და სიტყვის ჯალათებმა. ადვილი საფიქრებელია, რომ სწორედ ზემოთ დასახლებულ პოლკში მყოფმა მეგობრებმა, ლერმონტოვისა და პუშკინის პოეზიით გატაცებულმა დეკაბრისტებმა დიდ პოეტს აღნიშნული ძეგლი-ობელისკი აუშენეს და მისი პორტრეტითა და წარწერით შეამკეს.

არის ცნობები, რომ 1829 წლის ზაფხულში სწორედ იმ ადგილას ყარღაში ა. პუშკინიც ყოფილა ჩასული „ნიჟეგოროდელი“ მეგობრების სანახავად, თვით მ. ლერმონტოვის იქ ყოფნის შესახებაც უნდა მოიპოვებოდეს ერთი ვერსია.

ეს ძეგლი თითქმის დაუზიანებლად იდგა 1934 წლამდე. 1934 წელს კი ხირსის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის ერთ-ერთმა არამკითხე მუშაკმა დათვური სამსახური გაუწია კულტურის საქმეს: ნამყენთა სათბურის აგების მიზეზით დაანგრევინა ეს ობელისკი და აგურები მშენებლობაზე გამოიყენა.

როგორც ვხედავთ, ვაჟას „პანდორას ბოხჩაში“ საინტერესო პიპოტეზა ჰქონდა შენახული ლერმონტოვის ბიოგრაფიისათვის. საოცარია, რომ ამაზე მან არაფერი დაწერა.

მეორე დღეს ერთმა თანამესუფრემ, რომელიც ვაჟას თანამონადირე აღმოჩნდა, თავისი „შარაბანი“\* შეგვიბა და ყარღაჩისაკენ გავვისტუმრა. ყარღაჩიდან ვაჟა არხილოსა და ქედს მიდიოდა — მეცხვარე გუგუთაშვილსა და ახლადდასახლებულ ფშაველებს შორის ატეხილი დავის მოსაწყესრიგებლად, ხოლო შემდეგ ელიაობას დაბრუნდებოდა დღეობისა და ჭოეთის სანახავად!

\* შარაბანი — ღია, ოთხთვალა ეტლი (ფრანგ.)



აი, კიდევ სიტყვას მოაქვს და უნდა დაეძინო: ვაჟა დიდად გატაცებული იყო „გაღმა მხრის“, ე. ი. კუხეთ-საინგილოში მოგზაურობით; ამ მიზნით გადაშლილი ვახუშტი ბატონიშვილის გეოგრაფია ბევრჯერ მინახავს მის ხელში ფანქრით გახაზული და არშიებზე ჩამატებული შენიშვნა-განმარტებით.

საინგილო ხომ საქართველოს კულტურის დიდი აკვანი და „წარსულთა დღეთა“ დიდებული ცენტრი იყო. მის დატაცებას ძერების კლანჭები არ ასცდენია თვით ვაჟას დღეებამდე! ქედი — წითელწყაროს მიდამოებში მოგზაურობის მოთავეების შემდეგ, ვაჟას საინგილოში წასვლა ჰქონდა განზრახული.

ასე მრავალფეროვანი იყო ვაჟა-ფშაველას ცხოვრება, მისი შემოქმედებითი და პრაქტიკული მუშაობა, მართლაც ერთგვარად პარადოქსული, მუდამ ერთიმეორესთან დაპირისპირებული, მაგრამ ყოველთვის გულწრფელი, ნაყოფიერი და უანგარო. პირადული ყოველთვის საზოგადოებრივთან ჰქონდა შეფარდებული და საქმიანად და კალმითაც ხალხის სიკეთისათვის იღვწოდა. მას სწამდა ჩვენი ქვეყნის მომავალი, ელოდა საქართველოს ბედნიერ დღეებს, მის აღდგენასა და აღორძინებას. სწამდა, რომ საქართველო თავისი ხვალისდელი დღით თაობათა კეთილშობილ მისწრაფებას და მოლოდინს გაამართლებდა.

ამ შთავონებით მღეროდა ის თავის უდროო კუბოს კარამდე.

## აკაკი შანიძე

მე ერთი იმ ბედნიერთაგანი ვარ, რომლებიც პირადად იცნობდნენ მთის არწივს ვაჟას, იმ ვაჟას, რომელმაც თავისი გენიალური ნაწერებით შორს გაუთქვა სახელი ქართულ ლიტერატურას და ასახელა ქართველი ერი.

\* აქ უნდა შენიშნოთ, რომ სწორედ ვახუშტით, რომელსაც აქვე იმოწმებს მოგონებათა ავტორი, „გაღმა მხარი“ სხვაა და კუხეთი და საინგილო სხვა.

ვაჟას მე პირველად 1908 წლის ზაფხულში შევხვდი სოფელ ხორხში, მის ცოლეურთას, დიდებაანთ პურად ოჯახში. ხორხი ეს არის სოფელი ხორხის წყალზე, რომელიც ჟინვალის ზემოთ ერთვის არაგვს. ჟინვალიდან ის იქნება 12-15 კილომეტრის მანძილზე. იქ ცხოვრობენ ფშავლები და მთიულეები.

ხორხში მე მოვხვდი იმის გამო, რომ ერთ ჩემს ბიძას, ბესო შანიძეს, იქაური ქალი ჰყავდა ცოლად და ხორხში სახლობდა.

აქ ბესო შანიძემ გაიცნო ვაჟა-ფშაველა, დაუმეგობრდა მას, შეიღებხაც ანათლინებდა და დიდ პატივსაც სცემდა. ბესო ნიჭიერი კაცი იყო, ვაჟას ლექსები ბევრი იცოდა ზეპირად, განსაკუთრებით მოსწონდა მისი „სისხლის ძიება“.

1908 წ. ზაფხულში მე ბიძას ვეწვიე თვალღვიში. მან შემომისვა ცხენზედ. იქვე გავედით არაგვში, გადავიარე ერთი მთა და ავედით ხორხში. ვაჟა-ფშაველას ცოლი თამარიც ხორხელი იყო. ამ დროს ვაჟა ცოლეურთას ყოფილიყო. რომ გავგოთ ბიძაჩემის ხორხში ყოფნა, გადაგვიწვიეს სადილად. დიდებაანი ერთ უბანში ცხოვრობდნენ, და ხუცურაულები — მეორეში.

შევექცით სადილს, რომელზედაც ხინკალი, მთიელთა ჩვეულების თანახმად, აუცილებელია. შემდეგ გამოვედით ეზოში. იქ გამოირბინა ვაჟას ბავშვმა ვახტანგმა, რომელიც მაშინ ოთხის წლისა იქნებოდა. ვაჟა გაეხუმრა შეიღს: აბა, გვიამბე, როგორ იყო, რომ ფუტკარმა დაგკოდა და „ძოლი“ გაგიტეხაო. ბავშვს შერცხვა და დალუნა თავი. ვაჟა ბევრს ჩიოდა იმ დროინდელ საქართველოს სვე-ბედზე.

შემდეგ ვაჟას შევხვდი თვალღვიში 1909 წელს ბიძაჩემისას. ვაჟა და ბესო შეხუმრებული იყვნენ ერთმანეთთან. აქ ვაჟამ ბიძაჩემისა და მისი შეიღის იასონის თანადასწრებით ხუმრულად მიაბზო ბესოს შესახებ შემდეგი: პირველად რომ გამოინდა ეს ბიძაშენი ჩვენში, ზმა გაავრცელა, რომ მე თავადი ვარო. მე შანიძე თავადის გვარად არ გამეგონა; რადგანაც კარგად არ ვიცოდი ლიხს გადაღმური ამბები და შორიდან მორიდებულ სალამს ვაძლევდიო. შემდეგ ახედ-დავხედე და როგორღაც ვერ ვიცანი თავადად, მაგრამ აზნაური მაინც იქნება-მეთქი, ვიფიქრე, და მაინც დიდად მორიდებული ვიყავიო. შემდეგ კი გა-

მოიკვია, რომ არც აზნაურია და მხოლოდ მღვდლის შვილის-  
შვილი ყოფილაო. ეს ისეთი ხუმრული კილოთი გვიამბო-  
ვამ, რომ მეცა და ბიძა-ჩემმაც და სხვებმა, ვინც იქ იყო, ბევრი  
ვიცინეთ.

ბიძაჩემმა ეს შენიშნა. „აი შე ბრძაო დევოო“ (ვაჟას ერთი  
თვალი დაზიანებული ჰქონდა და ბიძაჩემი მეგობრულად მას  
ბრძა დევს ეძახდა).

განსაკუთრებული სიამოვნებით ვივსოვებ ჩემს ყოფნას ვა-  
ჟას ოჯახში 1911 წელს და ვაჟასთან ერთად მგზავრობას ფშა-  
ვის ხევში. საქმე ასე იყო:

მე ვსწავლობდი პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავ-  
ლურ ენათა ფაკულტეტზე. როდესაც 1911 წელს ლექციების  
კითხვა შეწყდა, მე ფაკულტეტის დავალებით გამოვემგზავრე  
ფშაურისა და ხევსურული კილოს შესასწავლად. ჯერ ბიძა-  
ჩემთან მივედი თვალის. ბიძაჩემმა ნაბადი მომცა და თბილი  
ქურთუკი: შეიძლება სიცივეები იყოს და დაგჭირდესო. თან  
გამომაციოლა თავისი ვაჟი ლადო, ვაჟას ნათლული (მაშინ გიმ-  
ნაზიის მოწაფე და შემდეგში ექიმში).

18 ივნისს, სამშაბათს, დილით ადრე გავედით თვალისი-  
დან მე და ლადო ორი ცხენით. მეგზურად გაგვევა გუდრუხელი  
ბეწინა. მადაროს კარს რომ ავსცდით, გზაში დავეინახეთ კო-  
პალის „ხატი“ რომელიც არაგვის მარჯვენა მხარეს არის. ბე-  
წინას სიტყვით, ამ ვეებერთელა ქვას დევის ხელის მონაკიდი  
ემჩნევა. დევს მოჰქონდა ეს ქვა, მაგრამ დასწევია კოპალა,  
ლახტი დაუკრავს და ქვა გაუგდებინებიაო, იქვეა დევების საფ-  
ლაკებიო.

ავედით ჩარგალში, რომელიც თვალისიდან 20-ოდე კილო-  
მეტრით იქნება დაშორებული, ჯერ არაგვში გავედით, რომ მყა-  
ვე წყალი დაგველია.

შემდეგ ავედით ვაჟა-ფშაველასთან, რომლის სახლი სამი  
კილომეტრითაა დაშორებული არაგვიდან. ჩარგალში ხუთი უბა-  
ნია: ბონახი, აფხუშო, ხოდა, ზენა სოფელი (ანუ თხილიანა) და  
ჭალის სოფელი. ამ უკანასკნელ უბანში ედგა პატარა სახლი  
მთის ფერდობზე ვაჟა-ფშაველას.

ვაჟა შან დაგვიხვდა. მე ვუამბე ჩემი მისვლის მიზანი, ვუ-  
თხარი, რომ მსურდა შემესწავლა ფშაური და ხევსურული და



შემეკრიბა ხალხური სიმღერები. მას ეს ამბავი სასიამოვნოდ დაურჩა.

ვაჟასთან დაგვხვდა პეტერბურგის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტი ვლად ბონჩ-ოსმოლოვსკი, რომელსაც ხევსურეთი დაეველო, ჩამოსულიყო ვაჟასთან და უნდოდა მასთან ერთად ფშავიც დაეველო. ამ დროს ფშაური სალოცაეების დღეობები იწყებოდა და ვაჟასათვის ეთხოვა: წამყევი, მიჩვენე და ამიხსენი აქაური ამბებიო. ვაჟა მე დამეკითხა: რა ვქნა, როგორ მოვიქცეო. მე განზრახული მქონდა პირველად შემესწავლა ქვემო ფშაური ჩარგალსა და სხვა სოფლებში და შემდეგ ავჰყოლოდი ზემოთ, მაგრამ რაკი ასეთი ვითარება დამხვდა, მე ვუთხარი: კარგი, წავიდეთ ზემოთ, ხატობის ამბები მეც ძალიან მაინტერესებს-მეთქი.

ჯერ ვისადილეთ. ვაჟას მეუღლე თამარი ძალიან ცდილობდა სტუმრების კარგად გამასპინძლებას. სადილს რომ შევექცეოდით, ვაჟამ რუსს უამბო „გველის მჭამელი“, რის გამოც იგი მეტად ნასიამოვნები დარჩა. ნასადილევს გავუღეკით გზას ორწყლისაკენ.

ჩარგალს რომ ჩამოვსცდით, ვაჟამ მიჩვენა ერთი ადგილი ჩარგლის გორზე, რომელიც არაგვს დაჰყურებს, და მითხრა: „მე აქ უნდა დავიმარხოვო“. მე ვუპასუხე: თუმცა ეს კარგი ადგილია, მაგრამ თქვენი სამარხი ადგილი მთაწმინდაა თბილისში, რომელიც ჩვენი პანთეონი უნდა გახდეს-მეთქი. არა მგონია, რომ ეს ჩემი პასუხი ვაჟას სწყენოდეს, მაგრამ მან ერთბაშად სიტყვა სხვაზე გადაიტანა: ეს რუსები რომ მოდიან ჩვენში, ენა არ იციან, გზა-კვალი არ იციან და მაინც მოილტვიან, ჩვენებს რა ღმერთი უწყრება, რომ აქეთ არავინ მოდის სანახავად, და ზოგმა არც კი იცის, რა ხილია ფშავ-ხევსურეთიო?! უსაფუძვლო არ იყო ვაჟას გულისწყრომა.

ფშავის გზაზე რომ ჩამოვედით არაგვთან, ერთი ცხენი უკანვე გავაბრუნე თვალის ბეწინას ხელით და ჩვენ ოთხნი (ვაჟა, რუსი სტუდენტი, მე და ჩემი ბიძაშვილი ლადო) ავჰყევით არაგვს.

დაგვიღამდა ხომში. იქ ცოტა პური ვჭამეთ და, რადგანაც ცხენებისათვის საძოვარი უნდა გვეშოვა, ცოტა გავიარეთ. ერთ ხევის პირს გავედით და ცხენები გაუშვით საძოვრად, ჩვენ კი

დაწვევით მინდორში, თხილიანის პირად. ღამით რუსს ჭიანჭველები დაჰხვეოდა, მაგრამ არც ჩვენ ვიყავით კარგ მდგომარეობაში, შუალამისას წამოშხუმფლა. გამოძვდიმა, დაკადვიძე სხვები. ნაბადი რომ ძირს გვევო, ახლა შემოდან გადავიფარეთ და ისე დავიძინეთ. მაგრამ მოვტყუვდით: წვიმა არ მოსულა.

29-ს, ოთხშაბათს, დღლით ადრე ავიყარენით, ბარგი-ბარხანა ცხენებს ავჭკიდეთ და გავუდექით გზას. მალე ორწყალში ავედით, სადაც ფშავის არაგვს, რომელიც ბორბალას ძირს გამოდის, უერთდება ხევსურეთის არაგვი. იქ ჩაი დავლიეთ. კოვხები არ გვეყო და ვაჟამ ხეს მოსტეხა პატარა ტოტი, გათალა და ის მოურიბა ჩაის შაქრის გასადნობად.

ხევსურეთი მარცხნივ მოვიტოვეთ და ავჭყვევით ფშავის არაგვს. გავიარეთ სოფელი შუაფხო, რომელსაც ძველად შუაფხოვი უნდა ჰქმეოდა. ფხოვის სახელით ძველად ცნობილი იყო ფშავი და ხევსურეთი ერთად. აქედან იყო ნაწარმოები ფხოველი. ფორმები „ფხოვი“ და „ფხოველი“ გადავარდა და მათ ნაცვლად შემოვიდა „ფშავი“ და „ფშაველი“; ამასთანავე „ფშავის“ მნიშვნელობა დავიწროვდა: ფშავში ხევსურეთი აღარ შედის. მაგრამ საყურადღებოა, რომ ქისტები ხევსურებს ფხიეს ეძახიან (ე. ი. ფხოველებს).

რაკი შუა ფხოვი იყო, ცხადია, უნდა ყოფილიყო აგრეთვე წინა ფხოვი და უკანა ფხოვი, მაგრამ ამათ ნაცვლად დღეს არის სოფლები წინა ფშავი და უკანა ფშავი (ადგილობრივი გამოთქმით: უკვენა ფშავი).

შუაფხოს შემოთ არის პატარა (სულ რამდენიმე კომლისაგან შემდგარი) სოფელი მუქუ.

შუაფხო და მუქუ არაგვის მარჯვენა მხარეს მდებარეობს და გზაც მარჯვენა მხარეს მიჰყვება; რადგანაც 29-ს ოთხშაბათი იყო და ვერ ახსნილებდა, საკლავის დაკვლა არ შეიძლებოდა, ამიტომ ღამთაღამო წასვლა ხვალისათვის გადავდევეთ, ღამის გათევა კი თამარ ნეფის გორზე ვარჩიეთ. თამარ ნეფის ნიში, სადაც უნდა მივსულიყავით, არაგვის მარცხენა მხარეს არის, გორზე, ღამთაღამოს პირდაპირ. გავედით წყალში და ავედით დავაკებულ მალლობზე, რომელსაც „ღელეს“ ეძახიან. მას მშვენიერი მდებარეობა აქვს, გარშემო ტყით იყო დაფარული.

ერთ გორზე სხვადასხვა ადგილას ოთხი სალოცავი იყო. ვუ-  
რადღება მიიპყრო ირმის რქებმა, რომლებიც ბლომად იყო სამ-  
ლოცველოებზე.

თამარში იმ ხანებში პატარა ეკლესია ავეო ერთ ახადელ  
ბერს ილარიონ გოდერძაულს, რომელსაც ხვეისბერები და მდა-  
ბით ხალხი ამის გამო მტრად გაჰხდომოდა: რად ხარ ჩვენს  
ხატში და რად არ გვაყენებო.

ხუთშაბათს, 30-ს, დილით რომ გამოგვეღვიძა და ავდექით,  
ვაჟამ ამოიღო საკეცი დანა (ჯაყვა), ქამარზე პირი გაუმართა,  
ჩვეულებრივი საპნით გაიქაფა სახე და შეუდგა წვერის პარს-  
ვას. რომ იპარსავდა, სადღაც ქვემოთ ხევში ვირმა დაიფროყინა.  
ვაჟამ იხუმრა: — იმასაც ხომ არ ჰპარსავენ, რო ყვირისო!

დავლიეთ ნაი და დავეშვიტო ძირს, რომ ლაშარის ჯვარში  
ავსულიყავით, ლაშარი სამიოდე კილომეტრის მანძილზე იქნე-  
ბა თამარისაგან, ისიც გორზე, რომელიც უფრო დაბალია თა-  
მარ ნეფის „ღელეზე“. ლაშარში რომ ავედით, იქ დაგვხვდა  
ქართლიდან ამოსული ორი ოჯახი (თვითონ ფშავლები კვირას  
მოვლენო, გვითხრეს), დაეკლათ ცხვარი და კურატი (ხატის-  
თვის შეწირული დაუკოდავი ხარი). უკანა ფშავიდან მოსუ-  
ლიყო მღვდელი, მოსულიყო აგრეთვე ლაშარის ხვეისბერი  
ახადელი ელიზბარ გოდერძაული (ქერჩოშვილი: ქერჩო ელიზ-  
ბარის პაპას პრქმეოდა), მოხარშეს ხორცი, ააგეს მწვადები და  
მიგვიპატივეს ყველანი. სასმელად ჰქონდათ ღვინო და არაყი.  
ელიზბარ ხვეისბერმა გვითხრა, რომ მე ლაშარის ჯვრის  
„წიგნები“ მაქვს, ამობრძანდით და წაიკითხეთო. ამის გამო ვა-  
ჟამ გადაწვევითა დარჩენა და ღამის გახათევად ისევ თამარში  
ავედით.

პარასკევს დილით, 1-ლ იელისს, ვაჟა, რუსი სტუდენტი და  
მე ავედით ახადში. ელიზბარ ხვეისბერი შინ დაგვხვდა. მოი-  
ტანა სხვადასხვა ნაწერი, რომელთა რიცხვი ორასზე მეტი იყო.  
ამას გარდა 52 სხვა დოკუმენტი, რუსულად დაწერილი, სხვა-  
გან მაქვს გავზავნილიო. ვაჟამ და მე გადავათვალიერეთ ლა-  
შარის ჯვრის დოკუმენტები. რომლებიც უმეტესად ახალი დრო-  
ისა აღმოჩნდა, მე-18 და მე-19 საუკუნისა.

შუადღისას ვაჟა და მისი სტუმარი — რუსი სტუდენტი  
დაბრუნდნენ ჩარგალში. გამოთხოვებისას მე დიდი მადლობა

ვუთხარი ვაჟას და ჩემი ცხენი თან ვავატანე, რომელსაც ჩარგ-  
ლიდან ჩაგზავნიდა თვალევში. მე დავრჩი ახადში, გადმოვიწვე-  
რე სამი საბუთი (ერთი მათგანი 1699 წლისა) და ჩავაწერე  
ორიოდე ხალხური ლექსი. ღამის გასათევად კი თამარში („ღე-  
ლეში“) გამოვედი, სადაც ბიძაშვილი დამხვდა.

კერძო ცხოვრებაში ვაჟა სწორედ ისეთი იყო, როგორც  
მას აქვს აწერილი ჩაღხო „უძმოს ძმა“-ში: „საკმარისი იყო,  
დაჩაგრული ვინმე ენახა უსამართლოდ, ძალმეტობით, კაცმრავ-  
ლობით, ჩაღხოს თავი გადაედო სასიკვდილოდ. „რას სჩადით,  
ეი, ეჭვეე! არ იცითა, რო აქა ვარ უძმოს-ძმა? — დაიბუხუნებდა  
როგორც ვეფხვი და გადაიჭრებოდა მისაშველებლად. და ვაი  
იმას, ვისაც ჩაღხოს მოქნეული მუშტი ან მათრახი მოჰხვედ-  
ბოდა!“

ვაჟა, როგორც ჩაღხო, მზად იყო ყოველთვის შეჭრივებოდა  
თავის მტერს. „ჩაღხოს მტრობა ტოლ-ამხანაგებთან დიდხანს  
არ გასტანდა: ოღონდ ერთი სიტყვა ვისმე კი წამოეყრანტალა  
შერიგებაზე, ის უკვე მზად იყო. ბევრ შემთხვევაში შუააკაცი  
არც კი იყო საჭირო: უძმოს ძმა იქვე, დღეობაში, იმავე ან მე-  
ორე დღეს შეურიგდებოდა, თავადვე მივიდოდა თავის შეუ-  
რაცხმყოფელის ბინაზე, დაადგებოდა თავზე და ეტყოდა: არ შევ-  
რიგდეთა, ძმაო, სულ ხომ არ ვინახუებთ? ადე, მამ მაკოცე,  
ადე, ჩქარა!“. მოპირდაპირეს რაღა ეთქმოდა, — ადგებოდა და  
ერთმანეთს გადააკოცნიდნენ, ხელდახელ მშვიდობიანობა ჩა-  
მოუარდებოდა“.

მაგრამ ვაჟა შეუბრალებელი იყო გამოუსწორებელ ბილწ-  
თათვის. ერთ ლექსში იგი ცას ასე მიმართავს:

რაც უნდა ჭირი მომეჭრო,  
ბილწო არ შავეკვირ ხაჯითა,  
მტრებას ვერ შემაცულევისებ  
მოხეჯებულის ავითა.

ვაჟას კარგად ესმოდა თავის ღირსება, მაგრამ თავმდაბალი  
და მორიდებული იყო, ცხოვრობდა ჩარგლის იმ უბანში, რო-  
მელსაც ჭალის სოფელი ჰქვია, და დრო-და-დრო თუ ჩამოვი-  
დოდა ქალაქში.

ერთხელ ეს სოფლელი კაცი, სოფლურად ჩოხა-ახალუხში

გამოწყობილი, თბილისში ჩამოსულა და შესულა დალაქთან თავის გასაკრეჭად. დალაქს არ მოსწონებია მისი თმის ვითარება და, რომ დაუწყია კრეჭა, უთქვამს: „ასეთი თავი მე ჯერ არ გამიკრეჭიაო“ ვაჟას აუხედავს დალაქისთვის და უპასუხნია: „დიახ, აგეთი თავი შენ მართლაც არახოდეს არ გაგიკრეჭიაო!“

უკანასკნელად ვაჟა ვნახე 1915 წელს ზაფხულში, როდესაც პეტერბურგიდან თბილისს დაებრუნდი. ის ავად გამხდარიყო და მოეთავესებინათ სამხედრო ლაზარეთში, რომელიც ქართული გიმნაზიის შენობის სამხრეთი ფრთის მეოთხე სართულზე იყო მოთავსებული. საუბრის დროს ვაჟამ მოიგონა თავისი იმერეთში ყოფნა და კმაყოფილებით აღნიშნა კარგი მიღება, რომელიც მას ქუთაისში გაუმართეს. სხვათა შორის მიიტხრა: „აკაკი, იმერეთი სულ ფშავს ჰგვანებია, მთა-გორიანი ქვეყანა ყოფილაო“.

ჩამოვარდა საუბარი ომიანობაზედაც. ვაჟამ თქვა, რომ არ შეიძლება ასეთ დიდ ომს დიდი ამბები არ მოჰყვესო. ამას რომ ამბობდა, მას მხედველობაში ჰქონდა საქართველოს მომავალი ბედი.

საუბედუროდ ვაჟამ უდროოდ დახუჭა თვალები და დიდ ამბებს ველარ მოესწრო.

## სანდრო შანშიაშვილი

ჯერ კიდევ ბავშვი ვიყავ, უკვე გამეგო ვაჟა-ფშაველას სახელი. მამაჩემი მწიგნობარი კაცი იყო და, ამის გამო, ჩვენს ოჯახში ვაჟა დიდად მიღებული იყო; სხვა მწერალთა შორის ვაჟას სურათი უთუოდ ილიას და შოთას გვერდით ეკიდა.

ერთხელ ვაჟას სურათი რაღაც მიზეზის გამო ძირს ჩამოვარდა და შუშა დაიმსხვრა. მამაჩემს ძალიან ეწყინა. შუშა სხვა მწერალის ჩარჩოს მოხსნა, (ვგონებ ვახტანგ ორბელიანს) და ვაჟას ჩარჩო კვლავ შუშით შეამკო.



მაშინ მე ათი-თორმეტის წლის ვიქნებოდი.

— ვინ არის, მამი, ეს ჩოხიანი? — ვკითხე მამაჩემს.

— გახსოვს, შელის ნუკრი?... თავის თავგადასავალს რომ გვიამბობს...

— მერე, დედა ამ კაცმა მოუკლა?

— ამან კი არ მოუკლა, ამან გვიამბო ობოლი ნუკრის ამბავი და შეგვაბარალა. ეს დიდი პოეტია! მთაში ზის ერთს დიდს გამოქვაბულში, იქ ჩანგურზე მღერის და ჩვენამდე აღწევს იმისი ხმა...

ასეთი უცნაური დახასიათება მამიჩემისაგან ძალიან დრამად ჩამრჩა გულში. წარმოვიდგინე მეჩანგურე, რომელიც გამოქვაბულში ზის, სიბნელეში და სინესტეში მღერის. ამ დროს ვიცოდი „ტარიას“ ზღაპარი. ვთქვი: ალბათ, ეს მეორე ტარიელია, რომ გამოქვაბულში ცხოვრობს-მეთქი, და ვაჟა-ფშაველას სურათს იმ დღის შემდეგ მეტად ვუფროთხილდებოდი.

\* \* \*

როდესაც წამოვიზარდე, მამაჩემს მოვაგონე: ასერიგად რად დამიხასიათე ვაჟა-ფშაველა-მეთქი. მაშინ დაწვრილებით მიამბო, ვინ იყო ვაჟა. — გამოქვაბული და მთა, ალბათ, იმიტომ გითხარი, რომ გეგრძნო ვაჟას პოეზიის სურნელება და მისი ძალაო.

თელავის სასწავლებელში მამაჩემი უფროსი მოწაფე ყოფილა.

— ბოკვერივით ბიჭი იყო, ძვალმაგარი და ღონიერი. იმ დროს თელავში ჭიდაობა და კრივი დიდ წარმატებაში იყო. მცხოვრებნი ორ ბანაკად გაიყოფოდნენ და ყველას თავისი ფალავანი გამოჰყავდა. განსაკუთრებით კრივი იყო დიდი მოსახილვებელი. კრივში ჯერ ბავშვები გაჰყავდათ, შემდეგ მოზრდილები და ბოლოს ვაჟკაცები ჩაერეოდნენ. „ვაჟია ფშაველი“ (ასე ვეძახდით) უფროსი მოწაფეების ფალავანი იყო ჭიდაობაშიაც და კრივშიაც, — მიამბო მამაჩემმა.

\* \* \*

თვით მე ვაჟა-ფშაველა პირადად გაეიცან ცხრაასხუთიან წლებში. გამაცნო პოეტმა იროდიონ ევდოშვილმა. ჩემს აღტა-

ეებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ვაჟს ჩემთან სუფრაზე მჯდომს ვუცქერდი. მე ბავშვობიდან ისეთი წარმოდგენა მქონდა, რომ ეს კაცი უნდა ყოფილიყო დევის ძაგვარი, გამოქცაბულში მჯდარი ადამიანი, წვერ-უღვაშით შებურბურებული (მას სურათშიაც წვერები ქონდა). ეხლა კი ვხედავდი ვაჟს კონტა მასრებიან ჩოხაში, გაპარსულს. მას ჰქონდა ხორბლისფერი, ვაჟკაცური სახე, არწივისებური თვალები, სწორი ცხვირი, ცალი თვალის ქვემო ქეთუთო რაღაც სნეულებას ამოეჭამა მაგრამ ეს გარემოება ვაჟს სახეს არ ამახინჯებდა, პირიქით — რაღაც იდუმალ შთაბეჭდილებას ტოვებდა ოდნავ ფართოდ გახეული ცალი თვალი.

მას ისედაც ფართო და ნათელი თვალები ჰქონდა.

ამ ხანად მე უკვე ორიოდე ლექსი მქონდა დაბეჭდილი გაზეთში „ა. შ-ლის“ ინიციალებით. ეს იცოდა ი. ევდოსვილმა და, როდესაც სადღეგრძელოში ვაჟს ჩემი თავი გააცნეს, ეს ინიციალებიც გახსნეს. როგორც შევატყვევე, ვაჟს ესიამოვნა, გამოძკითხა სადაურობა და ვინაობა, ძალიან კმაყოფილი დარჩა იმ გარემოებით, რომ მე მისი უფროსი ამხანაგის — „ილოს ბიჭი“ გამოვდექ.

\* \* \*

შემოდგომობით და ზამთრობით ვაჟა თბილისის ხშირი სტუმარი იყო. როდესაც გაზეთში მისი ლექსების ბეჭდვა იწყებოდა, ეს იმის ნიშანი იყო, რომ მთიდან ვაჟა ბარში ჩამოსულა. ამხანაგები ოხუნჯობდნენ კიდეც, რომ „ვაჟა ჩამოვიდა და ხურჯინით ლექსები ჩამოიტანაო“. ეს არა იმ ვაგებით, რომ, თითქოს, ლექსები მართლაც ხურჯინით ჩამოეტანოს, (ლექსებს მუდამ უბით ატარებდა), არამედ იმ აზრით, რომ ჩამოვიდა ვაჟა და მთაში დაგროვილი ლექსები თან ჩამოიტანაო. ეს გამოთქმა ერთ-ერთ მხატვარს პირდაპირი მნიშვნელობით გაუგია და კიდეც დაუხატავს ვაჟა ხურჯინით ილიასთან, რომელსაც ლექსებს უკითხავს.

ვაჟა ძალიან ამპარტავანი, ამაყი და „ჯენტლმენი“ იყო. მე ის ქუჩაში მინახავს ხშირად. ზანდაზან ეჭირა ხელში „ტროსტი“, ეცვა სუფთად დაწმენდილი ჩოხა-ახალუხი, გაკრიალებული წაღები ან ქართული წულები და ყელზე კონტად გადაგდებ-

ბული ჰქონდა ყაბალახი. თავზე იხურავდა გარიბალდის ან ძვირფასი კრავის ფაფახს. ქუჩაში არა თუ ხურჯინით არ ვაივლიდა, არამედ, ერთხელ პარკში შეხვეული სასოვაგეტ კი არ დაიჭირა ხელში. პირში პაპიროსიც კი სათაკილოდ მიაჩნდა. მითუმეტეს, ხურჯინით ილიას არ მიადგებოდა რედაქციაში.

\* \* \*

როდესაც ვაჟა ჩარგლიდან თბილისში ჩამოვიდოდა, თავის ძმასთან, სანდრო რაზიკაშვილთან, ჩამოხტებოდა ვერაზე, ფიქრიგორასთან ახლოს.

ვაჟას თავისი წრე ჰყავდა, ვისთანაც დროს ატარებდა. ესენი იყვნენ. ივანე ბუქურაული, შიო მღვიმელი, ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) ი. ვედოშვილი, რ. ბებიაშვილი, ვეფხო კავკასიძე (მღვდელი), სიმონ დიაკონი (ტყემალაძე), ვ. გუნია; მუდამ ვაჟას მასარობელი და დიდი თაყვანისმცემელი „ნაპოლეონი“, — დავით პავლიაშვილი.

ვაჟას ნაცნობები მრავალი ჰყავდა „დიდნი და მცირენი“, მაგრამ ის თავისუფლად გრძნობდა თავს და ძალიანაც მოიღხენდა ხოლმე, როცა მასთან იყვნენ ზემორე აღნიშნულნი.

ვაჟა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის გამო თბილისში ჩამოვიდა. მარტო დადიოდა. არავის ეკარებოდა. როდესაც სადილად წაიყვანდით, სულ ოხრავდა და ბორგავდა.

— თავბრუდასხმული გამოვეშურე, — ამბობდა ვაჟა, — ეს რა ოხრობაა, გონს ვერ მოვსულვარ... ლამის ყველა მტრად ჩავთვალე და მკვლელად.

ვაჟა პურს ვერ ჭამდა. „კრიჭა შემეკრაო“, ამბობდა თვითონ. ხშირად მაგიდას დაეყრდნობოდა და ფიქრს მიეცემოდა. თუ ვინმე არსებობდა მის ახლოს, იგი ვერ გრძნობდა. გაკათავეთ სადილი, ანგარიში გავუსწორეთ და ავიშალენით, მაგრამ ვაჟა მაინც იჯდა. ბოლოს მე გამოვარკვიე. შემთხვედა და მითხრა: ფიქრში წასულს ილია მესაუბრებოდაო.

\* \* \*

ამის შემდეგ, როდესაც კი ვაჟა თბილისში ჩამოვიდოდა, მისი ჩამოსვლის ამბავს შეგვატყობინებდა უთუოდ დავით პავლიაშვილი, ხუმრობით ნაპოლეონად წოდებული. მას ეს გა-

მოცვლითი სახელი თვით ვაჟამ დაარქვა, რადგან სადღეგრძელოში მას რიხი ჰქონდა, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ იგი იყო დაბალი და ოდნავ კუზიანი, ხოლო პროფილით მართლაც ნაპოლეონის კარიკატურას მოგავგონებდათ. აი, ამ „ნაპოლეონისთვის“ ვაჟას ჩამოსვლით დიდების და სიხარულის დღე თენდებოდა. დავით ჰავლიაშვილი იყო სემინარიელი, კარგად იცოდა ძველი, ახალი ლიტერატურა, იყო ჟურნალისტი და ერთი უანგარო ინტელიგენტი და ქართველ მოღვაწეების, მწერლების და კომპოზიტორების დიდი თაყვანისმცემელი. ამ „თაყვანისცემაში“ მას ჯილდოდ ის ერგებოდა ხოლმე, რომ, თუ სადმე სუფრა გაიშლებოდა, იქ უთუოდ „ნაპოლეონი“ იყო, ხუმარა და ხალისიანი. ამ „ნაპოლეონმა“ ერთხელ მახარა, რომ ვაჟა ჩამოვიდა და დღეს საღამოზე „ქოსებთან“ დავიბარაო.

ქოსები იყვნენ ძმები გიორგი და მოსე ხელაშვილები; მათ ჰქონდათ ყოფილ ვორონცოვის ხიდთან კარგი სარდაფი. ქოსების სარდაფი კარგად ცნობილია. აქ თავი შეუფარებია მრავალ რევოლუციონერს; ეს იყო ერთგვარი „საბაემანო“ ბუნქტი რევოლუციონერებისათვის. ძმები ხელაშვილები იყვნენ დიდი კონსპირატორები, ამავ დროს ქართველი მწერლების, არტიისტების და საერთოდ ქართველი მოღვაწეების დიდი თაყვანისმცემლები. აი, აქ ვიკრიფებოდი ჩვენც.

ერთხელ ჩვენი წრე გაფართოვდა. ჩვენი იყვნენ მასწავლებლები, ბანკში მოსამსახურე ინტელიგენტები და კარგად ცნობილი ბელეტრისტი შიო არაგვისპირელი-დედაბრიშვილი. ლაპარაკი ჩამოვარდა ეროვნულ საკითხებზე. იყვნენ ჩვენ შორის ნილილისტები, რომლებიც საქართველოს ყოფნა-არყოფნას და მის მომავალს უიმედო თვალთ შესცქეროდნენ. არ სჯეროდათ, თუ ოდესმე ქართველი ხალხი ფეხზე წამოდგებოდა. ჩვენს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა შიო არაგვისპირელიც ამ ნილილისტებს მიემხრო და თქვა, რომ დგება საქართველოს დასასრულიო...

ვაჟამ მაგიდას მუშტი დაჰკრა, მის წინ ლამპა ჩაქრა, რამდენიმე თეფში გატყდა. ვაჟა მაინც განაგრძობდა ათროლოლებული ხმით ლაპარაკს: ვაი, თქვენი იმედის პატრონს. თეფში თავით აყროლდებო, თქვენ არა თუ აყროლდებულხართ, თქვენ უკვე ლეშები გახრწნილხართ. — თქვა და წამოდგა. მე და „ნა-

პოლენი“ ვაჟას გამოკვევით. ვაჟას ჩაეწყო ჩოხის ჯიბეში ხელები და მტკვრის ხიდზე მარტოდ, წეროსავით წინ მიდი-  
ოდა.



ისე გაბრაზებული იყო, რომ ჩვენც ხმას აღარ გვცემდა.

\* \* \*

ერთხელ ვაჟას ძალიან აწყენინა მელიტონ გობეჩიამ.

არ მახსოვს, რომელი წელი იყო (ვგონებ — 1909-10 წ.), გაზეთ „სახალხო ფურცელის“ თანამშრომლები თითქმის ყვე-  
ლანი დაიჭირეს და გადაასახლეს კიდეც. ფედერალისტების მე-  
თაურთაგანი დარჩა მხოლოდ გიგო რცხილაძე. ამან პასუხის-  
მგებელ რედაქტორადაც და მდივნადაც დანიშნა მოპოეტო მე-  
ლიტონ გობეჩია. მეც ამ დროს რედაქციაში ვმუშაობდი.

მელიტონ გობეჩია ბუნებით არ იყო ბოროტი კაცი, პირი-  
ქით, ყოველდღიურ შეხვედრის დროს სათნო ადამიანის შთა-  
ბეჭდილებას ტოვებდა. მხოლოდ მას ერთი დიდი ნაკლი ჰქონ-  
და: რა საგანზედაც არ უნდა ჩამოვარდნილიყო ლაპარაკი, ატ-  
რიალებდა საუბარს იქამდე, სანამ მთელ ყურადღებას თავის-  
თავეზე არ მიგააყრობინებდა, რაკი ყურადღებას თავისთავეზე  
გადაიტანდა, უკვე საშველი აღარ იყო. მას ისე წარმოედგინა  
თავი, თითქოს საქართველოში პოეტი და ბელეტრისტი იყო  
მელიტონ გობეჩია, ხოლო ევროპაში გიოტე, ისიც მახინჯი  
რითმებით ცნობილი. მისი ღრმა რწმენით, მისი მეოხებით  
დადგა ფეხზე და გამშვენიერდა ქართული პროზა და ლექსი.  
მისი „კოლხეთის სონეტები“ საშუალოზე უფრო დაბალი ხა-  
რისხის გახლდათ, ხოლო რაც შეეხება მის პროზას, ვგონებ,  
არც ჰქონდა გამოქვეყნებული.

გაილო რედაქციის კარი და შემოვიდა ვაჟა-ფშაველა. მე,  
რ. ბებიაშვილი და ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი) აღტაცე-  
ბით მივეგებენით. მან იკითხა ჩვენი ამბავი, მაგრამ ჩვენ ვე-  
რაფერი საამო ვერ უვამბეთ. იკითხა ილია აგლაძეც. ილია უკ-  
ვე გადასახლებული იყო; მის მაგიერ მელიტონ გობეჩიაზე მი-  
ვუთითეთ. ვაჟამ შეაღო კაბინეტის კარი.

ვხედავ, რომ გობეჩიამ სათვალე გაისწორა, შეხედა ვაჟას,  
ჰკითხა, ვინ ხარო. მელიტონმა ძალიან კარგად იცოდა, ვინც  
იდგა მის წინაშე, რადგან სხვა რომ არა ეთქვათ რა, ვაჟას დი-

დი სურათი რედაქციაში ეკიდა და იქიდან მაინც უნდა ეცნო, მაგრამ ვობეჩიამ რედაქტორის პოზა მიიღო და ვაჟას ცივად უპასუხა: რა ვნებავთო.

ვაჟამ უბიდან ლექსები ამოიღო და გადააწოდა.

— მაშ, თქვენ ვაჟა ბრძანდებით? მაშ, ეს თქვენი ლექსებია? მე გამოვიხურე კაბინეტის კარი და გამოვედი.

მელიტონ ვობეჩიას ჩვენთვის წინასწარ „ლექცია“ ჰქონდა წაკითხული, რომ ამიერიდან აღარ გაუშვებდა ქართული კულტურის შემარცხვენელ ლექსებს, და განსაკუთრებით ისეთს ლექსებს, როგორსაც წერდა ვაჟა-ფშაველა. მელიტონის აზრით, ვაჟას ლექსი იყო ველურობა და რევრესი. მას არ მოეპოვებოდა მუსიკალური რითმა და წერდა რაღაც „ჟარგონზე“.

ამჟამად ის დიდი ვაჟა და ახლად მოვლენილი რედაქტორი კაბინეტში იყვნენ და, როგორც შემდეგ გავიგე, თურმე, სკამიც კი არ შესთავაზა დასაჯდომად.

რამდენიმე წუთის შემდეგ კაბინეტში აწეული ლაპარაკი გაისმა. ვაჟას რაღაც უთქვამს და მელიტონს მისი ლექსები გადმოუყრია, თან დაუმატებია: — ხანამ მე ვარ, ასეთ უკულტურო ლექსებს არ დაგიბეჭდავო.

ვაჟამ გამოაჯახუნა კარი.

— ვინ დაგისვამთ, რევენი? — თქვა ვაჟამ და ისე გავიდა გარეთ, რომ აღარც ჩვენ გაგვცა ხმა.

მუშაობა დავათავეთ. მოვძებნეთ ვაჟა. რასაკვირველია, ნაცნობ ადგილას იქნებოდა.

ჩვენ სხვის შავიერ ბოდიშს ვისდიდით, მაგრამ ჩვენი ბოდიშის მოხდა უბრალო იყო: რედაქტორმა ლექსები უკან გადმოუყარა. ზედმეტი არ იქნება აღვნიშნო, რომ ჰონორარი მხოლოდ ვაჟა-ფშაველას ეძლეოდა (ვგონებ, სტრიქონში 25 კაპეიკი).

მელიტონ ვობეჩიამ არა თუ ჰონორარი არ მისცა, რედაქციიდან დიდად ნაწყენიც გაისტუმრა. ასეთი მოულოდნელობით განცვიფრებული ვაჟა მუნჯივით იჯდა. „ნაპოლეონი“ ოხუნჯობდა, რ. ბებიაშვილი ცეცხლზე ნავთს ასხამდა, ნარკანი, მუდამ ჩუმი, ეხლა ხმამაღლა იცინოდა.

მეც ძალიან ნაწყენი ვიყავი და იმავე დღეს განვიზრახე მელიტონ ვობეჩიასთვის სამაგიერო გადამეხადა. დაწვერე ისე-

თი ლექსი, რაც მისი გემოვნებისა იყო. ლექსი მთლად უაზრობა იყო, მხოლოდ კარგად გართმული, სულ თეიმურაზის მაჯამებით. სათაურადაც, ვგონებ, „მაჯამები“ ერქვა. აკროსტიხულად გამოდიოდა: „მელიტონი გობეჩია კამეჩია“. დილით მივუტანე ეს ლექსი და მელიტონის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ლექსის აზრს არ დაგიდედა, მოხიბლული იყო გარეგნობით და რითმებით, ხოლო ეს რითმები რომ თეიმურაზს ეკუთვნოდა და არა მე, ამას იგი სრულებით ვერ მიხვდა, რადგან მისთვის ჩვენი კლასიკოსები უცნობი ხილი იყო.

აკროსტიხი გაგზავნა სტამბაში. მეორე დღეს უნდა დაიბეჭდოს „მელიტონ გობეჩია კამეჩია“, და ამის რედაქტორი თვით მელიტონია. ეს რომ ვაჟას გავუმჟღავნე, არ მოეწონა. უმაღლ გამგზავნა სტამბაში და სიტყვები გადამასმევინა, ასე რომ, დაირღვა აკროსტიხი. უაზრო ლექსი კი მაინც დაიბეჭდა. ვაჟამ, პირიქით, მე მისაყვედურა: „ჩიტი არად ღირდა, ღვენა მეტი იყო“.

არ ვიცი რა მიზეზით, მაგრამ ჩვენში გავრცელებული იყო აზრი, თითქოს, ვაჟა ნაკლებ კულტუროსანი იყო და არ იცნობდა არც ევროპის თანამედროვე ლიტერატურას და არც კლასიკოსებს. ეს დიდად უმართებულო ჭორია მისი ლიტერატურული მოქიშპეებისაგან მოგონილი და შემდეგ გამეორებული სხვების მიერაც. პირიქით, ვაჟა ძალიან განათლებული პოეტი იყო, იცნობდა ყველა გამოჩენილ კლასიკოსს, თარგმნა შილლერი, ედგარ პო და სხვები და, იმ დროს, როდესაც ჩვენი „ცანცარა“ ინტელიგენცია და მეც მათ შორის (მაშინ ახლგაზრდა) ძალიან გატაცებულნი ვიყავით „ნიცშეანულობით“, კერძო კამათში ვაჟა ისე აკრიტიკებდა ნიცშეს, რომ მისგან ნატამალი აღარ რჩებოდა. ასე ამბობდა: ღონეგამოლეულს, დაწრეტილს, უსუსურ მეწვრილმანე ვაჭარს ენატრება „ზეკაცი“ ზარატუსტრა, ხოლო ჩვენში ცხვირმოუხოცელი მოხვეე და მთიელი იგივე ზარატუსტრა არის, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ჩვენი მოხვეე და მთიელი უფრო რაინდია, ხოლო ნიცშეს ზარატუსტრა — ვერაგი, სისხლის მსმელი, სუსტი მქელავი და მოვალეობის შემგინებელი, ე. ი. არ არის ვაჟკაცი ადამიანიო.

ერთი ჩვენი სახელოვანი პოეტი, არ ვიცი, მიზეზი რა იყო, ვაჟას ალმაცერად უცქეროდა. ვაჟას მიდიოდა ამბები, რომ „შენზე მავანმა ასე და ასე თქვაო“.

ვაჟა ამას ყურადღებას არ აქცევდა.

ერთხელ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში“ ქართველ მოღვაწეებს თავი მოეყარათ. წიგნებით გადალობილ მეორე ოთახში ზის ვაჟა და ესმის, რომ სახელოვანი ადამიანი მას მიწასთან ასწორებს. უწოდებს მას ველურს, უვიცს, ენის წამრყენელს და სხვა. უძაგა „ბახტრიონი“, უძაგა „გველის მჭამელი“ და ბოლოს მასხრად აიგდო, ვითომც, ეს პოემები ხალხისა ფოფილიყოს, ხოლო ვაჟას თავისად გაესაღებინოს. ვაჟას ვეღარ მოუთმენია, გამოსულა და ექსპრომტად უთქვამს მასზე:

„მე მისი არაფერი მწამს,  
ვინც ერთგულია ქვეყნისა  
და სხვისა ერთგულებაზე  
ხალხს აცქერინებს ეჭვითა.  
სხვისთვის შურს ივივე ვრძნობა,  
რისი მტერთუელი თვით არი;  
მისთანა ქვეყნის ერთგული  
ღმერთმა გვაშოროს, ვინც არი;  
არც არის კაცობის ღირსი  
და არც მამად ვასაფიცარო;

რო მართლა ქვეყანა უყვარს,  
მე ეს არ დამიჯერია;  
ენით თვალთმაქცობს, ალბათა,  
გულით კი ხალხის მტერია, —  
იქნება, ეს არც კი იცის,  
იგი იმდენად მტერია?

მაშ, რისთვისა სძულს თვის მსგავსი,  
მის მსგავსი ვრძნობის მოქმელია,  
თუ მართლა სამშობლო უყვარს,  
ვრძნობა-გონებით მოუღია.  
არ არის საწამებელი,  
რაც იმას დაუწერია.  
გიტანი ვინცა ბრძანდება —  
კულმოგლეჯილი შეღია!



ვაჟას დაუხურავს ქუდი და გამოსულა გარეთ. ეს მან მეორე დღეს მიაძხო. შემდეგ ეს ლექსი „ცრემლებში“ დაიბეჭდა, სადაც რედაქტორი მწუხარებას აცხადებდა, რომ „შეგვეპარა ლექსი, რომელსაც ტენდენციური ხასიათი აქვს“.

\* \* \*

ტყუილია ის აზრიც, თითქოს ვაჟას თანამედროვეობა არ იცნობდა, პატივს არ სცემდა და მხოლოდ ერთმა ლიტერატორმა „აღმოაჩინა“ იგი, როდესაც მან ვაჟას შემოქმედებაზე ფელეტონი დასწერა ან მოხსენება გააკეთა.

ვაჟას არა თუ თბილისში, არამედ ბათუმსა, ქუთაისსა, ზუგდიდსა, გორსა და თელავში ხშირად იწვევდნენ, ზვდებოდნენ დიდი აღტაცებით. მხოლოდ ზოგიერთებს არ მოწონდათ ვაჟა და იმ ზოგიერთების ჩაძახილს იმეორებდნენ, ვითომ ვაჟას ენა არ უვარგოდა.

თბილისში რამდენჯერაც კი გამართულა საღამო და ვაჟა დასწრებია, ეს საღამო გადაქცეულა ვაჟას პატივსაცემ დემონსტრაციად.

მახსოვს, აკაკის ვუმართავდით იუბილეს. მთელი საქართველო ფეხზე დადგა აკაკის პატივსაცემად. მე და რამდენიმეს გვეგონა, რომ ვაჟა ამ იუბილეზე არ ჩამოვიდოდა, რადგან აკაკიმ ვაჟას რამდენჯერმე აწყენინა. მაგრამ, უცბად, მილოცვების დროს, სცენაზე გადმოენთო ვაჟა და საზეიმო ხმით დატყუქა.

შეინძრა მთელი დარბაზი. წამოვიდა იარუსებიდან ზღვა ყვავილები. მეგონა, თითქოს, დარბაზი ინგრეოდა. ხოლო როდესაც გაისმა:

„ნეტავი ბევრი გაზარდოს  
შენისთანები დეღამა : : .“

ანდა:

„სამშობლოს სამსახურითვის  
ჩანგი გიკურთხოს ზენამა“, —

მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. აკაკი ვაჟასკენ წამოვიდა, ვაჟა მისკენ და ერთმანეთი გადაკოცნეს. მე ასე შევატყე, რომ ორივეს თვალთაგან სიხარულის ცრემლი სდიოდა.



ვაჟას ხალხი დიდ პატივს სცემდა. როდესაც კი ვაიკებდნენ, რომ ვაჟა თბილისში იმყოფებოდა, შეცილება ჰქონდათ დაპატიჟებაში და დიდი ზეიმის გადახდაში ვაჟას პატივსაცემად. ასეთი წვეულებები მუდამ ლიტერატურული შეკრების ხასიათს იღებდა.

იყო ლექსების და ექსპრომტების შეჯიბრება, ერთხელ მიხ. აბაშიძესთან ვიყავით. დიდი სუფრა ჰქონდა. თითქმის ყველანი მოიპატიჟა, ვისაც კი იმ დროს თბილისში რაიმე სახელი ჰქონდა.

შეიქნა ლექსების თქმა სოსო ივანიძემ (მსახიობი იყო) ვაჟა ლექსის წერაში გამოიწვია და თემაც თვითონ დაასახელა: მასპინძლის ოჯახის წევრი, ახალგაზრდა ქალიშვილი ლიზიკო. ვაჟა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, გამოწვევა კი მიიღო არაპოეტისაგან, მაგრამ იმ დღეს ექსპრომტის წერას საათზე მეტი მოუნდა, ისიც მხოლოდ დასწერა ორი კუპლეტი, ზოლო ივანიძემ გაჭიმა უშველებელი ლექსი და იმის კითხვით არათუ ვაჟას, თვით მასპინძელსაც მოაწყინა თავი, იყო დიდი ოხუნჯობა; ივანიძე თავს ინუგეშებდა:

— ოდესმე იტყვიან, რომ ვაჟას ლექსების წერაში ივანიძე გაეჯიბრა და აჯობა კიდევცაო.

ვაჟას ექსპრომტი დავსტამბე გაზეთ „საქართველოში“.

რამდენადაც ვაჟას ფართო მასა პატივს სცემდა და მისდამი აღფრთოვანებას იჩენდა, იმდენად ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ „მესვეურსა და მოამაგეს“ გულცივი განწყობილება ჰქონდა მისდამი.

ვიცოდი, რომ ვაჟა ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდა, ნახევარზე მეტად თითქმის მშვიერ იყო, მაგრამ მისთვის დახმარების მიზნით ხელი არ გაუწვდია არც რომელიმე რედაქციას, არც წერაკითხვის გამაერცელებელ საზოგადოებას, არც ქართულ ბანკს, რომელიც აუარებელ ფულს ხარჯავდა სხვა საქმეებზე.

შურით იყო, ინდეფერენტაზმით თუ სხვა რა მიზეზით, საკითხიც კი არ წამოუყენებიათ, რომ ვაჟა რამდენსამე ათეულ წელიწადს მწერლობდა და ღირსი იყო მისთვის იუბილე გადაეხადათ.

1915 წელს ვაჟა თბილისში ავადმყოფი ჩამოვიდა, მე და ჩემ-  
მა ამხანაგებმა კატეგორიულად დავაყენეთ საკითხი, რათა მისთ-  
ვის გადაგვება იუბილე. როგორც იყო, დიდის ჩხუბისა და და-  
ვიდარაბის შემდეგ, გადაწყდა კიდევ იუბილეს საკითხი. ამის  
გამო მე კარიკატურა დავხატე გაზეთ „საქართველოში“, რომელიც  
გამოდებოდა ჩემი რედაქტორობით 1915, 16, 17 წლებში.  
ამ კარიკატურაში გამოხატულია უხარმაზარი ვაჟა-ფშავე-  
ლა. ჩვენი მესვეურნი ფეხის კოჭებამდე ძლივს წვდებიან ამ  
ბუმბერაზს. ქვეშ იყო წარწერა: „ძლივს შენიშნეს ეს პატარა  
აღამიანი“.

\* \* \*

ეს იუბილე იყო მის სიცოცხლეში უკანასკნელი ზეიმი.  
ამის შემდეგ ვაჟას ავადმყოფობამ თანდათან კლანჭები ჩას-  
ჭიდა. არც თვითონ ამბობდა და არც ჩვენ მიუაქციეთ ყურად-  
ღება, რომ საქართველოს უდიდესი პოეტი ავადმყოფობით  
იტანჯებოდა, ბოლოს როდესაც ძალიან შეწუხდა, დიდი „მო-  
წყალება“ მოიღეს ამა ქვეყნის „მამებმა“ და სამადლოდ მოა-  
თავსეს წითელი ჯვრის საავადმყოფოში, რომელიც იმყოფებო-  
და დღევანდელ უნივერსიტეტის უკანასკნელ სართულში.  
აქ ვინახულვები ხოლმე ვაჟას. იმ საყვედურით მოგვმარ-  
თავდა:

— რად მკლავთ. რატომ არ წამიყვანთ ჩარგალში? გეფიცე-  
ბით, იქ რომ წამიყვანდით, სადაც ჩემი ღეკა და ღვიანი მთე-  
ბია, იქაურ წყალს შევსვამდე, იქაურს ჰაერს ვისუნთქავდე,  
ჯერ კიდევ იმდენად არ დავებერებულვარ, ვიცი, მოვრჩები წა-  
მიყვანეთ მთაში.

ჩვენ ეს სურვილი ვაჟას ვერ შევუსრულეთ, ექიმები ჯიუ-  
ტობდნენ; არ შეიძლება მისი ადგილიდან დაძვრაო.

ასეთი კატეგორიული განცხადება ჩემს ენერგიასაც ჰკვე-  
ცავდა. მე ექიმებს ვუჯერებდი.

ერთხელ ავადმყოფ ვაჟასთან მივედი მე და შიო მღვიმე-  
ლი. შიოს საზამთრო ეყიღნა თვით ვაჟას დავალებით. გასინ-  
ჯა გემო და თქვა: მწარეაო. პირი აღარ დაუკარებია. ძალიან  
ესიამოვნა ჩვენი მისვლა, ლოგინზე წამოჯდა, ხან ადგომაც  
დააპირა, მაგრამ ჩვენ ამის ნებას არ ვაძლევდით. ამ დღეს გა-

მოვემშვიდობე და დავპირდი: კვლავ მალე გნახავ და შენთან მხატვარსაც მოვიყვან, რომ გადაგხატოს და როცა მორჩები, მაშინ შენ თავს შეადარე-მეთქი.

ვაჟას რატომღაც სურათების გადაღება არ უყვარდა. მე კი ვატყობდი, რომ ვაჟა უკანასკნელ დღეში იყო და მხატვრის მიყვანა იმით გავამართლე, რომ შემდეგ თავის სახისთვის შეედარებინა ეხლანდელი გამხდარი სახე.

შევატყობინე მხატვარ ვ. სიღამონ-ერისთავს. მხატვარი უკვე დილიდანვე მისულიყო და ვაჟას ხატავდა; მეც მივედი. იმ დღეს ვაჟა, თითქოს, მხიარულ გუნებაზე დამხვდა. მისი მომზელებელი იყო მოწყალების და კობიაშვილი; ვაჟა ამ ქალისადმი დიდ მადლობას აცხადებდა, ხოლო ექიმებს აგინებდა, ჩარგალში წასვლის ნებას არ მამძლევენო. მე და ვაჟა ვლაპარაკობდით, მხატვარმა სურათი გაათავა და წავიდა.

— ჯაან, ვეფხო! რომ არ დაგავიწყდი.

— შენ მტერსაც არ დაავიწყდები, არა თუ მოყვარეს!

— მე ერთი მტერი მყავს... ხომ იცი, ჩემო შანშე, (ხშირად სახელის მაგიერ შანშეს შეძახდა) ხომ იცი, ვინც არის ჩემი მტერი. არ იცი? იცი.

თქვა და კვლავ წამოდგომა დააპირა. მე ხელი ვტაცე და საწოლშივე დავტოვე. როდესაც ხელი წავავლე ვიგრძენ, რომ სიცხე ჰქონდა.

— საქართველოს მტერი ჩემი მტერია, — თქვა ვაჟამ და შუბლი შეიკრა.

— ყორნებს ჩაუგდიათ ჩემი დაჭრილი არწივი...

ლაპარაკობდა ვაჟა ნაწყვეტ-ნაწყვეტ... მე გამახვილებული ვუსმენდი. მისი წინადადება ხან ერთ სურათს წარმომიდგენდა, ხან მეორეს, პაუზებს შორის ალბათ, ვაჟა ჰგონებდა რომ ყველაფერი თქვა და კვლავ სხვა ამბავზე გადადიოდა. მოიგონა „ჯარისკაცის წერილი დედასთან“ და უცბად წამოიძახა: „დაირღვა ფრონტი! ხიშტებით მეფის სასახლეს იღებენ, მეფე კი გაიქცა...“

მე ვაჟა შევაჩერე, მივიხედ-მოვიხედე. იმ დროს ასეთ ლაპარაკს, ალბათ, ავადმყოფსაც არ აპატიებდნენ. მაგრამ ვაჟა,

\* იგულისხმება ლექსი სათაურით: ფშაველი ჯარისკაცის წერილი.

თითქოს ჯიბრზე ისეთ ამბებს იგონებდა, რაც სხვა დროს ჩემთან არ უთქვამს და არც გახსენებია.

— ხომ იცი, მეც გადავურჩი, დაჭერას მიპირებდნენ. ვიღაც მოთრეული ბოქაული გადამეკიდა... გახსოვს, ჩვენთან რომ ყმაწვილი მოვიდა, ის ნამდვილი ვაჟკაცი იყო, თურმე, მოუკლავთ, ჩუმად მოუკლავთ სარდაფში. მაშ, ფრონტი რომ ირღვევა, ხიმტებით გვეძახიან... წუხელ კიდეც, მივიღე წერილი ერთი ჯარისკაციდან... დედას კი არა, უკვე მე მწერდა: ფრონტი ირღვევაო!”

ვაჟა დადუმდა. თითქოს, გამოერკვა და შემომხედა. შემატყო რაღაც შიში და განცვიფრება.

— ვაჟო! მე ბურანში ვიყავი, სიზმარს თუ ვიამბობდი. არაფერია!

სიტყვა მე ბანზე აუგდე, სულ სხვა საგანზე დავიწყე ლაპარაკი, გავამხნევე და შემდეგ გამოვემშვიდობე. რამდენიმე დღეს არ მინახავს.

ერთ დღეს, დილით, ხმა გავარდა ვაჟა-ფშაველა მოკვდაო. თურმე უკანასკნელ წუთებში ფანჯრებს და კედლებს ეხლებოდა. გარეთ გაქცევას ლამობდა, ლოგინიდან დგებოდა და ოთახის კუთხეში წვებოდა.

მაშინდელმა „მესვეურებმა“, მიუხედავად ჩემი და ჩემი მეგობრების დაბეჯითებით თხოვნისა, ღირსად არ სცნეს ვაჟა მთაწმინდაზე დაეკრძალათ.

გასული საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთში გამოჩნდა ახალი ერმაკი, ვილაც, ვითომდა ატამანი თავისუფალი ყაზახებისა — აშინოვი.

ჭინჭრაქის ტრაბახი — „ზღვას ცეცხლს წავუკიდებო“ — ხალას ჭეშმარიტებად მიიჩნიეს, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც კატკოვმა, იმ დროს რუსული პრესისა და ლიტერატურის ტონის მიმცემმა, თავის მფარველობის ქვეშ აიყვანა ეს ტრაბახა ადამიანი.

აშინოვი განცხრომით ცხოვრობდა პეტერბურგში. სლავიანოფილებისა და სხვა ძლიერთა ამა ქვეყნისათა თანხლებით — იგი აქეთ-იქით დაძრწოდა უცხოეთიდან თავისი ჩამოყვანილი უცხო ფრინველებით, შავი ბიჭითა და უცნობი ქალიშვილით, რომელსაც „პრინცესას“, მეფე მენელიკის ქალს უწოდებდა. მის წინაშე ფართოდ გაიღო არისტოკრატიული ოჯახების კარი და ყველგან მას დიდი სიამოვნებით ღებულობდნენ.

ცენტრი რომ მოხიბლა ამ გმირმა, ახლა ცდა რუსეთის განაპირა ქვეყნებში მოინდომა. იგი ჩამოვიდა ტფილისს და დაიწყო ოინები. ფიქრობდა, დედაქალაქები გავაცურე და პროვინციაში ვინ გაბედავს, რომ არ დამიჯეროსო, მაგრამ საქმე სხვანაირად დატრიალდა.

მაშინ ერთადერთი ქართული გაზეთი „დროება“ გამოდიოდა. იქ დაიბეჭდა სტატია, რომელშიაც ნათქვამი იყო: „იოანე მრისხანემ რომ ნოვგოროდი დაიპყრო და მისი მოკავშირის — პსკოვის დასასჯელად გაემართა, პსკოველებიც მას მორჩილებით შეხვდნენ. ვერც მორჩილების გამოცხადებამ, ვერც ბოიარების თხოვნამ, ვერც სამღვდელთების ლოცვამ, ვერც დაბალი ხალხის პურმარიღმა ვერ მოუღბო გული იოანეს. მაგრამ ღობის იქიდან მოულოდნელად გამოვარდა ვილაც სალოსი და დაუძახა: „გაფრთხილდი, ივანე! გეშინოდეს ღვთისასო!“ ამან მეფე ისე შეაშინა, რომ ხელი აიღო თავის განზრახვაზე და უკან გამობრუნდა. არ ვიცი, ამის შემდეგ თუ სხვა რამ მიზეზის გამო — სალოსებს ხალხი ყოველთვის სიმპათიით უყურებდა და უყურებს.

ამით ძალიან ხშირად სარგებლობდნენ ათასგვარი მოხეტიალენი და გამკვლელ-გამომკვლელნი, თავი სალოსებად მომქონდათ და სურდათ რუსის ხალხის ყურადღება მიეპყრათ. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ იენანე იაკობის ძე კორეიში: რამდენი ხალხი მიეშურებოდა მოსკოვს რუსეთის ყოველი კუთხიდან მის თაყვანსაცემად და რა პატივით იყო გარშემორტყმული. მაგრამ რა გამოირკვა? მრავალი წლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ეს წმინდა წინასწარმეტყველი — გამოქცეული კატორღელი ყოფილიყო.

რაღაც ამის მსგავსი ხდება ამჟამადაც: გამოჩენილა ერთი ვიღაც თავზეხელაღებული აშინოვი, თავის თავს „თავისუფალი ყაზახების უამრავ ძალთა“ ატამანს უწოდებს და მთელი ოდისეა დაუწყია.

სხვათა შორის იგი გვარწმუნებს: ჩემი ხანჯლის წვერზე მივართმევ რუსეთს თეირანსაო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენში იგი მსმენელთა მხოლოდ სიცილს გამოიწვევს, მაგრამ უცნაური ისაა, რომ პოლიცია მას ყურადღებას არ აქცევს“.

ასე სწერდა ქართული გაზეთი „დროება“.

ერთ მშვენიერ დღილას, რედაქციის კანტორაში ვისხედით: თითონ რედაქტორი განსვენებული სერგეი მესხი, მე და ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ასპარეზზე მაშინ ახლად გამოსული, ჩვენი ცნობილი მწერალი ვაჟა-ფშაველა. როგორც მთიელს, მას ნიბა ეცვა და ხანჯალი ეკიდა. უცებ შემოვარდა ვიღაც კაცი, ნახსმული, ქერა, მაცეცა თვალებიანი, ყაზახურად გამოწყობილი და დაიწყო გააფთრებულად:

— „დროების“ რედაქცია აქ არის? რომელია რედაქტორი? — დაიყვირა მან.

— რედაქტორი მე ვარ, რა გნებაეთ? — უპასუხებს ოდნავ აღელვებული რედაქტორი.

— როგორ თუ რა მნებაეს? თქვენ მიათავსეთ სტატია... გალანძღვეთ აშინოვი, აშინოვი კი მე ვარ!... მე... თქვენ გნებაეთ ხელი შემიშალოთ?! თქვენ როგორც „ტუზემეცს“, ალბათ, არ მოგწონთ ჩვენი კონფიდენციალური პოლიტიკა?

— ესე იგი რაღაც ბოდვაა...

— ბოდვა? თქვენ ამას ბოდვას უწოდებთ, როდესაც სხვა

თქვენზე უფრო კომპეტენტური გვიჯეროდა და ხელს გვიწყობენ? ჰმ! განა თქვენ დედაქალაქის გაზეთებს არ კითხულობთ?

— თუ შეიძლებოდა, ნუ ყვირით. აქ ბაზარი კი არა, რედაქციაა! მიბრძანდით აქედან.

— რას ნიშნავს, მივბრძანდე? როგორ თუ მივბრძანდე! მე აქედან ცოცხალი არ გავალ, სანამ ჩემთანვე თქვენ მიერ დაბეჭდილის უარყოფას არ დასწერთ... — დაიყვირა მან და ხანჯალზე ხელი გაივლო.

რედაქტორი გაფითრდა. მე კი შევშინდი, მაგრამ ახალგაზრდა მთიელი ვაჟა-ფშაველა, რომელიც ცნობისმოყვარეობით უყურებდა მთელ ამ სცენას, უცებ წამოსტა, სტაცა აშინოვს კისერში ხელი, მალლა აიტაცა და დაუყვირა: „ვის აშინებ შენ ხანჯლითა, ჰა? იცოდე, შე უბადრუკო, ვიდრე ხანჯალს ამოიღებდე, თავს ათჯერ წაგაცლი!“

ჩვენი „გმირი“, რომელიც თავისი ხანჯლის წვერზე თვირანის მორთმევას გვპირდებოდა, ამნაირ რამეს არ მოელოდა, მას უცბად მიაფიწყდა თავისი ხანჯალი, კილოც იცვალა და მთავრობასთან ჩივილით დაგვიწყო მუქარა.

მაგრამ ახალგაზრდა მთიელმა დიდხანს დაპარაკი არ დაცალა: ჰკრა პანდური და კიბეებზე დაავორა.

მართალი რომ გითხრათ, რამდენიმე დღეს ჩემს ტაფაში ვერა ვგრძნობდი თავს, მეშინოდა ქუჩაში არ შევხვედროდი ამ თავზეხელაღებულს, მაგრამ გამოირკვა, რომ ეს ცრუ „გმირი“ იმავე დღეს, რა დღესაც რედაქციიდან პანდურით გამოისტუმრეს, ტფილისიდან სადღაც გამქრალიყო და მისი კვალიც არავინ იცოდა.



## ცნობარი

- ივანე ავალიშვილის ნაამბობი, ვაჟა საოსტატო სემინარიაში, ავადმყოფი ქართულ ლაზარეთში.—იხ. ვ. რაზიკაშვილი, მამარქვი ვაჟა-ფშაველა, 1977 წ. გვ. 168-171.
- ვეფსო აკობაშვილი, მოგონებანი ვაჟაზე, 1965 წ.
- ხ. ანდრეევი, ნაწყვეტი მოგონებიდან — იხ. ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, 1961 წ. გვ. 44-45.
- გოგოთურ არაბულის ნაამბობი — იხ. ივ. ქართველიშვილი, ვაჟა ნაკვალევზე, 1977 წ. გვ. 90-92.
- არტემ ახნაზაროვი, ილია ჭავჭავაძე და მეფის ცენზურა — იხ. ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, გვ. 255-257.
- ვახილ ბარნოვი, მოგონება — იხ. გაზ. „ბახტრიონი“, 1922 წ. № 6.
- დათუნა ბაჩიაშვილი, ვაჟა კი თავის ოთახში წერდა — იხ. გაზ. „ნორჩი ლენინელი“, 1961 წ. 28 ივლისი.
- ლადო ბზევანელი, შესვენებები — იხ. გაზ. „კომუნისტი“, 1945 წ. 8 აგვისტო
- ხეთისო ბუკუკიშვილის ნაამბობი — იხ. ივ. ქართველიშვილი, ვაჟას ნაკვალევზე, გვ. 31-35;
- თვარელა ბულალაურის ნაამბობი — იხ. იქვე, გვ. 30-31.
- ივანე ბუქურაული, ვაჟა-ფშაველა (მოგონება) — იხ. ფაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მოგონების ხელნაწერი № 1988.
- ალექსანდრე გარსევანიშვილი, ვაჟა-ფშაველა მოწაფეობის ხანაში — იხ. ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, გვ. 68-121.
- მარინე გოგოლაძე, მამა გვიამბობდა — იხ. გაზ. „ალაზნის განთიადი“ (თელავი) 1974 წ. 31 იანვარი.
- ივანე გომელაური, (მცირე მოგონება) — იხ. ლიტერატურის მატრიანე, წ. VI, ნაკვ. I, გვ. 84-85.
- გორული (ხუდაკოვი), ვაჟა-ფშაველა (ლუკა რაზიკაშვილი) — იხ. გაზ. „სამშობლო“, 1915 წ. № 145.
- ივანე გორზამაშვილის ნაამბობი, ბოქაული ოზიევი იხ. ვ. რაზიკაშვილი, მამარქვი ვაჟა-ფშაველა, გვ. 99-101.
- ივანე დავითიანი, საყვარელ პოეტთან — იხ. გაზ. „კომუნისტის დროშა“ (ბორჯომი), 1961, 21 ივლისი.

- იპოლიტე ვართაგაეა, (ნაწევრები მოგონებებიდან) — იხ. იპ. ვართაგაეა, ილია, ვაეა, გიგა ყიფშიძე — წიგნში იპ. ვართაგაეა, წერილები და მოგონებები, 1975 წ. გვ. 133, 141—147. იპ. ვართაგაეა, ჩემი პირველი შეხვედრა ვაეა-ფშაველასთან, ჟურნ. „მეგრანა“, 1958, № 2.
- ნინო ვაშაკიძე-ციციშვილი, ვაეა-ფშაველას სიცოცხლის უკანასკნელი დღეები — იხ. ვაზ. „კომუნისტი“, 1940 წ. 9 აგვისტო.
- მიხეილ (ქაიხოსრო) ზანდუკელის ნაუბარი — იხ. გ. ლეონიძე, ბიოგრაფიული მასალები ჩემი უბის წიგნაიდან, „ლიტერატურული ვა-ზეთი“, 1956 წ. 1 ივნისი.
- ოსა ზურაბაშვილის ნაამბობი — იხ. ივ. ქართველიშვილი, ვაეას ნაკვალევზე, გვ. 45—50.
- ხეხერა ზურაბაშვილის ნაამბობი — იხ. იქვე, გვ. 21—26.
- ვაჭოშიშვილი თაფაიშვილი, ვაეა-ფშაველა — იხ. ლიტერატურის მატთან, წ. VI, 1952 წ. გვ. 58—59.
- დომენტი თომაშვილი, ვაეა-ფშაველა — იხ. ხელნაწერი გამახარდი თურმანაშვილის ნაამბობი — იხ. ივ. ქართველიშვილი, ვაეას ნაკვალევზე, გვ. 41—42.
- იოსებ იმედაშვილი, ვაეა-ფშაველა — იხ. ი. იმედაშვილი, ჩემი ცხოვრების წიგნი, 1978 წ. გვ. 209—240.
- ნიკო კეცხოველი, როგორც მახსოვს... — იხ. ვაზ. „კომუნისტი“ 1961 წ. 22 ივლისი.
- დავით კლდიაშვილი, ვაეა-ფშაველა იმერეთში — იხ. დ. კლდიაშვილი, მემუარები 1932 წ. გვ. 333—334.
- დავით კობიაშვილის ნაამბობი — იხ. ივ. ქართველიშვილი, ვაეას ნაკვალევზე, გვ. 108.
- ტატო შველაშვილის ნაამბობი — იხ. იქვე, გვ. 85—86.
- ნიკო კურდულაშვილი (ნარკანი) მოგონებანი (ვაეაზე) — იხ. ბაბილინა ხოსიტაშვილი, ნიკო კურდულაშვილის (ნარკანის) შეხვედრები ვაეა-ფშაველასთან, ჟურნ. „მნათობი“, 1961 წ. № 7.
- არტურ ლაისტი, (ნაწევრები მოგონებიდან) — იხ. ა. ლაისტი, საქართველოს გული, 1963 წ. გვ. 28—29, 42—43, 50.
- იაკობ მახვეტაშვილი, (ნაწევრები მოგონებიდან) — იხ. ი. მანსვეტაშვილი, ნახული და გაგონილი, 1936 წ. გვ. 104—109.
- დ. მაღალაშვილი, შეხვედრები ვაეა-ფშაველასთან — იხ. ვაზ. „კოლმეურნის ხმა“ (თელავი), 1960, 14 სექტემბერი.
- მელანია (ნიკოლოზ ნათიძე), მოგონებანი ვაეა-ფშაველაზე — იხ. ლიტერატურის მატთან, V, ნაკვ. I, 1949 წ. გვ. 32—35.
- მიზა მთიებლაშვილი, (მოგონება) — იხ. ნ. ჩიხლაძე, ვაეა მოგონებებში, 1957 წ. გვ. 23—25.
- ალექსანდრე შიქაბერიძე, მოგონება ვაეა-ფშაველას ცხოვრებიდან — იხ. ვაზ. ბეგის მზარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული მოგონების ხელნაწერი № 1987,

- ვესკვი მიქელაძე, ვაჟა-ფშაველას — იბ. გაზ. „ვაჟა“, 1961 წ. 26 ივლისი.  
 შიო შვიტაძე, ვაჟა-ფშაველა (მოგონება) 1961 წ.
- იოსებ შქედლიშვილი, მოგონება ვაჟა-ფშაველაზე — იბ. გაზ. „ივრის განთავსება“ 1978 წ. 9 დეკემბერი.
- ალექსანდრე ნათაძე, (მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე) — იბ. ს. ყუბანეიშვილი, ცხოვრება ვაჟა-ფშაველასი, გვ. 61-64.
- ნინო ნაკაშიძე, ნაწვევტი მოგონებებიდან — იბ. ნ. ნაკაშიძე, მოგონებები, 1956 წ. გვ. 64-86.
- გიორგი ნაფეურის ნაამბობი — იბ. ივ. ქართველიშვილი, ვაჟას ნაკვალევზე, გვ. 87-88.
- დავით პავლიაშვილი, ვაჟა-ფშაველა — იბ. გაზ. „ბახტრიონი“ 1922 წ. № 9, გულქან რაზიკაშვილის ნაამბობი — იბ. ვ. რაზიკაშვილი, მამანემა ვაჟა-ფშაველა, გვ. 67-77.
- ფოქრ რაზიკაშვილი, ნაწვევტი მოგონებებიდან — იბ. ე. რაზიკაშვილი, ცოტა რამ მამანემა-ბიძანეებზე, 1976 წ. გვ. 26-57.
- ვახტანგ რაზიკაშვილი, მამანემა ვაჟა-ფშაველა, გვ. 5-28;
- თამარ რაზიკაშვილის (ვაჟა-ფშაველას მეუღლის) ნაამბობი — იბ. იქვე, გვ. 29-61.
- თამარ რაზიკაშვილის (ვაჟა-ფშაველას ქალიშვილის) ნაამბობი — იბ. იქვე გვ. 62-67.
- მისა რაზიკაშვილი, — იბ. ვახტანგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული ხელნაწერი № 1821.
- სანდრო რაზიკაშვილი, ვაჟა-ფშაველა — იბ. ლიტერატურის მატთან, წ. 1-111, 1940 წ. გვ. 226-258.
- სვიმონ საღარაძე, (მოგონება ვაჟაზე) — იბ. სვიმონ საღარაძის მოგონებებიდან, ლიტერატურული შემკვიდრება, წ. I, 1935 წ. გვ. 96-98,
- შაქო საფაროვა-აბაშიძე, მოგონებებიდან — იბ. გაზ. „მარჯანიშვილის თეატრი“, 1935 წ. № 1.
- თედო სახოკია, ვაჟა-ფშაველა — იბ. თ. სახოკია, ჩემი საუკუნის აღმამანები, 1984 წ. გვ. 138-143;
- სიკო ფაშალიშვილი, არწივი ვნახე დაქრული — იბ. ს. ფაშალიშვილი, შუბრე ვედრები დაუვიწყარ აღმამანებთან, 1961 წ. გვ. 72-102;
- აკაკი შანიძე, მოგონებანი ვაჟა-ფშაველაზე — იბ. ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან ასა წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, 1961 წ. „სსრ მცნოერებათა აკადემიის გამომცემლობა“, გვ. 5-12,
- სანდრო შანშიაშვილი, ვაჟა-ფშაველა — იბ. ს. შანშიაშვილი, მოთხრობები, 1946 წ. გვ. 320-344.
- აკაკი წერეთელი, (მოგონება ვაჟაზე) — იბ. ი. გრამაშვილი, აკაკი, ვაჟა და ამინოვი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1936 წ. № 12.



სარჩევი

ზარგის ცაიშვილი — ვაჟა-ფშაველა თანამედროვეთა ხსოვნაში	5
ივანე ავალიშვილი	11
ვეფხო აკობაშვილი	13
ხ. ანდრეევი	35
გოგოთურ არაბული	37
არტემ ახნაზაროვი	38
ვახილ ბარნოვი	40
დათუნა ბაჩიაშვილი	41
ლადო ბზვანელი	41
ხეთისო ბეკუიშვილი	43
თეარულა ბულალაური	46
ივანე ბუკურაური	47
ალექსანდრე გარსევანიშვილი	50
მარინე გოგოლაძე	77
ივანე გომელაური	79
გორელი (სუდაკოვი)	81
ივანე გორხამაული	83
ივანე დავითიანი	86
იპოლიტე ვართაგავა	88
ნინო ვაშაკიძე — ციციშვილი	94
მიხეილ (ქაიხოსრო) ზანდუკელი	95
ოსა ზურაბაშვილი	97
ზეზერა ზურაბაშვილი	101
გქეთიმე თაყაიშვილი	105
დომენტი თომაშვილი	107
გამიზარდი თურმანაული	108
იოსებ იმედაშვილი	109
ნიკო კეცხოველი	134
დავით კლდიაშვილი	137
დავით კობიაშვილი	138
ტატო მგელაშვილი	138
ნიკო კურდღელაშვილი (ნარკანი)	139
არტურ ლაისტი	146
აკობ მანსვეტაშვილი	148
დ. შაღალაშვილი	155
მელანია (ნიკოლოზ ნათიძე)	156
მიხა მთიბელაშვილი	160
ალექსანდრე მიჭაბერიძე	162
ვესევი მიქელაძე	170

შოი მღვიმელი	171
იოსებ მკუდრიშვილი	198
ალექსანდრე ნათაძე	199
ნინო ნაკაშიძე	202
გიორგი ნაგეურსი	225
დავით პავლიაშვილი	226
გულქან რაზიკაშვილი	228
ეთერ რაზიკაშვილი	236
ვახტანგ რაზიკაშვილი	254
თამარ რაზიკაშვილი (ვატას მუღლლე)	270
თამარ რაზიკაშვილი (ვატას ქალიშვილი)	300
მიხა რაზიკაშვილი	304
ხანდრო რაზიკაშვილი	313
ხეიმონ ხალარიძე	337
მაკო ხაფაროვა-აბაშიძისა	338
თედო სახოკია	339
ხიკო ფაშალიშვილი	342
აკაკი შანიძე	369
ხანდრო შანშიაშვილი	376
აკაკი წერეთელი	390
ცნობარი (შუადგინა მარინე ბეგიტაძემ)	393



გამომცემლობის რედაქტორი მ. ჯაფარიძე  
მხატვრული რედაქტორი ნ. ნარიშკინიძე  
ტექნიკური რედაქტორი დ. ბატაძაშვილი  
კორექტორები: ნ. ლომაძე, ე. ნიკაშვილი  
გამომშვები ნ. ხავთაძე

ს. ბ. — 3002

ნაბარდა წარმოებას 23,04,86 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 24,07,86 წ.,  
უე 08889 ფორმატი 84×108<sup>1</sup>/<sub>32</sub>. ქაღალდი საბეჭდი № 1 გარნიტურა  
ლიტერატურული, ბეჭედა მაღალი, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 21,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 18,5 პირობითი საღებავვატა-  
რება 21. ტირაჟი 40 000. შეკვ. № 929  
ფასი 1 მან. 90 კაპ.

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის 42 თბილისი 1986



***Важа-Пшавела в воспоминаниях***

***(На грузинском языке)***

***Издательство «Мерани»***

***пр. Руставели, 42***

***Тбилиси***

***1986***

114/115



საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნით  
ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ო. ჭავჭავაძის  
სახ. წიგნის ფაბრიკა, შვეობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государст-  
венного комитета Грузинской ССР по делам издательств, по-  
лиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.





සමස්ත  
මහජනතාව

